


ლეილა მარბოშვილი

პანკისის ხეობა

(ისტორიულ-ეთნოგრაფიული
გამოკვლევა)



თ ბ ი ლ ი ს ი

2002

საქართველოს მენეიერებათა აკადემია
ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის
ინსტიტუტი

მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების
კავკასიური ინსტიტუტი

ლ ე ი ლ ა მ ა რ ბ ო შ ვ ი ლ ი

კ ა ნ კ ი ს ი ს ხ ე ო ბ ა

(ისტორიულ-ეთნოგრაფიული
გამოკვლევა)



თ ბ ი ლ ი ს ი
2002

УДК 39. 392
მ 296

წიგნის გამოცემა დააფინანსა
ჯონ დ. და ქეთრინ ტ. მაკარტურების ფონდმა
ნიკაგო, აშშ

Publication of this book was made possible thanks to
The John D. and Catherine T. MacArthur Foundation
Chicago, USA.

ნაშრომი წარმოადგენს პანკისის ხეობაში ავტორის საველე ეთნოლოგიური მუშაობისა და დაკვირვების შედეგების ცდას. ნაშრომი ემყარება ეთნოლოგიურ, ისტორიულ, არქეოლოგიურ, გეოგრაფიულ და სხვა ხასიათის წერილობით მასალასა და ეთნოკულტურული ტარდიციების მრავალფეროვან მონაცემებს.

ნაშრომში დასმული პრობლემები განიხილება ქვეყნის ისტორიული განვითარების ფონზე. წინ არის წამოწეული რეგიონის განვითარების ბუნებრივი, სოციალურ-ეკონომიკური და ისტორიული წინამძღვრები, მიგრაციული დინამიკები და მისი სოციალური ასპექტები, განხილულია პანკისის ხეობის მოსახლეობის მატერიალური, სოციალური, სულიერი კულტურის ძირითადი საკითხები და თანამედროვე მდგომარეობა.

მონოგრაფია განკუთვნილია ისტორიკოსების, ეთნოლოგების და კულტურის ისტორიით დაინტერესებული ფართო საზოგადოებისათვის.

რედაქტორ-გამომცემელი:

ლია მელიქიშვილი
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

რეკენზენტები:

გერონტი გასვიანი
პროფესორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

როლანდ თოფჩიშვილი
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

კომპუტერული უზრუნველყოფა:

ჯუან შერ ამირანაშვილი

© ლ. მარგოშვილი L. Margoshvili
© ლ. მელიქიშვილი L. Melikishvili

მ $\frac{73}{2002}$

ISBN 99928-0-340-1

6338-2000
შეამოწმა
საქართველოს
პარლამენტის
მისიონერი
ბიბლიოთეკა

K 20875
4



უხუე ადოს-მე მარჯოთშვილი

უკმღვინი მამის
უხუე ადოს მე
მარჯოთშვილის
ნათელ ხსოვნას

1861-1931

პანკისის ხეობა აღმოსავლეთ საქართველოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კუთხეა, რომელმაც ისტორიულ წარსულში გარკვეული როლი ითამაშა საქართველოს პოლიტიკურ და ეკონომიკურ რეზორგებაში. ამაზე მეტყველებს ხეობაში განლაგებული ფეოდალური ხანის რიხე-სიმაგრეები, მატერიალური თუ სულიერი კულტურის ძეგლები და მათი ნაშთები.

XVIII საუკუნეში და XIX საუკუნის დასაწყისისათვის პანკისის ხეობა ადგილობრივი

ქართველი მოსახლეობისაგან ნაწილობრივ დაიწვია. ამ დროიდან იგი გახდა მთიდან ჩამოსახლებული ქართველების (ძირითადად ფშავლების) და ჩრდილოეთ კავკასიიდან მიგრირებული ქისტებისა და ოსების თავშესაფარი.

პანკისის ხეობაში ქისტების ჩამოსახლება სხვადასხვა პერიოდში მოხდა. მათი პირველი ნაკადი 1791 წლიდან ჩანს (20 კომლამდე) სოფ. ხორბალოს ტერიტორიაზე. ისტორიული წყაროებით, ეს პროცესი XIX საუკუნის 60-იან წლებამდე გრძელდებოდა.

ნაშრომში ისტორიულ, ეთნოგრაფიულ, არქეოლოგიურ ლიტერატურაზე დაყრდნობით, სავარაუდო და პერიოდული მონარქემების გათვალისწინებით განხილულია საქართველოში ჩასახლებულ ქისტ მოსახლეობაში მიმდინარე მიგრაციისა და ადაპტაციის პროცესები, პანკისის ხეობაში დასახლება-განსახლებისა და შრომითი რესურსების საკითხები, რეგიონში ჩამოყალიბებული სამეურნეო სტრუქტურის ანალიზი, ეთნოკულტურული ცრადიციები. ასევე ჩრდილო კავკასიიდან აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მიგრირებული მოსახლეობის ყოფითი კულტურა, რომელთაც ასიმილარია განიერადეს ადგილობრივ მოსახლეობასთან. მაგ. თუშეთში, ფშავში, ხევსურეთში, მთიულ-გუდამაყარში და ხევში, სადაც ქისტური ნარმოშავლობის კვალი დღესაც რორხლომს.

გამოყენებულია აგრეთვე ამ კუთხის ისტორიითა და კულტურით
დანიტურესებული ღვანღმოსილი ჰირების მათე ომანის-ძე ალბუთაშვილისა
და უსუფ ადოს-ძე შარგოშვილის პირადი არქივების მონაწიემბიერ.

პანისის ხეობის ქისტების არა ერთი რევოლუციამდელი ავტორი შეეხო და
სანიტურესო მონაწიემბიერ დაგვიტოვა, მაგრამ ძირითადი ყურადღებმა ამ კუთხის
მიეჭრა საბჭოთა პერიოდში. ქისტების ყოფის სხვადასხვა საყთხის ირგვლივ თავისი
ნვლილი შეიტანა ივ. ჭავჭავაძის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის
ინსტიტუტის თანამშრომლებმა, განსაკუთრებით კი კავკასიის ეთნოგრაფიის
განყოფილების ნევრებმა ეთნოგრაფებმა ალ. როზაქიძემ, ნ. ჭავჭავაძემ,
ვ. ითონიშვილმა, გ. გეგეჭკორმა, ა. შავხელიშვილმა, მ. ქანთარია,
ლ. მელიქიშვილმა, გ. ჩიქოვანმა, ლ. ხურეშვილმა, ბ. გამყრელიძემ,
ს. ბახია-ოქრუაშვილმა, ა. ქალდანმა და სხვებმა.

დღეს პანისს უჭირს. უჭირს მის ხალხს. დალუპვის პირსაა ხუროთმოძღვრული
ძეგლები, თუნდაც წნობილი „თორღვა“-პანკელის რხე-სიმაგრე, მასშტაბური
თავდაჯვითი საშუალებებით, რომელსავე სრული დანგრევა და მინისპირისგან
აღგვა ემუქრება.

მონოგრაფია საქართველოში მრხოვრები ქისტების ყოფა-რხოვრების
შესახებ, დღესათვის არსებული ვითარების გათვალისწინებით, შეძლების-
დაგვარად ასე სრულად ქართულ ენაზე პირველად ქვეყნდება.

ჩემი მოუძალეული შრომა დამაყმაყოფილებლად ჩათვლება თუ პანისის
ხეობაზე ისტორიული სინამდვილის წარმოდგენას და მისი ისტორიული ძეგლების
სავალალო მდგომარეობაზე ყურადღების მიპყრობას შევძლებ.

ავტორი

საქართველოს
ინფორმაციის
აგენტობა

შ ე ს ა ვ ა ლ ი

პანკისის ხეობის ისტორიული წარსული და
ბუნებრივ-გეოგრაფიული გარემო

ისტორიულად პანკისის ხეობა აღმოსავლეთ საქართველოს განუყოფელი ნაწილია. იგი ძველთაგანვე ქართველი მეფე-მთავრების ყურადღების საგანი იყო, რაზედაც მეტყველებს ამ ხეობაში განლაგებული ციხე-კოშკები, სათვალთვალ და საკულტო ნაგებობები, რომლებიც ქართველი ხალხის ისტორიული წარსულის მეტყველი ძეგლებია. დასანანი, რომ სადღესოდ ბევრი მათგანი ნანგრევების სახითაა შემორჩენილი. ამ ძეგლებს შორის ყოფილა თამარ მეფის სახელობის ტაძარი, სადაც მეფე სხვა ქვეყნიდან მოსულ სტუმრებს დებულობდა. თამარის ისტორიკოსის ცნობით, მეფეს სანადირო ნაკრძალი ჰქონია კახეთში, რომელიც მან ძველნი მოსულ მუჭაფრადის უწყენა: „ახუენეს საყოფნი სანადირონი, მინდორნი, მოედანნი და ქუემონი კახეთისანი“ [1: 43-44].

აღნიშნული ნაკრძალი პანკისის ხეობაში უნდა ყოფილიყო. ამას ადასტურებს ისტორიული ძეგლების სიმრავლე და ნაკრძალი „ცქვიტაძის ყურე“ და „ბაწარა“. ვახუშტის ცნობით: „ტყე ნადირიანი, მარცვალთა ნაყოფიერნი... ბრინჯ-ბანძისა, პირუტყუნი მრავალ, გარნა ღორი უმრავლეს“ [2: 551].

ქართველი არქეოლოგების მიერ 1965-1966 წლებში ალაზნის სარწყავი სისტემის გაყენასთან დაკავშირებით ჩატარებული მუშაობის შედეგად პანკისში აღმოჩნდა უნიკალური მასალა, რომელიც ნათელყოფს ამ ხეობის ისტორიულ წარსულს. სოფ. იმალოს ჩრდილო-აღმოსავლეთით, ნასახლარების გაყოლებაზე აღმოჩენილია სხვადასხვა დროის პალეოლითის, შუსტიეს, გვიან ბრინჯაოსა და ანტიკური ხანის მასალებზე ადამიანის თავის ქალის ნაწილები, თიხის ქოთნების ნამკვრევები (სოფლის ჩრდილოეთით) მდ. ალაზნის გასწვრივ ნანახია ქვის ფილებით ნაგები სამარხები, რომელიც განეკუთვნება ძვ. წ. პირველ საუკუნეს [10: 9]. სოფ. ბირკიანის მარცხენა მხარეს ნაპოვნია გვიანი ბრინჯაოს ხანის კერამიკის ფრაგმენტები და ფეოდალური ხანის ქოთნის ნამკვრევები, ხოლო სოფლის ჩრდილო-დასავლეთით, გორის ცერხე, ღაზარეს ახოსთან – მრავალრიცხოვანი კერამიკის ფრაგმენტები და ბრინჯაოს იარაღი, რომლებიც დამახასიათებელია ბრინჯაოს ეპოქისთვის [10: 10]. სოფ. ჯოყოლოსთან, ჭობინის ხევის ბოლოს, ადგილობრივმა მოსახლემ, ვ. ცხადაძემ იპოვა ბრინჯაოს ხანჯალი და თიხის ქოთნები; ჯოყოლოსა და დედისფერულს შორის აღმოჩნდა ნასახლარის ნაშთი; სოფ. კაკლიანში დუისის მაცხოვრებლებმა აღმოაჩინეს ქვის ფილებით ნაგები სამარხი, სადაც ნახეს ოქროს სამაჯური. გვიანი ბრინჯაოს ხანის კერამიკის ნატეხები იპოვნეს ქვემო ხალაწის გორაზე, სალოცავთან, ქვემო და შუა ხალაწის შორის კი მოხატული კერამიკის ფრაგმენტები და სხვ. 1950 წელს ზემო ხალაწაში, მიწის დამუშავების დროს (ნახევრად დაშლილ კოშკთან) აღგილობრივმა მაცხოვრებელმა (ი. სამუკაშვილი) იპოვნა ადამიანების ჩონჩხები და ბრინჯაოს ხანჯალი, ორნამენტირანი ტარით. სოფლიდან დაახლოებით 200 მეტრის დაშორებით აღმოჩნდა ქვის ფილებით ნაგები ბრინჯაოს ხანის სამარხები, სადაც მწვლიარე ცხედრებს აღმოსავლეთით მოქცეული თავები ჰქონდათ. ასევე დიდი რაოდენობით

სამარხები, ნამოსახლარები, ღვინის ქვევრები, უამრავი კრამიტისა და ქოთნების ნატეხები აღმოჩენილია საკობიანოს, კუწახტისა და ბაყილოვანის ტერიტორიებზე [10: 11-13]. არქეოლოგიური მონაცემები საშუალებას იძლევა უფრო ღრმად ჩაეხედოთ ამ კუთხის ისტორიულ წარსულში, სადაც უძველეს დროიდან უნდა ეცხოვრათ ქართველებს.

პანკისი მთელი ხეობის სახელია. იგი მდებარეობს შიდა კახეთში, კავკასიონის უმთავრესი ქედის მაღალტყიან მთებს შუა, „სწორედ იმ ადგილას, სადაც კახეთს ალაზანი გამოსხვავდება კავკასიონის მთაგრეხილის კლდიდან და ცოტათი თუ ბევრად დაიმშვიდებს აღშფოთებულ და მქექვარე მომდინარეობას, იწყება ვიწრო ხეობა, რომელიც თავიდან ბოლომდე ერთნაირი სიფართოვით და მდებარეობით გრძელდება თითქმის 18 კმ., შემდეგ მდ. ალაზანი სამხრეთისაკენ მიმავალი პირს იბრუნებს აღმოსავლეთისაკენ და მიმართულებას იღებს კასპიის ზღვისაკენ. ამ ხეობას პანკისი ჰქვია“ [3: 1]. მ. ალბუთაშვილის აზრით პანკისი წარმოდგა სიტყვიდან პანტიხი ანუ პანტის ადგილი, პანტის ხეობა ან პანტიანი ახალი მოსახლეობის დასახლებამდე ხეობა სავეს ყოფილა პანტა-მაჟალოს ხეობით. ახმეტა-ქისტაურისა და მატან-მარეღისის მოსახლეობა შემოდგომობით აქედან ეზიდებოდა ამ ხილს. როგორც ვახუშტი აღნიშნავს, პანკისი ღორის საკვებად საუკეთესო ადგილი იყო [2: 554]. უნდა შევნიშნოთ, რომ სახელწოდება პანკისი დაკავშირებული უნდა იყოს ციხე-სიმაგრე „თორღვა-პანკელთან“, რომელიც მდებარეობს ხაღაწის ხეობასა და სოფ. მაღრაანს შორის აღმართულ გორაზე „თორღვა-პანკელის“, პანკისის შესახებ საინტერესო მასალა აქვს წარმოდგენილი აკად. დ. მუსხელიშვილს [4: 153-158], რომელიც დამატებულ დასკვნას იძლევა: „Центром Панкисского Саэриставо... являлась, крепость, называемая ныне Торгвас Цихе~. Она воздвигнута на высокой (1200 м. над уровнем моря), покрытой густым лесом, скалистой горе, возвышающейся на водоразделе верхнего течения р. Алазани и р. Стори... Сама эта гора..., жители с. Маграни называют „Цихебис гори“ („Гора крепостей“)... Дороги на „Торгвас Цихе“ идут как из Халацанской лоцины (с западе), так и из с. Маграни (с юго-востока), соединяясь на перешейке водораздела. Отсюда дорога поднимается вверх на север, по гребню „Цихебис гори“ и через ворота, высеченные в скале и перекрытые аркой, выходит на территорию крепости“ [4: 154].

ეჭვს გარეშევა, აღნიშნავს დ. მუსხელიშვილი, რომ „ეს მონუმენტური ციხე-ნაგებობა (პანკისის ციხესიმაგრე) წარმოადგენდა პანკისის ერისთავების რეზიდენციას, რადგან ანალოგიური ციხე პანკისში არ არის“. ამასთანავე, საინტერესოა მის მიერ ადგილზე მოძიებული მონაცემები, რომლის მიხედვით თამარ მეფის შემდეგ ამ ციხე-სიმაგრის მშენებლობის სამუშაოები გააგრძელა თორღვა პანკელმა [4: 155].

მ. ალბუთაშვილი პანკისის ხეობის სათავეს მისი სივიწროვის გამო ხეობის კუდს უწოდებს. იგი მთავრდება მაღალ ციცაბო მთასთან, რომელსაც სპეროზას უწოდებენ. მისი სიმაღლე ზღვის დონიდან 4300 მეტრია. ხეობის თავში, ჩრდილოეთით 7-8 კმ-ზე ტყიანი მასივის შემდეგ იწყება მოტიტვლებული იალაღები, სადაც მდებარეობს ნასოფლარები ხორაჯო და ჩხათანა, ხოლო მის დასავლეთით აღმოსავლეთ საქართველოს მთიელების ფშაველების საზამთრო სადგომი „მსუბუქ-ხადარი“. სპეროზას და მის აღმოსავლეთით აღმართულ ხორაჯოს მთას შორის მოედინება მდ. მახეაღი, ხოლო დასავლეთით, სპეროზას და რკინის

მთას შორის კი – მდ. ალაზანი. პანკისის ხეობას, აღმოსავლეთისაკენ ხორაჯოს მთისა და დასავლეთისაკენ რკინის მთის გაგრძელება დაჰყვება ბოლომდე. ამ მთების მწვერვალები, კაცის ხელუხლები უტეხი ტყით შემოსილი, თანდათანობით მწკრივად ხეობას ჩამოაწვებიან. ამ მწვერვალებსა და გორებს შუა ჩამოჩანჩქარებენ ხევები, ფშები, წყაროები, რომლებიც ხეობის მაცხოვრებლებს, ნახნავ-ნათესებს, ბაღა-ბოსტნებს და საქონელს ანკარა ცივი წყლით უმასპინძლებიან [3: 2]. მათე აღბუთაშვილი ისე დაწვრილებით აღწერს ხეობის გეოგრაფიულ მდებარეობას, რომ შეუქმნეველი არ რჩება ხეობის არც ერთი მთა და მისი განაყოფი ტოტი, ხევი, ჭალა და სხვ. ამიტომ მისი მონაცემები, ეთნოგრაფიულ მასალასთან ერთად, ჩვენთვის სანდო პირველწყაროა და ძირითადად ვუყრდნობით მას. აგრეთვე ვრცლად გვაქვს გამოყენებული უსუფ მარგოშვილის მიერ აღწერილი ეთნოგრაფიული მასალა [5].

დ. უკლება სპეციალურ ნაშრომში, რომელიც ეძღვნება აღმოსავლეთ საქართველოს მთიან მხარეებს, წერს: „კავკასიის მთავარ ქედს სამხრეთით გამოყოფა განტოტებანი: სპეროზას, ნაქერალის და კახეთის ქედები. ამ უკანასკნელიდან (ლაგაის მთიდან) იწყება იურული და ცარცული ნალექებით აგებული პანკისის ქედი, რომლის ჩრდილო, მაღალი ნაწილი წოვის ქედის სახელით მოიხსენიება და თხემურ ზოლში სუბალპურ ლანდშაფტს ატარებს. თავის მხრივ, პანკისის ქედს მთა ტბათანასთან (2457 მ) გამოყოფა ტბათანის ქედი. მისი სამხრეთ-აღმოსავლეთი ნახევარი, მდ. ტოლოშის ხევით დაყოფილა წინაგორისა და ტოლოშის შტო-ქედებად. პანკისის ქედი ძლიერ დანაწევრებულია და ტიპურ საშუალო და მაღალმთის მთა-ხეობათა რელიეფით არის გამოხატული“ [6: 114–115]. ავტორი აღნიშნავს, რომ პანკისში (მაღალი ზონა) ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურა +10,8°-ია, იანვარში –0,4°, ხოლო აგვისტოში +21,5°. ნალექები უხვად მოდის (1200–1230 მმ). პანკისის ხეობის დაბლობი ქარებისგან მთებით არის დაცული. ჰავა თბილია, ზამთარი ნაკლებ თოვლიანი, ზაფხული – გრილი; ნალექები კახეთის დაბლობთან შედარებით აქ მეტი მოდის. წვიმის წყლის დაგუბება და ჭაობის გაჩენა არ იცის. ჭარბობს თიხნარი ნიადაგი, გვხვდება ხვინჭა და ქვადორიანიც. მოიპოვება აგრეთვე საკერამიკე და სამშენებლო წითელი და თეთრი მიწის ქანები და სხვ.

(ხეობას ჩრდილოეთით ესაზღვრება მაღალი ტიტველი მთები, რომლებსაც დაბლობში სხვადასხვა ჯიშის ხეების ტყე აკრავს. ამჟამად იგი რამდენადმე შეთხელებულია. აღმოსავლეთ მხარეს, ხორაჯოს მთას სამხრეთისაკენ გამოყოფა დიდი ტოტი, რომელსაც ნაქერალს უწოდებენ აღნიშნული მთა მოტიტველებული ვაკეა ქვემოთ დიფიანამდე, შემდეგ გრძელდება სამხრეთისაკენ და აღმოსავლეთით საზღვრავს ხეობას ბოლომდე. ხეობის დასავლეთით, სპეროზის გვერდით რკინის მთა იყრება სამ უმთავრეს ტოტად. ერთი მსუბუქი – პატარა ტოტი, რომელიც იქვე სპეროზას მთის ძირში მდ. ალაზანს ჩამოადგება, მეორე მოზრდილი ტოტი – ტბათანა ორი კილომეტრის სიგრძეზე სწორი, მოტიტველებული ვაკეა, შემდეგ ტყით შემოსილი ორ ტოტად იყოფა: „ერთი მოზრდილი ტოტი ტოლოშა სუბუქის გვერდიგვერდ ხეობის თავში ჩამოადგება, მეორე მოცრო ტოტი – წინაგორი ტოლოშას დაჰყვება, მაგრამ ალაზნამდე ვეღარ აღწევს და ერთი კმ-ის სიშორეზე ბაწარის ხევში ჩამოადგება. წინაგორს მოსდევს სხვა ტოტები – კაკლიანი, საფლავების

გორი და სხვ. მესამე ტოტია რკინის მთის, რომელიც იწვევა ზუროს გორით. იგი დაპყვება მთელ ხეობას დასავლეთით ბოლომდე. აქაც ყველა მთა-გორს, ყურეს, ველს და დაბლობს თავისი სახელები აქვს. მაგალითად: ძიბახევი, ბირკიანი, ცქერტაძე, ჭობიო, ბალთაგორი, დედისფერული (კაკლიანი), ბაბურა, ყვარელთხევი და სხვ.“ [3: 4]. ხეობა სამხრეთით დიაა, საზღვრად ითვლება სოფ. მატანის სახნავი მამულები. შ. აღბუთაშვილი აღნიშნავს: „სპეროზის მთის ის ნაწილი, რომელიც ხეობას ზემოდან დაპყრებს, ისეთი საშიში, მიუვალი და კლდე-ქარაფებიანია, რომ კარგი გამოცდილი და უშიშარი მონადირის მეტი – ისიც წრიაპებით, სხვა ადამიანი იქ ადვილად ვერ გაივლის. ზამთარ-ზაფხულ, როცა მეზობელი მთები თეთრად თოვლით შემოსილია ან მწვანედ დაღანებენ, სპეროზა მუდამ შავ-ბუნებლად გამოიყურება. ზამთარში თოვლი მის კლდეებზე ვერ დგება, მაშინვე ზევაოდ ძირს – ხევეებში ჩამოდის. ზაფხულში ბალახიც არ ამოდის, გარდა მადლა ზოგიერთი ვაკე ადგილებისა, არც ფოთლიანი ხე-ჯაგი იზრდება და მთის ეს ნაწილი შავებით შემოსილი „გმირიეთ“ დგას მუდამ. თუ ჯაგი ან ბალახი ამოვა, იმსაც თოვლის ზევი ჩქარა თან ჩამოიტანს“ [3: 5]. ზევი სხვა მთებმაც იცის – აღნიშნავს ავტორი, მაგრამ სპეროზის ზევი სხვა არის, მთის ვაკე ფერდობზე თოვლი რომ მოლხებება, კლდის ნაპრალიდან კვერცხის ოდენა თოვლი მოხვდება, ჩამოგორდება და სულ მცირე მანძილზე გაიზრდება, სანამ ნახევარ გზას გაივლის გორის ოდენა ხდება, მერე მთის მოყინული ნიადაგი აისხლებტავს და ცურვით გამოქანდება 20–30 მეტრი სიგანით და ჩამოწვეება დაბლა ხევში. ასე გაიყინება, გამაგრდება და არის რამდენიმე წელი და ზოგან საუკუნეც კი, თუ ამინდმა ძალა არ დაატანა. ასე ზევაით გადასწორებულ ხევეებზე ნადირის, მონადირის თუ ცხვარ-ძროხისაგან დატკეპნილი ბილიკია, რომელსაც ხამი ადამიანი ვერც კი შეატყობს, თუ იქ ბუნებრივი ხიდია გადებული. ამ ხიდის ქვეშ მიედინება წყალი და ქვემოდან, რომ შეხედოს კაცმა ციხის სათოფურებივით ხვრელები მოჩანს. ზაფხულში ასე დაზევაებული მთები ჩამოიწმინდება და ამწვანდება. სპეროზა კი, როგორც ყოველთვის ჯოჯოხეთით გამოიყურება. მის ზეავს გამაგრება-დაცურება არ სჭირდება და უცბად იგრიალებს, თითქოს მთელი მთა ძირს დაეცაო – ქვა, ღორღი, მიწა, თოვლის ერთმანეთში არეული დაბლა ხევში იქუხებს ძალზე მტკეპრე ხმით [3]. სწორედ ამ ძლიერი ხმის გამოა ხალხში დარჩენილი თქმულება, თითქოს ამ მთაში დამწვედეულ-დაბმული იყოს გმირი ამირანი და მისგანაა გამოწვეული დროდადრო ასეთი ძლიერი ქუხილი. ამიტომ სპეროზის მთის წინა შუბლში გამოკვეთილ ბუნებრივ სერს ხალხი ამირანის კუჭს ეძახის [3], რომელიც ხეობიდან კარგად ჩანს. ეს მთა მაცხოვრებლებისთვის უსარგებლო მთაა. მწვემსები მას საქონლისათვის საძოვრად ვერ იყენებენ მისი მიუდგომელი, მკაცრი, გამოუყენებელი კლდექანახიანობის გამო. რაიმე სტიქიის შემთხვევას შეუძლია საქონელიც და ადამიანიც კლდეზე გადაჩეხოს. ხეობას გადმოჰყურებს დიდგვერდის მთის ის ნაწილიც, რომელიც ხორაჯოს მთის უკან სპეროზასთან მახვალის წყალს ჩამოაწვედება. ეს მთა შედარებით ყველა დანარჩენ მთებთან დიდია და ვაკე. იგი საქონლის (ცხვარი, ძროხა) საძოვრად საუკეთესოა. რაც შეეხება ხორაჯოს მთას, იგი სიმაღლით სპეროზას ედრება, მაგრამ იმასავით საშიში არ არის, სწირად იცის ნისლე-ბურუსი, წვიმა და სინოტავის გამო ფეხი სხლტება და შესაძლებელია საქონელიც და ადამიანიც ადვილად გადავარდეს [5]. აქ ნადირი

არ იცის. აქაური სათბო-სამდურით ხეობის მოსახლეობა იოლას გადის ზაფხულობით. ხორაჯოს მთის ეს ადგილებია: თუნგოს სათბობი, გაბიდას გორი, ხორაჯოს ველი, ჩხათანის გორი, ჭიქაურა, ნაქერალი და დიყიანი. ხორაჯოში და ჭიქაურაში, როგორც ფერდობ ადგილას, ცხვარს აძოვებენ, ხოლო ნაქერალში და დიყიანში ძროხის საწველი ბინებია გამართული [5]. წანკისის ხეობას სამივე მხრიდან ტყიანი, მაღალი მთა-გორები იფარავს გამჭოლი ძლიერი ქარისაგან. აქ ქარიშხალი ხშირად არ იცის. სამხრეთიდან საღამოს ექვს საათამდე ქრის კახეთის თბილი ნიავი, შემდეგ, როცა მახლობელ მთებში აცივდება, მოუბრუნდება ჩრდილოეთიდან ცივი ნიავი და უბერავს მეორე დილამდე, ამიტომ ზაფხულში დილით და საღამოთი გრილია. [3:]. ხეობის ტყიან მასილებში თითქმის ყველა სახის ხე ხარობს: წიფელი, თელა, მუხა, ცაცხვი, მურყანი, იფნი, ფიჭვი, ნაძვი, უთხოვარი, რცხილა, თრიშლი და სხვ. ფიჭვიანი მდიდარია სპეროზის ქვედა კალთები. დიდი რაოდენობით ხარობს თელა, ცაცხვი და მუხა ქორთაბუდეში, ურთნალში, დუმასტურში, ხალაწანში და წინუბანში, ხოლო მუხა - ქორეთში. ტყეებში ბევრია ნაყოფის მომცემი ხეებიც, მაგ., კაკლის ხეებით მდიდარია ძიბახევი, ბრუდგორის ჭალა, ცქვიტაძე, ჭობიო და სხვ. ტყე სავესა აგრეთვე გარეული მაუალოს, პანტის, თხილის, შინდის, ტყემლის, ზღმარტლის, წაბლის ხეებით, ასევე ასკილითა და კუნელით. ზოგ ადგილებში მხოლოდ წაბლისა და თხილის ხეების ტყეა. მაგ.: ხორაჯოში, ქორთაბუდეში, ურთნალში, კაკლიანის (დეღისფერულის) თავში და სხვ.

წანკისის ხეობის ტყე-ჭაღლებში გავრცელებული ცხოველთა სამყაროდან აღსანიშნავია: დათვი, მგელი, მანგი, მელა, ტურა, კვერნა, კურდღელი და სხვ. მ. ალბუთაშვილის ცნობით, ირემი, შველი, ჯიხვი და ფოცხვერიც ბევრი ყოფილა, მაგრამ ხეობაში ხადხის გამრავლების შემდეგ სპეროზას მთას შეეხიზნენ. ამ მთის ფრიალო კლდეებს შუა კალსს ოდენა ტაფები (ეხი) ყოფილა ზემოდან ვებურთელა ლოდი-კლდე გადმოწოლილი, სადაც ნადირმა დღე-ღამე გაჩერება იცოდა. ხეობაში ბუდობს ბევრნაირი მტაცებელი და მგალობელი ფრინველი: სვავი, არწივი, შვეარდენი, ქორი, ძერა, ყორანი, ყვავი, მიმინო, ბულბული, იაღინი, შაშვი, ტორილა, ჩხართვი, შროშანა. გაზაფხულზე მოდის იხვი, ყარყატი, წერო, ბატი და სხვ. ქვეწარმავლებიდან გავრცელებულია გველი, ანკარა, ხელიკი, კუ, ბაყაყი- წყლისა და ხის. სასარგებლო მწერი ფუტკარი, რომლის მოშენებას თითო-ორიოლა ოჯახი მისდევს. არის სხვა მწერიც - კოლი, შინაური ბუხი, ბორა და სხვ. [3:5].

წანკისის ხეობა არ არის მოკლებული ბუნებრივ სიმდიდრეს. ზოგი ცნობის მიხედვით, მადლის საბადოებით მდიდარი ყოფილა სპეროზის მთა. აქ პოულობდნენ ვერცხლის, სპილენძის, რკინის, ნიკელისა და მარგანცის ნიმუშებს; ხორაჯოს მთის სამხრეთით, ჩხათანის წყალზე ნაპოვნია სპილენძი; ქორთაბუდის დასავალში-ვერცხლი; ბრუდგორში, ნაქერალში, ტოლოშასა და ბაწარაში - სპილენძი, რკინა და ვერცხლი. ეს ნიმუშები ადრევე აღმოუჩენიათ ხეობის მაცხოვრებლებს, მაგრამ ამით არაფერ დაინტერესებულა. თუმცა მ. ალბუთაშვილის მონაცემებით, 1900 წელს თბილისიდან ჩამოსულა გენერალმაიორი ა. კოროლკოვი, ინჟინერი ტოლმაჩოვი და ვასილევსკი, მაგრამ საქმე ბოლომდე არ მიუყვანიათ [3: 13]. ხეობაში მოიპოვებოდა აგრეთვე კაჟის ქვა, მთის ბროლი და ა. შ.

ხეობა მდიდარია წყლებით. მდინარე ალაზანს უერთდება ტოლოშის, ბაწარის, ჩხათანის, ჭობიოს, კაკლიანის, დუმასტურის და ხალაწის ხეებიდან

მომდინარე პატარა წყლები, ბაწარისა და ჩხათანის წყალი შედარებით წყალუხვია და მათ სარწყავადაც იყენებდნენ. ეს წყლები საესე ყოფილა კალმახით, მურწა თევზით. ხანდახან მდინარე ალაზნის ორაგულიც მოჰყვებოდა, მაგრამ „მეთევზეობის მოყვარული ხალხი ხეობაში გამარავლდა და თევზმაც იწყო კლება“ [5].

ხეობის მაცხოვრებლები სასმელად იყენებდნენ წყაროსა და ჭის წყალს. სოფ. დუისში ჭა ყველა უბანს ქმონდა. წყაროები სოფლის განაპირას იყო. მაგ., ბაფეის წყარო, ციქოს წყარო – ჯოჯოღოში; ციხის წყარო – ომალოში; ბათოს, თხილის, გეჯის, ყურის წყაროები – ბირკიანში; დუმასტურისა და ქორფას წყარო – დუმასტურში; სეიფანტის წყარო – ბაბურაში; მეშთიებელიე წყარო – დუისის განაპირას, მდ. ალაზნის სანაპიროზე. აღნიშნული წყაროების სახელწოდებები ზოგი ძველია, ზოგი კი ახალი დასახლების შემდეგ წარმოიშვა. ხორაჯოში და ხადორში ბუნებრივი მინერალური წყლებია, რომლებსაც სამკურნალოდ იყენებდნენ სახსრებით დაავადებული ადამიანები.

გ ზები და გადასახლეულები. ხეობაში შესასვლელი შარაგზა მდ. კურტანაძეულიდან იწყებოდა. აქ უერთდებოდა ახმეტვიდან სოფ. მატანზე აღვანიდან ბახტრიონზე გამავალი გზები და პანკისის ხეობისაკენ მიდიოდა მეორე გზა ბახტრიონიდან მდ. ალაზნისპირით (მარჯვენა მხარეს) მიემართებოდა ხეობაში და სოფელ დუისის ბოლოს უერთდებოდა მთავარ გზას, რომელსაც ბააცაი-ნიყ თუშების გზას უწოდებდნენ [5]. სხვა მონაცემებით, ხეობის უმთავრესი გზა ბახტრიონიდან ციხისჯვრის გორის დასავლეთით გადიოდა მდ. ალაზანზე და ჩრდილოეთით უხვევდა ხეობისაკენ. აქ უერთდებოდა სოფ. მატნის გზას. აქედან დიდი ბექის, საყარაულოს, კუწახტის ავლით ღარივით სწორად ადიოდა პანკისის ხეობის თავში და ბაწარის წყალთან წყდებოდა. ამ ადგილს ბაწარის კარს უწოდებდნენ. აქ გზა იყოფოდა სამთო-საცალფეხო ბილიკებად და შეეფინებოდა მთებს სხვადასხვა მიმართულებით – ზოგი თუშეთისაკენ, ზოგი ფშაგ-ხეესურეთისაკენ და ზოგიც ქისტეთისაკენ [3: 27].

ნახსენები გზა, ჩვენს დროში უკვე სამანქანე – კურტანაძეულიდან ბაწარის თავამდე ადის. ამ გზით მთაბარობდა საზაფხულო და საზამთრო იალადებზე თუშების ახიათასობით ცხვარ-ძროხა, ცხენის ჯოგი და დამსვენებლებიც ადიოდნენ ხეობის მაცხოვრებლები ტყიან გორებს გადაღმა მდებარე სოფლებსაც უკავშირდებოდნენ საცალფეხო ბილიკითა და საურმე გზით. მაგ., ხალაწის ხეობიდან გადიოდა საცალფეხო ბილიკი არგოხში, მადრანში და დლწურში; წინუბნიდან (საურმე გზა) – ქვემო აღვანში, მადრანში, ბაბანჯურში და აღაჯურში; ქორეთიდან (საურმე) – ხორბალო-ბახტრიონში, ზემო-აღვანში; დასავლეთიდან კი საცალფეხო გზა გადიოდა სოფ. დედისფერულის თავზე და ჩადიოდა ხევისჭალაში. აღნიშნულ გზა-ბილიკებს მოსახლეობა დღესაც იყენებს მოკლეზე გადასასვლელად. ხეობაზე გამავალი შარაგზა კი ბევრის მომსწრეა, იგი კახეთს მთასთან აკავშირებს. მეტყველი რომ იყოს – გვიამბობდა ამ გზის პოლიტიკურ და ეკონომიკურ მნიშვნელობაზე: „შაჰბახის მიერ თორღვას ციხე-სიმაგრის აღებას, კახთა მეფის თემურაზის განძეულობის ხელში ჩაგდებას, ციხის განდგურებას“ [8: 265], “ბახტრიონის ციხეში ჩამდგარი ურდოების თავგასულობას, თუშ-ფშაგ-ხეესურეთის ამხედრებას მათ წინააღმდეგ, ციხის აღებას, მტრის დამხობას და ბევრ კიდევ სხვას“ [3]. ამ გზის ეკონომიკური მნიშვნელობა არც მ. მაჩაბელს გამოჩენია

მხედველობიდან [7: 119, 340, 421], ხოლო ა. შავხელი-შვილი [9:] თავის არაერთ ნაშრომში აღნიშნავს ბაწარის კარიდან ჩრდილოეთის სხვადასხვა მიმართულებით მთებში გამავალ გზა-ბილიკების დამაკავშირებელ მნიშვნელობას ჩრდილო კავკასიის ხალხებთან ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული ურთიერთკავშირის დამყარების დროს მან ბევრჯერ ფეხით შემოიარა და თავისი თვალთი ინახულა ყველა ის გზა-ბილიკი და გადასასვლელი, რომელთა საშუალებით ურთიერთობდა საუკუნეების განმავლობაში ეს ორი მხარე. ა. შავხელი-შვილიმა აღნიშნა, რომ ამ გზა-ბილიკების მნიშვნელობა განსაკუთრებით გაიზარდა IX-XIV საუკუნეებში, როდესაც საქართველო ჩრდილოეთის ქვეყნებში ავრცელებდა ქრისტიანობას [9: 14-36, 19-54]. >

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საყურადღებო მასალები დაგვიტოვეს მ. ალბუთაშვილმა და უ. მარგოშვილმა. 1971, 1978, 1979 წლებში პანკისის ხეობაში და ჩქნეთ-ინგუშეთში ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ეთნოგრაფიული ექსპედიციებში მონაწილეობის დროს ჩვენს მიერ ფიქსირებული მასალების ზემოთაღნიშნული ავტორების მონაცემებთან შეჯერებით შეიძლება ითქვას, რომ მდინარე ალაზნის მარჯვნივ ბაწარის კარიდან დასავლეთისკენ ხევზე მიდის ბილიკი, რომელიც გადაივლის „ურანის მთას“ და ჩადის მდ. ილტოხე, აქედან დოლიანის გავლით გადადის უკანა ფშავში. ამ ბილიკით გადადიოდ-გადმოდიოდნენ ფშაველები თავიანთი საქონლით და ზამთრის პერიოდში ბინას იღებდნენ მსუბუქ-ხადორში, ხოლო ზაფხულში ისევ ფშავის მთებში ბრუნდებოდნენ. ამ ბილიკის ცოტა ზემოთ, ჩრდილოეთისკენ მისი განაყარია თუშეთის გზა-ბილიკი, რომელიც შებრუნდება წინაგორხე და ბებრის ტაფის აგლით ადის ტბათანაზე. აქედან რკინის მთით გადადის საქისტოს წყაროზე, გაივლის მასარაზე და ისევ ალაზანზე ჩადის. იქიდან შეუდგება საყორნის მთას და გადავა პირიქით ალაზნის თავში, შემდეგ დაბრუნდება და ჩავა პირიქით თუშეთის სოფელ ფარსმაში. მგზავრები ამ გზას ამჯობინებენ წიფლოვანის გზას, რომელიც ტბათანიდან ბრუნდება ღამაზურის ხევზე, ჩადის წიფლოვანის ჭალაში, შემდეგ შებრუნდება კუპრა-ბალინჩოში და გადადის ღეკთავაკეში. აქედან ისევ ბრუნდება მდ. ალაზანზე, მიდის ჭალაზე, მასარას ასცდება და საყორნის მთაზე ისევ რკინის გზას შემოეყრება. საყორნის მთიდან გზა ორად იყოფა, ერთი მიდის ბორბალოს მთისკენ და გადადის ხევსურეთში, მეორე გაივლის ღაროვანის მთას და შანქოს კარვის ზემოთ ისევ ორად იყოფა: ერთი ბრუნდება აღმოსავლეთისაკენ და ჩადის სოფელ ფარსმაში, მეორე მიდის ჩრდილოეთისკენ და გადადის ქისტეთში. ამ ბილიკს ქვა-ხიდის გზას უწოდებენ. თუშეთის ალაზნისთავის გზა-ბილიკს ყადოვანის მთაზე გამოეყოფა გზა და აღმოსავლეთით გადადის წოვთაში.

ბაწარის კართან, მდ. ალაზნის მარჯვენა მხარეს სხვა ბილიკიც მიდის. იგი ტოლოშის მთის კალთებით, მთა-მთა და ჭალა-ჭალა ადის ხადორში, სუბუქში და მის თავში უერთდება სათუშო ბილიკს, რომელიც წიფლოვანასა და რკინის მთაზე მიდის, ხოლო მარცხენა ბილიკი ურთნაღის მთის კალთებით გაივლის ჯორის ნაფხურებს და ჩადის ხორაჯო-ჩხათანაში, ხოლო იქიდან მაღლა იალაღებზე და უერთდება სათუშო ბილიკებს. მეორე ბილიკი მიდის პირდაპირ ჩრდილოეთისკენ. გადაივლის სალოცავის გორას, ჩადის ჭალაში, სპეროხის მთის

ბოლოს გადადის მდ. ალაზანს და ადის ფშაველების საზამთრო სადგომ ხაღორში, იქიდან სუბუქში და აქ ორივე ბილიკი უერთდება სათუშო გზას. მდ. ალაზნის მარცხნივ სოფ. ომაკლის თავიდან ბრუდგორზე მიდის სხვა ბილიკი, რომელიც აივლის დიყიანს, ნაქერალას, ჭიქაურას და გადადის დიდგვერდში, აქედან კი პირიქით თუშეთის სოფლებში.

აღნიშნული გზა-ბილიკები ძალიან ვიწროა, სავალად ძნელი, ადმართ-დადმართიანი, მიხეუულ-მიხეუული, ერთ მხარეს თვალუწვედენელი უფსკრული, მეორე მხარეს კი წინ წამოწეული ფრიალო კლდე. ზოგ ადგილებში ბილიკი მიდის ხავერდითი ამწვანებულ მთებზე. ცოცხალი ბუნების ამ სილამაზით დამტკბარი მგზავრი ვერც კი იმჩნევს დაღლას და ლაღად, უშიშრად აგრძელებს მგზავრობას.

მ. ალბუთაშვილი წერს: „მთა მრისხანეა, მაგრამ მშვიდი და დინჯიც არის, თუმცა არც სიმშვიდის დროს არის ეს ბილიკი დასანდომი. ზამთარში მთა, მთის სახურავი და ღრუბელიც იმდენად მშვიდია, უხმოდ და წყნარი, რომ ოდესმე თოვლის ზვავი თუ დაიქუხებს ხეებში სადმე დაქანებული... მაგრამ არც ეს სიმშვიდეა მგზავრისთვის დიდი ნუგეში. თოვლმა შუა გზაზე თუ მოასწრო და დაფარა ვიწრო ბილიკი, თან თუ ქარიც მოჰყვია, ან ნამქერისაგან გადასწორდა... მგზავრი გზას ადვილად ვერ მიაგნებს, ვიწრო ბილიკზე ფეხი თუ გაუცურდა ხეებში გადაფარდება და დაიღუპება“ [3]. ასეთი შემთხვევები მთებში არაერთია. ბუნება და ახგილი თავისებურ შეილებს ზრდის - აღნიშნავს ავტორი. „მთის შვილებმა მისი ხერხიც კარგად იციან, თოვლმა მოასწრო, ნამქერმა გზა-ბილიკი გადაასწორა, მაგრამ მთის ბოქვებმა კარგად იციან ბილიკის გეზი... ჯოხით ან ფეხით ბილიკს სინჯავენ, თოვლს არღვევენ წელამდე და ისე მიდიან. წინა თუ დაიღლება, მას მეორე გამოეცვლება... მთა მშვიდია, მაინც საშიში, მაგრამ იგი ადამიანის ძალით მაინც მარცხდება“ [3].

მთის ბილიკებით სარგებლობა არ შეიძლება მთელი წლის განმავლობაში. ბარიდან მთაში ასული დამსვენებელი და მგზავრი 15 აგვისტოს უკან ბრუნდებოდა (თუ საზამთროდ დამრჩენი არ იყო), ხოლო მწვემსები თავიანთი ცხვარ-ძროხით 25 აგვისტოდან ბარისკენ იღებდნენ მიმართულებას. ასეა ახლაც.

ბაწარის კარიდან მთებზე შეფენილ გზა-ბილიკებით სიარული მგზავრს ისე ჰქონდა მოზომილი, რომ მას ღია ცისქვეშ, უადგილო კლდე-ღრუბებში ღამის თევა არ დასჭირებოდა. მაგალითად, თუშების გზა-ბილიკებით მიმავალი ერთ ღამეს ტბათანაზე ათევედა, აქედან დილით (ცხენით) გასული საღამოს ალაზნის თავში (მწვემსების ბინებში) ადიოდა, ალაზნის სათავიდან წოვათაში და ა. შ. ასევე იყო გათვლილი სხვა ბილიკებით მგზავრობაც.

დ. მუსხელიშვილს აღწერილი აქვს კახეთის ბარის თუშეთთან დამაკავშირებელი სამხრეთი გზა-ბილიკები: ერთი ნაქერალა-დიდგვერდის მთაგრეხილის გავლით სამყიფრნოს გადასასვლელით ჩადის თუშეთში - გომეწრის სასოგადოებაში, მეორე მდ. სტორის ხეობის გავლით ადის კეპანის გორაზე, შემდეგ აბანოს გადასასვლელით ჩადის თუშეთის ჩაღმის სასოგადოებაში, მესამე გზა კი მიემართება პანკისის ხეობაში ბაწარამდე, აქედან ადის ტბათანაზე, შემდეგ საქისტოს გორის გავლით - რკინის მთაზე, გაივლის მასარას და საყორნის გადასასვლელით ჩადის თუშეთის ალაზნის თავში - წოვების სასოგადოებაში [4: 149]. პირველ და მეორე გზა-ბილიკებს იყენებდნენ ჩაღმა - თუშები, ხოლო მესამე გზა, რომელიც

გადიოდა პანკისის ხეობით მიტეში – ეს წოვა თუშების მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონლის საზამთრო და საზაფხულო იალაღებზე გადასარეკი გზა იყო და მას სათუშო გზას უწოდებდნენ.

საინტერესოა საქართველოს მთიანეთიდან (თუშეთი, ხევსურეთი) ჩეჩნეთ–ინგუშეთში და დაღესტანში გადასასვლელი გზა–ბილიკები, მაგ., პირიქით თუშეთის სოფ. ფარსმიდან გზა–ბილიკი აღმართით მიემართება ქანუს გადასასვლელისკენ, რომელიც ეშვება ხორხში მდ. შარო–არგუნის მარჯვენა მხარეს. საათნახევარი სავალის შემდეგ გადაკვეთს მდინარეს მარცხნივ და ჩადის ითონხალის საზაფხულო სამოვრებზე. მეორე ბილიკი მიდის (პირიქითი თუშეთი) ნასოფლარ ჭონთიოდან აუყვება მიტებს და ადის ქერიგოს უღელტეხილზე (მათ შორის სამი საათის სავალია) და აქედან ჩრდილოეთით ეშვება ხილდისხაროს ხეობის მარჯვენა მხარეს და ჩადის სოფ. უწვი–იურთში, რომლის მოპირდაპირე მიტებს ჩეჩნები “ჩამდას“ მიტებს უწოდებენ. აღნიშნული გზა–ბილიკი სოფ. უწვის ჩრდილო–აღმოსავლეთით მიემართება და ჩადის ითუშხალის რაიონში. პირიქით ხევსურეთიდან კი ერთი გზა–ბილიკი გადადის ასის ხეობით ინგუშეთში, ხოლო მეორე–მიშის ხეობით, წორის უღელტეხილით ასის ხეობის შუა წელში იქ, სადაც მდებარეობს ქართულ–ინგუშური ქრისტიანული ეკლესია „თხოზა–ერდი“*.

რაც შეეხება თუშეთიდან დაღესტანში გადასასვლელ გზა–ბილიკს, იგი გაივლის სოფ. დიკლოს და ეშვება ხუშეთის ხეობაში. აქედან კი აღმოსავლეთის მიმართულებით მიდის მდ. ანდისყოსუს მარცხენა მხარეს და ჩადის დაღესტანში. არსებობს სხვა ბილიკებიც, რომლებსაც უფრო ნაკლებად იყენებდნენ. ესენია ჩილოს, ამუგოს, თებულოს, გირვეის, პუყერჩოს, ჭემოს და სხვ. ბილიკები [9: 25] ე.ი. თუშეთს აღმოსავლეთიდან ესაზღვრება ხუშეთი (სადაც ცხოვრობს დიდოეთის საზოგადოება), დასავლეთით ალაზნის თავი, ანდაქი (ხევსურეთი), ჩრდილოეთით–ჩეჩნეთის მთიანეთი–ხილდისხაროს, მაისტის, ტერელოსა და ჰანაროს საზოგადოებები, რომელიც უძველესი დროიდან მჭიდრო კულტურულ–ეკონომიკურ და პოლიტიკურ ურთიერთობაში იყვნენ კავკასიის მთიანეთის ცენტრალურ რაიონებთან, ხოლო სამხრეთის საზღვარი გასდევს ალაზნის თავიდან მიმავალ გზა–ბილიკს, რომელიც გაივლის წიფლოვანას, რკინის მთას, ტბათანას და წინაგორით ჩადის პანკისის ხეობაში. მეორე გზა მთა–თუშეთის ომალოდან სამხრეთით – ფიცრიანი ჭალის ავლით, გადადის თორღვა–აბანოს უღელტეხილზე, ხოლო აქედან დაღმართით ეშვება აბანოს ხევში და ჩადის სოფ. ღეწურში.

მაისტის, პარანოს მაცხოვრებლები ქანუს უღელტეხილით ხშირად გადმოდისდნენ პირიქით თუშეთის სოფლებში: გირევეში, დართლოში, ფარსმაში, დანოში, ჩილოში და სხვა გადმოჰქონდათ ხის ჭურჭელი და სხვა ნაწარმი (ხონები, ჯამები, კოფხები, მამაკაცის ქამარ–ხანჯლები, კრაველის ქუდები, ცხენის უნაგირები, წამოსასხამი ნაბეჭები, ქალის სამკაულები და სხვ.), რომლებსაც ცვლიდნენ ყველში, მატყელში, პირუტყვში (ცხვარი) და სხვ.

* მიუხედავად იმისა, რომ ქართულ–ინგუშური არქიტექტურული ძეგლი „თხოზა–ერდი“ ინგუშეთში მდებარეობს, რუსმა სამხედროებმა დაბოშეს და მიწასთან გაასწორეს იმ მოტივით, რომ თითქოს იქ ჩეჩენი „ბოვეიკები“ იმალებოდნენ (ლ. მ.).

თვითონ პირიქითღებო აღნიშნული გზა-ბილიკებით ითონხალის ბაზრიდან სიმინდით, ხორბლით, ქვრით და მარლით ამარაგებდნენ ოჯახებს. ამასთანავე თუშებს XX ს. 20-იან წლებიდან ცხვარი საზამთრო საძოვრებისაკენ ქვრის და ქანუს უღელტეხილებზე გადაჰყავდათ და ჩენწეთის ტერიტორიის გაგლით ნოღაის ველებზე ჩადიოდნენ. ამ ცხვრის მფლობელები იყვნენ პლატონ, ალექსი, ღაზარე და ანდრო ქააძეები; ოსე და ღაზარე აბალოძეები; ვგნატე შახაძე და სხვ. მთხრობელის გადმოცემით, მათ თავიანთი ცხვარი ყოველთვის ამ გზით გადაჰყავდათ, უკან ღაბრუნებისას კი ერთი კვირა ილონხალში აძლიებდნენ. ცხვარს გაპარსავდნენ, მატყლს იქვე გაყიდოდნენ და ჩენწენი მეგობრების თანხლებით თუშეთის გადმოსასვლელამდე ფარა უღანაკარგოდ გადმოსჰყავდათ [11: 15].

ამ გზა-ბილიკების მეშვეობით ხორციელდებოდა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთიდან – კვრძოდ თუშეთიდან, ხვესურეთიდან ჩრდილო კავკასიის მთიელებთან – დავესტანთან, ჩენწეთთან და ინგუშეთთან უკონომიკური, კულტურული და პოლიტიკური ურთიერთობის დამყარება. გადასასვლელ გზა – ბილიკებს სტიქია აზიანებდა საუკუნეების განმავლობაში და ისინი უკვე ძნელად სავალია. საჭიროების დროს მთიელები მათ მიანც იყენებდნენ და იყენებენ. ბოლო ხანებში ჩენწეთის მთიან ილონხალიდან ხვესურეთის ხალოცავ ანატორამდე (შატილთან) გამოყვანილი სამანქანე გზა ამჟამად დაზიანებულია.

ლიტერატურა

1. ქართლის ცხოვრება, ტ. II, თბ., 1959.
2. ვახუშტი ბატონიშვილი, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბ., 1979.
3. ალბუთაშვილი მ., პანკისის ხეობის აღწერილობა, 1898, რე. №1-6.
4. Мухелишвили Д., Материалы по исторической географии ущелья Панкиси, ТКАЭ, 1, Тб., 1969.
5. მარგოშვილი უ., პანკისის ხეობის აღწერა, 1950, რე. №1-5.
6. უკლება ღ., აღმოსავლეთ საქართველოს მთიანი მხარეების ღანღშაფტები და ფისიკურ-გეოგრაფიული რაიონები, თბ., 1974.
7. Мачабели М.В., Экономический быт государственных крестьян Тианетского уезда Тифлисской губернии, Материалы для изучения экономического быта государственных крестьян Закавказского края, т. IX, ч. 1, Тифлис, 1887.
8. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბ., 1973. —
9. შავხელიძე მ., აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიიდან, თბ., 1977; მისივე, საქართველო-ჩენწენი-ინგუშეთის ურთიერთობა XVI-XVIII სს-ში, თბ., 1980.
10. Пирцхелаури К., Дедабришвили Ш., Работы Кахетинской археологической экспедиции в зоне строительства Верхне-Алазанской оросительной системы (1965-1966 г.г.), ТКАЭ, 1, Тб., 1969.
11. მარგოშვილი ღ., ექსპედიციის საკვლე დღიური, თბილისი-პანკისი, 1978, რე. №2. (ინახება ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ეთნოლოგიის სექტორში).

§. I. ქ ის ტ ე ბ ო ს ჩ ა მ ო ს ხ ა ს ლ ე ბ ა ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო შ ო

ცნობილია, რომ წარსულში დურძუკებად-ძურძუკებად და დლიდვებად (ცნობილი, ამჟამად კი ჩენნებად და ინგუშებად წოდებული (ქართულად კი ქისტებად სახელდებული) ტომები ქართველების არა მხოლოდ მეგობრები და უახლოესი მეზობლები, არამედ მათი ფუძე – კერის განაყოფიც უნდა ყოფილიყვნენ. ისინი კავკასიის აბორიგენები არიან, რომლებიც აქტიურ როლს თამაშობდნენ ამიერ და იმიერკავკასიის ხალხთა ისტორიაში.

XX საუკუნის 20-იან წლებამდე ჩენნებსა და ინგუშებს დამწერლობა არ ჰქონდათ და ვერც მათი ისტორიული წარსული აისახა მათსავე ენაზე, ამიტომ წინაპართა მიერ განვლილი გრძელი გზა სშირად მათთვის ბუნდოვანი იყო. მდიდარი ფოლკლორი თქმულებები და სხვა სახის ხალხური მასალაც ისტორიის მიღმა დარჩა, მაგრამ ძველ ქართველ ისტორიკოსებს არ დაუიწყებიათ თავისი მოძვე კავკასიელი ტომები, მათ მიერ გავდილი ისტორიული პროცესები და ყოველივე წერილობითი განძის სახით შემოუნახავთ, როგორც საკუთარი ისტორიის განუყოფელი ნაწილი.

ქართულ-კავკასიური ხალხების ისტორიის კვლევის ფუძემდებელი ივანე ჯავახიშვილი მრავალგზის აღნიშნავდა, რომ საქართველოს ისტორიის საკითხების შესწავლის დროს აუცილებელია მეზობელი ხალხების ისტორიის ცოდნა: “კავკასიური ენები ჩვენი წინაპრების მოძვე ტომთა ენები ყოფილა. ყოველი განათლებული ქართველი ვადადებულია ამ ენების და ტომების ისტორია ისევე იცოდეს, როგორც თავისი ერისა და ქვეყნის” [1: XV]. მას სწამდა, რომ ქართველებისა და დღევანდელი ჩეჩენ-ინგუშების (ქისტების) შორეული წინაპრები მოძვე ტომები იყვნენ, მათ თავდაპირველად ერთი ენაც კი უნდა ჰქონოდათ. „ეს მტკიცდება არა მარტო ლინგვისტური ანალიზით, არამედ უძველესი ისტორიულ- გეოგრაფიული და ეთნოლოგიური ცნობებით“ – აღნიშნავდა ივ. ჯავახიშვილი [1: 295-303]. ამას ადასტურებს თეიმურაზ ბატონიშვილის ცნობა: „ქისტნი, დლიდენი და ძურძუკნი პირველ იყვნეს ენისა ქართულითა მომზრახნი და ქრისტიანენი... ლეკნი იყვნენ ქრისტიანენი და სცვიდენ ენასა ქართულსა, ვიდრე თემურლენგამდე (XIV ს.)” [2]. ქართველებისა და ჩეჩენ-ინგუშ-ქისტების შორეულ ნათესაობაზე მეტყველებს მათ შორის ოდიტოგანვე არსებული სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობა, მატერიალური და სულიერი კულტურის მსგავსებაც, ანთროპოლოგიური მონაცემები, სამეტყველო ენაში არსებული ქართული ენის გრამატიკული ფორმები, ლექსიკა და სხვ.

საქართველოს ფეოდალური მონარქიის ძლიერების ხანაში ქართველ და ჩეჩენ-ინგუშ ხალხებს შორის უფრო მჭიდრო კულტურული და პოლიტიკური ურთიერთობა დამყარდა. სისტემატური სახე მიეცა ქრისტიანობის გავრცელებას, ეკლესიების მშენებლობას; თანდათან ფეხს იკიდებდა ქართული ენა და

დამწერლობა. ამ ტერიტორიაზე აღმოჩენილი ეკლესიების კედლებზე მრავალადა ქართული ასომთავრულით შესრულებული წარწერები, ნაპოვნია ქართული ხელნაწერები. IX–XII საუკუნეებითაა დათარიღებული ინგუშეთის მდინარე ასის ხეობაში მდებარე ქრისტიანული ძეგლები – თხოზა-ერდი, ალბი-ერდი, მაღა-ერდი, თარგიში და სხვ., რომლებიც ინგუშეთის წმინდა ადგილებად ითვლება. ჩეჩენ-ინგუშეთში ქრისტიანული რელიგიის კულტთან დაკავშირებული ტერმინები დღესაც ქართულია, მაგალითად: ჯვარი – ჯაარ, მარხვა – მაარხ, კვირა – კირ, პარასკევი – პეერასკ, შაბათი – შოოთ, ორშაბათი – უარშოთ, სანთელი – სენტალ და სხვ.

ქართულ და ჩეჩენ-ინგუშურ ენებში მრავალი საერთო სიტყვაა, რომელთა ნაწილი ამ ენების გენეტიკური ერთიანობით იხსნება, ხოლო ნაწილი კი ხანგრძლივი კულტურული ურთიერთობით. მართლმადიდებლური წესებით კვერცხების შეღებვის, წმინდა ადგილებზე სანთლების დანთების წესი, წარმართული სახის ტრადიციები (ნატვრის ხეებზე ფერადი ნაჭრების მიბმის) და სხვ. ქისტებმა ბოლო დრომდე შემოინახეს.

IX ს. ქართველი ისტორიკოსი ლეონტი მროველი მიუთითებდა, რომ ქართლოსის, კახოსის, ლეკოსის, კავკასოსის (ჩეჩენ-ინგუშეთის)... მამა თარგაშისი იყო. იგი აღნიშნავს, რომ ქართლის სამეფოს პირველი მეფის ფარნავაზის მეუღლე ძურძუკი (ჩეჩენი) იყო: „მოიყვანა ცოლი ძურძუკელთა, ნათესავი კავკასისი“ [3: 25]. ე.ი. ქართლის მეორე მეფის-საურმაგის დედა ძურძუკი (ჩეჩენი) იყო. როცა საურმაგს ქართლის ერისთავებმა შეუტყეს, მან დახმარებისათვის მიმართა დედულეთს-ძურძუკეთს: „ხოლო იგრძნა საურმაგ, და წარვიდა ფარულად და ივლტოდა, წარიტანა თანა დედა მისი და მივიდა ქვეყანასა დურძუკთასა დედის ძმთა მისთა თანა... [3: 26]... საურმაგ შეიკრბა დურძუკეთიცა, და წარმოემართა ქართველთა ზედა და ვერვინ წინააღუდგა მას, და დაიპყრა ქართლი, და მოსრნა განდგომილნი მისნი“ [3: 27].

ჩანს, რომ საურმაგმა ქართლის სამეფო ტახტი ძურძუკთა დახმარებით დაიბრუნა. მან კავკასიანთა (ჩეჩენ-ინგუშები) ტომის ნახევარი გადმოიყვანა და დაასახლა მთიულეთს, დიდოეთიდან მოყოლებული სვანეთამდე. ვახუშტი ბატონიშვილის სიტყვებით: „მამინ ძურძუკეთი ვერღა-რა იტყედა კაცთა სიმრავლისაგან, აპყრა კავკასიურთ საურმაგ და დასხნა დიდოეთს და სუანეთს ეგრისამდე“ [4: 58].

ეს ცნობები მოწმობს, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში ადგილობრივ მთიელებთან ერთად კავკასიანთა ტომებიც ცხოვრობდნენ. ამ შემთხვევაში ჩვენთვის საინტერესოა ვახუშტის ცნობა, რომელსაც გვაწვდის სვანეთის აღწერისას. იგი წერს: „ოდეს ვედარა იტყედა ძურძუკეთი კაცთა, „ბ“ მეფემან საურმაგ აპყრა მუნდამ და მისცა აბა სავანე და დასხნა სულნი დიდძალნი. ამის გამო იწოდა სავანეთი“ [4: 788].

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში სავანე (სავანისა) ნიშნავს ბინას, სადგომს, სამყოფელს [5: 385]. „ეთ“ – არის გეოგრაფიული სახელების მაწარმოებელი სუფიქსი, რაც გვაძლევს საშუალებას ვივარაუდოთ, რომ წარსულში სვანეთის მისადგომებთან ბინადრობდა კავკასიანთა – ძურძუკეთის მონათესავე ტომი.

ლეონტი მროველის, ვახუშტისა და სხვათა ცნობებით ჩენებს (ძურძუკებს) ჭართალშიც უცხოვრიათ, საურმაგის მიერ დასახლებულებს.

საურმაგის მომდევნო მირვან მეფის დროს ძურძუკნი შემოიჭრნენ სამხრეთში, მათ შეუერთდნენ ჭართალეთს მსხდომნი „კაკასიანნი“ და ააოხრეს კახეთი და ბახალეთი. სამაგიეროდ, მირვან მეფემ გაილაშქარა ძურძუკების წინააღმდეგ და გამარჯვებული დაბრუნდა მცხეთას [3: 28].

ნ. ბერძენიშვილის მოსაზრებით, ჩვენ-ინგუშები საქართველოს ტერიტორიაზე დიდ ჯგუფებად თათარ-მონღოლთა ბატონობის დროს გადმოდიოდნენ. ზგი წერს „XIII საუკუნეში ოქროს ურდოს მონღოლებმა იმიერკაკასიის ველები დაიპყრეს და თავის სამომთაბაროდ გადააქციეს. მთას შემოხიზნული შევიწროებული ადგილობრივი მოსახლეობა – ჩერქეზ-აფხაზური მოდგმის ტომები, ოსები, ღუნძ-ღლიღვები თანდათან იმიერკაკასიისაკენ მოიწვედნენ და პირაქეთი კაკასიის ტომებს – აფხაზებს, დვადლებს, ფხოვლებს ერეოდნენ“ [ნ: 125]. როგორც ჩანს, ათასწლეულების მანძილზე სხვადასხვა ტომთა გადაადგილებას ჰქონდა ადგილი, ზოგი გამაღვურდა, ზოგი კი სხვა ტომებს შეერია.

ლეონტი მროველი აღნიშნავს: საურმაგმა „დაამდაბლნა ქართლოსიანნი და წარჩინებული ყვნა აზნაურნი, ხოლო განმრავლებულ ყვნა ღურძუკნი, ნათესავნი კაკასიანი... მაშინ ამან საურმაგ წამოიყვანნა ივინი ყოველთა კაკასის ნათესავთა ნახევარი, და რომელნიმე მათგანნი წარჩინებულ ყვნა, და სხუანი დასხნა მთიულეთს“ [3: 27]. ლეონტი მროველის ამ ცნობაზე დაყრდნობით ნ. ბერძენიშვილი წერს: „აზნაურნი“, „ქართლის მპყრობელნი“ იყვნენ, „უცხო თესლნი“, „ქართლოსიანნი“ მათი მოწინააღმდეგენი იყვნენ, ქართლოსის ჩამომავალნი-ფარნავაზი ქართლოსიანების ბრძოლის მეთაურია და მათი პატივის მყოფელია. საურმაგმა კი „დაამდაბლა ქართლოსიანნი და წარჩინებულ ყვნა აზნაურნი“, ახევე „წარჩინებულ ყვნა“ საურმაგმა ღურძუკთა ნაწილი, სხვები კი დასხნა მთიულეთს... სურათი ნათელია-აღნიშნავს მკვლევარი – „ქართლი ამიერიდან აზნაურების, ძურძუკების და ქართლოსიანების სამკვიდროა. აქ ზოგი „წარჩინებულია“, ზოგი „დაამდაბლებულია“..., მაგრამ ყველანი ამიერიდან ქართლის მკვიდრნი – „ქართველნი“ არიან, მაგრამ „ქართლოსიანნი“ ის ქართველებია, ვინც ქართლოსის ჩამომავალნი არიან და არა უცხო თესლნი... აზნაური და ღურძუკი... ქართლოსიანები არ არიან, მაგრამ ქართლის მკვიდრნი კი არიან კი. „ქართველები“ არიან“ [7: 257].

K 20895

ლეონტი მროველის მიხედვით, ქართლში მთიულნი კაკასიანნი მოსახლეობენ. ისინი პოლიტიკურად „ქართველები“ არიან, ხოლო ეთნიკურად კაკასიანნი (ღურძუკნი) კი. პოლიტიკურად ქართლში მკვიდრობენ ქართლოსიანი ქართველნი, ჰურიანი ქართველნი, კაკასიანი ქართველნი – აღნიშნავს ავტორი (7: 259). ისე რომ, როცა ქართლი სამეფოდ იქცა, იქ შემოიყვანეს ძურძუკები. მათ დაიკავეს ქართლის მთიანეთი და „ქართველობას“ ეზიარენ. ნ. ბერძენიშვილის აზრით, ლეონტი მროველს ქართლი ერთი „ქართული“ მოდგმის ორგანიზაციად არ წარმოუდგენია. ქართველთა ნათესავთან ერთად აქ შემოსულან არა ქართი ნათესავნიც: ეგრისი, სვანი, ღურძუკი, ჰური და „გაქართველებულან“ (7: 260). ცხადია, რომ ლეონტი მროველის მონაცემებში ღურძუკები ქართველებთან მჭიდრო კავშირში იხსენიებიან და ხაზგასმით აღნიშნავს სხვებთან ერთად მათ გაქართველებას.



იქვე გარეშეა ის ფაქტი, რომ ფშაგ-ხევსურეთში, თუშეთში, ხევში თუ მთიულეთში დასახლებული დურძუკები თუ ძურძუკები (ჩენნები) არსად არ გადასახლებულან და იქვე მოხდა მათი ასიმილირება.

საყურადღებოა „ისტორიანი და აზმანში“ დაცული მასალა, რომლის მიხედვით, როცა დიდოელები და ფხოველები საქართველოს აუჯანყდნენ, ჩეჩენ-ინგუშებს ქართველებთან ერთად მონაწილეობა მიუღიათ აჯანყების ჩაქრობაში (8: 111), ხოლო ჟამთააღმწერელის მიხედვით, ჯალალედინ II-ის შემოსევის დროს (1226-1227 წ.წ.), რუსუდან მეფეს ჩრდილო კავკასიის მთიელებთან ერთად ჩეჩენ-ინგუშებიც მოუწვევია: „განუხუნა კარნი დარიალისანი და გარდამოიყვანა ოსნი, დურძუკნი, ამით თანა ყოველნი მთიულნი. შეკრბეს ნაჭარმაგავეს სიმრავლე ურიცხვ, და წარავლინა მეფემან ბრძოლად ხუარაზმელთა“ (9: 183).

საინტერესოა XVIII საუკუნის ისტორიკოსისა და პოლიტიკური მიღვაწის პაპუნა ორბელიანის მონაცემები: 1754 წელს ნურსალბერგის შემოსევებთან დაკავშირებით, თეიმურაზსა და ერეკლეს ჩრდილო კავკასიიდან მოუწვევიათ მთიელთა გარკვეული ნაწილი. როდესაც ლაშქარი უკან ბრუნდებოდა „უბოძეს უფროსთა კაცთა ოქროსა და ვერცხლისა იარაღნი და ლარნი ტურფანი და ჯარისკაცთა ყოველთა მისცეს თვის-თვისად შესაფერნი ლარნი და იარაღნი... აღავსეს ესე ჯარები საბოძერითა და გაისტუმრეს ქვეყანასა თვისსა, მისცეს პირობა მეფეთა ჩვენთა ამ ჯარების უფროსთა კაცთა: „როდესაც ბრძანება თქვენი მოგვიიდეს, ვითა ყმანი ეგრე სწრაფად შეგეყარნეთო და თქვენსა სამსახურში დავიხონოთო“ (10: 456-457).

(ჩეჩენ-ინგუშები, სხვა მთიელებთან ერთად საქართველოს იცავდნენ ჩრდილოეთიდან შემოსული დაღესტნელი მეკობრეების თავდასხმებისგანაც. ქართლ-კახეთი მათ იყენებდა აგრეთვე უცხო დამპყრობელთა წინააღმდეგ ბრძოლაში. სამაგიეროდ ქართველები გაჭირვების ჟამს მათ გვერდით იდგნენ, თუმცა იყო შემთხვევები, როცა ორივე მხრიდან ურთიერთთავდასხმებსაც პქონდა ადგილი, მაგრამ ეს გამოწვეული იყო მთიელთა მიძიმე ეკონომიკური მდგომარეობით. უცხო ტომების შემოსევისას კი ისინი ერთად იყვნენ, რასაც, სხვა მონაცემებთან ერთად, ადასტურებს ერეკლე მეფის წერილი, რომელიც გაუგზავნა ინგუშების თავკაცებს შოლულ და აღხაზ ჭიჭიშვილებს, და საერთოდ დღიდეებს. მასში ნათქვამია: „...ჩვენგან პატივისცემით... ჭიჭიშვილს შოლულს, აღხაზს და ერთობლივად დღიდელებს მრავალი მოკითხვა... თქვენ რომ ამ ზაფხულს ჩვენთან ჯარით იყავით, ერთმანეთთან ლაპარაკი გქონდა და პირობა მოგვეცით, როცა თქვენი წიგნი მოგვივა და დაგვიბარებთ ჯარად წამოგვით... ამას წინათაც წიგნი მოგწერეთ და შეგატყობინეთ, რომ მომზადდებოდით თუ და როდესაც ჩვენი წიგნი და ამბავი მოგვსლოდათ, წამოსულიყავით. ახლა ამას გწერთ თუ ჩვენი ერთგულნი ხართ და ჩვენზე ხელის აღება არ გინდათ და თქვენი ამდენი ხნის სამსახურს ამაოდ არ ჩაატარებთ, ეს წიგნი რომ მოგივიდეს, უნდა მოემზადნეთ და წინათვე ჩვენ უნდა კაცი გამოგიგზავნოთ და თქვენი მზას ყოფნა შეგატყობინოთ. ჩვენც მთის გზას გავაკეთებინებთ, მოგვლით თქვენის ერთგულებისაგან თქვენი ამბავი საჩქაროდ გვაცნობით, რომ ჩვენც მთა გავაკეთებინოთ... ეს ჩვენი კაცი, რომ მოვიდეს თქვენთან, მაშინ უნდა წამოსასვლელად დაემზადნეთ... ამ საქმეზე

ჩვენი ჯაბადარბაში გაბაშვილი ნინია გამოგვიგზავნია, სხვას ჩვენს სიტყვას ეს გამტყუო“ [11:]. საბუთი დათარიღებულია 1786 წ. 31 იანვრით.

აღნიშნული წერილი ადასტურებს, რომ ომის დროს ქართველი მეფეები ყოველთვის იწვევდნენ კავკასიელებს – ძურძუკ-ღლიეებს. უძველესია მოლაშქრეთა გარკვეული ნაწილი საქართველოს ტერიტორიაზე სახლდებოდა, ივიწყებდა მშობლიურ ენას, ტრადიციებს და ქართველდებოდა, ტოპონიმები კი რჩებოდა.

ქართველებისა და ჩეჩენ-ინგუშების კეთილი ურთიერთობის ბრწყინვალე საბუთია აგრეთვე ივ. ჯავახიშვილის ცნობა იმის შესახებ, რომ გველევის ჩრდილოეთით თერგს..., სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ერთი პატარა მდინარე ერთვის, რომელსაც ქისტურა ეწოდება. აქ ვიწრო ხეობაში ყოფილა მეფე დავით აღმაშენებლის მიერ აგებული ციხე... ამაზე უფრო ჩრდილოეთით კი საქართველოს სამფლობელოს უკანასკნელი ფეხმოსაკიდებელი ადგილი „ნასახლევი მეფეთა“, რომელიც დაახლოებით ეხლანდელ ჯეიორახის მიდამოებში უნდა ყოფილიყო [12: 10]. სწორედ ასეთი მეზობლური თუ ნათესაური ურთიერთობა იყო იმის მიხედვით, რომ მთიელები ერთი ადგილიდან მეორეზე გადადიოდნენ – გადამოდოდნენ და სახლდებოდნენ იქ, სადაც მათთვის ხელსაყრელი პირობები იყო.

ვეინახების ქართველებთან ნათესაობის შესახებ მნიშვნელოვან მოსაზრებას გამოთქვამს აკად. გ. მელიქიშვილი: “В древности адыгейского–чечено–лезгинские племена были распространены не только к северу от Главного Кавказского хребта, но, по-видимому,... и к югу от него, в Закавказье и еще южнее... на территории к югу от Закавказья мы встречаем ряд названий, обнаруживающих поразительную близость к названиям, засвидетельствованным позднее в адыгейско–чечено–лезгинской среде“ [13: 120]. იგი არაერთ სატომო სახელწოდებას იხსენებს, რომლებიც პარალელს ნახულობს სწორედ ჩრდილო-აღმოსავლურ კავკასიურ-ვეინახურ ეთნონიმოკაში. მაგ., ფახუვა (ფხიე) – ფხოვ, დუალი – დვალი და სხვ. [52: 202].

ეთნოგრაფ ნ. ვოლკოვას მონაცემებით, დღევანდელ ხევსურეთში შატლის ხეობაში კისტანის სახელწოდების არსებობა მაჩვენებელია იმისა, რომ XVII საუკუნის 30-იან წლებში აქ ქისტური მოსახლეობა ცხოვრობდა. თვით ხევსურების გადმოცემით, არხოტში მოსახლე ზოგიერთი გვარი ქისტური წარმოშობისაა.

ცნობილია, რომ ქართველი მთიელები (თუში, ფშაველი, ხევსური, მოხევე, მთიულ-გუდამაყრელი) ყველა ჩეჩენს, ინგუშს – ქისტს უწოდებს. ეს გამოწვეულია იმით, რომ ძველ წყაროებში ძურძუკთან ერთად მოიხსენებოდა ქისტი და ქისტეთის ქვეყანა. შემდგომ პერიოდში სახელწოდება ძურძუკის ადგილი დაიკავა ჩეჩენმა, დღიღვის – ინგუშმა და ქისტი დარჩა ჩვენს დრომდე უცვლელი. იგი კუსტის სახით გვხვდება VII საუკუნის სომხურ გეოგრაფიაში [14: 35], ხოლო როგორც ტომის სახელწოდება ქიშტი იხსენიება საქართველოს ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდში დაცულ ძველ ქართულ ენაზე შედგენილ XIII საუკუნის საბუთში. აღსანიშნავია ისიც, რომ საბუთში ჩამოთვლილ 77 ეთნოსის გარკვეული ნაწილი კავკასიაში ცხოვრობდა [11:]. ამდენად, ეთნონიმები – კუსტი, ქიშტი, ქისტო – ერთი და იგივე მნიშვნელობის სახელწოდებებია, რომლებიც უძველეს დროიდან მომდინარეობს და დღევანდელი ქისტის მნიშვნელობით უნდა იხმარებოდეს. ეთნონიმ ქისტის შესახებ არსებობს მოსაზრება, რომ იგი წარმოიშვა ჩეჩნეთის მთიანეთის სოფლის სახელწოდებიდან „ქი ი“ [15: 39]. სხვა ცნობით (ჩაწერილი

ხანდაზმული მოხრობელისაგან) თითქოს სახელწოდება ქისტი წარმოიქმნა სიტყვისგან ქერისტი. როცა ბარში მცხოვრები ჩენები გაამუსულმანეს, დაღესტნელი მოვლები მთის მოსახლეობას მიადგნენ და ქირისტი, ქერისტის გაიძახოდნენ. მთის ხალხს არ ესმოდა, რისი თქმა უნდოდათ მოვლებს, ბოლოს მიხედნენ, რომ ჩენებმა ჩააგონეს, რომ ისინი ქრისტიანები – ქერისტან-არიან. მას შემდეგ შერქმევიათ სახელი ქისტი [16: რგ. 2, 23]. ეთნონიმი ქისტი არსებობდა ქრისტიანობის გავრცელებამდე. პირველი ვარიანტი, რომ იგი წარმოიქმნა სოფლის სახელიდან ქიი – შეიძლება უფრო სარწმუნო იყოს მსგავსად რუსული სახელწოდებისა ჩეჩენი, რომელიც წარმოსდგა სოფლის სახელიდან ჩეჩენი. ვახუშტის მიხედვით, ქისტეთის ქვეყანა იხსენიება „ჯარიეხს (დღევანდელ ჯაირახი – დ.მ.) ზევით“. შესაძლებელია, ქიი მდებარეობდა მდ. ქისტი-სანაპიროზე და აღნიშნული ტერმინი წარმოიშვა ხი-დან წყალი – მოსახლეობა მცხოვრები ხიისთიე – წყლის სანაპიროზე (ისთ-სანაპირო). ხიისთი მესობულ ტომებს შეეძლოთ აღეთქვათ ქიისტი-ად, როგორც ეთნონიმი შაშან // ჩაჩან რომელიც შეიძლება წარმოიშვა სიტყვა შაჩან-იდან. შა – ნიშნავს ყინულს; შაჩან – როგორც ყინული, ე.ი. ტომი მცხოვრები შაჩან – ყინულივით ციფ მდინარის პირას. კუშტი, ქიშტი, ქისტო – ფუძეს ა. შავხელიშვილი აკავშირებს ძველ ქართულ კუშტი, ქუშტი და ქიშტიან, რაც ნიშნავს მუშტიძლიერს იგი აღნიშნავს, რომ ეს ტერმინი შექმნილია ქართველების მიერ ჩერქეზი-ყრკეტი-ანალოგიით. ქართველი მთიელების შეგნებაში ეთნონიმი ქისტო-ში გაერთიანდა ჩეჩენი, ინგუში და ქისტო, ისე რომ ქისტი XVII-XVIII საუკუნემდე დაღესტნელ ეთნონიმი, რომელიც სადღეისოდ ქართველის გაგებით ჩეჩენისა და ინგუშის გამოხატველია.

რ. ერისთავი აღნიშნავდა: „წინათ ქისტ-ჩენები და ლეკები საქართველოსთან მეგობრულ კავშირში იყვნენ და აღმინისტრაციულად თუშ-ფშავ-ხევსურებთან ერთად ხუნძახისა და პანკის – კვეტერის სამოურაოში შედიოდნენ“ [17: 87-89].

ივ. ჯავახიშვილის მონაცემებით კი „საქართველო ჯერ კიდევ ძვ. წ. აღ. III საუკუნიდან მჭიდრო კულტურულ-პოლიტიკურ და ეკონომიკურ ურთიერთობაში იმყოფებოდა ჩრდილო კავკასიის ხალხებთან – მათ შორის ძურძუკებთან. საქართველოს სამეფოს თანდათანობითმა გაძლიერებამ იმიერკავკასიის ხალხებიც დროთა ვითარებაში თავის ძალაუფლებას დაუმორჩილა და ქართულ სახელმწიფოს საზღვრებში მოაქცია“ [12: 3].

გ. გამრეკელიც ჩენ-ინგუშებს, ქისტებს კავკასიის უძველეს ტომად თვლის, რომლებსაც კულტურულად და ენობრივად ქართველებთან ნათესაური ურთიერთობა ჰქონდათ. იგი წერს: „... этноним „кавказиани“ грузинская средневековая историография разумела исторически реально существовавшие в древности племена _ общины Центральной части гл. хребта Кавказа генетически родственные остальному Кавказскому этно-культурному миру; и наименованием „кавказиани“ так же, как и наименованиями эргисцы, карты, леки, обозначала не мифические этносы, а реально-исторически существовавший этнос“ [18: 23]. ისე რომ, ეთნონიმი „კავკასიანი“ იხსენიება ეთნონიმების – ეგრისის, ქართლის, ლეკის გვერდით, ხოლო კავკასიანის პარალელურად იხმარება ძურძუკი, რომლის ირგვლივ ჩნდებიან დვალეები, ლიღიელები და ქისტები. „ქართლის ცხოვრება“ ადასტურებს, რომ ყველა ესენი კავკასიანნი

შემაჯავლი მონათესავე ტომია, რომლებიც მეტყველებენ ერთ ენაზე, რაც ზემოთაც აღინიშნა. მათი საცხოვრისი ვახუშტის შემდეგნაირად აქვს აღწერილი: „...ჯარიგებს ზეით, არს ქისტეთი დაბნებიანი, შენობიანი“. შემდეგ აგრძელებს: „კუღლად ამის სამჭრით, ქისტეთს ზეით, არს ძურძუკი, შენობიანი, დაბნებიანი, კოშკოვანი ორნივე. ამ ჯგობათა მზღერის: აღმოსავლით კავკასი, ქისტ-ძურძუკსა და დლილუს შორისი; სამჭრით კავკასი, ფშაჲ-ჯვესურსა და ძურძუკს შორისი; დასავლით კავკასი, ქისტ-ძურძუკსა და ჰვეს შორისი; ჩრდილოთ მთა ჩერქეხსა და ქისტეთს შორისი. და გარდავლენ ან გზანი ქისტ-ძურძუკიდან ამ კავკასებთა ზედა ჰვეს, ფშაჲ-ჯვესურეთს, დლილეთს და ჩერქეხთა შინა“ [4: 652].

რაც შეეხება დვალებს, იგი კავკასიონის უღელტეხილის ორ მთავარსა და პირიქითელს ქედებს შუაა მოქცეული და მარად თოვლიანი მთებითაა შემოსაზღვრული, რომელიც ძველთაგანვე საქართველოს ეკუთვნოდა. მის საზღვარს განსაკუთრებული ყურადღება მიექცა XII საუკუნიდან, როცა აქ ქართველებმა დავით აღმაშენებლის დროს მოიკიდეს ფეხი. XVIII საუკუნის დამდეგსაც დვალეთი ქართველთა ხელში იყო და ქართველ მეფეებს ხარკს უხდიდა [12: 6-7]. დვალეთს ახლა არდონის ანუ ნარდონის ქვაბ-ხეობას უწოდებენ. იგი XIX საუკუნეშიც ტფილისის გუბერნიის მთიელთა ოლქს ეკუთვნოდა, შემდგომში რუსეთის მთავრობამ დვალეთი ანუ ნარდონის ქვაბ-ხეობა საქართველოს ჩამოაშორა და თერგის ოლქს შეუერთა [12: 8]. დვალები, როგორც ტომი, უკვე აღარ არსებობენ, ისინი ნაწილი ოსებთან და ნაწილი ქართველებთან ასიმილირდნენ.

სწორედ ქისტების ქართველებთან ხანგრძლივმა სიახლოვემ განაპირობა სამშობლოდან დევნილთა თუ საკუთარი სურვილით გადმოსახლებულთა საქართველოს მიწა-წყალზე დაუბრკოლებლად დასახლება. გადმოსახლებულებს თუშეთის, ხევსურეთის, ფშავის თუ ხევის სასოფლო თემი უქმნდა ცხოვრების სათანადო პირობებს, შეძლებისდაგვარად უყოფდა მიწას და სხვ ცხადია, მათ ყოფას თან სდევდა ტრადიციული წეს-ჩვეულებები, რაც არც თუ დიდად განსხვავდებოდა ადგილობრივისგან.

რაც შეეხება ძვ.წ. III-IV ს. 30-იან წლებში ქართლის მეფის საურმაგის მიერ ძურძუკეთიდან გადმოსახლებულ ჭარბ მოსახლეობას, რომელიც დასახლდა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, ისინი გაქართველდნენ. ეჭვს გარეშეა ის ფაქტიც, რომ თუშეთში, ფშავში, ხევსურეთში, მთიულ-გულამაყარში და ხევში დასახლებული ქისტები (ძურძუკები) არსად გადასახლებულან. მათ შესამე-მართებ თაობაში დაკარგეს თავიანთი ეთნიკურობა. სწორედ მათი თაობებიდან მოდის მთიანეთში გავრცელებული ზოგი ქისტური გვარი, რომელსაც პერიოდულად შეერეოდა სხვა გვარებიც. გვარი იქმნებოდა მამის სახელიდან ან წინარე საცხოვრებელი ადგილის სახელწოდებიდან. ეს დაბტურდება XVII-XVIII-XIX საუკუნეების მასალებიდან. თუშ-ფშავ-ხევსურეთის, მთიულ-გულამაყარის თუ ხევის ყველა თემში მრავალი ქისტური წარმომავლობის გვარია დადგენილი. მაგ., „თუშეთში – პირიქითის საზოგადოების სოფ. ჩიღოში ცხოვრობდნენ ქისტების წარმომავლობის – ელანიძეების ხუთი კომლი; დანოში – ქველხიძეების ექვსი კომლი, გირვეში – აზიკურნიძეების ოთხი კომლი; ნაკულურთაში – ქველხიძეების ორი კომლი, ჭონთიოში – იუკურნიძეების 19 კომლი; ფარსმაში – ქააძეების 15 კომლი,

აშაძეების 12 კომლი, ცაძიციკეების ათი კომლი, სულაკაურების ერთი კომლი; ჰეღოში – ბუღრიძეების 5 კომლი“. ამ მონაცემების ავტორს უკვირს აღნიშნული მდგომარეობა და წერს: „ამ თემის ზოგიერთ სოფელში – კერძოდ ჭონთიოში და გირევეში არც ერთი ქართული გვარი არ არის. ეს მოსალოდნელიცაა, რადგან თუშეთის მცხოვრებთ უხდებოდათ ხანგრძლივი სამკედრო-სასიხოცხლო ბრძოლა ურიცხვი მტრის წინააღმდეგ და შესაძლებელია სოფლის მცხოვრებთა უმრავლესობა მთლიანადაც მოსპობილიყო უთანასწორო ბრძოლაში და ნაწილობრივ კი უნდა აყრილიყო. მტრის მიერ ნანგრევებად ქცეულ ნასოფლარებში მეზობელ ტომთა წარმომადგენლები სახლდებოდნენ და იქ სიცოცხლე კვლავ იწყებდა აღორძინებას“- აღნიშნავს ვ. ლავაზიძე. დასახელებული საზოგადოების სოფ. დართლოში ცხოვრობდნენ ღეკეები – ნაჭაურიძეების 7 კომლი, ღეკაიძეების – 6 კომლი, ხოლო სოფ. ნაკუდურთაში – ხეზაროკების 5 კომლი და შაურიძეების 6 კომლი; ჩაღმის საზოგადოების სოფ. ხისოში ცხოვრობდა ქისტ-მგელაძეების 2 და მურთაზაშვილების – 12 ოჯახი; შენაქოში – ხახიძეების 5 ოჯახი; დიკლოში-ჭაბაძეების ერთი ოჯახი. ამავე საზოგადოების სოფ. ბოჭორმაში უცხოვრია ღეკების-ივანიძეების 4 და ჩოგანაიძეების 21 ოჯახს; სოფ. ხახაბოში – ბოხაჩაურების 4, ხისოში იჩუკაიძეების – 2, შტროლთაში – უშიძეების – 2, შენაქოში – ჩილილიძეების – 6, ანთაიძეების – 11, დიკლოში – ბელაძიძეების 7 ოჯახს. ამ სოფელში ცხოვრობდა ქორთოშიძეების ორი ოჯახი, რომლებიც სამოქალაქო ომის დროს იყვნენ მოსულეები [19: 75-84].

გომეწრის საზოგადოების სოფ. ჯვარბოსელში ცხოვრობდა კინდოლანების 9 კომლი, დოჭოში – წომიკურიძეების 4, აღისგორში – შალაანების 4; ბელელაში-ჭანთოანების 3; ვესტომთაში – კარხილაურების 2 და ქარსაშვილების 4; გუდანთაში-ხიწიანების 2 კომლი.

საინტერესოა ამავე საზოგადოების ღეკურ-დიდური წარმოშობის მოსახლეობაც. სოფ. დოჭოში უცხოვრია თორღვაიძეების 5 და გოთაიძეების 4 კომლს, აღისგორაში – ჯაანების 3 და თუნაურიძეების 3 კომლს. ავტორის მტკიცებით, აღნიშნულ საზოგადოებაში მცხოვრები დანარჩენი მოსახლეობა შეადგენს ქართველებს-გადმოსახლებული ხევსურეთიდან, ხვეიდან, ფშვიდიან, მთიულეთიდან და კახეთიდან [19:].

რაც შეეხება წოვათის საზოგადოებას, აქაც ავტორი ნაწილს ქართველებს აკუთვნებს და ერთ ნაწილს კი ვენიახებს [19: 92]. მაგ.: ენიშვილები, ბალარჯიშვილები, ჯემოშვილები, დარქიზანიშვილები და ტუნგოშვილები არ უარყოფენ თავიანთ ქისტურ წარმომავლობას.

ზემთ მოტანილი გვარებისა და კომლთა რაოდენობის კვლევა-ძიება ასახავს ხუთ-ეკეს თაობის წინა პერიოდს. თუ დაუზღვრებთ ამ მონაცემებს, თუშების (ჩაღმა, გომეწარი, პირიქითი) დიდი ნაწილი ქისტური და ღეკური წარმომავლობის ყოფილა. არის სოფლები, სადაც მხოლოდ ქისტური მოსახლეობა ცხოვრობს. მაგალითად, სოფ. ფარსმაში ცხოვრობდა სულ 38 კომლი – ყველა ქისტი, სოფ. ჰეღოში 5 კომლი, ხუთევე ქისტი. დანარჩენ სოფლებში არეულად ცხოვრობდნენ ხევსურები, ფშაველები, მოხევეები, მთიულეები, კახელები, ქისტები და ღეკები [19: 75-93].

ვ. ელანიძე წერს: „ჩვენთ-ინგუშეთის ტომებთან თუშეთის განსაკუთრებული სიახლოვით უნდა იყოს გამოწვეული ის ამბავიც, რომ თუშეთის თემებში

საუკუნეთა მანძილზე ხდებოდა ქისტებისა და ჩენენ-ინგუშების გადმოსვლა და დასახლება“ [20: 53].

ავტორს მოჰყავს ეთნოგრაფიული მასალა – მურთაზისა და ბოლოთას ქისტეთის სოფ. სამტყუდან თუშეთში სოფ. დანოში დასახლების შესახებ. მურთაზს ჰყოლია ორი ვაჟიშვილი, რომელთა ჩამომავლობა იწერება აღხანაიძეებად, ხოლო ბოლოთასი – შახაძეებად. ცხადია, ისინი ამჟამად ჩაღმა-თუშებად თვლიან თავს და ცხოვრობენ ზემო და ქვემო ალვანში. თუშეთის სოფ. გოგრულთაში დასახლებული ქისტი აღიდან წარმოსდგა გვარი ალიაიძე, იმედასგან – იმედაშვილი. მის მკვლელის მოკვლის გამო სოფ. ფარსმაში გადმოხვეწილი კუკალა ვინმე ქააძეზე გათხოვიდა და მის ჩამომავლობას ჩვენს დროშიც კუკალაანებს ეძახიან. იმავე სოფელში დასახლებულა ქისტი ვინმე დაადა, რომელსაც თუშის ქალი შეურთავს და დაოჯახებულა. მის შთამომავლობას ახლაც დადაანებს ეძახიან. ს. მაკალათიას ცნობით: „ხანიძეთა წინაპარს ხანი რქმევი, იგი ქისტეთის სოფელ ჭანთადან ყოფილა გამოქცეული, სადაც მას კაცი შემოჰკვდომია. ხანის შვილს ხუნჩალს სოფ. შენაქოში რვა ვაჟი ჰყოლია. ხუნჩალა შვილებს გაყოფის ნებას არ აძლევდა და მოუღი ეს დიდი ოჯახი ერთ ჭერქვეშ ცხოვრობდა. ოჯახი 50 წევრს ითვლიდა“ [21: 96].

ი. ელიოსიძის მონაცემებით, წოვა-თუშები „თავიანთ ადრინდელ სახლებსა და უძრავ ქონებას აბარებენ მშვიდობიან ქისტებს, რომლებიც იქ ცხოვრობენ და ყველა სიკეთით სარგებლობენ. ამაში ისინი პატრონებს შემოსავლის ნაწილს უხდიან და ემორჩილებიან მათ, როგორც მოიჯარადენი“ [22: 15].

უნდა აღინიშნოს, რომ წოვა-თუშები უძველესი დროიდან მეცხვარეობას მისდევდნენ და ამდენად, მათი ყოფა-ცხოვრებაც მომთაბარეობასთან იყო დაკავშირებული. ისინი ზამთარში ბარში იყვნენ და ზაფხულში მთაში. ალენის ველზე მათ ჰქონდათ იმდენი სოფელი, რამდენიც მთაში. საზამთროდ რომ ჩამოსდიდნენ, თავიანთ სახლ-კარს დროებით უტოვებდნენ იქ მცხოვრებ რამდენიმე ქისტურ ოჯახს, რომლებიც წოვათაში გადმოსახლებული იყვნენ 1820–1830-იან წლებში.

1831 წლის კამერალური აღწერის მიხედვით თუშეთში, სხვა მოსახლეობასთან ერთად, ქისტებიც ცხოვრობდნენ [23:].

XIX საუკუნის 30-იან წლების დასაწყისში დ. ზუბარევის მიერ ჩატარებულ აღწერაში ქისტების ოჯახებია დასახლებული [24: 522].

ხევსურეთსა და თუშეთში (პირიქითის, გამწვრის და ჩაღმის თემებში) ქისტების დასახლების ფაქტები საარქივო მასალებიდანაც ჩანს [25:]. ხევსურეთში ლიქოკელებს უჭირავს ლიქოკის ვიწრო ხეობა. გადმოცემით მათი წინაპარი ყოფილა ქისტი სანაგი, რომელსაც ჭანთეში კაცი მოუკლავს და ხევსურეთში გამოხიზნულა. სანაგი პირველად ბარისახოში დასახლებულა, მაგრამ აქ მამულს ჭინჭარაულები შედავებიან და ისევ ლიქოკის ხეობაში გადასულა. ლიქოკელები მამებად იყოფიან: ჩაღხურნი, ხახიკაურნი, ხუნჩალენი და სხვ. [26: 76-77].

ფშავეში ქისტაურების წინაპარიც ქისტი ყოფილა (დულჩოიდან გადმოსული). მკვლევარების ნიადაგზე სამი მძა წამოსულა, ერთი მოხვევებში გადასულა და უთქვამს, მე აქ გავიბოტები (დავღებო). ამ სოფელსაც გაიბოტენი დარქმევია.

მეორე ძმა ხევსურეთში სოფელ ღულში დასახლებულა, ხოლო მესამე კი – შუაფხოში [27: 71].

თ. ოჩიაურიც ადასტურებს, რომ ანატორელთა თავდაპირველი მოსახლეობა სისაურნი და ლიქოკის ხეობის სისაურნი ქისტები იყვნენ [28: 75].

საინტერესო მასალას გვთავაზობს გ. თედორაძე იგი წერს: „ხევსურეთის სისაურების (ქისტები) ერთი ნაწილი ლიქოკის ხეობის სოფ. მადრანში, აკუშოში, კიმხაში, ქობულოსა და აჭვში ბინადრობდა (მათი განაყარნი), მეორე ნაწილი ჯიჯეთსა და ბუშარანში (კახეთში), მესამე განაყარნი შატილში ცხოვრობენ. მათ ანატორელებს უწოდებენ. ქისტაურები ცხოვრობენ შუაფხოში, წინა ფშავეში – სოფ. თხილიანში, არახინჯაში, ვანხევში, სწროფაში, მათურასა და ხორხში. მათი განაყარნი შირაქშიც ცხოვრობენ“. ავტორის მონაცემებით, ქისტაურები გადმოსახლებულები არიან ქისტეთის სოფ. ღულიდან. ამ გვიანის თაობების შესახებ მას შედგენილი აქვს სქემა, რომელიც ქართველებისა და ქისტების წარსული ურთიერთობის, ნათესაობის გადასახედად ძალზე საინტერესოა. ეს თაობები შემდეგია: „ჯიხვიანი, ყენიანი, ჩარბოდანი, მთვარელანი, ფოცხვერანი, ციგრონი, ჩაქუნანი, ბადრიანი, ხეცურაულნი, ქისტაურნი, ყუჯიანი, ქოჩანანი, ბერიკაულნი, თათარანი, ხუტნიანი, ალუდანი, კუჭუნანი“. ყველა ამით შორის სისხლის არევა აკრძალულიაო, წერს ავტორი. ამასთანავე, ვაკე სოფელში მცხოვრები ჯაღაბაურნი და სოფ. ბახიაში შუაფხოდან გადმოსული ორი კომლიც, გვარად ელიზბარაშვილები, ქისტური ჩამომავლობისა ყოფილან [29: 61-71].

საკუთრადღებო მონაცემები გვხვდება ალ. ოჩიაურის ხელნაწერებში. ფშავეში „მოსულები არიან მამები: დაღუჭნი, ანუ გოჯიტანი, თანდილანნი და მუშტანი. ეს მამანი ჩამომავლობით ქისტნი არიან. მათ წინაპარს ქისტეთში შემოკვდომია კაცი, გადმოსულა ფშავეში და გოგოლაურთ შეხიზვნია. ეს ქისტნი გოგოლაურთ ხიშმუში დაუყენებიათ... აქედან წარმოიშვა ზემოხსენებული მამები. ისინი თანდათანობით გადმოვიდნენ ფშაურ წეს–სარწმუნოებაზე და გახდნენ თავარ-მოწმის ყმანი, აგრეთვე წმ. გიორგისაც ეყმობოდნენ“.

ამავე ავტორს მოცემული აქვს ძალზე საინტერესო ცნობა, რომ „ხოშარის თემში თამარ ნეფის ხატის ჭედლებულ ყმებად ითვლებოდნენ ხახანიც, რომლებიც ქისტის ჩამომავალნი ყოფილან. ხახათ წინაპრებს, ვისგანაც მიუღიათ ეს სახელი, ხახა რქქვეია“. ...მას ერეკლეს მიერ მიცემული მამული ჰქონია ახმეტაში და გამბორზე [30:].

ამ ცნობიდანაც ჩანს, რომ ახმეტის რაიონის სოფელ ქისტაურში და ქისტნელში, ერეკლეს მეფობის პერიოდში ქისტების ეთნიკური ერთეული ცხოვრობდა, შემდგომ ისინი აირივნენ ადგილობრივ მოსახლეობაში, დაკარგეს თავისი ეთნიკური ნიშნები, ტოპონიმები (ქისტაური, ქისტნელი, ქისტაძე, ხაქისტო) კი უცვლელი დარჩა. მაგ., „ქისტაურში დამკვიდრებული მოსახლეობა ძირითადად ფშავის ქისტაურთ სათემო სოფ. შუაფხოდანაა... ფშავიდან წამოსული ქისტაურები ჯერ ეწოდა, სოფელ ბოტორმის მახლობლად დამკვიდრებულან, დაუფუძნებიათ სოფ. ქისტაური და შემდეგ აქედან გადასულან კახეთში და აქაც სოფლისთვის კვლავ ქისტაური დაურქმევიათ“ [3: 33]. აღნიშნული სოფელი დაარსებულია XVIII საუკუნის დასაწყისში. ერწოში ბოტორმის ახლოს დღესაც დასტურდება ტოპონიმი ქისტაური, რაც მაჩვენებელია იმისა, რომ სადღეისოდ ფშავლებად, ხევსურებად,

მოხვევებად წარმოდგენილი ქისტაურთა წარმოშობის რიგი გვარები: ქისტაური, ქისტეშვილი, ჩარბოლაშვილი, სისაური, ხაიაური, ბეწუაშვილი, დანიშვილი, დანიშაშვილი, გუშაშვილი და სხვ. საგარაუდოდ ქისტური წარმომავლობის გვარები უნდა იყოს. ამ გვარების შესატყვისი გვარებისა და სახელების ფორმები დგინდება ქისტებშიც. მაგ., ლუზეიგოორ, ბეწვიგოორ, ხახიგოორ, დანიშგოორ, დანიშგოორ, გიაღვიგოორ, გუშაკგოორ და სხვ. ქისტებში სახელების „გოორ“ დაბოლოება ქართული „შვილის“ გამომხვატელია. აღნიშნული გვარების ფაგ-ხესურეთში არსებობას საარქივო მონაცემებიც ადასტურებს [23:].

XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში სოფ. ქისტაურის ადწერაში 25 კომლი ქისტაურის გვარითაა მოხსენებული [23:].

ახმეტის რ-ნის სოფ. ახშანში ცხოვრობდნენ დუღაურები (რომლებიც გადმოსახლდნენ დუშეთის რ-ის სოფ. დუღართკარიდან), ქისტაურები და ჯაბაურები [32: 75-92] ისე რომ, ქისტები ცხოვრობდნენ ფშავეის სოფ. ომარაულში, ერწო-თიანეთში, ახმეტის რ-ნის სოფ. ქისტაურში და სხვ.

1873 წელს შუაფხოდან ხორხის ხეობაში გადასახლდა ქისტაურების 16 კომლი [31: 17-56]. 1850-იან წლებში ერწოში დასახლდა დულიდან გადმოსახლებული ქისტაურების 15 ოჯახი. ქისტურების გვარი გვხვდება აგრეთვე სოფ. ბზიკურთაში, ქისტეშვილები – არტანში [31: 17, 56]. გორთამაშვილები – დოლოშაში, ხორნაულეები ჭართალში, სუხიაშვილები – ერწოში და სხვ. ამასთანავე, იქნებოდა ახალი ტომონიშები: დუღაურთკარი, ქისტაურთ ნამოსახლარი, ქაისხევი, ქისტაურთ თემი და სხვ.

ქაი ქისტური სახელია, შესაძლებელია ქაისხევი ქისტე მამაკაცის სახელიდან წარმოიქმნა, ეი ხევიდან, სადაც ქაი ცხოვრობდა. იგი არაგვის ხეობაშია. აქ მცხოვრებთა შორის (1781 წ.) არიან აღხახასშვილი ნადირა (ქისტურად „აღხახ კანთ ნეედირ“ – ლ.მ.), რამახასშვილი გიორგი და სხვ. [32: 91-92], სტეფანწმინდაში ჩოყეკაშვილების ოთხი ოჯახი (ჩოაფალ გოორ – ლ.მ.), ქუშაისშვილი ხაბაჭა (ქუშეი გოორ – ლ.მ.) და სხვ. [32: 111-255].

საინტერესოა გ. ბეღლშვილის ნაშრომში წარმოდგენილი ტომონიშები, რომელთა გაჩენა ქისტური ეთნიკური ერთეულის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა. მაგ.: საქისტოს გორი (ზ. არტანში), თათარაანთ ახო (ყვბოტაში), ქუშაანთ გორი, (მაგრანეთი), ჯოყულას ნასახლარი (მინდორი, საძივარი დუღუზაურებში), ქისტაანთ ახო (საძივარი, სახნავი ჩაბანოში) და სხვ. ამასთანავე იგი აღნიშნავს, რომ „ღამებო“ ტომონიშებად ხშირად გვხვდებოდა და გვხვდება მთელ ქართლ-კახეთში. ამ ინიციებსგან წარმოქმნილი ტომონიშები ჯერ კიდევ XV საუკუნიდან იყო ცნობილი. მაგ., ლამისყანა, ლამის-მიწა და ლამის ხევი. მინდვრის სახელად „ღამებო“ გვხვდება ხ. ანანურში, ხოლო ლამისყანა და ლამთ-ქედი, სახნავი, სათბო-საძივრის სახელად გვხვდება ყაზბეგში (სოფ. გერგეთი). ავტორის მოსაზრებით, აღნიშნული ტომონიშები ასახავენ არა მარტო ობიექტის ფიზიკურ-გეოგრაფიულ თვისებებს, არამედ წარმომავლობას, კუთვნილებას, კუთხის ძველ სამეურნეო ყოფას და სოციალურ მხარეს [33: 23]. როგორც ჩანს, ავტორს ალბათ ეჭვი არ ეპარება ამ ტომონიშების ვეინახურ წარმომავლობაში. ლამ-თა, ღამებო-ღამანაშ-თები და ა. შ.

ქისტური წარმომავლობის ზოგიერთი გვარი ცხოვრობს ყაზბეგის, თიანეთის, დუშეთისა და ახმეტის რაიონებში. მაგალითად: მალსაგიშვილი, ჩოფიკაშვილი, ცხაიშვილი, დააშაშვილი, ქუშაშვილი, ღანიშაშვილი, ალბუთაშვილი, მეშველაშვილი, ხაიაური და სხვ. საქართველოს სხვადასხვა ადგილებში დასახლებული სხვა ქისტების ანალოგიურად მათაც დაკარგეს მშობლიური ენა, ყოფითი წეს-ჩვეულებები და განიცადეს ასიმილაცია. აღსანიშნავია ისიც, რომ ერთ ადგილზე (უცხო მხარეში) მეზობლად დასახლებულ არა ნათესავენს შორისაც, როგორც ერთი კუთხიდან მოსულებს, კერძალებოდათ ქორწინება, ისინი ახლობლად მიიჩნეოდნენ ერთმანეთს და ამან უფრო დაამყარა მათი ადგილობრივ მოსახლეობაში აღრევა [34: 7, 9, 15].

ხევსურეთში შემორჩენილი ტოპონიმების შესახებ თ. ოჩიაური წერს: „დღევანდელი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტერიტორია, თუ მისი ნაწილი, დროის გარკვეულ მონაკვეთში ნახურ ტომებს უნდა სჭერებოდათ და მათ დაეკოვებინათ თავიანთი ტოპონიმები. ასეთი ტოპონიმები საკმაოდ გვხვდება თეთიონ შატილშიც, რაც მის თავდაპირველ მოსახლე ანატორელთა ქისტურ წარმომავლობაზე მიუთითებს“ [28: 75]. უნდა შევნიშნათ, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, როგორც ხეშთაც აღინიშნა, მრავალი ვეინახური წარმოშობის ოჯახი ცხოვრობდა. „გ ე ი ნ ა ხ“ ნიშნავს ჩვენებურ ხალხს (ჩენენი, ინგუში, ქისტი). „გ ე ი“-ჩენენი, „ნ ა ხ“-ხალხი. ზოგიერთი ავტორის მოსაზრებით „ნ ა ხ უ რ შ ი“ ნაგულისხმევია ვეინახებთან ერთად წოვა – თუშებიც, რაც არამართებულად გვეჩვენება. ნახევარი საუკუნის განმავლობაში ამ ხალხთან ცხოვრებამ დაგვანახა, რომ წოვა – თუშები სრულიად განსხვავდებიან ჩენენ-ინგუში და ქისტ ეთნიკური ჯგუფებისაგან თავიანთი ყოფა-ცხოვრებით, ტრადიციებით, რწმენით და სხვ. ცხადია, არსებობს ენობრივი ნათესაობა, რასაც ადასტურებს ვახუშტი ბატონიშვილი [4: 555], აკად. ივ. ჯავახიშვილი [51: 47] და სხვ.

მოტანილი მასალა იმის ნათელ სურათს იძლევა, რომ ქისტური ეთნიკური ერთეულები ხშირია ქართულ მიწაზე XVII-XVIII საუკუნეში, მათი უკვე ფშავლად, ხევსურად, მთიულად თუ მოხვეად (ქართველად) ჩამოყალიბება იმის მანქვებელია, რომ მიგრაციულ პროცესებს ადგილი ჰქონდა უძველესი დროიდან. მათმა კოინომიკამ, წეს-ჩვეულებებმა, რწმენა-წარმოდგენებმა, კულტურამ და, რაც მთავარია, ხალხის თვითშეგნებამ შეითვისა ის, რაც მათ სამყაროსთან ახლოს იყო. ცხადია, კულტურის ელემენტების ურთიერთდიფუზიას ადგილი ჰქონდა ორივე მხარეს-როგორც ქისტებში, ასევე ქართველ მთიელებშიც.

როგორც უკვე ვთქვით, ერთ დროს ჩენენ-ინგუშურ ენაზე მოლაპარაკე ტომის საცხოვრისი საქართველოს საზღვრებში იყო მოქცეული და ამ ტომის ადამიანები, მთისა თუ ბარის ადგილებში დასახლებულები, ისე შეესისხლხორცნენ ძირძველ ქართველ მოსახლეობას, რომ მათ შთამომავალთა მშობლიურ ენად ქართული ენა იქცა, ხოლო ქართველი ყოფითი ტრადიციები – მშობლიურად. ცხადია, ეთნიკური შერევის ეს პროცესი კანონზომიერი იყო. ამას განაპირობებდა მათი ისტორიული ბუდის აუცილებლობა, რასაც ხელს უწყობდა სოციალ-პოლიტიკური ფაქტორებიც. ეს ასიმილირება ცალმხრივი როდი იყო. ნ. ივანეკოვის მონაცემებით და ეთნოგრაფიული მასალებითაც ჩენენ-ინგუშეთში რეფორმადელ

ხანაში ბევრი ქართველი ოჯახი ცხოვრობდა. მაგალითად, ითონხალის თემი, რომელიც რამდენიმე ასეულ ქართული წარმომავლობის ოჯახს ითვლიდა [35: 8]. იგივე შეიძლება ითქვას გვარებზე მარხაული, ფირხაული, თათარაშვილი, გადამაური, მარშაული, მახაური და სხვ., რომლებიც ცხოვრობდნენ და ცხოვრობენ ახსოვრთანის რ-ის სოფელ ბამუტში (ჩენეთი). ქართველებითაა დასახლებული აგრეთვე, სოფ. შუანა, რომელიც მდებარეობს ინგუშეთში. ზემოთ წარმოდგენილი მასალის უფრო ფართოდ მოგანა შეიძლება, მაგრამ აღნიშნული მონაცემებიც საკმარისია იმისათვის, რომ პანკისის ქისტებმა და სხვა დაინტერესებულმა პირმა იცოდნენ, რომ მათ დიდი ნათესაობა, ახლობლობა აკავშირებთ აღმოსავლეთ საქართველოს მთისა და ბარის ქართველებთან. წარსულში მათ საერთო რელიგიური რწმენა—წარმოდგენებიც ჰქონდათ, რაზედაც ქვემოთ გვექნება საუბარი.

მ. აღბუთაშვილი წერს: „პაპანეში თეთი ჟამთა ვითარებით თუ შიმშილ-ხიღარბით შეწუხებული გადმოსახლდა კახეთში ცოლით, მცირეწლოვანი სამი ვაჟით, ერთი ქალიშვილით და შეეხიზნა თიანეთის მაზრის სოფ. ჩაბანოს. ამ სოფელში გადმოსახლებული სხვა ქისტებიც იყვნენ. როცა წამოიზარდა, ომანმა ხორბალოელი ქალი შეირთო. ცოლის მამამ ბოშიმ სიძე დაითათბირა, რომ ხორბალოში გადმოსულიყვნენ საცხოვრებლად. ომანმა მამისეული მიწური სახლი თავის სახლიკაცს დაუთმო და ...გადმოსახლდა კახეთის სოფელ ხორბალოში“ [16: 3], სადაც ცხოვრობდა 20 კომლი ქისტეთიდან გადმოსახლებული ქისტები. გააჩნდათ ორ-ორი დღიური სახნავი მიწა. ადგილობრივ მოსახლეობას ისინი უცხო ტომად არ ჩაუთვლიათ და მათთან ერთად თანაბარ ყოფა—ცხოვრებას ეწეოდნენ.

ცნობილია, რომ გვიანფოვადღური პერიოდის საქართველოს ისტორია განუწყვეტელი ომებით ხასიათდებოდა. მტრის მიერ მრავალგზის აოხრების შედეგად ქართლისა და კახეთის მოსახლეობა კატასტროფულად შემცირდა. მაშინდელი მფეუ-მთავრები ცდილობდნენ ამ დაცარიელებული ადგილების ახალი მოსახლეობით შევსებას. კახეთის საუკეთესო ადგილებში მასიურად დასახლებულია უცხო ეთნიკური ჯგუფები: სომხები, აზერბაიჯანელები, ბერძნები, ოსები, აისორები, დღეკები, ქისტები და სხვ., რომელთა ყოფა—ცხოვრება, ენა, წეს-ჩვეულება დიდად განსხვავდება ადგილობრივ მოსახლეობისაგან. მათ უცვლელად შეინარჩუნეს თავიანთი ეთნიკური ენა, კულტურა, მითითხოვეს სკოლები, კულტურის კერები, რაც ერთმა ნაწილმა მიიღო კიდევ: აშას ვერ ვიტყვით პანკისის ხეობის ქისტებზე, რომლებსაც, სტუმარმასპინძლის ურღვევი ტრადიციის შესაბამისად, არ მოუთხოვიათ მშობლიურ ენაზე მიეღოთ განათლება— თუმცა 1922 წელს სკოლის გახსნის შემდეგ, პირველ კლასში მისულ ბავშვებს ასწავლიდნენ ქისტურად და უთარგმნიდნენ ქართულად. როცა კლასების რაოდენობა გაიზარდა და ქართველი პედაგოგები მოაველინეს სკოლაში, სწავლა მიმდინარეობდა უკვე ქართულ ენაზე.

საინტერესოა XIX საუკუნის პირველ ნახევარში კ. კობისა და თ. სპენსერის მონაცემები: „მდ. ალაზნის ერთ მხარეზე სოფელი ხორბალო მდებარეობს (პანკისის ხეობის დასაწყისი), სადაც ქისტების (უბველესი კავკასიური ტომი) ოცი ოჯახი ცხოვრობს“ [36: 252]. ამას ადასტურებს საარქივო საბუთიც, რომლის მიხედვით ქისტების 20 კომლს სოფ. ქისტნელში ანუ ხორბალოში უჭირავს 120 დღიური

სახნავი მიწა. ბინადარ ცხოვრებას ეწევიან 1791 წლიდან და აქვთ ქართულ-ბერძნულ-ქრისტიანული რელიგია [37: 1-6].

ეს გადმოსახლება ქრონოლოგიურად ქართულ-კახეთის მეფის ერეკლე II-ის მეფობის ბოლო პერიოდში მოხდა და კარგად შეესატყვისება ჩრდილო კავკასიის ხალხებთან ამ უკანასკნელის ურთიერთობის ხასიათს, მის პოლიტიკას, რომლის მიზანიც იყო საქართველოს ეკონომიკური და პოლიტიკური პოტენციალის აღდგენა-განმტკიცება. ჩვენს დროშიც სოფ. ხორბალოში ცხოვრობენ დაამაშვილები, რომლებიც დუისელი მარგოშვილების ნათესავეები არიან. ქისტების პანკისის ხეობაში დასახლების შესახებ საინტერესოა ზოგი ავტორის, საარქივო და პერიოდული გამოცემების მასალები. მაგ; ცენტრალური კავკასიის მთიელთა ყოფისა და ეკონომიკის განხილვისას მ. მაჩაბელი პანკისელი ქისტების ყოფა-ცხოვრებასაც შეხვო. იგი ქისტებს ორ საზოგადოებად წარმოგვიდგენს: ჯოყოლოსა და ომალოსი. ჯოყოლოს საზოგადოებაში შედიოდა ჯოყოლო და დუისი, ხოლო ომალოს საზოგადოებაში – ომალო, ხორაჯო, მხათანა, ფშავლების სოფ. ყვარელწყალი და სუბუქი. ავტორი ყურადღებას ამახვილებს პანკისის ხეობის მეურნეობრივ, ბუნებრივ და გეოგრაფიულ პირობებზეც; ეხება ქისტების საზოგადოებრივ საძოვრებს, სარწყავ არხებს და სხვ. [38: 328].

შ. გულისაშვილის მოსაზრებით, სოფ. დუისის დამაარსებელი ვინმე ნაიბი დუი იყო. იგი წერს: „...ფშავლების სოფელს ზედ მოსდევს მაჰმადიანი ქისტების სოფელი დუისი. ამთ წინამძღოლს ნაიბს დუის ორმოცდათი წელიწადი იქნება რაც გადმოუსახლებია ვინეი ქისტეთიდან“ ე.ი. 1837 წელს [39]. უნდა აღინიშნოს, რომ დუი დადესტინისა და ჩენეთის არც ნაიბი ყოფილა და არც სოფლის დამაარსებელი. დუის ჯერ ერწოში და შემდეგ ნაფარეულში უცხოვრია. როცა დუი პანკისში მოვიდა, აქ უკვე ქისტების რამდენიმე ოჯახი ყოფილა დასახლებული. დუის ქართული სალაპარაკო ენა კარგად ცოდნია და გარეშე პირებთან ურთიერთობა მხოლოდ მას შეეძლო. ამდენად, ქართველი თავადებიც მას უკავშირდებოდნენ. დუი ნაიბად აღიარეს მხოლოდ მისი სიკვდილის შემდეგ.

იგ. ბუჭურაულის სტატია ეხება ქისტების, დიდო-ლეკების თუშებზე თავდასხმას, ჯოყოლას შემორიგებას, მის სოფ. ჯოყოლოში გადმოსახლებას, სულ მალე უკან დაბრუნებას და მოსახლეების მიერ მის სიკვდილით დასჯას [40: 32-34]. ა. გენკო ინგუშების ყოფა-ცხოვრების აღწერისას იხსენიებს პანკისელ ქისტებსაც და აღნიშნავს: ისინი გადმოსახლებულები არიან საქართველოს მოსაზღვრე ჩენური თემებიდან და სულ რაღაც 100 წლის მანძილზე ქართველების ზეგავლენის ქვეშ მოექცნენ და გახდნენ ორენოვანი. ქართული ენის გავლენის შედეგად მათმა მშობლიურმა ენამ განიცადა ფონეტიკური, მორფოლოგიური და ლექსიკური ცვლილებები [41: 683]. ავტორმა სამართლიანად შენიშნა ქართული ენის გავლენა ქისტურზე. ამჟამად ქისტები წმინდა ჩენურ ენაზე ვერ მეტყველებენ და ყოველ წინადადებაში ერთი ან ორი სიტყვა ქართული ურევია.

ს. ჩხენკლის ნაშრომიც ქისტების პანკისში დასახლებას ეხება. დუი პირველად საცხოვრებლად ერწოში წასულა, იქიდან ნაფარეულში, მაგრამ ეს ადგილები არ მოსწონებია და ბოლოს, დაახლოებით 1826 წელს, პანკისში დასახლებულა. შემდგომ მის ირგვლივ დასახლდნენ ჩენეთიდან გადმოსახ-

ლებული სხვა ქისტებიც. ასე განდა სოფელი დუხის – წერს იგი. იგივე ავტორი ჯოყოლას დასახლების შესახებაც აღნიშნავს: „ჯოყოლა ფუოდოელი ყოფილა, როცა გაიხარდა იგი საქართველოში მოდიოდა და თავს ესხმოდა ხალხს, ართმედა პირუტყვს, ქურდობდა კიდევ. შემდგომ ჯოყოლას შამილთან უკმაყოფილება მოსვლია და ივ. ცისკარიშვილის დახმარებით თიანეთის მაზრის უფროსს ლევან ჩოლოყაშვილს თავის ხალხთან ერთად დაუსახლება იმ ადგილას, სადაც ამჟამად სოფელი ჯოყოლო მდებარეობს“ [42: 234-235].

ს. ჩხენკელი არ ეთანხმება მ. მაჩაბლის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ქისტები პანკისში XIX საუკუნის I ნახევარში დასახლდნენ. თუ ეს სინამდვილეს შეეფერება, უნდა ვიფიქროთ, რომ მ. მაჩაბლის ცნობა შეეხება მხოლოდ ჯოყოლოელებს და ომალოელებს და არა დუხისელებს; რომლებიც ყველა ცნობის მიხედვით დასახლდნენ XIX საუკუნის პირველ მეოთხედში. ცხადია, ჯოყოლოელებზე და ომალოელებზე ადრე. ს. ჩხენკელი ქისტების საქართველოში გადმოსახლების მთავარ მიზეზად სისხლ-მესისხლეობას მიიჩნევს.

სისხლის აღებამ გადმოსახლების საქმეში გარკვეული როლი ითამაშა, მაგრამ მთავარი მაინც ეკონომიკური პირობები იყო. იყო აგრეთვე სხვა ისტორიული და პოლიტიკური მიზეზებიც. მაგალითად, ისლამის მიღების მოწინააღმდეგე მთიელთა ღვენა. ცნობილია, რომ მთიანი შაროსის მცხოვრებნი, რომლებმაც ისლამის მიღება არ ინდომეს, შამილის ბრძანებით კოშკში გამოკეტეს და დაწვეს [43:9]. ამასთანავე, არსებობდა დაწინაურებული მეურნეობის მქონე ოჯახის კონფისკაციის წესი ბეითალ-ვაკაარ – ბეითალმანობა და სხვ. ეს წესი მთაში ვრცელდებოდა ეკონომიკურად ძლიერ ოჯახებზე. საძოვარი სოფლის თემს ეკუთვნოდა და ყველასთვის საერთო იყო. თუ რომელიმე მეურნეს წვრილფეხა და მსხვილფეხა საქონელი გაუმრავლდებოდა და ეს ხელს უშლიდა დანარჩენი მოსახლეობის მეურნეობის განვითარებას, არსებული წესით, სოფლის თავაკები შეიყრებოდნენ და გამოიტანდნენ განაწენს, რომ დაწინაურებული მეურნისთვის ზედმეტი საქონელი ჩამოერთმიათ და გადაენაწილებინათ თანასოფლელებს შორის [43:9]. ამ წესის გამო არაერთმა მთიელმა დატოვა თავისი საცხოვრებელი ადგილი და გადასახლდა მეზობელ მთიელებში – ჩენჭეთის ბარში და საქართველოში.

ბეითალმანობა არსებობდა ქართველებშიც: „ბეითალმანობა მიწის ფეოდალური მფლობელობის პირობებში შემუშავებული ძველი წესი იყო, მამული პატრონისაა, ხოლო ყმა მამულის მჭირავია და პატრონს ამ მამულით ემსახურება“ – აღნიშნავს ნ. ბერძენიშვილი [6: 123, 402-403].

XVIII საუკუნეში ბეითალმანობის წესი მოქმედებდა ქართლშიც. როცა გლეხი კაცი უმეკვიდროდ გარდაიცვლებოდა, ე.ი. თუ მას ვაჟი არ ჰყავდა (ქალი რამდენიც უნდა ჰყოლოდა), მის ცოლსა და ქალიშვილებს ჩამოერთმეოდათ მამული, საქონელი და მშვიერ-ტიტველი, უმოწყალოდ რჩებოდნენ. ისე რომ, უმეკვიდრეო (უვაჟო) გლეხკაცს თვალწინ ედგა მისი ნაჭირნახულების მიტაცებისა და ოჯახის განადგურების საშინელი სურათი. აღნიშნული წესი ქართლში საყოველთაოდ გავრცელდა XVII საუკუნის შუა წლებში, ხოლო XVIII საუკუნის დასაწყისში დაკანონდა, რაც თანდათანობით გავრცელდა კახეთშიც [6: 403] – თუმცა 1749 წელს შედგენილ კახეთის „განწესებაში“ ბეითალმანობის წესი არ დაუკანონებიათ

და აღუდგენიათ ძველი წესი, რომლის მიხედვით, „გლეხი ქვრივისა და ქალების უშვლება გარდაცვალებული ქმრისა და მამის ნაჭირნახულევზე აღიარებულია“. ამჟღად დროს ბეთაღლმანობა ამოკვეთა თავის სამყაროში ალავერდის ეპისკოპოსმა ნიკოლოზმა [6:] ისე რომ, კახეთის სოფლებში ბეთაღლმანობის ქართლური წესი არ იქნა დაშვებული. ჩანს, რომ ქართულ ბეთაღლმანობასა და ვეინახურ ბეთაღლ-ვაჭარ-ს შორის გარკვეული იდენტურობა არსებობდა. ქართლში და კახეთში აღნიშნული წესი ვრცელდებოდა უძეოდ დარჩენილი ოჯახის ქონებაზე, ხოლო ჩვენეთში ეკონომიკურად დაწინაურებულ მეურნეზე (ბევრი პირუტყვის მქონე ოჯახზე). ისე რომ, ბეთაღლმანობა ორივეგან ქონებრივ უფლებებთან იყო დაკავშირებული. ტერმინი ბეთაღლმანობა – „ბეთ-აღლ-მალ“ არაბული სიტყვაა და ნიშნავს ხაზინას, ქონებას, ქონების კონფისკაციას.

ს. ტოკარევი აღნიშნავს, რომ ჩვენები და ინგუშები, პანკისის ქისტების ჩათვლით, ერთ და წარმოშობით მონათესავე ხალხია. მათი ენა პატარა ტომის წოვა-თუშების ენასთან ერთად იბერიულ-კავკასიურ ჯგუფში შედის [44: 242].

ქისტები ჩვენური ენის ქისტურ დიალექტზე მეტყველებენ, მათი ენა არც ერთ ენას არ წააგავს, თუმცა ცოტა მსგავსება აქვს წოვა-თუშურ ენასთან. ზოგი სიტყვა ემთხვევა, მაგრამ, თუ კარგად არ დაუგდო ყური და არ დააკვირდა, ქისტი წოვა-თუშის ლაპარაკს ვერ იგებს. იშვიათად, რომ ქისტმა ენის წვერითა და ტუნებით თქვას სიტყვა. იგი სულ ყელში ლაპარაკობს. უცხო კაცისთვის შესასწავლად ძნელი ენაა, ამასთან – დარიბიც – ერთ სიტყვას რამდენიმე მნიშვნელობა აქვს და ლაპარაკის დროს შინაარსი აზრით უნდა გაიგო. მაგ., „კო“ ნიშნავს სამს და სასუქს, „შინარ“ – მოზვერს და სამშაბათს, „კიერ“ – ქვას და ეშინია და სხვა.

მ. ალბუთაშვილს სწორედ აქვს შემწეული სხვაობა ქისტურ და წოვათუშურ ენებს შორის. წოვა-თუშური ენა უფრო ლამაზია, საუბრის დროს სიტყვები მოკლედ გამოითქმება და ენის წვერზე წარმოთქმული ერთნაირი სიტყვები ყელში მოსაუბრე ქისტისთვის გაუგებრად უდერს. ისე რომ, ჩვეულებრივი საუბრის დროს წოვათუშში ქისტურს ვერ იგებს და ვერც ქისტი, ჩენენი და ინგუში იგებს წოვა-თუშურს.

ივანე ჯავახიშვილი წერდა: „თავდაპირველად ქართული და ე.წ. კავკასიური ენები ერთი და იმავე ბუნებისა და უმჭიდროესად მონათესავე ენები ყოფილა და... შემდეგში, სხვადასხვა მიზეზის გამო დროთა განმავლობაში დაპშორებიან ერთმანეთს და სამ-ხუთ დიდ მთავარ ენათა ჯგუფებად ქცეულან“ [1: XIII]. ამ ენებში ერთ-ერთია ჩვენურ-ინგუშური, რომელთაც, როგორც ზემოთაც აღინიშნა, XX საუკუნის 20-იან წლებამდე დამწერლობა არ ჰქონდათ.

ს. მაკალათიას მონაცემებით, „...ძუძუთა ტომების საქართველოში გადმოსახლების ეს პროცესი XIX საუკუნემდე გრძელდებოდა, როდესაც მათი მონათესავე ქისტები პანკისის ხეობაში გადმოსახლდნენ და აქ 1860-იანი წლებიდან გაშენდა მათი სოფლები: პანკისი, დუისი, ომალო და ჯოყლო“ [21: 20].

უნდა შევნიშნოთ, რომ მიგრაციულ პროცესებს ადგილი ექნებოდა საუკუნეების განმავლობაში, რისი დასტურებაცაა აღმოსავლეთ საქართველოს მთიელებში გაფანტულად მაცხოვრებელი ქისტური წარმომავლობის გვარები. რაც შეეხება პანკისის ხეობას, აქ მათი დასახლება დაიწყო XIX საუკუნის 30-იან წლებიდან და დამთავრდა 1856–1860-იან წლებში [45: 26]. თითო-ორი ოჯახის ჩამოსახლება

ხდებოდა მეორე მსოფლიო ომამდეც. ს. მაკალათიას მიერ დასახელებული სოფ. პანკისი, როგორც დასახლების ერთეული, პანკისის ხეობაში ჩვენს დროში არ არსებობს, მაგრამ, გადმოცემით, იგი მდებარეობდა სოფელ დუისისა და კუწახტას შუა – მდინარე ალაზნის სანაპიროზე. როგორც ითქვა, პანკისი ისტორიულადაც და დღეისაც მთელი ხეობის სახელია.

არსებობს მეფე ერეკლეს მიერ 1787 წელს გაცემული სხვა საბუთიც, რომელშიც აღნიშნულია, რომ „თუშებმა ცხვარი დააყენოს ღოპოტის ხეობაში, პანკისში და ალვანში. თუ ამ სამ ალაგას არ მოთავსდება მათი ცხვარი, მაშინ დააყენონ კახეთის სოფლების ბოლოებში ორ-ორი ფარა... ფშაველები პანკისზე რომ ედავებიან, მათ იქ საქმე არ აქვთ. იგი თუშებისაა“. აღნიშნული შინაარსის საბუთი მიიღეს წოვა-თუშებმა თათომ, ფოცხვერიმ და ივანემ [11].

საყურადღებოა საარქივო ფონდებში დაცული მასალები; თავადი ჯამბაკურ ორბელიანი მიმართავს კავკასიის მეფის ნაცვალ ვორონცოვს: „ჩვენს მიმართ მტრულად განწყობილ მთიელებისაგან მშვიდობიანობის უზრუნველ-საყოფად პანკისის ხეობაში მდებარე მიწა ბრძანეთ გადმომეცეს მე სამუდამო მფლობელობაში. ხეობაში ჩემი 100 კომლი გლეხის დასახლებით მახლობელ კახეთის სოფლებს შეუქმნიან სიმშვიდეს. სახაზინო მიწები დაუსახლებელია და არაეთარო სარგებლობა არ მოაქვს“ [46]. ჯ. ორბელიანის თხოვნას მხარს უჭერს თიანეთის მაზრის უფროსი თავადი ჩოლოყაშვილი. იგი თავის მხრიდანაც შუამდგომლობით მიმართავს მეფის ნაცვალ ვორონცოვს, რომ თავად ჯამბაკურ ორბელიანის 100 კომლი გლეხის პანკისში დასახლებით მძარცველებს გადაეკეტებათ ამ ხეობით კახეთში გასასვლელი გზა. იმ შემთხვევაში, თუ ახალმა მოსახლეობამ დაიკავა თუშებისათვის მოცემული ადგილის ნაწილი, სამაგიეროდ ამისა მათ უნდა მიეცეს იმავე რაოდენობის ტყე [46: 5].

საბუთი საინტერესოა რამდენიმე თვალსაზრისით: ჯერ ერთი, ლეკთა თარეში ძალიან აწუხებდა კახეთს, მეორეც, 1849 წელს პანკისის ხეობა ნაკლებად დასახლებულია და მისი ძირითადი სიმდიდრე ტყე ყოფილა.

ვორონცოვი თავად ჩოლოყაშვილს შემდეგ პასუხს აძლევს: „...თქვენი თხოვნის დაკმაყოფილება ჩემს მხრიდან შეუძლებელია, რადგან ეს ეხება თუშ-ფშავე-ხევისურეთის ოლქში მდ. ალაზნის დინების გასწვრივ, პანკისის ხეობის მიწის ჯამბაკურ ორბელიანის მფლობელობაში გადაცემას. აცნობეთ მას, რომ აღნიშნული ხეობა თუშების სარგებლობაშია“ [46: 30].

მეფის ნაცვალი არ აკმაყოფილებს ჯამბაკურ ორბელიანის თხოვნას და ხელს უწყობს ამ ტერიტორიაზე კავკასიის მთიელების – ქისტების მეტი რაოდენობით ჩამოსახლებას. ამას მოწმობს ივ. ბუჭურაულის ცნობა, სადაც აღნიშნულია, რომ პანკისის ხეობაში დასახლებული ქისტების ერთმა ჯგუფმა, ჩვენთვის უცნობი მიზეზის გამო, მოისურვა სამშობლოში დაბრუნება, მაგრამ მეფის მთავრობამ თუშების საშუალებით დააბრუნა ისინი უკან და ხელმეორედ დაასახლა პანკისის ხეობაში [40: 34].

ამას ადასტურებს საარქივო მონაცემებიც: „გადმოსახლებულ ქისტთაგან ერთი სოფელი (ჯოყოლო – ღმ.) უკან წასულა, გამოეკიდა კაპიტან ივანე ელიზბარიძე თავისი სოტნით და სხვა თუშები, დაეწინენ ქონადალაში. მათ შორის მომხდარ სროლაში დაიჭრა კაპიტან ელიზბარიძე, რომელიც მეორე დღეს

გარდაიცვალა“ [47: №11320, 27]. თუშები მესამედ გაემგზავრნენ ჩენეთში და მშვიდობიანი გზით გამოიყვანეს ქისტები პანკისის ხეობაში [40: 33].

პანკისის ხეობის დაუსახლებელ ადგილ-მამულზე დავა ჩამოვარდა როგორც თუშებსა და ფშაველებს, ასევე თუშებსა და ქისტებს შორისაც. ამ შემთხვევაში საინტერესოა 1854 წელს შედგენილი საბუთი, რომელიც ეხება მაისტის საზოგადოებიდან ჯოყოლა დარქიზანაშვილის მიერ გადმოყვანილი 54 ოჯახის თუშ-ფშა-ხევსურეთის ოლქის ნებისმიერ სახელმწიფო ან საეკლესიო მიწაზე დასახლებას. ამ მიზნით ადგილის შეთვალერება დაეკალა ფშა-ხევსურეთის საუბნო მდივანს ბოგანოვს. თავის განკარგულებაში არსებული ადგილების დათვალერების შემდეგ მან შესთავაზა სოფ. ზენამხარი. ამის შემდეგ თუშ-ფშა-ხევსურეთის ოლქის უფროსმა აუწყა თბილისის სამხედრო გუბერნატორს, რომ სოფ. ზენამხარში დასახლებულია ეკლესიის გლეხები - სისაურების 13 ოჯახი და ადრე გადმოსახლებული ქისტების 7 ოჯახი. სისაურების სხვაგან გადაყვანა შეიძლება და სოფელ ზენამხარის მიწები ქისტებისთვის საკმარისი იქნება. ახლოვდება ზამთარი, ოჯახის წევრები და მსხვილფეხა საქონელი თავშესაფარის გარეშე ამოწყდება [47:]. ამის წინააღმდეგ წავიდა თბილისის სახელმწიფო სასაქონლო ექსპედიციის მმართველი. იგი თბილისის სამხედრო გუბერნატორისთვის მიწერილ მიმართვაში აღნიშნავდა: „თუშ-ფშა-ხევსურეთის ოლქის უფროსის მიერ დასახლებულ ადგილზე სოფ. ზენამხარში, ადგილობრივი მოსახლეობის შევიწროების გარეშე ქისტების დასახლება შეუძლებელია. მათი დასახლება შეიძლება თიანეთის ახლოს სხვადასხვა სოფლებში. ნუ ელოდებით ექსპედიციისაგან სხვა გადაწყვეტილებას, გაცეთ ბრძანება, რომ აღნიშნულის მიხედვით მოხდეს მათი დასახლება“ [47:].

საბუთიდან ჩანს, რომ სახელმწიფო სასაქონლო ექსპედიციის მმართველი წინააღმდეგვია კომპაქტურად დაასახლოს 54 კომლი და ითხოვს ისინი სხვადასხვა სოფლებში გაყვანტულად ჩაასახლონ. თიანეთის მაზრის უფროსმა თავადმა ჩოლოყაშვილმა თხოვნით მიმართა თბილისის სამხედრო გუბერნატორის მოვალეობის შემსრულებელს (სამოქალაქო ნაწილში) პოლკოვნიკ მიხეილ კოლეუბაიკინს, რომ სოფელ ზენამხარში ადრე გადმოსახლებული 7 კომლი ქისტები ცხოვრობენ და იქ 54 კომლის ჩამოსახლების შესაძლებლობა არ არის. თავად ჩოლოყაშვილის თხოვნა სამართლიანად მიიჩნია №2 მაგიდის ვიცე-გუბერნატორმა და 1855 წლის 20 იანვარს მიმართა სახელმწიფო სასაქონლო ექსპედიციის მმართველს, რომ საჭიროა ქისტების ერთ ადგილას დასახლება, რათა ადგილობრივმა უფროსმა მათ ზედამხედველობა იოლად გაუწიოს. სახელმწიფოს მიერ ისინი მიღებული არიან პოლიტიკური თვალსაზრისით [47: 6-7].

1855 წლის 14 თებერვალს თავადმა ჩოლოყაშვილმა „რაპორტით“ მიმართა თბილისის სამხედრო გუბერნატორს, გენერალ-ლეიტენანტ ანდრონიკოვს, რომ სახელმწიფო სასაქონლო ექსპედიცია აგვიანებს ახალმიღებული ქისტი მოსახლეობისათვის მიწის გამოყოფის საკითხს, რის გამოც მის დროულად დამუშავებას ვერ შესძლებენ. საბუთის მიხედვით, პირველი მოსავლის აღებად იხინი სახელმწიფო კმაყოფაზე არიან. იმავე წლის 22 თებერვალს შედგენილი საბუთის თანახმად, 54 კომლი ქისტების დასახლებელი სოფ. ზენამხარის ეკლესიის მიწის დასათვალერებლად თიანეთის მაზრაში მიაველინეს მიწისმზომელი გ. ვიგურო,

მაგრამ იქ მყოფ ქისტების თავიანთი გაუგია პანკისის ხეობაში მცხოვრები მისი მისი საზოგადოებიდან გადმოსახლებული ქისტების შესახებ და თხოვეს მათი პანკისის ხეობაში დასახლება. თავადმა ჩოლოყაშვილმა სამართლიანად ცნო მათი მოთხოვნა და მიწისმზომელ გ. ვიგურთან ერთად გაემგზავრა პანკისის ხეობაში. საბუთიდან ჩანს, რომ ამ დროისათვის აღნიშნულ ხეობაში ქისტები უკვე ცხოვრობდნენ და მათ უწოდეს პირველი მშვიდობიანი დასახლება. მიწისმზომელ გ. ვიგურისა და თავად ჩოლოყაშვილის მიერ 54 კომლი ქისტის დასახლებლად ადგილი გამოყოფილი იქნა პირველ მშვიდობიანი დასახლებასთან ახლოს, რის შესახებაც შედგა აქტი, სადაც ნაჩვენებია სამ-ოთხმხრივი საზღვარი. ამ ადგილს ეწოდა – „ქისტების მეორე მშვიდობიანი დასახლება“. აღნიშნულის შესახებ აცნობის ტვილისის სამხედრო გუბერნატორს და სამოქალაქო ნაწილის მმართველს.

ამასთანავე, თავადმა მათ აცნობა პირველი მშვიდობიანი სოფლის შესახებ, რომელიც დასახლდა 1848 წელს. ის არც აღრიცხული იყო სადმე და არც შესული საგადასახადო სისტემაში [47:692].

როგორც საბუთიდან ირკვევა, თიანეთის მაზრის ადგილობრივ ხელმძღვანელობას პანკისის ხეობის ბალთაგორის მიდამოებში პირველად დასახლებული რამდენიმე კომლი და შემდეგ (როგორც საბუთში იხსენება 1848 წ.) დასახლებული 32 კომლი აღრიცხული არ ყოლიათ. ახალ გადმოსახლებული (1854 წ.) მოსახლეობისთვის ადგილის ძებნის დროსაც მათ მხედველობიდან გამოჩნათ აქ მცხოვრები ქისტები. 1855 წლის 19 მაისს კავკასიის მეფისნაცვალ გენერალ-ადიუტანტი მურავიოვი თბილისის სამხედრო გუბერნატორს მიმართავს: „მე უფლებას გაძლევთ უდრეკი, ქედმოუხრელი, მისი მისი საზოგადოებიდან 1854 წელს პანკისის ხეობაში სახელმწიფო მიწაზე დასახლებული და იქვე მცხოვრები პირველი მშვიდობიანი სოფელი განთავისუფლებულ იქნეს სახელმწიფო გადასახადისაგან... სანამ თუშ-ფშაუ-ხვისურეთის მთიანეთის მოსახლეობა არ შევლენ საგადასახადო სისტემაში“ [47:]. ამის შესახებ თიანეთის მაზრის უფროსმა აცნობა პანკისის ქისტებს. სახელმწიფო კმაყოფაზე აყვანილი მეორე მშვიდობიანი დასახლების ყოველ სრულწლოვანს დაენიშნა ჯარისკაცის ნორმა, ხოლო მცირეწლოვანს – მისი ნახევარი [47:]. ჩანს, რომ მოსახლეობას გასჭირვებია სახელმწიფო კმაყოფაზე ცხოვრება და უკან სამშობლოში დაბრუნება გადაუწყვეტია. საარტიყო საბუთების მიხედვით, 54 ოჯახიდან უკან დაბრუნებულა 34. მათთვის შეუთავაზებიათ დასახლება თიანეთის მაზრის სხვადასხვა სოფელში: ოთხი ოჯახი – ლიშოში, ხუთი – ჩაბანოში, სამი – თეგერაანებში, თხუთმეტი – ზარიძეებში, ორი – დულუხაურებში, სამი – კვერნაულში, მაგრამ მოსახლეობას ისევ პანკისში დაბრუნება უთხოვია და გენერალ მურავიოვს მკაცრად გაუფრთხილებია, რომ თუ განმეორებით აიყრებოდნენ, მათ ახალციხის ან ალექსანდრეპოლის მაზრაში გადასახლებდნენ [47:]. როგორც ჩანს, აღნიშნულ ადგილებში მოსახლეობას ასახლებდნენ დაუმორჩილებლობის შემთხვევაში. ამავე ფონდში ინახება თუშების (ოთხივე საზოგადოების) საჩივარი, რომლებიც თხოვლობდნენ პანკისის ხეობაში მცხოვრები ქისტების სხვაგან გადასახლებას იმ მოტივით, რომ მათ ერთმანეთთან შეტაკების დროს მოკლეს კაპიტანი ელიზბარიძე და ორიც სხვა თუში. საჩივარს ხელს აწერს თათარა თავბერაშვილი. საჩივარს პასუხი არ ახლავს.

საინტერესოა რ. თოფჩიშვილის ცნობა, რომლის მიხედვით ქისტები გველეთიდან ახალციხისა და ახალქალაქის მაზრის სხვადასხვა სოფლებში (1890 წ.) გადაასახლეს. ახალციხის მაზრაში: ხუთი ოჯახი - არდახში, სამი - ვანში, სამი - გურბაგაოღღში, ხუთი - ნიალაში, შვიდი - არყისციხეში, სამი დიდ-ვარნეთში და სამი ოჯახი - ენთელში, ახალქალაქის მაზრაში: ფართხანაში - ოთხი კომლი და ყაურმაში - სამი, მაგრამ ისინი იქ დიდხანს არ გაჩერებულან და 1895-1900 წლებში თერგის ოლქში გადასულან [48:44]. ფაქტია, რომ მეფის მოხელეები მოსახლეობას დაფანტულად ასახლებდნენ სხვადასხვა მხარეში. ანალოგიური სიტუაცია იყო ქისტების თიანეთის მაზრაში ჩასახლების დროსაც. პანკისელ ქისტებს აფრთხილებდნენ, რომ ხეობიდან აყრის შემთხვევაში მათ გადაასახლებდნენ ახალციხის ან ალექსანდრეპოლის მაზრაში.

1854 წელს თიანეთის მაზრაში მაისტის საზოგადოებიდან მიღებული 54 კომლი, მათივე თხოვნით, 1855 წელს დაუსახლებიათ პანკისის ხეობაში. მათ გამოუყვეს სახნავე, სათიბი და საძოვარი ადგილები. დასახლებას ჯოყოლო უწოდეს. ჯოყოლას დაღატით მოკვლის შემდეგ ქისტებმა უკან წასვლა დააპირეს, მაგრამ, როგორც ითქვა, ხელისუფლებამ ისევ დააბრუნა იგივე საბუთის მიხედვით, 1856 წელს ისინი ხელმეორედ აყრილან, მაგრამ უკვე მთას შეკიდებულ 54 ოჯახს მილიცია დასწვევია და უკან დაუბრუნებია. ამ პერიოდში მათ არ ჰქონდათ არანაირი მეურნეობა და ცხოვრობდნენ ძალიან დარბად [23]. პურის უქონლობის გამო მათი ნაწილი გაიფანტა თიანეთის მაზრის სხვადასხვა სოფლებში. ცნობილია, რომ თუშ-ფშაუ-ხევსურეთის ოლქის უფროსმა თხოვნით მიმართა თბილისის სახელმწიფო ქონების სამმართველოს, რათა გაჭირვებაში ჩავარდნილი ქისტი ოჯახებისთვის გამოეყოთ ხორბალი და საარსებო სახსრები [47:]. 1855 წელს ჯოყოლას მამის დერქიზანას თაოსნობით ხუთი კაცი გაემგზავრა თბილისში გაჭირვებაში ჩავარდნილი ქისტებისთვის დახმარების სათხოვნელად. იმხანად გახშირდა ბავშვთა სიკვდილიანობა ეპიდემიის შედეგად. სოფლებში (მატან-მარელისი, ახმეტა, ომალო, ჯოყოლო) გაჩნდა ყივანახველა, 286 ავადმყოფი ბავშვიდან გარდაიცვალა 30.

როგორც ჩანს, ომალო ჯოყოლოზე ადრინდელი სოფელია, სადაც დასახლდნენ ქისტეთიდან დიდი ხნის წინ თუშეთში გადმოსახლებული და ერთხანს იქ მაცხოვრებელი ქისტები. ისინი, თუშების მსგავსად, მართლმადიდებლები იყვნენ და ომალოს ტერიტორიაზე გაითავისეს ძველი მოსახლეობის მიერ მიტოვებული საღვთაგებობები: წმინდა გიორგი, ღვთისმშობელი (თუშოლი), კიპალი და სხვ., რომლებიც შემოინახა ჩვენს დრომდე და წმინდა ადგილებად ითვლებდა. 1854 წელს, როდესაც პანკისის ხეობაში ჯოყოლოელების დასახლებლად ადგილს არჩევდნენ, ომალოში მკვიდრი მოსახლეობა უკვე ცხოვრობდა. მათ ჰქონდათ 1000 ჰა სახნავ-სათესი სავარგული და ეწეოდნენ მეურნეობას. 1858 წელს ქისტების 75 ოჯახის ომალოში დასახლების საკითხი წამოიჭრა. ამავე წელს კი, სოფ. ალვანიდან ომალოში გადმოსახლეს ქისტების 37 ოჯახი, ხოლო 40 ოჯახის ჩასახლება გამიზნული იყო შემდეგი წლის გაზაფხულისათვის [23].

ხვდით დასახლებული ავტორების (შ. გულისაშვილი, ივ. ბუჭურაული, ს. ჩხეკელი და სხვ.) მოსაზრება, თითქოს სოფ. დუისის დამაარსებელი იყო შამილის ყოფილი ნაიბი დუი, რომელიც მასთან უთანხმოების შედეგად გადმო-

სახლდა პანკისში, არასწორად გვეჩვენება, რადგან დუის მოსვლამდე პანკისში ბალთაგორის მიდამოებში პირველად დასახლებულან ძეითა და დაქა (ქვემოთა უბნის) მარგოშვილები, რომლებიც (ადრე გადმოსახლებულნი) თიანეთის მაზრის სოფ. ჩაბანოში ცხოვრობდნენ. ნადირობის მოყვარული ორი ძმა წამოსულა ჩაბანოდან და ხვეისჭაღით გადმოსულა პანკისის ხეობაში. ამ დროს იგი წაბლის, მუხის, ტყემლის, პანტა-მაქალოს ტყედაქცეული, დაუსახლებელი ადგილი ყოფილა. ძმებს ეს ადგილი საცხოვრებლად მოსწონებოდათ და თავიანთი ოჯახებით გადმოსახლებულან ბალთაგორის ძირში. ჩაბანოში მცხოვრებ სხვა ქისტებთან ურთიერთობაც არ შეუწყვეტილათ. აქვე ახლოს მდგარა ფშაველი თათარა ცხვირა-შვილის დროებითი ქოხი. იგი იქ დორებს ინახავდა. ამ ადგილს დუისელები დღესაც თათარას ნაბინავარს „თათარ-ნაქდარს“ უწოდებენ. როცა ძეითა და დაქა იქ დაბინავდნენ, თათარას დღევანდელი ყვარულწყლის ტერიტორიაზე (შარაგზის პირას) გაუკეთებია სიბი ქვის ოთხკუთხედი ბურჯი ანუ ფუძე სახლის, ზედ დაუდგამს ფიცრული ოთახი და გამოსულა კოშკის მაგვარი სახლი, რომლის სახელი შემდგომში სოფელმაც მიიღო. კოშკის ფორმა თათარამ თავის სახლს მისცა შიშაინობის გამო. შემდგომ „ფშაველიან თათარას ძმა ჩამოუსახლდა, ძმას მისი წული, წულს სხვა ნათესავი“ და ასე ნელ-ნელა გაშენდა სოფელი კოშკები ანუ ყვარულწყალი. ქისტები მას კვე შკი ე-ს უწოდებენ. პირველ ხანებში ამ ხეობაში ქისტების სამ-ოთხ ოჯახს უცხოვრია ყოველგვარი ადრიცხვის გარეშე [43].

ღმ. ალბუთაშვილიც აღნიშნავს, რომ ქისტებმა პირველად ამ ხეობაში ბინა ბალთაგორაზე დაიდეს. შემდგომ, როცა რიცხობრივად იმატეს, ეს ადგილი ევეწროვათ და გადასახლდნენ მდ. ალაზნის სანაპიროზე, წმ. ნიკოლოზის ეკლესიასთან. ქისტები ამ ძეგლს მაისტალას უწოდებდნენ. ანალოგიური ძეგლი ქისტებს თავიანთ სამშობლოშიც ჰქონდათ. დაქა და ძეითა, როგორც ითქვა, სოფ. დუისის ქვედა მარგოშვილების წინაპრები არიან, რომლებიც პირიქითი ქისტების ითონხალის რაიონის გეზახოს თემს განეკუთვნებიან. ისინი სისხლ-მესისხლეობის გამო გამორიდებიან თავიანთ სამშობლოს და დასახლებულან სოფ. ჩაბანოში, ხოლო აქედან კი - პანკისის ხეობაში. უ. მარგოშვილის მიერ დაქას შვილთაშვილისაგან მოპოვებული მასალისა და მათი ოჯახის გენეოლოგიის სხვა გვერდებთან შედარებით, ქვედა მარგოშვილებს გაცილებით მეტი ხნის ისტორია აქვთ პანკისში ცხოვრების, ვიდრე დანარჩენ გვარებს.

დუი ციციხაშვილი (ხანგოშვილი) მისტიის საზოგადოებიდან ყოფილა. იგი პანკისის ხეობაში მოვიდა მაშინ, როცა სოფ. პანკისში რამდენიმე კომლი ქისტი უკვე ცხოვრობდა. არსებული მონაცემების მიხედვით დუის თავიდან ნავარეულში უცხოვრია და შემდგომ გადმოსახლებულა პანკისში, რაზეც მიუთითებს ს. ჩხენკელის მონაცემებიც. როგორც უკვე აღვნიშნეთ, როდესაც დუი პანკისში მოვიდა, მას ქართული ხალაპარაკო ენა კარგად სცოდნია და ხშირი ურთიერთობა ჰქონია ქართველ მოსახლეობასთანაც. რაც შეეხება მისი შამილის ნაიბობას აქ კი გაუგებრობას აქვს ადგილი. როგორც ჩანს, დუის გარდაცვალების შემდეგ მისმა შვილმა იდამ არასწორი ცნობა მიაწოდა დაინტერესებულ პირებს, თითქოს შამილის ყოფილი ნაიბი დუევი, ჩეჩენი (ძუმსოის საზოგადოებიდან), რომელიც შამილთან უთანხმოების გამო წამოსული რამდენიმე ხანს თავს აფარებდა პანკისს, თითქოს მისი მამა იყო. იღას მიერ 1857 წელს თუშ-ფშავე-ხევისურეთის უფროსთან

გაგზავნილი თხოვნის მიხედვით, დუი გარდაიცვალა 1856 წელს. თხოვნაში იგი წერს: „მამა ჩემი დუი მეფის წინაშე დამსახურებული იყო. გარდაცვალების ოჯახი მიმე მატერიალურ პირობებში იძულებულია“ და სთხოვს გაუწიოს დახმარება. უფროსი თხოვნას ადებს რეზოლუციას: „...ვინაიდან დუის მთავრობის წინაშე დამსახურების დამამტკიცებელი საბუთი არ აღმოჩნდა, მის შვილს იდას დახმარებაზე უარი ეთქვას“. იდამ ხელმეორედ გაგზავნა თხოვნა დახმარების შესახებ, რომელზედაც ხელს აწერდნენ სოფელ ჯოყოლოსა და ომალოს მამასახლისები, ადგილობრივი სამართლის „ჭიქელ ხოი“ ჯგუფი და სხვა შერჩეული პირები, სულ 48 კაცი, მაგრამ ამაზეც უარი მიიღო: „ჩვენ ხელმეორედ მოვახდინეთ გადამოწმება იმ პასუხისა, რომელიც თქვენ მიღებული გაქვთ გასულ წელს. მამა თქვენის დუის მეფის წინაშე დამსახურება, მისი შამილისგან განდგომა და რუსეთის მხარეზე გადასვლა არ დადგინდა“ [49].

დუი ნამდვილად 1856 წელს გარდაიცვალა. იგი დასაფლავებული ყოფილა მდ. ალაზნის სანაპიროზე – ძველ სასაფლაოზე. იმის გამო, რომ ეს სასაფლაო ადიდებულ ალაზნის თანდათანობით მიჰქონდა, იდას გარდაცვალების შემდეგ მის ნეშტთან ერთად დუის ნეშტიც გადაიტანეს სოფელ დუისის მეორე სასაფლაოზე. გახ. „ივერიაში“ გამოქვეყნებული ცნობის მიხედვით, იდა გარდაიცვალა 1901 წელს – მამის სიკვდილიდან 45 წლის შემდეგ [50].

როგორც ჩანს, დუის ნაიბობა მისი შამილისგან განდგომა და რუსეთის მხარეზე გადასვლა არ დადგინდა, მაგრამ პანკისში გადმოსახლების შემდეგ იგი თიანეთის მაზრის ხელმძღვანელებმა სანდო პირად მიიღეს. უ. მარგოშვილის მონაცემებით, დუი ციცხაშვილი (ხანგოშვილი), მახმადა მარგოშვილი (უსუფის პაპა), ციო მარგოშვილი (ფოცოს მამა), დუხა ბადაკაშვილი (ვაათას მამა), ითი ქავთარაშვილი (საის მამა), როგორც გზების კარგი მცოდნეები, თიანეთის მაზრის ხელმძღვანელებმა გაგზავნეს თუშებისა და რუსეთის რაზმთან ერთად შამილის წინააღმდეგ საბრძოლველად პანკისის ხეობით. მ. მარგოშვილი ბრძოლაში დაიღუპა, დასაფლავებულია ვოობაში (თუშეთი), ხოლო დუი, დუხა, ციო და ითი დაბრუნდნენ სახლებში. უმამოდ დარჩენილ მახმადას ცოლშვილს მაშინდელმა მთავრობამ დაუნიშნა პენსია სამი თუმანი (ე.ი. ოქროს სამი მან.). დუი დააჯილდოეს ხმლით და აირჩიეს სოფელ პანკისის (დღევანდელი დუისი) მამასახლისად, ხოლო დუხას, ციოსა და ითის ანუქეს მამული [43:]. დუის სიკვდილის შემდეგ სოფელ პანკისს უწოდეს მისი სახელი დუი-სოფელი ანუ დუისი. მისმა შთამომავლობამ კი რეჟოლუციის შემდგომ პერიოდში გვარი ხანგოშვილი გადაიკეთეს დუიშვილად. ამით ხანგოშვილებსა და დუიშვილებს ნათესაური კავშირი არ გაუწყვეტიათ. ისინი, როგორც ერთი ოჯახის განაჩარნი, ნათესაებად – მოგვარებდად ითვლებოდნენ და მათ შორის სისხლის აღრევა აკბალულია. მათივე მოგვარებდად ითვლებიან აგრეთვე აღდამოვებიც, რომლებიც ჭირსა და ღვინის მათთან ერთად იყოფდნენ.

რაც შეეხება სოფელ ჯოყოლოს, იგი დუისთან შედარებით უფრო მოვიანო დასახლებაა. მისი სახელწოდება ნამდვილად კონკრეტული ადამიანის სახელია. იგი პანკისში გადმოსახლებამდე მეკობრედ დადიოდა. იტაცებდა საქონელს და დიდ ზიანს აყენებდა მეზობელ მთიელებს, რაც ხეშობაც აღინიშნა. მ. აღბუთაშვილი წერს: „რომელ თუშს არ ახსოვს ქისტო ჯოყოლას ოინები, მის მიერ გადარეკილი

ქართული ენის ლექსები და სხვა წიგნები, რომლებიც მისი ხელნაწილია“ [51].

ცხვრის ფარები, საქონლისა და ცხენის ჯოგი. მთიდან არაერთ მწყემსს ჩამოუვლია ცარიელი ჯოხით – ქისტებმა ცხვარი გაგვიტაცესო“ [16: 17].

ჯოყოლა თავის თანამემამულეებთან ერთად ალაზნის თავში თუშეთის მოურავ ივ. ცისკარიშვილთან მისულა, ძმობა შეუფიცია და დახმარება უთხოვია საქართველოში ჩამოსახლების თაობაზე. ივანეს შუამავლობა გაუწევია თიანეთის მაზრის უფროსთან და ჯოყოლა თავის ხალხთან ერთად დაუსახლებია პანკისის ხეობაში. ამ დასახლებას „მეორე მშვიდობიანი დასახლება“ ეწოდა, სოფელს – კი ჯოყოლო. ქისტები „ტუგაი-იურთ“-ს უწოდებენ, გამომდინარე მათი წინარე სოფელ „ტუგაი“-დან.

ჯოყოლასთან დაკავშირებით არსებობს სხვა გადმოცემაც – თითქოს, პანკისიდან უკან დაბრუნებული ჯოყოლა თავის მეგობარ ხევსურთან ერთად წასულა დაღესტანში და იქ დაღატოთ ჩამოუხრჩვიათ ორივენი. ჯოყოლას ჰყავდა ორი ქალიშვილი და ერთი ვაჟიშვილი (თოიგა, ხურხუსქა და წინთუა). წინთუას ჰყავდა ერთი ვაჟი – ხეიტი, რომელიც უშვილოდ გარდაიცვალა. ხურხუსაც შვილი არ ჰყოლია. თოიგას ხუთი გოგო და ორი ვაჟი ჰყავდა (დეთი, ფუწურ, ხაალ, ბაი, დეი, ფასქოშა და ვუაგაგ). ბაი, დეი და ფასქოშა საქართველოში წამოსულან, ხოლო დანარჩენები მაისთში დარჩენილან. ფასქოშას შვილი იყო დაადეი ბორჩაშვილი. ბაის ჰყავდა ინად და სუნგაი, ხოლო დეის შვილები იყვნენ ქექა და ექა ხანგოშვილები. ჯოყოლა ბიჭის მხრიდან არ გამრავლდა, ქალიშვილების მხრიდან ჩვენს დროშიც მრავლდებიან. ჯოყოლას მეუღლე ადო მარგოშვილის მამიდა ყოფილა და აქედან მოდიოდა დაადეის, ბაის, დეის და მათი შვილების ნათესაობა ადოს ჩამომავლობასთან (კოსტა, საი, აბაი, დიბაი, უსუფა და მათ შვილებთან, რომლებსაც მათთან ნათესობა დღესაც აკავშირებს). აღსანიშნავია ისიც, რომ ჯოყოლას შვილისშვილები – ბაი და დეი სამათხოვროდ მისულ ლექებს სააყ – სამწყალოდღოს არ აძლევდნენ იმის გამო, რომ სახრნობელაზე ჩამოკიდებულ ჯოყოლასათვის სკამი ლექს გამოუცვლია. ჯოყოლას მამა დერქიხანა იყო, რომლის სახელი საარქივო მონაცემებშიც იხსენიება. იგი შვილთან ერთად წამოვიდა ჩეჩნეთის მთიანეთიდან და შეიღის დაბრუნების შემდეგ მზრუნველობას უწევდა გადმოსახლებულ ხალხს. დარქიხანას მამას ნაცი ერქვა და აქედან დაუშვიდრდათ მათ გვარი ნაციშვილი. ამ გვარის გამაგრებლები არიან სოფელ დუისისა და ჯოყოლოს ნაციშვილები [34: 5-6].

არსებობს გადმოცემა, რომ წარსულში, ჯოყოლას გადმოსახლებამდე, პანკისში ცხოვრობდნენ სოფელ ფუადიდან და ჯვარიდან გადმოსახლებული ქისტები, რომელთა გზა – კვალი უცნობია. შესაძლებელია, სწორედ ვახუშტისეულ ომალოში და ქისტნელში ქისტები ცხოვრობდნენ და ქვეყნად შექმნილმა მიმე პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა პირობებმა აიძულა ისინი თავი შეეყარებინათ კახეთის სხვადასხვა სოფლებში ან მთისკენ აედოთ გეზი.

ქართული წერილობითი წყაროების მიხედვით, საქართველოს ტერიტორიაზე ქისტების პერიოდული გადმოსახლების პირველი ეტაპი ჩ.წ. III–IV სს. დაიწყო და გრძელდებოდა XIX საუკუნის 60-იან წლებამდე. XVII–XVIII სს. გადმოსახლებულებიც თიანეთისა და თელავის მაზრების რეგიონებში (ფშავი, ხევსურეთი, მთიულეთი, თუშეთი, კახეთი და სხვ.) ბინადებოდნენ. აქედან ბოლოს ჩამოსახლებულების ნაწილი გადასახლდა პანკისის ხეობაში, ნაწილი კი ადგილობრივ მოსახლეობას

შეერთა. იყო გამონაკლისი შემთხვევებიც, როცა (რეკოლუციის შემდგომ პერიოდშიც) სისხლ-მესისხლეობის შედეგად თითო-ორიღა ოჯახი მუდმივი თავშესაფრის თხოვნით გვარგამოცვლილები სახლდებოდა ფშავში, მთიულეთსა და ხევსურეთში. ზემოთ აღნიშნული ავტორების მოსაზრებით, ქისტები პანკისის ხეობაში დასახლდნენ 1826, 1837, 1845, 1848, 1849 წლებში, ხოლო 1854-1855 წლების საარტივო მონაცემებით და ჩვენი მასალებით მათი პანკისში დასახლების რეალური დრო უნდა იყოს XIX საუკუნის 30-იანი და 1854-1855 წლები.

ლიტერატურა

1. ჯავახიშვილი ივ., ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, ტფილისი, 1937
2. თეიმურაზ ბატონიშვილი, ისტორია დაწვებითგან ივერისა, ესე იგი გიორგისა, რომელ არს სრულიად საქართველოსა, სანკტპეტერბორდი, 1848.
3. დეონტი შროველი, ქართლის ცხოვრება, ტ. I, თბ., 1955.
4. ვახუშტი ბატონიშვილი, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბ., 1973.
5. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, თბ., 1986.
6. ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. VI, თბ., 1973.
7. ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. VIII, თბ., 1975.
8. ისტორიანი და აზმანი შარავანდედანი, „ქართლის ცხოვრება“ ტ. II, თბ., 1959.
9. ჟამთა აღმწერელი, „ქართლის ცხოვრება“, ტ. II, თბ., 1959.
10. პაპუნა ორბელიანი, ამბავი ქართლისანი, „ქართლის ცხოვრება“, II, ჩუბინაშვილის რედ. ტფილისი, 1913
11. საქართველოს შეცნობებთა აკადემიის კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. Qd, საბ. №948, ფ. A, საბ. №1469; Hd, საბ. №10063.
12. ჯავახიშვილი ივ., საქართველოს საზღვრები, ტფილისი, 1919.
13. Меликишвили Г., К истории древней Грузии, Тб., 1959.
14. Хоренский М., Армянская география, СПб, 1858
15. Шавхелишвили А., Из Истории взаимоотношений между Грузинским и Чечено-Ингушским народами, Грозный, 1963.
16. აბულთაშვილი მ., პანკისის ხეობის აღწერილობა, 1898-1940 წლებში.
17. Эристов Р., Записки о Тушино-Пшаво-Хевсурском округе, «Кавказ», 1854, №43
18. Гамрекели В., Двали и двалети в I-XV вв. н.э. Тб., 1961
19. ლაგაზიძე ვ., თუშეთის ისტორიიდან, თბ., 1965 (საკანდიდატო დისერტ. ხელნაწ.)
20. ელანიძე ვ., თუშეთის სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობა ფეოდალიზმის ხანაში (საკანდიდატო დისერტაცია, ხელნაწერი). თბ., 1968

21. შაკალათია ს., თუშეთი, თბ., 1983.
22. Элиосидзе И., Записки о Тушетии (рукопись), архив Института востоковедения АН СССР, ф. 2, оп. 2, стр. 15.
23. საქცია, ფ. 254, ანაწ. 2, საქ. №399, ფ. 120, ან აწ. 1, საქ. №1947, №2042, №254, №1078, №1073.
24. Зубарев Д., Поездка в Кахетию, Тушетию, и Джаро-Белаканскую область, Пшавию, Хевсуретию, «Русский вестник», т. II, 1841
25. საქცია, ფ. 255, ანაწ. 1, №278, ფ. 18-40.
26. შაკალათია ს., ხევსურეთი, თბ., 1935.
27. შაკალათია ს., ყშავი, თბ., 1934.
28. ოჩიაური თ., მითოლოგიური გადმოცემები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, თბ., 1967.
29. თედორძე გ., ხუთი წელი ყშავ-ხევსურეთში. წ. II, თბ., 1939.
30. აღ. ოჩიაური, ყშავური დღეობები, ხელნაწერი მასალები, М-83, რვ. №3.
31. თოფჩიშვილი რ., აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა მიგრაცია XVIII-XX სს. თბ., 1984.
32. ჯავახიშვილი ივ., საქართველოს ეკონომიკური ისტორიის ძეგლები, წ. I, თბ., 1967.
33. ბედოშვილი გ., ერწო-თიანეთის ტოპონიმოკა, თბ., 1980.
34. აბტორის მიერ ველზე შეკრებილი მასალა, 1965-1986, რვ. №3, 4, 6.
35. Иваненков Н., Горные чеченцы, ТС, VII, ВЛЭ, 1910.
36. კ. კახისა და თ. სპენსერის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, თბ., 1981.
37. ЦГИА Груз. ф. 16, д. №4517.
38. Мачабели М., Экономический быт государственный крестьян Тианетского уезда, Тифлисской губернии, Материалы для изучения экономического быта государственных крестьян Закавказского края, т. V, Тифлис, 1887.
39. შაქრო (შ. გულიანოშვილი), პანკისის ხეობა, „ივერია“, 1887, №21.
40. ბუჭურაული ივ., ტბათანიდან წიგათამდე, „მოამბე“ №9, 1898.
41. Генко А., Из культурного прошлого Ингушей, ЗКВ, при Азиат. Музее, АН СССР, Л., 1930.
42. ჩხენკელი ს., ქისტების დახლებისათვის პანკისის ხეობაში, მსკი, ნაკ. III, თბ., 1937.
43. მარგოშვილი უ., პანკისის ხეობის აღწერის მასალები, რვ. №2.
44. Токарев С., Этнография Народов СССР, М., 1957.
45. Маргошвили Л., Культурно-этнические взаимоотношения между Грузией и Чечено-Ингушетией, Тб., 1990.
46. საქცია, ფ. 4, ანაწ. 2, საქ. №274, ფ. 5, 30.
47. ЦГА Груз. ф. 26, оп. 6, ед. хр. 421, ფ. 1-5; საბ. №2399, ფ. 13; საბ. №551, ფ. 14, საბ. №5445, ფ. 16-19, საბ. №1194, ფ. 20, საბ. №692, ფ. 22, საბ. №11838, ფ. 20, საბ. №796, ფ. 30-31, საბ. №421, ფ. 39. საბ. №445/421, საბ. №11320, ფ. 27.
48. თოფჩიშვილი რ., მოხუცი გვარსახელები, თბ., 1998.
49. ჩენეთ-ინგუშეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის არქივი, ფ. 260, საქ. 10.
50. ქისტო ჩობანი, ჩვენებური ამბავი, „ივერია“, 1902, №254.
51. ჯავახიშვილი ივ., საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები, თბ., 1950.
52. მეღიქიშვილი გ., საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის, თბ., 1965.
53. ბორჩაშვილი ე., აღდამოვი მ., როდის დასახლდნენ ქისტები პანკისის ხეობაში, გაზ. „ბაზროინი“, 1973, №152, №154; 1974, №31, 32 და სხვ.

§ 2. ქისტების დასახლება-ბანსახლება

ცნობილია, რომ ისტორიულად ძურძუკებში ჩენნები და დღიდგებში ინგუშები იგულისხმებოდა, სადაც შედიოდა შემდეგი თემები: ბენო, ბუსოი, ბილთოი, გალაროი, გეზახოი, გერდაგანოი, გუნოი, დიშნი, ვეფუი, ვაშთაროი, ვარანთხოი, ზანთხოი, ზუსოი, ზილოი, იალხოი, კელოი, ღომუროი, მაკაშოი, მულეყოი, გილარდოი, მაისთხოი, მელხი, ნიხალოი, ნაშხოი, ნიქლოი, ესშათოი, ნიკაროი, სადოი, ტერლოი, ფეშხოი, ქეი, ორშთხოი, ენგენოი, შაროი, ჭანთი, ჭინხოი, ჭებირლოი, ჭარმხოი, შოთოი, ჯუგურთოი, ჯაირახოი, ჩუნგუროი, ჰანაროი, ხილდხაროი, ძუმსოი, ჩერმოი, ჩერთხოი და სხვ. ამ თემებს ეკავათ ჩენნეთისა და ინგუშეთის მთიანეთიც და ბარიც.

ჩვენს ხელთ არსებული რუკის მიხედვით ჩენნეთის სახლგარი კასპიის ზღვაზე გადიოდა და მიიცავდა იმ ტერიტორიას, სადაც დღეს ყუმიყუბი ცხოვრობენ. აღნიშნული ტერიტორია დაღესტნის იურისდიქციაში მოექცა 1825 წლიდან*.

პანკისის ხეობაში გადმოსახლებული ქისტები ეკუთვნიან შემდეგ თემებს: გეზახოის, არსტხოის, დიშნის, ღომუროის, მელხის, ნაშხოის, მაისთოის, ჰანაროს, ტერელოს, ჭებირლოს, კელოს, ფჰამთოის, შოთოის, შაროის, ჭანთის, ხილდხაროს და სხვ.

უნდა აღინიშნოს, რომ ქისტები საქართველოში ქისტების სახელით მოვიდნენ და ბოლომდე ამავე სახელწოდებით დარჩნენ, ხოლო თიანეთისა და თელავის მაზრებში—ადგილობრივ მოსახლეობაში შერეულად დასახლებულებმა ასიმილაცია განიცადეს. შემორჩენილია გადმოცემები მათ წინაპართა ქისტური წარმომავლობის შესახებ, სახელ-გვართა ფორმები, რაც დღესაც ახსოვთ. პანკისში კომპაქტურად მცხოვრებ ქისტებმა შემოინახეს მშობლიური სამეცნიერლო ენა და ტრადიციები, მიუხედავად იმისა, რომ მათ, გარდა იშვიათ შემთხვევისა, არავითარი კავშირი არ ჰქონდათ ჩრდილო კავკასიის ჩენნებთან და ინგუშებთან.

ჩენნი, ინგუში და ქისტები ერთი წარმოშობის ხალხია, ერთიანი ვეინახური ენით, კულტურით, სოციალური ყოფით და ა.შ., მაგრამ ეროვნულ მიკუთვნილებას აცალკევებენ ინგუშად, ჩენნად და ქისტად.

ჩენნეთი და ინგუშეთი თავისი მთიანეთით თუშეთს, ხევსურეთს ესაზღვრება. სწორედ ეს უქმნიდა მყარ საფუძველს ამ ხალხებს შორის მჭიდრო მეგობრულ თუ ნათესაურ ურთიერთკავშირს. ამ ურთიერთობაში ხელშემწყობი როლი დარიალის ხეობას ეკავა, მაგრამ გარკვეულ ფუნქციებს ასრულებდა ის გზა-ბილიკებიც, რომლებიც უშუალოდ ამ ორი მხარის შემხებ მთიან ზოლში გადიოდა. ამ სამიმოსვლო გზის გასწვრივ იყო დასახლებული ინგუშეთიდან მითხში გადმოსახლებული მელხისტის თეფი, რომელმაც შექმნა საკუთარი დიალექტი, თანაბრად გასაგები ქისტის, ჩენნისა და ინგუშისათვის. ვეინახები ამ გზა-ბილიკების

* რუკა შედგენილია რუსეთის იმპერატორის მითითებით (იხ. „Карта Кавказского края с обозначениемъ политическихъ границъ конца XVIII столетия“). დაბეჭდილია ქ. ტყვილისში 1915 წელს. აღნიშნული ტერიტორია, რომ ისტორიულად ჩენნებს ეკუთვნოდა, მეტყველებს კუნძულის სახელწოდება „ჩენენ“, რომელიც მდებარეობს კასპიის ზღვაში (რუკის ასლი ინახება ნაშრომის ავტორთან).

საშუალებით უკავშირდებოდნენ და საჭიროების შემთხვევაში მონაწილეობას იღებდნენ საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში. მიგრაციულ პროცესებისას საფუძველი ვერებოდა ქართველ-გეინახთა ურთიერთშერწყმას. მთური მეკობრეების თავდასხმების შედეგად დაცლილი პანკისის ხეობა, გარკვეული დროის შემდეგ კვლავ აღორძინდა ჩამოსახლებული გეინახების მიერ. აკად. დ. მუსხელიაშვილი წერს: “В начале XVIII века все население Панкиси было чисто грузинским с незначительной, возможно примесью огрузинившихся армян, но позднее, вследствие перманентных опустошительных набегов лезгинских феодалов, старое население собственно Панкисского ущелья либо вымерло, либо переселилось в другие места. Такое положение продолжалось до середины XIX столетия, когда постепенно появляются первые поселения чеченцев, потом грузин - горцев, а с самого начала XX века - осетин, выходцев из Юго-Осетии“ [1: 140]. ამის შესახებ ზემოთაც ითქვა.

ვახუშტის მონაცემების მიხედვით, მდ. ალაზნის მარჯვენა მხარეს მდებარეობდა სოფლები: ცქვიტაძე, დედისფერული, ბალთაგორი, ყორწყალი, ხაფარული, კოწახტა, ბაწარა (იხ. რუკა I) [24:] და ყოდალაური, ხოლო მარცხენა მხარეს – პანკისი, ოშალო, ქისტნელი, დუმასტური, ღვიმე, ხალაწანი, ნაპანკისევი, წინუბანი და ქორეთი კურტანაძეულამდე. იგივე დასახლების ერთეულები წარმოდგენილი აქვს (XVIII ს. II ნახ.) ქართველ მწიგნობარს იოანე ბაგრატიონს მის მიერ ჩატარებულ “ქართლ-კახეთის“ აღწერაშიც [2: 70].

ზემოთ დასახელებულ პანკისის ხეობის სოფლებში XVIII ს-ში ქართული მოსახლეობა მკვიდრობდა. არსებობს ამ საუკუნის პირველი მეოთხედის მოსახლეობის აღწერის დავთარი, რომლის საშუალებით ირკვევა, რომ ამ სოფლებში ცხოვრობდნენ ადგილობრივი (კახური) წარმომავლობის გვარები. მაგ., ნაპანკისევის ძირითადი გვარები ყოფილან ცქიროშვილები, რამაზაშვილები და ცოკიშვილები. სოფელ პანკისში (დღევანდელი დუისი) ცხოვრობდნენ აზნაური კობიაშვილები (ოთხი ოჯახი). აგრეთვე ჯაჯიკაშვილები, წითურები, ბაბურები, ხინჭოლოშვილები, ჩარჩიაშვილები, აგიდაურები, იარადლეები, მალრიბაშვილები, სუხოშვილები, შიოშვილები, ბალათურები და სხვ. აღწერის ამ დავთარზე დაკვირება გვიჩვენებს, რომ ზოგიერთი ეს გვარი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთიდან, უმეტესად ფშავიდან იყო მიგრირებული, რაზეც მეტყველებს ის, რომ ისინი დასახელებული არიან ხატის ყმებში. სოფელ დუმასტურში XVIII ს-ის პირველ მეოთხედში მხოლოდ ერთი გვარის ხალხს ონანაშვილებს უცხოვრიათ. ონანაშვილები განსახლებული ყოფილან ხალაწანშიც. ხალაწანი მკვიდრობდნენ აგრეთვე როსებაშვილები, პავლიაშვილები, ყუდილაშვილები, პეტრიაშვილები, მამუნაშვილები, ჭინჭარაშვილები, გივიშვილები, გამიხარდაშვილები. ხალაწანი საერთოდ აზნაურ ნატანიშვილების მამული იყო. რაც შეეხება სოფელ წინუბანს აქ მამულები რობაქიშვილებს ეკუთვნოდათ. წინუბნის მკვიდრები ყოფილან ბეღიაშვილები, დაიშვილები. სოფელ კუწახტაში აზნაურ ყოდალაშვილების ყმები ცხოვრობდნენ: ჩუკურიშვილები, გოჩიტაშვილები, ზაქუტაშვილები, ბერიაშვილები, ხიხანაშვილები, გიორგაშვილები, ხოსიტაშვილები და სხვ. [26: 67-69].

სადღეისოდ პანკისის ხეობა ასე გამოიყურება: მდ. ალაზნის მარჯვენა მხარეს მდებარეობს დასახლებული პუნქტები: ძიბახევი, ბირკიანი, ჯოყოლო, დედისფერული (კაკლიანი), დუისი, ყვარელწყალი, კუწახტა, საკობიანო და

№№	სოფლების დასახელება	კომლთა რაოდენობა	სულა- დობა	ეროვნება	რწმენა
1	დუი სოფელი	150	600	ქისტი	მაჰმადიანი, ნაწ. ქრისტიანი
2	ჯოყოლო	120	400	ქისტი	ქრისტიანი, ნაწ. მაჰმადიანი
3	ომალო	60	240	ქისტი	ქრისტიანი
4	კუწახტა	30	120	თუში- ფშაველი	ქრისტიანი
5	ბირკიანი	25	100	თუში	ქრისტიანი
6	ზემო ხალაწანი	15	60	ფშაველი	ქრისტიანი
7	ყვარელწყალი	60	240	ფშაველი	ქრისტიანი
8	დედისფერული (კაკლიანი)	17	68	ფშაველი	ქრისტიანი
9	ხალორი	10	40	ფშაველი	ქრისტიანი
10	ჩხათანა	6	24	ქისტი	მაჰმადიანი
11	ხორაჯო	12	48	ქისტი	მაჰმადიანი
12	ბაწარა	10	40	ფშაველი	ქრისტიანი
13	ტოლოშა	10	40	ფშაველი	ქრისტიანი
14	ძიბახევი	10	40	ქისტი, ფშაველი, ხევსური	მაჰმადიანი, ქრისტიანი
15	წინუბანი	30	120	ოსი	ქრისტიანი
16	დუმასტური	24	96	ოსი	ქრისტიანი
17	ქვემო ხალაწანი	15	60	ოსი	ქრისტიანი

ცხრილი 1

ბაყილოვანი; მარცხენა მხარეს – ომალო, დუმასტური, ქვემო ხალაწანი, შუა ხალაწანი, ზემო ხალაწანი, წინუბანი და ქორეთი. მდ. ალაზნის მარჯვენა მხარეს არის ნასახლარები: ბაწარა, ტოლოშა, ცქვიტაძე, ბალთაგორი; მარცხენა მხარეს – ჩხათანა, ხორაჯო, ხალორი, სუბუქი, ქორთაბუდე და დიმიე (იხ. რუკა II და III).

ვახუშტის მონაცემებში ხსენებული ხაფარულის, ყოდალაურის, ნაპანკისევის, ქისტნელის შესატყვისი დასახლებები ამჟამად არ არსებობს. რაც შეეხება ბაწარას, იგი მდებარეობს ხეობის თავში და არა კურტანაძეულთან.

(ქისტები ცხოვრობენ ძიბახევიში, ბირკიანიში (ყოფილი თუშების სოფელი), ჯოყოლოში, ომალოში, შუა ხალაწანში და დუისში. ფშაველები – დედისფერულში (კაკლიანი), ყვარელწყალში, საკობიანოში, ბაყილოვანში, კუწახტაში (ოსებთან ერთად) და ზემო ხალაწანში (ქისტებთან ერთად); ოსები კი – ქორეთში,

დუმასტურში, ქვემო ხალაწანში, წინუბანში, თუმცა ამ სამ უკანასკნელ სოფელშიც დღეს ქისტები სახლდებიან. ზემო ხალაწანში ხუთი ოჯახი ფშავლები და 22 კომლი ქისტები ცხოვრობენ (იხ. ცხრილი 1, გვ. 43).

როგორც აღინიშნა, პანკისის ხეობაში კომპაქტურად დასახლებულმა ქისტებმა მართალია შემოინახეს მშობლიური ენა და თვითმყოფადი ტრადიციები-როგორც საოჯახო წეს-ჩვეულებებში, ასევე კულტურაში, მაგრამ მიუხედავად ამისა, ქართული ტრადიციული კულტურის დიდი გავლენა განიცადეს, გახდნენ ორენოვანი და ოჯახებში შერეულ (ქისტურ-ქართულ) ენაზე ალაპარაკდნენ.)

პანკისის ხეობაში მცხოვრები სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის რაოდენობა კამერალური აღწერით ასე გამოიყურება. 1860 წელს ქისტები - პანკისში (დღევანდელი დუისი) ცხოვრობდა 40 კომლი (249 სული), ომალოში 11 კომლი (51 სული), ფშავლები ორი კომლი (13 სული). 1926 წლის მონაცემებით (იხ. ცხრილი 1) ქისტები სულ შეადგენდნენ 333 კომლს- 1332 სულს; ფშავლები- 147 კომლს- 558 სულს; თუშები- 35 კომლს - 130 სულს; ოსები- 69 კომლს - 276 სულს. სულ 17 დიდი და პატარა სოფელი, 604 კომლი - 2336 სული ორივე სქესისა. ერთმანეთისაგან განირჩევიან ენით, რიგი ტრადიციებითა და რელიგიით. ამ პერიოდში ქისტები ქრისტიანებიც იყვნენ და მაჰმადიანებიც. 1886 წლის სტატისტიკური მონაცემებით სოფ. დუისის 546 სულიდან ჯერ კიდევ ქრისტიანი იყო 47, მაჰმადიანი - 499; ჯოჯოლოში 205-დან მაჰმადიანი 18, ხოლო ქრისტიანი 187; ხოლო სოფ. ომალოში ყველა ქრისტიანი იყო [4: 172-173].

ჩრდილო კავკასიის სხვა რეგიონებში ქისტები კომპაქტურად არსად არ დასახლებულან. გაბიურების დროსაც ისინი თავშესაფარს მხოლოდ საქართველოში ნახულობდნენ, რისი შედეგიცაა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის სოფლებში დასახლებული, უკვე გაქართველებული ვეინახური წარმოშობის ოჯახების არსებობა და ბარში პირველი (ხორბალო), მეორე (ქისტაური) და მესამე (პანკისის ხეობა) კომპაქტური დასახლება. პირველ და მეორე დასახლებაში სადღეისოდ ქართველები ცხოვრობენ.

გადმოცემით, ქისტები წ ი ე ჯ ა ლ ი დ ა ნ (რაც წითელ ქალაქს ნიშნავს) წამოსულად თვლიან თავს, სადაც მათი გვარებად, თეიფებად დაყოფა მომხდარა. წიგვალა მდებარეობდა არგუნის ხეობის დასაწყისში, თუშეთიდან ქერიგოს გადასასვლელთან, სადაც ბოლო დრომდე შემორჩენილი ყოფილა შუასაუკუნეების კოშკები. იქვე მდებარეობდა მარგალიცი-ხანუქაშვილების (გუზახოი) ყოფილი კოშკიც, რომელიც ჩენჩეთის ომის დაწყებამდე დაუნგრეველად ყოფილა შემორჩენილი. წიგვალიდან სისხლის ნათესაობის მიხედვით სხვადასხვა ადგილებში გადასახლებული ვეინახური ტომები, წელიწადში ერთხელ სწირავდნენ მსხვერპლს და ევედრებოდნენ, რომ ეპატიებინა მათთვის წიგვალის მიტოვება. სავარაუდოა, რომ წ ი ე ჯ ა ლ ა-წ ი უ-წ უ წმინდა ადგილს ნიშნავს, ხოლო ჯ ა ლ ა - ღ ა ა ღ ა სიმაგრეს.

ქისტებმა პანკისში დასახლებისთანავე გაითავისეს აქ მდებარე საკულტო ძეგლები და თავდაცვითი კოშკები. სოფლებში წესად იყო შემოდებული, ვინც დაანგრევდა ან შეურაცხყოფდა ამ წმინდა ადგილებს დამნაშავეს (დასჯის მიზნით) მიწით სახვე ტომარას აპკიდებდნენ ზურგზე და აიძულებდნენ სოფლისთვის სამჯერ შემოვლას [5: 5]. ჩანს, რომ გადმოსახლებულები წმინდა ადგილებს

სათუთად ეპყრობოდნენ, რადგან მსგავსი სალოცავები მიტოვებულ სამშობლოში ეგულებოდათ. ამის თვალსაჩინო მაგალითად გამოდგება წმ. ნიკოლოზის ნიშნით, რომელსაც ვენახები მ ა ი ს ტ ა ლ ა ს უწოდებდნენ. გვაღვიან ამინდში აქ ტარდებოდა გუთნის მდინარეში გატანის ცერემონია. გადმოცემით ეს ადგილი წმ. ნიკოლოზის ეკლესიას ეკუთვნოდა. ძველი ტრადიციით დუისელები დღესაც აქ იხდიან სოფლის საერთო თუ რელიგიურ დღესასწაულებს. იკვლება პირუტყვი და საითათად ყველა ოჯახზე ნაწილდება.

ქისტების დასახლების ერთეულია სოფელი – ი უ რ თ. ეს ტერმინი თურქული წარმომავლობისაა. ჩანს, რომ იგი ვენახებზე მაჰმადიანური რელიგიის მიღების შემდეგ შეითვისეს. რაც შეეხება სოფლის აღმნიშვნელ მეორე ტერმინს ფ შ ე ე, ეს უფრო ძველი და თვითმყოფადია. იმავე ტერმინით აღინიშნება სისხლმქვისსხლეობის დროს ადათობრივი სამართლის ვ ი ე ლ-ის მიერ დამნაშავესთვის დაკისრებული გადასახადი – ფ შ ე ე-ც. ამას თავისი ასსა აქვს. ტრადიციით ქისტების ადრინდელ სამშობლოში დამნაშავეს სისხლის საფასურის გადახდაში სოფელი ფშეე ეხმარებოდა, რადგან აქ მხოლოდ ერთი გვარის სისხლით ნათესაობა ცხოვრობდა. ამდენად გადასახადსაც ფ შ ე ე-ს უწოდებდნენ. პანკისის ხეობაში კი აღნიშნულ სისხლის საფასურს – ფ შ ე ე-ს ცალკეული გვარი – თ ე ი ფ-ი იხდის და არა მთელი სოფელი, რადგანაც თითოეულ სოფელში თავმოყრილია სხვადასხვა თემებიდან გადმოსახლებულები, მაგრამ ტერმინი ფ შ ე ე უცვლელი დარჩა. თუ ადრინდელ სამშობლოში ერთ სოფელში სისხლით ნათესაობის პრინციპით ერთი გვარი სახლობდა, გადმოსახლებულმა ქისტებმა ეს ნორმები ერთ სოფელში რამდენიმე გვარის ჩასახლებით შეცვალეს. ე. ი. თავიდან მოგვარეები ერთ უბანში დასახლდნენ, შემდგომ კი ცალკეული პირების თუ ახალი ოჯახის შემოსახლებამ აღნიშნული პრინციპი თანდათანობით შეცვალა. ეს ცვლილებები განაპირობა აგრეთვე მრავალრიცხოვანი ოჯახის განაყრებმაც. თავდაპირველად ქისტები მეტად მჭიდროდ დასახლდნენ. თითოეული მოსახლის კარმიდამოს დობე თითქმის ესაზღვრებოდა სხვა მეზობლის დობეს – ქ ა რ თ-ს. ერთმანეთში მისვლა-მოსვლა ორდობებში გამავალი ვიწრო ბილიკით ხდებოდა, ან ერთმანეთის ნაკვეთებზე გადადიოდნენ-გადმოდიოდნენ. ეს ნათლად ჩანდა სოფ. ჯოყოლოს ძველი დასახლებულ უბნის მაგალითზეც [6: 11].

ბალთავორის მიდამოებიდან ალაზნის ველზე ჩასახლებული სოფელი დუისის მოსახლეობა უფრო დაფანტულად, უკეგმოდ დასახლდა. „ადრინდელი ერთიმეორეზე ჩამწკრივებული სახლები სოფელს ქალაქის იერს აძლევდა. დუისში სახლები ისეა გაბნეული, როგორც მინდორში ქვა-ლორი. სახლებს კარი, ფანჯარები, საჩხები საით გინდა, რომ არ ჰქონდეს მოქცეული. ძნელად იქნება ერთი სახლის კარ-ფანჯარა მეორე სახლის კარ-ფანჯარას უყურებდეს“ აღნიშნავს მ. ალბუთაშვილი [7: 8]. ამ ამონაწერიდან ჩანს, რომ დასახლების სტრუქტურისას არავითარი სისტემა არ დაუცვიათ და სახლებიც ადგილობრივი პირობების გათვალისწინების გარეშე უშეწყნაობით. საცხოვრებელ სახლებს პირი იქითკენ ჰქონდა მიქცეული, საითაც მუდმივად ქარი ქროდა, თუმცა დასახლებისას წინასწარ იყო გათვალისწინებული ოჯახის გამრავლების პროცესი და შემდგომ ცალკეულ უბნებად

გამოყოფა. თუ გადავხედავთ ძველ დასახლებულ უბნებს, შევნიშნავთ, რომ თითოეულ გვარს სოფელში დაკავებული ჰქონდა გამოკვეთილად ერთი უბანი – ქ უ ფ. მაგალითად, სოფ. დუისში ხანგოშვილები და დუიშვილები როგორც ერთი ოჯახის განაყოფი ერთ უბანში ცხოვრობდნენ, ბადაკაშვილებს მეორე უბანი ეკავათ, ქავთარაშვილებს მესამე, გაურბაშვილებს მეოთხე და ა. შ. ასეთივე მდგომარეობა შეინიშნება სხვა სოფლებშიც, მაგრამ დროთა განმავლობაში საკომოდამო ნაკვეთების სიმცირემ შეცვალა დასახლების ტრადიციული ფორმა და ახალ შექმნილ უბნებში მოხდა სხვადასხვა გვარების შერეულად დასახლება. სოფლის შიგნით სხვადასხვა გვარის წევრების ერთ უბანში დასახლება გახშირდა რევოლუციის შემდეგ, რასაც ადგილი ჰქონდა მეზობელ მთიელებშიც. ქისტ კაცს თავისი სოფლის მიტოვება და სხვაგან გადასახლება უჭირდა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სისხლმესისხლეობის თუ სხვა მიზეზის გამო გააძევებდნენ. ასეთი ადამიანი მფარველის გვარზე უნდა გადასულიყო. ამისი მაგალითები გვაქვს დუისიდან ჯოყოლოში გადასახლების და, პირიქით, ჯოყოლოდან – დუისში.

როგორც აღინიშნა, პანკისის ხეობის ქისტი მოსახლეობის დიდი ნაწილი სხვადასხვა თემიდან არის გადასახლებული და ერთმანეთისგან ბევრი თვისებითაც განსხვავდება. ეს განსაკუთრებით იგრძნობა სოფ. დუისის მოსახლეობაში. მათში თითქმის წაშლილია ტრადიციული მამაპაპური ერთიანი განწყობილება. ამ მხრივ უკეთესად გამოიყურება სოფელ ჯოყოლოს და ომალოს მოსახლეობა. მათი ახალგაზრდობა უფრო საერთო ინტერესების დამცველია, ვიდრე საკუთარის.

ყოველმა გვარის უფროსმა კარგად იცოდა ჩენეთ–ინგუშეთის რომელი მთიანი სოფლიდან მოვიდა ის საქართველოში და რომელ თემის ეკუთვნოდა. თეფებისადმი მიკუთვნება განისაზღვრებოდა არა მხოლოდ სისხლით ნათესაობით, არამედ წინაპართა წარმოშობის ადგილითაც. მაგ. ესა თუ ის ქისტი თავის თავს მიკუთვნებს ხილდიახლოს, მისტყ, ჭინახს, გეზახს, პანაროს, ჯიანახს, ერშტხოსის და სხვ. ეს ყველა ჩენეთ–ინგუშეთის მთიანი ადგილების სახელწოდებაა.

აქ საჭიროა ტერმინების თ ე ი ფ. გ ო ო რ, ნ ე ე ყ ი ე. გ ა ა რ, წ ა ა-ს განმარტება, რადგან ძველთაგანვე ერთ თემის ერთი და იმავე მთიანი სოფლის მკვიდრნი მიკუთვნებოდნენ. ამგვარი თემის შემადგენლობაში სხვადასხვა გ ო ო რ ე ბ ი ანუ სისხლით ნათესავეები ერთიანდებოდნენ, ე. ი. გვარის შიგნით ჩნდებოდა ახალი გვარი და ისინიც ნათესავეებად ითვლებოდნენ. შესაძლოა, გოორი დაყოფილიყო ჩამომავლობად ნ ე ე ყ ი ე ბ ა დ, ნეყეყი კი წ ა ა დ. წ ა ა–სახლი კი შეესატყვისება ჰ უ ს ა მ–ს ოჯახის წევრებითვე – დ ი ე დ უ ლ. ეს ჩვეულებრივ სამი თაობის ნათესაობაა მამის მხრიდან, უწინ კი სისხლით ნათესაობა შეიძლება თაობას ითვლიდა. ნ ე ე ყ ი ე შინაარსობრივად ახლობელი ნათესაობაა. ამასთანავე, იგი გზას, ბიდიკს (ნიჟ–ნეყეყი) გამოხატავს, ხოლო გ ო ო რ უფრო შორეულს გულისხმობს. გ ა ა რ ქისტებში სიტყვაბრუნებით მიმართულებას, მხარის ჩვენებას ნიშნავს, რომელიც იხმარება დედ–მამის, ნათესაობის მინიშნებისას. ჩენურად და ინგუშურად გ ა ა რ შტოს აღნიშნავს.

პანკისის ქისტებში, ისევე როგორც ჩრდილო კავკასიის ვეინახებში, სხვადასხვა გოორის ხალხი ერთ თემის ეკუთვნიან, თუ კი გოორების წინაპრები ერთი და იმავე მთიანი სოფლიდან არიან წამოსული.

თ ე ი ფ ქისტებში სამ ნაწილად იყოფა: ოჯახის შიდა ნათესავი ჩ უ რ გ ე რ გ ა ლ უ ა, გარე ნათესავი ა ა რ ა რ გ ე რ გ ა ლ უ ა – და შორეული ნათესავი გ ე ე ნ ა რ გ ე რ გ ა ლ უ ა. შემდგომ ეს უკანასკნელი გადადის გვარში—თ ე ი ფ შ ი. აღსანიშნავია ისიც, რომ ქისტებში გოორ პირდაპირ გვარის მანვენებელია, მაგ., ბუედგ—გოორ, ქავთარ—გოორ, გაურგ—გოორ, ბოარჩეი—გოორ, გუნაშ—გოორ და სხვ. ამ შემთხვევაში წინსართი გამოხატავს პიროვნების სახელს, ხოლო ბოლო სართი ამ ადამიანის ჩამომავლობას შეიღს, შეიღთაშეიღს და ა. შ. ქისტებმა პანკისში დასახლებისთანავე მამის სახელს ქართული დაბოლოება შ ვ ი ლ ი დაუმატეს და ამრიგად შთამომავლობაში დაიმკვიდრეს გვარები: გაურგაშვილი, დუიშვილი, ხანგოშვილი, მარგოშვილი, გუმაშვილი, ცათიაშვილი, ბორჩაშვილი, ტოხოსაშვილი, გორგიშვილი და სხვ. სწორედ ამგვარად შედგენილ გვარს ქისტები გ ო ო რ-ს უწოდებენ. ცხადია, იგი ქართული გვარისაგან წარმოსდგა და მეშვიდე თაობის ნათესაობას სცილდება. საინტერესოა ისიც, რომ ნათესაობის ტერმინები ქისტებში უფრო შემონახულია, ვიდრე ჩუჩენ-ინგუშუებში. მაგალითად, ქისტებში ეს ტერმინები შემდეგია: შ ი ჩ-შ ი ჩ უ ა ი ბიძაშვილ-დეიდაშვილი, მ ე ე ჩ ხ-მ ი ჩ ხ ი, დ ო ვ თ ა რ-დ ო ვ თ ა რ ა შ, ხ ა რ-ხ ა რ ა შ. დანარჩენი ტერმინები უკვე დავიწყებულა.

1860 წლის კამერალურ აღწერაში მოცემულია პანკისის ხეობის სოფლებში (დუისი, ომალო, ყვარულწყალი) პირველად დასახლებულთა გვარ-სახელები, წლოვანება და მათი საერთო რაოდენობა. ესენი არიან: სოფ. პანკისში (დღევანდელ დუისში) მარგოშვილები, გაურგაშვილები, ბახიაშვილები, ხანგოშვილები, ქეთარაშვილები და მანალიკაშვილები. კომლთა საერთო რაოდენობა როგორც ითქვა 40-ია; აქედან 121 მამრ. და 123 მდედრ. სქესის; სოფ. ომალოში – გორგიშვილები, მახილაშვილები, მახმადაშვილები, მათესშვილები, თურქოშვილები, ციხესაშვილები, პარადოშვილები, ანდალაშვილები, მახაშვილები– სულ 11 კომლი, აქედან 24 მამრ. და 21 მდედრ. სქესისა; ყვარულწყალში – ჟანიბეგაშვილის ორი კომლი ოჯახის 6 წევრით. როგორც ჩანს, ამ აღწერაში შესული არ არის თათარა ცხვირაშვილი, რომელიც სოფ. ყვარულწყლის პირველი დამაარსებელი უნდა იყოს. ამასთანავე, გასათვალისწინებელია ისიც, რომ 1854–1855 წლებში დასახლებული ჯოყოლოს მოსახლეობა აღწერის მიღმა დარჩენილი.

პანკისის ხეობის ქისტურ სოფლებში დასახლებულები ყველა ქისტები არიან, თუ მხედველობაში არ მივიღებთ უფრო გვიან სოფ. დუისში დასახლებულ და გაქისტებულ ქართველთა ორ, ჯოყოლოში ხუთ და ომალოში ორ ოჯახს. ესენი არიან ვარდუაშვილები (ამჟამად დუიშვილები), ცხადაძეები, კოტორაშვილები, მღებრიშვილები, გახუტაშვილები, გონაშვილები, წინწალაშვილები და ბეჟაურები. აღნიშნული გვარების წინაარბმა პანკისში მოსვლის შემდეგ შეისწავლეს ქისტური ენა, ითხოვეს ქისტები ქალები და სამუდამოდ დასახლდნენ პანკისში.

სისხლის აღების ჩვეულების გამო ქისტებისთვის, ისევე როგორც ჩრდილო კავკასიის ვეინახებისათვის, შთავარი იყო თეიფში თუ გოორში გვარის ინტერესების დამცველი მამაკაცი რაც შეიძლება მეტი ყოფილიყო. როდესაც საზოგადოება გოორებად-თეიფებად იყოფოდა, უთვისტომო ადამიანი უმწუო იყო თავისი უფლებების შეღახვის, ქონების დატაცებისა და სიცოცხლის ხელყოფის დროს. საზოგადოების

ასეთი მარტოხელა წვერი იძულებული იყო გოორის მფარველობა ეძებნა. ქისტებში ტრადიციულად მიღებული იყო გოორის (თეიფის) წვერად უცხო პირის მიღება, რაც საზიშო ვითარებაში ხდებოდა. გოორში შემსულებლი გოორის უხუცესთა საყოველთაო შერებაზე კლავდა ხარს და უმასპინძლდებოდა იმ გვარის წვერებს, რომელშიაც ის შედიოდა. პურობის შემდეგ ახალი წვერი თავისი ოჯახით ნაშვილებად ითვლებოდა და მათზე უკვე ვრცელდებოდა გოორის მფარველობა. ცხადია, ამას ჰქონდა დრმა ეკონომიკური მიზეზებიც. გაჭირვების დროს ახალ წვერს გოორი ყოველთვის ესმარებოდა.

უნდა აღინიშნოს, რომ XIX საუკუნის 30-იან წლებში თიანეთის მაზრის სოფ. ჩაბანოდან ბალთაგორის მიდამოებში გადმოსახლებული ძმები – დაქა და ძეთა მარგოშვილები პირველ მოსახლეებად ითვლებიან ამ ხეობაში, შემდეგ შექმარნენ სხვა გვარები: ხანგოშვილები, ბალაკაშვილები და ა.შ. გარკვეული დროის შემდეგ მარგოშვილების გოორში (გვარში) მიიღეს გეზახოსი თემიდან ბ ე ი თ ა ლ მ ა ნ ლ ბ ი ს წესს გამორიდებული ხანუქაშვილები (ხანაჯ – ნევეყე). დუისში დასახლების შემდეგ ხანუქაშვილებს ზემო უბნის მარგოშვილებად თვლიან. უფრო მოგვიანებით ამ მარგოშვილებმა თავის გვარში შეიხიხნეს ჰანაროდან სისხლის აღების ნიდაგზე დუისში გადმოსახლებული კილოიანების (კილეგიგოორ) რამდენიმე ოჯახი და ხილდისხარიდან მოსული ციხიგოორ. ამ წესს ქისტები უ ს თ ბ ი ი ნ თ ე ი ფ ა ნ ხ ო ი - ს ხარკებათ შეყრას უწოდებდნენ. ასეთივე წესი ჰქონდათ მესობელ ქართველ მთიელებსაც, თუშებს, ხევისურებს, ფშავლებს და სხვ. ჩენეთში ძლიერ გვარში შემოხიხნულ უცხო ადამიანს აგლებულად უყურებდნენ და მათ სთუბიონ თ ე ი ფ ა ნ ხ ო ი - ს ა რ დ ა კ ლ უ ლ მოგვარეებს უწოდებდნენ. ქისტებში კი ხართ შეყრილას და გვარის (თეიფის) ძირითად წვერებს შორის არავითარი განსხვავება არ იყო. უცხო პირების გოორში ამგვარი უცხო მღება სხვა გვარებშიც ხდებოდა. სოფ. დუისში ცხოვრობენ შემდეგი გვარები: დუიშვილი, გაურგაშვილი, მარგოშვილი, ქეთარაშვილი, ხანგოშვილი, მაჩალიკაშვილი, ნაციშვილი, ბალაკაშვილი, აღდამოვი, გუმაშვილი და სხვ.; სოფ. ჯოყოლოში – ბორჩაშვილი, აჭიშვილი, მუთოშვილი, მუზიკაშვილი, გუმაშვილი, ცისკარაშვილი, ქუშანაშვილი, დაქიშვილი, ნაციშვილი, უმარაშვილი, იხოშვილი, კოტორაშვილი, ცხადაძე, მღებრიშვილი, გახუტაშვილი, ხოლუკაშვილი, გონაშვილი; სოფ. ომალოში – აღხანაშვილი, თურქოშვილი, წუწაშვილი, წინწალაშვილი, ფხაკალაშვილი, გუნაშაშვილი, ფარულაძე, გორნაკაშვილი, ანდალაშვილი, ტოხოსაშვილი, მუხაური, ბექაური, გორგიშვილი, ციხესაშვილი, იმედაშვილი, ჩოფანაშვილი, დანიშაშვილი და კუშტანაშვილი; სოფ. შუა ხალაწანში – ცათიაშვილები, სვიაკაურები; ხოლო ბირკიანში და ძიბახევში ბორიკაშვილის, ცუხურკაიძის და ნასიპაშვილის (თუშები) გარდა მეორდება ომალოში და ჯოყოლოში დასახლებული ქისტური გვარები.

ჩამოთვლილ გვართა უმრავლესობა ჩენეთ-ინგუშეთის ყველაზე ძნელად მისადგომი და მიწის ნაკვეთებით ნაკლებად უზრუნველყოფილი ადგილებიდან არიან წამოსული (მაისტი, მელხისტი, ხილდისხარი, ჰანარო, აკი, ჯაირახი და სხვ). ცხადია, მოსახლეობის სიჭარბით, მიწის სიმცირით და უგზობით გამოწვეულმა ცხოვრების მძიმე პირობებმა და სხვა ფაქტორებმა აიძულა ისინი გადმოსახლეუ ბულიყენენ ალაზნის ველზე და თავიანთი ბედი დაეკავშირებინათ ქართველებთან.

რაც შეეხება პანკისის ხეობაში დასახლებულ ფშავლებს, მათ შესახებ საინტერესო მონაცემებს გვთავაზობს რ. თოფჩიშვილი. იგი წერს: „XIX საუკუნის 60-იან წლებში დაიწყო ფშავლების ინტენსიური დასახლება პანკისის ხეობაში. პირველი ასეთი სოფელია ყვარელწყალი, სადაც კომპაქტურად დასახლდნენ ფშავლები“ [8: 37].

მ. ალბუთაშვილის მონაცემებით, ხეობაში ფშავლებიდან პირველად ბინა დაიდო თათარა ცხვირაშვილმა. ბაბურაში იმ ადგილს, სადაც იდგა მისი ქოხი, ქისტები დღესაც თათარას ნაბინავარს უწოდებენ. იგი იქ ღორის კოლტს წყემსავდა და ხევისჭაღით ფშავშიც გადადიოდა. შემდგომში „1862 წელს ფშავის სოფ. ახადიდან ყვარელწყალში ჩამოსახლებულან კულალაღაშვილი, ჭოლიკიშვილი, გულბათაშვილი, საღირიშვილი, ბურკეაშვილი; უკანა ფშავიდან: მანგიაშვილი და ქაჩიღაშვილი (1863 წ.), ტლაღაშვილი და გორელაშვილი (1869 წ.), წელაური და ბიბინაშვილი (1860 წ.), კარტიული და ბუტულაშვილი (1870 წ.). 1860–1870 წლების შუალედში ყვარელწყალში გადმოსახლებულან ერწო–თიანეთის სოფ. ევათხევიდან ჩეკურიშვილი, ჭიოტანთკარიდან გულბათაშვილი, პაპიაშვილი; ნაკვალესავიდან ციგარაშვილი; კორსავიდან – დადაღაური; თიანეთიდან – ზურაბაული, ალბუთაშვილი; უკანა ფშავიდან – ჯაბანაშვილი, ბუწუნაშვილი; ახადიდან – მოკვერაშვილი, გამრეკელაშვილი და ქურციკაშვილი“ [8: 37-38].

XIX საუკუნის შუა ხანებში მდ. ალაზნის მარცხენა მხარეს ხალაწის ხეობის თავში დასახლებულან თიანეთის მაზრის სოფ. ალოტიდან ჩამოსახლებული ფშავლები, სოფელსაც ზემო ხალაწანი უწოდეს. ესენი არიან სამუკაშვილები, ჩიტაშვილები, ჩოფიკაშვილები, თიდილაურები და ბაჩანაშვილები [8:]. მოსახლეობისაგან სოფლის დაცლა დაიწყო გასული საუკუნის 50-იან წლებიდან. ისინი გადასახლდნენ თელავში, ახმეტლში და მდღრანში. ამჟამად ადგილზე დარჩენილია ჩიტაშვილის სამი და ჩოფიკაშვილის ორი ოჯახი. ზემო ხალაწანი საცხოვრებლად, საქონლისა და ფრინველის შესანახად საუკეთესო ადგილია, მაგრამ მიატოვეს ცუდი პირობების გამო. ამჟამად იქ ქისტები სახლდებიან.

XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან მდ. ალაზნის მარჯვენა მხარეს დაბალი გორის ძირში დასახლებულან ივრისხეობის ზემო წელიდან გადმოსული ფშავლები–დედიაშვილები და ბურკაშვილები; უკანა ფშავიდან–ჯგველაურები და გოგნელაშვილები; არტინიდან–ქეშიკაშვილები და ალოტიდან–თორღვაშვილები, ძირად ხევსურები [8:]. სოფელს ორი სახელი ჰქვია: დედისფერული და კაკლიანი. როგორც ჩანს, დედია დასახლდა ზემოთ დასახლებული გორის ფერდობზე და შეიძლება, ამიტომ ეწოდა სოფელს დედისფერული, ხოლო სახელი კაკლიანი მიიღო კაკლის ხეების სიმრავლის გამო. სოფლის აღმოსავლეთი ფერდობი ხავსე იყო კაკლისა და წაბლის ხეებით.

ჩვენს დროში სოფ. დედისფერულში დედიაშვილისა და ბურკაშვილის გვარი არ დასტურდება. დანარჩენ გვარებს შეემატა შემდეგი გვარები: ალხანაშვილი, ქორეულაშვილი, ალბუთაშვილი და ცხვირაშვილი.

კ უ წ ა ხ ტ ა – ადგილის სახელია და სოფელსაც ასე ჰქვია. XIX საუკუნის II ნახევარში აქ თუშები და ფშავლები ცხოვრობდნენ. ეს ადგილი (მამული, ტყე და მიწდორი) ყოდალაანებს ეკუთვნოდა. შემდეგ როდესაც ოსების

9 კომლმა (1906 წ.) მათგან იჯარით აიღო ამ ტერიტორიის ნაწილი, აქ უკვე ცხოვრობდა 20 კომლი ფშაველი: მოკვერაშვილები, გურასპაულები, გორელაშვილები, თორღვაშვილები, ჯაბანაშვილები, ხუციშვილები, კოჭლაშვილები, გოგელაურები და პატარაშვილები, რომლებიც ჩამოსახლებულები არიან უკანა ფშავიდან. კუწახტა ტერიტორიულად დაყოფილია ზემო და ქვემო კუწახტად. ზემოში ცხოვრობენ უკვე დასახლებული გვარები, ქვემოში – თედეშვილი, ბელაშვილი, ძევისაშვილი, ჯუსოშვილი, ძიძიშვილი, ვალიშვილი (ოსები), ჯვალაური, დაგაზაური, ბეკურაული, წიწვაშვილი, სოხურაშვილი, მამიაური და სხვ. (ფშაველები).

სოფელი საკობიანო და ბაკილოვანი გვიან დაარსებული სოფლებია. აქ დასახლდნენ XIX საუკუნის 80-იან წლებში პანკისის ხეობის თავში – ხაღორში, სუბუქში, ტოლოშაში, ბაწარაში, ძიბახევეში სეზონურად მცხოვრები ფშაველები, რომლებიც ზამთარს ატარებდნენ აქ და ზაფხულში მიდიოდნენ ფშავის მთებში. ესენი არიან: ბაიდაური, ლაგაზაური, ჩეკურიშვილი, მისრაშვილი, სოხურაშვილი, გახუაშვილი, გულბათაშვილი, ყაყჩაშვილი, სეთური, თიღლაური, ბაღლიაშვილი, გარაშვილი, თანდილაშვილი, ბურკეაშვილი, გამიაშვილი, კოჭლამაზაშვილი (საკობიანო); გიგაური, ღუბიანური, აბრამიშვილი, გორელაშვილი, ჩოფანაშვილი, წელაური, ბუწანკალური, ქეშიკაშვილი და სხვ. (ბაკილოვანი). ამ გვარების ნაწილს ზემოთ დასახლებულ მთიან ადგილებში უცხოვრია და ნაწილი კი ფშავიდან ახალი ჩამოსახლებულები არიან.

ცნობილია, რომ XIX საუკუნის დასაწყისში ოსები შიდა ქართლის მთაში ცხოვრობდნენ. შემდეგ თანდათანობით ჩამოიწიეს მთისწინეთში, ხოლო მეორე ნახევრიდან შეიცვალეს საცხოვრებელი ადგილი და დასახლდნენ ბარის სოფლებში [9: 13]. ქართლის თავადაზნაურობა გარკვეული პირობის გაორქმე მათ მამულებს არ აძლევდა. ეს პირობები იყო იჯარა, ქრისტიანული რელიგია, გვარის გაქართველებული ფორმა, ღალა (ნატურით ან ფულად) და სხვ. ამიტომ ისინი უფრო შორს მიდიოდნენ საცხოვრებელი ადგილის მოსანახად. XIX საუკუნის 90-იან წლებიდან ოსები კახეთშიც სახლდებოდნენ. ამ დროიდან ოსური მოსახლეობა უკვე ჩანს თელავისა და თიანეთის მაზრებში—კერძოდ, პანკისის ხეობაში მათი თითო-ოროლა ოჯახის დასახლება დაიწყო 1902 – 1906 წლიდან. როგორც ზემოთაც აღინიშნა, ამ დროიდან ოსები დასახლდნენ ხუთ სოფელში: დუმასტურში, ქვემო ხაღაწანში, წინუბანში, ქორეთში და კუწახტაში ფშაველებთან ერთად.

1902 წ. გაზ. „ივერიაში“ გამოქვეყნებულ წერილში ვკითხულობთ „... ხეობას შუაზედ მდ. ალაზანი ჩამოუდის, რომლის მარჯვენა მხარეს ნახევრამდის სახელმწიფო მთა და მინდორია და მოსახლეობენ ქისტები და ფშაველები, ხოლო ნახევარს ქვეთ ხეობის ბოლომდე სულ სხვისი საკუთრებაა: ცისკაროვისა, პატიკაძესი, ანდრონიკაშვილისა, პეტრიაშვილისა, კოხმანაშვილისა, კობიაშვილისა, ჩოლოყაშვილისა და სხვათა. ცისკაროვმა (პ. ცისკარიშვილი) წოვა-თუში (ლ.შ) თავისი მამული 855 დესტეჩინა გაუტეხავი მთა-ჭალა წლუელს (1902 წ.) გასცა იჯარით ჯავის საზოგადოებიდან გადმოსახლებულ ოსებზე ოცი წლით. ხელშეკრულების ზოგიერთი მუხლი შემდეგია: ძვირფასი ხის-მუხა, ცაცხვის მასალის სხვაგან გაყიდვის ნება არ აქვთ ... ოთხი დღიური საუკეთესო სახნავი მამულით თვით ბატონმა უნდა ისარგებლოს, სახლიც თუ ბატონმა მოიწადინა თვითონ ოსებმა უნდა აუშენოს. ოსებმა, რომლებიც 26 კომლი იქნებიან, უნდა აძლიონ 90 თუმანი

წელიწადში (იგულისხმება სოფ. დუმასტური – ლ.მ). ანდრონიკაშვილმაც მეორე წელია, რაც იჯარით გასცა გორის მაზრიდან გადმოსახლებულ ოსებზე 205 დესეტინა ტყიანი მთა-ბარი 24 წლით, წელიწადში 45 თუმნად ... ოსებმა მაშინვე დათოხნეს გაჩეხილი ადგილები, დათესეს სიმინდი, პური და მშენიერი მოსავალიც მოვიდა“ [10: 2]. ქვემო ხალაწანის მამული, რომელიც შეიცავდა 252 დესეტინას, ეკუთვნოდა კობიაშვილს, რომლის შესყიდვა უნდოდათ დუისელებს. მორიგდნენ 800 თუმნად და 10 თუმანი ბეიცი მისცეს. ქისტებმა ისევ თავი დაანებეს მამულსაც, ბეისაც და ტფილისელმა სომეხმა კეპინოვმა იყიდა 800 თუმნად. შენანებული ქისტები სომეხს შევეჭრნენ, მაგრამ დაუფასა 1000 თუმანი. შემდეგ ოსებმა მოინდომეს, მაგრამ ახალმა პატრონმა 1300 თუმანი დაუფასა [12:]. წერილის ავტორი წერს: „ჩვენ კი დაგვიღია პირი და შევეყურებთ მადლა ცას, ფული გულა-გულაზე ჩამოცვივავო. განა ვინც მამულს ყიდულობს ყველას ფული აქვთ, ზოგი ჭკუა, ზოგი მოხერხება და ამით საქმე კეთდებაო“ [10:]. წინუბნის მამულები იგივე ოსებმა იჯარით აიღეს ბუქურაულებისაგან, ხოლო ქორეთის მამულების ერთი ნაწილი ეკუთვნოდა ანდრონიკაშვილს, მეორე ნაწილი კი – ცისკარიშვილებს. ოსები მათ წელიწადში უხდიდნენ შემოსავლის ნახევარს. კურტანაძეულამდე მდებარე მამულის მფლობელი ჩოლოყაშვილი იყო.

როგორც მასალიდან ჩანს, პანკისის ხეობის მამულის ერთი ნაწილი ადვილად გასაჩეხი და გასაწმენდი ყოფილა, რადგან ჭაღლებში, როგორც სხვაგან, მსხვილი სახერხი ხეები ბევრი არ მდგარა. ოსებმა იმავე წელს გაჩეხილი ადგილები გათოხნეს, დათესეს და სიმინდისა და პურის კარგი მოსავალიც მოიყვანეს.

(ხეობაში დასახლებული ქისტი, ფშაველი (ქართველი) და ოსი მოსახლეობის ძირითადი საქმიანობა მიწათმოქმედება და მესაქონლეობა იყო.)

§ 3. მ ე შ რ ნ ე ო ბ ა

მ ი წ ა თ მ ო ქ მ ე დ ე ბ ა. განსახილველ პერიოდში ქისტები საქართველოს მკვიდრნი არიან და მათი მრავალდარგოვანი მეურნეობის სახეების განხილვისას უნდა გავითვალისწინოთ ადგილზე არსებული მდგომარეობა. ქართველი გლეხი 1864-1871 წლების რეფორმით მიწის ნაკვეთის საკუთრებად შესყიდვამდე დროებით ვაღდებულ მდგომარეობაში რჩებოდა; „დებულება მას უფლებას აძლევდა თავი დაეხსნა ე. ი. ნადელი შეესყიდა და მესაკუთრე გლეხთა კატეგორიაში გადასულიყო“. ამ შემთხვევაში, იგი საბატონო გადასახადისაგან თავისუფლდებოდა და დამოუკიდებელი მეურნე ხდებოდა [11: 530]. ცხადია, ეს რეფორმა შეეხო პანკისელ გლეხებსაც, რომელთა ერთმა ნაწილმა სულ მალე მიწა შეისყიდა და გახდა მისი მფლობელი, ხოლო მეორე ნაწილი კი გარკვეული დროით დარჩა დამოკიდებული მიწის მფლობელზე. პანკისში მთავრობის ნებართვის გარეშე ბალთაგორის მიდამოში დასახლებულმა ქისტმა გლეხებმა საკმაოდ დიდი ხანი იცხოვრეს ყოველგვარი გადასახადის გარეშე, მაგრამ შემდეგ, როცა ხალხმა მომრავლება დაიწყო, ისინი მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. ალბათ, ესეც იყო იმის მიზეზი, რომ გადმოსახლებული ქისტების ერთი ნაწილი უკან დაბრუნდა თავის სამშობლოში.

მემამულეებისგან მიწის შესყიდვა იმდენად მძიმე იყო, რომ ხშირ შემთხვევაში სახელმწიფოს მიერ გამოყოფილ თითო დღიურიდან მიღებული მოსავალი ვერ აკმაყოფილებდა ოჯახს. ასეთი კი არა ერთი ოჯახი იყო.

ჩანაწერების მიხედვით, ქისტების ის ნაწილი, რომელიც უმიწობას განიცდიდა, მწარმოებელი კლასის ზეგავლენის ქვეშ ექცეოდა. გა. ხ. „ივერია“ გვამცნობს, რომ ქისტები მიწის სიმძირეს განიცდიან. ხეობის ძირითადი ადგილები თავადების ხელშია და საზიაროდ ამუშავეები [10:].

დროთა განმავლობაში ქისტებმა მიატოვეს ეს ტერიტორია და თავისუფალი მიწების ათვისება დაიწყეს. ყოველმა მეურნემ მისი საკუთარი თუ დროებითი სარგებლობის მიწის ნაკვეთი გამოიყენა მისი ხარისხიანობის მიხედვით – დაბლობი სახნაგ-სათესად და მაღლობი სათიბად და საძოვრებად. ამან ხელი შეუწყო სხვადასხვა სამეურნეო კულტურის მოშენებას, როგორცაა სიმინდი, ხორბალი, ქერი, შერი, სვილა, ხეხილი, ბაღჩეული და სხვ.

პანკისელების სამიწათმოქმედო საქმიანობა ძირითადად ორ ზონაზე განაწილდა – მთასა და ბარზე, რომელთა მოსახლეობა ნატურალურ მეურნეობას ეწეოდა. გამოსაკვლევ პერიოდში მთიელთა მეურნეობის ამ დარგებმა წინა ხანასთან შედარებით, აღმავლობას მიაღწია. ვითარდებოდა საწარმოო ძალები და წარმოებითი ურთიერთობა. ამ განვითარების პროცესში პანკისის მთის სამიწათმოქმედო ზონა თავისი გეოგრაფიული მდებარეობით ბარის მეურნეობისგან განსხვავდებოდა – ჯერ ერთი ეს უკანასკნელი უფრო ახლოს იყო ბაზართან და სხვა სავაჭრო ობიექტებთან, მეორეც ბარის საწარმოო ძალები და წარმოებითი ურთიერთობა უფრო მეტად იყო განვითარებული, ვიდრე მთის. ამასთანავე, პანკისში შეიძლება გამოვყოთ საშუალო ზონაც, საიდანაც უფრო ადვილად შეიძლებოდა ბართან დაკავშირება ზამთრის პერიოდში, ე. ი. მთიან ზოლს ვაკუთვნებთ ხორაჯოს, ჩხათანის დასახლებას, ბარის ზოლს – ხეობის ვაკე ადგილების დასახლებას,

ხოლო საშუალო ზონად ვგულისხმობთ ტოლოშას, ხადორს, ბაწარის თავს. მაგ., მთიან ზოლში ზამთრის პერიოდში მოსახლეობა თითქმის კარნაქტივლ მეურნეობას ეწეოდა. მოსახლეობის გარკვეული რაოდენობა პროდუქციას თავისი პირადი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად აწარმოებდა, ხოლო ნაწილი კი – ბარის მაცხოვრებლებისა და კახეთის ბაზრის ინტერესებს ემსახურებოდა – ამ მიზნით ქმნიდნენ რაც შეიძლება მეტ პროდუქციას.


სამეურნეო საქმიანობის ხასიათის მიხედვითაც, პანკისის ხეობის სოფლები – დუისი, ჯოყოლო, ბირკიანი, ომალო, ხალაწები, დუშასტური, ყვარელწყალი და სხვ. ერთმანეთისაგან განსხვავდებიან. ომალოში, ბირკიანში და ძიბახეში, როგორც მთისძირა სოფლებში მოსავალიც უფრო გვიან შემოდის. როცა ქვემოთა სოფლებში მოსავლის ასადებად გახურებული მუშაობაა, ზემოთ დასახელებულ სოფლებში მოსავალი მოწეული არ არის. რაც შეეხება მთიან ზოლს – ჩხათანას და ხორაჯოს, იქ მარცვლეული კულტურებიდან სიმინდი ვერ ასწრებს შემოსვლას, ამიტომ სპეციალური სიმინდის ჯიშში თიესებოდა, რომელიც დროულად შემოდებოდა, მაგრამ ნაკლებ მოსავალს იძლეოდა [7: რვ. 3]. ცხადია, მთის ზოლს მოუსავლიანობის მრავალი სხვა მიზეზი ჰქონდა. მაგ., ნიადაგების სუსტი ფენა, ხშირი ეროზიები, გვალვები, სახნავი მიწის ფართობების სიმცირე და სხვ. რაც საგარეულობის მეურნეობრივ ღირებულებას ამცირებდა.

მთის ზონაში და ბარშიც გავრცელებული იყო სახნავი იარაღი აჩაჩი გუთანი – გ უ ა თ, რომელიც პანკისში შემორჩა XX საუკუნის ბოლომდე [12]. აღსანიშნავია ისიც, რომ მთის ზონაში დასახლებულ ქისტებს ახლების სახით შეეძლოთ სახნაგ–სათესი ფართის მოპოვება, მაგრამ დადგენილი საფასური უნდა გადაეხადათ სახელმწიფოს სასარგებლოდ. ერთ-ერთი ცნობის მიხედვით 1890 წელს თიანეთის მაზრაში მიწით სარგებლობისთვის დადგენილი ყოფილა თითო კომლზე საშუალოდ 54 მან. და 24 კაპიკი [3: 241]. ცხადია, პანკისელებისათვის ეს თანხა მიუწვდომელი იყო და ძალზე ღარიბად ცხოვრობდნენ, მაგრამ ადრინდელი სამშობლოდან თან მოტანილი სამეურნეო იარაღების (აჩაჩი, თოხი და სხვ.) გაუმჯობესებამ გამოიწვია მიწის დამუშავების ხარისხის ამაღლება და გლეხის შრომის ნაყოფიერების ზრდა. განსახილველ პერიოდში ხეობაში ძირითადად მოჰყავდათ სიმინდი, ხორბალი, ქერი, ხოლო შერია კი ნაკლებად. პანკისის მოსახლეობამ თანდათან დახვეწა მიწის დამუშავების, ნათესების მოვლა–ბატონობის მეთოდები, რაც ხეობაში ამ დარგის განვითარების საფუძვლად გახდა.

ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა: „მემინდვრეობის ეკონომიურ მიზანს ადამიანისათვის საჭირო მცენარეულობის მოყვანა შეადგენს. ეს მცენარეულობა, რომ დანიშნულებისდა მიხედვით დაგანაწილოთ, ორ მთავარ ჯგუფად შეიძლება დაიყოს: ერთ ჯგუფს ადამიანისა და პირუტყვის საკვებად განკუთვნილი მცენარეულობა შეადგენს, მეორე ჯგუფს – კი ადამიანის ყოფაცხოვრებისათვის გამოსადეგი და საჭირო მცენარეულობა ეკუთვნის...“ [14: 317].

აღსანიშნავია ისიც, რომ პანკისში თავდაპირველად დასახლებული ქისტების მეურნეობის ფართო განვითარებას ზღუდავდა სახნავი მიწების სიმცირე და სამიწათმოქმედო მარტივი ტექნიკა. მხედველობაში უნდა მივიღოთ ისიც, რომ მთიანი ჩენეთიდან გადმოსახლებულებს მესაქონლეობის მეტი ცოდნა–გამოცდილება ჰქონდათ, ვიდრე მიწათმოქმედებისა. მიუხედავად ამისა, მიწის უბრალოდ

დაბუშავეების შემდეგაც კი ხეობის ნიადაგების ნოყიერი ნაწილი— კარგ მოსავალს იძლეოდა [13: 446]. მიწის ფართობის ნახევარზე მეტი, რომლებსაც ქისტები ფლობდნენ, ბუჩქნარსა და ტყეს ეკავა. ფართობის ერთი ნაწილი ქვა— ღორღიანი, მემინდვრეობისთვის გამოუყენებელი იყო. ახალი ნაკვეთების გასუფთავება კი დიდ



სურ.1. სოფლის ტრანსპორტი ურემი - „ვორდ“.

შრომას მოითხოვდა, მოსახლეობის დაბალი მატერიალური დონე ნაკლებად იძლეოდა ამის საშუალებას. ამიტომ იყო, რომ პირველ ხანებში მესაქონლეობას მეტი ადგილი ეთმობოდა, ვიდრე მემინდვრეობას. ქისტები თავდაპირველად დასახლდნენ ახოს სახით აღებული მიწის ნაკვეთებზე და შემდეგ სოფლის გარეთა მიწების ათვისება დაიწყო. როგორც ითქვა, პანკისის ხეობის ტყეს, ველ—მინდვრებს და მამულებს სახელმწიფო, ქართველი თავადები და შექმლებული პირები ფლობდნენ. მოსახლეობაც ზოგი სახელმწიფო, ზოგი თავადის მამულს ყიდულობდა, ზოგი იჯარით იღებდა (ქისტები, ოსები, ფშავლები) და ისე სახლდებოდა.

საკარმიდამო ნაკვეთი კერძო საკუთრებაში იყო. ყოველ მაცხოვრებელს უფლება ჰქონდა გაეყიდა, გაესაჩუქრებინა ან მემკვიდრეობით გადაეცა იგი. კერძო

საკუთრება იყო აგრეთვე ბუნჩებისგან, ტყისა და ქვისგან გასუფთავებული ახოც-
და ა ა ყ, მაგრამ ასეთი ნაკეთებები პირველ ხანებში ძალიან ცოტა იყო და იქედან
მიღებულ შემოსავალს უმნიშვნელო ადგილი ეკავა ოჯახის ეკონომიკაში. გორებზე
ან ფერდობ ადგილებზე მდებარე ახოების გვალვიან ამინდში მორწყვა არ
ხერხდებოდა და ამდენად მოსავალიც ხშირად მცირე იყო. აღნიშნულ ადგილებში
ახოს გატეხვის მიზნით სახნავ-სათესი მამულის ნაკლებობა იყო. თუ მარცვალს
არ მიიღებდნენ საქონლისთვის, ჩალის მიღების იმედს მაინც არ კარგავდნენ.

ზოგიერთ ავტორს მიაჩნია, რომ ასეთ ადგილებში მდებარე ახოს მფლობელი
დიდ მოსავალს იღებდა, რაც მართებულად არ მიგვაჩნია.

ვალ. ითონიშვილი წერს: „XIX საუკუნის მეორე მეოთხედში, ახალმოსახლეს
ახოს აღება შეეძლო ყოველგვარი ნებართვის გარეშე, ხოლო მის მიერ გადაამუშა-
ვებული ნაკვეთი ექცეოდა მის მუდმივ პირად საკუთრებაში“ [15: 157]. დროთა
განმავლობაში ახო სასოფლო ფონდში გადადიოდა, მფლობელის სარგებლობაში
იგი ითვლებოდა მანამდე, სანამ მასზე გაწეულ შრომას აინაზღაურებდა. ეს იმ
შემთხვევაში, თუ ახო მდებარეობდა ძირითად სახნავ-სათეს მამულებთან ახლოს.
ხოლო ის ახო კი, რომელიც საცხოვრებელ-სახნავ ადგილიდან მოშორებით იყო
(მაღლა ტყეში ან გორაზე), ის მუდმივად რჩებოდა მფლობელს. სწორედ აქედან
შემოგვრჩა უცვლელად იმ ძნელად მისასვლელი ადგილების ტოპონიმები,
როგორცაა კ ვ ე ს ტ ი ე დ ა ა ყ - კოსტას ახო, ბ ე ი ს ა რ დ ა ა ყ -
ბეისარას ახო, ი დ ე ი დ ა ა ყ - იდას ახო, ლ ა ბ ო ი დ ა ა ყ - ლაბოს
ახო და სხვ., ისე რომ, ახო იმ პირის სახელს ატარებდა, ვინც გაჩეხა და ახოდ აქცია.

ქისტებმა სოფლის გარეთა სახნავ-სათესი ადგილების შემოღობვა არ
იცოდნენ: ერთ დღიურ ადგილს ისინი 3 ა-ს უწოდებენ, ახოს კი დ ა ა ყ-ს.
სოფელ ჯოყოლოს და ომალოს მაცხოვრებლები სოფლის გარეთა სახნავ-სათესს
ახოსაც უწოდებენ. სახელ-კართან შემოღობილი მიწის ფართობი იყო ქ ა რ თ.
ქართ შქეია ნებისმიერ შემოღობილ პატარა ადგილსაც. მაგ., ბ ე ე ა ნ ქ ა რ თ-
საქონლის სადგომი ადგილი, ჯ ა ქ ა რ თ - ცხვრის სადგომი, ს უ ა მ ბ ო
ლ ქ ა რ თ - ხეხილიანი ადგილი და სხვ. ქართ სიტყვისიტყვით ღობეს ნიშნავს.
დ ა ა ყ ტერმინით აღინიშნება მიკუთვნილი სახნავ-სათესი და სათიბი ადგილიც.
მაგ., ჯ ე ე გ ი ხ წ ა ნ დ ი ნ დ ა ა ყ - ჯავისგან გასუფთავებული ადგილი.
ქისტურში ტერმინი ჯ ა გ ქართულიდანაა შესული. ტერმინი დააყ ნიშნავს
რაიმის წილსაც. იმ ადგილებს, რომლებიც დასახლებიდან, სახნავ-სათესი
მდელოებიდან დიდად დაშორებული არ იყო და ახოს აღებით მოიპოვეს, დროთა
განმავლობაში დაეპატრონებოდა სოფლის თემი, რომელიც ორგანიზაციას უწევდა
მიწათსარგებლობის ფორმებს. ახოთი გლეხი სარგებლობდა მხოლოდ 15 წელი,
ხოლო შემდგომ იგი გადაეცემოდა სასოფლო ფონდს და მიწების ხელახლა
გადანაწილებაში ექცეოდა [15: 159].

რევოლუციის შემდგომ სახელწოდება ახო შემორჩა მხოლოდ მთის
ფერდობებზე, გორებზე მდებარე ადგილებს, რომლებიც თავის დროზე ნაკლებ
მოსავლიანობისა და სიმშორის გამო გადანაწილებაში არ ხვდებოდა.

ახოს აღება დიდად შრომატევადი საქმე იყო, ამიტომ ისინი მიმართავდნენ
ურთიერთდახმარების ფორმას, რომელსაც ბ ე ლ ხ ი ეწოდებოდა. ქისტებში

არაიშვიათი იყო საზიარო ახლები – ი უ ყ ა რ დ ა ა ყ ა შ, რომლის გაწმენდა–დამუშავება ნათესავების ან მეზობლების (რომლებიც შეამხანაგდებოდნენ) ერთობლივი შრომით ხდებოდა. აღებული მოსავალი თანაბრად იყოფოდა. ჰქონდათ სათიბი ადგილებიც ცო ნ ი დ ა ა ყ ა შ. დროთა განმავლობაში ეს ადგილები გაიყოფოდა ანდა ერთ–ერთი იბრუნებდა საკუთრებაში.

მასალების მიხედვით, ტყე სახელმწიფოს ეკუთვნოდა. ტყის ახოდ განეხვის მხურველს სახელმწიფოსთვის უნდა გადაეხადა გარკვეული თანხა ერთ ჰექტარში 13–14 მან. [5: რვ. 3]. პირველ ხანებში ქისტები ტყეს თავისი სურვილით ჩეხავდნენ, ხოლო შემდგომ პერიოდში, როცა ხეობაში ხალხი მომრავლდა, მთელ სახნავ–სათეს ფართობს სასოფლო თემი დაეპატრონა და ტყის გამოყენებაც ნებართვის გარეშე შეუძლებელი გახდა.

სარჩევო საბუთების მიხედვით, პირველი და მეორე მშვიდობიანი სოფელი კარგა ხანს თავადებს მიწის დაღას არ უხდიდა [16: 26], მაგრამ რაღაც დროის შემდეგ გადახდა მანც დაიწვეს. ტყითა და საძოვრით სარგებლობისთვის ხაზინისა და თავადის სასარგებლოდ უნდა ეხდათ 40–60 კაპიკი, ე. ი. წელიწადში 81 მანეთი და 20 კაპიკი. „ფინხოვანისა და ქორეთის ოსი ახალმოშენები თუშებს (წოვა) იჯარით აღებულ ერთ დღიურ მიწაზე უხდიდნენ 3 კოდ ხორბალს, ამდენსავეს იხდიდნენ პანკისში მცხოვრები ოსებიც“ [17: 69].

წერილობითი მონაცემებით, ქისტებში მიწების გადანაწილება ხდებოდა შემოდგომის პირას, როცა მამულები თავისუფალი იყო. სოფ. დუისში, ბირკიანში 10–15 წელიწადში ერთხელ, ხოლო ომალოში სამ–ოთხ წელიწადში. ეს გამოწვეული იყო იმით, რომ სოფ. ომალოში მოსახლეობის მომრავლების გამო შემცირდა სახნავ–სათესი ფართობი და ცალკეული მოსახლის მიერ ახალმოშობული ახორც სამ–ოთხ წელიწადში გადანაწილებას ექვემდებარებოდა. სასოფლო თემი წინასწარ იწვევდა თავყრილობას, რომელშიც მონაწილეობას იღებდა გვარად ერთ–ორი უხუცესი და იმართებოდა მსჯელობა (ბჭობა). ყოველი გვარის წარმომადგენელი ცდილობდა უკეთესი მიწები ჩაეგდო ხელში. მიწის ფართობი სოლისებურ ნაკვეთებად იყოფოდა, ითვალისწინებდნენ მხოლოდ უბანში მცხოვრებ კომლთა რაოდენობას და შემდეგ ხდებოდა კენჭისყრა. თემის მიერ უბნისთვის გამოყოფილი მიწა გვარის შიგნითაც კომლთა მიხედვით კენჭისყრით ნაწილდებოდა. ქისტების სოფლებიდან დღეის და ჯოყლოვ აღმინდა უკეთესი სახნავი ნაკვეთებით უზრუნველყოფილი.

მ. მანაბლის ცნობით, სოფ. ჯოყლოვში მიწის გადანაწილება ხდებოდა მაშინ, როდესაც საკომლო ნაკვეთები არათანაბრად იყო განაწილებული. გადანაწილებისას საკომლო ნაკვეთებს კი არ ყოფდნენ, არამედ ჩამოჭრიდნენ და ასე ათანაბრებდნენ ნაკვეთებს. გადანაწილების სიაში შეჰქონდათ აგრეთვე გლეხის მიერ გაჩეხილი (ახოდ წოდებული) საყანე ადგილიც [13: 377, 390].


აღსანიშნავია ისიც, რომ ადრე დიდი ოჯახის გაყოფისას სახნავ–სათესი მიწა არ იყოფოდა (გარდა საკარმიდამო ადგილისა). ძირითადი ოჯახის ხიმინდისა და ხორბლის ყანებს ერთად ამუშავებდა ოჯახის ყველა წევრი, ხოლო აღებულ მოსავალს ინაწილებდნენ სულადობის მიხედვით. როცა მიწის ხელახალი გადანაწილება მოხდებოდა, ოჯახიდან გამოყოფილი კომლი თავის კუთვნილ მიწის ფართობს მიიღებდა. თუ გამოყოფილი ოჯახი თავისთვის ახალ ახოს გაჯაგავდა,

მას დრომდე მხედველობაში არ მიიღებდნენ. გადანაწილების სიაში ხვდებოდა მხოლოდ ის ახლ, რომელიც კარგ მოსაგაღს იძლეოდა და ძირითად სახნავ მიწებთან ახლოს მდებარეობდა. ქისტები ძალიან ვრიდებოდნენ ფერდობ ადგილებს. ასეთ ადგილებში ნათესს წვიმის წყალი ჩამორეცხავდა და გაწული შრომა უნაყოფოდ იკარგებოდა. ფერდობ ადგილებს იყენებდნენ სათიბებად. ქისტები მას ო ლ ი ე რ - მ ე თ ი გ - ს უწოდებენ. ო ლ ი ე ნიშნავს ფერდობს, ხოლო მ ე თ ი გ - ადგილს.

გაზ. „ივერიის“ მონაცემებიდან ირკვევა, რომ პანკისის ხეობის სახნავ-სათეხი თუ საძოვარი ადგილები ყოველწლიურად სადავო ხდებოდა. მაგალითად, ჯოყოლოვლებს სოფლის მახლობლად, ალაზნის პირას მდებარე 60 ჰა ველებოდნენ თუშები, რომლებიც ამბობდნენ, რომ ეს ადგილი მათ სახელმწიფომ მიაკუთვნა მთაში მიმავალი ცხენა-ძროხის დამის სათვეად. ადგილობრივმა ტყის უფროსმა კი ჯოყოლოვლებს რამდენიმე დღიურის მოხვნის უფლება მისცა. „დათესეს, ყანები მოვიდა ისეთი, რომ მტრის თვალს არ ენახებოდა. ამ ყანების იმედით ზოგიერთებმა საქმარისი სიმინდიც არ დათესა, პური მეყოფაო. როცა ყანები ყვავილში შევიდა, სამოცამდე შეიარაღებული ცხენოსანი თუში, უკან აუარებული ცხენის ჯოგით ყანებს კალიასავით მოედნენ და ისე გახადეს, რომ მინდორს ნაყანობაც კი აღარ ეტყობოდა. მესამე დღეს ადგილობრივი ბოქაული მოვიდა საქმის გამოსაძიებლად. მოიარა მთელი მინდორი, მაგრამ ისე იყო მოლოკილი იქაურთა, რომ ნაყანობაც აღარ ეტყობოდა“. ასე მოხდა მეორე წელსაც. წინა წლის უბედურება და ზარალი ქისტებს სიზმრად მოეჩვენათ. ტყის უფროსმა მეორედ მისცა ამ ადგილის მოსახნავი ბილეთი. ერთ მშვენიერ დღეს ჯოყოლოვლებს ამ ადგილის ხენა დაუწყიათ. გაიგეს ეს ამბავი თუშებმა, ორმოცამდე შეიარაღებული ცხენოსანი თავს დაადგა. ჯოყოლოვლებმა თუშებს ქვა დაუშინეს და მათაც ქვითვე უპასუხეს. აქ შუაში ჩამდგარა სხვა ქისტი კაცი და დედაკაცი... უქნიეს მადლა ქულები, ჩიქილები და როგორც იქნა დააშოშმინეს. თუშებმა წაართვეს ხარები და გუთნები. ადგილობრივმა ბოქაულმა ბ-მა მარქაროვმა მაშინვე ჩაფრები გამოგზავნა, რაიმე უბედურება რომ არ მომხდარიყო, მაგრამ ამ დროს უკვე დაშოშმინებულნი იყვნენ. მეორე დღეს თვით ბოქაულიც მოვიდა, თუშებს ჩამოართვა წართმეული ხარები, გუთნები და პატრონებს ჩააბარა, საქმის ვითარებაც გამოარკვია, მაგრამ არაფერი შედეგი არ მოჰყოლია [10: № 116].

ქისტები თავდაპირველ სამშობლოშიც ნაწილობრივად მიწათმოქმედებას მისდევდნენ, მაგრამ პანკისის ხეობაში იგი მათი მეურნეობის წამყვანი დარგი გახდა. ივ. ჯავახიშვილი წერს: „ყოველ სახნავ მიწას ნიადაგის თვისებებისდა მიხედვით სჭირდება დამუშავება, ამიტომ საყანური ზოგან ღრმად უნდა მოიხნას, ზოგან პირიქით ზედაპირად, ზოგ ადგილას ნიადაგის სიმკვრივის გამო მძიმე და ღონიერი სახენელი სჭირდება, ზოგან კი სუბუქი და მარტივი აგებულების იარაღიც თავის დანიშნულებას კარგად და ადვილად ასრულებს“ [14: 173]. მართლაც, პანკისის ხეობის მამულების მეტი ნაწილი ძნელად დასამუშავებელი იყო. ზოგი ადგილი ღრმად მოხვნას მოითხოვდა, ზოგიც ზედაპირულს და ხშირად საჭირო იყო გამწვევი ძალისა და სახენელი იარაღის გაერთიანება. ქისტების თანმოტანული სახენელი იყო ხის გუთანის დ ე შ ქ - გ უ ა თ და ა ჩ ა ჩ ა. შემდგომ გაჩნდა რკინის გუთანის. ჩანს, რომ შორეულ წარსულში ვეინახებმა სახელწოდება გ უ ა თ

მეზობელი მთიელებისგან მიიღეს. პანკისის ხეობის ყამირი და ქვა-ღორღისაგან ახალგაწმენდილი მამულები უკვე რკინის გუთნით იხვნებოდა. იგი ღრმად ხნავდა და გამწვევი ძალაც მეტი უნდოდა. ის გლეხი, რომელსაც საკუთარი არც გუთანი



სურ. 2. სახვნელი იარაღის ტიპები - „აჩაჩი გუთანი“

ქონდა და არც გამწვევი ძალა, სხვას ახვნევენებდა იმ პირობით, რომ მოსავლის აღების შემდეგ გადაუხდიდა ერთი დღიურის მოხვნაში საშუალოდ ხუთ მანეთს, მაგრამ თუ პატრონი მეორე სახის გუთნით (აჩაჩა) მოახვნევენებდა ერთ დღიურს, მაშინ მას შემოდგომაზე უნდა გადაეხადა სამი მანეთი. მოხვნის ფასებს განსაზღვრავდა ის, თუ რამდენად ღრმად იხვნებოდა მიწა. ეს გუთანი დღეს შემორჩენილია პანკისის ხეობაში, მაგრამ მისი გამოყენების არე ახალი ტექნიკის შემოსვლის გამო მნიშვნელოვნად შემცირდა. მას იყენებენ მხოლოდ მთიან ადგილებში, სადაც თანამედროვე ტექნიკის გამოყენება შეუძლებელია. როგორც ითქვა, ქისტები სოფლის გარეთა მამულების ხენა-თესვის დროს ჯგუფებად ერთიანდებოდნენ, რაც გამოწვეული იყო მოსახლეობის ქონებრივი დიფერენციაციით. ყველა სოფელში იყვნენ მდიდარი და ღარიბი მეპატრონეები. იყო ოჯახები, რომლებსაც ჰქონდათ სახნავად გუთანი, მისი მოწყობილობა და გამწვევი ორი-სამი უღელი ხარკამეჩი და ახვევ მეტი სახნავ-სათესი მამულიც.

ქისტებმა ტრადიციულად ერთმანეთის დახმარება იციან - სიმინდის თოხნის, თიბვის, ყანის მკის, სიმინდის ტეხვის, საშენი ქვის მოგროვება, მოტანის, სახლის მშენებლობის, ახალი ახოს გატეხვის და სხვა საქმიანობის დროს. ამ სამუშაოებში მონაწილეობას იღებდა ქალიცა და კაციც. არსებითად განსხვავდებოდა შრომის ორგანიზაცია ხვნის დროს - ერთიანდებოდნენ ჯგუფებად, რომელსაც ქისტები ვოვში - უათარან ვოვშახთუახარს უწოდებენ, რაც ნიშნავს

ორი-სამი და მეტი ოჯახის გამწვევი ძალის, სახენელი იარაღისა და მუშახელის გაერთიანებას [7: 8]. საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ამ გაერთიანებას მოდგამს უწოდებენ. აღ. რობაქიძე წერს: „სიტყვა მოდგამი აღნიშნავდა მუშა-ხელის, სახენელი იარაღისა და გამწვევი საქონლის პერიოდულ გაერთიანებას; მოდგამი მიზნად ისახავდა გარკვეული დროის მანძილზე მიწის მოხვნას მოდგამის ყველა წევრისათვის“ [18:406]. იგივე შინაარსის გამომხატველია ქისტური ტერმინი ვ ო ვ შ ა ხ თ უ ა ხ ა რ.

პანკისის ხეობის ქისტებში შეამხანაგებულების შრომის ანაზღაურება სხვადასხვა იყო. ხვნა-თესვის დროს უფრო მეტს შრომობდა გუთნის დედა, შემდეგ წინა მესხრე, რომელსაც ღამის მესხრეობაც ევალებოდა, მეურ დანარჩენები; ამიტომ მათი შრომის ანაზღაურება შემდეგნაირად ხდებოდა: გუთნის დედას ორი წილი, წინამესხრეს 1/5, ხოლო ჩვეულებრივ მესხრეს ერთი წილი. ხვნა-თესვის ნორმალურად ჩატარება ძირითადად დამოკიდებული იყო გუთნის დედაზე და წინა მესხრეზე. გუთნის დედა მთელი დღე გუთანს მიჰყვება, მარცვალსაც იგი აბნევს, მესხრე კი უდელზე ჯდომით მუხლს ასვენებს.


ხენასთან დაკავშირებული შრომის ორგანიზაციის დროს მდელოებისა და ახოების პატრონებს რამდენიმე დღით სოფლიდან გასვლა უხდებოდათ შეამხანაგებულ მუშებთან ერთად, ხოლო ახლო მინდორში სხვადასხვა სამუშაოს შესასრულებლად თავმოყრილი ბ ე ლ ხ ი - დამხმარე მუშები - დღის ბოლოს თავის ოჯახებში ბრუნდებოდნენ [5: № 2]. თუ მოსახენელი მამულის პატრონს ან მის ახლობელს გუთნის პატრონთან შედარებით გუთნის დედობის მეტი გამოცდილება ჰქონდა, მაშინ ქისტებში ისინი თვითონ ასრულებდნენ გუთნის დედის მოვალეობას. ძირითადად ამ საქმიანობაზე პასუხს აგებდა წლოვანებით უფროსი მამაკაცი. ველზე მუშებისთვის სადილი მიჰქონდა იმ ოჯახს, რომლის მამულიც იმ დღეს იხვნებოდა. სახნავი სოფლიდან შორსაც რომ ყოფილიყო, ოჯახის დიასახლისს დღეში ორჯერ უნდა მიეტანა ცხელ-ცხელი სადილი. მეორედ მიტანილი სადილი დილაზე უნდა ჰყოფნოდათ.

ქისტები ხენის დროს საშუალოდ ოთხ-ხუთ უდელს იყენებდნენ, ხან უფრო ნაკლებსაც, რაც დამოკიდებული იყო მოსახნავი ადგილების ხარისხზე. ხვნა-თესვას 15 მარტიდან და სექტემბრის ბოლო რიცხვებიდან იწყებდნენ. ოჯახის უფროსი ველზე გასვლას რომ გადაწყვეტდა, წინა დღეს შეუთანხმდებოდა სოფელში ცნობილ ბარაქიანი ხელის პატრონს, რომ გაკყოლოდა მინდორში და ერთი კვალის გუთნის დედა ყოფილიყო. ხანდახან ადამიანს რამდენიმე ადგილას უნდა მოესწრო მისვლა და თითო კვალის - ხ ა რ -ის გატარება, რადამა ამ საქმეში უარის თქმა მოუძღებლად ითვლებოდა. როცა ხვნა-თესვა მთლიანად დამთავრდებოდა და რომელიმე დარბი ოჯახის მიწის ნაკვეთი მოუხნავი დარჩებოდა, თანასოფლელები თავისი ინიციატივით, ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე მოუხნავდნენ და დაუთესავდნენ კიდევ.

თითოეული დღიურის მოხვნის-თანავე იწყებოდა თესვაც. იგივე გუთნის დედა წამოიკიდებდა მარცვლით სავსე ხურჯინს და მუჭით მიმოაბნევდა ხნულში. დღიურის ერთ მხარეს რომ დამთავრდებოდა მარცვლის გაბნევა, მთესველი მეორე მხარეს ჩამოჰყვებოდა, დანარჩენები კი ფარცხვას იწყებდნენ. ქისტები ფარცხს - მ ე ჳ -ს წველისაგან აკეთებდნენ, ისეთივე ფორმისას, როგორც

თავდაპირველ სამშობლოში ჰქონდათ. ანალოგიური ფარცხი გვხვდება მეზობელ ფშაველებში, ოსებში და თუშებში. ფარცხვის დამთავრების შემდეგ მუშები გადაინაცვლებდნენ მეორე დღიურის მოსახნავად და ასე, სანამ ხენას არ დაამთავრებდნენ.

მ. ალბუთაშვილი წერს: “პანკისის ფშაველებმა სხვა ხალხივით თესლის აქა-იქ გადაყრა არ იციან. სოფელს ამორჩეული აქვს ყოველ წლობით დასამუშაველად



სურ. 3. ფარცხი „მე 3“

ერთი უბანი ან მხარე და ყარაულიც ჰყავთ დაყენებული. ერთი დარგი რომ წლეულს დათესილია, მეორე თავისუფალია და ნათესი არ ზარალობს საქონლისაგან. თესავენ უფრო პურს, ცოტა ქერს, ფეტვს, სიმინდს მომატებულად“ [7]. როგორც ჩანს, ფშაველებს მიწათსარგებლობის განსხვავებული წესი ჰქონდათ. მიწის ნახევარ ფართობს წელგამოშვებით ასვენებდნენ და შიგ საქონელს ატრიალებდნენ. ქისტებში კი დღიურები განაწილებული იყო დასათესი კულტურის მიხედვით. ერთ წელს სიმინდს თუ დათესავდნენ, მეორე წელს ამ ადგილზე ხორბალს ან ქერს თესავდნენ. სადაც წინა წელს ქერი ეთესათ, იქ ფეტვს ან სიმინდს და ასე ერთიმეორის შენაცვლებით ასვენებდნენ მიწას ერთი და იგივე კულტურისაგან [5: რგ. 2].

ქისტები რვეოლუციამდე ძირითადად თესდნენ სიმინდს – ჰეჯიგიშ, ფეტვს – ბოარც, ქერს – მუკ და ხორბალს – კაა. მეტი მიწის ფართობი ნათესებიდან სიმინდს ეკავა, რადგან მოსახლეობის უმეტესი ნაწილი ამ კულტურით იკვებებოდა, ხორბალს და ქერს კი უფრო საბაზრო ხასიათი ჰქონდა.

კარგ ამინდებში ქისტები სიმინდის მოსავალს თითო დღიურიდან 5-6 ურემს იღებდნენ. 1889 წელს თიანეთის მაზრის უფროსის მიერ თბილისის გუბერნიის სახელზე გაგზავნილ ანგარიშში აღნიშნულია, რომ პანკისის ხეობა, ერწო-თიანეთი, კახეთის სოფლებთან შედარებით სიმინდის გაცილებით მეტ მოსავალს იძლევა. სამეურნეო წლის ბოლოს თიანეთის მხარეში მოგვცა ერთი ორად, ხოლო პანკისის ხეობაში ერთი თხუთმეტადო. ზემოქმედ მარცვლეულს ქისტები ყიდდნენ მეზობელ თუშებში, ფშაველებში და კახელებში.

საარქეოო მასალის მიხედვით, პანკისის ხეობაში ყველა პირობა იყო იმისათვის, რომ სიმინდის კარგი მოსავალი მიეღოთ. გვაღვიან ამინდებში ნათესების მორწყვის საშუალებაც ჰქონდათ [19: ფ. 17].



მ. მაჩაბელი წერს: მდინარე ალაზნიდან არხით გამოყვანილი წყლის საშუალებით ჯოყოლოს საზოგადოება რწყავს 40 ჰექტარ მიწას, ხოლო ბახტრიონი 36 ჰექტარამდე. ომალოს საზოგადოება მიწას რწყავს მთიდან მომდინარე წყლით, რომელიც სათავეს იღებს ნაქერალის მთაგრეხილიდან: ჯოყოლოს, დუისის, ყვარულწყლის და ბირკიანის მაცხოვრებლებმა გაიყვანეს ერთი საერთო არხი, რომელიც სოფლების მიხედვით პატარა არხებად იყო დაყოფილი [13: 356].

ქისტები, ჩენებისა და ინგუშების მსგავსად, მინდვრის მამულებს არასოდეს ანოყიერებდნენ, სამაგიეროდ საკარმიდაძო ნაკვეთებში შეჰქონდათ საქონლის პარტი. პანკისის ხეობაში სიმინდის აღება-შემოტანა სექტემბერ-ოქტომბერში იწყებოდა, ხოლო ხორბლისა და ქერის-ივლისში. სიმინდის მტერევა და ფუჩქისი მოჭრა ერთდროულად ხდებოდა. ყანას მკიდნენ ჩვეულებრივ ნამგლით - ც ი ე ლ-ით, ამავე ნამგლით ჭრიდნენ ფუჩქსაც. ყანის მკისა და სიმინდის მტერევის დროს მუშებს - ბ ე ლ ხ ი-ს იშველიებდნენ. მოტეხილ სიმინდს ურმის მისადგომ ადგილზე აგროვებდნენ. დამხმარე მუშების ერთი ნაწილი სიმინდს ტეხდა, ხოლო მეორე ნაწილი ფუჩქს ჭრიდა და კონებად - წ ო ი-დ კრავდა და იქვე, მამულში (7-8 კონა ერთად) აყენებდა. დღის ბოლოს მოტეხილ ტაროებს ურმით გადაზიდავდნენ და ყრიდნენ წნელისაგან სპეციალურად დაწნულ (მღრნელებისაგან დასაცავად) ოთხ ფეხზე დადგმულ სასიმინდეში - დ უ ა. ისინი, ვისი ახოებიც სოფლიდან ძალიან შორს იყო, ტაროებიანად მოჭრიდნენ სიმინდის ღეროებს, შეკრავდნენ კონებად და ურმით - ვ ო რ დ მოზიდავდნენ ეზოში. სიმინდის გარჩევისას მოიწვევდნენ უზნის ახალგაზრდა გოგონებს, ვაჟებს, დასხდებოდნენ ერთ რიგზე, გასუფთავებულ ტაროს ზურგს უკან გადაავადებდნენ, ხოლო ფუჩქს ისევ კონად შეკრავდნენ და იქვე დააწყობდნენ. ასეთ თავშეყრის ადგილებში ხანში შესულებიც მიდიოდნენ, ერთობოდნენ, მღეროდნენ და სხვადასხვა თქმულებას ყვებოდნენ. სიმინდის რჩევის დროს ასეთი თავშეყრა იცოდნენ ჩენებმაც, რომლებიც ბ ე ლ ხ ი ხ ა მ ა-ს - მუშების გართობას უწოდებდნენ. მიწვეულები ასეთ სამუშაოზე დიდი სიხარულითა და ხალისით მიდიოდნენ.

ყანის მკა რომ დამთავრდებოდა, შეუდგებოდნენ მომკილის კალოზე - კ ი ე თ მიტანას, ზვინებად დადგმას და შემდეგ ლეწვას. კალო ბალახისა და ქვებისაგან გაწმენდილი, წრის ფორმის ადგილია, რომელზეც ლეწავდნენ ხორბალს, ქერს, ფეტვს.

ქისტების სამეურნეო ყოფაში ლეწვის ორი მეთოდი არსებობდა: კალოზე თანაბრად გაშლიდნენ ხორბლის ან ქერის ძნებს - წ ო ი-ს. კალოს ცენტრში

ჩასობილ ბოძს მოაბამდნენ ღვედის ერთ ბოლოს, ხოლო მეორეს მიაბამდნენ ერთ ან ორ უღელ ხარს. მეხრე ხარებს გარკვეული მიმართულებით ერეკებოდა, ღვედი კი ბოძს ეხვეოდა. როდესაც ხარები ბოძს მიუახლოვდებოდნენ, მეხრე საწინააღმდეგო მხარეს მიაბრუნებდა და ერეკებოდა მანამ, სანამ დახვეული ღვედი არ გაიშლებოდა. შემდეგ ისევ თავიდან იწყებდა და ა. შ.



სურ. 4. საღვეწი კვერთხი „ნ ე ა“.

ღვეწის ეს წესი დამახასიათებელი იყო კავკასიის სხვა ხალხებისთვისაც. ამის შესახებ გ. ჯალაბაძე წერს: „საქონლის ფეხით პურეულის ღვეწის პრაქტიკას ადგილი ჰქონდა მთიანი კავკასიის სხვა ხალხთა ყოფაშიც. მაგ., ჩრდილო კავკასიის ოსებში საქონლის ფეხით ღვეწისას საქონელზე გამობმული საბლის ერთი წვერი მიბმული იყო კალოს ცენტრში ჩასმულ მარგილზე და საქონელი მის ირგვლივ ტრიალებდა“ [20: 137].

დროთა განმავლობაში ქისტების ყოფაში ფეხს იკიდებს ახალი, შედარებით გაუმჯობესებული ღვეწის წესი, რომელიც ქართულ კვერთხს არის დაკავშირებული. კვერს ქისტებში ნ ე ა-ს უწოდებენ. კალოზე თანასწორად

ჩაშლილ ძნაზე ერთი-ორი უღელი ხარ-კამჩით კვერს ატრიალებდნენ. კვერზე დგებოდა მეხრე და ისე მიერეკებოდა საქონელს, როდესაც თავთავიდან მარცვალი გადმოიფშენებოდა, ძნას გადააბრუნებდნენ ფიწლით – შ ო დ. ძნის აჩენვა 3-4ჯერ ხდებოდა და მარცვალი ადვილად იღვეებოდა.


თავთავიდან მარცვლის გამოღვეწის შემდეგ ბზეს – ჩ ა-ს მოაცილებდნენ, ხოლო ბზენარეუ მარცვალს კი ერთ ადგილას მოაგროვებდნენ, გაანიავებდნენ ბრტყელი ნიჩბებით – ბ ა კ, შემდეგ ცხრილში – ც ო ც ატარებდნენ და კალოზევე გასუფთავებული მარცვლეული მიჰქონდათ ოჯახებში და ინახავდნენ სპეციალურ ჭურჭელში (ამბრებში) – ა მ ბ ა რ.

აღსანიშნავია ისიც, რომ პანკისის ხეობის თავში მდებარე სოფლებში (ხორაჯო, ჩხათანა) ყანას ზამთრის დადგომამდე და მიწის გაყინვამდე არ ღვეწავდნენ. ამ სოფლებში კალოს საცხოვრებელი ბინის (წითელი ტალახით შეღესილი) თავზეც გამართავდნენ ხოლმე, თუ სახურავის ფართობი ამის საშუალებას იძლეოდა. ღვეწავდნენ კვერით, მაგრამ უფრო ხშირად მიმართავდნენ ზემოთ აღწერილ საქონლის ფეხით გაღვეწის წესს [5].

პანკისის ქისტებში ორი სახის კვერის მოდელი დგინდება – ერთი მთლიანი ხისგან გაკეთებული, ხოლო მეორე, პირველთან შედარებით უფრო პატარა, ერთმანეთზე გადაბმული ორი სქელი ხის ფიცრისგან დამზადებული. ორივე სახის კვერის წინა ნაწილი რკალისებურად იყო ათლილი, რომ ღვეწის დროს ძნაში თავისუფლად ემოძრავა. კვერის ზედაპირი სწორი იყო, ხოლო ქვედას

ჩამშული ჰქონდა კაუის ქვეები — მ ა ა ჰ ა წ ჯ ი ე რ. კვერს თელამუშის ხისგან აკეთებდნენ. მოგვიანებით ქისტების მეურნეობაში ჩნდება ცაცხვის ხის კვერი, რომელსაც კოხების მაგივრად თუჯის პატარა ნაჭრები უკეთდებოდა. ამ კვერში ერთ ან ორ უღელ ხარ-კამეჩს აბამდნენ.

სამუშაო ინვენტარი. სამუშაოდ ქისტები ხმარობენ ხისა და რკინის ფიწალს შო ღ-ს. ხის ფიწალს აკეთებდნენ შინდის ხისგან, რომელსაც ჰქონდა ორ—სამი ტოტი. მას ქისტები თავდაპირველ სამშობლოშივე იცნობდნენ. რკინის ფიწლის გამოყენება საქართველოში დასახლების შემდეგ დაიწყო. ხის ფიწალი რკინისასთან შედარებით მსუბუქი იყო და სამუშაოდაც უფრო ხელსაყრელი.




სურ. 5. 1, 2 თოხი, 3 ნამგალი.

თოხს ქისტები თ უ ა ჯ-ს უწოდებენ, ხოლო ჩენები და ინგუშები გ ა მ-ს. ჩენეთის მთიანეთში გამოყენებული გ ა მ თოხზე პატარაა და მას უფრო ფხვიერ ადგილებში ხმარობენ. ასეთი თოხით მუშაობა ნაკლებშედეგიანი იყო, ამიტომ ქისტებმა პანკისში დასახლებისთანავე თან მოტანილ გ ა მ-ზე უარი თქვეს და აითვისეს მეზობელ ქართველებში გამოყენებული თოხი, რომელსაც შეარქვეს — თ უ ა ჯ. შემდეგ თოხის კეთებაც დაიწყო. დუისში და ჯოყოლოში გასხნილი იყო სამჭედლო, რომელიც ხეობის მოსახლეობას ამარაგებდა თოხით, ცულთი, ბართი, ცვლით და ნამგლით. ჩენები და ინგუშები ცელს მ ა რ ს უწოდებენ. ქისტები ქართულ ნამგალს ც ი ე ღ-ს, ხოლო ცელს მ ა ნ გ ა ღ-ს, ნინაბს ბ ა ჰ-ს, ხოლო ბარს — ბ ი ე ღ-ს უწოდებენ. ფოცხი იო ღ ა ჰ არ ორი სახისაა — რკინისა და ხის. ხის ფოცხი დიდია. მას აქვს 12—15 კბილი, რომელიც მათ თავდაპირველ სამშობლოშივე ჰქონდათ.

ეს სასოფლო-სამეურნეო იარაღები ქისტების ყოფაში ჩვენს დროშიც კარგად არის შემონახული. ქისტები მოსავლის დაბინავებისას, როგორც ზემოთაც აღინიშნა, სიმინდს ტაროიანად ინახავდნენ, წნელისაგან მოწნულ სპეციალურ სასიმინდეში, რომელიც ჩვეულებრივ 3 მეტრი სიგრძის, 2 მეტრი სიმაღლის და 1,5 მეტრი სიგანისაა. მას დ უ ო ეწოდება. იგი მეტრანახევარი სიმაღლის ფხებზეა შედგმული, გადახურულია კრამიტით ან შიფერით. სიმინდის ფქვილი დიდხანს არ ინახება, მძადდება და ამიტომ ქისტები ზამთრის გარდა ერთდროულად ბევრ სიმინდს არ ფქვავდნენ. ასეა ჩვენს დროშიც. ხორბალს, ქერს, ფეტვს ინახავდნენ.

ამბრებში და დიდი ზომის მოწულ გოდრებში, რომელიც შიგნიდან, გარედან და ფიცრისგან დამზადებული სახურავიანად შელესილი იყო საქონლის პატიენარევი თიხატალახით.

მოხმობილი მასალიდან ჩანს, რომ პანკისში დასახლებული ქისტების მემინდვრობა-მიწათმოქმედების სფეროში მოხდა არსებითი ხასიათის ცვლილებები. ძველ სამშობლოში ქისტებისთვის მიწათმოქმედება შემოიფარგლებოდა მხოლოდ მემინდვრობით, რომელსაც მათ ყოფაში დამხმარე და ზოგჯერ უმნიშვნელო ადგილიც კი ეჭირა. პანკისის ხეობაში კი მიწათმოქმედება ქისტების მეურნეობის წამყვან და ძირითად დარგად იქცა. მემინდვრობასთან ერთად საკმაოდ დიდი მასშტაბით ხელი მიჰყვეს მევენახეობას, მებოსტნეობას, მეხილეობას, რამაც გამოიწვია შრომის იარაღების გაუმჯობესება. აჩანას მაგივრად გაჩნდა რკინის გუთანის, გუთანმა ბარში



სურ. 6. 1- ფიწალი “შოდ”, 2- ცელი “მანგალ”, 3- ფოცხი “იოლაპარ”, 4- ნიჩაბი “ბაპ”, 5- ბარი “ბიელ”.

ადგილი დაუთმო განვითარებულ ტექნიკას. მას იყენებდნენ მხოლოდ მთიან ადგილებში და საკარმიდამო ნაკვეთების დასამუშავებლად.

მ ე ც ხ ო ვ ე ლ ე ო ბ ა (ტრადიციით ქისტების მეურნეობის მთავარი დარგი იყო მესაქონლეობა, რადგან მთის პირობებში მიწათმოქმედების განვითარების საშუალება არ იყო. პანკისში დასახლებულ ქისტებმა ჩვენთვის არსებული ბ ე ი თ ა ლ მ ა ნ ო ბ ი ს წესი უარყვეს. მათ თავისი მეურნეობა მოაწყვეს შეძლებისდაგვარად საკუთარი შრომის და ნათესაგ-მეზობლობაში ურთიერთ-მიხმარების საფუძველზე. ამდენად, ქისტებმა თავდაპირველ სამშობლოში არსებულ ზოგიერთ ადათ-წესზე თავიდანვე უარი თქვეს. მეცხოველეობის განვითარებისათვის შესანიშნავი პირობები დახვდათ პანკისის ხეობის სათავეში (ხორაჯო, ჩხათანა), სადაც ფართოდ შეეძლოთ სათიბ-საძოვრების გამოყენება და სწორედ ამან განაპირობა ამ ადგილებში მესაქონლეობის და არა მიწათმოქმედების დაწინაურება. თუმცა ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგომარეობა გარკვეულ გავლენას ახდენდა მთიელთა შორის მეცხოველეობის განვითარებაზე. სტიქიური მოვლენებიც არ აკლებდა ხელს. მაგ., 1902 წ. გაზ. „ივერია“ იტყობინებოდა, რომ მაისის ნახევარში, წვიმა-ქუხილის დროს ცხერის ფარას მეხი დაცვა და 13 სული იქვე მოკლა“ [21:]. ასეთი ზარალი ქისტი კაცისთვის ჩვეულებრივი მოვლენა იყო.

მან ახალ გარემოში შეიძლოთ სათიბ-საძოვრების წყაროს ძიება – მეცხოველეობის განვითარება. ახალი საზოგადოებრივი-ეკონომიკური ფორმაცია გაცილებით მეტ საშუალებას იძლეოდა საკუთარი მეცხოველეობის მეურნეობის განვითარებისთვის. პანკისელი ქისტი უკვე აღარ ერიდება ბაზარს, პირუტყვის, რძის პროდუქტებისა და სხვა ნაწარმის გაყიდვას. ამ დარგის განვითარებას მოითხოვდა აგრეთვე ადათობრივი სამართალიც. მათ ეკონომიკაში ყოველთვის გათვალისწინებული იყო მოულოდნელი ზარალი ფ ჰ დ ე (სისხლის ფასი), რომლის გადახდა ძირითადად პირუტყვით ხდებოდა.

ი. უთურაშვილი წერს: „მთის მცხოვრებთ საქონელი ადრეც, კაპიტალიზმამდეც ჰყავდათ, მაგრამ ახლა მთიელთა მესაქონლეობის მიზანს გასაყიდი პროდუქციის წარმოება შეადგენს“ [22. 168]. მთის ბართან დაკავშირებამ გზა გაუხსნა მთიელს, რომ თავი დაეღწია კარჩაკტილი ცხოვრებისთვის და პროდუქცია ან გადაეცვალა საოჯახო ინვენტარზე ან ფულად ექცია. აღსანიშნავია ისიც, რომ პანკისის ხეობის მაცხოვრებლებს (ქისტი, ოსი, ფშაველი) ცხვარზე მეტი რქოსანი პირუტყვი ჰყავდა.

მ. მაჩაბლის ცნობით, პანკისის ხეობაში ოჯახზე საშუალოდ მოდიოდა 23 სული ცხვარი [13: 460].

XIX საუკუნის 60-იან წლებიდან მათ მეურნეობაში თვალსაჩინოდ იზრდება მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონლის რაოდენობა. ყველაზე დარბ მეურნეს ერთი ან ორი ძროხა ჰყავდა. იყვნენ შეძლებულებიც, რომელთა მსხვილფეხა საქონლის რაოდენობა 25-40 სულს აღწევდა, ხოლო წვრილფეხა 100-1000-ს. მაგალითად, ითი ქათარაშვილს და იდა დუიშვილს თითოეულს ჰყავდა 600-1000 სულამდე ცხვარი და 30-40 სულამდე მსხვილფეხა საქონელი. გოი ბაღაკაშვილს, ჩილო ქათარაშვილს, წოი და ლაბაზა გაუგრიშვილს, ჰუსანა და თუთაქ ცათაშვილებს 15-25 მეწველი ძროხა და სამი-ოთხი უღელი ხარ-კამეჩი. მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონელი ჰყავდათ აგრეთვე იდა და უნახა ბორჩაშვილებს, ლაბო გუმაშვილს და სხვ.

ქისტების ყოფაში ცხერის კულტს დიდი ხნის ისტორია აქვს. ცხვარი იკვლევოდა შორიდან მოსული სტუმრის პატივსაცემად. როცა სტუმარი უკან ბრუნდებოდა, მას საგზაოდ ცხერის თავ-ფეხს ატანდნენ. მთაში ეს დიდ პატივად ითვლებოდა. ქალის სათხოვნელად რომ მიდიოდნენ, ცხვარი მიჰყავდათ; ქორწილის დღეს ნეფის ოჯახიდან ორი ცხვარი მიჰყავდათ ქალის ოჯახში, როგორც ქორწილის წილი; ცხვარს სწორადნენ რელიგიურ დღესასწაულებზე, მიცვალებულის სულის მოსახსენებლად და ა. შ.

ქისტებს ბევრი ზღაპარი და თქმულება აქვთ მეცხოველეობის განვითარების, ცხერის მოვლის სიძნელეების, სტიქიასთან ბრძოლის შესახებ და სხვ. ცხვარი ოჯახის სიმდიდრე იყო. არსებობდა თქმულება: „ცხვარს უთქვია მიყოლიეთ, ერთ კუთხეში ყველს დავაგადებ, მეორე კუთხეში მატყლის ნაპარსს, მესამე კუთხეში ნაკელს (მიწის გასაწოფებლად), მეოთხე კუთხეში მე თვითონ დავდგები და სიღარიბეს გავაგადებ გარეთო“. ეს თქმულება დადასტურებულია მეზობელ ქართველ მითიკებშიც. ამდენად საფიქრებელია, რომ ცხვარი ქისტებს ადრინდელ სამშობლოშივე ჰყავდათ. თხების მოშენებას ფართო ხასიათი არ ჰქონია. წვრილფეხა საქონლის პატრონს რამდენიმე ვაცი ჰყავდა ცხერისთვის გზის საჩვენებლად. მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონელთან ერთად პანკისში (ჯოჯოფლო, ომალო) ღორიც ბევრი ჰყოლიათ. ხადორისა და ბაწარის მდამოებულ ფშავლებს დღესაც ღორის ფერმები ჰყავთ. საარქივო საბუთის მიხედვით, მათ (ფშავლებს) ამ ხეობაში საზამთროდ მსხვილფეხა საქონელიც ედგათ, მაგრამ გაზაფხულზე ისინი თავიანთი ოჯახებით უკან ფშავეში მიდიოდნენ [3: 22].

ქისტებს მეცხოველეობის ტრადიცია თავდაპირველი სამშობლოდან წამოჰყვათ, მაგრამ პანკისის ხეობაში თუშებთან მეზობლობით უფრო განავითარეს ცხერის მურწყობა. საქონლის აღმნიშვნელი ტერმინები შემდეგია: ე ე ხ // ე ი ს ი – ბოჩოლა; შ ი ნ ა რ – ერთი წლის მოზარდი; ბ ო ა რ ჩ – მოზვერი, ე ე თ // ჰ ე ე ე ღ ი – ძროხა; უ ს თ – ხარი; ჩ უ უ ხ – ახლად დაბადებული ბატკანი; ა ხ ა რ – სამი-ოთხი თვის ბატკანი; წ ი ნ თ უ ა – შიშაქი; უ ს თ ხ – ცხვარი; თ უ ა – თოხლი; ო რ ე – ყოჩი; ქ ა – ჭედილა. ცხერის საერთო სახელწოდებაა ჯ ა. გვხვდება სხვა ტერმინებიც: დ ა ა ხ ნ ი, ბ ე ქ ა ნ ა შ, ბ ო ქ – საქონელი. ჰ ა ი ბ ა ნ ა შ – მსხვილფეხა პირუტყვი, მეწველი ძროხა – ბ ი ე თ – ე ი ე თ // დ ი ე თ თ დ ა ა ხ ნ ი; გ ო ო მ უ შ – კამეჩი, გ ა უ რ – ცხენი, ბ ე ე – კვიცი; ვ ი რ – სახედარი. საქონლისგან კამეჩის გამოსარჩევი ტერმინია ე რ ჯ დ ა ა ხ ნ ი, რაც სიტყვასიტყვით შავ საქონელს ნიშნავს.

ზამთრის პერიოდში ქისტებს მსხვილფეხა საქონელი ადგილზე ჰყავდათ, ხოლო ზაფხულში – ხორაჯოს, ნაქერალის და დიფიანის მთებში, ვისაც სხვადასხვა მიზეზის გამო არ შეეძლო მთაში წასვლა, ის საქონელს ადგილზე ტოვებდა. ხეობის მაცხოვრებლებს საქონელი გაზაფხულის პირას სოფლის განაპირა საძოვრებზე – დ ე ე ქ ა რ // დ ა ა ქ ა რ-ზე გაჰყავდათ. ამ საძოვრების გამოყენებას სოფლის უხუცესები უწევდნენ ორგანიზაციას. საქონლის საძოვრებზე გარეკვისას (გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა) ქისტები მწყემსს იშვიათად ქირაობდნენ და თვითონ უვლიდნენ მორიგეობით. ვისაც ბევრი ძროხა ან ხარ-კამეჩი ჰყავდა, ის უფრო მეტ ხანს იმყოფებოდა საძოვარზე ე.ი. თითო სულ საქონელზე ერთი დღე, ერთ წლამდე მოზარდ ორზეც ერთი დღე. იყო შემთხვევა,

როცა შეძლებული იქნა ხოფლის ნახირში - რ ა დ, თავის მაგივრად ვინმე ღარიბს გააგზავნიდა და გადაუხდიდა დღეში ერთ ლიტრა ხორბალს ან ლიტრანახევარ სიმინდს.

ქისტების მეზობელ თუშებს და კახელებს საქონლის საძოვარზე გარეკვის ამგვარი რიგი ადრე არ ჰქონდათ და მწყემსს ქიარობდნენ. ცხერის სამწყემსოდ ქისტებს საერთო მწყემსი აჰყავდათ, რომლის შრომის ანაზღაურება ხან ფულთ, ხან ნატურით (მატყლი, ცხვარი) ხდებოდა. თუ რომელიმე მკურნეს ბევრი ცხვარი ჰყავდა, იგი მწყემსს საკუთრად აიყვანდა და მას ფულსაც და ნამატსაც აძლევდა.

არსებობდა საქონლის ნამატით გაბარების წესიც. ტრადიციულად ცხერის ფარის ან ბევრი ძროხის პატრონს შეეძლო საქონლის ნაწილი მოსავლელად მწყემსისთვის ჩაებარებინა. მწყემსს ეძლეოდა ნამატის ნახევარი. მაგალითად, თუ პატრონი 100 სულ ცხვარს გააბარებდა, მას, შუთანხმების მიხედვით, ერთი წლის შემდეგ უნდა მიეღო 100 სული და ნამატის ნახევარი, დაეუშვათ, 40 ბატკანი. კიდევ ერთი წლის შემდეგ მწყემსს უნდა დაებრუნებინა 140 ცხვარი და დამატებით ნამატის ნახევარი. სტიქიური უბედურებით ან მკლის მიზეზით ცხვრების გაწყვეტა მხედველობაში არ მიიღებოდა. დაქირავებული მწყემსის მოვალეობა სხვადასხვა იყო. მწყემსს, რომელიც ცხვარს წველიდა, პარსავდა და უვლიდა კიდევ, თვეში სამ თოხლს აძლევდნენ. ვინც ცხერის წველა-პარსვაში მონაწილეობას არ მიიღებდა და ცხვარს აბალახებდა, მას ორ თოხლს, ხოლო ახალგაზრდა გამოსუცხვლ მწყემსს თოხლ-ნახევარს მიეცემდნენ. საქონლის მწყემსს ქისტები ბ ე კ ა ნ უ-ს უწოდებენ, ხოლო ცხერის მწყემსს - ჯ ა უ-ს. საქონლის ნამატზე გაბარებას ვ ა თ თ უ ლ ა ან დ ო ჳ ჳ უ ლ ა-ს უწოდებენ. ჩვენს დროში ორივე ტერმინი ერთ ცნებას - ნამატით გაბარებას გამოხატავს. შორეულ წარსულში ვ ა თ თ უ ლ ა ნაწველით სარგებლობის წესით საქონლის გაბარებას ნიშნავდა. ქისტები მწყემსად თუშებთან მიდიოდნენ, მოამრავლებდნენ გარკვეული რაოდენობის ცხვარს და შემდეგ თვითონ გააბარებდნენ ნამატზე, რითაც მოჯამაგირის შრომის ექსპლოატატორი ხდებოდნენ. მათ ტრადიციულად მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის იჯარით გაცემის წესიც ჰქონდათ. ძროხის იჯარით გაცემისას, ნამატი შექნახველს რჩებოდა, ძროხა კი პატრონს უბრუნდებოდა. ქალის მიერ მზითეთან ერთად ქმრის ოჯახში მიყვანილ ძროხას ცოდ-ქმრის გაყრის შემთხვევაში უკან აბრუნებდნენ, ხოლო ნამატი იქვე ოჯახში რჩებოდა. ცხვარი მაისის თვეში საგზაფხულოდ ჭიქაურის, დიდგვერდისა და ჩხათანის მთებში ადიოდა, ხოლო მსხვილფეხა საქონელი იენისის დასაწყისში, როგორც ითქვა, ნაქერალაში, ხორაჯოში, დიფიანსა და დიდგვერდის დაბლობში და სხვ.

მ. მაჩაბელი წერს: „პანკისის - დუისის, ომალოს, ჯოცილოს საზოგადოება მსხვილფეხა საქონელსა და ცხერის ფარებს აძოვებენ ბარდამციხეში, ჩხათანაში, ჭიქაურაში, ნაქერალაში, დიდგვერდის იალაღებზე (ფურთკალო, ორცვერი, ქვეთანა). მათ ხშირად უსიამოვნება აქვთ თუშებთან, რომლებიც ედავებიან ნაქერელისა და დიდგვერდის იალაღების გამოყენებაზე“ [13: 416].

მ. ალბუთაშვილის მასალებით, „ქისტების ცხვარი მთაში ადის მაისის დამდეგში, როცა თოვლი დადნება. მწყემსებს, სადაც დაულამდებათ, იქვე გაუთენდებათ, ასე შეჰყვებიან მთას ნელ-ნელა და მესამე, მეოთხე დღეს ბინაში მივლენ. ამ დროისთვის ცხერის პატრონები დაამზადებენ ქუმელს, ქვაბებს, კოდს

(რძისათვის) და სხვას, რაც კი საჭიროა და ავლენ ბინაში. დაარჩევენ ბატკანსა და მშრალ ცხვარს ე. ი. ჭედილეებს, თოხლებს, ბერწ ცხვარს. ამ დღიდან საწველი ცხვარი ცალკე დადის საძოვარზე. ბატკანი და მშრალი ცხვარიც ცალკე-მწვემსებიც ცალ-ცალკე ჰყავთ მიწნეული. მშრალი ცხვარი და ბატკანი ღამეც საძოვარზე რწყება, ხოლო საწველი ცხვარი ყოველ საღამოს ბინაში მოდის. ცხვარი მისის 16-დან იენისის ბოლომდე იწველება დილის საათებში, ხოლო იელისის პირველიდან აგვისტოს 15-მდე დღის 1 საათზე [7]. იელისის თვეში ბატკანი, როგორც ბუხებისა და სხვა მწერების წინააღმდეგ ნაკლებად ბრძოლის-უნარიანი, ხევით, ალპურ ზონისკენ იცვლიდა სადგომს. ალპური ზონა ბატკნისთვის ხელსაყრელი იყო იმითაც, რომ იქაური მრავალგვარი ბალახი ერთ-ერთი საუკეთესო წყარო იყო ბატკნის გასუქებისთვის. ბატკნის სადგომ ადგილს ქისტები ჭოღო უწოდებენ.

ჩვენთ-ინგუშეთში ფიქსირებული მასალებით, მეცხვარეობის მეურნეობაში საზაფხულო საძოვრების დაყოფის ტრადიცია მათ არ აქვთ. იქ ყველანაირი ცხვარი (ბატკანი, ჭედილა, თოხლი, ბერწი ცხვარი) ერთად არის გაშვებული საძოვარზე მათ ცხვრის რძისგან ყველი არ ამოჰყავდათ, მისი კეთება მხოლოდ რეკოლუციის შემდეგ დაიწყო.

მთის – და მ საძოვრები – და ა ა ჟ არ ქისტებს დაყოფილი ჰქონდათ მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონელის მიხედვით. მთის დაბლობ ადგილას ამოვებდნენ მსხვილფეხა საქონელს – ბეჟან – და ა ჟ არ, ხოლო მაღლობს – ცხვარს ჯ ი ე – და ა ა ჟ არ. ცხვრის საძოვარიც სამ ზონად იყოფოდა: საწველი, საბატკნე და სათოხლე საძოვრებად. მთის საძოვრებს განასხვავებენ გეოგრაფიული მდებარეობის მიხედვითაც. მაგალითად, ჰეუნიქოსონ – ტყის თავი, და ა მ ა ნ – ქვერთიე – მთის თავზე, და ა მ ა ნ – ბეჟანე – მთის წვერი, ჰეუნიქიე – ჩრდილიანი ფერდობი ადგილი, მაღ ხ ჰ ი ე თ მეთითიგ – მზიანი ადგილი, ბოს მ ე თ ი გ – ტიტველა ადგილი, ბეჟან და ა მ – საშუალო სიმაღლის მთა, თ ა რ ხ და ა მ – კლდოვანი მთა და სხვ.

ღუისელეებს ცხვრისა და მსხვილფეხა საქონლის ბინები დიდგვერდში ჰქონდათ, ჯოყოლოელებს მსხვილფეხა ქონადალაში, ხოლო ბირკიანელებს (მსხვილფეხა) საყვავის გორზე.

საზაფხულოდ მთაში შექმნილ სამეურნეო ბაზას ქისტები ნ ა ა ჟ დ არ – ს უწოდებენ. ხშირად ქ უ ა ხ – საც. ნ ა ა ჟ დ არ სიპის ქვით ნაშენი (კაცის სიმაღლე) სამი კედლია, იმავე სიპით გადახურული. წინა ღია მხარეს ნაბდებს წამოაფარებდნენ ხოლმე, ხოლო ქუახ კეთებოდა წნელისაგან ან ნაბდებისაგან, რომელსაც მთიდან ბარად დაბრუნების დროს დაშლიდნენ. ცხვრისა და საქონლის სადგომის განსასხვავებლად ხმარობენ ტერმინს ჯ ა ნ ა ა ჟ დ არ – ცხვრის ბინა, ბ ე ჟ ნ ა ა ჟ დ არ – საქონლის ბინა, ე. ი. ნ ა ა ჟ დ არ – არის ის ადგილი, სადაც მწვემსებს ბინა აქვთ დადებული. მაგალითად, თ ი ე ვ ხ ე ი ნ ა ა ჟ დ არ – თეფსას ბინა, ე ე ლ ა გ ნ ა ა ჟ დ არ – ელაგას ბინა და სხვ. საღამოს ბინაზე დაბრუნებული მწველი ცხვარი დგებოდა ბინიდან 20–30 მეტრის მოშორებით შემოღობილ ადგილზე. ნ ა ა ჟ დ არ – ში ინახებოდა მწვემსების საკვები, ტანსაცმელი, აქვე ამზადებდნენ რძის პროდუქტებსაც. ტერმინი ნ ა ა ჟ დ არ – ვრცელდება ოჯახის საცხოვრებელ ბინაზეც. ხშირად პანკისელი

ქისტი მოსულ სტუმარს შესთავაზებს მის ოჯახში მოსვლას – “ს ა ნ ა ა ქ დ ა რ ი ე დ ო ვ ე ი” – ჩემს ბინაზე მივიდეთ, ე. ი. ს ა წ ი ე ნ დ ლ ო ვ ე ი – ჩემს სახლში მივიდეთ. წ ა და ნ ა ა ქ დ ა რ თითქმის გაიგივებულია და საცხოვრებელი სახლის მნიშვნელობითაც იხმარება. ტერმინი ნ ა ა ქ დ ა რ მაინც სამეურნეო ხასიათს ატარებს, დღევანდელ ქისტებს ნ ა ა ქ დ ა რ-ის არსებობა წარმოდგენილი აქვთ მხოლოდ მთის პირობებში.

ტრადიციით ცხვრის ფარას მოაში მიყვებიან მამაკაცები. ბინაში ასვლის შემდეგ მწყემსები საქმეს ინაწილებენ. ცხვრის ბინაში ქალის წაყვანა აკრძალული იყო. ქალებს მოგვიანებით შეეძლოთ ბავშვებთან ერთად ასულიყვნენ დასასვენებლად მთაში, სადაც მათი ოჯახის წევრი-მამაკაცი მწყემსად იყო. ცალკე დროებით ქოხს გაიკეთებდნენ და საკვები რძის პროდუქტები მწყემსების ბინიდან მოჰქონდათ. ძროხებს კი აუცილებლად მწველავად ქალი მიჰყვებოდა, თან მიჰყავდათ ბავშვები და მოხუცები. ისინი შეძლებისდაგვარად მწყემსსაც და მწველავ ქალსაც ეხმარებოდნენ და თან სუფთა პაერზე ისვენებდნენ. საქონელს დილით საძოვარზე გარეკავდნენ და საღამოს ბინაზე მოჰყავდათ. ძროხებს დილა-საღამოს ქალები წველიდნენ, ხოლო ცხვარს – მამაკაცები. მამაკაცს ძროხის მოწველაც შეეძლო, მაგრამ ქალი ცხვარს ვერ წველდა.

ის ოჯახები, რომლებსაც ცოტა საქონელი ჰყავდათ და მთაში არ მიდიოდნენ, მეწველ ძროხას სხვას გაატანდნენ. ასეთ დროს ნაწველის ერთი წილი ძროხის პატრონს ეკუთვნოდა, ხოლო ორი მის მომელელს. 15–30 ცხვრის პატრონებმაც შეამხანაგება იცოდნენ. ერთ-ერთი მეურნე ნაიბარებდა ამ ცხვარს, მოაგროვებდა 300–400 სულამდე, შეუთანხმებოდა პატრონს ფასზე და მიჰყავდა მთაში. მთიდან დაბრუნების შემდეგ ცხვარს ან ადგილზე დატოვებდა, ან ცხვრის პატრონები შირაქს საძოვრებზე გაატანდნენ.

მსხვილფეხა საქონელს მთიდან აგვისტოს თვის ბოლოს ჩამორეკავდნენ, ხოლო ცხვარი სექტემბრის გახვლამდეც რჩებოდა. ოქტომბრის თვის ბოლომდე დაბლა, ხევებში მოატრიალებდნენ, გაპარსავდნენ და საზამთრო იაღალებისკენ აიღებდნენ მიმართულებას. ქისტების საზამთრო საძოვრები იყო შირაქში, კორუმებზე და დილიჩაში. იქ დროებით ცხვრის სადგომ ფარეხებს – ფ ა რ ა ხ –ს აკებდნენ. გაზაფხულის პირას დოღს ჩაატარებდნენ და მასის თვეში დაიძვრებოდა ცხვარი ადგილიდან. როცა მთის ძირში მოვიდოდა, იწყებდნენ პარსვას და შემდეგ ისევ მთისკენ იღებდნენ მიმართულებას. ქისტები იმ თავიდანვე თუშური ჯირის ცხვრის მოშენებას მისდევდნენ. იგი ადგილობრივ პირობებთან კარგად იყო შეგუებული, წელიწადში 5 კგ. მატყლს იძლეოდა. ხშირად ღედა ცხვარი ორ ბატკანსაც იღებდა. იწველებოდა მასის 15–დან აგვისტოს 15–მდე. თითო ცხვრის ნაწველი საშუალოდ 4–5 კგ ყველს იძლეოდა.

ქისტები ინახავდნენ სახედრებს და ჯორცხენებს. სახედრებს მეცხვარეობაში და ოჯახში იყენებდნენ, ხოლო ჯორცხენებს უმეტესად მთაბარბის დროს, ტვირთის საზიდად იყენებდნენ, რადგან ის ცხენზე უფრო ამტანი და ძლიერი იყო. ამჟამად პანკისის ქისტები ჯორცხენებს თითქმის აღარ ინახავენ და სახედრებიც იშვიათად ჰყავთ. ცხენი და სახედარი ჰყავთ იმდენი, რამდენიც საჭიროა მთიდან ბარგის ჩამოსატანად და ცხვრის ფარის გასაყოლად—თუმცა ქისტებს დიდი რაოდენობით არ ჰყავდათ ცხვარი. თითო სოფელში 5–6 ოჯახი თუ მისდევს ცხვრის მეურნეობას.

1000–1000-მდე ცხვარი ჰყავდათ მაკ.: სოფელ დუისში ბეხო, დავით, ჯაბო და თევზა მარგოსვილებს, ითი ქავთარაშვილს, დუიშვილებს, გაურგაშვილებს, ბადაკაშვილებს; ომალოში: ძმებს გუნაშაშვილებს, ალხანაშვილებს, ტოხოსაშვილებს, კუშტანაშვილებს, ფარეულძიეებს; ჯოყოლოში – ცისკარაშვილებს და სხვ.

შემოდგომის პირას მთიდან დაბრუნებული მსხვილფეხა საქონელი სოფლის-პირა საძოვრებზე იყო გაშვებული. ყანებში ჭირნახულის აღებისა და მოთბობილი თივის მოხიდვის შემდეგ ყანებიც და სათიბებიც საძოვრებად გამოიყენებოდა.

ნოემბრის თვიდან ქისტებს მსხვილფეხა საქონელი ბაგურ კეებაზე გადაჰყავდათ. მთის სოფლებში (ხორაჯო, ჩხათანა) საქონელს ძირითადად თივით – უ ა ლ კეებადნენ, ხოლო ბარის სოფლებში ჩალით – ჩ ა ა ლ და ბზით – ჩ ა. ახლომახლო ყანებსა და სათიბებში გათიბულ მცირეოდენ თივას უზოგავდნენ ახალმოგებულ ძროხებს. ზოგჯერ პანკისში მკაცრი ზამთარი იცოდა. საზამთროდ მომარაგებული საკვები საქონელს არ ჰყოფნიდა და სიცვიე–შიმშილისგან იხოცებოდა.

1903 წლის გა.ხ. „ივერია“ გაამცნობს, რომ „პანკისის ხეობაში წლეულ ზამთარი მეტად სასტიკი იყო. ოთხფეხა საქონელი ყუაზედ მიიყვანა. ვინც საზამთროდ ცხვარი აქ დააყენა და შირაქში არ გარეკა–თითქმის სულ გათავდა. მატყლი გაძვრა, ხელისგულივით გატიტვლდა და მერე სიცვიე–შიმშილისგან ხოცვა დაიწყო, რაც გადარჩა სიმინდისა და თივის ძალით, ისინი ძვალ–ტყავად ნატყეები, ძლივს დადნაღლებენ. პირუტყვის ცოდვით შეწუხებულმა ხალხმა ითხოვა ტყის მოკაფვის ნებართვა, მაგრამ პასუხს აღარ მოუცადაც. შეესივნენ ტყესა და დაუწყეს კენწეროს ჭრა. ტყის მცველებმა ბევრი იჯავრეს, მაგრამ ამაოდ. შიმშილით დახოცვას, ისევ სჯობია მთავრობამ წაასხას თუ კი ვაშავეთ რამესო. . . ამ საქმეზედ მოვიდა სახელმწიფო ქონებაში მმართველის თანაშემწე და ხალხს ნება მისცა ესარგებლნა ტყით, მხოლოდ უწყებელი სარგებლობის წესრიგის დაურღვევლად, ხალხი ძლიერ კმაყოფილი დარჩა“ [23].

1900-იან წლებში ხეობაში უკვე ხალხმრავლობა იყო და საერთო სათიბებიდან შეხვედრილი წილი და საკუთარი ახოდან მიღებული ჩალა–თივა გაზაფხულის პირამდე საქონელს არ ჰყოფნიდა და ხშირად მეზობელი კახელებისგან ყიდულობდნენ.

მსხვილფეხა საქონლის გამოზამთრებასთან დაკავშირებით საინტერესოა ხანდაზმული (100 წლის ასაკში – 20 წლის წინ გარდაცვლილი) დაზარეულ ფარეულძის გადმოცემა: „მის ბავშვობაში ბირკიანისა და ძიბახევის მაცხოვრებლები საქონლისათვის საზამთროდ საკვებს არ ამზადებდნენ. ბაწარის ხევში, იქ სადაც აშკამად ნაკრძალია დაბურული ტყე იყო. ზამთარში საქონელს ამ ტყეში შერეკავდნენ და ხეებზე ჩამოკიდებული „მაშხალის“ ჭამით ძღებოდნენ“. ახლომახლო ტყეებში ეს მაშხალი გათავდა და გვხვდება მხოლოდ მადლა ტყეებში, სადაც საქონელი და ხალხიც ნაკლებად აღიან. როგორც ჩანს, ხეობაში ხალხის მომრავლების შემდეგ ტყეც გაანიავეს და ამ საკითხისათვის არავის მიუქცევია ყურადღება. შესაძლებელია, ეს მაშხალი ნამძვილად საქონლისათვის საუკეთესო საკვები იყო.

ქისტებს საქონლის საზამთრო სადგომი – ჳ ე ი განაწილებული იყო პირუტყვის წლოვანების მიხედვით. კარების მხარეს აყენებდნენ მამალ საქონელს, სულ ბოლო კუთხეში – ხბობს, შესასვლელი კარიდან მოშორებით კი – კამენს. იგი ძროხასთან შედარებით ზამთრის სიცვივს ცუდად იტანს. გომურის მთელ სიგრძეზე გადებული იყო ბაგე – ჳ ე ე დ ი ე, რომელზეც მოაბამდნენ პირუტყვის

დასაბამელ თოკს – ტ ი ა რ გ–ს ან ჯაჭვს – ძ ე ა–ს. დღის განმავლობაში საკვების ორჯერ, ხან მეტჯერაც უყრიდნენ. მეწველ ძროხას და კამეჩს ჩაღისა და თივის გარდა ქატოსაც – ჯ უ უ რ ი შ–ს აჭმევდნენ. გომურიდან დღეში ორჯერ საქონლის პატივის გატანა, საკვების დაყრა ქალის საქმედ ითვლებოდა, ხოლო წყალზე გარეკვა და დაბმა მამაკაცს ევალებოდა, თუმცა გამორიცხული არ იყო საკვები კაცსაც დაეყრა. ნაკელს სამეურნეო ეზოს ერთ–ერთ კუთხეში აგროვებდნენ და გამოზავხულებისას, როგორც სასუქი, შეჰქონდათ საკარმიდამო ნაკვეთში.


ამგვარად, მესაქონლეობას პანკისის ხეობის ქისტებში ალპური ხასიათი ჰქონდა. საქონელი ზაფხულს მთაში, ხოლო წელიწადის სამ დროს (შემოდგომა, ზამთარი, გაზაფხული) ადგილზე ატარებდა და ახლო საძოვრებზე ძოვდა. ცხვარი კი პერიოდულად ადგილს ინაცვლებდა მალაღმთიანი მდელოებიდან შირაქის საძოვრებზე და პირიქით.

ქისტების სამეურნეო ყოფაში რძის პროდუქტების დამზადებას დიდი ხნის ისტორია აქვს. როგორც აღინიშნა, მსხვილფეხა საქონლის წველა ქალებს ევალებოდა, ხოლო წვრილფეხასი მამაკაცებს. საწველად იყენებდნენ 4–5 კგ-ის ტვეალობის თიხის ან ხის განსაკუთრებულ ჭურჭელს, რომელსაც ვეინახები – ჰაბაბ–ს უწოდებდნენ. მოწველი რძეს თიხის ღრმა ჭურჭელში ახსამდნენ. როცა რძე შედღებოდა, დღევბავდნენ სპეციალურ სადღებში, რომელსაც ქ უ უ რ–ს უწოდებდნენ. ტერმინი ქ უ უ რ უდავოდ ქართული ქვეყრიდან არის მიღებული, რადგან თვით ეს ჭურჭელიც თიხისაა და გარეგნული ფორმითაც ქვეერს წააგავს. ქისტებმა ქ უ უ რ ი ს სახელწოდებით მოიტანეს ეს სადღეები თავისი ადრინდელი სამშობლოდან. ამ ჭურჭელს ჩრდილო კავკასიის ვეინახები ამავე სახელწოდებით იცნობენ. დღეების დროს ქ უ უ რ ხის ხეფით – ქ უ ო–თ იხურებოდა. ოჯახის დიასახლისი დაჯდებოდა საფენზე, მოკიდებდა ხელს სადღეების ორივე სახელურს და თანაზომიერად არწვედა. ზოგჯერ რძე კარგად არ იდღებებოდა და კარაქს – ნ ა ლ ხ–ს ნაკლებად იღებდა, რასაც ა ვ ს უ– ლ ე ბ ს ან ა ვ თ ვ ა ლ ს აბრალებდნენ. ამ ბოროტი სულისაგან რძის დასაცავად სადღეების სახელურზე კიდებდნენ დათვის ბრჭყალებს, ნიჟარებს და ამულეტს (მოლას მიერ დაწერილი). ამასთანავე, თუ შედღეებილი რძიდან კარაქი ნაკლებად ამოვიდოდა, იტყოდნენ: „ავმა თვალმა გააფუჭა რძე“ და სასწრაფოდ მოხუც ქალთან მიიტანდნენ კარაქის ნაჭერს, ჯამით რძეს და ალოცვინებდნენ. მლოცველი კარაქის ნაჭერს და ნახშირს ერთმანეთში აურევდა, მოამრგავლებდა, (რძიან ჯამს ან ქვაბს სამჯერ წრედ შემოატარებდა) ცეცხლში ჩაავლებდა და იტყოდა: „აქ ე ბ ს ან ა ვ თ ვ ა ლ ს, რომელიც შენ მოგხვდაო“. ამ რიტუალს გაიმეორებდნენ სამ დღეს. ქალების თქმით, შელოცვის შემდეგ რძე კარგად იდღებებოდა. ქისტების ყოფაში თანდათანობით ფეხი მოიკიდა ხის სადღეებელმა, რომელსაც ყ უ გ–ს უწოდებენ. მას ახლავს თხილაშურის მსგავსი ჯოხი, რომლითაც ხდება რძის – შ უ რ–ის შედღეება. ამ ჯოხს ქისტები ბ ე რ–ს უწოდებენ. ხის სადღეებელი ქისტებში უმსულთა მუზობელი მთიელებიდან (თუშები, ფშავლები), რადგან ჩრდილო კავკასიის ვეინახებში მსგავსი სადღეებელი არ დასტურდება. ქისტი დიასახლისი ახალგაზრდა ქალ–რძალს ძროხების მოწველის ან დღეების უფლებას არ აძლევდა ბარაქიანობის დაკარგვის შიშით. შედღეებილი რძიდან კარაქს – ნ ა ლ ხ–ის ამოღების შემდეგ

დოს - შ ა რ-ს საკვებადაც იყენებდნენ და ხაჭოსაც - კ ო ლ-დ-ს აკეთებდნენ. დოს ნელ ცვეცხლზე დადგამდნენ, გაცხელების შემდეგ გადმოიდებდნენ და გაწურავდნენ საწურში - ლ ი თ უ რ გ ა ნ ტილოს პარკში - გ ა თ ა ნ ტ უ ა რ მ ი გ. დარჩენილი შრატი - მ ო რ ძ სიცხიან ამინდებში სასიამოვნო დასალეკია. შრატით მოხელილი პური და მჭადი ძალიან გემრიელი გამოდის. კარაქს აგროვებდნენ ხის ჭურჭელში. გავსების შემდეგ ერბოდ - დ ე ე თ გადაადულებდნენ და ინახავდნენ ხის კასრებში, თიხის ქილებში - ფ ა ფ ფ ა რ-ქ ი ლ. კარაქი დიდხანს არ ინახებოდა, ხოლო გადაადულებულის შენახვა კი წლობით შეიძლებოდა, მაგრამ ამასაც დროდადრო წამოდულება სჭირდებოდა. პირველ ხანებში ქისტები რძის პროდუქტების გაყიდვას მიუღებლად თვლიდნენ, ვისაც ოჯახში მოჭარბებული პროდუქტი ჰქონდა, დარიბებს აძლევდა თითო ამოდება კარაქს, ხაჭოს, ხოლო დოს ყოველ შედეგებაზე ატანდნენ. მათი რწმენით, დარიბი, მშვიერი თანასოფლელებისთვის რძის პროდუქტების სამადლოდ მიწოდებით ოჯახს ბარაქა ემატებოდა. საინტერესოა ისიც, რომ ქისტები ახალმოგებულ ძროხის სამი-ოთხი დღის რძეს დღეებავდნენ, ამოდებულ კარაქს გადაადულებდნენ ერბოდ და ინახავდნენ საქონლის დღესასწაულებამდე - ო ლ უ ა ი სპეციალურად საჭმლის მოსამზადებლად. ოჯახის ყველა წევრს თითო კოვზი ერბო უნდა ეჭამა და ერთი კოვზი ცვეცხლზე უნდა მოესხა. მთხრობლის გადმოცემით, ამ რიტუალს ასრულებდნენ იმისთვის, რომ ძროხას რძე ნოყიერი ჰქონოდა და ავი თვალს არ სცემოდა მთელი წლის მანძილზე. ქისტები ძროხის რძისგან ყველსაც ამზადებდნენ, მაგრამ იგი ცხვრის ყველივით გემრიელი არ არის.

მოგვიანებით ქისტებმა ცხვრის ყველის დამზადების ტექნოლოგია შეისწავლეს თუშებისგან, ხოლო ჩენებმა - ქისტებისგან. ქისტების მიერ გაკეთებული ცხვრის ყველი თუშურ ყველს არ ჩამოუვარდება. ამ ყველის დამზადების ტექნოლოგია ქისტებში შემდეგია: ცხვარს ხის კასრებში მოწველიდნენ და რძეს ჩაასხამდნენ დიდ ჭურჭელში - ბ უ ა ე კ. როცა წველა დამთავრდებოდა მეკოდე - მ ე კ ო დ თბილ რძეს მოურევდა და თან ჩაასხამდა წყალში გახსნილ დვრიტას - შ უ ა. 15-20 წუთში რძე აიჭრებოდა. მეკოდე აჭრილ რძეს პარკში გადაიტანდა იმ რაოდენობით, რომ 7-8 კგ ყველი გამოსულიყო, ხელით გაწურავდა, კერის ფორმას აძლევდა და დადებდა ბრტყელ ქვაზე ან ფიცარზე. როცა ყველის მასა პარკში დამწურებოდა და გამაგრდებოდა, აწობდა გულაში - ქ ი თ, სადაც ის საბოლოოდ დამწიფდებოდა. გულა ცხვრის ტყავია, რომელსაც შეჭრილ-ბეწვიან მხარე შიგნით აქვს მოქცეული, მასში ჩაყრიან მსხვილად დაფქვილ მარინს და ჩაასხამენ ყველამოდებულ შრატს. ერთ თავე ყველს უნდა ნახევარი კილო მარილი. გულაში დებენ 5-6 თავე ყველს, მაგრად მოუკრავენ პირს და დადებენ გრილ ადგილას. ყველამოდებულ დოს ცვეცხლზე შედგამენ, წამოდულების შემდეგ ხაჭოს მოიგდებს მალდა, გაწურავენ, მარილს გემოზე მოაყრიან და ყველზე ნაკლებ გემრიელი არ არის. ყველს ქისტები ნ ე ხ ნ-ს უწოდებენ. იგივე სახელი ჰქვია ჩრდილო კავკასიის ვეინახებშიც.

მესაქონლეობაში დასტურდება ტრადიციული ურთიერთდახმარების ფორმა, როდესაც მცირე რაოდენობის პირუტყვის მეპატრონეები ერთიანდება ერთ მეურნეობად და მომვლელი მწყემების, მათ შორის თუ რომელიმე მეპატრონეც იღებდა



სურ. 7. 1. თიხის სადღვებელი— „ქუურ“, 2. თიხის ჯამი — „ბუაგ
3. ხის სადღვებელი „კუგ-ბერი“.

მონაწილეობას, შრომა ტრადიციით დადგენილი წესით ანაზღაურდებოდა. მსხვილი და რამდენიმე ფარის მეპატრონეები თავიანთ მეურნეობაში ძირითადად იყენებდნენ დაქირავებულ მუშახელს, რომელთა შრომის ანაზღაურება ასევე დადგენილი წესით ხდებოდა. ხგნა-თესვასთან და მესაქონლეობასთან დაკავშირებული ურთიერთდახმარება, გამონაკლისის გარეშე, შრომის ანაზღაურებას ექვემდებარებოდა, რაც შეეხება სხვა სამუშაოების შესრულების დროს გაწეულ დახმარებას, აუცილებელ სამაგიერო მიხმარებას არ ითვალისწინებდა (მაგ., ყანის მკაში, სიმინდის თოხნაში, სახლის მშენებლობაში). საქონლის საძოვრებზე გარეკვის რიგის შესრულებაც ხშირ შემთხვევაში ანაზღაურებას ითვალისწინებდა.

პანკისელი ქისტების მეურნეობის ორივე დარგი (მიწათმოქმედება და მესაქონლეობა) მჭიდროდ არის დაკავშირებული ერთმანეთთან, რომელთა განვითარების დონე დამოკიდებულია მწარმოებლის აქტიურ და ნაყოფიერ შრომაზე.

ბ) დ ა მ ხ მ ა რ ე მ ე უ რ ნ ე ო ბ ა

და მ ხ მ ა რ ე მ ე უ რ ნ ე ო ბ ა. მეხილეობას, მეზობტნეობას, მევენახეობას, მეფუტკრეობას, მონადირეობას და სხვა მეურნეობას ქისტები ადრინდელ სამშობლოშიც მხოლოდ ოჯახური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად იყენებდნენ. ცხადია, ეს ხდებოდა უფრო დაბლობ ადგილებში, სადაც მათ განვითარებას კლიმატური პირობები უწყობდა ხელს. ისე, რომ საქართველოში გადმოსახლებისას ქისტებისთვის უცხო არ იყო ვაშლის, მსხლის, კაკლის, თხილის, ბლისა და სხვა ნაყოფის მომცემი ხეები, რომელთა უმრავლესობას აქვს ქისტური სახელწოდება.

აღსანიშნავია ისიც, რომ პანკისელი ქისტების ერთ ნაწილს საქართველოს სხვადასხვა სოფელში უცხოვრია და შემდეგ გადმოსახლებულა პანკისში. ამდენად, ისინი ადგილობრივი ჯიშის ხეხილსაც კარგად იცნობდნენ. პირდაპირ მთიდან ჩამოსულებს კი ამ დარგის გამოცდილება ნაკლები ჰქონდათ, მაგრამ პანკისის ხეობის გეოგრაფიული მდებარეობა და საუკეთესო პირობები მეხილეობა-მეზობტნეობის განვითარებისათვის უბიძგებდა მათ.

ვახუშტის მონაცემებით, „ხოლო ჳეობა პანკისისა არს ვენახოვანი, ხილიანი და ბაღიანი“ [24: 550]. ამას ადასტურებდა კოლექტივიზაციამდე ხეობის ველ-მინდვრებში და ტყეებში შემორჩენილი გაველურებული ხეხილი და ვაზი, რომლებიც ზოგან დღესაც გვხვდება. ქისტების დასახლებამდე ამ ხეობაში ცხოვრობდნენ თუშები. მათ დაარსეს სოფელი ბირკიანი ძიბახევის ტერიტორიაზე. ამ სოფლის ხეხილის ბაღების მოსავალი, პირადი მოხმარების გარდა, თელავის, ახმეტისა და თიანეთის ბაზრებში ხვდებოდა გასაყიდად. მათ მეზობლად დასახლებული ქისტების მეურნეობაში მებაღეობას მხოლოდ საოჯახო ხასიათი ჰქონდა. ზოგიერთი მეურნის საკარმიდაძო ნაკვეთის ხეხილის ბაღი თითქმის არ იძლეოდა მოსავალს, ამიტომ დიდი ბაღების გაშენების ტრადიციაც ნაკლებად ჰქონდათ. მთიდან ბარად ჩამოსახლებულ ქისტებს ხილის გაყიდვა სირცხვილად მიაჩნდათ და შემოდგომაზე მოწვეულ ხილს გოდრებით უნაწილებდნენ მეზობელ-ნათესაებს, ვისაც ხეხილი არ ედგა. გასული საუკუნის 30-იან წლებში ხეხილის ბაღების გაშენებამ ფართო ხასიათი მიიღო და ამ დარგმა ქისტების ეკონომიკაში გარკვეული ადგილი დაიკავა. ბევრმა მეურნემ ქართველებისგან ადგილობრივი მყნობის წესიც ისწავლა, რამაც უფრო გაამდიდრა თან მოტანილი ტრადიცია.

ქისტებში ხილის სახელწოდებები ქართულია. მათ უკვე დაივიწყეს ჩენური სახელები. მაგ., ატამი (ქისტ.) ა ა ტ ა მ (ჩენურად დ ა მ დ ა), ბაღი - ბ ე ლ ა შ (ჩენ. ბ ა ლ ა შ), მსხალი - ც ხ ა ლ (ჩენ. ჳ ო რ), ქლიავი - ქ ე ლ ი ე შ (ჩენ. კ ა ნ), ჭერამი - ჭ ი ე რ ა მ ა შ, ხურმა - ხ უ რ მ, თუთა - თ უ თ (ჩენ. ქ ო მ უ რ) და სხვ. როგორც ზემოთაც აღინიშნა, ხეობაში ვენახიც ყოფილა. ჩანს, რომ აქაური ვაზი სიცივეს კარგად უძლებდა. ხეობის ახლომახლო გორებზე კარგად ჩანს ტერასების ნაშთები. აქ-იქ შემორჩენილია თითო-ორთაა გაველურებული ვაზის ჯიში - შავი წერილმარცვლოვანი ყურძნის მტკვნეობით, რაც იმის მანკეებელია, რომ წარსულში აქ სიცივის ამტან ჯიშის ვაზს უნდა ეხარა. მთიან ქისტებში

მეზოსტენობაც არ ყოფილა განვითარებული. ეს კარგად ჩანს სხვადასხვა ბოსტნეულის სახელწოდებებიდან. მაგ., ხახვი – ქისტ. ხ უ ა ხ // ხ ვ ი ე ხ ა შ (ჩენ. ხ ო ხ– ხ ო ხ ა შ), კომბოსტო – კ ო მ ა ს ო (ჩენ. კ ო პ ა ს ო), სტაფილო – ს ტ ა ფ ი ლ (ჩენ. ქ ო ნ ქ), ჭარხალი – ჭ ა რ ხ ა ლ (ჩენ. ბ უ რ ა ქ), კარტოფილი – კ ა რ თ ვ ი ფ ა ლ (ჩენ. ქ ა რ თ ო ლ ა შ), ღობიო – ლ უ ე ბ ი ე შ (ჩენ. ჳ უ ე შ) და სხვ. ასევეა მწვანელების სახელწოდებებიც: ქისტ. წ ვ ი ე ნ ა ლ ა შ, ჩენ. – ო რ ა მ ა თ ა შ. ცალკეული მწვანელების სახელებია: ქონდარი – ქ უ ა ნ დ ა რ, წიწმატი – წ ი წ მ ა ტ, ოხრახუში – ო ხ რ ა ხ უ შ, ნიახური – ნ ი ა ხ უ რ, კამა – კ ა მ ა, წიწაკა – წ ი წ ა კ (ჩენ. ბ უ რ ჩ), ქინძი – წ ვ ი ე ნ ა ლ და სხვ. ჩანს, რომ ქისტებში ბოსტნეულის აღმნიშვნელი სახელები ნიორის–ბ ო (ჩენ. ს ა რ ა მ ს ა ჳ) და გოგრის–დ ა ბ ა ჳ (ჩენ. დ ა ბ ა ჳ) გარდა ქართულია. ეს კი იმის მაჩვენებელია, რომ ეს დარგი მათ აითვისეს მთიდან ბარში ჩამოსახლების შემდეგ კახელებისგან. გაზაფხულის პირას, როცა თესვა იწყებოდა, მატნელი ქალები ყველა სახის თესვს მარცვლეულზე ცვლიდნენ. ქისტები ბოსტნეულს თესდნენ საკარმიდამო ნაკვეთში, ხოლო ღობიოს და გოგრას მინდორში სიმინდთან ერთად. ჩვენს დროში ის დიასახლისი, რომელსაც საკარმიდამო ნაკვეთში კარგი ბოსტანი არ აქვს, ნაკლები ავტორიტეტით სარგებლობს მოსახლეობაში. ხეობა გარკვეული დროის მანძილზე მარცვლეული კულტურის ბელელი ყოფილა, რომელიც კახეთის სოფლებს ამარაგებდა სიმინდით, ხორბლით და ქერით. ამას მოწმობს მ. მაჩაბლის მონაცემები [13: 333].

გასული საუკუნის 50-იან წლებში პანკისის ხეობაში ძველი ვაზის კულტურა, ააღორძინეს. სიმინდისა და ხორბლის სათესი ადგილები დაუთმეს ვენახს. ყურძენი დამწიფებას ვერ ასწრებდა, ხშირად ლეკობოდა, რის გამოც საგრძნობლად უკან დაიწია სიმინდითა და ხორბლით განთქმულმა პანკისის ხეობის წლიურმა შემოსავალმა და სანატრული გახდა აქაური პური და მჭადი, რომელსაც სულ სხვა გემო ჰქონდა. ხეობაში მრავლად იყო თუთის ხეები. ეს იმის დამადასტურებელია, რომ ქისტები მისდევდნენ აბრეშუმის ჭიის მოყვანას. აბრეშუმის ძაფი – ჩ ი ლ ლ – ოჯახის საჭიროებისთვის გამოიყენებოდა. მას წარსულში საბაზრო ხასიათი ჰქონია. აბრეშუმის ჭიის მოყვანას სათანადო ყურადღება მიექცა საბჭოთა პერიოდში. ჭიის მომეღვე კოლმეურნეობის წვერებს და მასწავლებლებს ერიცხებოდათ შრომადღეები, თან ქსოვილი რომ არ იშოვებოდა, ფართალსაც აძლევდნენ. დღეს ამ დარგის აღდგენაა საჭირო.

ლ. სემიონოვის მონაცემებით, ჩემენ-ინგუშები მეფუტკრეობას შორეულ წარსულიდანვე მისდევდნენ და ფართო მასშტაბითაც. თაფლისგან ამზადებდნენ ტკბილ მათრობელა სასმელს – მ ე რ ძ მ ა ლ ა რ – ს [25: 119]. ჩანს, რომ პანკისის ხეობის ქისტებმა მეფუტკრეობის ტრადიცია ადრინდელი სამშობლოდან მოიტანეს, მაგრამ ახალ გარემოში არ განავითარეს. მთელ ხეობაში ამ საქმიანობით დაკავებული იყო მხოლოდ რამდენიმე ოჯახი. ქისტები თაფლს მ ო ა ძ – ს უწოდებენ, ხოლო ფუტკარს – მ ო ზ, სკას ფუტკრიანად – ნ ა ჳ ა რ, გოდორა სკას – უ ლ ხ, ხანთელს – ს ე ნ თ ა ლ და ა. შ.

წლიური მოსავლის აღების შემდეგ მეურნე მცირე რაოდენობით უცეცხლო თაფლს მეზობლებს მოუკითხავდა, რომ განაწყენებული არავენ დარჩენილიყო და ფუტკარს ავი თვალი არ მოხვედროდა, რის თავიდან ასაცილებლად სკებზე

წითელი ან თეთრი ფერის ნაჭრებსაც კიდებდა. ეს წესი ჩვენეთში ბოლო ომამდე კარგად იყო შემონახული.

ქისტების ეკონომიკაში ტყეს უფრო დიდი ხვედრითი წონა ჰქონდა, ვიდრე სხვა დამხმარე დარგებს. ტყის მასივების სიახლოვე ხელსაყრელ პირობებს უქმნიდა მოსახლეობას. იმის მიუხედავად, რომ ტყე ხაზინას ეკუთვნოდა, ქისტები დიდი რაოდენობით ამზადებდნენ საწვავ, სამაშენებლო და მეურნეობაში გამოსაყენებელ ხე-მასალას, რომელიც გასაყიდად გაქონდათ კახეთის სოფლებში (კავი, კოჭი, ფიჭარი, ლამფა, ჭიგო, შეშა და სხვ.).

ტყე იძლეოდა ქალის შრომის გამოყენების შესაძლებლობასაც. შემოდგომაზე ქისტი ქალები აგროვებდნენ ბევრ წაბლს – *წ ა ა ბ ა ლ ა შ*, კაკალს – *ბ მ ე რ ა შ*, პანტას – *ჭ უ ე რ ა შ*, შვინდს – *ს ე ე შ*. ზღმარტლს – *პ ე ნ ც ა შ* და სხვა გარეულ ხილს. პანტას ახმობდნენ, კეპავდნენ წვერილად და შემდეგ ფქვილდნენ. პანტის ფქვილს – *ჭ უ ე რ ე ი - ც უ* სამკურნალოდ ხმარობდნენ. მას ჭამდნენ ცივ წყალში მოხედილი ან ფაფად მოხარშულს. პანკისის გარშემო ტყეებში ბევრი იყო ჯონჯოლი – *ჯ ვ ა ნ ჯ ა ლ*, რომელსაც იყენებდნენ საკვებად როგორც ქისტები, თუშები, ოსები, ფშაველები, ისე სოფელ მატნის, ახმეტისა და ქისტაურის მაცხოვრებლები.

ქისტები ნადირობის მოყვარულები იყვნენ. ამას ხელს უწყობდა ხეობის გარშემო აღმართული ნადირით მდიდარი კლდოვანი მთები და ტყის მასივები. ეს ტრადიცია მათ წინაპრებისგან მოსდევდათ. მთიან აულებში ცხოვრებისას ქისტების ოჯახური მდგომარეობა იძულებულს ხდიდა მამაკაცს ენადირა. ამასთანავე, ეს მათი უპირველესი გასართობიც იყო. ხანდახან მამაკაცები კვირაობით ნადირობდნენ და ოჯახის მეურნეობას ქალი უძღვებოდა. ნადირობის ტრადიცია ქისტების ყოფას ბოლომდე შემორჩა. მონადირე ძლიერ ადამიანად ითვლებოდა. ქისტების ფოლკლორში ბევრი გადმოცემაა, რომელთა მიხედვით, მონადირე ნადირთან მებრძოლი, დღედაღამ უშიშრად ჭიუხებში მოსიარულე ვაჟკაცია, რომელსაც არ აქვს შეცოდების გრძნობა. ახალ გარემოში მოხვედრილი ქისტები თავდაპირველად გატაცებული ყოფილან ამ საქმიანობით, მაგრამ შემდეგ ნადირობას მხოლოდ ცალკეული პირები მისდევდნენ. ხეობის მთა-კლდეები და გორები მდიდარი ყოფილა ყველა სახის ნადირით, ხოლო მდ. ალაზანი კალმახითა და მურწა თევზით.

მ. ალბუთაშვილი წერს: „იყო დრო, როდესაც დაბლა ჭაღლებში–სოფლების ახლოს ირმები და გარეული ღორი ბინადრობდა. გამოცდილ მონადირეს უთქვამს: „საღაც ირემი ბუღობს, ის ტყე ნადირის ბუღეაო“. მართლაც, პანკისის ხეობა ნადირის ბუღე იყო ერთ დროს – მანამ ჩქარა სასროლი თოფი გაჩნდებოდა მთელი ხეობის მცხოვრები თითქმის ყველა იარაღის მოყვარულები და კარგი მსროლელელებიც იყვნენ. დღეს ანდაზად არის დარჩენილი ხაღსში: „ერთმა ქისტმა თავის კარზე ნადგომი მუხა თოფის ნიშანში სროლით წააქციაო“. ისინი ნადირსაც ბევრს ხევრიან და ბევრსაც ხოცავენ“ [7: რგ.8].

ქისტებში დამოწმებულია ინდივიდუალური და ჯგუფური ნადირობა. ჯგუფური ნადირობაში ერთიანდებოდნენ მხოლოდ სისხლით ნათესავები. შეამხანაგებულ მონადირეებს ერთი დამხმარე ყოველთვის ჰყავდათ, რომელიც სანადირო ადგილიდან მოშორებით იმყოფებოდა და როცა მონადირე ნიშანს

მისცემდა, უმაღლესი განხილვით მასთან, რათა ნანადირევის გატყვევებაში და დაჭრაში მისმარებოდა.

სანადიროდ წასვლის დროს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მონადირის სამოსს. უ. მარგოშვილი აღნიშნავს, რომ ქისტის მონადირეები ისეთ სამოსს იცვამდნენ, რომელიც სიარულის დროს მსუბუქი იყო და თან თბილი. ისინი განსაკუთრებულ მნიშვნელობას აძლევდნენ ბუნებასთან შეხამებულ ფერს ე. ი. მწვანესა და რუხს. ამ ფერების სამოსის შენაცვლება დამოკიდებული იყო იმაზე, თუ სად მიდიოდნენ სანადიროდ – კლდიან თუ ტყიან მხარეს. ყოველ შემთხვევაში, მონადირეს მწვანე ფერის წამოსასხამი მუდამ თან ჰქონდა – საჭიროების შემთხვევაში გამოსაყენებლად. მონადირის ფეხსაცმელი იყო ძროხის ან ხარის ტყავის ქალამანი – ქ ა ლ ბ ა ნ ა შ. მათ თავისი ყელიანი ქალამანი – ხ უ ლ ჩ ი ე შ (ბანდული) დაივიწყეს ახალ გარემოში და ქართული მთიელის უკულო ქალამანი აითვისეს, ჩრდილო კავკასიის მთიანეთის ვეინახები კი ჩვენს დროშიც ყელიან ბანდულებს ხმარობენ. ბანდულის უპირატესობა ის იყო, რომ მისი ტყავის თასმით მოწნული ძირი კლდიან და ბალახიან ფერდობზე არ სხდებოდა. ორივე სახის ქალამანს ჭვინტი ოდნავ აწეული ჰქონდა, მასში აყვანდნენ ქუნს (მთის ბალახი), რომელიც ფეხს იცავდა სიცივისა და სინესტისგან. ამასთანავე, მონადირეს ჰქონდა წრიაპები – ლ ე ე ნ ა შ, რომელიც იცავდა მას დაცურებისგან. მონადირეს ეცვა აგრეთვე შინ მოქსოვილი შალის პაჭიჭები – ფ ი ე ზ ა გ ა შ, მუხლის ქვეითამდე ან მუხლის თავამდე აწეული, რომელიც მაგრდებოდა წვივისკრაფით – ბ ა ა თ ხ ა რ, ტანზე პერანგის ზემოდან მუხლამდე ახალუხი – ღ ო ვ თ ა ლ, მის ზემოდან ცხვრის ტყავის მოკლე უსახელო ქურჭი. თავზე ეხურა ცხვრის ტყავის ქუდი; წელზე ეკრა ტყავის ქამარი, რომელზეც დამაგრებული იყო სანადიროდ საჭირო სხვადასხვა სახის საგანი (წრიაპი, ხანჯალი, დანა, ყათარჯახნა და სხვ.); ზურგზე მოკლებული ჰქონდა ნაბადი და ხბოს ტყავის გუდა საგზლით. მონადირის ძირითადი საგზალი იყო ერბოში მოხედილი ქუმელი.

ქისტებში ნანადირევი იყოფოდა ჯგუფურად, თანატოლ ნაწილად, მაგრამ მომკვლელს, ხორცის გარდა, ეკუთვნოდა ტყავი და რქები. ნანადირევის განაწილების ეს წესი დამოწმებული აქვს ა. დირს თუშეთში, ხევსურეთსა და ქისტეთში.

ქისტების სანადირო იარაღი იყო მშვილდ-ისარი – ა დ ფ ხ უ და კაყის თოფი – მ ა ა ე ა რ თ უ ა ფ, შემდეგ განხდა „ბერდენკა“ თოფი – ბ ი ე რ დ ე ი ნ გ და „ვინტოვკა“ – ვ ი ნ ტ ო ვ კ.

მ. აღბუთაშვილი აღნიშნავს: „დიდი გამოცდილების მქონე მონადირე იტყვოდა, ნადირს თავისებური ხასიათი აქვს. უყვარს სხვასთან ერთად ამხანაგად ყოფნა. თოფი რომ გავარდება უცბად დაფრთხება, განზე გახტება ყურებად ცქვეტილი, წუთით შეჩერდება და მტრის თოფისაგან წაქცეულ თავის ამხანაგს თუ დაინახავს, თითქოს უნდა უშველოს, თავს დაადგება. ამ დროს კი მონადირეს თოფი მზად აქვს, ამოიღებს ნიშანში და იმასაც იქვე მიაწვეს. ამნაირი მონადირე ნადირს არ შეიბრალებს და 5-7-ს დააწვეს ადგილზე“ [7: რვ. 8]. იმავე ავტორის ცნობით, ერთხელ მონადირე ბათირამ ირემს ქართული თოფი ესროლა. ირემი წაიქცა.

ბათირა მივიდა, გაიძრო ხანჯალი და ყელში ჩაასო. ირემმა გაიქნია ფეხი, გამოსდო ბათირას ყაბალახში და ხეს მიაწვევია. რამდენიმე ხნის შემდეგ გონს მოსული მონადირე წამოდგა, ირემი კი აღარ დახვდა. მეორედ ბათირამ გარეულ ღორს თოფი ესროლა. ღორი წაიქცა. ბათირა მივიდა დასაკლაგად და უცბად ღორი წამოხტა. ბათირამ კი ძლივს მოასწრო წაქცეული ხის გვერდით ჩაწოლა. ღორმა კბილი ვერ მიუყენა და ფეხებით დააღურჯა [7: რვ. 8].

ანალოგიური ამბავი დაემართა პანკისელ ფშაველ მონადირეს – პეტრეს. მან დათეს ვინტოვკა ესროლა და წააქცია. დათვმა თავი მოიკვდარუნა, მივიდა პეტრე გასატყავებლად, დათვი უცბად წამოხტა, მონადირემ ხეზე ასვლა მოასწრო, სამჯერ კიდევ დაახალა. ზემოდან თოფი და იქვე გააცია.

პანკისის ხეობაში მონადირეობას ბევრი არ მისდევდა, მაგრამ ვინც ნადირობდა, მათ ამ მხარეში ნადირი შეამცირეს. ნათქვამია, „ზღვა კოვხით დაილიაო“, ასე თანდათან შეთხელდა ნადირი, ზოგიც დაფრთხა, შორს, უღრან ტყეს შეაფარა თავი, მაგრამ ხეობის ახლომახლო მთასა და ტყეში მაინც გეხვდება მსხვილი და წვრილი ნადირი. მაგ.: ირემი – იშვიათად; ჯიხვი, შუნი, ფსიტი, გარეული ღორი, კურდღელი და სხვ. მტაცებელი ნადირიდან – დათვი, მგელი, ტურა, მელა, ხოლო ვეფხვი და ფოცხვერი იშვიათად. როგორც ამბობენ, დათვი ხშირად გეხვდება, რადგან მისი საჭმელი ტყის ხილი ბლომად მოიპოვება პანკისის ტყეებში [7: რვ. 8].

ზემოთ წარმოვსახლეთ მასალიდან ჩანს, რომ პანკისში მეურნეობის ძირითად დარგებთან ერთად ვითარდებოდა დამხმარე დარგებიც, რომლებსაც გარკვეული წვლილი შეჰქონდა ქისტების ეკონომიკაში. დამხმარე მეურნეობის ზოგი დარგი ქისტებმა ახალ გარემოში აითვისეს, ხოლო ზოგი – მეთევზეობა, ნადირობა, მეფუტკრეობა და სხვ. მათ ოდინდელ საქმიანობას წარმოადგენს.

პანკისელი ქისტების მეურნეობის შემდგომი განვითარების პროცესში გასათვალისწინებელია სიმინდისა და ხორბლის კულტურის აღდგენა–განვითარება, რადგან სიმინდი და ხორბალი მთიელის ეკონომიკისთვის უფრო მომგებიანია, ვიდრე ვაზი.

ლიტერატურა

1. Мухелишвили Д., Материалы по исторической географии ущелья Панкиси, Труды кахетской археологической экспедиции, 1, Тб, 1969.
2. იოანე ბატონიონი, „ქართლ-კახეთის აღწერა“, თ. ენუქიძისა და გ. ბელაშვილის გამოცემა, თბ., 1986.
3. საქცია, ფ. 254, ანაწ.2, საქ. №239.
4. საქართველოს გეოგრაფია, ვ. ქუთათელაძისა და გ. ლორთქიფანიძის გამოცემა, ტფილისი, 1926.
5. მარგოშვილი უ., პანკისის ხეობის აღწერილობა, 1950, რე. № 2, 3.
6. მარგოშვილი დ. პანკისელი ქისტების წეს-ჩვეულებები და თანამედროვეობა, თბ., 1985.
7. ალბუთაშვილი მ., პანკისის ხეობის აღწერილობა, რე. № 6, 8.
8. თოფჩიშვილი რ. აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა მიგრაცია XVII–XVIII სს., თბ., 1984.
9. ქართველი და ოსი ხალხების ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1991.
10. „ქისტო ჩობანი“, პანკისი, გაზ. „ივერია“, №144, 1902; №116, 1901.
11. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ.V, თბ., 1970.
12. ავტორის მიერ ვულზე შეკრებილი მასალა, პანკისი, 1976.
13. М а ч а б е л и М., Экономический быт государственных крестьян Тианетского уезда Тифлисской губернии, Материалы для изучения экономического быта государственных крестьян Закавказского края, т.V, ч.1, Тифлис, 1887.
14. ჯაკეხიშვილი ივ., საქართველოს ეკონომიური ისტორია, ტფილისი, 1930.
15. იოანიშვილი ვ. ცენტრალური კავკასიის მთიელების საოჯახო ყოფა, თბილისი, 1969.
16. საქცია, ფ. 26, საქ. №421, ფ. 3–4.
17. შავხელიშვილი ა., აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიიდან, თბ., 1977.
18. რობაქიძე აღ., მოდგამი როგორც ექსპლואატაციის ერთი ფორმა რევოლუციამდელ საქართველოში, „მომსახიდველი“ II, თბ., 1951.
19. საქცია, ფ.17, ანაწ.1, №8417, ფ. 52.
20. ჯალაბაძე გ., აღმოსავლეთ საქართველოს სამიწათმოქმედო იარაღების ისტორიიდან, თბ., 1960.
21. „ქისტი ჩობანი“, პანკისი, გაზ. „ივერია“, №133, 1902.
22. უთურაშვილი ი., სოფლის მეურნეობის ვერტიკალური განლაგების ზონები აღმოსავლეთ საქართველოში XIX საუკუნის II ნახევარში და XX საუკუნის დასაწყისში, „მაცნე“, №6, თბ., 1966.
23. „ქისტო ჩობანი“, პანკისის ხეობა (მთიანეთის მახრა), გაზ. „ივერია“, №68, 1903.
24. ვახუშტი ბატონიშვილი, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბ., 1973.
25. Семенов А., Археологические и этнографические разыскание в Ингушетии в 1925-1932 гг., Грозный, 1963.
26. ჯაკეხიშვილი ივ., საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები, წიგნი I, თბ., 1967.

§ 4. მატერიალური და სულიერი კულტურის ძეგლები

გ/ვ/ც

1. როგორც აღინიშნა ხეობა მდიდარი ყოფილა მატერიალური და სულიერი კულტურის ძეგლებით. შუასაუკუნეების ის მრავალრიცხოვანი ციხე-კოშკები, სათვალთვალო, საყარაულო პუნქტები (ბალთაგორის, ჭობოს, ცქვიტაძის, ღუმას-ტურის, ომალოს თავის, ქვემო-ხალაწანისა და ღვიმეს შორის მდებარე) დღეს უკვე დანგრეული ძეგლები, შესაძლებელია მთავარ თორღვა – პანკელის ციხეს იცავდნენ. ამის თქმის საფუძველს იძლევა ხეობაში მათი სპეციალურად შერჩეულ პუნქტებში განლაგება, რაც დამახასიათებელია ერთიანი თავდაცვითი სისტემისთვის, საიდანაც უფრო ადვილად შეიძლებოდა საშიშროების დროს ერთმანეთთან ვიზიალური საგანგებო ნიშნებით დაკავშირება და ხეობის მტრისაგან დაცვის დროული მომხადებისთვის. აქვეა სულიერი კულტურის ძეგლები: ზოგი ძველი წარმართულ-ქრისტიანული (სალოცავი ნიშები, ეკლესიები), ზოგიც მოგვიანო დროის მაჰმადიანური (მენეთები). ეს ციხე-კოშკები, სათვალთვალო და საყარაულო პუნქტები იცავდა ამ კუთხეს მეზობელი დაღესტნელი მეკობრეების თავდასხმებისა თუ სხვა შემოსეული მტრისაგან. ხეობის თავში იკეტებოდა კახეთში ჩრდილოეთიდან შემოსასვლელი გზა, ხოლო სამხრეთის გზა დაცული ყოფილა საყარაულო პუნქტით, რომელიც მდებარეობდა მდ. კურტანაძეულთან-მატნელი გლეხების სახნავი მამულების დასაწყისში (ხეობისკენ მიმავალ გზასთან). ამ საყარაულოს ნანგრევები გასული საუკუნის 30-იან წლებში ჯერ კიდევ შემონახული იყო [1:6]. ამ ხეობით თუშ-ფშა-ჩეხესურეთის ჯარმა აიღო ბახტრიონი (1659 წ.) და განდევნა სპარსეთის ჯარი კახეთიდან. რუსმა გენერალმა პოტომ აქეთ გაიარა თავისი ჯარით პირიქით ქისტეთისაკენ სალაშქროდ და წოვათის გავლით გზად ააგო ეგრეთწოდებული ქვახიდი [2:10]. ამ ხიდს ჩვენს დროშიც არ დაუკარგავს თავისი დანიშნულება და იგივე სახელით არის შემორჩენილი.

ხეობით დასახელებული ბალთაგორის ციხე (ქისტები საადღარ-ს უწოდებენ ნაკველად თვითყოფადი ბოფენისა) ხეობას ზემოდან გადმოჰყურებს. შესაძლებელია, იგი იყო სათვალთვალოცა და თავდაცვითი სიმაგრეც) ჩანს, რომ ოდესღაც ამ ციხის მეშვეობით იკეტებოდა პანკისის ხეობის გზა. მართალია, იგი ცენტრალური გზიდან დაშორებულია, მაგრამ ისეთ მოხერხებულ ადგილზე მდებარეობს, რომ იქიდან კარგად მოჩანს როგორც გზა, ისე მდ. ალაზნის კალაპოტიც. სამხრეთიდან მომავალი მტერი პირველ რიგში ამ მიმართულებით უნდა მოსულიყო, ხოლო ჩრდილოეთიდან წინა გორით მოვიდოდა (სადაც ბაწარის წყალი მდ. ალაზნის უერთდება) ხეობის დასაწყისში. სხვადასხვა დროს ამ ხეობით შემოდირდნენ დაღესტნელი თუ სხვა ტომის მეკობრეები, თავს ესხმოდნენ როგორც ხეობის, ისე კახეთის სოფლებს, მიჰქონდათ ნადავლი და მიჰყავდათ ტყვეები. ღეკთა თარეშს ვერც ახალდასახლებული დღევანდელი ქისტების წინაპრები გადაურჩნენ. ზემოთ დასახელებული ბალთაგორის ციხე-კოშკი თარიღდება XVI–XVII საუკუნეებით. ფერდობზე აშენებული სამხართულიანი ციხის სიმაღლე ათი მეტრია. შიშინობის დროს პანკისის მოსახლეობა ამ ციხე-კოშკს აფარებდა თავს.



სურ. 8. ბალთაგორის ციხე-კოშკი „ბოვ“

პანკისის ხეობის ჩვენამდე მოღწეული, უკვე დანგრეული ციხე-კოშკები თუ საკულტო ნაგებობები შეუკეთებლობის გამო საბოლოოდ დანგრეა. ბალთაგორის ციხე-კოშკი დღეს ყველაზე სრული ფორმით არის შემონახული.

აღსანიშნავია ჭობიოს ვიწრო ხევიში არსებული საბრძოლო, თავდაცვითი და საცხოვრებელი ნაგებობების ნანგრევები, რომლებიც მეტყველებენ იმაზე რომ აქ ერთ დროს მჭიდრო დასახლება ყოფილა. „აღნიშნული ხევის შესასვლელში მდებარეობდა საყარაულო კოშკი, რომლის ირგვლივ შემოვლებული იყო გალავანი, რომელიც ტყიან რელიეფს მიყვებოდა ისე, რომ კარზე მოსულ მტერს ფეხის მოსაკიდი არ ჰქონდა“ [2:]. შიშიანობის დროს ამ თავდაცვით ნაგებობას საცხოვრებლადაც იყენებდნენ. სასმელი წყალი და წისქვილიც იქვე ახლოს ჰქონიათ. ჭობიოს ხევი არც ისე დიდია. აღმართის დასაწყისში აღმოსვლეთი


ხევისპირას მდგარა ეს საყარაულო, ხოლო იქვე ახლოს კი ორი კოშკი. ქისტების აქ დასახლების დროს ისინი საკმაოდ დაზიანებული და ნახევრად დანგრეული იყო.

ანალოგიური ხასიათის თავდაცვითი ციხე-სიმაგრეები იყო ომალოს თავში, ცქვიტაძეში, ძიბახევის ტყის ხილრმეში. ამ უკანასკნელს ადგილობრივი მაცხოვრებლები თამარის ციხე-სიმაგრეს უწოდებენ. ასეთივე სიმაგრე ყოფილა ქვემო და ზემო ხალაწნის გამყოფ გორაზე. დღეს ამ ციხის მხოლოდ ნანგრევებია.

ნაქალაქარის მსგავსი კომპლექსია დუმასტურის არქიტექტურული ანსამბლი. ამ ადგილზე ნაპოვნი ნივთები ბრინჯაოს ხანისაა. აღნიშნულ თავდაცვით და საკულტო ნაგებობებს გარს ერტყა მაღალი გალავნი, იქვეა სასმელი წყარო, რომელიც ამჟამად გაყვანილია ახლომახლო სოფლებში.

პანკისის ხეობის ძეგლების ადგილმდებარეობა ისეა შერჩეული, რომ მტრის შემოსევა ერთმანეთისთვის სწრაფად შეეჭვობინებინათ. გადმოცემით, ამ ციხე-სიმაგრეებს ერთმანეთის გასაფრთხილებელი სიგნალი ჰქონიათ – ღამით ცეცხლის ალი, ხოლო დღისით – ბოლის გამოჩენა. სიგნალი სწრაფად გადაეცემოდა მთავარ ცენტრებს და შესაფერის სამზადისს შეუდგებოდნენ. მეციხოვნეები თავს იცავდნენ შურდულით, მშვილდისრით, ქვის ლოდებით და ადრეული წყლით. XVII-XVIII საუკუნეებში გაჩნდა ცეცხლსასროლი იარაღი, რომლის დამზადებას მთის ხალხიც დაეუფლა [1:5].

ვახუშტის მიერ აღწერილი მჭიდროდ დასახლებული პანკისის ხეობა ჟამთა ხელამ განადგურა – თავისი თავდაცვითი ციხე-კოშკებით, საკულტო და საცხოვრებელი ნაგებობებით, რომელთა ნანგრევების ნაწილი ახალ დასახლებულმა მოსახლეობამ სალოცავი ნიშებად გადააქცია.



სურ. 9. წმ. გიორგის სალოცავი ბაღთაგორაზე – „წუ“

გარკვეულ ინტერესს იწვევს ხეობის საკულტო ნაგებობები, რომლებსაც დაებატრონენ აქ დასახლებული ქისტები, ფშაელები და ოსები. ძველებს წარმართულ-ქრისტიანული ხასიათი ჰქონდათ. ბაღთაგორის ციხეკოშკიდან 200 მ. დაშორებით მდებარეობს ძველი სამლოცველო, რომელსაც ქისტები წიუ-ს, წუ-ს – წმინდანს, ხოლო სოფ. დედისფერულის ფშაელები წმ. გიორგის სალოცავს უწოდებენ. ამ სალოცავში მლოცველი (დუისიდან, ჯოყოლოდან, დედისფერულიდან) მიდიოდა ადღგომის დღეს, ხოლო დუისის მოსახლეობის მეორე ნაწილი ლოცულობდა ალაზნის პირას წმ. ნიკოლოზის ნიშთან.

1902 წელს გაზ. „ივერიაში“ (№144) დაიბეჭდა ქისტი ჩობანის წერილი – „პანკისი“, რომელშიც ავტორი ამ ნიშის შესახებ წერს: „ამ 8 წლის წინათ კავკასიაში ქრისტიანობის აღმდგენელთა საზოგადოებამ დუისოფლის ძველი პატარა ნიში შეაკეთა. ამ ნიშს შუბლის ქვაზედ წარწერა ჰქონდა ადგილ-ადგილ წაშლილი: „ეკლესია ასე აღვაშენე მე პანკისის მოურავმა...“, და ცოლმან ჩემმან“. ქისტები ამ სალოცავს „მაისტი“ ანუ „მაისტი“ ხატს უწოდებდნენ. ამ დღეობაზე დადიოდნენ, როგორც მაჰმადიანი, ისე ქრისტიანი ქისტებიც. ეს ნიში საუკუნის მანძილზე თითქმის მდ. ალაზნის დაშორებული იდგა, მაგრამ ეხლა მისი მდებარეობის ადგილიც აღარ ეტყობა. იგი 1902 წელს ადიდებულ მდინარეს წაუღვკია“ [3]. დარწმუნდ ამ ნიშს გასული საუკუნის 50-იან წლებამდე მოილოცავდნენ დუისელი

ქისტები რაიმეს აღსანიშნავად ან სათხოვნელად (ბავშვის დაბადება, ავადმყოფის კარგად გახლობა, გვაღვინა და ხშირი წვიმების შედეგად მოსავლის განადგურების შიში და სხვ.) მიდიოდნენ სპეციალურად გამზადებული სუფრით, სანთლებით. ტრადიციული წესის შესრულების შემდეგ იქვე ახლოს, ბუჩქებზე კიდებდნენ თეთრი ან წითელი ფერის ქსოვილის ნატრებს, რომ მათი სურვილი შესრულებულიყო. საღვთისოდ ეს ნიში დაკარგულია, თუმცა დაახლოებითი ადგილი მინიშნებულია.

საინტერესოა მთხრობელის მონაცემი: „ხეობის ადგილმდებარეობის დათვალიერებით დანტერესებული ვინმე N სტუმარი მოხვდა ბალთაგორის წმ. გიორგის ეკლესიაში. შიგნით შესულმა ნახა მლოცველის მიერ შეწირული თეთრი ფულების გროვა. დღე ხალხს რომ არ შეენიშნა, საღამომდე დაელოდა იქ, აკრიფა მთლიანად ეს ფული და დადამებისას წამოვიდა სახლისკენ. გორიდან დაბლა ჩამოსვლისთანავე ჩავარდა წყლიან დიდ ქვევრში. ამოსვლა დააპირა, მაგრამ ღრმა ქვევრიდან ვერ ამოვიდა. იყვირა, მშველელი არსაიდან გამოჩნდა. დიღას მწყემსმა ნახიტი გარეკა საძოვარზე და ყვირილის ხმა მიესმა. მივიდა ახლოს, ჩაიხედა ქვევრში და „ვინა ხარო“ ჰკითხა. ამ უკანასკნელმა უპასუხა: „ვერ ამოვიდვარ, მიშველეო“. მწყემსი წამოვიდა სოფელში, კიბე წაიღო და როგორც იქნა, ამოიყვანა. შერცხვინილმა სტუმარმა უხმოდ დადო ფული თავის ადგილზე და წავიდა იმავე დღეს სოფლიდან“ [4: რგ. 7].

იმავე მთხრობლის გადმოცემით: „ბალთაგორის კოშკის გვერდით მოშენებული ყოფილა ქვიტკირის ციხე-სახლი, რომელიც ადრევე დანგრეულა. ამ ნანგრევებიდან ქვა ჩამოუტანია ვინმე N-ს და ჩაუყვარა სახლის საძირკველში. სახლი ბოლომდე აუშენებია და შესულა საცხოვრებლად. ყოველ დამე სახლის პატრონს ესიზმრებოდა: „ეს სახლი შენი საკუთრება არ არის, ბევრი ცოლო გაღვესო“ და სხვ. ბოლოს იგი იძულებული გახდა წასულიყო მაგანში მკითხავეთან. უამბო თავისი წუხილი. მკითხავემ შეეკითხა: „რომელი რწმენისა ხარო“? N-ი გაბრაზდა და უთხრა: „ჩემს რწმენას რატომ კითხულობ?“ მკითხავემ უთხრა: „ვკითხულობ იმიტომ, რომ „წმინდა ადგილიდან“ რაღაცა წაგიღია და უკან დაბრუნებას თხოულობსო“. N-ი მიხედა, რაშიც იყო საქმე და ყურად არ იღო. ამასობაში მას ხელიზედ მოუკვდა ორი ბიჭი. ამის შემდეგ მან დაანგრია თავისი სახლი, საძირკველიდან ქვა ამოიღო, მაგრამ უკან არ წაუღია. ჩვენს დროშიც ის ქვა ღობედ არის გამოყენებული“. მთხრობელი აღნიშნავს: „მამის მიერ ჩადენილი ცოლო დღესაც ტრიალებს შვილთაშვილების ოჯახშიო“ [4: რგ. 2].

სხვა მონაცემების მიხედვით, ძნელბედობის დროს გასახლებული თუ დაღუპული ქართველი მოსახლეობისაგან მიტოვებული ნახსენები წმინდა ნიკოლოზის ეკლესია ნიშის სახით მდ. ალაზნის პირას მდებარეობდა, რომელსაც ქისტებმა დასახლებისთანავე მაისტალა უწოდეს. ასეთივე ქრისტიანული ეკლესია მათ მაისტალიც ჰქონდათ. ეს შენობა მათი დასახლების დროსაც ნახევრად დაზიანებული ყოფილა. შუბლის ქვაზე ჰქონია წარწერა: „მე პანკისის მოურავმა... ადგაშენე ნიში ასე... წმინდა ნიშის სახელობის... ჩემი და ჩემი მეუღლის სახსენებლად“ [3:]. აქ ინახებოდა თვით ქისტების მიერ მაისტლიდან გადმოტანილი ხისაგან გამოქანდაკებული ბავშვის სახე, მთლიანად ვერცხლში ჩასმული, ხელში ხმლით, რომელიც ომის ღმერთად ითვლებოდა. XIX საუკუნის 80-იან წლებში ეს ქანდაკება დაიკარგა.

საინტერესოა მ. ალბუთაშვილის მასალებში შემონახული ცნობა: „სოფ. ჯოყოლოს დასავლეთით, ჭობიოს მალღა ტყეში ერთი ძველი დანგრეული შენობა მდგარა. გადმოცემით ის ყოფილა წმ. გიორგის ეკლესია. როცა იგი მთლიანი იყო, აქ ინახებოდა ვერცხლით სავსე თასი – ზედ წარწერით: „ვერცხლის თასი ესე შევწირე მე მანგლისის მაცხოვრებელმა ჭობიოს თავს წმინდა გიორგის ეკლესიას დიდებით, აღმატებულ არს სახელი მისი“ [3:]. ეს თასიც დაიკარგა. სოფ. ბირკიანის ყორის წმ. გიორგის ეკლესიის შესახებ არსებობს გადმოცემა, რომლის მიხედვით ეკლესიის მახლობლად ჩამარხული ყოფილა სააერო ოქრო-ვერცხლით სავსე წმ. გიორგის ეკლესიის ნანგრევებია სოფ. ომალოში, სპეროზის კლდიანი მახვიის ძირში და სხვ.

ისტორიული ძეგლებით ყურადღებას იქცევს ხალაწის ხეობა. სოფ. ზემო ხალაწანში არის გმირის ციხის, ფათალაანთ ციხის, გვერდმოშლილი ციხის ნანგრევები, ხოლო საკულტო სალოცავეებია კვირია, ბზიანა, კვირაცხოველი, ხეთაება, ხახაბოს წმ. გიორგი. ქვემო და ზემო ხალაწნების გამყოფ გორაზე ციხე-კოშკის გვერდით მდებარეობდა წმ. გიორგის სალოცავი. მისი სახელობის სალოცავი არის აგრეთვე დედისფერულის თავში – გორაზე დიდი მუხის ქვეშ, სადაც ფშავლები დადიან სალოცავად. სოფელ ხორაჯოს დასაწყისში ნანგრევების სახით შემორჩენილია ხატის გორი. იგივე სახელობის ხატია ხოხარას ველის თავში; ძიბაკვეში – კვირაცხოველი, წმ. გიორგი, სადაც ამ სოფლის მოსახლეობა დღესაც დადიან სალოცავად.

სოფელი კუწახტის (ფშავლები) სალოცავეებია: ადგილის დედა, ამადლება, ლომისობა, კოტიას წმ. გიორგი, კვირაცხოველი, ხოლო ქვემო კუწახტის – პირქუში, აუნობა, დამასური, რომლებიც გადმოჩანილია ფშავიდან ახადლელებს მიერ. იგივე სახელობის სალოცავეებია სოფ. ბაყლოვანშიც.

სოფელ ომალოს მოსახლეობის (ქისტები) სალოცავი ადგილებია: კოპალა, მელაღი დებატონი, დეთისმშობელი, კვირაცხოველი, წმ. გიორგი, სოფ. ბირკიანში – ყურის წმ. გიორგის ეკლესია, ელიავა, კოპალა; ყვარელწყალში – იახსარი, წმ. გიორგი, ერელაანთ ეკლესია და სხვ.

ეთნოგრაფიული მონაცემებით, ხეობაში მცხოვრები ოსები ქრისტიანები არიან. მათ ათიუსეს ადგილობრივი ძველი სალოცავეები: წმ. გიორგის, დეთისმშობლის, კვირაცხოველის და დღესასწაულობენ მარიამობას ღომისობას. აქვთ თანმოტანილი სალოცავი ნიშებიც: კასტაო, გუეთა, ვასტირჟი, ბილურთა და სხვ. წმინდა ადგილებად მიჩნეულია ძველი ნანგრევების ფუძე – ადგილები, სადაც ქვის გროვაა ან და ძველი ხე დგას.

2. პანკისის ხეობაში ქისტების დასახლება მოხდა მთაში დამკვიდრებულ ტრადიციის მიხედვით, მაგრამ მშენებლობისთვის სიპი ქვის მაგივრად გამოიყენეს წნელი. ახალ გარემოში, ღია ცის ქვეშ დროებით ქოხებში თავშეფარებულმა ქისტების ოჯახებმა მაშინვე ტყეს მიაშურეს. მომარაგეს წნელი, ხეები საჭირო რაოდენობით და დაიწყეს სახლების შენება, რა თქმა უნდა ერთმანეთს ეხმარებოდნენ. მამაკაცები წნადნენ კედლებს (ერთ მხარეს უკეთებდნენ პატარა სარკმელს), სახურავზე მჭიდროდ აწყობდნენ სქელ ხეებს, ზედ აყრიდნენ მიწას, ტკეპნიდნენ და ამით მამაკაცები ასრულებდნენ თავის სამუშაოს. შემდეგ იწყებდნენ სხვა სახლის

შენებას და ა.შ. ქაღები კი თიხა-მიწით ღესავდნენ სახლის შიდა, გარე კედლებსა და სახურავს. სახლს შესასვლელი მიწის პირიდან ჰქონდა. კერია მოთავსებული იყო სახლის შუა ადგილზე ან სიგრძის კედელთან ჭერამდე აყვანილი საბოლოო. ასეთ სახლს მიწურბანიან სახლს ბეღბილდან წაას უწოდებდნენ, სადაც დროებით საქონელთან ერთად ცხოვრობდნენ. მოგვიანებით, როცა ხენა-თესვას მოჰკიდეს ხელი და ეკონომიკურად მომძლავრდნენ, დაიწყეს კახეთის სოფლებში ფართოდ გავრცელებული ფიცრული სახლების (სხვენით, იატაკით, ფანჯრებით გამართული) მშენებლობა. გომურებსაც კი სქელი ფიცრებისაგან აკეთებდნენ და ზედ ადგამდნენ საძმეს – ბზის, თივისა და ფუნქის შესანახად. ფიცრული სახლები მიწიდან ნახევარი მეტრის სიმაღლეზე მუხის მსხვილ დირებზე იყო შეყენებული. ასეთი სახლები ზოგი ოროთახიანი იყო, ზოგიც ჩამწკრივებული საში ოთახით, აივნით, გაფიცრული ან გაუფიცრავი იატაკით, პატარა ფანჯრებით, კრამიტით დახურული ოთხქანობიანი სახურავით. შიგნით – ბუხარი, ერთი კედლის გასწვრივ თარო (ჭურჭლისთვის). ოთახის ერთ ან ორივე მხარეზე განიერი ნაბად-ფარდაც გადაფარებული ტახტები.

მ. ალბუთაშვილი აღნიშნავს: პანკისში პირველად დასახლებული ქისტების რამდენიმე სახლს მე თვითონ მოვესწარი. ეს იყო ოთხ ბოძზე კაცის სიმაღლეზე ამოწნული, სასუქ-ტალახით გაღვსილი, ზევიდან ნაფოტ-ბენწო დაყრილი, მიწით დატკეპნილი 6-7 მეტრი სიგრძის სახლი, შესაფერისი სიგანით და თავისი მსგავსი შიდა მოწყობილობით. ხალხის მატერიალურად მოცოცხლების ხანაში, საქართველოს გასაბჭოებამდე სახლების გეგმა ანუ შენობები ყველასი ერთნაირი იყო“ [2:]. იყო შემთხვევები, როცა მთიდან გადმოსახლებული მრავალსულიანი ოჯახი ასეთ სახლებში ისევ ერთ ოჯახად ცხოვრობდნენ. ეკონომიკურად რომ მომძლავრდნენ, მიწურბანიანი წნული სახლები საქონლის სადგომებად გადააქციეს და ოჯახებიც ცალ-ცალკე შესახლდნენ ფიცრულ სახლებში, მაგრამ ზამთარში ორი თვე ისევ წნულ ბინებში, საქონელთან ერთად ცხოვრობდნენ. ეს ასე იყო რევოლუციის შემდგომ პერიოდის დასაწყისშიც, ხანამ მოსახლეობა ძველი კერით სარგებლობდა. მ. ალბუთაშვილი ფიცრულ სახლსაც აღწერს: „მიწიდან ნახევარი მეტრის სიმაღლეზე მუხის მსხვილ დირებზე დაყენებული, ზოგი ფიცრის, ზოგი მიწის იატაკით, ფიცრის ჭერით ანუ უჭეროდაც ორ ოთახად, ზოგი შუა ტალნით გაყოფილი, ზოგიც უიშისოდ სამს მხარეს გაფიცრული თუ გაუფიცრავი, ხაჩებით, აივნით, დურეგნით, კრამიტით დახურული ოთახები, ორ-ორი ფანჯრით, შიგნით ბუხარი და თარო (უსათოოდ ოთხი თხელი ფიცარი ერთმანეთზე უჯრებად გადაწყობილი და კედელზე მიკრული), ერთ მხარეს გრძელი განიერი ტახტი ნაბად-ფარდავით დაყენილი (იქვე ღოგინი, ძველი და ახალი ტანისამოსი და სხვ.). პურის საცხობი თიხის კერია, ზოგს ქოლგასავით წნული საბოლუე აქვს მალდა ჭერამდე აზიდული. ეს არის ოჯახის საცხოვრებელი ოთახი, მეორე ოთახი ბუხრის გარეშეა. იგი დიასახლისის სამუშაო ოთახიც არის და სასტუმროც. მოწყობილია ხადად, მაგრამ დაცულია საუცხოო სისუფთავე“ [2:].

როდესაც ქისტებში წნული სახლი შეცვალა ფიცრულმა სახლმა, ხოლო ახლომახლო ტყის მასივებში ხე-მასალა შემცირდა და შორიდან მოსატანი გახდა, ქისტებმა მდ. ალაზნის სანაპიროდან რიყის ქვა-ქვიშის გამოყენება დაიწყეს. ხეობაში რევოლუციამდე (1910-1915 წლებში) აშენებული ქვიტყირის სახლები

ეკუთვნოდა ეკონომიკურად მომძლავრებულ პირებს (მ. ბადაკაშვილი, ქ. ქავთარა-
შვილი, ი. ბორჩაშვილი, კ. მუთოშვილი და სხვ.). ბოლო ხანებში იყენებენ ალიზს,
რომლითაც არის აშენებული ახალი მშენებლობის თითქმის 50%. ყოველ სახლში
გათვალისწინებულია პროდუქტებისათვის პატარა ოთახი ან კუთხე, რომელიც
ზამთარ-ზაფხულ არ თბება და ცივად ინახება სასმელ-საჭმელი. ამას ქისტები
სენი-ს უწოდებენ. მას სარკმელი არ აქვს. ტერმინი სენი გ. ჩიჭაიას მიერ დადასტუ-
რებულია ხევსურეთში [5: 153]. სენე აქაც ნიშნავს სახლის ერთ-ერთ კუთხეს,
სადაც რძის პროდუქტები ინახებოდა. სვანეთშიც ტერმინი სენე/სენა
ნაგებობასთანაა დაკავშირებული და სახლის ნაწილს აღნიშნავს [5: 159]. მოხვევებში



სურ. 10. წნული სახლი - „დ ტ ც ი ნ წ ა ა“, სოფ. დუისი, აშენებულია 1918 წ.

ტერმინი სენა აღინიშნება სახლის ის ნაწილი, სადაც ინახება ოჯახის
ძვირფასეულობა (ტანსაცმელი, სამკაული) ან პროდუქტები (ერბო, ყველი და სხვ.).
წოვათუშები სახლის კარს სანი-ს უწოდებენ. აქაც ეს ტერმინი სახლთან არის
დაკავშირებული. ჩანს, რომ იგი ცენტრალურ კავკასიის მთიანეთში და სვანეთში
საერთო ტერმინია. როგორც აკად. გ. ჩიჭაია აღნიშნავს: „ტერმინი „სენას“ არსებობა
თავისი სპეციფიკური დანიშნულებით XI საუკუნეზე ადრინდელ ხანაშიც არის
სავარაუდებელი“ [5: 162].

მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდიდან პანკისის ხეობის სოფლებმა
სახე იცვალეს, როგორც გარეგნულად, ისე შიგნით. გამრავლდა ახალი ტიპის
„ზალამოდგმული“ ერთი და ორსართულიანი სახლების მშენებლობა და სოფელიც
გადასხვაფერდა. მ. ალბუთაშვილი წერს: „ხეობის ხალხმა თვალი გაახილა ბევრ

საქმეში. დაიწყო ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესება. ფიცრული სახლების ნაცვლად შენდება ქვიტიკის სახლები“ [4: 28].

ჩამოთვლილი საცხოვრებელი ნაგებობებიდან წნული სახლის ბედბილ ღან წაა-ს აშენების ტრადიცია ჩვენთვის მთიანეთიდან არის გადმოტანილი. ასეთ სახლებს აშენებდნენ ჩრდ. კავკასიელი ტომები დაღესტანში, ოსეთში, ყაბარდო-ბალყარეთში, ადიღეში, ყარაჩაი-ჩერქეზეთში და ა.შ. აშენებდნენ საქართველოშიც, კერძოდ კახეთში, მაგრამ წნულმა სახლმა პანკისის ხეობაში ფეხი ვერ მოიკიდა. იქაურების ყოფაში დამკვიდრდა ქართული ფიცრული და ქვიტიკის სახლები, რომელთა შიდა მოწყობილობამაც საგრძნობლად იცვალა სახე.

უნდა აღინიშნოს, რომ ქისტებს ტრადიციულად მოსდევთ ოჯახში სისუფთავის დაცვა, რაც იგრძნობა ეზოში შესვლისთანავე. „ქისტი დედაკაცი სისუფთავის დამცველია შინ და გარეთ. სახლი თუნდაც წნული იყოს—ტალახით გაღესილი, თუნდ ფიცრული, მიწური იატაკით—დაწკრიანდება, როგორც იტყვიან ერბო რომ დაიდვაროს, არ შეერევა... გარეთ საჩეხი, ეზო, ბოსელი, საძროხე ბაკი, საქათმე და სხვა დიდიდანვე არის დაწკრიანებული, რომ გამგულე-გამომგულემა, უცხოძო თუ თანასოფელემა არ შენიშნოს უსუფთაობა და არ დასძრახოს. სახლისა და მისი ეზოყურის მოვლაში ქისტებს ჩვენი მთის ხალხი ბევრად ჩამორჩება“ — აღნიშნავს მ. ალბუთაშვილი. ამ ამონაწერის სინამდვილეს მოწმობს ჩვენი ეთნოგრაფიული მასალაც.

როგორც ზემოთაც აღინიშნა, ფშავიდან პანკისის ხეობაში პირველად გადმოსახლებულმა გლეხმა თათარა ცხვირაშვილმა ბაბურის გორის გასწვრივ შარაგზის პირას გააკეთა სიპი ქვის ოთხკუთხედი ბურჯი ანუ ფუძე სახლი, ზედ დაადგა ფიცრული ოთახი, გამოვიდა კოშკის მსგავსი შენობა, რომლის სახელი სოფელსაც ეწოდა „კოშკები“. თათარამ ამ ტიპის საცხოვრისი შიშინების გამო ააგო. სხვა დროს ფშაველ კაცს ბარში ამისთანა ფუძე არ აუშენებია. მ. ალბუთაშვილი წერს: „მაღლა მთაში ნაჩვევ თათარას ნათესავეებმა ვერ მოისვენეს დაბლობში ცხოვრება, მიკაფ-მოკაფეს გარშემო ტყე და გადაინაცვლეს ბაბურას ფერდობზე, კოშკიდან თითქმის ნახევარი კმ. მოშორებით. ამ ფერდობზე მოჩუხჩუხე პატარა წყალმა შეცვალა სოფლის სახელი კოშკები „ყვარელწყლის სახელით“ [2:]. ყვარა მათი თავდაპირველი სოფლის სახელწოდებაა ფშავეში. მეზობელი ქისტები ამ სოფელს დღესაც ეკეშეკი-ეს ეძახიან. ხეობაში პირველად დასახლებული ყველა ფშაველი ბანიან სახლს იშენებდა ნახევრად მიწური კედლებით და სახურავზე მიწაყრილით, წინა კედელთან ბუხრის კვალად საცეცხლე-საბოლოთ. ასეთი სახლი საქონლის სადგომიც იყო და მისი პატრონისაც. იგი შუაში არ იყოფოდა [2:]. იგივე მასალას გვაწვდის უ. მარგოშვილიც [1:]. იგი წერს: „მიწურბანიანი საცხოვრებლის შემდეგ, როცა პანკისში ფიცრული სახლების მშენებლობა დაიწყეს ფშაველებმაც ორ-ორ ოთახიანი, მეზობელი ქისტების ანალოგიური სახლების შენებას მიჰყვეს ხელი. შემდეგ „ქვიტიკი“ შემოიღო მიწის პირად, ზედ სამე დიდგული, სადაც საქონლის საკვებს ინახავდა. ზოგმა ამნარი ქვიტიკის გომურზე საზაფხულოდ სამყოფი ფიცრული სახლი (ოთახი) დადგა. სახლი პატარა სანათურით, შიგნით ბუხარგამართული და კრამიტ დახურული იყო. ზამთარში ფშაველი კაცი, ქისტებისა და საერთოდ სხვა მთიელების მსგავსად მკაცრ სიცივეში, ისევ საქონელთან ყოფნას რჩეობდა“.

პანკისში ჩამოსახლებულმა ოსებმაც თან მოიტანეს ქართლში არსებული მიწურბანიანი სახლების შენების ტრადიცია: შუა ცეცხლი საკომლით, წინ დერეფანი, რომელიც აიენის მაგიერობას ეწეოდა. შემდგომ მათაც, როგორც ქისტებმა და ფშაველებმა, ფიცრული სახლების აშენება დაიწვეს. ძველი ტიპის ფიცრული სახლები დღესაც გვხვდება პანკისის ოსებში. ისინი ამ სახლებს თვითონ აშენებდნენ.



სურ. 11. ხის ჩუქურთმებიანი სახლი, სოფ. ომალო, აშენებულია 1935 წ.

ზამთრის პერიოდში ოსებშიც იგივე ცხოვრების პირობები გვხვდება, როგორც მათ მეზობელ ფშაველებში და ქისტებში. ხეობაში საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისკენ ღტოლვა პანკისის მოსახლეობაში ნათლად შეინიშნებოდა – ფიცრული სახლების გვერდით აშენდა ქვიტირის ერთი და ორსართულიანი სახლები; შეიცვალა სახლების შიდა მოწყობილობაც: დგამ-ავეჯი, ჯამ-ჭურჭელი და სხვ.

3. *ტანსაცმელი* – ქისტები თვითმყოფადი სამოსით მოვიდნენ პანკისში, მაგრამ ახალ გარემოში მათ სამოსში სწრაფი ტემპით ჩნდება ახალი ელემენტები, ისეთი, როგორც მათ მეზობელ კახელებში იყო გავრცელებული. მაგალითად: წელმოკერებული კაბა – კააბ, წინსაფარი – ფართუკ, მამაკაცის კახური ტიპის ჩოხა – ქათიბი, ხალათი – ხააღათ, ფეხსაცმელი – ქაღბანაშ და სხვ. თუმცა წლოვანებაში შესული ქალი და კაცი თავიანთ თვითმყოფად სამოსს უბრუნდებიან. ქალის პერანგი – ქოან, ქვედა საცვალი – ხეჩ, მამაკაცის ახალუხი-დოვთაღ, უბიანი შარვალი – ეიდთესინ ხეჩ ბოლომდე დანილი უცველი.

მ. ალბუთაშვილი აღნიშნავს: „ქისტი ქალი კოხტა, მოხდენილი და მალხაზი. ისეთი ჩაცმა დახურვა იცის, იმის ტანს არ ავიწროვებს არც მძიმე და გაპოხილი


თუშური და ფშური ტყავი, არც დანარჩენი მითის ხალხის შემავიწროებელი სხვადასხვა ჩასაცმელი... მისი ტანსაცმელი სრულია და მოხდენილი; არის იაფასიანი ქსოვილისაგან დამზადებული, რომ დავაფასოთ მთელი ტანის შესამოსელი ეღირება შვიდი-რვა მანეთი თავისი სამკაულით“ [2: 13]. ქალისა და მამაკაცის ტანსაცმლის ყველა ელემენტი ისეა შეხამებული ერთმანეთთან, რომ, თუ ერთი ელემენტი დააკლდა, თავის იერ-სახეს კარგავს. სამოსს ახლავს სამკაული – მამაკაცისას ვერცხლის ქამარ-ხანჯალი, მასრები და ბუჭვილი, ხოლო ქალისას კი ყელის, მკერდის, წელის, ყურისა და ხელის სხვადასხვანაირი სამკაული.

არსებული მონაცემების მიხედვით, „ქისტი ქალი გულზე სამკაულს, წელზე ვერცხლის ბრტყველ ბალთებიან ქამარს ატარებს. ამ ბალთებზე შებმულია ვერცხლის ჯაჭვზე ახსმული აბაზიანები, ფეხზე გაწყობილი წმინდა ტყავის მესტებით ამაყად მოდის ქისტის ქალი და მიაქვარუნებს“. ქალის სამკაულიან ჩოხის შესახებ ძველად ასე მღეროდნენ: „*თუქა იღლად ვა დარიე შიე დიელიე დიერზინა, ბერი ქეჩვალ ვა დეთი შიე ნეკიე დუხჩინა*“ – „მასზე იმდენი აბრეშუშია, დუქანი გაიხსნება, მის მკერდზე იმდენი ვერცხლია, ცხენს მხედრიანად მორთავს“ და ა.შ. სიარულისას ჩოხის გულმკერდისა და ქამრის სამკაული ერთმანეთს ეხებოდა და ეღარუნებდა. გათხოვილი ქალი ატარებს მხოლოდ საყურეებს, მიივებსა და ბუჭვილებს, ხოლო წელის და გულმკერდის სამკაულს არ იკეთებს. ქალის საზეიმო, საგარეო სამოსია ჩოხა – ჩ უ ა ზ, თავისი ყველა ელემენტით, ხოლო მამაკაცისა – ჩოხა-ახალუხი, ხალათ-შარვალი, ვიწრო ჩექმები ე.წ. „აზიაცკები“ და ფაფახი ე.წ. „გარიბანდული“ ქუდი.

მ. ალბუთაშვილის სიტყვებით, „მდიდრულად ჩაცმულია კაცი მაშინ, როდესაც ჩოხა აცვია და შევერცხლილი ქამარ-ხანჯალი არტყია. სხვა შესამოსელი რისაც არ უნდა იყოს – ბედენა არ არის. ზამთარ-ზაფხული მათი ჩასაცმელია ჩოხა-ახალუხი. შეძლებულებმა ტყავი იციან, ზემოდან იაფასიანი მატერია გადაკრული, თავზე გრძელბაღნიანი ცხვრის ტყავის ქუდი (ან ნაბღისა). ახალგაზრდა ქისტის ტყავს იშვიათად ხმარობს, თუ იხმარს, იმასაც ჩოხის ქვეშ მოხუცებულები წამოსასხამდ ურ ა, დიდ ტყავებსაც ხმარობენ. შარვალი ღურჯი ლეინისა, ცაღპირი შალის, პაჭიკები და ქალამან-წინდა. ქისტ კაცს წამოსასხამი ნაბღის ხმარებაც უყვარს, რომელიც მათი განწყურელი მეგობარია შინ თუ გარეთ. საზოგადოდ ქისტებმა კობტად ჩაცმა იციან დედაკაცების წყალობით. ტყავს არც დედაკაცებში აქვს პატივისცემა მოპოვებული, როგორც თუშებში და ფშაელებში. ქისტი ქალის საზამთრო სამოსია მსუბუქად დაბამბული, წმინდად დალიანდაგებული და გარედან თითის სიბრტყე თეთრი ბუნებრივად მორთული ჩასაცმელი, რომელსაც ახალგაზრდა ქალისა ეძახდნენ. შეძლებული ქალები ამ ახალგაზრდას ხავერდისაღი იკვარავდნენ“. ავტორს ქალის მანდილისთვისაც მიუქცევია ყურადღება და ამბობს: „ქისტ ქალს მანდილი სხვა ხალხივით უშნოდ ყელში შემოხეული არ აქვს. მას უბეურად მოკეცილი ახურავს თავზე და სამივე ყური მანდილისა უკან აქვს გადაყრილი. ამნაირად შავს მანდილში ხალად მოჩანს თეთრ-წითელი ყელ-ყური და ლოყები ქისტის ქალისა რომელიც მომავადობულია ყოველი კაცისა“ [2].

ვარცხნილობა და თავსაბურავი ადამიანის მორთულობის ორგანული ნაწილია, რაც სამოსს გარკვეულ ელფერს აძლევს.

ტრადიციულად ქისტ ქალებში გრძელი თმა იყო მიღებული. თმის განახრდელად ისინი სხვადასხვა საშუალებას მიმართავდნენ – იბანდნენ მჟავე რძით, შრატით, თმის ძირებში ისვამდნენ კარაქს და სხვ. ამას გარდა, ქალები თავს ძროხის შარდითაც იბანდნენ. ჩანს, რომ ქისტებმა ეს ჩვევები პანკისში დასახლების შემდეგ მეზობელი ქართველი მთიელებისაგან აითვისეს, რადგან



სურ. 12. მამაკაცის ახალუხი „დოვთალი“. ა) თარგი, ბ) წინ ხედი.


ჩრდილო კავკასიის ვეინახებში მსგავსი წესები არ დასტურდება. მ. ალბუთაშვილი წერს: „ქისტის დედაკაცი მწვრთთ ანუ ძროხის შარდით იბანს თავს, თვით თავმომწონე გასათხოვარი ქალებიც კი, რის გამო მათ არასასიამოვნო სუნი უდით თავზე... ამას თვითონაც გრძნობენ, მარა დარწმუნებულები არიან, ვითომ ეს საშუალება თმის ძირებს ამაგრებს, ზრდის, არბილებს და ამ ჩვეულებას თავს არ ანებებენ. მართლაც თმა ძალიან კარგი და გრძელი ეზრდებათ, ამ საშუალებას ხმარობენ ფშაელებიც“ [2: 21].

გრძელ ნაწნაგებიან მანდილოსანს მამაკაცებიც დიდ ყურადღებას აქცევდნენ. მათ თმა ქალის მშვენებად მიიჩნდათ. გრძელი თმა ქალის სილამაზის

ატრიბუტი იყო, ამიტომ გასათხოვარი, გათხოვილი თუ მოხუცი ქალი მთელი სიცოცხლე გრძელ თმას ატარებდა. უწინ ქისტის ქალები თმებს მექაში შუაზე იყოფდნენ და სამ-ოთხ ნაწნავად – კეჟარა შ დაწნულს ზურგზე დაიწყოებდნენ. ახალგაზრდები კი დაუწნავად ძირში იკრავდნენ და ზურგზე გაშლილად ატარებდნენ, ზოგი კი დაწნული თმის ბოლოებს შეიკრავდა დაგრეხილ ძაფზე



ა)




ბ)


სურ. 13. მამაკაცის ჩოხა „ჩოაკ“. ა) წინხედი, ბ) თარგი.

ასხმულ სხვდასხვა ფერის მძივებით. ხშირთმიანი, გრძელნაწნავიანი ქალი მძივებთან ერთად ავგაროსხაც ჩამოიკიდებდა ავი თვალის შიშით. ქალი თმის დავარცხნისას ჩამოცვენილ ბეწვებს ატრუვებდა სიცოცხლის ბოლომდე. ქალს გარდაცვალების შემდეგ ამ თმას საფლავეში ჩაყოლებდნენ, ხოლო ბოლო დროს წვავენ, განსაკუთრებით მაშინ თუ მას ვაჟიშვილი მკვდარი ჰყავდა [6: 107-108].

ქისტი ქალი ტრადიციულად თავშალს ქორთლი//თერქულ ატარებდა მოუხდელად. იგი მის გარეშე საზოგადოებაში არ გავიდოდა და არც თავის ოჯახში დაენახებოდა მამაკაცს. თავშალი პატარძლის მიერ შესასრულებული ტრადიციული თვითმყოფადი ნორმების მნიშვნელოვანი კომპონენტი იყო, ასევე, ქმარეულთან ურთიერთობაში, ჩხუბის დროს და სხვ. ვეინახებში მძიმე წყევლად ითვლებოდა მანდილმოხდით დაწვევლა. ქისტი ქალი თავშალს, უბიანდ მოკეცილს,



სურ. 14. მამაკაცის
პურანგი-„ქოჩან“ („ხალაათ“).




სურ. 15. მამაკაცის უბიანი
შარვალი-„ეილთესის ხეჩ“.

უკან ბეჭებზე გადაგდებულს იხურავდა. 10-12 წლამდე გოგონას კი ყელზე შემოსხვეული და უკან შეკრული ჰქონდა.

ჩვენს დროში ახალგაზრდა გოგონები უთავშლოდ დადიან, თუ გაჭირდა, პატარა ზომის თხელი აბრეშუმის მოსახვევებს იხურავენ [6: 111].

მამაკაცი ტრადიციულად თავს იპარსავდა. ამას ხსნიან იმით, რომ თავი ბოხოს ქუდში ოფლიანდება, იკუმშება სისხლძარღვები და ტვინის ნორმალური მუშაობა ირღვევა. ამასთან, ოფლიანი თმა თავისებურ სუნს გამოსცემს და ჭუჭყიანდება – გვაუწყებს მოხრობელი. მაჰმადიანური რელიგიით სახის გარდა აღამიანის სხეულზე თმის მოზრდა დიდ ცოდვად ითვლება. მაჰმადიანებს სწამთ, რომ თმაში იმალებიან ავი სულები, რომლებიც აღამიანს აწუხებენ ფეხის ყოველ ნაბიჯზე. რევოლუციის შემდგომ პერიოდში ახალგაზრდობამ უარყო თმის გადაპარსვის ჩვეულება და მასიურად შემოიღეს მოკლე შეჭრილი ვარცხნილობა, მაგრამ ხანში შესულები ისევ უბრუნდებიან ტრადიციულ წესს. ახალგაზრდა პირის პარსვას იწყებდა 16-17 წლის ასაკში და იტოვებდა უღვაშს – მიკვაშ. პირველი გაპარსვის დღე ახალგაზრდის სრულწლოვან მამაკაცთა რიგებში შესვლის დღედ ითვლებოდა. აღსანიშნავია ისიც, რომ ქისტები მცირეწლოვან ბიჭებს დღის მუცლიდან მოყოლებული თმის გაპარსვისას, თხემზე ნეკა თითის დადებაზე უტოვებდნენ თმას და ჩაუთქვამდნენ „გაიზარდოს ჯანმრთელი ბიჭი“. 3-7 წლის შემდეგ, კოწოლის მოჭრისას, დიდ წვეულებას გადაიხდიდნენ და სახეიძო ვითარებაში შეჭრიდნენ ამ კოწოლს. ამ დრომდე თმის გადაპარსვისას კოწოლს ხელს არ ახლებდნენ. სამ თუ შვიდ წლამდე კოწოლი იზრდებოდა და



სურ. 16. ჭამარ-ხანჯალი
„შელთ-ტიეხქურ.“



სურ. 17. 1. ტყავის
მაღალყელიანი
ფეხსაცმელი - „ქუევი უხარ“,
2. ქუდი - „ქუი“,
3. ნაბდის ქუდი - „მანგალი
ქუი“.

ბავშვი მას ქედში მიღავდა. დათქმული ვადის შესრულების დღეს ოჯახის უფროსი დაკლავდა სამი-შვიდი წლის მოზვერს ან ხარს, გამოხდიდნენ ღუღს, არაყს, მოიწვევდნენ ნათესავებს, მეზობლებს და მოგვარეებს. ამ დღეს ბავშვს დაბანდნენ, ჩააცმევდნენ ახალ ტანსაცმელს, წაიყვინდნენ სალოცავში გამაზადებული ტაბლით, იქ შეალოცვინებდნენ და სატყელს შეექცეოდნენ, შემდეგ დაბრუნდებოდნენ ოჯახში და იმართებოდა ქეიფი, გართობა. ზოგი შეწირავდა საკლავს და მთელ რიტუალს სალოცავში წაატარებდნენ. ბავშვს შეჭრიდა კოწოლს გვარში ხანდაზმული კაცი. ბავშვის დედა მას სათუთად ინახავდა, ვიდრე ცოცხალი იყო. დედის სიკვდილის შემდეგ კი - და.

ქისტი მამაკაცის თავსაბურავი იყო ცხვრის ტყავის ქუდი - ჰაჭან ქუი, ნაბდის ქუდი - ბიყეაგ ქუი, კრაველის ქუდი - ხოაღლაზ ქუი და სამწყემსო ქუდი - ჯა-უნ ქუი. მათ ქუდი დღენიადაგ ეხურათ, შინ თუ გარეთ. ისევე როგორც ქალებს ეკრძალებოდათ თავშალმოხდილი ყოფნა ოჯახსა და საზოგადოებაში, ასევე მიუღებელი იყო მამაკაცისათვის უქულოდ სიარული. ქუდი ვაჟაკობის სიმბოლოც იყო. თუ მამაკაცი რაიმე საქმეში სისუსტეს გამოიჩენდა, იტყოდნენ „მამაკაცის ქუდის შემრცხენიაო“, ანუ ქუდი მინც არ გეხუროს“ და სხვ.


ქისტი მამაკაცის თავსაბურავში შედის აგრეთვე ყაბალახი - ბაშლაყ. ბაშლაყ ქუდის ზემოდან დასახური თავსაბურავია. იგი იხმარებოდა ცხენით მგზავრობის დროს, ქარის, წვიმისა და სიცივისაგან ყელ-ქურის დასაცავად. მამაკაცის სამოსს კეკუთენის მოსახშიმი ნაბადი, რომელსაც ატარებდნენ ყაბალახთან ერთად.

ქისტი ქალისა და მამაკაცის ფეხსამოსი და ფეხსაცმელი იყო წინები (დაბად და მაღალყელიანი), ქალამანი და ტყავის ჩუსტები (დაწვრილებით იხილეთ

ჩვენს ნაშრომებში: „ცენტრალური კავკასიონის მთიელი ქალის ტანსაცმელი“, თბ., 1980; „ჩაცმულობა, რომელიც მოდას არ დაგიდევთ“, თბ., 1992).




სურ. 18. გაუთხოვარი ქისტის ქალის კოსტუმი.



სურ. 19. ქალისა და გოგონას თავზე მანდილის მოხვევის წესი.

აღსანიშნავია ს. მაკალათიას ცნობები ფშაველების ტანსაცმლის შესახებ, რომელსაც ფშაეის მაცხოვრებლები დღესაც იცვამენ. ხანდაზმული არც ქალი და არც მამაკაცი არ ივიწყებს ტრადიციულ სამოსს თუნდაც საშინაოდ. ავტორს დაწვრილებით და თანმიმდევრულად აქვს მოცემული სამოსში შემავალი ყველა ელემენტი, მათი შეკერვის, გამოყენების ტრადიცია – სამკაულის, ფეხსამოსისა და თავსაბურავის ჩათვლით. გათხოვილი ქალი სხვა მეზობელი მთიელების (თუში, ქისტის და სხვა) მსგავსად ყველა სახის სამკაულს არ ატარებდა და ტანსაცმელსაც თაღის ფერისას ხმარობდა [7: 111-116]. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია პანკისის ხეობაში მცხოვრები ფშაველების ტანსაცმელი, რომელიც აღწერილი აქვს მ. ალბუთაშვილს. მას თავისი ბავშვობა და ახალგაზრდობა გატარებული აქვს თიანეთში, შემდეგ პანკისში და კარგად არის ჩახედული ფშაველების ყოფაცხოვრებაში და ამდენად, საინტერესოა მისი მონაცემები. ფშაველებს უყვართ თბილად და უბრალოდ ჩაცმა. ფშაველი დედაკაცის მუდმივი ჩასაცმელია: „საცვლებად ხამის მოკლე პერანგი, მუხლს ქვეით წითელი შილა ან მერდინ მოკერდებული, ბოლოში ვიწრო და შავზონრით მოჭრელებული, ზემოდან ჩითის კაბა კოჭებამდე გრძელი, ზედ სარჩულიანი ახალციხის იმავე სიგრძისა. ზამთარში ბატკნის ტყავ-ქათობა ბეჭებში გაწყობილი, ნაოჭიანი და ბოლო განიერი. თავზე უბრალო მოსახვევი აქეთ, ხნიერებს თაღის ფერის, ხოლო ჯეილებს წითელი და

ჭრელი ფერის, ფეხზე ქალამანი, იშვიათად ჩუსტი. ზოგი ქალ-რძალი გულის
სამკაულად თეთრი ფულის ასხმულას ატარებს.




სურ. 20. ყაბალახი – „ბაშლაყ“.

მამაკაცის სამოსია: ხამისა ან ლეინის პერანგი, შინ მოქსოვილი შავი
შალის შარვალი, მოგრძო შავი ახალოხი, ნაოჭებიანი შავი შალის ჩოხა და მას
ქვეშ შემოდგომიდან ზაფხულამდე მოუშორებელი გრძელბეწვიანი ტყავი. თავზე
ნაბდის ან გრძელბეწვიანი შავი ფაფახი ქუდი. ფეხზე ქალამანი, ხან ჩუსტი და
შავი ფერის შალის განიერი პაკიჭები. ეს ჩაცმულობა მათი საყოველთაოა, ხოლო
საგარეო, სადღესასწაულო და საქორწილო ახალია, მაგრამ თავიდან ფეხებამდე
ისევ ძველებური ელფერი დასდევს [2: 14-15].

ქისტებზე და ფშავლებზე გვიან, პანკისის ხეობაში გამოჩნდნენ ოსები.
მათ ჰქონდათ თავიანთი ტრადიციული ტანსაცმელი, მაგრამ ისინი პანკისში
მოვიდნენ ევროპული სამოსით, ამდენად სპეციალურად ამ საკითხს არ შეეხებო.

პანკისში რევოლუციის შემდეგ ტრადიციულ ჩაცმულობას თანდათანობით
საფუძველი შეერყა. შემოვიდა ფაბრიკული წესით დამზადებული პროდუქცია,
რომელმაც გამოიძვინა საუკუნეების განმავლობაში სამოსად გამოყენებული შინა-
მრეწველური შალი, თუმცა სამწყემსო სამოსმა თავი შემოინახა გასული საუკუნის
50-იან წლებამდე – განსაკუთრებით მეცხოველეობის მეურნეობის მიმდევარ
ოჯახებში. მოსახლეობაში განჩნდა ფაბრიკული წესით დამზადებული სხვადასხვა
ქსოვილი (მაუდი, ჩითი, ატლასი, ღასტივი) და ქალაქური ტიპის ტანსაცმელი –
პალტო, ბამბის წინდა, ფეხსაცმელი, ტანსაცმლის სხვადასხვა ელემენტი და ამით
ნაწილობრივ გაანთავისუფლა ქალი იმ შრომატევადი საქმისგან, რომელსაც ის
ეწეოდა საუკუნეების განმავლობაში.



სურ. 21. ფეხსაცმელი
„კარახაში“.

4. საკეები - ქისტების საჭმელი მრავალფეროვნებით არ გამოირჩეოდა, რადგან მათ მეურნეობაში ბასხეულ კულტურებს ძალზე მცირე ადგილი ეკავა. ისინი ძველთაგანვე მესაქონლეობას მისდევდნენ და მათი საკეებიც ძირითადად ცხოველური იყო.

უ. მარგოშვილი აღნიშნავდა: „ქისტების ადრეული კერძები ადამიანს არ გააკვირვებს. ჭირში, ლხინში, თუ ოჯახში მათი პირველი საპატივცემულო საჭმელი იყო დიდ ნაჭრებად მოხარშული ხორცი წვნით - ნივრის საწებულათი და მოხარშული სიმინდის ფქვილის პატარა ანტრები, რომელსაც ჯიჟგ-გაღანაშ-ს უწოდებენ“ [1:]. თუ საუკეთესო კერძად ითვლება ჩვენს დროშიც. ქისტი პურსა და მჭადს დღეში სამჯერ აცხობს. გამოცხობა სწრაფად იციან, ოღონდ კერიაში ან ბუხარში ცეცხლი მზად იყოს. დედაკაცი მაშინვე დაიმკლავებს, დაიბანს ხელებს, გადმოიღებს ცომის სახელ ხონს, გაცრის ფქვილს და მოხელს. გააკეთებს პატარ-პატარა კვრებს, შვჰყრის კერიაში ან ბუხარში და ხელათ გამოაცხობს. საერთოდ,

ქისტებმა მჭადისა და პურის სამი-ოთხი დღის სამყოფის გამოცხობა არ იციან, ყოველ ჭამაზე ახალ-ახალს აცხობენ.


ქისტებში დღიური კვების რეჟიმი სამი ჯერით განისაზღვრება: საუზმე-მართ, სადილი - მოასთ, ვახშამი - ფჰჰუარ. მარხვის თვეში, მაჰმადიანური წესით, დღე-ღამეში ორჯერ ჭამენ: საღამოს 7-სა და დამის 4-5 საათზე. ამ უკანასკნელს უყიშ-ს უწოდებენ. ქისტებმა ყველაზე ნოყიერი და მძძარი ჭამა ვახშამზე იციან. ანალოგიური მდგომარეობაა ჩრდილო კავკასიის მაჰმადიან ხალხებში ჩენნებში, ინგუშებში, ყაბარღო-ბალყარებში, დაღესტანში და სხვ.

დღიურ კვებასთან დაკავშირებით საინტერესოა ვენახებში არსებული ტრადიცია. თუ ვახშმის მომზადებამდე ბავშვებს ჩაეძინებთ, გოგონებს აუცილებლად აღვიძებდნენ და დააპურებდნენ, რადგან ოჯახში მათი წილი გათხოვებამდე მხოლოდ კვებაა. ბიჭები კი ოჯახის მემკვიდრეები არიან და მშვიერიც რომ იყვნენ დილამდე მოითმენენ.

საზამთროდ მზადება ოქტომბერ-ნოემბერში იცოდნენ. ამ დროს საფქვავე ერთდროულად მიაწყდებოდა წისქვილებს და ძალაუნებურად რიგი შეიქნებოდა. ქისტ კაცს პირველ რიგში ფქვილი უნდა ჰქონდეს ოჯახში. ეს ტრადიცია მათ თავდაპირველ სამშობლოდან გადმოჰყვათ [1:9].

ქისტების ძირითადი საკეები იყო მჭადი, მოხარშული გაღანა (გორდილა), იშვითად პური, ასევე - ხორცი, რძე, ერბო, ყველი; საბასხე კულტურებიდან - ნიორი, ხახვი, გოგრა, ღლები და ხილი. უფრო გვიან დაიწვეს კარტოფილის, პამიდურის, კომბოსტოსა და სხვადასხვა სახის მწვანილის მოყვანა; ადრე

ვიდულობდნენ ახმეტისა და მატნის გლეხებისაგან მარცვლეულზე გადაცვლით. ქისტები საზამთროდ ძროხისა და ცხვრის ხორცს ახმობდნენ. ნაწილს ამარილებდნენ ქილებში. შეძლებულთა ოჯახებში გამხმარი, გაწითლებული ცხვრის დუშები



სურ. 22. ტყავის ქურჯი „ქეთირ“.




სურ. 23. ნაბადი „ბელიხოსო ვერთი“.


ეკიდა ჭერზე, როცა მოისურვებდნენ, ნაჭრებს ჩამოჭრიდნენ, მოხარშავდნენ და თხლად დაჭრილს ყველივით შეატანდნენ მჭადას.

უ. მარგოშვილის მასალებში დაფიქსირებულია ქისტების შემდეგი ტრადიციული საჭმელები: „სიმინდისა და ხორბლის ფქვილის მოხარშული პატარ-პატარა ანტრიები ხაჭოში და ერბოში არეული. მას „დეეთიე, კოლდიე ტიდუუთინ გალანაშ“-ს უწოდებენ, ერბოში მოხელილი ქუმელი და შედგებულნი რძე; საქონლის გამხმარი ქონგარეული დაკეპილი ჭინჭარ ჩადებული სიმინდის ან ხორბლის ფქვილის მოხარშული ხინკალი (ქისტებში ამას ნითთეი გალანაშ-ს უწოდებენ); ხორბლის ფქვილის ცომში დეკეპილი ჯინჭარჩადებული გულიანი ქაღები - ნითთეი ჭაბილგიშ; ერბოიანი ქუმელის ქაღები - დეთთადან ჭაბილგიშ; ხაჭოიანი ქაღები - კოლდ ჩუეუდინ ჭაბილგიშ; მოხარშული, დაკეპილი საქონლის ფაშჩაჩადებული ხინკალი - ჩურგუშ ჩუკაუხქინ ხინგალაშ; მოხარშული ქათამი წვნით- ჭვეხქეინ ქუათამ დიდდაც; ხორციანი ხინკალი - ჯიჟგ ჩუ დუდინ ხინგალაშ; ბლინები- ვევი

ჭაბილგის; გულიანი ქაღალდიანი; მუხე ფაფა - მუსთხუდარ (იჭმევა შაქარ-წველით); რძიანი ფაფა - ხუდარ, ლობიო - საჭემათ [1: 12]. მოსული სტუმრისათვის სახელდახელო საჭმელი იყო სიმინდის ფქვილის მოხარშული



სურ. 24. ქალის შიდა პერანგი „ჩურქოან“.



სურ. 25. ქალის გარე პერანგი „ტიერქოან“.

ანტირები- გაღანაშ, ერბო-კვერცხი-ჭერძინ ვეაშ, ხაჭო-ერბო- კაღდეკეთ და ყველი. თუ ღამის თევით მოვიდოდა სტუმარი, აუცილებლად ცხვარს დაკლაუნენ. ჭირში თუ ღხინში მეზობელ-ნათესაეებისათვის მისაჯანად მიღებული იყო ხორციანი ხინკალი, ხაჭოს ან ერბო-ქუმლიანი (ე.ი. გულიანი) ქაღები. ქართული ხინკლის ანალოგიური ტერმინი გვხვდება ჩეჩნეთ-ინგუშეთში ხინგალაშ და დაღესტანში ხინკალ [8: 244], მაგრამ იქ ამ სახელწოდების საჭმელი სულ სხვაა. ქართული ხინკლის ანალოგიურია მხოლოდ პანკისელი ქისტების ხინკალი, რომელიც მათ ყოფაში შევიდა თუშებთან, ფშავლებთან ხანგრძლივი ურთიერთობის გამო (ჯიჯგ - ჩუღულინ ხინგალაშ - ხორცის გულიანი ხინკალი). ქისტებმა წვნიანი საჭმლის გაკეთებაც იცოდნენ. ყველა სახის (წვნიან) სადილს ჩვერფს ან დიდდ-ს უწოდებდნენ. ასევე ქვია წვნიანს ჩრდილო კავკასიის ვეინახებშიც, დაღესტნელ ყუმიყებში კი - შორფა. ზემოთ დასახელებული ტრადიციული კერძების დამზადება ქისტებმა ჩვენს დრომდე შემოინახეს და მეზობელი ქართველებიდანაც

ბეერი შეითვისეს. მაგ.: მოხარული ხორცი, შემწვარი ქათამი, მწვადი, საცივი, ტომბა, კატლეტი, ფლავი და სხვ. ტკბილეულიდან მხოლოდ ხალვის მოხარშვა იცოდნენ. ნამცხვრების გამოსცხობა და მურაბების მოხარშვა ბოლო ხანებში ისწავლეს.




სურ. 26. ქისტები ნაციონალურ ტანსაცმელში.

XX საუკუნის 20-იან წლებში ქისტებში გაჩნდა ქართული თონე – თურმი. ჭირი იყო თუ ღხინი, დიდი რაოდენობით პურს თონეში აცხობდნენ. თონეში ხშირად მჭადსაც აკრავდნენ, სიმინდის ფქვილს ურევდნენ ხორბლისას, რომ კედელზე კარგად მიკრულიყო. პურის ამოდების შემდეგ გახურებულ თონეში გოგრას წვავენ. ტრადიციულ საჭმელებთან ერთად ქისტებს ასეთივე ტრადიციული სასმელიც ჰქონდათ. მაგ., ტკბილი წყალი, რომელიც მზადდებოდა თაფლისაგან. როცა მეზობელი ფშავლებისა და ოსებისაგან მათობელა სასმელების – არყის გამოხდა, ღუდის მოხარშვა შეისწავლეს, სასმელი ტკბილი წყლის დაყენებას თავი მიანებეს. არყს ხილისაგან, სიმინდისაგან ხდიდნენ, ხოლო ღუდს ქერისაგან, ხორბლისაგან და ასკილისაგან ხარშდნენ.

ქისტების თვითმყოფადი სასმელია აგრეთვე ნიხ, რომელიც ზამთარსა თუ ზაფხულში სასიამოვნო დასაღვია. მისი დამზადება შემდეგნაირად ხდება: სიმინდის ან ქერის ფქვილისაგან მოხარშავდნენ თხელ ფაფას, გაციების შემდეგ აურევდნენ საფუარს (ალაოს), ჩაასხავდნენ თიხის დიდ ჭურჭელში, პირს მოუკრავდნენ

და დადგამდნენ თბილ ადგილას. იგი დღე-ღამეში აფუედებოდა და სასმელად მზად იყო. ჩვენს დროშიც ნიხს სიამოვნებით სვამენ.



სურ. 27. საოჯახო ჭურჭელი: 1. ტაფა-„ტაფ“; 2. ჩამჩა-„ჩამი“; 3. ქაფქირი-„ჩეღლე“; 4. დანა-„ურც“; 5. ზედადგარი-„ძეატკ“; 6. ქვაბი-„იე“; 7. სპილენძის ქვაბი-„წოსთ-იე“; 8. თუჯის ქვაბი-„ჩუუნ-იე“.

რაც შეეხება ფშაველებს, მათ პირის პატივი უყვართ, მაგრამ როგორც მონაცემებიდან ირკვევა: „არ აქვთ, არ იმეტებს და არც იღარდებს. მჭადის ან სვილის პურით და ხმელი ხაჭოთი ის მუდამ კმაყოფილია. მას თავისი ჭირნახული ერბო, კარაქი ბაზარზე გააქვს. შინ ხმელი, დამბალი ხაჭოს კვერებით და გამხმარ-დამარილებული ძროხის ქონით ამაყობს. მათი... სასტუმრო საჭმელი არის ხინკალი



სურ. 28. წყლის ჭურჭელი „კუდალაშ“.

ხორცისა ან ცომში ჩადებული ხახვით შეზავებული ხაჭო, რომელსაც კეცეულას უწოდებენ. სასმელი არაფი თავიანთი გამოსხილი“ – გვაუწყებს მ. ალბუთაშვილი.

ეთნოგრაფიული მასალაც ადასტურებს, რომ ფშაველი თავის ძველ ტრადიციას აგრძელებს დუხჭირი ცხოვრების გამო. იგი იძულებულია ერთი ძროხის რძის ნაწარმიც ბაზარში მოაქციოს, რომ ოჯახის საჭიროებისათვის შეიძინოს ის, რაც საჭმელზე უფრო სჭირდება.

ოსებს სტუმრის პატივი უყვართ. დღეობაში და მიცვალებულზეც დიდი ხარჯი და მომზადება იციან. სხვა დროს კი ნაკლებად იკვებებიან. მათი ტრადიციული საჭმელია ყველის კარტოფილნარევი ხაჭაპური - ხაბიზინ ან ცახარაჯინ, ხაშლამა - დიდ ნაჭრებად მოხარშული ხორცი წვნით, ძიკან - ყველის ფაფა, ჭკევის პური - თარქენ, მჭადი - იგივე მჭადი (ბურთის ფორმაზე გამომცხვარი), ოსური ღუდი ბაგანე, უიპიტაური - არაყი (ოჯახში გამოხდილი) და სხვ.

ოსის ქალები კარგ ყველიან ხაჭაპურებს აცხოვდნენ. როცა გამოსაჩენი პურმარილი მზადდებოდა, ქისტებში აუცილებლად ნაცნობ-მეგობარ ოსის ქალებს აცხოვნიდნენ ხოლმე.

ლიტერატურა

1. მარგოშვილი უ., პანკისის ხეობის აღწერა, რგ. №3.
2. აღბუთაშვილი მ., პანკისის ხეობის აღწერილობა, რგ. №2.
3. ქისტო ჩოხანი, პანკისი, გაზ. „ივერია“, № 144, 1902, გვ. 2.
4. ავტორის მიერ ველზე შეკრებილი მასალა, პანკისი, 1972, რგ. 2.
5. ჩიტაია გ., ხევსურული სახლის „სენე“, ანალები, თბ., 1947.
6. მარგოშვილი ლ., ჩაცმულობა რომელიც მოდას არ დაგიდევთ, თბ., 1992.
7. მაკალათია ს., ფშავი, ტფილისი, 1934.
8. Гаджиева С., Кумыки, Москва, 1961.

§ 5. შინამრეწველობა და ხელოვნობა

ა) მატყლის დამუშავება


მატყლის დამუშავება. მ. მაჩაბელი აღნიშნავდა: ამიერკავკასიაში საუკეთესო ცხვარია ქართული ცხვარი, ე. წ. თუშური ცხვარი, რომელსაც აქვს გრძელბეწვიანი ბრწყინვალე მატყლი. ეს მატყლი საუკეთესო იყო ხალხების მოსაქსოვად. თუშების ფერადი ფეხსაცმელი – ჩითაც მატყლისაა. შალის პერანგი, ყაბლახი, ნაბდის ქუდი, ფაფახი და სხვა შესამოსი ცხვრის მატყლისა შადდებოდა [1: საქ. №673]. ამ ცნობიდან ჩანს, რომ ქისტების მეზობელ თუშებს განვითარებული შინამრეწველობა ჰქონიათ. ამას ხელს უწყობდა მეცხვარეობის მეურნეობა.

XIX საუკუნის 30-იან წლებში პანკისელი ქისტების ერთი ნაწილი თუშეთში ცხოვრობდა. ისინი მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებული თუშურ ყოფა-ცხოვრებასთან. მათთან ყოველდღიური ურთიერთობის მქონე ქისტი ქალი ეცნობოდა თუში ქალის შრომატევად საქმიანობას – დართვას, ქსოვას, დებვას და ახალ-ახალი მეთოდებით ავსებდა საკუთარ ტრადიციულ შინამრეწველურ საქმიანობას. პანკისის ომალოს ქალების მიერ წარმოებული შალი, ფარდაგი, წინდა, ხურჯინი და სხვა ნივთები თუშურ ნაწარმს არ ჩამოუვარდება. ამ ნაწარმს ისინი საბაზროდაც კი ამზადებდნენ. ჯოყოლოს და დუისის მაცხოვრებლები ქსოვილს იშვიათად ქსოვდნენ, რადგან ეს შრომატევადი საქმიანობა იყო. სამოსის ერთი ელემენტისთვის შალის მოქსოვას თითქმის 20–25 დღე სჭირდებოდა, ამიტომ შალის ქსოვას თავი გაანებეს და სამაგიეროდ ყელი მოჰკიდეს ქუდების დიდი რაოდენობით დამზადებას და ადებდნენ თანხით ხელულობდნენ ქსოვილსაც და საოჯახო ნივთებსაც. როგორც მასალებიდან ირკვევა, ქისტების ეკონომიკაში ქუდების დამზადება უფრო მომგებიანი აღმოჩნდა, ვიდრე შალის ქსოვა.

მ. მაჩაბლის ცნობით ქუდების წარმოება ქისტების ეკონომიკის მნიშვნელოვანი წყარო იყო. ქისტი ქალი წელიწადში 300-დან 500-მდე ქუდს ამზადებს. ამ საქმიანობით იგი მხოლოდ ზამთარშია დაკავებული. ამასთანავე, არ არის მოწყვეტილი არც საშინაო და არც საგარეო სამუშაოებს [2: 471].

ქისტი ქალები ქუდების კეთებით საკმაოდ ბევრ ფულს შოულობდნენ. ამ ქუდებს ახლაც კარგი გასაყავი აქვს კახეთის სოფლებში და სხვაგანაც – აღნიშნავს მ. ალბუთაშვილი [3: 21]. „ქისტი მანდილოსანი ოჯახის წევრებისათვის თვითონ ამზადებს ტანსაცმელს, დიდი რაოდენობით ამუშავებს მატყლს, რომლისგანაც თელავენ საოჯახოდ დეკორატიულ, სამწვემსო, მოსასხამ ნაბდებს და საბაზროდ ქუდებს“ [3: 19].

პანკისში დასახლებიდან დღემდე ქისტები თუშური ჯიშის ცხვრის მეურნეობას მისდევენ. თუშური ცხვარი, კავკასიის სხვა ჯიშის ცხვართან შედარებით უფრო გამძლე, სიცივის ამტანია და ამიტომ საქართველოს მომიჯნავე მთიელებმა (ჩეჩნებმა, ინგუშებმა, ქისტებმა) მეურნეობაში სწორედ ამ ცხვრის მოშენება დაიწყეს. ვეინახები მატყლს ასუფთავებდნენ, რეცხავდნენ და ამუშავებდნენ წელიწადის ნებისმიერ დროს – საოჯახო და საველე სამუშაოებიდან რომ მიიკლდნენ [4: 15]. მეზობელი თუშები კი ამ პროცესს იწყებდნენ ოქტომბრის



1



2


სურ.29. 1, 2 ნაბდის ორნამენტი – „ბ უ ს თ ა მ ა შ“.

თვეში. ჩეჩვას, დაფთილებას, დართვას, დაძახვას, ღებვას მარტის თვემდე მოამთავრებდნენ და შემდეგ იწყებდნენ ქსოვას.

თუში ქალის ტანსაცმლის განხილვისას ც. ბეზარაშვილი აღნიშნავდა: „მთიელი ქალის მატყლთან დაკავშირებული საქმიანობა წლის განმავლობაში ასე იყო განაწილებული: ოქტომბერში მატყლის გარეცხვა-გაშრობა; ნოემბერსა და დეკემბერში – გაჩეჩვა, იანვარში – დართვა, თებერვალში – დაძახვა ჯარაზე, მარტ-აპრილში შადის მოქსოვა“ [5: 10].

მატყლის დამუშავების პროცესის თვეებზე განაწილებას ქისტი ქალი ვერ ახერხებდა. მატყლს მაშინ ამუშავებდა, როდესაც თავისუფალ დროს გამოჩნახავდა. ქალები მატყლს მდინარის პირას, სპეციალურ ფიცარზე რეცხავდნენ. გამშრალ მატყლს დასაჩეჩად გაამზადებდნენ, დაწეწავდნენ და შემდეგ იწყებდნენ ჩეჩვას. როცა ბევრი მატყელი იყო დასაჩეჩ-დასართავი, მაშინ ქისტები იყენებდნენ ურთიერთდახმარების ფორმას – ბ ე ლ ხ ი ს. ქალები მატყლის საჩეჩად თავს იყრიდნენ ზამთრის გრძელ ღამეებში. მუშაობა იწყებოდა საღამოს 7-8 საათზე და დილაამდე

გრძელდებოდა. ქალები სამუშაოდ თავისი საჩენლით მიდიოდნენ. სხდებოდნენ ცალკე ოთახში იატაკზე გაშლილ ნაბადზე. უფროსი ქალი ყველას თანაბრად გაუნაწილებდა დასაჩენ მატყლს. გამოცდილი მჩენავი ქალები დიდი სისწრაფით ასრულებდნენ ამ სამუშაოს. ოჯახის დიასახლისი დამხმარე მუშების სპეციალურად მომზადებული საჭმლით უმასპინძლებოდა მუშაობის დასაწყისში და შუაღამეს,



სურ. 30. მატყლის დამუშავების პროცესი.
მარცხ. აინა და ძარეი მარგოშვილები, ძ. ხანგოშვილი.

მუშაობის დამთავრების შემდეგ. შრომის ეს ორგანიზაცია ქისტებში გართობის ხასიათსაც ატარებდა. დამლაშობით ასეთი თავშეყრა რამდენიმე ოჯახში ხდებოდა. დასაქორწინებელი ვაჟები იკვებდნენ ამ თავშეყრის ადგილს და იქ გასართობად მიდიოდნენ. მისული ახალგაზრდა გასათხოვარი ქალის პირდაპირ დაჯდებოდა (რომელსაც მას მიუჩენდნენ) და მთელი დამე ლაპარაკით ერთობოდნენ, ქალები მორიდებით, შუბლზე თავშალჩამოწეული თავს აწონებდნენ მუშაობით და უფრო ენერგიულად ჩენავდნენ მატყლს. ქისტებში ასეთი თავშესაყარი ადგილი დასაქორწინებელი მამაკაცისთვის საცოლის არჩევისა და მასთან მოლაპარაკების საშუალებაც იყო. მეორე დამეს სხვა ოჯახში შეიკრიბებოდნენ და ასე ატარებდნენ მთელ ზამთარს. ამასობაში მატყლის ჩენვაც დამთავრდებოდა და იწყებოდა დართვა, ღებვა, ქსოვა და ნაბლების თელვა.

ქისტები ოჯახის საჭიროებისთვის ქსოვდნენ ძირითადად ლეიბის პირებს, საბარგო ხურჯინებს, ტომრებს, ნაკლებად – შალის ქსოვილს. ჩაღმა თუშები

მათ ნაწარმ შალს ქისტურაი-ტოლს უწოდებდნენ [6: 78]. ქისტების მეტი ნაწილი მზა შალებს (ქსოვილს) იძენდნენ მარცვლეულზე გადაცვლით და ნაღდი ფულითაც. თავიანთ ნაწარმს (იატაკზე, ტახტზე დასაფენ და კედელზე გასაკრავ დეკორატიულ ნაბდებს) ქისტები ფართოდ იყენებდნენ ოჯახში. განსაკუთრებით რთოდნენ სასტუმრო ოთახს, სადაც სტუმრის მოსვენებისთვის შედლებისდაგვარად სასიამოვნო ატმოსფეროს ქმნიდნენ. ქისტი ქალები ასევე თელავდნენ მოსახლამ ნაბდებს, ხოლო ქულებს, როგორც ზემოთაც ითქვა, დიდი რაოდენობით ამზადებდნენ საბაზროდ.

მ. ალბუთაშვილი ქისტების შრომა-საქმიანობის შესახებ მოგვითხრობს: „ფუქჩისა და სიმინდის მოტანით და დაბინავებით თავდება ყოველივე შრომა. . . ქისტი კაცისა, ის იმის მეტს არც არას აკეთებს და არც მონა უკეთობას რა თავის სიცოცხლეში. ყანაც მორჩა, სიმინდიცა, ყველა ამაში მონაწილეობას იღებდა დედაკაცი. არც ერთი საქმე არ გაკეთებულა, იმის ხელის თითებში რომ არ გაველოს, კაცმა მოსვენება, მარა დედაკაცი ისევ შრომობს, იმას ბევრი აქვს სამუშაო და საკეთებელი, მას არც აქამდე მოუსვენია და არც ეხლა მოსვენებს. იმის საკეთებელი ეხლა ქუდია ნაბდისა – ეს დედაკაცისაგან ნაკეთები ნაბდის ქუდია ერთადერთი სახსარი ქისტის ცხოვრებისა. ამას აკეთებს ყველა დედათა სქესის 7–8 წლის პატარა გოგონადან მოკიდებული, ვიდრე ღრმად მოხუცებულობამდე. ე. ი. მანამ ფეხზე დგომა შეუძლია“ [3: 24]. ამ ამონაწერიდან ჩანს, რომ ქისტი ქალი ოჯახში და ოჯახის გარეთ ყველა საქმეს უძღვებოდა და ამ ფიზიკური შრომის შესრულებით იგი ამაყოფს კიდევ. უნდა ითქვას, რომ მამაკაცს მძიმე სამუშაოს შესრულება ევალებოდა სამეურნეო თვალსაზრისით, როგორც არის თიბვა, ხე-მასალის მოჭრა-მოტანა, დაჭრა, დათლა-დახერხვა, ხენა-თესვა, საქონლის მოვლა-პატრონობა, სავაჭროდ წასვლა, საზამთროდ ოჯახის შეშითა და საკვებით უზრუნველყოფა, ტყავის დამუშავება და სხვ. მაგრამ ქალის შინამრეწველური შრომა-საქმიანობა მათ ეკონომიკაში უფრო შემოსავლიანი იყო, ვიდრე მამაკაცისა.

ზემოთ ნახსენები ნაბდის ქუდის წარმოება დღეს მხოლოდ პანკისელ ქისტებშია შემორჩენილი. ამ ქუდს ისინი ბ ა ც ა ი ქ უ ი – თუშურ ქუდს უწოდებენ. საინტერესო მასალას ვხვდებით საარქივო მონაცემებშიც: „Из шерсти же делают войлоки и войлочные шапки (куди). Шапки делают только тушинки и кистинки Панкисского ушеля. Этот промысел довольно сильно развит. Шапки заготавливаются в таком количестве, что ими снабжается Телавский, Тианетский, Душетский, Тифлиссский и Сигнагский уезды, где большинство населения носят войлочные шапки. Этих шапок заготавливается и продается в год на сумму около 5-тысяч рублей [7: ფ. 65].

ამ ამონაწერიდან ირკვევა, რომ ქუდების წარმოებას პანკისის ხეობის ქისტების ეკონომიკაში მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა. ქისტი ქალები ქუდებით ამარაგებდნენ აღმოსავლეთ საქართველოს მთისა და ბარის მოსახლეობას. აღნიშნული საბუთი საინტერესოა იმიტაც, რომ ადრეულ პერიოდში ამ ქუდების დამზადება თუშის ქალებს სცოდნიათ, მაგრამ შემდეგ მიუტოვებიათ, ხოლო ქისტის ქალები დღესაც მისდევენ ამ ხელობას.

ს. მაკალათია აღნიშნავს, რომ თუშეთი ცნობილი იყო თუშური ქუდით, რომელსაც ჰქონია ფართო ბაზარი და იძლეოდა კარგ შემოსავალს, მაგრამ

შინამრეწველობის ეს მნიშვნელოვანი დარგი დღეს უყურადღებოდ არის მიტოვებული [8: 83].

ა. ხახანაშვილის მონაცემებით, თუშეთში ქუდების დამზადება მამაკაცის საქმე ყოფილა [9: №173].

როგორც ჩანს, ქუდების წარმოებას მისდევდნენ წოვათისა და ჩაღმის თემები და ეს ხელობა საკმაოდ განვითარებულიც ყოფილა, მაგრამ მისი წარმოების შრომატევადობის, მომთაბარული ცხოვრების და ეკონომიკური მომძლავრების გამო თუშებმა მიატოვეს თუშური ქუდის დამზადება და სამაგიეროდ განავითარეს ფარდაგების, ხურჯინების, წინდებისა და სხვათა წარმოება. აღსანიშნავია ისიც, რომ ჩეჩნებსა და ინგუშებს წარსულში ასეთი ქუდები არ უკეთებიათ და აქედანაც ჩანს, რომ ქისტებს მისი დამზადების ტექნოლოგია შეთვისებული აქვთ თუშებისგან.

ქისტების მიერ დამზადებული საქუდე ნაბდებით სარგებლობდნენ თელავის ვაჭარო-დერცოეები, რომლებიც ადიოდნენ პანკისში და ყიდულობდნენ ასობით ნაბდის შოლტს. მათ გახსნილი ჰქონდათ სპეციალური ფარდულები, სადაც საქუდე შოლტებისაგან (ნაბდებისაგან) ქუდებს კერავდნენ და თვითონვე ყიდიდნენ თელავის ბაზარში ანდა თავისივე ფარდულებში. კახეთში ყველა გლეხი ამ ქუდს იხურავდა. ამჟამად იგი ფართოდ არის გავრცელებული, როგორც კახეთში, ასევე ქართლში. მას კახურ ქუდსაც უწოდებენ.

თუშური ქუდის თავდაპირველი ავტორები – თუშები შემდეგ ამ ქუდებს ქისტებისგან იძენდნენ მატყლზე, ყველზე გადაცვლით; ბოლო ხანებში კი ნაღდი ფულით ყიდულობდნენ. იყო შემთხვევები, როცა თუშები საქუდე მატყლს ქისტებს აძლევდნენ სანახევროდ.

ქისტი ქალები ამზადებდნენ საზაფხულო თეთრი ნაბდის ქუდებსაც, რომელსაც ჩეჩნები მ ა ნ გ ა ლ ქ უ ი ს უწოდებდნენ (ე. ი. თიბვის დროს დასახური ქუდი), ხოლო ინგუშები ლ ა ბ-ს [4: 61]. პანკისელი ქისტები ჰ ი რ ი ი ქ უ ი-ს ოსურ ქუდს ეძახიან. ამ ქუდს ხეობის ოსებიც ხმარობენ და შესაძლებელია, მათ მიერ იყოს შემოტანილი, რადგან მსგავსი ქუდი დასტურდება ჩრდილო კავკასიის ოსებშიც [10: 133].

საინტერესო მასალა გვხვდება ჟურნალ „მომამბეში“: „მოთელი ქისტის საოჯახო, შინა და გარეთა საქმე დედაკაცს აწვეს კისერზე, ტყე-მინდორში, . . . თუ ოჯახის საქმეში, ყველგან დედაკაცის ხელი და თვალი ტრიალებს, ქისტრი დედაკაცი ამას გარდა კარგი ხელსაქმის მცოდნეც არის. შალეულების ქსოვა, კერვა და ფეხსაცმელი – მესტების კერვაში ხომ ქისტ დედაკაცს ბადალი არ ჰყავს“ [3:15].

ტანსაცმელს და ფეხსაცმელს ხელით კერავდნენ. შესაკერად გამოყენებული იყო ბამბის, აბრეშუმის, მატყლისა და სელის ძაფი. ქალები ამ ძაფებსაც თითონ ამზადებდნენ. ისე რომ შინამრეწველობის საქმიანობაში ქალის როლი დიდი იყო. შალის, ფარდაგის, ხურჯინის, ლეიბის პირების ქსოვა პრიმიტიულ დაზგებზე ხდებოდა, რომელსაც ქისტები დ ო კ ა რ ა შ-ს უწოდებენ.

ბ) ტყავის დამუშავება

ტყავის დამუშავება. ქისტების ყოფაში ტყავის დამუშავებას ხანგრძლივი ისტორია აქვს, იგი შალთან ერთად ფართოდ იყო გამოყენებული სამოსად, ფეხსამოსად და სხვადასხვა საოჯახო დანიშნულებისთვის.

ტყავი სიცხეში ხმება და სიცივეში კი ნესტიანდება, ამიტომ ქისტებმაც, როგორც სხვა მთიელებმა დიდი დაკვირვების შემდეგ გამოიმუშავეს ტყავის დამუშავების გარკვეული წესი. მათში ეს საქმე მამაკაცს ევალებოდა, ხოლო ჩრდილო კავკასიის ვეინახებში ხანდაზმული მანდილოსნები ამ საქმეს საუკეთესოდ ართმევდნენ თავს. ისინი ოსტატურად ამუშავებდნენ ცხვრის ტყავს და მისგან საზამთრო ფეხსამოსს და ქურქებს კერავდნენ. მათ მეზობელ ოსებშიც სამოსისთვის ცხვრის ტყავის გამოყვანა, მისგან გუდის დამზადება და სხვა ქალის საქმე ყოფილა [10: 136]. ტყავის გამოყვანა შემდგომად ხდებოდა ახალგაბრუნებული ცხვრის ტყავს - ჯ ა ჯ აყრიდნენ ბლომად მარილს, გადაახვევდნენ და დადებდნენ ცივ ადგილას. ორი-სამი დღე-ღამის შემდეგ გაშლიდნენ, დაასხამდნენ დოს და ხელმეორედ გადაახვევდნენ. სამი დღის შემდეგ ტყავს კარგად გარეცხავდნენ, გაახმობდნენ და სპეციალური ხელსაწყოთი - ა რ დ ა ხ-ით დაზუღდნენ დარბილებამდე. ასე გამოყვანილ ტყავს ქისტები ს ი ლ უ ა დ ი ნ ჯ ა ჳ-ს უწოდებდნენ. უფრო რთული იყო ფეხსაცმლის საპირე ტყავის დამზადება. ამ დანიშნულებისთვის იყენებდნენ თხისა და ხბოს ტყავს, რომლის გამოყვანისას გარკვეულ თანმიმდევრობას იცავდნენ. მაგ., თხის ან ხბოს ტყავს ქისტები სამი დღე-ღამე ჩადებდნენ ცივ წყალში. წყლიდან ამოღების შემდეგ ათავსებდნენ კირში იმდენ ხანს, სანამ ტყავს თითის წასმით ბეწვი მთლად არ გასცილდებოდა. ამის შემდეგ, ისევ ჩადებდნენ ცივ წყალში ორი დღე-ღამის განმავლობაში, თან წყალს ხშირად უცვლიდნენ. წყლიდან ამოღების შემდეგ მოათავსებდნენ ქათმის ბუზარაყში მანამ, სანამ ტყავს ხორციისა და ქონის ნარჩენები სავსებით არ გაშორდებოდა. შემდეგ ტყავს გარეცხავდნენ, გარშემო კარგად ამოკერავდნენ ერთი ფეხისა და ყელის გარდა. ყელის მხრიდან ჩატენიდნენ დაკეპილი თრიძლის ფოთოლს და გაკერავდნენ. ფეხიდან ჩაასხამდნენ წყალს დღეში 7-8-ჯერ მაინც და შეკრავდნენ პირს. ტყავი წყლისგან ნელ-ნელა იცვლებოდა. თუ ტყავი ცოტა წყალს უშვებდა, ზედ დაადებდნენ დიდ ლოდს, რომ გაბერილი ტყავის კედლებს რაც შეიძლება მაღე გამოეჟონა წყალი. წყლის გამტარი ტყავი კარგი ხარისხისა იყო, თუ ძნელად უშვებდა წყალს, მაშინ ის ნაკლებხარისხიანად ითვლებოდა. როცა ტყავიდან წყალი მთლიანად გამოჟონავდა, ნაკერს შემოარღვევდნენ და ტყავს გახსნიდნენ, ფოთოლს გადაყრიდნენ, ამოავლებდნენ ცივ წყალში, ჯოხებზე წამოკმით გაჭიმავდნენ და ჩრდილში გააშრობდნენ. გამშრალ, დარბილებულ ტყავს შესაძლებად წაუსვამდნენ წყალში ნაღებ რკინისგან გამოყოფილ სითხეს. ამ სითხით ტყავი ისე შავდებოდა, რომ ცვეთაში შესული „ჩუსტი“ ფერს არ იცვლიდა. ხარაზის - ბოფო დუიშვილის გადმოცემით, თითო თხის ტყავიდან გამოდიოდა 10-12 წვეილი „ჩუსტის“ საპირე. იგი პანკისის ხეობაში ფეხსაცმლის საუკეთესო სპეციალისტად ითვლებოდა. როგორც თავად ამბობდა, ეს სპეციალობა თელაველი სომეხი ხარაზისგან ისწავლა. ქისტები ფეხსაცმლის საძირეს საქონლის ტყავისაგან

ამზადდებდნენ; ახალგაზრდადებული ძროხის, ხარის, მოზვერის ან კამეჩის ტყავს დააყრიდნენ ბევრ მარილს, გადაახვევდნენ და დადებდნენ გრილ ადგილას, ათი დღის შემდეგ გაშლიდნენ მთელი სიგრძე-სიგანით, გათლილ რამდენიმე წვეტიან ჯოხზე წამოაღმევენ და ისე გაჭიმავდნენ. ახმობდნენ ჩრდილში. ზოგიერთები იატაკზე გაშლიდნენ და ღურსმნებით გარშემო დაამაგრებდნენ. როდესაც გახმებოდა, ჯოხებს მოაშორებდნენ, დაჭრიდნენ შოლტებად და ნაცრით ბეწვს გააშორებდნენ. ზურგის შოლტებს ჩუსტების საძირედ იყენებდნენ, ხოლო დანარჩენს - საქალამნედ ან ბაეშვის ფეხსაცმლის საძირედ. საძირე-საქალამნედ ტყავის დამუშავების ასეთივე წესი ჰქონდათ მეზობელ ფშავლებს და ოსებსაც.

ქისტებში ცხვრის ტყავი გამოიყენებოდა ქურქებისთვის, მამაკაცის ქუდეებისთვის, ფეხსამოსის, საოჯახოდ იატაკზე და ტახტზე დასაფენად, ხშირ შემთხვევაში საბნადაც კი.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში, როცა კაპიტალისტურმა ურთიერთობამ ფეხი მოიკიდა საქართველოში (მათ შორის პანკისის ხეობაშიც) ყველა კუთხეში გაჩნდა სავაჭრო დუქნები, სადაც სხვადასხვა სახის საქონელი იყიდებოდა, მაგრამ მოსახლეობისთვის ძნელად შესაძენი იყო. თუ აქამდე ვაჭრობას ნატურალური ხასიათი ჰქონდა, ამიერიდან ფულად-ნაღდ ანგარიშზე იყიდებოდა ყველაფერი. XX საუკუნის დასაწყისში მთელ ხეობაში მხოლოდ სოფ. დუისში იყო გახსნილი ერთი სავაჭრო დუქანი, სადაც იყიდებოდა სხვადასხვა სახის ქსოვილი, ფეხსაცმელი, თევსაბურავი, მზა ტანსაცმელი, მაგრამ მოსახლეობის უმრავლესობისთვის მიუწვდომელი იყო, ამიტომ შინამრეწველობის ბაზაზე დამზადებული შალის ქსოვილი (ნაკლებად), ტყავი და სხვა ნაწარმი ხეობაში დიდხანს ინარჩუნებდა თავს.

ბ) რ ძ ი ს ა ლ ა ძ ვ ლ ი ს ღ ა მ შ უ შ ა ვ ე ბ ა

რქისა და ძვლის დამუშავება. ქისტებს წინაპრებისაგან მოსდგამდათ, მაგრამ ხეობაში, ახალ გარემოში, ამ დარგმა განვითარება ვერ ჰპოვა. მოგვიანო დროს იშვიათად თუ ამზადდებდნენ რქისგან და ძვლისგან მამაკაცის ჩოხის სამკერდე მასრებს - ბ უ ს თ ა მ ა შ და უფრო იშვიათად ღილებს - ღ ე დ ა ნ ა შ. დამუშავებულ რქას ხმარობდნენ სასმისებად, რისთვისაც ძირითადად იყენებდნენ მსხვილფეხა საქონლისა და გარეული ცხოველების რქებს. როცა სავაჭრო დუქნებში საოჯახო და პირადი მოხმარების საგნები გაჩნდა, ამ ნივთებით არავინ დაინტერესებულა და ძვლებსა და რქებს უბრალოდ ჰყრიდნენ. საბჭოთა პერიოდში, როცა ოჯახები მატერიალურად მომძლავრდნენ, გაჩნდა სხვადასხვა სახის სასმისები, ქისტ მამაკაცებს გაუჩნდათ სურვილი, რომ ოჯახში ჰქონოდათ კარგად დამუშავებული, დიდი ხნის წინ მივიწყებული სხვადასხვა ზომის რქები სასმისებად.

ღ) ხ ი ს ღ ა მ შ უ შ ა ვ ე ბ ა

ხის დამუშავება. ხის დამუშავებას მთიელების სამეურნეო ყოფაში მეტ-ნაკლებად გარკვეული ადგილი ეჭირა. ხე-ტყე აუცილებელი იყო მშენებლობისთვის, სათბობ მასალად, საოჯახოდ თუ სამეურნეოდ, ავეჯისა და

ინვენტარის დასამზადებლად [11: 85], ამიტომ საუკუნეების განმავლობაში ვენიახების ყოფამ შეიშუშავა ხე-ტყის პირველადი მოთხოვნილებებისთვის გამოყენების ტრადიცია. ეს დარგი ქისტებში შეუსწავლელია და ამიტომ ძირითადად მოვიშველებით ჩვენს ეთნოგრაფიულ მასალასა და ზოგიერთი ავტორის პირადი არქივის ჩანაწერებს.

როგორც მასალებიდან ირკვევა, ქისტების ადრინდელ სამშობლოში ხის დამუშავებას განვითარებული ხასიათი არ უნდა ჰქონოდა. ქისტები ხის მასალას იყენებდნენ პირველი მოთხოვნილების საოჯახო საგნების დასამზადებლად (ხონები, ჯამები, კოვზები, ქაფქირები, სკივრები, კასრები, სამყეხა დაბალი სკამები და სხვ.), მშენებლობისთვის (სახურავი, იატაკი, სვეტები, დირები, კოჭები, დედაბოძები და სხვ.); ამასთანავე, სამეურნეოდ ამზადებდნენ ციგებს, უღელს, თელებს და სხვ.

პანკისის ახალ გარემოში ხე-ტყის სიმრავლემ და მეზობელ ქართველებთან მჭიდრო ურთიერთობამ ბევრი ახალი ტრადიცია შეიტანა ქისტების ყოფაში. მაგალითად, ხე-მასალის დამზადება სათავისოდ და გასაყიდად (ფიცარი, ჭერის თხელი ფიცრი—ლამფა, კარ—ფანჯრა, მოჩუქურთმებული ელემენტები აიენისათვის და სხვ.). ამასთანავე, ქისტებმა ათვისეს ხის მოჭრის ვადები, რის ცოდნასთანაც იყო დაკავშირებული ხარისხიანი მასალის დამზადება. ისინი სამასალედ ხეს ჭრიდნენ ხეში წყლის ჩადგომამდე. ახალ მთვარეზე ხეს საერთოდ არ ჭრიდნენ იმ მოსაზრებით, რომ „ხის მოშწივება ბოლომდე დაუმთავრებელია და სათლელად არ ივარგებს“. ახალ მთვარეზე ხის მოჭრის აკრძალვა დასტურდება თუშეთშიც და საქართველოს სხვა კუთხეებშიც [11: 88].

ქისტები ყველა სახის ხე-მასალას მშენებლობაში არ იყენებდნენ. მათ აზრით, დირებისთვის საუკეთესო იყო მუხა, იატაკისთვის — წიფელა, კარ-ფანჯრებისა და სვეტებისთვის — წაბლი, თელა და სხვ. საოჯახო ჯამ-ჭურჭელს (ხის თევშებს, გობებს, ფინჯნებს, კოვზებს, ჯამებს და ა. შ.) ამზადებდნენ არყის, იფნის, თელის და წაბლის ხისგან. ამ საქმიანობას ისინი პირვანდელ სამშობლოშივე ეწეოდნენ და პანკისშიც ამას მიჰყეეს ხელი. რევოლუციის შემდეგ სოფელ ომალოში მცხოვრებ ა. ფარეულიძეს ხორაჯოს მდინარეზე გამართული ჰქონია ჩარხი, რომლითაც ხეწა და დიდი და პატარა ზომის ხონებს, ტაბაკებს, კასრებს, ჯამებს, ქაფქირებს, სანაყებს, ქიტებს და სხვ. ამ საგნებით მარაგდებოდა მთელი პანკისის ხეობის მოსახლეობა.

საუკეთესო ფორმის კოვზებს და ქაფქირებს ამზადებდნენ მწვემსები ზაფხულის პერიოდში მთებში და პანკისში ნახირში ყოფნის დროს. თითქმის ანალოგიური ხის ჭურჭელი ჰქონდათ თუშებს, ფშავლებს და ხევსურებს [12: 72–88]. შემდეგ პანკისში გამოჩნდნენ ადგილობრივი დურგლები, რომლებიც ამზადებდნენ საოჯახო კარადებს, მაგიდებს, სამ და ოთხფეხიან სკამებს, ტახტებს და სხვ. აღნიშნული ინვენტარი აკმაყოფილებდა მაშინდელი მოსახლეობის მოთხოვნილებების დონეს. შემდგომ პერიოდში გაჩნდა კარადების, მრგვალი ჩუქურთმებიანი მაგიდების სპეციალისტი დუშა ხაჯოვეი, რომელსაც ბევრი მუშტარი ჰყავდა, მეზობელი ქართველებიცა და ოსებიც, თავდაპირველად ქისტები ურმებს თავისი მოწყობილობით სოფ. მატან-მარელისის ხელოსნებისგან ყიდულობდნენ, ხოლო რძის სადღეებლებს ხევისჭაღისა და ხადორის

ფშავლებისგან. პანკისში დიდძალი ხე-ტყე გაიჩეხა ხის სახლების მშენებლობისთვის. ხეობაში დასახლებულთა საკმაოდ დიდმა ნაწილმა (ქისტები, ფშავლები, ოსები) ფიგურული სახლები დაიდგა და ახლო გორებზეც ხე-ტყე საგრძნობლად შემცირდა. ქისტები დიდი რაოდენობით წნელს იყენებდნენ. წნავდნენ გოდრებს, ლასტებს, სასიმინდეებს, საცეხველებს და კალათებს. წნელით წნავდნენ აგრეთვე საცხოვრებელ და სამეურნეო ნაგებობებს, საკარმიდამო ღობეებს და სხვა ეს ტრადიცია ქისტებს პირვანდელი სამშობლოდან გამოჰყვათ, მაგრამ წნელის გამოყენების ტრადიცია ჰქონდათ კახელებსაც (ყვარლის, ახმეტისა და გურჯაანის რაიონებში).

მ) რ კ ი ნ ი ს და მ უ შ ა ა ვ ე ბ ა

რ კ ი ნ ი ს და მ უ შ ა ა ვ ე ბ ა დღევანდელი ქისტების წინაპრებისთვის ცნობილი დარგი იყო, რომელიც თაობიდან თაობას გადაეცემოდა. ყოველ სოფელს ჰყავდა ამ საქმის თითო-ოროლა მცოდნე, რომლებიც პირველი მოთხოვნილების საგნებს (სადგისი, დანა, მაშა, საფხეკი, ცული, ნაჯახი და სხვ.) ამზადებდნენ. უ. მარგოშვილის მონაცემებით, საუკეთესო სამეურნეო იარაღს ამზადებდა სოფ. დუისში მჭედელი მადია ბადაკაშვილი. მადიას სიკვდილის შემდეგ მჭედლობა გააგრძელა მისმა შვილმა ახმად ბადაკაშვილმა, რომელიც სიცოცხლის ბოლომდე ეწეოდა ამ საქმიანობას. შესანიშნავი ხელოსანი იყო ცოსკარა დუიშვილი. მოგვიანებით მჭედლობაში თავი გამოიჩინეს ზაურბექ ცოსკარაშვილმა (ჯოჯოღო), ახიად ბადაკაშვილმა (დუისი). ისინი ამზადებდნენ ღუმელებს, საკვამლე მილებს და სამეურნეო იარაღებს. თუნუქს და რკინა-ფოლადს ეზიდებოდნენ თელავიდან. დუისის, სამჭედლო მეხობელი ფშავლებისა და ოსების სოფლებსაც ამარაგებდა სამეურნეო იარაღით. ქისტებს ოქრომჭედელიც ჰყავდათ. მ. აღბუთაშვილი აღნიშნავს, რომ კაცებს შევერცხილი ხანჯალ-დამბანებისა და მასრების, ხოლო მანდილოსნებს ვერცხლისავე ქამარ-გულისპირის სამკაულის მკეთებელი ერთი კაცი ჰყავდათ მთელ სოფელში – ოქრომჭედელი ცოსკარა (ცეხია) ხანგოშვილი, რომელიც ნატიფად ამზადებდა ქალისა და მამაკაცის სამკაულს. ასევე კარგი ოსტატები იყვნენ ცოსკარას შვილი – ბიბოლათა ხანგოშვილი (დუისი) და დიბაი ცათიაშვილი (შუა ხალაწანი). მათ მიერ გაკეთებული ვერცხლის ქამარი, ქალის გულისპირი და მამაკაცის შევერცხილი ქამარ-ხანჯალი ჩვენს დროშიც ღვანძობილი აქვს ზოგიერთ ოჯახს. ისინი ოქროვერცხლს თელავში შოულობდნენ და ხშირად ჩეჩნეთიდანაც ჩამოჰქონდათ. ოქროსგან ძირითადად აკეთებდნენ ქალის საყურეებს, ბეჭდებს და ყელის ძეწკეებს, ხოლო ვერცხლისგან – ქალის კოსტუმის გულისპირს – თ უ დ ი რ გ ი შ-ს, ქამარს – ტ ი ე ხ ქ უ რ-ს, ყელის ძეწკეებს ძ ე ა-ს, მამაკაცის ბალთებიან ქამარ-ხანჯალს შ ე ლ თ – ტ ი ე ხ ქ უ რ-ს, მასრებს – ბ უ ს თ ა მ ა შ-ს, რომლებიც საკმაოდ რთული ორნამენტებით იყო შესრულებული. ბიბოლათას და დიბაის გარდაცვალების შემდეგ პანკისის ხეობის ქისტებს ადგილობრივი ოქრო-ვერცხლის ოსტატი არ ჰყოლიათ. ჩეჩენ-ინგუში ოსტატების მიერ დამზადებული ქალისა და მამაკაცის სამკაული ჩამოჰქონდათ პანკისში და ჰყიდდნენ ნაღდ ფულზე. ამასთან ერთად, ქისტები ფართოდ

სარგებლობდნენ თელავის, სიღნაღისა და თბილისის სამრეწველო საქონლითაც, რაც შინსმრეწველობის რიგი დარგების განვითარებას უშლიდა ხელს.

შინამრეწველობის დარგებიდან პანკისში საკმაოდ განვითარებული იყო ქუდების, დეკორატიული ნაბდებისა და ხის ჭურჭლის დამზადება. დანარჩენი დარგები აკმაყოფილებდა მხოლოდ ადგილობრივ საოჯახო მოთხოვნებს.

ლიტერატურა

1. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის არქივი, მ. შანაბლის საქმე №673.
2. Мачабели М., Экономический быт государственных крестьян Тианетского уезда Тифлисской губернии, Материалы для изучения экономического быта государственных крестьян Закавказского края, т.V, ч.1, Тифлис, 1887.
3. აღბუთაშვილი მ., პანკისის ხეობის აღწერილობა, რე. 8, 1, 1898.
4. Грабовский Н., Экономический и домашний быт жителей горского участка Ингушевского округа, ССКГ, III, Тифлис, 1870.
5. ბეზარაშვილი ც., ქალის სამოსელი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში თბ., 1974.
6. მასალები საქართველოს შინამრეწველობისა და ხელოსნობის ისტორიისათვის, ტ. II, ნაწ. II, თბ., 1981.
7. საქცია, ფ. 17, ანაწ. I, საქ.3624 (თიანეთის მაზრის 1894 წ. ანგარიში).
8. მაკალათია ს., თუშეთი, ტფილისი, 1933.
9. ხახანაშვილი ალ., მგზავრის დღიურებიდან, „ივერია“, №173, 1888.
10. Магамедов А., Культура и быт осетинского народа, Орджоникидзе, 1968.
11. გასიტაშვილი გ., ხის დამუშავების ხალხური წესები თუშეთში, თუშეთის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის, თბ., 1967.
12. მასალები საქართველოს შინამრეწველობის ისტორიისათვის, ტ. II, ნაწ. I, თბ., 1979.

II. ქისტების საოჯახო და საზოგადოებრივი ყოფა

§1. ოჯახის სოციალური სტრუქტურა

პანკისელი ქისტების ოჯახისა და საოჯახო ყოფის საკითხები მეტნაკლებად დამუშავებულია (დადასტურებულია, რომ ფეოდალურ ხანაში ვეინახებში ჯერ კიდევ შემონახული იყო რამდენიმე თაობის ერთ ოჯახად ცხოვრების წესი. მრავალრიცხოვანი ოჯახის უფროსი მამაკაცი თავისი ოჯახის სიდიდითა და სიმრავლით ამყოფდა და საზოგადოებაშიც დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა [1: 32-33].

ამის პარალელურად არსებობდა მცირერიცხოვანი და ინდივიდუალური ოჯახებიც, რომლებიც ადამიანი გაყრის წესს არ ექვემდებარებოდა და საკომიდანამოში ცალკე აგებულ საცხოვრებელ სახლში ცხოვრობდნენ. შათ საერთო ჰქონდათ ოჯახის შემოსავალი, რომელიც ნაწილდებოდა სულადობის მიხედვით. დიდი ოჯახის სულთა რაოდენობა მრავალცოლიანობითაც უნდა ყოფილიყო გამოწვეული. აქ დიდ როლს თამაშობდა ოჯახის უფროსი მამაკაცი, რომელსაც ადამიანი ერთი ცოლის შერთვის უფლება ჰქონდა, ხოლო მისგან გაყრით რამდენიმე ცოლის გამოცვლის – თუ ოჯახის ეკონომიკური მხარე ამის შესაძლებლობას იძლეოდა. ერთ ცოლზე მეტი ცოლის შერთვის ტრადიციას დაემატა შარიათის მიერ დამუშავებული მრავალცოლიანობის ინსტიტუტი, რომლის თანახმად მამაკაცს შეეძლო ერთდროულად სამი-ოთხი ცოლის ყოფა. თითოეული მათგანი უზრუნველყოფილი იყო საერთო ეზოში ცალკე ბინით და შვილები (ერთჯერქვეშ) მამის გვერდით იზრდებოდნენ. საჭიროების შემთხვევაში ცოლებს ერთმანეთთან მისვლა-მოსვლაც შეეძლოთ – განსაკუთრებით მაშინ, თუ უფროს ცოლზე ბევრად უმცროსები იყვნენ დანარჩენი ცოლები. ოჯახის წევრთა რაოდენობა ზოგჯერ 30-40-ს ითვლიდა [2].

მოხრობელის გადმოცემით: „თუ ოჯახის უფროსი მამაკაცი თავის დონეზეა, იქ სიმშვიდე და ურთიერთგაგება ყოველთვის სუფევს“. როგორც ჩანს, ვეინახური ოჯახის მომწესრიგებელი და მამამთავარი მამაკაცია, რომელიც მეტი პრივილეგიებით სარგებლობდა, ვიდრე ქალი.

ინგუშების ოჯახი ჩვენებთან შედარებით უფრო მყარი იყო. მათში პირველად შერთული ცოლის გაშვება და მეორის მოყვანას სისტემატური ხასიათი არ გააჩნდა. მისი მოყვანის მთავარი მიზეზი პირველის უშვილობა ან მასთან სერიოზული უთანხმოება იყო. ინგუშებში ურვადის ღირებულება უფრო მეტია, ვიდრე ჩვენებში და პანკისის ქისტებში. ამდენად, ცოლ-ქმრის უბრალოდ შეკამათებაზე გაყრას ინგუშები ერიდებოდნენ. ჩვენები ხანდაზმული მოხრობელი მამაკაცი (ცოლ-ქმრის ხშირად გაყრას და ახალი ოჯახის შექმნას ხსნის იმით, რომ „უწინ მთაში და ბარშიც დიდი სიღარიბე იყო. შეძლებულ ოჯახში ქალის მითხოვებაზე (მესამე, მეოთხე ცოლდაც კი) მშობლები უარზე არ იყვნენ. ქმრის მიზეზით ქალის მშობლების ოჯახში დაბრუნება შეურაცყოფად არ ითვლებოდა. პირიქით, რამდენჯერმე გათხოვილი ქალი მეტი ავტორიტეტით სარგებლობდა, ვიდრე ერთხელ გათხოვილი. ამ შემთხვევაში საინტერესოა თანახმად რ. სოფ. ჩაბანოში ფიქსირებული მონაცემები, რომლის მიხედვით, ფშაველი ქალის ავტორიტეტი მეტი წაწალის ყოფლაში გამოიხატებოდა. „კარგ ქალს ბევრი წაწალი

პეკოს“ – აღნიშნავს მთხრობელი [3: რე. 2]. „კარგი ვაჟაკის წაწლობა ქალს... ესახელება, თუ ქმრიანია – ქმარსაც თავი მოაქვს ამით“ [4. №6. 28]. ცხადია, ფშაური წაწლობა სულ სხვა ტრადიციაა, თუმცა გარკვეული შეხების წერტილი მაინც აქვს ჩენწურ ტრადიციასთან. ჩენწებში ოჯახის დანგრევის მიზეზი ხშირად ქალის სიამაყე, თავშეუკავლობა და მამაკაცთან ჯიბრია, რომელიც შრომასაქმიანობაში ნაკლებად მონაწილეობს და ცოლების გადიხიანებას იწვევს.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში მოსახლე ქისტები ჩენწებშია და ინგუშების განაყოფი ეთნიკური ჯგუფია, მათი ოჯახები თავისი ფორმით და შინაარსით განსხვავდებიან ჩენწურ-ინგუშური ოჯახებისგან – მრავალცოლიანობა ჩენწეთში (ინგუშეთში იშვიათად) ჩვეულებრივი მოვლენა იყო. ამ მხრივ ქისტებში დიდი როლი ითამაშა ქართულმა გარემოცვამ, სადაც ორცოლიანობა საერთოდ აკრძალულია.

ორცოლიანობის საკითხთან დაკავშირებით მთხრობელი (დუისი) მ. ბაღა-კაშიელი (გარდაიცვალა 1976 წ. 86 წლისა) აღნიშნავდა: „ორცოლიანობა ოჯახისთვის იოლი ასატანია, ვიდრე მამაკაცის ორპირობა და სიცრუე. თუ ცოლ-ქმარი ერთი სიტყვითაც მოატყუებენ ერთმანეთს, ეს უკვე ჩვევად იქცევა და ამას მოჰყვება უნდობლობა, რაც ოჯახის დანგრევის პირველი საწინდარია. ქრისტიანულ სამყაროში მალულად მიმდინარე პროცესები ჩვენში მიუღებელია და ამდენად ალაპის მიერ ნაკარნახევი ორცოლიანობის წესი მაჰმადიანებში მიღებულად ითვლება. ნორმალურ ოჯახში ორივე ცოლი შეთანხმებულად ცხოვრობდა, შვილების გაზრდაში ერთიმეორეს ეხმარებოდნენ. ავადმყოფობის შემთხვევაშიც ყურადღებით იყვნენ“ [5: რე. 3.8].

როგორც ჩანს, ადრეული ოჯახები უფრო შეგნებულად უდგებოდნენ აღნიშნულ საკითხს და „მეზობელ-თანასოფელელების სალაპარაკო არ ხდებოდნენ.“ შემდგომ თაობებში, მეორე ცოლის მოყვანა უკვე პირველი ცოლის შეურაცხ-მყოფელ ფორმად იქცა და არასასურველ შედეგს იწვევდა. ზოგიერთი ქალი შეიღებეს თავს ანებებდა და ბრუნდებოდა მშობლების ოჯახში, ხოლო ზოგი კი გაიყრებოდა და ცალკე დამოუკიდებლად იწყებდა ცხოვრებას. შვილები მამას მორიდებულად ექცეოდნენ და მასთან ურთიერთობას ინარჩუნებდნენ.

პანკისის ხეობაში ქისტების ჯგუფურად გადმოსახლების დროს (XIX ს. I მუთხელი) ჩრდილო კავკასიის ვეინახებში ინდივიდუალურ ოჯახად დასახლების პროცესი უკვე დაწყებული იყო, რამაც თავი იჩინა პანკისის ხეობაშიც. აქ თავმოყრილი მოსახლეობა სხვადასხვა საზოგადოებიდან არის მოსული: მარტოხელა, ცოლ-შვილით თუ მთლიანი დიდი ოჯახით. სოფ. დუისში რეკლუციამდე ერთ ჰერქვეშ უცხოურაით ძმებს – დაადიგა და ჩუფუკი დუიშვილებს თავისი ცოლ-შვილით. თითოეულს ჰყოლია რვა შვილი. დაადიგას შვილები იყვნენ ბუუბ, ითიაზ, მაკოი, უაციგ, ცუაციგ, მუს, ხაალ და აახეი, ხოლო ჩუფუკის – მურად, შაბეი, თათარ, მათაი, ნის, ისმი, ძარეი და ძიი. ოჯახი ითვლიდა 24 სულს. გაყრილან მამინ, როცა ოჯახის უფროსი გარდაიცვალა.

პანკისის ხეობაში ხანაჯის ჩამომავლობა ექვს-შვიდ თაობას ითვლის. ხანაჯი ცხოვრობდა არღუნის ხეობის სოფ. გეზახში–ითუშკაღესთან ახლოს. მას ჰყოლია სამი ვაჟიშვილი: დიბორგა, პამიდა და მიიდი, რომლებსაც მშობლიურ სოფელში გაუყრელ დიდ ოჯახად უცხოურაით. პაპა-ბებების და მშობლების

გარდაცვალების შემდეგ დიბირგას შვილი მამამადა, ჰაამიდას შვილი ლაბაზა და მიიდის შვილები: ჰაჯი, ბაჰამადა და ციი, ადგილობრივი თემის მიერ შექუხებულნი (ბ ე ი თ ა ლ მ ა ნ ო ბ ი ს წესის გამო), პანკისის ხეობაში გადმოსახლებულან და აქაც გაუგრძელებიათ ერთად ცხოვრება. მამამადას და ნაის ორი ვაჟი და ერთი ქალი (დაადა, ადო და ბუჯეი) ჰყოლიათ, დაადას ჰყავდა ერთი ვაჟი – აახეი. თვითონ აახეიც ერთი ბიჭის მამა იყო, რომელსაც შერიფა ერქვა. იგი სსრკ-გერმანიის ომში დაიღუპა, მას ჰყავდა ორი ბიჭი სოლცა და კოწია. სოლცასგან ძე არ ჰყოლია, ხოლო კოწიას ერთ ბიჭს ორი ვაჟი ჰყავს. დაადას ძმა ადო კი ერთი ქალისა და ხუთი ვაჟის მამა იყო. პირველ ცოლთან ადოს შეეძინა ერთი ბიჭი დიბაი, რომლის დედა სულ მალე გარდაიცვალა და შვირთო მეორე ცოლი; რადგან გერს უხეშად ეპყრობოდა, ისიც დაითხოვა და მესამე ცოლთან შეეძინა ოთხი ვაჟი და ერთი ქალი. ადოს ხუთი ვაჟიდან პირველად დაქორწინდა უფროსი დიბაი. ერთი წლის შემდეგ იგი ცალკე გავიდა და დასახლდა მამასთან ახლოს. დედ-მამა თავის სხვა შვილებთან ერთად განანგრძობდა ცხოვრებას. როცა კოსტა, აბაი და საი დაქორწინდნენ, თითო შვილის ყოლამდე ერთად ცხოვრობდნენ, ხოლო შემდეგ აღომ ისინიც თავისთან ახლოს ცალ-ცალკე დაასახლა. მშობლებთან დარჩა უმცროსი უსუფი, რომელმაც სწავლის მიმართ დიდი ინტერესი გამოიჩინა და ათი წლისა წავიდა ოჯახიდან და ბოლოს განათლებამიღებული დაბრუნდა მშობლიურ სოფელში. აღნიშნული ოჯახი აღწერილი აქვს ვ. ითონიშვილს. მას საინტერესო ცნობები აქვს წარმოდგენილი ხეობის სხვა ოჯახების შესახებაც [1: 143–148]. სოფ. ჯოყოლოში დედ-მამის გარდაცვალების შემდეგ გაუგრძელად უცხოვრია აგრეთვე დაცოლშვილებულ ოთხ ძმას (ღანიშა, დაქა, უჯი და ცოსკარა ცისკარაშვილებს). ოჯახს მართავდა უფროსი ძმა ღანიშა. გაიყარნენ მაშინ, როცა ოთხივე ძმამ საერთო ძალით ცალ-ცალკე სახლები აიშენა. გაყრის შემდეგაც შესაკითხი უფროსი ძმა და მისი მეუღლე იყო. ცხადია, ცისკარაშვილების მაგალითს ფართო ხასიათი არ ჰქონია, მაგრამ ოჯახში უფროსი შვილის დაქორწინების შემდეგ, სანამ მეორე დაქორწინდებოდა, მას ოჯახის წევრები საერთო ძალით სახლს უშენებდნენ და დაქორწინების შემდეგ ცალკე გაჰყავდათ. ეს ტრადიცია მათში გრძელდებოდა. ხეობაში მთიდანვე, გამონაკლისის გარდა, ძირითადი ოჯახი აერთიანებდა ორ-სამ თაობას – მშობლების, შვილების და შვილთაშვილების სახით. თუ ერთი ოჯახი ითვლიდა 10–12 ან მეტ სულს, მეორე – უფრო ნაკლებს და ა.შ. ტურმინი „ოჯახის გაყრა“ ადრინდელ სამშობლოში არ არსებობდა. ქისტებმა ეს ტრადიცია მეზობელი ქართველი მთიელებიდან გადაიღეს. ოჯახიდან ცალკე გასულ დაქორწინებულ ვაჟიშვილს აძლევდნენ იმ ნივთებს, რომელიც სჭირდებოდა ახალ ოჯახს ცხოვრების დასაწყებად, სანამ პატარაძალი მოიტანდა საოჯახო მოწყობილობას მზითვის სახით.

1860 წლის კამერალური აღწერით სოფ. პანკისში (დღევანდელი დუისი) ყველაზე მრავალრიცხოვანი იყო კილეი ბახოს ძე მარგოშვილის ოჯახი. ერთ ჰერქვეშ ცხოვრობდა თვითონ კილეი, მისი ვაჟიშვილები: დიბირგა, ისმაილი, სულეიმანი; უფროსი ძმის (დიბირგას) ვაჟიშვილები: გიი, ბოქა, მუთა; მეორე ძმის (ისმაილას) ვაჟი-მამამადა თავისი ცოლ-შვილით [6]. გამოირჩეული არ არის ქალების ყოლაც. ისე რომ, თავდაპირველად პანკისის ხეობის ქისტებში იშვიათად,

მაგრამ დიდი ოჯახები მაინც არსებობდა, თუმცა ძირითადად დასტურდება ინდივიდუალური ოჯახები. მათი სულთა რაოდენობა ითვლიდა 5-6-ს. ჩვენს ადრეულ ნაშრომში ოჯახის აღმნიშვნელ ტერმინად გამოყენებული იყო დ ი ე ძ უ ლ. ამ ტერმინს იყენებს აგრეთვე ვ. ითონიშვილი და ჩვენ-ინგუში მკვლევარებიც: ფ. კულუხოვა, მ. იზმაილოვა და სხვ., მაგრამ ოჯახის აღმნიშვნელ ტერმინად ვეინახური დიექულ-ის გამოყენება არასწორად გვეჩვენება, რადგან იგი სიტყვა-სიტყვით ცოლ-შვილს ან სახლში მცხოვრებ წევრებს ნიშნავს და არა ოჯახს. ოჯახის აღმნიშვნელი ტერმინია ჰ უ ს ა მ, ჰ უ ს ა მ დ ა ა - ოჯახის უფროსი. მაგ.: ქისტის იტყვის: ჰ უ ს ა მ დ ა ა ჩ უ ვ ი ი - ოჯახის უფროსი სახლშია? და არა დ ი ე ძ უ ლ დ ა ა ჩ უ ვ ი ი ცოლ-შვილის მამა სახლშია? დიდი ოჯახი - დ ო ჰ ჰ უ ს ა მ, ბევრშიელიანი ოჯახი - ბ ო ჰ დ ი ე ძ უ ლ ბ ო ლ-ჰ უ ს ა მ, პატარა ოჯახი - ჯ ო მ ჰ უ ს ა მ ან ჯ ო მ/კ ე ზ გ დ ი ე ძ უ ლ ბ ო ლ-ჰ უ ს ა მ - ცოტა ოჯახის წევრებიანი ოჯახი და სხვ. ჰ უ - ნიშნავს თესლს. ქისტი იტყვის: მ ი ნ ჰ უ ხ ე ე ე ლ-ე ა ჰ - რომელი თესლიდან ხარ გამოსული. როგორც ჩანს ჰ უ ს ა მ წარმოსდგა ჰ უ-დან თესლი. ქისტებში ოჯახთან დაკავშირებული ტერმინებია: ბ უ ი დ ა ლ ა ნ ძ ი ო ლ-ჰ უ ს ა მ- გაუყრელი ოჯახი, ბ უ ი ბ ა ა ლ ა ნ ძ ბ ე ე ხ-ე ე ჟ ა რ ი - გაუყრელად მცხოვრები ძმები, ბ უ ი ბ ე ე ლ-ე ე ჟ ა რ ი - გაყრილი ძმები და ა.შ.

როგორც ითქვა, ქისტების ოჯახი ჰ უ ს ა მ შედგება მშობლების, დაცოლ-შვილებული შვილებისა და შვილთაშვილებისაგან, რომლებიც ერთ საერთო კომლად ცხოვრობდნენ, მაგრამ შემდეგ ინდივიდუალურ ოჯახებად დასახლდნენ. მამა „პატრიარქი“ იყო, რომლის აუცილებელი ავტორიტეტი მხარდაჭერას პოულობდა ვაჟიშვილებში, ქალიშვილებსა და შვილიშვილებში. სახნავი მიწების პერიოდული გადანაწილების დროს დაყოფა კომპობრივად ხდებოდა. ოჯახის წევრები კი ერთმანეთში თვითონვე ანაწილებდნენ მათზე განკუთვნილ დოვლათს. როდესაც ოჯახის წევრების რიცხვი გაიზრდებოდა ან ჰუსამდაა (ოჯახის უფროსი) გარდაიცვლებოდა, მაშინ ძმები თვითონვე აგვარებდნენ ოჯახის გაყოფის საკითხს ყოველგვარი უპირატესობის გარეშე. შეეძლოთ ოჯახი ხელუხლებლად პატარა მისთვის დაეტოვებინათ, მით უმეტეს, თუ მშობლებიდან ერთ-ერთი ცოცხალი იყო. გაუთხოვარ ქალიშვილს გათხოვებისას (თუ ოჯახი ძლიერი იყო), თავისი ხელით დამზადებული სამზითვე ნივთების გარდა მიაკუთვნებდნენ ერთ ან ორ თავ პირუტყვს. ვაჟიშვილის სიკვდილის შემდეგ ქონება მის ცოლ-შვილს რჩებოდა მაშინ, თუ ქვრივი ოჯახში დარჩებოდა და არ გათხოვდებოდა. თუ გათხოვდებოდა, მთელი ქონება შვილების საკუთრება ხდებოდა, თუ შვილი არ ჰყავდა - მშობლებს და ძმებს. თუ არც მშობლები და არც ძმები ჰყავდა, მაშინ ქონება ბიძაშვილებს რჩებოდა. ისე რომ, ოჯახის უფროსის, მამის გარდაცვალების შემდეგ ძმებს შორის უფროსი „პატრიარქის“ ფუნქციებს ასრულებდა. მეოთხე, მეხუთე (ტრადიციულ ოჯახში მეშვიდე) თაობაშიც მათ ერთმანეთთან მჭიდრო კავშირი ჰქონდათ ყოფის ყველა საკითხში. ოჯახის წინაშე წამოჭრილი ნებისმიერი საკითხი, ოჯახის უფროსის (ჰ უ ს ა მ დ ა ა) გადასაწყვეტი იყო, ხოლო სხვა გვარებთან ურთიერთობის მოგვარება კი გვარის უფროსს (თ ე ი ფ ა ნ ე ო ჯ უ ლ) ევალებოდა. ოჯახის შიგნით ქალისა და მამაკაცის საქმიანობა მკაცრად იყო განსაზღვრული. დედა - ოჯახის უფროსის მეუღლე, საოჯახო საქმეებში სრულუფლებიანი

დიასახლისი იყო. სიტყვა დიასახლისი წ ი ი ნ ა ა ნ სახლის დედას ნიშნავდა, ხოლო წ ე ნ ა ა ნ - ცეცხლის დედას. წ ი ი სიხსლსაც ნიშნავს.

ქალის უშუალო მოვალეობა იყო საჭმლის მომზადება, ოჯახის წევრების ტანისამოსით უზრუნველყოფა, რეცხვა, ბავშვების აღზრდა, სახლ-კარის დასუფთავება, მეწველი საქონლისა და ფრინველის მოვლა, ნათესების გამარგვლა; ხოლო თვის ქცევა, ყანის მკა-ლევვა, სიმინდის გარჩევა, ფუნჯის მოჭრა-დაბინავება, ხორცის დამარილება და ა.შ. - მამაკაცებთან ერთად. დიასახლისის ოჯახურ ფუნქციებში მამაკაცები არ ერეოდნენ. ასეთი ჩარევა მიუღებლად ითვლებოდა. თუ ჩაერეოდა, ქალს შეეძლო ეთქვა: „ჩვენს საქმეში ნუ ერევი, ეს მამაკაცს არ შეეფერისო“. მამებს ყოველთვის უხაროდათ ბიჭის დაბადება, მაგრამ ისინი იშვიათად (ისიც ფარულად) ეფერებოდნენ თავიანთ მცირეწლოვან შვილებს. მოხუცების, მეზობელ-ნათესავების თანდასწრებით ბავშვის ხელში აყვანა სირცხვილად ითვლებოდა. ასევე სამარცხვინო იყო კაცისთვის მშობლების, და-ძმების, ნათესავების ან უცხო პირის თანდასწრებით ცოლისადმი ყურადღების გამოჩენა.

მამამთილის ღირსებას არ შეეფერებოდა რძლისთვის საყვედურის თქმა. არსებობდა ანდაზა: „უთხარი ქალიშვილს, რომ რძალმა გაიკოსო“. ოჯახურ (წერილმან) საქმეებს ბავშვებს შორის დედა ანაწილებდა. მათი დასაქმება ოთხი-ხუთი წლიდან იწყებოდა. 6-10 წლის გოგონებს ევალებოდათ საცხოვრებელი სახლის დალაგება-გამოსუფთავება, ეზოს დაგვა, წყლის მოტანა, თავისზე უმცროსი ბავშვის მოვლა; ამასთანავე, დედასთან ერთად მონაწილეობას იღებდნენ ქულების წარმოებაში, ხოლო ბიჭები, როგორც მ. აღბუთაშვილი აღნიშნავს „შვიდი წლიდან ძროხას მისდევს ზურგზედ გუდა აკიდებული თავისი დღიური საჭმელით“ [4:3]. ბავშვები პატარაობიდანვე ისე ეჩვეოდნენ საოჯახო საქმეს, რომ შესხენების გარეშე ასრულებდნენ თავ-თავის მოვალეობას. მათ შორის იმართებოდა შეჯიბრი, ვინ მალე და კარგად შეასრულებდა სამუშაოს. დედა კი აღნიშნული სამუშაოს გარდა დაკავებული იყო საბაზროდ ქულებისა და საქუდე ნაბდების კეთებით. „ბავშვები თავიანთ თავს თვითონ უვლიდნენ. მამაკაცები ხშირად დასვენებაში კარგავდნენ დროს და ოჯახი ძირითადად ქალის კისერზე იყო“ - აღნიშნავს მთხრობელი.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ქისტების ოჯახში უფროს-უმცროსობის ტრადიცია ძლიერი იყო. უფროსის სიტყვა, მის მიერ მიცემული შენიშვნა, უმცროსებისთვის ხმის ამოუღებლად შესასრულებელი კანონი იყო. ეს იმას როდი ნიშნავდა, რომ ოჯახის წევრებს უფროსი ძალად ახვევდა თავის მოსაზრებას. უბრალოდ, ტრადიციის ძალით, უმცროსი თაობა თავს ვალდებულად თვლიდა მოხუცის ნათქვამი აუცილებლად შეესრულებინა. მოხუცის თანდასწრებით ქისტი ახალგაზრდა სასმელს არ დალევა, პაპიროსს არ მოსწვედა. როცა უფროსები ისხდნენ, ახალგაზრდები ჩვეულებრივ ფეხზე იდგნენ. „უფროსი ფეხზე იდგეს და უმცროსი იჯდეს, ეს მიუღებელია ჩვენი ტრადიციით“ - აღნიშნავდა უ. მარგო-შვილი. ოჯახში მოზარდ ბავშვებს მამის რიდი ჰქონდათ. უფროსებთან შეკამათება და ამ მიზეზით უფროსის მიერ ოჯახის წევრის ვიზიკურად და სიტყვიერად დასჯა შეუძლებელი იყო. ასეთ დროს უფროსი კარგავდა ავტორიტეტს და ამიტომ იგი ცდილობდა ზომიერი ურთიერთობა დაეცვა. შვილების თანდასწრებით მშობლებიც დიდ სიფრთხილეს იჩენდნენ, რომ ხმამაღალი ტონით, შეუფერებელი სიტყვებით ერთმანეთი არ გაეღიზიანებიათ.

გ. ითონიშვილი წერს: „ქისტის ოჯახში მოხუცი რაც არ უნდა დაუძღვრებულყოფილიყო, ოჯახის ახალგაზრდა ხელმძღვანელი თავს უფლებას არ აძლევდა მასთან დათათბირების გარეშე გადაეწყვიტა რაიმე საკითხი, მით უფრო დაუშვებლად ითვლებოდა მისდამი უყურადღებობა ოჯახის სხვა წევრების მხრიდან, ისევე როგორც სხვა კავკასიელი მთიელების, პანკისელ ქისტთა საოჯახო ურთიერთობის ერთ-ერთ, ყველასათვის ადვილად დასანახ თავისებურებას წარმოადგენდა მოხუცისადმი უადრესად დიდი პატივისცემა და მოკრძალება. მას განსაკუთრებით დიდ ანგარიშს უწევდნენ მეზობლებთან ურთიერთობის (სამოყვრო თუ სამტრო საქმეების მოწესრიგების) სფეროში.“

ქისტური ეტიკეტი მოითხოვდა ფაქიზად ყოფილიყო დაცული უფროს-უმცროსობის მამაკაპური ჩვეულება, როგორც ოჯახში, ისე საზოგადოებაში. ქისტის თვალში საზოგადოების უდიდეს წევრად ითვლებოდა ის ახალგაზრდა, რომელიც მოხუცებთან ახლოს დაჯდებოდა, მათ პატივს არ სცემდა, ფეხზე ადგომითა და მოკრძალებით არ მოერიდებოდა მათთან ზედმეტ ლაპარაკს და ა.შ.“ [1: 172].

ეთნოგრაფიული მასალებით, ქისტებში ოჯახის უფროსს განსაკუთრებული სავარძელი ჰქონდა, რომელიც იღვა კერიის მარჯვენა მხარეს და დიდ-პატარისთვის ყურადღების კენტი იყო. მისი ოჯახში არყოფნის დროსაც ამ სავარძელში ოჯახის წევრი, შემოსული მეზობელი თუ სტუმარი არ დაჯდებოდა, მიუხედავად იმისა, რომ არავინ კრძალავდა. არსებული ტრადიციით, ეს იყო ოჯახის უფროსის საპატიო ადგილი, რაც უფროსისადმი დიდ პატივისცემას ნიშნავდა [7: რვ. 3].

ზ. გულისაშვილი წერს: „ქისტური ოჯახი მამათ-მთავრულია, სადაც უფროსს დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ უფროსობა აქ ერთს არ ეკუთვნის, არამედ უფრო საოჯახო რჩევას, რომელიც ზოგჯერ წლოვანებით უფროსს უნიჭობის გამო, საოჯახო სარწის მოვლას ჩამოართმევს და უმცროსს ჩააბარებს ხოლმე“ [8: №21]. უნდა შევნიშნოთ, რომ ამ შემთხვევაშიც უფროსი თავის მოვალეობას ინარჩუნებდა, მაგრამ საჭიროებისას ოჯახის უფრო გონიერი წევრი თავის აზრს შესთავაზებდა რაიმე საკითხის გადაწყვეტისას, მაგრამ უფროსის წინააღმდეგ მაინც არ წავიდოდა.

საინტერესოა მ. ალბუთაშვილის მონაცემები: „ეკთილშობილის ადგილი მოხუცებს უჭირავს. მოხუცებულს დიდ პატივისცემენ თუნდაც მცირე ჭკვიანიც იყოს: ერთმანეთთან შერიგება-მორიგებაში უეჭველად მოხუცებულებს აგზავნიან, იმას უარი ვერ თქმევა, მადალი სიტყვა არ ეკადრება, ყრილობაში რომ მივიდეს მოხუცები, ყველანი ფეხზე ადგება, მინდორშიაც რომ ისხდნენ სანამ ის მოხუცი არ დაჯდებოდა, მანამ დაჯდომას ვერავინ გაბედავს. სუფრაზე კიდევ სულ თავში უნდა დასუან. ერთი სიტყვით, მოხუცებული აქ ისევე იმ პატივცემამა, როგორც ადრე. . . თუმბაში ყოფილა“ [4: რვ. 7]. აღნიშნული მონაცემების ავტორი ამ წესების კარგი მცოდნე და თვითმხილველია. დასანანია, რომ პატივისცემის ამ დადებით ტრადიციებს ახალგაზრდები სათანადოდ არ ეკიდობიან, რაც უფროსების გულისწყრომას იწვევს. ქისტების ოჯახში არანაკლები პატივისცემით სარგებლობდა, როგორც ითქვა, ოჯახის დიასახლისი – წ ი ი ნ ა ა ნ (სახლის დედა), კ უ ს ა მ ნ ა ა ნ (ოჯახის დედა). იგი იყო შვილების ძირითადი აღმზრდელი და მეზობელ-ნათესავებში ურთიერთობების მომგვარებელი. კარგი შვილების დედა საზოგადოებაშიც დაფასებული იყო. მის გამოჩენას ხანდახმული

მამაკაციც ფეხზე ადგომით პატივსაცემდნენ, მოუხედავად იმის, რომ ქისტური ტრადიციით მამაკაცი მანდილოსანს გზას არ უთმობს და არც ადგილიდან წამოდგება [9].

როგორც მ. ალბუთაშვილი აღნიშნავს, „ცოლი ქმრისა და შვილი მამისა ჭეშმარიტი გამგონი და აღმასრულებელია საქმისა... სიყვარული, პატივისცემა, გულშემატკივრობა და სიბრალული მამისა თავის ცოლ შვილისადმი ჩუმი და ფარულია“ [4: რე. 4, 33]. უფროს დიასახლისს ოჯახის წევრებიც – რძლები, შვილები, შვილისშვილები – დიდი პატივისცემით ეპყრობოდნენ. რძლები, ქალიშვილები ნებისმიერ საკითხს დედამთილთან – ოჯახის უფროს დიასახლისთან ათანხმებდნენ. ორი თუ სამი რძლის გაუყრელად ცხოვრებისას ოჯახში მეტი დატვირთვა უმცროს რძალს ჰქონდა. იგი ყველაზე გვიან წვებოდა და ადრე დგებოდა. დაასუფთავებდა ეზო–გარემოს, საქონელს გარეკავდა საძოვარზე, წყალს მოიჭანდა, გაამზადებდა საუზმეს და ა.შ. შვილის შეძენამდე იგი ოჯახში ნამდვილ წევრად არ გრძნობდა თავს. ოჯახის წევრებიც მასთან არავითარ საიდუმლოებას არ ამჟღავნებდნენ. აღნიშნული წესი დასტურდება ჩეჩნეთში და დაღესტანშიც [10: 277–278]. ქისტ ქალებს ოჯახში ყოველთვის გაუთავებელი საქმე ჰქონდათ. ისინი ამ საქმიანობით ამაყობდნენ კიდევაც. „ქალი დილით უნდა ამდგარიყო, აეღო თოხი ან ნამგალი, აეკიდა ბაღლიანი აკვანი, კალთაში გამოეხვია მჭადის ნაჭერი, წყლის ჭურჭელი და სამუშაოდ (სათოხნად ან სამკელად) წასულიყო. ამ დროს სადილი მზად უნდა დაეტოვებინა „სალაყობიდან“ მოსული ქმრისათვის. ამ ბოლო ხანებში – მამაკაცი მიხვდა, რომ მინდვრის სამუშაოზე წასვლა სირცხვილი არ არის. გათენდება თუ არა მაშინვე სამუშაოზე მიდის, სათოხნია, სამკალია, თუ რაც არის. დედაკაციც მიხედავს საშინაო საქმეს, მოამზადებს სადილს და ისე წავა მინდორში ქმართან. მას შეუძლია შეეშველოს ანდა წამოვიდეს სახლში და სხვა საქმეს მოკიდოს ხელი“ [4: № 4.31]. ქისტი მამაკაცი ცოლ–შვილის მიმართ მკაცრი და მომთხონი იყო. მამის შიშით ერთი წლის ბავშვიც კი ტირილს ვერ ბედავდა. ამ სიმკაცრის გამო ცოლ–შვილი ოჯახის უფროსს უსიტყვოდ ემორჩილებოდა, ყველა სურვილს უსრულებდა. თანაც დიასახლისი ფრთხილობდა, უსიამოვნება მეზობლებში არ გასულიყო და ოჯახის ავტორიტეტი არ შელახულიყო. ამდენად, ქალი ქმრის სიმკაცრეს და მის უსაქმურობასაც მაღავდა, რომ სასოვადოების თვალში წარმოსადგო მყოფლე ჰყოლოდა. მამაკაცი ახალგაზრდობაში ცოლ–შვილთან ბუნებრივ სიბოძს, სიყვარულს არ ამჟღავნებდა, მათი გათამამების შიშით, არც ბევრი ლაპარაკი იცოდა. როცა ბავშვები წამოიზრდებოდნენ და მათ განუმტკიცდებოდათ ოჯახური ურთიერთობის, დაფასების, მორიდების ჩვევები, მაშინ მამა უკვე ნელ–ნელა ამჟღავნებდა თავის აღურსიან დამოკიდებულებას შვილების მიმართ, განსაკუთრებით გოგონებისადმი, რომლებიც 15 წლის ასაკიდან მშობლების მკაცრი ზედამხედველობის ქვეშ იმყოფებოდნენ. ამ დროიდან მათ უკვე აღარ შეეძლოთ სოფელში თავის ნებაზე სიარული. მშობლების დაუთოხნავად გოგონები მხოლოდ მდინარეზე წყლის მოსატანად მიდიოდნენ. გათხოვებამდე ქალის ნამუსის დაცვა მშობლებსა და ძმებს ევალებოდათ, ხოლო გათხოვების შემდეგ ქალის ნამუსზე პასუხისმგებელი ქმარი იყო. მშობლების ასეთი ზედამხედველობა ქალიშვილებზე (ბოლო ხანებში) მნიშვნელოვნად შესუსტდა. შეუძლებელი იყო იმისი წარმოდგენაც კი, რომ ქისტ გოგონას ეცხოვრა ოჯახისგან დამოუკიდებლად და ესწავლა თბილისის ან

სხვა ქალაქის უმაღლეს სასწავლებლებში, მაგრამ ოთხმა გოგონამ გადადგა ნაბიჯი ამ მიმართულებით და ისინი პირველი ქისტი პედაგოგი ქალები იყვნენ პანკისის ხეობაში (1948–1950 წლებში). მათ შესახებ საუბარი გვექნება ქვემოთ.

ქისტებში საღალაშო ოჯახში მოსული ამბობს: „თუ ოჯახში მამაკაცები იმყოფებიან, შემოსული არაბულიად ესაღმება მათ: „საღალაშ ალიქუმ“ – მამაკაცები ფეხზე დგებიან და უფროსი პასუხობს: „ვა ალიქუმ საღალაშ“ და ქისტურად უმატებს: „მარშავოდლიპო“ – მშვიდობით მოსულიყავი. მოსული პასუხობს: „მორჩალ ხილდ შუნ“ – მშვიდობა მოგცეთ. ქალებს არაბულად არ ესაღმებიან. ეს ისლამის მიერ დანერგილ ქალის დამამცირებელ მდგომარეობას უსვამს ხაზს. თუ ოჯახში მხოლოდ ქალები არიან, მაშინ მოსული სტუმარი იტყვის: „დიქიელდერგ დოლილდ“ – ყველა სიკეთე ამ ოჯახში მოვიდეს. ქუნაში ან გზაში შეხვედრისას უმცროსი უფროსს ესაღმება: დ ი დ ი ქ ხ ი ლ დ – ღელე სიკეთიანი იყო. მომავალი შეეპასუება: დ ი ქ ი ნ ც ვ ა ხ ე ი ლ – სიკეთით გეცოცხლოს. ქუნაში მჯდომთ გამეღება, წლოვანების მიხედვით, პირველი ესაღმება, მხედარს საღალაშ პირველად ფეხით მოსიარულე აძლევს. იმ შემთხვევაში, თუ მხედარს წინ მომავალი მამაკაცი ან ხანდაზმული მანდილოსანი შემოხვდა, გადმოხტება ცხენიდან, შეჩერდება, გზას დაუთმობს და მიესაღმება. უფროსი მადლობას გადაუხდის, გაივლის, მხედარიც შეჯდება ცხენზე და გზას გააგრძელებს. ასევეა ფეხით მოსიარულის უფროსებთან შეხვედრის წესიც. თუ გზაზე ჯგუფად მიმავალ რამდენიმე ქალს წინ შეხვდა ხანდაზმული მამაკაცი, ქალები მას მიახლოებისთანავე გზას დაუთმობენ, განზე გადაივლიან და ზურგშეცვეთი შეჩერდებიან. მამაკაცი მადლობას გადაუხდის, გზას გააგრძელებს და ქალებიც გზას გააგრძელებენ [9: 27]. აღნიშნული წესები ქისტებში ჩვენს დროშიც არის შემონახული.

უფროსის პატივისცემა თავს იჩენს ყოფის ყველა სფეროში. მაგალითად, თუ ფეხით ან ცხენით ორი კაცი მგზავრობს, მაშინ უფროსი აუცილებლად მარჯვენა მხარეს იკავებს. თუ სამი კაცია, მაშინ უფროსი შუაში ექცევა, ხოლო მასზე უმცროსი – მარცხენა მხარეს, სულ უფროსი კი მარჯვნივ. თუ ოთხნი მიდიან, ყველაზე უფროსი მაინც მარჯვენა მხარეს დგება. თუ ვიწრო ბილიკზე ჯგუფად მიდიან, პირველად უმცროსმა უნდა გაიაროს, უფროსი კი უკან მიჰყვება [9: 26]. სიარულის ასეთ წესს დღესაც იკავებ.

ასეთ ტრადიციებს უნერგავდნენ ბავშვს ჯერ კიდევ ორი-სამი წლიდან, როდესაც ის გამზრდელის თუ ოჯახის წევრის ნათქვამის გაგება-შესრულებას იწყებდა. 7–8 წლის ბავშვი უკვე აცნობიერებდა მოქცევის იმ ელემენტალურ ჩვევებს, რომლებიც მას სიცოცხლის ბოლომდე გაჰყვებოდა [7: რგ. 4].

ქისტების ოჯახში გაყის აღზრდაზე, მისი შრომითი ჩვევების გამომუშავებაზე მამა ზრუნავდა. მიჰყავდა საველე სამუშაოებზე, სათბობში, საძოვარზე თუ ტყის გასაჩეხად. გოგონას შრომითი ჩვევები და მორალური აღზრდა როგორც ვთქვით, დედის მოვალეობა იყო. რა თქმა უნდა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ დედა ჩამოცილებული იყო ბიჭის აღზრდას, ან მამა არ ერეოდა ქალიშვილის აღზრდის საკითხებში. ოჯახის წევრებს შორის შრომის განაწილების დროს უფრო მძიმე სამუშაო ვაჟიშვილებს ხვდებოდათ წილად, მაგრამ ოჯახის ძირითადი ტვირთის სიმძიმე მაინც ქალიშვილებს და მათ დედას აწევებოდა. უნდა აღინიშნოს, რომ დედა შვილების თვალში შეურყვევლად იცავდა ქმრის (შვილების მამის) ავტორიტეტს,

მაშინაც კი როდესაც თვითონ უკმაყოფილო იყო ქმრისა. ქალი ქმრის ძვირს არც შეიღებებს გააგებინებდა და არც თავის მშობლებსა და ძმებს, რაც ქალის საუკეთესო თვისებად მიგვაჩნია. ჩვენი აზრით, სწორედ ეს არის ქისტური ოჯახის სიმტიკიცის ერთ-ერთი საფუძველი.

ქისტებში ნათესაობის სამი ფორმა არსებობდა: *სისხლით, მოყვრობით* და *ხელოვნური*. ამათგან ყველაზე გავრცელებული იყო სისხლით ნათესაობა. როდესაც ერთ ჭერქვეშ ერთიანდებოდა მამის მხრივ შვილი თაობის ჩამომავლობა. მერვე თაობიდან უკვე გარე ნათესაობაში გადადის და გრძელდება, სანამ გვარი არსებობს. ასეთ ნათესავეებს შორის ქორწინებას ადათი სასტიკად კრძალავდა. მთხრობელის გადმოცემით გასული საუკუნის 20-იან წლებში, მარგოშვილების გვარში ხარ-ქვაბით შეყრილმა სხვა გვარის კაცმა შეირთო მარგოშვილების შორეული მოგვარე ქალი, რის გამოც საზოგადოებამ იგი მკაცრად გაიციხა. ეს კაცი ნაშვილებად ითვლებოდა მარგოშვილების გვარში და მას უფლება არ ჰქონდა ეთხოვა იმავე გვარის ქალი. დედის მხრიდან მესამე თაობა მ ე ე ჩ ს ი (იშვითად) და მეოთხე თ ე ე რ ა შ თაობას შორის ქორწინება ხდება. ანალოგიური მდგომარეობა დასტურდება ჩენეთშიც, სადაც მესამე და მეოთხე თაობას შორის ქორწინება დედით ნათესაობაში ჩვეულებრივი მოვლენაა, რაზეც დიდი გავლენა იქონია შარიათმა, რომელმაც რელიგიის ნორმები მთელ მუსლიმანურ სამყაროში დანერგა. ინგუშეთში ამ მხრივ მკაცრი ეგზოგამია იყო. მათი ნათესაური ურთიერთობებიც უფრო მყარი იყო, მაგრამ სოფლის გარეთა ქორწინება აძნელებდა ნათესაური კავშირების დადგენას, მით უმეტეს მოხუცების გარდაცვალების შემდეგ. ამასთანავე, თეოფის შიგანი ახალი გვარის წარმოქმნა სისხლით ნათესაობას საერთოდ კარგავდა, ამდენად ინგუშის ოჯახში შვილების დაქორწინების საკითხი რომ დადგებოდა, მაშინვე იწყებდნენ წინაპრების ვინაობის გამოძიებას, რომ სისხლით ნათესაობის ნორმები არ შელახულიყო.

მოყვრობით – ძ ა ა ხ ა ლ ა შ ნათესაობაში შედის ცოლ–ქმრის მშობლები, და–ძმები, ბიძები, დეიდები, ბიძაშვილ–დეიდაშვილები, რომელთა აღმნიშვნელი ტერმინებია: უ ს თ ნ ა ა ნ (სიდედრი), უ ს თ დ ა ა (სიმამრი), უ ს თ ვ ო შ (ცოლის ძმა), უ ს თ ო ო შ (ცოლის და), უ ს თ დ ე ე ვ ო შ (სიმამრის ძმა), უ ს თ დ ე ე ე შ ო-ძ უ დ (სიმამრის ძმის ცოლი), უ ს თ დ ე-ე ე შ ო-კ ა ნ თ (სიმამრის ძმის ბიჭი), უ ს თ დ ე ე ე შ ო-ო ო ა (სიმამრის ძმის ქალი), უ ს თ ნ ე ე ნ-ე ო შ (სიდედრის და), უ ს თ ნ ე ე ნ-ე ო შ (სიდედრის ძმა), მ ა რ დ ა ა (მამამთილი), მ ა რ ნ ა ა ნ (დედამთილი), მ ა რ ვ ო შ (მაზლი), მ ა რ ო ო შ (მული) და სხვ. რძალი ნ უ ს, ქმრის ყველა ნათესავს მულად და მაზლად მიიჩნევდა, ხოლო სიძე ნ ა უ ც – მოყვრად სთვლიდა ცოლის ყველა ახლობელს. ცოლ–ქმრის და–ძმები ნათესავებად ითვლებოდნენ და მათ შორის ქორწინება ადათით აკრძალული იყო, ხოლო ბიძაშვილებს, მამიდაშვილებს და დეიდაშვილებს შორის ქორწინება ადათით დაშვებული იყო. ე.ი. ცოლის ძმას ან ბიძაშვილს შეუძლო სიძის ბიძაშვილ, დეიდაშვილ–მამიდაშვილზე დაქორწინება და პირიქით.

ხელოვნური დანათესავეების წესს ქისტებში დიდი ხნის ისტორია აქვს, რაც დობილ–მშობილობაში გამოიხატებოდა. მათ შორის ქორწინება დაუშვებელი იყო [7]. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საინტერესოა ნ. ჯავახიძის სტატია,

სადაც დაწვრილებით არის განხილული პანკისელი ქისტების ნათესაობითი სისტემა. ავტორის თვალსაზრისით კავკასიის მრავალეროვნული კულტურა ხასიათდება როგორც საერთო, ისე ინდივიდუალური პარამეტრებით. აქედან გამომდინარე დგინდება ყველასთვის საერთო ლოკალურ-სპეციფიკური ელემენტები, რაც მას აძლევს საშუალებას ქისტების ნათესაობის აღმნიშვნელი ტერმინოლოგია განიხილოს კოდური სისტემის გამოყენებით და სიგნიფიკატების (საერთო თვისებების) მითითებით დაადგინოს დიფერენციალური კომბინაციები [11: 42–53].

ეთნოგრაფიული მონაცემებით, ქისტებში მიღებულად ითვლებოდა სოფლის შიგნით ქორწინება. ყოველი ქისტის ოჯახი დანიტერესებული იყო მოყვრობითი ნათესაობა დაემყარებინა თავისივე სოფელში. მხედველობაში იღებდნენ სახიძოს ოჯახის ავტორიტეტს, ეკონომიკურ მდგომარეობას და შეხედულებას. ასე უდგებოდნენ ვაჟის ნათესავეები ქალის შერჩევას. ანალოგიური მდგომარეობა დასტურდება თუშეთში, ვაშკასა და ხევსურეთში [12: 16–17]. უწინ ქისტებში ქალი 20 წლისა ქორწინდებოდა, ხოლო ვაჟი 25–30 წლისა (იშვიათი შემთხვევა იყო, როცა ქალი 15–16 წლისა თხოვდებოდა). დღეს ქალი თხოვდება 16–17 წლისა, ხოლო ვაჟი ქორწინდება 18–19 წლის [9: 16]. თუმცა, წარსულში წლოვანებით უფროსები უმცროსებსაც ირთავდნენ ცოლად. საველე ეთნოგრაფიული მასალებით, საარეო გაურგაშიელი 12 წლისა იყო, როცა შერთეს მახამა მარგოშიელი, მაგრამ იგი 15 წლის ასაკამდე ცხოვრობდა მათ ოჯახში, როგორც ახლობელი სტუმარი და შემდეგდა მოხდა მათი ოფიციალური ქორწინება. ამ წლოვანებისანი კახეთშიც ქორწინდებოდნენ.

ქართლ-კახეთში 12–14 წლის ქალის გათხოვების ფაქტების შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდის ნ. მანაბელი, რომელსაც მიაჩნია, რომ ეკლესიის წესის შეცვლასთან დაკავშირებით შეიცვალა ქორწინების ასაკიც – ქალისათვის 16, ვაჟისთვის კი 18–19 წელი [13: 17–20].

საველე ეთნოგრაფიული მასალებით, პანკისის ხეობის ქისტებში ქორწინების რამდენიმე ფორმა არსებობდა: დანიშენით – დ ი ე ხ ნ– ი გ ა რ; საქმროსთან (ან შუამავალთან) შეთანხმებით ქალიშვილის ოჯახიდან გაპარვა – დ ე ჭ ყ ა ნ– დ ა ხ ა რ; ქალის მოტაცებით წაყვანა და აკვანში დანიშვნა. შემდეგ ქისტების ყოფაში გაჩნდა ქორწინების სხვა ფორმებიც: ქალის ხელის შეხებით დანიშვნა – ქ უ გ თ უ ე ნ– ი ე ხ ა რ, ფულის ან რაიმე ნივთის მიცემით დანიშვნა – ქ ე რ დ ე ლ– ი ე ხ ა რ. ქისტებში მიღებული იყო დანიშენით ქორწინება, მაგრამ დროთა განმავლობაში იმატა გაპარვის შემთხვევებმა. ოჯახიდან გაპარვით ქორწინება პირველ სამშობლოშიც ხდებოდა, თუმცა ინგუშეთში ქალიშვილის გაპარვა დიდ სირცხვილად ითვლებოდა, ამიტომ იქ დანიშენით ქორწინება ჭარბობდა.

პანკისის ხეობის ქისტების ყოფა-ცხოვრება პირველად აღწერა მ. ალბუთა-შიელიძე. მის მიერ დაფიქსირებული მასალებიდან ჩვენი ყურადღება მიიპყრო ქალის ნიშნობამ და მასთან დაკავშირებულმა ტრადიციებმა. ნიშნობა ასეთია: ვაჟის მამა იშოვის ერთ-ორ თუნჯ არაყს. თან გაიყოლიებს ორ კაცს და ღამე მივა ქალიანთას. თუ ქალი ობოლია და მშობლები არ ჰყავს, მივლენ იმის ახლო

ნათესაგ-მამაკაცთან, ჩამოვადებენ ლაპარაკს, დაიყოლიებენ მას და იქვე მისცემენ ერთ ან ორ მან. ფულს და ქალი დანიშნულია. მორიგდებიან ურბეთზეც, რამდენი უნდა მისცენ და ვადაზე ჩააბაროს. დანიშნულ ქალს იმით ეტყობა, რომ ცოცხალი თავით ბიჭის ნათესავეებს არ ეჩვენება, სანამ ჯვარს არ დაიწერს. თუ ქალი არა სასურველ ბიჭზე დანიშნა, მაშინ იგი არც საქმროს ემალება და არც იმის ნათესავეებს. ამ შემთხვევაში, ბიჭს შეუძლია სადმე შეხვდეს და ჰკითხოს – „რაღომ არ მეძალები“. თუ ქალისაგან უარის პასუხი მიიღო, მაშინ ბიჭს უფლება აქვს თავი გაანებოს და ქალს სხვაგან გათხოვების უფლება არ მისცეს, თუნდაც შინ დაბერდეს. სხვა შემთხვევაში თუ ქალი თანახმაა, მაშინ ვაჟიანი შეუთვლიან: „მოდით წაიღეთ თქვენ რაც გეკუთვინისთ, ქალი უნდა წამოვიყვანოთო“. დანიშნავენ დროს. ქალიანნი შეატყობინებენ სოფელში ყველა ნათესავს, რომ რაც შეიძლება მეტი ბიჭები მოიყვანონ, რაც დიდ პატივისცემად ითვლებოდა. წავა ოცამდე ბიჭი და ურბეთის აზღვით მამაკაცები, უეტყველად დამე. დასხედებიან ჭამენ, სვამენ, რაც კი შეუძლიათ. მეორე დილას ვაჟიანები დაპატიებენ თავის ნათესავეებს, რომელთაც თან მიაქვთ საჭმელ-სასმელი და სადამომდე გრძელდება სუფრა. შემდეგ ქალის მყურებიდან, ერთი მიიღებს ურბეთის ფულს და სადამოს წავლენ. თუ სახლის პატრონისგან დავალებული აქვს, იმ ურბეთის ფულიდან ცოტაოდენს დაუბრუნებს ისევე ვაჟიანთ. წინათ ურბეთის რაოდენობა იყო რვა თუმანი, ან 16 მეწველი ძროხა. თითო ძროხა ფასობდა 5 მან. შემდეგ ვაჟის ნათესავეები უნდა ესტუმრონ ქალის ოჯახს, სადაც ასევე იმართება ნადიმი. დიდი სამზადისი აქაც და იქაც არ იციან. ორივეგან ცხვარს დაკლავენ, ცხაღია ვაჟიანი უფრო მეტს ამზადებენ. როდესაც ქალი დანიშნულია, ვაჟი ეუბნება – მიიღეთ თქვენი, მე ჩემი უნდა წავიყვანო. ქალიანი შეუთვლიან – „დრო არ გვაქვს“. მაშინ ვაჟს სხვა ბიჭები შეაგულიანებენ, წავა მოიტაცებს და თავის სახლში მოიყვანს. თუ ვინიცობაა ამ დროს ქალის ნათესავი შეხვდა, უთუოდ ომი ატყდება. მიუხედავად ქალი დანიშნული ჰყავს და ბიჭი სიძედ ითვლება. თუ ასე მშვიდობიანად მოტაცებით მოიყვანა თავისი დანიშნული, ცოტა ხნის შემდეგ ცოლუურების შერიგება მოხდება. შერიგება ისევე იმ წესით ხდება, როგორც დანიშვნის დროს. ვაჟიანი რამდენიმე ავტორიტეტიან მოხუცს (ნათესავს თუ თანასოფელს) გააგზავნიან, თან გაატანენ ჭედღლას ან ერთ ძროხას, რამდენიმე ჩაფ არაყს (შეძლებაზე დამოკიდებული), მივლენ და შეეხვეწებიან ქუდმოსხდილები: შეურიგდითო. ზოგი ისე გაჯიუტდება, რომ რამდენჯერმე მიიყვანენ და შემდეგ შერიგდებიან. როდესაც ბიჭი დანიშნულს იტაცებს, ის მარტოკა თავის დღეში ვერ გაბედავს. მას თან მიჰყვება თანასოფელელი, ნათესავი ორი ან სამი კარგი მარჯვე ბიჭი. წინასწარ შეპირებულ ქალს, დათქმულ ადგილას მიჰყავს დანიშნული ქალი და იქ მივა ბიჭი თავის ამხანაგებით, დაიჭვრს, ქალი ყვრილის მორთავს, მაშინვე პირში ხელსახოცს ჩასწრიან, ხედებს უკან შეუკრავენ, თუ შეატყვევს რომ სოფელში ხმა მალე გავარდება და მღვერი ხალხი წამოვაო, მაშინვე ხელდახელ გააქცევენ ტყისაკენ, სადაც წინასწარ შერჩეული ადგილი აქვთ შეთვალთქმებული დასამალად. თუ რომელიმე სახლში ჩუმათ დამე ხდება ეს ამბავი და იციან რომ ქალს ვერც სოფელი და ვერც ნათესავეები დროზედ ვერ მიეშველებიან, მაშინ ქალს ეტყვიან ადე წავიდეთო. თუ ქალი თავის ნებით არ ადგა და არ გაჰყვა, მაშინ ერთ-ორ მათრახს ან ჯოს

აქიდებენ და ისე მშვენივრად, სუხსუხით გაჰყვება, რომ თვითონვე უკვირდეს. ის ქალები, რომლებიც ამ გატაცებულს გვერდით ჰყავდნენ, ეცდებიან, რომ თვითონვე მიეშველონ ქალს და არ გაატანონ თვალსაფრად. როცა ქალს წაიყვანენ, მაშინ სოფელს შეატყობინებენ პარიჭა ეს და ეს გაიტაცესო. გამოცვივებიან ყველა ნათესავ-მეზობლები, თუ შორეული თოფებით და გაჰყვებიან კვალზედ. თუ ამ დროს იმათ დაეწვივნენ, ერთმანეთს დახოცავენ. ვაჟი ცოცხალი თავით ქალს იმათ არ გაატანს, ნათესავები კიდევ სასიძოს და ბოლოს ვინც ცოცხალი გადაარჩება, ის წაიყვანს ქალს. ქისტებში ბევრჯერ ყოფილა შემთხვევა, როცა გატაცებულ ქალს, სიკვდილის ასაცილებლად თავი გამოუღვია – დაუშოშმინებია დაპირისპირებულები. რაკი ერთხელ ბიჭი ხელს წაავლებს ქალს, ტყეში ისეთ ადგილას მოუფარებინ, რომ ეშმაკმაც ვერ იპოვოს ისინი, არამც თუ კაცმა. დამხმარე ბიჭები თავს ანებებენ მათ ტყეში და სადმე სხვა სოფელში მიდიან, გაერიდებიან, სანამ ყველანი დაშოშმინდებიან. ნათესავებსაც ძებნა მოსწყინდებათ და თავს ანებებენ. ქალიც გაწმდება, რომ სისხლი არ დაიდვაროსო. თუ ტყეში ბევრი ხანი დარჩნენ, საჭმელს ისეთ დროს უზიდავენ, როცა ყველას სძინავს და ამავე დროს მივლენ კიდევ თავიანთ სახლში. შემდეგ დაიწყება ჩვეულებრივი შერიგება.

მ. ალბუთაშვილი აღნიშნავს: „ძნელად იქნება, რომ ქისტის ქალი ეკლესიაში ჯვარდაწერილი გაჰყვეს. ძველებური ჩვეულებით, ნეფე წვეულებაზე არ ესწრება. იგი სადღაც დამალულია, სანამ ქალის მოყვანა და სტუმრიანობა არ დამთავრდება. მაყრები რომ მივლენ, ქალი თავის სახლში, ერთ კუთხეში მიმალული ზის და გარს ახევეია ქალები. ამასობაში წასვლის დროც მოდის. დედოფალს თუთრი ჩანრი აქვს თავით ფეხებამდე ჩამოფარებული, ჩააყენებენ შუაში და გასწვევენ წინისაკენ. მაყრები წინ მიდიან და ისერიან დამბაჩებს, მანამ ვაჟის სახლამდე მიიყვანენ. ამ ყოფით შეიყვანენ სახლში, დასვამენ ყურჭულში და შემოეხვევიან ისევ იმ რიგად ქალები. აქაც ქორწილი ჩვეულებრივია. ოდნავ მოხარშული ხორცი, „გალანები“ და „ბიერუშ“ (ნივრიანი წვენი), არაჟი გულუხვად. ქალები მუსიკას უკრავენ, მღერიან და თამაშობენ. დილით დაწყებული ქორწილი მერე დილას მთავრდება. რომ გათენდება, ნათესავები და ახლო მეზობლები, ერთ-ორი ბიჭის თანხლებით გამოიყვანენ პატარძალს ეზოში, ხელში მისცემენ თუნგს და წაეღენ წყალზე. პატარძალი აავსებს ამ თუნგს წყლით, ცოცა რამეს შეჭამენ იქ. ადღვრძელებენ პატარძალს არჟით, ზოგმა ქალის წადებაც იციან, ბიჭები თითო დამბაჩას ან თოფს დასცლიან და წამოვლენ სახლში. ამ დროიდან იწყება პატარძლის მუშაობაში ჩაბმა. ნეფე, რომელიც აქამდე დამალული იყო, ისიც მობრუნდება სახლში. მაშაღიან ქისტებში ხშირად ხდება, რომ ნეფე ცხვარშია წასული. მშობლები იმას ცოლს მოუყვანენ. როცა სახლში მოვა, მერეღა გაიცნობს თავის „ცოლს“ [4: რე. 2.7-11].

ქართველების მეზობლად დასახლებული ქისტების საქორწინო წესებმა თანდათანობით ცვლილება განიცადა. ქორწინების ფორმებმაც უფრო გამოკვეთილი სახე მიიღო.

1. როცა ვაჟის მშობლები დაადგენდნენ ქალისა და მისი ოჯახის ვინაობას, ქალის სათხოვნელად გააგზავნიდნენ რამდენიმე (სამი-ოთხი) რწეულ კაცს. ატანდნენ 40-50 ლიტრა არაყს ან ღვინოს, ერთ თავ შაქარს (შემდეგ შაქრის ნაცვლად 50 მან. ფულს) და ჭედილა ცხვარს. შუამავლები ქალის მშობლებს

მოახსენებდნენ მისვლის მიზეზს, შეაქებდნენ ბიჭს, მის ოჯახს. ქალი მეორე ოთახიდან უსმენდა მათ. როცა შუამავალი ღაპარაკს დაამთავრებდა, ჰკითხავდა მამას: „რა აზრისა ხართ ამ საკითხზე?“ თუ მშობლები (განსაკუთრებით მამა) მიზანშეწონილად ჩათვლიდნენ ამ ნიშნობას, მამა ქალის დაუკითხავად იტყოდა: „დაკალით ცხვარი“, რაც თანხმობის ნიშანი იყო. ამ სიტყვების გაგონებისას ქალი წივილს მორთავდა, არ მინდაო. დასანიშნი ქალის წივილ-კივილს ამ დროს რიტუალური ხასიათი ჰქონდა. თვითონ თანახმაც რომ ყოფილიყო, მაინც იყვირებდა, რათა სათხოვნელად მოსულ შუამავლებს არ ეთქვათ, ქალი მაშინვე დათანხმდაო. თუ მშობლები თანახმა იქნებოდნენ, ნიშნობა მაინც შედგებოდა.

მამის თანხმობის შემდეგ ცხვარი დაიკვლევოდა, შუამავლებიდან უმცროსი ცხვარს ხელდახელ გაატყავებდა, დაჭრიდა და დიდი ქვაბით დადგამდა მოსახარშად. ამ დროს ოჯახიდან უმცროსს გაგზავნიდნენ მეზობლების, ნათესავების დასაპატიებლად. მოხარშავდნენ რამდენიმე ქვებ მჭადის გორგლებს— გაღანაშ. ამასობაში ხორციც მოიხარშებოდა, მეზობელ—ნათესავებიც მოვიდოდნენ, დასხდებოდნენ სასმელ—საჭმელად და გათენებისას დაიშლებოდნენ. შუამავლები კი დანაყრდებოდნენ და მაშინვე წავიდოდნენ, რომ ამბავი მიეტანათ ვაჟის მშობლებისთვის [5: №2].

ვეინახურ ფოლკლორში გვხვდება ე.წ. ტირილი, ანუ ქალის სამღურავი მშობლების მიმართ, მისთვის არასასურველ მამაკაცზე დანიშნის გამოს:

„ხო მოირა ა, ვა სა დაადა,
 დუედან ხინუ ჭუსინა,
 ხი მიელ დუედან ღუაილა ელლა,
 ჰო ხი სოცუს სოციილა ელლა.
 სო მოირა ა, ვა სა ნანა,
 დოოგუს წერალ ჭუსინა,
 წი მიელ დოოგუ დოოგილა ელლა,
 ჰო წი დოფნა დოილა ელლა.
 ცაბიეძარი ქოო ტი ჭუსინ
 მერძა ბეეხან ნესარის ჰუეგაშ,
 ჰო დოგ დიელხაშ ლიელეილა ელლა
 დუნიენდ დიქდერგ მაგუილა ელლა“.

ლექსი ქართულად ასე უდერს:

“მე დამღუპე შენ, ჩემო მამავ,
 მდინარე წყალში გადაგდებული,
 წყალს გაყვე, სადამდეც მიდის
 იქ გაჩერდი, სადაც წყალი გაჩერდება.
 მე დამღუპე შენ, ჩემო დედავ,
 ანთებულ ცეცხლში გადაგდებული,
 სანამ ცეცხლი იწვის დამწვარხარ
 ცეცხლთან ერთად ჩაბუგულხარო.

ვინც მძულდა, მის კარზე მიმაგდეთ,
ინატრეო ტკბილად მცხოვრები რძლები,
ატირებული გულით იარეო და
ქვეყნად კარგი არ გენახოს მარადო“.

დანიშნულებიდან ორი კვირის შემდეგ ვაჟის ნათესავეები (10 კაცი) წავიდოდნენ დანიშნულების სანახავად საჩუქრებით და ძღვენით. მათი მისვლისთანავე დანიშნული სხვა ოთახში დაიძალებოდა. მულები, მაზლები მაშინვე მოიკითხავდნენ სარძლოს. იგი დუმილით, სახეზე მანდილიანოფარებული ხედვოდა მათ. ამ წესს მოათვაბარენის შენახვა ეწოდებოდა. ოჯახი პატიუებდა ბიძაშვილებს, მოამზადებდნენ სხვადასხვა საჭმელს, გაიშლებოდა სუფრა. ქალები და კაცები ცალ-ცალკე დასხდებოდნენ და პურობდნენ. სარძლო ცალკე ოთახში იყო ხოლმე. სასიძოს ნათესავეები, მეგობრები (სათითაოდ) დუდიით ან წყლით სავსე ჭიქით ხელში, სარძლოს თხოვდნენ: „ნება მომეცი, დავლიო“. სარძლო თითქმის ჩურჩულით უპასუებდა: დ ა მ ა ლ – დავლიეთ. ამის შემდეგ სარძლოს უკვე შეეძლო მათთან დალაპარაკება. აღნიშნულ წესს მოათვაბარენ ეწოდებოდა. დალაპარაკების შემდეგ სარძლოს ფულით ან სხვა ნივთებით ასაჩუქრებდნენ, შუადამეშველ იმხიარულებდნენ და წავიდოდნენ. ამ ცერემონიაში სასიძო მონაწილეობას არ იღებდა. დანიშნული ქალიშვილი სამი წელი მაშის ოჯახში რჩებოდა და ამზადებდა თავისთვის მზითევს. დანიშნულს, სანამ იგი თავის მშობლების სახლში იყო, პატარძალს ნ უ ს-ქ უ ლ ს არ უწოდებდნენ. ამ სახელწოდებას იგი იღებდა მხოლოდ ქმრის ოჯახში მიყვანის შემდეგ.

არსებული მონაცემების მიხედვით, ქისტებში ქალიშვილი დანიშნის დღიდან ევფემისტურ წესს მიმართავდა. მას, როგორც ოჯახში მიყვანილ პატარძალს – ნუსქულს, არ შეეძლო დედამთილ-მამამთილის, მულის, მაზლის და სხვა ახლო ნათესავეების სახელებით სსენება. ამდენად, იგი ყველას სხვა სახელებს არქმევდა და ამ შერქმეული სახელებით მოიხსენიებდა მათ მთელი თავისი სიცოცხლე, ამ წესს წ ი ვ ა ბ ა რ – სახელის შენახვას უწოდებდნენ.

2. საქმროსთან შეთანხმებით ქალიშვილის ოჯახიდან გაპარვის ფორმას (დ ე ჯ ყ ა ნ – მ ა ხ ა რ) იყენებდნენ მაშინ, როცა მშობლებს არ მოსწონდათ ქალიშვილის რჩეული. ქალიშვილი დამე მშობლების, და-ძმების უნურად გარეთ გავიდოდა. იქ საქმრო დახვდებოდა თავისი ამხანაგებით და წაიყვანდა თავის ან რომელიმე ნათესავის ოჯახში. მორე დილას ვაჟის მშობლები ქალის მშობლებთან გაგზავნიდნენ ერთ-ერთ ახლობელ მამაკაცს ამბის შესატყობინებლად, რომ „ქალს ნუ ეძებთ, ჩვენს ვაჟს გამოჰყვავო“. ქალის გაპარვით შეწუხებულ მშობლებს აწყნარებდნენ მეზობლები, ნათესავეები, თან სიძის ოჯახს აქებდნენ. მესამე, მეოთხე დამეს ბიჭის მშობლები ქალის მშობლებთან გაგზავნიდნენ ორ-სამ ავტორიტეტულ მამაკაცს და გაატანდნენ შესარიგს – თ ო ა მ. თუ მშობლები ქალიშვილზე განაწყნებულები იყვნენ, მაშინ შესარიგს სამ-ოთხჯერ უკან დააბრუნებდნენ და გარკვეულ ხანს არ ურიგდებოდნენ. გათხოვების ეს ფორმა დღესაც არსებობს. ბოლო ხანებში დასანიშნი და შესარიგი ხარჯი ერთი და იგივეა.

3. ქალის მოტაცება ო დ ე ი ნ დ ი გ ა რ ქისტებში იშვიათი შემთხვევა ყოფილა, რადგან ასეთი ქორწინება დიდ ხარჯთან იყო დაკავშირებული. ქალის ძალით გატაცებაზე ჯარიმა ძველად 16–18 ძროხა იყო, ხოლო შემდეგ 1000 მან. თუ სახელმწიფო სამართალი ჩაერეოდა, 5–8 წლამდე თავისუფლების ადკვეთა და სასჯელის მოხდის შემდეგ ადათობრივი სამართლით დადგენილი ჯარიმის გადახდა ელოდა.

ქისტებში ქალის მოტაცების ორგვარი წესი არსებობდა: მოულოდნელი თავდასხმით ან ქალის სურვილით გატაცება.

მოულოდნელი თავდასხმით იტაცებდნენ მაშინ, თუ ბიჭმა ქალს ცოლობა თხოვა და უარი მიიღო მისგან, ან ქალი ბიჭს ატყუებდა დღესხვაღლებით. მეორე შემთხვევაში კი ქალი ბიჭს შეატყობინებდა, გატაცებით წამიყვანეო. საკითხის გარჩევის დროს ქალი იტყოდა: „მე თვითონ გავეყვიო“ და შერიგდებოდნენ. თუ ქალს არ უნდოდა გამტაცებელთან დარჩენა, მაშინ საკითხს განიხილავდა ადათობრივი სამართალი – ჳ ე ე ლ. მ. აღბუთაშვილის მასალებით, პანკისში „ბიჭი მოტაცებული პატარძლით ეზოში მშვიდობიანად შემოვა თუ არა დაცლის დამბაზას, ამით გაიგებენ მშობლები, ნათესავეები, რომ თავიანთი ფეხით მოვიდნენ და ვინც არ უნდა გაიგოს ფიქრი არაა საჭირო“ [4: რგ. 4].

ქალის ძალით მოტაცება ოდესღაც ქორწინების ჩვეულებრივი ფორმა ყოფილა. პატარძლის წამყვანთათვის შეიძლებოდა გზა გადაეკეტათ და გამოსასყიდის გადაღების შემდეგ გაეშვათ. მომტაცებლის ოჯახში მიყვანილი პატარძალი პირველ ხანებში არავის იცნობდა. ამიტომ დამხვდურები და პატარძალი ერთმანეთს არ ელაპარაკებოდნენ. ქალმა არც მომტაცებლის ნათესავეების სახელები იცოდა და მათ შერქმეულ სახელებს დაუძახებდა. როგორც ჩანს, გატაცება თანდათან ჩვეულებად იქცა და ყოფაში დამკვიდრდა. ნ უ ს – რძალი, ნ უ ს ქ ა ლ – პატარძალი, ძ ა ა ხ ა ლ – მძახალი, რაც უდაოდ ძველია. მათ საერთო აქვთ ქართულ ქ ა ლ–თან და მძახალთან. ეს სიტყვები ქისტებმა თან მოიტანეს და ქართულთან ერთად იბერიულ-კავკასიურ ენათა ჯგუფს უნდა განეკუთვნებოდეს.

4. მცირეწლოვანი ქალ-ვაჟის დანიშვნა, რომელიც მივიწყებასაა მიცემული, მშობლების, კერძოდ დედების, ურთიერთდამოკიდებულებაზე ყოფილა დაფუძნებული. ისინი ბავშვის აკვნის ასაკიდანვე სიტყვას აძლევდნენ ერთმანეთს: „გაზრდის შემდეგ ჩვენმა შვილებმა ერთმანეთი უნდა შეირთონ“, ყოველგვარი ნიშნის მიცემის გარეშე. ამ დღიდან ოჯახებს შორის მჭიდრო ურთიერთობა მყარდებოდა. ამ ურთიერთობის მიზეზი ცნობილი ხდებოდა ნათესავ-მეზობლებისათვის. 1890 წელს ამ წესით დანიშნულები ყოფილან სოფ. დუისში მცხოვრები მახიგა მარგოშვილის ვაჟი და უნახქა ბაღაკაშვილის ქალიშვილი. როდესაც ქალ-ვაჟი სრულწლოვანი გახდა, მარგოშვილებს შეუთვლიათ ბაღაკაშვილებისთვის ქორწილის დღის დანიშვნის შესახებ. ამ უკანასკნელებს ქალის მოთხოვებაზე უარი განუცხადებიათ, მაგრამ ქალის მხრიდან შეურაცყოფილ ვაჟს მოტაცებით მაინც წაუყვანია თავისი დანიშნული. მსგავსი შემთხვევა მოგვიანო დროსაც მომხდარა. ამგვარი ქორწინება საზოგადოებამ დაგმო და ხალხის მეხსიერებაშიც უკვე გადაივიწყა.

5. ხელის შეხებით ქ უ გ თ უ ე ხ ნ და ფულის ან რაიმე ნივთის მიცემით დანიშვნა სადაო იყო და ადათობრივი სამართლის სამსჯელო საკითხად იქცეოდა ხოლმე. ქალის ხელის შეხებით შეურაცხყოფის მიმყენებელ პირს ჯარიმას აკისრებდნენ 5-6 დროხამდე და ქალს უფლებას აძლევდნენ გათხოვილიყო თავის სურვილისამებრ. თუ საქმეს არ გაარჩევდნენ, ქალს სხვაგან გათხოვების უფლება არ ჰქონდა. თუ ნათესავეები ჩაერეოდნენ და მიზანშეწონილად ჩათვლიდნენ აღნიშნულ ქორწინებას, მაშინ ადათობრივი სამართლის კ ე ა ლ ხ ო ი - მედიატორების მიერ დაკისრებული ჯარიმის გადახდის შემდეგ შეეძლო ქალის დანიშვნით წაყვანა. თუ დასანიშნი ფული ან რაიმე ნივთი თვითონ ქალმა აიღო მშობლების უჭურად, ეს იმას ნიშნავდა, რომ იგი თანახმაა მოელაპარაკონ მის მშობლებს, ხოლო თუ დასანიშნი ბიძამ ან ბიძაშვილმა აიღო, მაგრამ ქალიცა და მშობლებიც წინააღმდეგი იყვნენ, მაშინ ფულის აძლები ხელს იღებდა მათთან ნათესაობაზე და აღებულ თანხას უბრუნებდა ვაჟის მშობლებს. ქისტებმა განათხოვარი ქალის დანიშვნით წაყვანა და ქორწილის გადახდა არ იცოდნენ. ამასთანავე, დაუქორწინებელი ვაჟი განათხოვარ ქალს იშვიათად თუ ითხოვდა, ისიც მაშინ, თუ ვაჟი მეტისმეტად ღარიბი და ქალი კი შეძლებული ოჯახიდან იყო. ასეთ ქორწინებას საზოგადოება ჩეჩნებისგან განსხვავებით აგდებულად უყურებდა და თავის განცვიფრებას არ მალავდა.

ქისტებში ქორწინების ნებისმიერ სხვა ფორმას მოჰყვებოდა ქორწილის გადახდა, განსაკუთრებით მაშინ, როცა ქალიშვილი მშობლების ოჯახიდან წინასწარი დანიშვნით მიჰყავდათ.

ქორწილისთვის ორივე მხარე ემზადებოდა. ქალის ოჯახი მზითვს ამზადებდა, ხოლო ვაჟის - ქორწილის მთლიან ხარჯს. გამოხდიდნენ ხორბლის ან სიმინდის ღულეს, არაყს, ასუქებდნენ საკლავს, მატან-ახმეტის გლეხებისგან ყიდულობდნენ ღვინოს და სხვ. ქორწილში თავს იყრიდნენ ნათესავეები, მეზობლები და სხვა სოფლებიდან დაპატიჟებული სტუმრები. სუფრის გაწყობაში მონაწილეობას იღებდნენ ვაჟის და-ძმები, ბიძაშვილები და მეზობლების ახალგაზრდა ქალები და ბიჭები. საქორწილო ცერემონია ტარდებოდა დღე, იშვიათად ღამე. ვაჟი, რომელიც ცოლს თხოულობდა, ზეიმს არ ესწრებოდა. ადათის თანახმად, მას უფლება არ ჰქონდა ლხინში, დროსტარებაში მონაწილეობა მიეღო. იგი საქორწილო ცერემონიის დამთავრებამდე იმყოფებოდა მეზობლებში და არ დაენახებოდა ქორწილში მოსულ საცოლის ნათესავეებს. ასეთვე წესები იყო ჩეჩნეთში და ინგუშებშიც [5: რვ. 2]. ქორწილი ჰ ო ლ ჩ ა დ იწყებოდა დილის 10 საათიდან დოღ-ზურნისა და გარმონის დაკვრით. ამით ნათესავეებსა და მეზობლებს შეახსენებდნენ, რომ მისულიყვნენ, სანამ მაყრებო-ძ ე მ ი ე შ პატარძლის მოსაყვანად წავიდოდნენ. ვაჟის ოჯახი დილითვე ორ მამაკაცს გაატანდნენ ქალის ოჯახში ორ ცხვარს, სასმელს და გამომცხვარ პურს. ამას ჰ ო ლ ჩ ა დ დ ა ა ყ ს - ქორწილის წილს უწოდებენ. მათთან ერთად მიდიოდა ვაჟის ბიძაშვილი ან დეიდაშვილი-ქალი, რომელსაც დაკლული ცხვრების გულ-ღვიძლი მაღვით უნდა წამოეღო ვაჟის ოჯახში. მთხრობელი ამ წესს შემდეგნაირად ხსნის: „ბიჭის ოჯახიდან ქორწილის წილის სახით ცოცხლად წაყვანილი ცხვრების გულ-ღვიძლის ქალის მშობლების ოჯახში დატოვება საშიშროებას ქმნიდა სიძის ცოლეურებში მიბრუნების. თითქოს სიძე გულით და სულით

დაემორჩილებოდა ცოლს და ცოლეულებს. ამიტომ რაც არ უნდა დაჯდომოდა ამ გულ-ღვიძლის იქ დატოვება, ადათის მიხედვით არ შეიძლებოდა“. შესაძლებელია ამ წესს სხვა თავისებური ტრადიციული ახსნა აქვს, მაგრამ ჩვენი დროის მთხრობელები მის ძველ ახსნას არ იძლევიან.

ქორწილის დამთავრების შემდეგ ამ გულ-ღვიძლს მოხარშავდნენ და ჭამდნენ მხოლოდ ნუფ-პატარძალს, ეჯიბი და მდადეები ბიჭის ოჯახში. ქალის ოჯახში მიყვანილ ცხვრებს დაკლავდნენ, მოამზადებდნენ სხვადასხვა კერძს, გაშლიდნენ სუფრას და თავისი მხრიდან დაპატიუებულ ნათესავებს და ქალის წასაყვანად მისულ მაყრებს ძ ე მ ი ე შ-ს – უმასპინძლებოდნენ. ვაჟის ოჯახში საპატარძლოს და მაყრების (ორივე მხრიდან) მოსვლამდე წვეულება არ იწყებოდა, თუმცა იქვე, სპეციალურად გაშლილ სუფრაზე მაყრების პატარძალთან წასვლამდე იწყებოდა ღვინო, რომელსაც თამადა – თ კ ა მ დ უძღვებოდა.

პატარძლის მოსაყვანად მიდიოდნენ ვაჟის ძმები, დები, ბიძაშვილები, ახლობელი მეგობრები. ამ ჯგუფს მიყვებოდა ერთი ჭარმაგი მამაკაცი, რომლის ვალი იყო წესრიგის დაცვა და ახალგაზრდებისთვის უფროსობის გაწევა. მაყრები (თუ სხვა სოფელში მიდიოდნენ) ცხენებზე ამხედრებულები სიმღერით მიიჩქაროდნენ. ისინი (მამაკაცები), როგორც წესი, შეიარაღებული იყვნენ და გზადაგზა სროლით, ყოყინით და მხიარულებით მიდიოდნენ საპატარძლოს ოჯახში, სადაც მაყრებს ხვდებოდნენ ოჯახის უფროსი (ის, ვისთვისაც მინდობილი ჰქონდათ ამ ქორწილის ჩატარება, ე.ი. ქალის ბიძა ან ბიძაშვილი) და ქორწილში დაპატიუებული სტუმრები. თუ პატარძალი თავისივე სოფელში მიჰყავდათ, ფეხით მიდიოდნენ.

ქალის ოჯახში მაყრებს გაშლილი სუფრა ხვდებოდა – თამადად უნდა ყოფილიყო სასიძოს მხრიდან მისული წლოვანებით უფროსი მაყარი, რომელსაც სუფრაზე სადღეგრძელოები უნდა წარმოეთქვა. სადღეგრძელოების შუალედში ცეკვავდნენ და მღეროდნენ. ამ დროს პატარძალი ცალკე ოთახში იყო და არ ახევენებდნენ მაყრებს. დღის 12 საათის შემდეგ პატარძლის ოთახის კარს გააღებინებდნენ, რისთვისაც მისცემდნენ საჩუქრებს (წინდები, ცხვირსახოცი, ან 2-3 მან. ფული). გამოიყვანდნენ პატარძალს, შესვამდნენ უფროსი მახლის ან ძმანდაფიცის ცხენის გავაზე; სიმღერთა და თოფების სროლით მივიდოდნენ საქმროს ოჯახში. მაყროს წინ მიუძღოდა მახლი ან ძმანდაფიცი პატარძლითურთ, ხოლო მაყრები ორივე მხრიდან ჯგუფურად უკან მისდევდნენ და მღეროდნენ ერთგულებაზე, გამბობაზე, სიყვარულზე. ერთ-ერთი მაყარი – მახარობელი – კ ა ბ ა ა კ ა მხანაგების უჩუმრად სხვა გზით მოახერხებდა წინ წასვლას, რომ შეეცდომებინა ვაჟის ოჯახისთვის მაყრების მოახლოება და პატარძლის მშვიდობიანად მოყვანის აშბავი. ანალოგიური ჩვეულება ჰქონდათ სხვა მთიელებსაც.

ამ ამბის შეტყობინებისთვის მაყარი საჩუქრად იღებდა წინდებს– ბ ო რ-ჯ უ მ ა შ და პირსაწმენდს– მ ო ე ლ ა ჯ. პატარძლით მისულ მაყრებს აქაც შემოსასვლელ ეზოს კარს უკეკავდნენ (ერთ-ერთი მამაკაცი) და სანამ გასამრჯელოს არ მისცემდნენ, კარს არ უღებდნენ. ამ რიტუალს ქისტები ნ ე ა-ჭ ა ლ ი ა რ-ს უწოდებენ. ვაჟის ოჯახში მიყვანისთანავე პატარძალი წყალზე მიჰყავდათ. აქ შეასრულებდნენ ტრადიციულ წესს, იქიდან დაბრუნების შემდეგ ოთახის შუაგულში დადებდნენ ცეცხლწაიკიდებულ მუგუზხალს წ ი ე ხ ე შ ქ და პატარძალს მის გარშემო სამჯერ შემოატარებდნენ.

პატარძალს გვერდით მდგომ ქალიშვილთან ერთად ნ უ ს ქ უ ლ ნ ე უ
ყ ვ ა ს თ ცალკე ოთახში შეიყვანდნენ და როცა მაყრები და სტუმრები, ყველა
მოთაყვანდებოდა, პატარძალსაც თავის ადგილზე დასვა მდნენ, შემდეგ მიუყვანდნენ
ორი წლის ბიჭს და კალთაში ჩაუსვამდნენ. ამით პატარძალს უსურვებდნენ
პირველი ვაჟიშვილის შექმნას და ის შვილი იყოს შვიდი და-ძმის ძმა. აღნიშნული
წესი დასტურდება ჩვენეთ-ინგუშეთში [5: რე. 3]. ლხინი, დროსტარება დღე და
დამე გრძელდებოდა. მამაკაცები და ქალები ცალ-ცალკე ოთახებში სხდებოდნენ.
ქალებს ამ პქონდათ მამაკაცებთან ერთად სუფრასთან დაჯდომის უფლება.
მზიან ამინდში საქორწილო სუფრა ეზოში იმდებოდა.

პატარძალი მდადეგებთან და მეზობელ-ნათესავ ქალიშვილებთან ერთად
ცალკე ოთახში იმყოფებოდა. ისინი ყველანაირად ცდილობდნენ, რომ პატარძალს
კარგი შთაბეჭდილება დარჩენოდა ამ ოჯახზე. შუა ქეიფში ოჯახის ახლობელი
მამაკაცი შემოიტანდა ოთახში (ან ეზოში სუფრაზე) პატარა სპილენძის თასს
და შემოსვლისთანავე დაიყვირებდა: „ააშენოს“ - „ააშენოს“ და ხმამაღლა იტყოდა:
„ამ და ამ პირმა საჩუქრად ამდენი ფული გაიღო“ და ჩამოთვლიდა ყველას,
ვინც საჩუქარი მოიტანა. საჩუქრებში შედიოდა ფული, საკაბეები, წინდები და
საოჯახო ნივთები. გადალოცილი საჩუქრები (ფული და სხვა ნივთები) ქალის
საკუთრება იყო. დილით დაწყებული ქეიფი, დროსტარება მეორე დილაამდე
გრძელდებოდა. თამადა ერთხელ კიდევ დალოცავდა ნეფე-პატარძალს, ყველას,
ვინც მონაწილეობა მიიღო ამ დიდებული საქმის კარგად ჩატარებაში და ქეიფს
დამთავრებულად გამოახცადებდა. ამის შემდეგ მაყრები და მოსული სტუმრები
დაიშვებოდნენ. ოჯახის წევრები და ნათესავები გაშლილი სუფრის ალაგებას
და ოჯახის წესრიგში მოყვანას შეუდგებოდნენ. საღამო ხანს იწვევდა ავტორიტეტთან
ხანდაზმულ მამაკაცს ან მოლას და ორი მოწმის თანდასწრებით მოხუცი პატარძალს
შეკითხებოდა - „გსურს თუ არა გახდე ამის და ამის ცოლი ურვადის- უ რ დ ი-ს
შეთანხმებული რაოდენობით?“ ქალი თანხმობის ნიშნად თავს დაუქნევდა. ამავე
შეკითხვით მიმართავდა ნეფეს და ქორწინების პროცესი ამით სრულდებოდა,
რასაც ქისტები მ ა კ ა რ დ ი ლ ლ ა რ-ს უწოდებენ. პატარძალს მზითვი -
ნ უ ს ქ უ ლ ფ ა რ თ ა ლ ურმით თან მოჰქონდა და ეზოში შეტანილს,
ცალკე ოთახში შეზიდავდნენ ხოლმე.

სამი-ოთხი დღის შემდეგ ვაჟის მშობლები დაპატიუებდნენ ქალის მშობლებს,
ნათესავებს, დაახლოებით 60 კაცს. პატიუებდნენ დამე, ვახშობის დროს. ამას
ნ ა უ ც გ უ ჩ ვ ა ჳ ა რ-ს უწოდებენ, რაც ნიშნავს სიძის ნახვას - გაცნობას.
ვაჟის ოჯახი ამ დროსაც სპეციალურად ემზადებოდა. როცა ვახშამს
დაამთავრებდნენ, პატარძლის ნათესავები მოთხოვდნენ ეჩვენებინათ სიძე. სიძე
დიდი მორიდებით (ქუდი თვალებზე ჩამოწეული, ხელში ღუდით სავსე ღოქით)
შედიოდა ოთახში. პირველად მივიღოდა სიდერ-სიმამრთან და მიაწვდიდა ღუდით
სავსე ჭიქას. ისინი ჭიქას გამართმევდნენ, დალოცავდნენ: ტკობლად დაბერდით-
მ ე რ ძ ყ ა ნ ლ ა ლ შ უ და დალევდნენ. შემდეგ უფროს- უმცროსობის
მიხედვით ჩამოატარებდა სავსე ჭიქას და დაალევინებდა ყველას. ამის შემდეგ
სიძეს დაასაჩუქრებდნენ. სიდერსი გადაულოცავდა საკოსტუმე ნაჭერს, სიმამრი
100 მანეთამდე ფულს, დანარჩენები ზოგი ფულს, ზოგი - სახალათე ნაჭერს,
წინდებს და ბრუნდებოდნენ სახლებში.

ერთი კვირის შემდეგ ქალი, მისი მეუღლე, მახლები და მულები გამზადებული ძღვენით (მოხარშული ქათმები, ქაღები, ხინკალი, ხილი, ტკბილეული), ცხვრით და სანუქრებით (სახალათე, საკაბე ნაჭრები, წინდები და სხვ) მიდიოდნენ ქალის მამის ოჯახში. იმას ჰქვია *ა ო ა ნ უ ა ლ ე ხ ა რ* (ქალის დაბრუნება ოჯახში). პურობის შემდეგ იმავე დამეს სიძე თავისი და-ძმებით უკან ბრუნდებოდა და პატარაძალი რჩებოდა ერთი-ორი კვირის განმავლობაში მამის ოჯახში. გაამზადებდა ქმარეულებისთვის სანუქრებს და ხელდამშვენებული ბრუნდებოდა ქმრის ოჯახში. ამის შემდეგ ნეფე-პატარაძალი თავისუფლად მიდიოდნენ ერთმანეთის ოჯახებში.

ამ საკითხს საინტერესო წერილი მიუძღვნა ლ. მელიქიშვილმა. მას ქისტების საქორწილო ტრადიცია დაყოფილი აქვს სამ ეტაპად: 1. ქორწილის წინა პერიოდი-საკუთრივ დანიშვნა (აკვანში, ხელის შეხებით, ფულით, მოტაცებით); 2. საკუთრივ ქორწილი (მაყრები, მახარობელი, პატარაძლის წყაღზე გაყვანა, რელიგიური ქორწინებ-მ ა პ ე რ დ ი ლ დ ა რ); 3. ქორწილის შემდგომი პერიოდი - *ა ო ა ჩ უ ე უ ა ლ ე ხ ა რ* - მშობლების ოჯახში ქალიშვილის მისვლა და სიძის მიპატივება. ავტორი ჩენჩურ ქორწილს უდარებს ქისტურს. ქართველების გარემოცვაში ქისტურმა ქორწილმა მხოლოდ საქორწილო სუფრა შეცვალა [14: 55-59].

რუსულ ლიტერატურაში ურვადი თითქოს გარკვეული საფასური იყო, რომელსაც სასიძო საცოლის ყიდვის მიზნით უხდიდა ქალის მშობლებს. აი რას წერს ნ. გრაბოვსკი: „ეს უცნაურად არ უნდა გვეჩვენოს, რადგან არც თუ ისე დიდი ხნის წინათ, ინგუში საკმაოდ ძვირად - 18 ძროხად ყიდულობდა თავისთვის ცოლს. იგი ისე უყურებს ცოლს, როგორც ნივთს და პირუტყვივით ამუშავეებს მას“ [15: 119].

ვაქტიურად კი ურვადის/ურ დ ი-ს სრული შესაკუთრე თვითონ პატარაძალი იყო და არა მისი მშობლები. ამ დაწესებულ ფასს სასიძო გაყრისას უხდის პატარაძალს. სიტყვა *ურ დ*, *ურ დ უ*, ჩენჩურად *ურ დ ი-ს* ომონიმია, რაც მიწის ნაკვეთს ნიშნავს. ოდესღაც არსებობდა ჩვეულება, რომლის თანახმად გაყრის შემთხვევაში ქმარი ერთ დღიურ სახნავ ნაკვეთს აძლევდა ცოლს.

ამავე წესებს ასრულებენ მაშინაც, როდესაც ქალიშვილი თავისი ნებით, ფარულად იყო სახლიდან წასული. ამ დროს სიძეს პატარაძალი მშობლების ოჯახში კი არ მოჰყავს, არამედ რომელიმე ნეიტრალური პირის სახლში სტოვებს. ქალიშვილის ნაშუსის დაცვა (მშობლების მიერ ქორწინებაზე ფორმალური თანხმობის მიცემაზე) იმ ნეიტრალური ოჯახის უფროსს ევალებოდა. ქორწინებაზე მშობლების თანხმობის მიღებისთანავე პატარაძალი ქმრის სახლში მიჰყავთ.

პანკისელ ქისტებში ცოლი და ქმარი ერთმანეთს სახელით არ მიმართავდნენ. თუ რძალი თავის მამამთილს დიდხანს არ დაეღაპარაკებოდა, ეს განსაკუთრებულ პატივისცემად ითვლებოდა. ზოგჯერ დუმილი მთელი წელიც გრძელდებოდა. ქისტებში ამასთან დაკავშირებული მრავალი თქმულება გვხვდება. აი ერთ-ერთი მათგანი: პატარაძალი მამამთილს - *მ ა რ დ ა ა-ს* კარგა ხანს არ ელაპარაკებოდა. ასეთი პატივისცემით კმაყოფილმა მამამთილმა რძალს სთხოვა, დაეღაპარაკოს - *მ ო ა თ ბ ა ს თ* (ენის ახსნა) და სანუქრად ძროხა მისცა. რძალი აღაპარაკდა და ამ დღიდან შეუწერებლად ელაპარაკებოდა მამამთილს. მამამთილმა რძალს უთხრა: „მე მეორედ ძროხას კიდევ მოგცემ, თუ შენ ისევ ენას დაიბამ და არ დამეღაპარაკებო“. ცხადია, ეს თქმულება ბოლო დროს არის შექმნილი. ქისტ

პატარძალს ქმრის ოჯახში უფროსებთან, მახლებთან, მულებსა და ნათესავებთან მოკრძალებით მოპყრობა ევალებოდა, ქმრის მორჩილიც უნდა ყოფილიყო. ქისტები დარწმუნებული არიან, რომ ზრდილობიანი, წესიერი ქალი ყოველგვარ სიძნელეს აიტანს და ოჯახის აგ-კარგს გარეთ არ გაიტანს. თუ პატარძალი თავიდანვე გამოავლენდა უხეშობას ან ქმრისგან შეუძლებელს მოითხოვდა, ამ უკანასკნელს შეეძლო ცეკმა იგი და გაეგდო კიდევ, მაგრამ ასეთ დროს პატარძლის გვერდით იდგნენ ძმები, ბიძაშვილები, რომლებიც ქმარს მისი ცემის უფლებას არ მისცემდნენ და გაყრას შესთავაზებდნენ.

უ. მარგოშვილის მონაცემებით, უწინ ქისტებში ცოლთან გაყრა ძალიან მარტივი იყო. საკმარისი იყო ქმარს ორი მოწმის თანდასწრებით ცოლისთვის ეთქვა: „მე შენ გვერები, ჩემთვის არამი ხარ, სხვისთვის კი ალალი“. თუ ანქარებულ გაყრას ნანობდა, გამოსავალს სოფლის თავაკაცების საშუალებით ნახულობდა. შირიათის მიხედვით, გაყრილი ცოლის უკან დაბრუნება შეუძლებოდა მხოლოდ მას შემდეგ, როცა იგი სხვას გაჰყვებოდა და შემდეგ გავერებოდა მას, მაგრამ ქისტებში ასეთი გაყრის შემდეგ მასთან შერიგების მსურველი არ მონახებოდა. ხდებოდა ისეც, რომ ქალი ქმარს დაიწუნებდა – ც ა ე ა შ ა რ და ევერებოდა მას. ქმრის დაწუნება ვაჟის ოჯახის დიდი შეურაცყოფა იყო, მას ავტორიტეტი ეკარგებოდა საზოგადოებაში. ასეთ ოჯახს მეზობლური უსიამოვნების დროს განუწყვეტლივ საყვედურობდნენ: „თქვენ რომ კარგები იყოთ, რძალი არ მიგატოვებდათ“. ც ა ე ა შ ა შ – ოჯახიდან წასული ქალი სოფლის თავაკაცების ჩარევით ცდილობდა დაწუნებული ქმრისგან ორი მოწმის თანდასწრებით მიეღო თავგანებების ფორმულა ს უ ე გ ა რ მ ო ყ ე ა – ჩემგან თავისუფალია. უამისოდ მას უფლება არ ჰქონდა სამი წელი გათხოვილიყო და ფაქტიურად არც არავინ წაიყვანდა [9: 20–21]. თუ ქალი ქმრის ან მისი ოჯახის მიზეზით ბრუნდებოდა მამის სახლში, მაშინ მას თან მიჰქონდა თავისი მზითვეი და ურვალი, ხოლო გადალოცილ საჩუქრებს ხშირ შემთხვევაში იქვე სტოვებდა. თუ ის ქმარდაწუნებული მიდიოდა – ხელს ვერ ახლებდა მზითვს, ურვადს და თავის ტანსაცმელსაც კი, პირიქით, ამ შემთხვევაში ქალის მშობლებს დააკისრებდნენ ც ა ე ა შ ა რს ათ ძროხამდე გადასახადს, თუ არა და ამ ორ გვარს შორის ჩამოვარდებოდა შუღლი. უნდა ითქვას, რომ ურვალი საერთოდ პირობითი და ნომინალური იყო და მას ქმარი ხშირად არ იხდიდა. იხდიდა მაშინ, თუ გაყრა მისი მიზეზით ხდებოდა. უ რ ვ ა დ ი როგორც ითქვა, ქალის საკუთრება იყო, რომელსაც იგი თავისი სურვილისამებრ იყენებდა. ურვადის ოდენობა (გაუთხოვარი ქალისა) იყო 16 ძროხა, შემდეგ 1000 მანეთი, ხოლო განათხოვარი ქალისა – ამის ნახევარი. ურვადის ოდენობის ცვლილება დაკავშირებული იყო სოციალურ-ეკონომიკურ პირობებთან – 500–250–200 მანეთი და ა.შ. ადათის მიხედვით, ერთხელ ოჯახიდან გასული ქალი უკვე კარგავდა მამის ოჯახში საცხოვრებელი სახლისა და მიწით სარგებლობის უფლებას, განსაკუთრებით მაშინ, როცა მის უკან დაბრუნებამდე მშობლები გარდაიცვლებოდნენ და მამის ქონებას ვაჟიშვილი დაეპატრონებოდა. იმ შემთხვევაში, თუ მშობლები ცოცხლები იყვნენ და ქალი ხელმეორედ არ გათხოვდებოდა, მას შეეძლო სანამ ცოცხალია ძმის გვერდით მშობლების წილში ეცხოვრა. უფროსი ძმა ისედაც ვალდებული იყო ოჯახში დაბრუნებულ დისთვის პატრონობა გაეწია.

უნდა აღინიშნოს, რომ ურვადი//ურდი ადათით დადგენილი ნორმების ნაწილია, რომელსაც მამაკაცი ცოლის შერთვის დროს უხდია მის მშობლებს. ამას ადასტურებს ნ. გრაბოვსკის [15: 119], ფ. ლეონტოვის [23: 169] და სხვ. მონაცემები. ძველ ფოლკლორულ მასალებში წარმოდგენილია ქალის საყვედური თავის მამის მიმართ, რომ „სიღენძისა და თეთრი ვერცხლის ფულში გამყიდე შენ ჩემო მამავ, ღმერთი არ მოგახმარს მაკ ფულს, რომლის გამო გამაყოლე ჩემი გულის არ მსურნეს“ და სხვ. ამასთანავე, არსებობს არაერთი ცნობა იმის შესახებ, რომ მრავალცოლიანობა ვეინახებში გამოწვეული იყო დუხჭირი ცხოვრებით. მშობლები უარს არ ამბობდნენ 25–30 წლის ქალი მდიდარი, ხანდაზმული მამაკაცისთვის მიუთხოვებინათ. ჩანს, რომ ურვადის ნაწილით მაინც მშობლები ხარგებლობდნენ. ურვადმა პანკისის ქისტებში ქალის საკუთრების ფორმა მიიღო. ქალის ოჯახი სამზითოვ ნივთების ყიდვას იწყებდა თანდათანობით, ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც გოგონა პატარა იყო. გათხოვების დროს ქალს სამზითოვ ნივთები სრულად ჰქონდა, მაგრამ ბიჭის მიერ ურვადის სახით მიცემული ფული, მარცვალი თუ პირუტყვი ემატებოდა მზითვის იმ ნივთებს, რომლებიც საჭიროა ცალკე ოჯახად დასახლების დროს. ე.ი. ქისტებში ურვადის თანხა – ფულის თუ პირუტყვის სახით უბრუნდებოდა ისევ ოჯახს. ბოლო ხანებში ურვადს საერთოდ არ იხდიან, თუ არ წავითვლით გაყრის შემთხვევებს, რაზეცაა ითქვა.

ღ. მელიქიშვილს სპეციალურად აქვს შესწავლილი – ურვადი პანკისის ხეობის ქისტებში. ავტორი აღნიშნავს, რომ „ვეინახების ძველ ყოფაში, ვიდრე იქ სათანადო ცვლილებები მოხდებოდა, ურვადი ითვლებოდა ქალის მშობლების საკუთრებად, რომლის დანიშნულებისამებრ მოხმარება, მხოლოდ მათ ნება-სურვილზე იყო დამოკიდებული. არსებითი ცვლილებები ურვადის გამოყენებაში მოხდა მხოლოდ XIX ს. 60-იან წლებიდან, რამაც გავლენა იქონია ჩვენეთ-ინგუშეთიდან ახლად ჩამოსახლებულ ქისტების საზოგადოების ცხოვრებაზე“ [16: 386]. ავტორი აღნიშნავს, რომ „სოფ. ომალოსა და ჯაყოლოს მცხოვრებლებს ურვადის გადახდის განსაკუთრებული წესები შემოუღიათ. თუ მათი სოფლები ქალი სოფლის შიგნითვე გათხოვდებოდა, მაშინ გადასახადი იყო 10–12 თუმანი, ხოლო თუ სხვა სოფელში გათხოვდებოდა, მაშინ 30 თუმანი. ჯაყოლოელები და ომალოელები ერთმანეთსაც მეტ ურვადს ახდევინებდნენ. დუისელის დუისელზე დაქორწინების შემთხვევაში საურვადე გადასახადი შეადგენდა 20 კოდ ხორბალს ან 60 მან. (მაშინ 1 კოდი ხორბალი ღირდა 3 მან.). დუისელი ქალის სხვა სოფელში გათხოვებისას კი ვაუი იხდიდა ათი კოდით მეტს „ურვადის გადახდა ხდებოდა, ქონების სხვადასხვა სახეობების გამოყენებით. მაგ., ქინიაზ ჩილოსძე მუთოშვილს (ჯაყოლო) ურვადში მიუცია შეკაზმული ცხენი (9–10 თუმანი), დაძბანა (3 თუმანი), თოფი (5 თუმანი) და 15 – სული ცხვარი (ცხვარი ფასობდა 3 მან.) და ა.შ.“ [16: 382].

პანკისის ხეობის სოფლებში შერეობილი მასალებით ღ. მელიქიშვილი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ურვადი ქალს ეკუთვნოდა. იგი დამატებით ურვადით იმზადებდა მზითვს და მთელი ეს ქონება კვლავ ქმრის ოჯახში ბრუნდებოდა [16: 384].

ფ. ითონიშვილმა აღნიშნავს: „ურვადი ქალის მამისთვის უნდა ნაებარებინათ, მაგრამ ვაკტიურად ეს თანხა მთლიანად ქალს ხმარდებოდა. ურვადით ქალი იმზადებდა მზითვს – ტანსაცმლის, საოჯახო ნივთებისა და ქსოვილების სახით“ [1: 181].

როგორც ჩანს, ქისტები ახალ გარემოში ურვადის გადახდას თუ არგადახდას მნიშვნელობას არ ანიჭებდნენ, თუ ოჯახმა ნორმალურად ურთიერთობებით დაიწყო ცხოვრება. ურვადის აუცილებელი გადახდის პრობლემა პანკისის ქისტებში დიდი ხანია არ დგას, მაგრამ ქალის ავტორიტეტის საზოგადოებაში დაცვის მიზნით, ადამიანთა დაღვნილი ურვადი ჩვენს დროშიც ძალაშია - განსაკუთრებით ცოლ-ქმრის გაყრის დროს.

მ ზ ი თ ვ ი ს - ფ ა რ თ ა ლ-ის მზადებას ოჯახი იწყებდა იმ დროიდან, როდესაც ქალიშვილი რვა-ათი წლისა გახდებოდა, განსაკუთრებით კი მისი დანიშნვის დღიდან, ხოლო გატანება იცოდნენ, როგორც ითქვა, ქორწილის დღეს. ქალის მზითვში შედიოდა 4-5 ხელი ლოგინი (დარბიო ოჯახიდან - სამი ხელი), ერთი სკივრი, ფარდაგი, ორი-სამი ჭრელი ნაბადი, წყლის თუნგი (პატარა და დიდი), ერთი-ორი ქვაბი, ცომის მოსახელი ხის ხონი, სხვა წვრილმანი ჭურჭელი და ტანსაცმელი, შეძლებული ოჯახი ატანდა ხალისასაც. გასული საუკუნის დასაწყისში მზითვში გასატანებული ნივთების ხია უფრო გაიზარდა. აუცილებელი იყო საკერავი მანქანისა და სარკის გატანება. სამზითვე ლოგინებიდან ერთი ხელი გათვალისწინებული იყო მამამთილისათვის საჩუქრად. ამ ხელ ლოგინს განსხვავებული საპირფარეო ჰქონდა. 1940-იან წლებში მზითვე შეემატა მაგიდა, სკამები (6 ცალი), ჭურჭლისა და ტანსაცმლის კარადა, ტახტი და რკინის საწოლები (ორი), რომლებსაც ყიდულობდნენ თელავის მაღაზიებში. იმ შემთხვევაში თუ ცოლ-ქმარი გაიყრებოდა, მამამთილისთვის ნაჩუქარ ლოგინს რძალი უკან არ წამოიღებდა. ჩვენს დროში პანკისის ქისტებში მზითვმაც და ახალმა ქორწილმაც განვითარებული სახე მიიღო. ეს იმის მაჩვენებელია, რომ ქისტების უმრავლესობა ეკონომიკურად მოძლიერდნენ. ქისტებს უკვე სირცხვილად არ მიიჩნიათ ხელმეტი ხილ-ბოსტნეულის თუ სხვა პროდუქტის რეალიზაცია. ბევრმა საკარმიდამო ნაკვეთებში ვაზი გააშენა. ოჯახში ღვინოს თითონ აყენებენ, ხლიან არაყს. ოჯახში ცოლ-ქმარი თანაბრად ქვება საგარეო და საშინაო საქმიანობას. ამან დიდი როლი ითამაშა ოჯახის ეკონომიკის განვითარებაში. ერთ-ორი ქორწილის გადახდა ყველა ოჯახს შეუძლია. იგი ვალში არ რჩება. მოხრობელის გადმოსცემით, „ქორწილის გადახდელი ორ-სამაგად ინახლაურებს დანახარჯს“.

ახალ ქორწინებაში შემორჩენილია ძველი ქორწინების ორი ფორმა: დანიშნით ქალის წაყვანა და ქალის ოჯახიდან გაპარვა. სხვა დანარჩენი ფორმები თითქმის წაშლილია მათი ყოფიდან. თუ ძველად ქალის დასანიშნად სამ-ოთხ ავტორიტეტიან მამაკაცს ქალის შეთვალთქმობისთანავე გააგზავნიდნენ, ხოლო მშობლები თავისი სურვილისამებრ წვევდნენ ქალის გაბოხების საქმეს, ახლა დასანიშნად მიდიან მხოლოდ ქალთან და მის მშობლებთან წინასწარი მოლაპარაკებისა და შეთანხმების შემდეგ. დანიშნისას ქალს უტოვებენ ოქროს ბეჭედს და სხვა ნივთებს. ნიშნობისთვის საჭირო პურ-მარილიც ვაჟის მხარეს მიჰქვს. მოტაცებაც წინასწარ ქალთან შეთანხმებით ხდება, მაგრამ ძალიან იშვიათად. გაპარვით ქალის გათხოვების დროს კი შესარიგის მიტანაც და ნეფე-პატარძლის ქალის მშობლებთან მისვლაც ერთდროულად ხდება. ამ შემთხვევაში მიჰყავთ ორი ცხვარი, სახმელი, 4-5 ყუთი ღვინოთი, თითო ვედრო ხინკალი, საჭაპურები, მოხარშული ათი დედალი, ხილი, ტკბილეული და საჩუქრები ოჯახის წევრებისთვის. პურობის შემდეგ ნეფე თავისი ნათესავებით ბრუნდება

სახლში, ხოლო ქალი რჩება მშობლებთან ერთი კვირით, სანამ გაამზადებენ საჩუქრებს და უკან მოსაღან ძვენს.

დიდად შეიცვალა აგრეთვე საქორწილო წესებიც. ქორწილის დღეს პატარძლის მოსაყვანად მაყრებთან ერთად მიდის ნეფეც – ნ ა ვ ც სახეიმოდ მორთული მსუბუქი მანქანით. წინა მანქანაში სხედან ნეფე-პატარძალი და მათი მეჯვარეები, უკანაში – მაყრები. ასე მიდიან ქორწინების სახლში (რომელიც პანკისის ყოფილ ორივე სასოფლო საბჭოში იყო გახსნილი). სახეიმო ვითარებაში ხელის მოწერის შემდეგ მექორწილენი მიდიან ვაჟის ოჯახში. პატარძალს აცვია თეთრი, გრძელი ქართული საქორწილო კაბა და თავზე ახურავს ფატა; ვაჟს თეთრი პერანგი და შავი ფერის კოსტუმი. ვაჟის ეზოში შესვლისთანავე ნეფე-პატარძალს აცეკვებენ და დასვამენ სუფრის თავში სპეციალურად მათთვის მორთულ ადგილას. ქორწილში სუფრა მიჰყავს ოჯახის მიერ შერჩეულ ნათესავს ან ბიჭის მეგობარს, ე.ი. თამადას – თ შ ე ა მ დ-ს. სადღეგრძელოებს წარმოთქვამენ ქართულ ენაზე. დროსტარება იწყება დღის 12 საათზე და მთავრდება მეორე დღიას. ახალ ქორწილში იმარა საჩუქრების გადალოცვამ. თუ ადრე წინდაც კარგ საჩუქრად ითვლებოდა, ბოლო 80-იან წლებამდე შორეული ნათესავი თუ სტუმარი 30–50 მანეთზე ნაკლებს არ გადაულოცავდნენ ხოლმე. საბჭოთა პერიოდში ქისტების ყოფაში განვითარებული სახე მიიღო მზითვის ინსტიტუტმა. ყველა ოჯახი ცდილობს, რომ ერთმანეთის წამხედურობით უკეთესი მზითვი გაატანოს თავის ქალიშვილს. ხშირია შემთხვევები, როცა ქალიშვილი სკოლის დამთავრებისას ან უმაღლეს სასწავლებელში სწავლის პერიოდში თხოვდება და მის მზითვში არაფერია საკუთარი შრომით შექმნილი და იგი ძირითადად მშობლების შემოსავლიდან მზადდება. ახალ მზითვში შედის: საძინებელი ოთახის მოწყობილობა, 5–6 ხელი ლოგინი, მაცივარი, ყველა სახის ჭურჭელი, საკერავი მანქანა და სხვ. მართალია, ყველა ქალს ასე ვერ გაამზითებენ, მაგრამ მშობლების საკმაოდ დიდი ნაწილი ხელს უწყობს თავის ქალიშვილს, რომ იგი ქმრის მხარეში სათანადო პატივით მიიღოს.


არა ერთი პანკისელი ქისტი მთხრობელი უარყოფითად აფასებს ქალის ძალად გათხოვებას, მოტაცებით წაყვანას, მრავალრიცხოვანი ქორწილის გადახდას, ქორწილში ღვინისა და არეის უზომოდ სმას, გადამტებულ საჩუქრებსა და დიდი რაოდენობით მზითვს. „მართალია აღნიშნავს მთხრობელი – ახალი ოჯახის მზითვითა და სხვა ცხოვრებისთვის საჭირო საგნებითა და ინვენტარით უზრუნველყოფა სასურველია, მაგრამ ჩემი აზრით, ეს უარყოფითად იმოქმედებს ახალგაზრდების მომავალი ცხოვრების ინტერესებზე. ახალი ცხოვრების დასაწყისიდანვე ოჯახს უშრომლად ყველა პირობა რომ შეექმნება, მას საზრუნავი ნაკლები ექნება და ამით ახალგაზრდები შეჩვევიან უსაქმურ ცხოვრებას და შრომას მათთვის ნაკლები ფასი ექნება [5: რუ. 4.9].

ქისტებში ქალი ქმრის ოჯახში მშობიარობდა. ბავშვის დაბადების აღსანიშნავად განსაკუთრებულ სახეიმო ატმოსფეროს არ ქმნიდნენ. მშობიარობის დაწყებისთანავე მამაკაცები სტოვებდნენ სახლს და ნათესავებში ან მეგობრებთან მიდიოდნენ. მელოგინესთან ბუბია ქალს იწყებდნენ, რომელიც თავისი შრომის საფასურად ჩითის საკაბეს და პროდუქტებს იღებდა. თუ ქალს მშობიარობა გაუჭირდებოდა, მას კაცის მკვლელის (როგორც ცოდვანადების) ფეხსაცმლით

წყალს ასმევდნენ, სწამდათ, უფრო მალე განთავისუფლდებოდნენ, ქმარიც მთელი კვირით მიდიოდა სახლიდან. იგი ამ ხნის განმავლობაში არ უჩვენებოდა არც დედ-მამას და არც უფროს ძმებს. ბიჭის დაბადების შემთხვევაში ბავშვის მამა მოსალაოცად მოსული ამხანაგებისთვის რომელიმე მეგობრის ოჯახში სუფრას შლიდა. გოგონას დაბადების შემთხვევაში კი იგი ცდილობდა მეგობრების დაცინვისგან როგორმე დაეღწია თავი. მშობიარობის შემდეგ არც ბავშვის დედა ენახებოდა მამამთილს და მახლებს – ორი კვირის განმავლობაში. მათი თანდასწრებით ბავშვის ჭმევა და ხელში აყვანაც სირცხვილად ითვლებოდა. ანალოგიური წესები ჰქონდათ ჩრდილო კავკასიის ვეინახებსაც [5: რვ. 3]. მშობიარესთან ნათესავები, მეზობლები და ნაცნობი ქალები მიდიოდნენ. ყოველი მათგანი თავს მოვალედ თვლიდა რაიმე საჩუქარი მიეტანა. ახალდაბადებულ ბავშვს ბებია ქალი აიყვანდა და მეორე დღიდან აკვანში ა ა გ აწვევდნენ. ქისტური აკვანი ქართული აკენის იდენტურია. იგი აღმოსავლეთ და ჩრდილო კავკასიის მთიელებში ფართოდ იყო გავრცელებული და ჩვენს დროშიც შემონახულია. სახელწოდება აკვანი – ა ა გ ძველი ყოფიდან მომდინარე ჩანს, რადგან იგი ქისტებმა თან მოიტანეს. აკვანს ახლავს ქოთანი – ა ა გ ა ნ – ქ ი ლ და შიბაქი – ს ი ფ ვ. აკვანი ხისაა. მასზე კიდებდნენ ფერად მიივებს, კენჭებს, ზოგჯერ ამულეტს, დათვის ბრჭყალებს, ნიჟარებს – ავი თვალის, ბოროტი სულის წინააღმდეგ. ამასთანავე, აკვანში ბავშვს თავქვეშ უდებდნენ რკინის საგნებს: მაკრატელს, ლურსმანს და დანას. ეს საგნები ვითომ ხელს უწყობდა ბიჭებს გაზრდილიყვნენ მამაცი მხედრები, ხოლო გოგონას დანას უდებდნენ, რომ ავსულებს არ შეეშინებინა. ორი წლის ბავშვს უკვე ჩვეულებრივ საწოლში აძინებდნენ. მთხრობელი ორ წლამდე ბავშვის აკვანში გაზრდას მეტ უპირატესობას აძლევს: „აკვანში ბავშვი დი ცივდება და ჯანმრთელი იზრდება, მეორეც, ბავშვს სისველე არ აწუხებს და ძინავს მშვიდად. ბევრმა დედამ არ იცის ბავშვის აკვანში ჩაწვენა-ამოყვანის წესი. ზოგი არტახებს მაგრად უჭერს და ბავშვი ნორმალურად ვერ სუნთქავს“ [5: № 3]. დედების ერთი ნაწილი ადასტურებს, რომ აკვანი ა ა გ ბავშვისთვის საზიანოა, რადგან მისი მკერდის მაგრად შეხვევა ბრტყელმკერდიანობას იწვევს. ქისტებში, და საერთოდ მთიელებში, ხშირია დეფორმირებულკეფიანი ადამიანები. ამას მიაწერენ იმას, რომ ბავშვი აკვანში წოდისას ერთ მხარეზე უჩვეულად თავის დადებას [5: № 3]. ქისტები ბავშვებს თავიდანვე აჩვენებდნენ შრომასა და უფროსის პატივისცემას. რაც უფრო მეტი ბავშვი იყო ოჯახში, ისინი მით უფრო კეთილი ბუნების, შრომისმოყვარეები იზრდებოდნენ.

ქისტებში ბუნებრივ მამად ითვლებოდა ის, ვისაც ბევრი შვილი ჰყავდა. თუ ყველა ბიჭი ჰყავდა ოჯახში, იტყობდნენ: „უქალო დედა მაინც უბედურია. დედ-მამას დამტირავი ქალიშვილი უნდა ჰყავდეს და ძმას კი გულშემატკივარი და“. ყველაზე დარბიი და მრავალშვილიანი ოჯახიც კი ბავშვს არ გაააშვილებდა, საკუთარი და-ძმის ოჯახშიც კი. „შვილი მამის კერაზე უნდა გაიზარდოს. რაც უფრო მეტი შვილია ოჯახში, მით უფრო იოლია მათი გაზრდა. დიდები პატარებს უფლიან და მშობლები კი თავიანთი საქმით არიან დაკავებულნი“ – აღნიშნავს მთლიანად მიტოვებული ჰყავთ, პირიქით, დედაც და მამაც მათ მიმართ ყურადღებით იყვნენ, მაგრამ განსაკუთრებული სიყვარულის გრძნობების გამოხატვით არ

ზრდიდნენ. თუ რომელიმე შვილმა (ბიჭმა) დანაშაული ჩაიდინა, მას მშობელი მხარს არ უჭერდა და ეტყოდა: „თვითონ მორიგდით“. შვილებთან აღმზრდელიობითი ჩვევების გამომუშავებას ადრევე იწყებდნენ – როგორც კი ბავშვი მუხლს გაიმაგრებდა და სიარულს დაიწყებდა. პირველად ავალებდნენ მსუბუქი ნივთის, საგნის თუ სათამაშოს წადება-მოტანას, თავის ადგილზე დადებას. უფროსის შემოსვლისთანავე ფეხზე ადგომას, წყლის დაღვევის დროს ჯერ უფროსისთვის შეთავაზებას. დღეში სამჯერ მისალმებას: უ რ დ ი ქ ხ უ ი ლ – დილაშვიდობისა (ან დილა სიკეთიანი იყოს), ხ უ უ რ დ ი ქ ხ უ ი ლ – საღამო მშვიდობისა, დ ი დ ი ქ ხ უ ი ლ – დღე სიკეთიანი იყოს. ასაკის მომატებასთან ერთად ბავშვს შესაფერის საქმეს ავალებდნენ.



სურ. 31. 1. აკვანი-„ააგ“; 2. ქოთანი-„ააგან ქილ“; 3. შიბაქი-„სიფფ“.

ქისტრი ბავშვებისათვის თამაშობებსა და სათამაშოებზე საინტერესო სხვა რამ არ არსებობდა. ჩვენთვის არქეოლოგიური გათხრების მონაცემებში, ბრინჯაოს ხანით დათარიღებულ სამარხებში ნაპოვნია კოჭები – კ უ ე ჭ ა შ (ჩეჩ. დ უ ლ-გ ი შ). კოჭებით თამაში მთელ აღმოსავლეთში ყოფილა გავრცელებული. უცხო არ ყოფილა იგი არც ქისტრი ბავშვებისთვის. თამაშის დროს საჭირო იყო ხუთი კოჭი. კოჭებით თამაში ყოველთვის შეიძლებოდა – სიცივეში, სიცხეში, სახლში თუ ქუჩაში. შემდეგ მათი ყოფიდან იგი გამოდევნა სხვადასხვა ხაორტული ინვენტარის, თამაშობებისა და სათამაშოების შემოსვლამ. 10–16 წლის ბიჭებში ძალიან იყო გავრცელებული ჩიკორის – შ უ კ-ის ტრიალი. მას კამეჩის ან ძროხის რქისგან აკეთებდნენ. ჰქონდა მოკლე სწორი კონუსის ფორმის წვერი და დაგრეხილი ბაწრით ყინულზე ატრიალებდნენ. თოვლიანი ზამთარი ბავშვებისთვის სიხარულის მომტანი იყო. გაზაფხული რომ დადგებოდა, ბავშვები ბურთის/ბ უ რ თ თამაშს იწყებდნენ. შემოხზავდნენ წრეს, რომლის შუაგულში ამოთხრიდნენ ორმოს –

თ უ შ ს (მას კ ა გ-საც უწოდებდნენ). თუშის მცველები ცდილობდნენ, თავდამსხმელის ბურთი ორმოს აეცილებინათ ჯოხის საშუალებით. ბავშვებს ყოველ უბანში გამოყოფილი ჰქონდათ სათამაშო ადგილი, სადაც ისინი თავისუფალ დროს იკრიფებოდნენ. ბავშვების საყვარელი თამაში იყო აგრეთვე ჩილიკაობა - ჩ ი ლ ა კ ა ხ-ლ ო ვ ძ ა რ, რომელშიც 9-10 წლის გოგონებიც იღებდნენ მონაწილეობას. უკვე ეს თამაშიც დაიწყებას მიეცა. ქისტები ბავშვები თამაშობდნენ ლახტს - ტ ი ე ხ ქ უ რ ი ი ხ-ლ ა უ ძ ა რ, თხილამურების მსგავსი ხის ორფეხიანი საცურავეებით თოვლში სრიადს - ს ა ა ლ ა ზ ა შ, დამალობანას - ლ ი ე ჭ ყ ა რ, ზურგზე ხტომას - ბ უ ყ ტ ი ე რ-ჭ უ ა ს ვ ა ლ ა რ, დახუჭობანას - ბ მ ე რ გ ა შ-ჰ ო ბ ა რ, შურდულს - შ უ რ ტ ყ ა ლ, მშვილდ-ისარს - ა დ ვ ხ უ ლა სხვ. ამ უკანასკნელი ორი სახეობით მამაკაცები ფრინველებზე და პატარა ცხოველებზეც ნადირობდნენ. მოხუცების გადმოცემით, შურდულით ქვის ტყორცნა უფრო შედეგიანი იყო, ვიდრე მშვილდ-ისარი. სანადიროდ მიმავლთ ჩანთით მიჰქონდათ მთელი დღის სამყოფი პატარა ქვები. რვა-ათი წლის ბიჭები ჩვენს დროშიც ჩიტებზე და მტრედებზე ამ შურდულითა და მშვილდ-ისრით ნადირობენ.

გოგონების სათამაშო (გასართობი) იყო საკმაოდ პრიმიტიულად გაკეთებული თოჯინები - თ ე ი ნ ა ქ ა შ, რომელსაც აკეთებდნენ სხვადასხვა ზომის გათლილ ჯოხებისგან. უკეთებდნენ თავს, მკლავებს, ჩააცმევდნენ კაბას - კ ა ა ბ, თავზე დაახურავდნენ თავშალს - თ ა ვ შ ი ლ, სახელს დაარქმევდნენ და ფეხზე დააყენებდნენ. კაცის ფიგურას კაცურად ჩააცმევდნენ და თამაშის დროს ქალის ფიგურების საპირისპიროდ მიწაში ჩაარჭობდნენ ან კედელზე მიაკედებდნენ. ბავშვების ფიგურები ცალკე ჰქონდათ დაყენებული. ათამაშებდნენ ქისტების ყოფა-ცხოვრების ყველა მომენტს: ქალის გათხოვებას თავისი მზითვით, ქორწილის ცერემონიალს (მთელი უბნის ბავშვების თოჯინების თავმოყრით), მიცვალებულის გასვენების პროცესს და სხვ. გოგონების ხშირი თამაშობანი იყო აგრეთვე ზემოთ აღნიშნული დამაღაობანა და დახუჭობანა. საქართველოს ტერიტორიაზე ქისტების მიერ თან მოტანილი საბავშვო სათამაშოები და თამაშობანი მეზობლად მცხოვრებ ქართველ მოსახლეობაშიც დგინდება და ბევრიც ქისტებმა მათგან აითვისეს. გულადი, უშიშარი ვაჟკაცები რომ გამოეზარდათ, მამები პატარაობიდანვე შვილებს შორის აწყობდნენ შეჯიბრს: ბნელ ღამეში შვიდი წლის ბიჭს ქუდი უნდა წაეღო სახლიდან მოშორებით თავიანთი ნაკეთის ბოლოში და დაედო დათქმულ ხის ძირში. ის რომ მობრუნდებოდა, მოსატანად მიდიოდა მეორე. შემდეგ უფრო შორს წაიღებდნენ და ასე აღმოჩნდებოდნენ სოფლის განაპირას ან სასაფლაოზე. ბავშვებისთვის ნაცნობ ადგილას და ა.შ. ამ გამოცდას მამები შვილებს უტარებდნენ 15-16 წლამდე. შეჯიბრში მონაწილეობას იღებდნენ მშათა შვილებიც [7:]. მთხრობელის (მ. დუიშვილი, 79 წლისა) გადმოცემით, „ბავშვი რომ გულადი, ზრდილობიანი გაიზარდოს, საჭიროა თავიდანვე სხვადასხვა მეოდიის გამოყენება, მშობელს არ უნდა შეეცოდოს თავისი შვილი, რომ შრომაში ჩააბას. მას ბავშვობის დიდი ენერჯია მოჰყვება და მან ეს უნდა გამოიყენოს სწორედ საქმის კეთებაში (ხანდისხან ბავშვური თამაშშიც), რომ მისგან პიროვნება ჩამოყალიბდეს. ბავშვმა ისეთი გამოწრთობა უნდა მიიღოს, რომ იგი საკუთარ თავსაც გამოადგეს და

ხალხსაც, მან თავისი ვაჟკაცობით, ზრდილობით, საქმის მოყვარულობით თავი უნდა დაანახოს მომდევნო თაობებს, რომ საჭიროა წინაპართა მიერ დატოვებული ბევრი დადებითი ტრადიციების ცოდნა, რომელთა არცოდნა (დავიწყება) დალატია იმ სულებისა, რომლებმაც საუკუნეების განმავლობაში შექმნეს, ტრადიციად აქციეს და დაუტოვეს თავიანთ გამაგრძელებლებს (უფროსის პარტივისცივმა, მისი ნათქვამის უმაღლვე შეხსრულება, საქმეში გვერდით ამოდგომა, მისდამი მორიდებულობა, თავაზიანობა და სხვ. მრ.), ცხადია, უარყოფითის გამოკლებით (უფროსის თანდასწრებით სასმელის დალევა, პაპიროზის მოწევა, მიუღებელი სიტყვის გამოთქმა, მოხუცის გვერდით ჩამოჯდომა და წარამარა საუბარი, ტყუილის თქმა და სხვ. მრ.). ამ ტრადიციებზე გაზრდილებს უფროსებთან მოქცევებიც კარგად იცოდნენ, საჭიროების შემთხვევაში უმცროსებს და თანატოლებსაც უთითებდნენ, მაგრამ დღეს ჩემი თაობის ადამიანები თავზარდაცემულები ვართ. დავემსგავსეთ ფრთებმოწვევტილ ფრინველებს. შვილებმა, რომ მშობელს თუ უფროს ადამიანს არ დაუჯეროს, ეს ხომ სიკვდილის ტოლფასია. ნარკომანიით იხსცებიან ახალგაზრდები, როცა უფროსის სიტყვა მათთვის კანონი იყო. საშინელ მდგომარეობაში არიან ხეობის ბავშვები. ნულამდე დასულია მათი სწავლა-აღზრდის საქმე. პატრონი კი არ ჩანს“ [5]. მოხრობელები სამართლიან საყვედურს გამოსთქვამენ. დღეს პანკისის ხეობაში შექმნილი სიტუაცია ნამდვილად მძიმეა, რომლის შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი.

§ 2. საზოგადოებრივი ყოფა

ვეინახებში დასტურდება სასოფლო-გვაროვნული დასახლება, რომელსაც მართავდა უზუცესთა საბჭო – მ ე ხ ქ-ჯ ე ე ლ [17: 28]. XVI–XVII საუკუნეებში ვეინახებში კლასობრივი საზოგადოება ჯერ კიდევ მთლიანად ჩამოყალიბებული არ იყო, მაგრამ არსებობდნენ მონები, ხოლო XVIII საუკუნის I ნახევარში კლასობრივმა საზოგადოებამ ფეხი მოიკიდა და სწორედ ამ პერიოდში ინტენსიური გახდა მოსახლეობის ბარად ჩამოსახლების პროცესიც. ეს ის პერიოდია, როცა მოსახლეობის ერთი ნაწილი საქართველოს ტერიტორიაზე იღებს ბინას. ამის დასტურია XVIII–XIX საუკუნეებში ხევსურეთის, ფშავის, ხევის, თუშეთის, კახეთის სხვადასხვა სოფელში ქისტური დასახლების არსებობა, რის შესახებაც ზემოთ უკვე ვწერდით.

ი. საიდოვი ჩეჩენ–იგუშთა საზოგადოებას სამ ნაწილად ჰყოფს:

1. მაღალი მთიანი მესაქონლე მოსახლეობა, რომელსაც არა ჰქონდა თავისი სამყოფი საკუთარი პური;

2. მოსახლეობა, რომელიც მისდევდა მიწათმოქმედებას, მესაქონლეობას და ჰქონდა სამყოფი პური, ზედმეტი რძისა და ხორცის პროდუქტები;

3. მოსახლეობა, რომელიც მისდევდა მიწათმოქმედებას

მესაქონლეობას და ჰქონდა სამყოფი პური და განვითარებული მეურნეობა თავისი საძოვრებით [17: 30].

პირველ ჯგუფში ავტორი აერთიანებს მდინარე აკსაისა და თერგს შორის აღპურ ზონაში მდებარე სოფლებს: მეღხისტას, შაროს, ხულანდოს, ხოსის, კეზანოს, ხამხოს და სხვ.; მეორე ჯგუფში – ტყიანი გორის გაყოლებაზე მდებარე დასახლებას; ხოლო მესამეში – მთის ძირში და დაბლობში მცხოვრებ მოსახლეობას [17:]. სწორედ ამ პირველი დასახლებიდან მოხდა მთიელების მიგრაცია მეზობელ ტომებში. ძველად ვეინახების პირადი საკუთრება უნდა ყოფილიყო საძოვრები, სახნავ-სათესი, სათიბები და ტყე. ამას ადასტურებს ი. საიდოვის მონაცემებიც, რომლის მიხედვით, უწინ მიწის გაყიდვა, განუქება, ჯარიმის სახით წართმევა და გირაოდ დატოვება შეიძლებოდა [17: 43]. როგორც ჩანს, კლასობრივმა დაყოფამ, უთანასწორო ცხოვრებისეულმა მდგომარეობამ შეცვალა ზოგი ყოფითი წესები და მოსახლეობაში შექმნა პრივილეგირებული და დაბალი წრის წარმომადგენელთა ურთიერთგანმასხვავებელი სხვადასხვა წოდება. მაგ., უ ე ზ დ – ნ ა ა ხ (კულტურული, მოსახლეობაში წინმდგომი ადამიანები, რომლებთანაც ღარიბებს მოკრძალება მართუბლით). ე ე ლ ი (საზოგადოებაში დაწინაურებული, შეძლებული, რომლებსაც ემსახურებიან ღარიბები), სოციალური შინაარსით ქართულ თავადს ნიშნავს, ხოლო აღნიშნული უ ე ზ დ – ს ა გ – ახნაურს, უ ე ზ დ – ნ ა ა ხ – ახნაურებს. ვეინახებში გვხვდება ტერმინები: მ ი ი ს ა რ – ტყვე, ლ ე ი – მონა – ყმა, ყ ი ე – ღარიბი, მ ი ს ქ – უნათესავო, საცოდავი ადამიანი და სხვ. ლეი არასოდეს არ იყო იმ თემიდან, იმ საზოგადოებიდან, რომელსაც მისი მფლობელი ეკუთვნოდა. იგი იყო სხვა თემის უპატრონო, უსახლკარო წევრი, რომელიც მთელი თავისი სიცოცხლე სხვას (მფლობელს) ემსახურებოდა. ვეინახებში ლ ე ი ს წოდება ძალიან შეურაცხყოფელი იყო. მფლობელს შეეძლო მისი გაყიდვა და სხვა ოჯახისთვის გადაცემაც. ლეის უფლება არ ჰქონდა იარაღის ტარების, ცხენის ყოლის, ჩოხა-ახალუხის ჩაცმის,

სახოგადოებაში გახართობად წახვლის, ცოლის შერთვის და მთელ თავის ცხოვრებას მწყემსობასა და მფლობელის მამულის დამუშავებაში ატარებდა. რაც შეეხება ყ ი ე - მ ი ს ქ -ს (ღარიბი, საწყალი) იგი თავისივე თემში, სახოგადოებაში ცხოვრობდა და მუშაობდა შეძლებული მოსახლის ოჯახში. მას ქდლოდა შემოსავლის მცირე პროცენტი. აღნიშნული კატეგორიის გლეხი იგივე ყმის, მიწის როლში გამოდიოდა იმ განსხვავებით, რომ მას ჰყოფდა ცოლ-შვილი და შექდლო დამე თავის ოჯახში დაეძინა. ამ შემთხვევაშიც იგი მიწისა და საქონლის პატრონის მოსამსახურედ ითვლებოდა. ბარის ჩენებში ხშირად ხმარობენ ასეთ გამოთქმას: „თხუან ბეეცინ ლეიშ ბუ უშ“ - ჩვენი ყოფილი მონები არიან ანდა ჩვენთვის ნამუშევარი მონები არიან.

უწინ ჩენენ-ინგუშების სოფლის უხუცესთა ჯგუფში გაერთიანებული იყვნენ ეკონომიკურად ძლიერი წრის წარმომადგენლებიც. ამდენად, ღარიბ გლეხებთან შედარებით მათ მეტი უფლებები ჰქონდათ.

ი. საიფოი აღნიშნავს - უეზდ-ნახ წილწადში ერთხელ, ან მეტჯერ ჩამოვიღიდნენ სოფელში და აფრთხილებდნენ მოსახლეობის იმ ნაწილს, რომლებიც მათი ყმები-მონები იყვნენ - ერთ-ერთი მათგანი იძახებდა ოჯახის უფროსს, ყმას და ხმამაღლა ეუბნებოდა: „ხომ იცი, შენ ჩვენი მონა ხარ, ხომ არ დაგაიწყდა.“ ყმაც უპასუხებდა - „არ დამაიწყდა.“ ასე იმიტომ იქცოდნენ, რომ განთავისუფლებულ მონა-ყმას მათთან შეკამათება ვერ გაუბედა. [17: 79]. ადრეულ პერიოდში ყმადნამყოფი ოჯახები (საკუთარი ავტორიტეტის შესაქმნელად) დაინტერესებული იყვნენ ქალიშვილები ურვადის გარეშე მიეთხოვებინათ ყოფილ უ ე ზ დ - ნ ა ხ ი ე - დ ა წ ი ა უ რ ე ბ უ ლ ი ა დ მ ი ა ნ ი ბ ის ა თ ე ს ი, თუნდ ხანშიშესული და ავადმყოფი ყოფილიყო, მიუხედავად იმისა, რომ ისინი უკვე მათზე ღარიბები იყვნენ.

არსებული მონაცემები მოწმობენ, რომ წარსულში ჩენენებისა და ინგუშების სახოგადოებები ერთმანეთში ვერ რიგდებოდნენ, რაც შეუძინეველი არ დარჩენია ი. გიულდენშტედსაც, რომელიც წერს: „ამ მხარის მოსახლენი ერთმანეთში შეწყობილად ვერ ცხოვრობენ, ნაწილობრივ აშკარადაც მტრობენ ერთმანეთს და ერთ მდინარეზე მცხოვრებნიც კი ძლივს ეგუებიან ერთმანეთს“ [18: 67-68]. ჩანს, რომ ვეინახებშიც სხვადასხვა თემებს შორის ურთიერთ-თავდასხმებს ჰქონდა ადგილი. ტყვედ აყვანილი, თუ მას მყიდველი არ გამოუჩნდებოდა, შექდლოთ მონად ექცეათ, ან გაეყიდათ, ან და რამდენიმე წლის შემდეგ გაეშვათ. ადრე არსებული კლასობრივი დაყოფის ნიშნები (ეელი, უ ე ზ დ - ნ ა ა ხ, ყ ი ე - მ ი ს ქ) ვეინახებში შემორჩენილი იყო XX საუკუნის დასაწყისშიც. ბარის ჩენენი უცნობ მთის კაცს - ლ ა ა მ უ რ ო ა -ს ღამის გახათვეად სახლში არ შეუშვებდა. არც ქალს მიათხოვებდნენ და არც თვითონ მოიყვანდნენ, ისინი ძალიან დაბალი დონის ხალხად მიაჩნდათ.

საქართველოში მცხოვრებ ქისტებში (პანკისის ხეობა) თავადისა და აზნაურის წოდების არავინ ყოფილა. მათში სოციალური დაყოფის მიმანიშნებელი ტერმინები შემდეგია: ეკონომიკურად ძლიერი ოჯახი - ჰ ე ა ლ დ ო ლ ა შ, თ ა რ უ ა - ი ო ლ ა შ; საშუალო მაცხოვრებელი - ი უ ყ ი ე რ - ბ ე ე ხ ა შ; ღარიბი ოჯახი - ყ ი ე - მ ი უ ს ა მ, მ ი ს ქ - ხ უ ს ა მ და სხვა. ქისტებს ჰყავდათ გამოჩენილი სოციალურად დაწინაურებული ოჯახები, რომლებსაც მეგობრული ურთიერთობა ჰქონდათ სოფ. მატანის თავადებთან. მაგალითად, ქაქუცა,

შაქრო ჩოლოყაშვილების ახლობლები სოფ. დუისში იყვნენ ბეისარა და ჯანო ბაღაკაშვილების, ქასა ქავთარაშვილის, წოი გაურგაშვილის ოჯახები. ქაქუცას არაერთი მეგობარი ჰყავდა სოფელ ომალოში, რომლებსაც იგი ხშირად ხვდებოდა.

რევოლუციამდე პანკისის ხეობაში შემდგომ ოჯახებად ითვლებოდნენ ბეისარა, ჯანო და მადლი ბაღაკაშვილების, წოი და ციქო გაურგაშვილების, გეხო მარგოშვილის, ჩოფანა და მაგაია დუიშვილების (დუისი), ნადირა ბორნაშვილის, ქასა გუმაშვილისა და სხვათა ოჯახები.

1858 წელს სოფელ ომალოში ზემო აღვანიდან გადასახლებულა 38 ოჯახი, რომლებსაც მესაქონლეობის მეურნეობები ჰქონდათ.

გა.ხ. „ივერიის“ ფურცლებიდან ირკვევა, რომ ქისტებს პანკისში ორი მამასახლისი ჰყავდათ, რადგან მათ ერთი მამასახლისი ვერ მოუვლიდა, თანაც ყოველგვარი გასამრჯელოს გარეშე. თიანეთის მაზრის ახალმა უფროსმა ა. ლეონტიემ 1903 წელს ინახულა პანკისი. მის შესახვედრად შუა სოფელში შეკრებილი ხეობის მოსახლეობა დაარიგა და თან უსაყვედურა იმ დანაშაულებათა გამო, რომლებსაც მათ შორის მოეკიდებინა ფეხი. თანაც მიუთითა, რომ ორი მამასახლისის მაგიერ ერთი ჰყოლოდათ და ცოტაოდენი ჯამაგირიც დაენიშნათ, რადგან უფასო მამასახლისი ვერაფერს გააკეთებდა ერთმანეთისაგან დაშორებულ სოფლებში. მოინახულა ჯოჯოხოს სკოლა და მამასახლისებს დაავალა მისი შეკეთება, დაათვალიერა ეკლესია, საზოგადო კანცელარია, რომელიც მოთავსებული იყო დაქირავებულ ბინაში. შემდეგ მაზრის უფროსი ტბათანაში წავიდა. იმ დამეს იქ თუშებთან დატრია. იქიდან დაბრუნების შემდეგ მოითხოვა ცხენების ოსტატები, კარგად დატრქსა და თიანეთს გაემგზავრა. ორი კვირის შემდეგ მოვიდა ახალი ბოქაული დ. თულაშვილი. მან ხალხი შეკრიბა და შესთავაზა ერთი მამასახლისის არჩევის განაჩენსე ხელის მოწერა. ხალხი იმას კი არა ფიქრობდა, რომ მუქთა მამასახლისები არაფერს გააკეთებდნენ. ამ განაჩენით ხეობის 364 კომლს უნდა გადაეხადა 910 მანეთი. აქედან მამასახლისისათვის უნდა მიეცა 200 მანეთი. სოფლის მწერლისთვის – 300 მანეთი, ორი იასაულისთვის – 290 მანეთი, კანცელარიის ქირა – 60 მანეთი, ყარაულისთვის – 60 მან. იანვრამდე ფული ორი მამასახლისისთვის უნდა გაენაწილებინათ, ხოლო იანვრიდან უნდა აერჩიათ ერთი მამასახლისი [19]. ადრე პანკისში ერთი მამასახლისი ყოფილა, მაგრამ შემდეგ ყოველ საზოგადოებას (ჯოჯოხოს და ომალოს) სათავეში ჩაუდგა, როგორც ზემოთაც აღინიშნა დ უ რ თ - დ ა ა მამასახლისი. თითოეულ მათგანს შერჩეული ჰყავდა ადამიანრივი ნორმების კარგი მცოდნე სამედიცინო ჯგუფი და სასოფლო თემის საგვარეულო თავაკაცების საბჭო. უ. მარგოშვილის გადმოცემით, უწინ ქისტების ყოფაში უმაღლესი ორგანო იყო მ ე ხ ქ - ჰ ე ე ლ, რომელსაც ემორჩილებოდნენ სოფლის მამასახლისები [7: რე. 2]. მ ე ხ ქ - ჰ ე ე ლ ნიშნავს ქვეყნის საბჭოს, ქვეყნის სამართალს [17: 205] – მ ე ხ ქ // მ ო ა ხ ქ ქვეყანა, ხოლო ჰ ე ე ლ – სასამართლო.

პანკისელი ქისტების ყოფაში მ ე ხ ქ - ჰ ე ე ლ დიდი ხანია მივიწყებას მიეცა, მაგრამ სამაგიეროდ სოფლის შიგნითა თავრიდობამ შემოინახა თავი.

დ უ რ თ - დ ე ე - ი-ს (მამასახლისების) ფუნქციებში შედიოდა სოფელში წესრიგის დამყარება – ცალკეულ გვარებს შორის მომხდარი უსიამოვნების მოგვარება, თვალყურის დევნება ხიდების, წყალსადენების, სარწყავი არხების

მდგომარეობისთვის. სისხლ-მესისხლეობის შემთხვევაში მედიატორების შერჩევა, სასოფლო თავყრილობის მოწვევა საჭიროებისამებრ. ამ ყრილობაზე იხილებოდა მამულების გამოყენების საკითხი, რომელიმე გვარში ახალი წევრის მიღება, მათთვის მიწის ნაკვეთის გამოყოფა, მეზობელ სოფლებს შორის ურთიერთობის მოგვარება, წესრიგის დამრღვევთა დასჯა, დაჯარიმება და სხვა საკითხები.

1865 წლის 11 აპრილის დებულებით საქართველოში ჩამოყალიბდა სოფლის საზოგადოებრივი მმართველობა, რომლის უმაღლეს განმკარგულებელ ორგანოდ ითვლებოდა სოფლის ყრილობა. ამ ყრილობას იწვევდნენ მამასახლისები, რომელშიც მონაწილეობის მიღების უფლება ჰქონდა ყველა ოჯახის უფროსს. [20: 304-305]. თითქმის ანალოგიური ხასიათის ყრილობას იწვევდნენ ქისტი მამასახლისებიც, მაგრამ აქ ყრილობას ესწრებოდნენ მხოლოდ გვარის უხუცესები, რომლებიც შემდეგ რაიმე საკითხთან დაკავშირებით იწვევდნენ თავთავიანთი გვარის ოჯახის უფროსებს.

XIX საუკუნის 60–70-იან წლებში სასოფლო თემი შეცვალა სოფლის საზოგადოებრივმა მმართველობამ. მამასახლისი და მისი დამხმარე სოფლის თავაკები უცვლელი დარჩნენ, მაგრამ სამედიატორო ჯგუფის ნაცვლად ამოქმედდა სახელმწიფო ადმინისტრაციული წესები და კანონები. ამიერიდან ხეობის საჭირობოროტო საკითხები განიხილებოდა მეფის მთავრობის საკანონმდებლო ორგანოებში. სოფელ ჯოყოლოში ჩადგა „სტრაჟნიკების“ ჯგუფი, რომელთა მეშვეობით ხეობის მაცხოვრებლებს შორის ხორციელდებოდა მეფის კანონები. ამ ადმინისტრაციულ ცენტრში გაერთიანდა პანკისის ხეობის ყველა დასახლებული პუნქტი, რომლის სათავეში იდგა ბოქაული. ცენტრის ადგილსამყოფელი იყო ახმეტაში. იგი თიანეთის მაზრიდან მიღებულ დავალებას სტრაჟნიკებისა და ხეობის მამასახლისების მეშვეობით ავრცელებდა საზოგადოებაში [7: 34].

ხეობა ორ საზოგადოებად იყო გაყოფილი – ჯერ ომალოს და ჯოყოლოს, ხოლო შემდეგ ჯოყოლოსა და დუისის. ამ საზოგადოებებში ერთიანდებოდა ახლო-მიახლო მდებარე სოფლები. მ. ალბუთაშვილი აღნიშნავს, რომ „ხეობის ორივე საზოგადოების მამასახლისები ხელმძღვანელობენ საზოგადო კანონებით, მაგრამ ერთი საზოგადოების მედიატორები, რომლებსაც ეკუთვნიან მოუნათლავი მაჰმადიანები, ისინი მთავრობის ნებართვით მსჯელობის დროს ხელმძღვანელობენ მაჰმადიანური ჩვეულებით – ადათით“ [4: რვ. 7]. აქ ლაპარაკია სოფელ დუისზე, სადაც მეტი წილი მაჰმადიანები ცხოვრობენ.

ცნობილია, რომ ადათობრივი სამართალი თემური წყობილების უმთავრესი ჩვეულება იყო, რომელიც სისხლ-მესისხლეობის ნიადაგზე აღმოცენდა. ისტორიულად ეს მკაცრი ჩვეულება შორეულ წარსულში წარმოიშვა, როგორც მმართველობის ორგანო და თავდაცვის ერთერთი საშუალება. გვარის წევრები ვალდებული იყვნენ მტკიცედ დაეცვათ თავიანთი სისხლი. ისინი ყოველ ღონეს ხმარობდნენ მოეკლათ ძმის ან მოგვარის მკვლელი. ეს ჩვეულება ვეინახებში გადმონაშთის სახით შემონახულია ჩვენს დროშიც.

გვარობრივად დაყოფილ საზოგადოებებში შურისძიების გამომწვევი მიზეზები უამრავი იყო (შემთხვევითი და განზრახ მკვლელობა, ქურდობა, ქაღის შეურაცხყოფა, მოტაცება, დედის, დის და ცოლის შეუფერებელი სიტყვებით გალანძღვა, საზოგადოებრივი თავმყერის ადგილების დაბინძურება, ხატ-

სალოცაგების დანგრევა და სხვ.). ამიტომ მათში თანდათანობით შემუშავდა ყველა დანაშაულის მიმართ თავისებური საზღაური, მაგრამ განზრახ და შემთხვევით კაცის მკვლელობას ხანგრძლივი დროის განმავლობაში მარტო სამაგიერო სისხლის აღებით შეიძლებოდა პასუხის გაცემა. სისხლის აღება ეს ისეთი აღმოუფხვრელი ჩვეულებაა, რომ ვერც დრომ და ვერც ადგილობრივი ადმინისტრაციის ვერანაირმა ღონისძიებამ ვერ აღმოუფხვრა ქისტების ყოფიდან.

თუ კაცს შემთხვევით კაცი შემოაკვდა „ის არის იმისი დაღუპვაო“ აღნიშნავს მ. ალბუთაშვილი. ამ ჩვეულებას თემურ საზოგადოებაში თავისი უფლებრივ-ხნეობრივი გამართლებაც ჰქონდა, რადგანაც მკვლელობის შემთხვევაში გვარის აკლდებოდა მებრძოლი, მუშახელი და გვარის გამგრძელებელი, რის გამოც გვარი სუსტდებოდა. ამიტომ იყო, რომ ვეინახებში სისხლის აუღებლობა გვარის დიდ სიღაჩრედ ითვლებოდა. ხანდახან ეს შურის ძიება იქამდე მიდიოდა, რომ გვარში მამაკაცთა რიცხვი თანდათანობით მცირდებოდა, ზოგჯერ კი მთელი გვარიც ისპობოდა. ამის გამო თემის, გვარის უხუცესთა მიერ შემუშავებული იქნა საზოგადოებისთვის უფრო მომგებიანი ადამ-ჩვევები, რომლებიც განვითარების პროცესში თანდათან შეივსო და საბოლოოდ ჩამოყალიბდა უფრო შეღავათიანი ადამსამართლის ნორმები. დაკანონდა სისხლის გამოსყიდვა – შერიგება, ფიცის დადება, დაჯარიმება, თუმცა თემებს შორის ზოგიერთ საკითხში უმნიშვნელო სხვაობაც არსებობდა.

ი. ფუტკარაძე წერს: „გვაროვნულ საზოგადოებაში წარმოშობილა ამ შურისძიების ჩვეულებამ განვითარების რთული გზა განვლო. ეკონომიკური წინსვლისა და გვაროვნული წყობილების დაშლის კვალობაზე იგი თანდათან სუსტდება და ადგილს უთმობს კომპოზიციის სისტემას... რომლის ძირითად მიზანს წარმოადგენდა დაზარალებული მხარის დაკმაყოფილება მისთვის მიყენებული ვნების მატერიალური ანაზღაურების გზით“ [20: 53].

პანკისის ხეობის ქისტებში მოქმედი შურისძიების შემდეგ შერიგების წესის ძირითადი მიზანი იყო სწორედ დაზარალებულის მატერიალური დაკმაყოფილება.

ვახუშტი „ხნენი და ჩვეულებანი საქართველოსანის“ აღწერისას აღნიშნავს: „ხოლო წესნი სამართლისა და შერისხვისათვის აქუნდათ: სისხლი, ჳრმალი, შანთი, მღუდარე და ფიცი“ [21: 18-19]. სისხლს იგი უწოდებს მოკლულის საპასუხოდ მკვლელის ან მისი ნათესავის მოკვლას. სისხლის აღებას ვეინახები წ ი - ი ე ც ა რ ს უწოდებენ. ვახუშტის მიერ სამართლის წესებში მოყვანილი წეს-ჩვეულებიდან ვეინახებში დასტურდება სისხლის აღება და ფიცი. ამასთანავე, ვეინახებს ჰქონდათ დანაშაულის ჩამდენის გამოტყვის სხვადასხვა საშუალებებიც. მაგალითად, ეჭვიტანისის ვიწრო ორმოში ჩასმა, მღუდარე წყალში ჩაყენება, ცივ წყალში ჩადებული უმარილო ცხერის ღუმის ჳმევა და სხვ. ასეთი ორმო დადასტურებული იქნა 1971 წელს ვედნოს რაიონის კეზინოის ტბის მახლობლად. მისი სიღრმე იყო 2,5 მ. სიგანით მხოლოდ ფეხზე მდგომ კაცს დაიტევდა. ორმოს ეყარა დიდი ლოდი. მოხრობელის გადმოცემით, ასეთი ორმო ყველა თემს საკუთარი ჰქონდა. ყოველი თემის სათავეში ედგნენ ადათების კარგი მცოდნე უხუცესები, რომლებიც აკანონებდნენ და ავსებდნენ სისხლის საფასურს ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის მიხედვით.

რეკოლუციის შემდგომ პერიოდში ქისტების საზოგადოებრივმა მმართველობამ თავისი დემოკრატიულობა დაკარგა, ხოლო ადგილობრივი სამართალი ჯ ა ე ლ მხოლოდ ფარულად ემსახურებოდა საზოგადოებას. სახელმწიფო სისხლის სამართლის კანონმდებლობით მისჯილი სასჯელის მოხდა, არ ათავისუფლებდა დანაშაუვს ადათობრივი სამართლით გათვალისწინებული სასჯელისგან. დანაშაუვს უხდებოდა ორმაგი სასჯელის მოხდა – სახალხო და ადათობრივი სამართლისა. ადამიანის მკვლელობა, დაჭრა და სხეულის რომელიმე ორგანოს დაკარგვა, თუნდაც შემთხვევითი დანაშაულის დროს, აუცილებლად სისხლის აღებას ექვემდებარებოდა. ჩენეთ–ინგუშეთში სისხლ–მესისხლეობა შეიძლებოდა ჩამოვარდნილიყო ძმათა შვილებს შორის, მაგრამ პანკისის ქისტებში ბიძაშვილებსა და მოგვარის შიგნით მომხდარ დანაშაულს (მკვლევლობა თუ სხვ.) მედიატორების ჯ ა ე ლ ხ ო ი ჩარევის გარეშე გვარის თავკაცები აგვარებდნენ. ქისტებში მედიატორთა რიცხვი კენტი იყო: 3, 5, 7 და ა. შ. აღნიშნულ პერიოდში ქისტებში განზრახ მკვლელობა თითქმის არ დასტურდება, მაგრამ შემთხვევით მკვლელობისა და სისხლის საფასურის გადახდის არა ერთი შემთხვევა ყოფილა. ნებისმიერ დანაშაულზე მიღებული იყო სისხლის აღება – წ ი – ი ე ც ა რ, ფიცვი – დ უ ი – ბ ა ა რ ან ჩადენილი დანაშაულისთვის დადგენილი ღირებულების დაკისრება.

ფიცვი დიდ როლს თამაშობდა ქისტების საზოგადოებრივ ყოფაში. ადამიანი თუ დაიფიცებდა, ის ნამდვილად თავისუფლდებოდა ჩადენილი დანაშაულისგან, მაგრამ ტყუილად დაფიცება მას ავტორიტეტს აკარგვინებდა საზოგადოებაში და არადადამიანად ითვლებოდა.

ადათობრივი სამართლის მიხედვით, მკვლევობასთან და სხეულის ნაწილის დაზიანებასთან დაკავშირებული სისხლის საფასური – ფ კ ა ე ე შემდეგია: სოფ. ჯოყოლოში ადამიანის სისხლი შეფასებულია 70 ძროხად ან 70 თუმნად, სოფ. დუისში 63 ძროხად ან 63 თუმნად. გადასახადის სამ ნაწილად დაყოფის წესი მოქმედებდა. დუისის მაგალითზე: 21 ძროხა, 21 – ფულად, 21-იც სპილენძის გადახდით; ხანჯლით ჩხვლეტა 10 – ძროხა, დარტყმით დაჭრა – 5, თვალის ამოგდება ან გაფუჭება – 30, ფეხის მოჭრა – 30, ყურის მოჭრა – 15, ცხვირის მოჭრა – 15, თავის ქალაზე დარტყმა – 7, თოფით ან ხმლით დაჭრა – 10, ხელის მტეენის მოჭრა – 15, მთლიანად მკლავის მოჭრა – 30 ძროხა, თითების მოჭრა შემდეგ ნაირად იყო ნაანგარიშები: ნეკი 1 ძროხა, სალოკი თითი – 2, შუა თითი – 3, საჩვენებელი – 4, ცერი – 5 ძროხა. დაწესებული იყო კიდევ დამატებითი საზღაური ჭრილობათა რაოდენობის მიხედვით – ერთიდან ოთხ ჭრილობამდე 5 – ძროხა; თუ ოთხზე მეტი ჭრილობა ჰქონდა მიყენებული, მაშინ თითოეული ჭრილობა – 6 ძროხა. გადახდის დროს აქაც იცავდნენ სამ ნაწილად დაყოფის წესს – პირუტყვის, ფულის და სპილენძის. ვისაც საშუალება ჰქონდა, იმას სისხლის ფასი მთლიანად ფულითაც შეეძლო გადაეხადა [9: 44]. მ. ალბუთაშვილისა და უ. მარგოშვილის მასალებშიც იგივე მდგომარეობა აღწერილი. მაშინ ერთი ძროხა შეფასებული იყო ათ ცხვრად. სხლის გამტეხსაც (არაფერი, რომ არ წაეღო) ათი ძროხა უნდა გადაეხადა [4: რე. 7]. მ. ალბუთაშვილი განსხვავებულ მონაცემებსაც აღწერს: „სისხლი წინათ სხვა იყო, ახლა დაფასებულია 120 თუმანი. ამ ფულსა ხდილობს მკვლელის

გარდა, ყველა მისი ნათესავი შემდეგი წესით: მამასა და ძმას ხვდებოდა ყველაზე მეტი, მერე უფრო ჭარბად განუყრელ ძმებს, მერე ძმისწულებს, ბიძაშვილებს და სხვ. ასე რომ, რაც უფრო შორსაა ნათესაობა, იმდენად ნაკლები უნდა გადაეხადა“ [4: რვ. 7]. ავტორის მიერ წარმოდგენილი სისხლის საფასური თავიდან ჩამოსახლების პერიოდში 120 თუმანი იყო, მაგრამ ქისტებმა ახალ გარემოში, ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, შეამცირეს, თუმცა ხელუხლებელი დარჩა ქალის მკვლელობისთვის ორმაგი სახალაური. ჩენნეთშიც სისხლის საზღაური იყო 120 ძროხა ან 120 თუმანი, ხოლო ქალის მკვლელობისათვის 240 ძროხა (ე.ი. ორმაგი).

ქისტებს ფიცი სწამდათ და სწამთ. შემორჩენილია გადმოცემა რომ „სოფელმა დანაკარგზე საკომლო ფიცი დააკისრა მეორე სოფელს და ერთ ადგილას უნდა შეკრებილიყვნენ დასაფიცად. ერთ ოჯახიდან ახალგაზრდა კაცი გაემზავლა წასასვლელად. მამამისს არ უნდოდა, რომ შეიღს დაეფიცა, რადგან ის თავს დამნაშავედ გრძნობდა. რამდენჯერმე სთხოვა „ნუ დაიფიცავო.“ შვილმა არ დაიშალა და გაუდგა გზას. ბოლოს მამამ შესძახა: „აბა მაშ კარგი, უკან რომ დაბრუნდები გზაზე თვალფურჩიანად იყავი.“ წავიდა შვილი, დაიფიცა, როგორც სხვებმა და დაბრუნდა უკან. მამამ ჰკითხა: „რა ქენი შვილო,“ დაეფიცყო. „როგორც გითხარი გზაზედ ხომ არაფერი შეგინიშნავსო.“ არაო უთხრა შვილმა, მხოლოდ პირველ და მეორე მთას, რომ გამოვცდით არაფერი, ხოლო მესამეს რომ გამოვცდით, რაღაც ძახილის ხმა შემომესმაო. პოი! უთქვამს მამას, „გ იმას ნიშნავს, რომ მაგ ტყუილი ფიცისათვის შენ, შენ შეიღს არაფერი, მაგრამ შვილიშვილს მოუწევიაო. მართლაც იმ დრომდე ისინი სულ დახოცილან და ერთი ბენავი ქალიდა დამრჩალა“ [9: 31]. არსებობს სხვა გადმოცემაც: „დმერთს უთქვია: ჩემზე ნუ ფიცდები. მე უხილავი ვარ და მოწმედ ვერ დაგიდგები. თუ მართალი ხარ დაიფიცე ქვეყნად ვინც შენთვის ახლობელია. ბოლოს კი მე გამოგიტან გადაწყვეტილებას.“

საინტერესოა მოსავალთან დაკავშირებული თქმულებაც: როდესაც სიმინდი ტაროს გაიკეთებდა, მამასახლისი ან მის მიერ შერჩეული ნაცვალი ჩამოივილიდა სოფელში, ყველა ოჯახიდან გამოიტანდა სამასამდე მანეთის გირაოს (სპილენძის ქებაი, თოფი, ტაშტი და სხვ.) და ერთ სახლში შეინახავდა. ბოლოს, როდესაც სიმინდს მოჭრიდნენ, გაარჩევდნენ და ჩაყრიდნენ ჭურჭელში, მაშინ ხელმოკრედ ჩამოივილიდნენ (მამასახლისი, ნაცვალი) და ვინც დაიფიცებდა, რომ „ჩემს სახლში არც მე, არც დედაკაცს, არც ბაბულს სხვისი ყანიდან სიმინდი არ მოგვიტანია და არც ვიცით არაფერი,“ ის წაიღებდა თავის გირაოს, ვინც ვერ დაიფიცებდა, იმის გირაო დაიკარგებოდა. ამ წესით ხეობის სიმინდები დაცული იყო ქურდობისგან. აქაურ კაცსა და დედაკაცს თავიანთი სიმინდის მოტყვისაც ეშინიათ, ფიცში არ ჩაგვრიონო [4: რვ. 7]. როგორც ითქვა, ქისტებში ყველა სოფელს თავისი მედიატორები-ც ე უ ღ ხ ი ი ჰყავდა და ჰყავთ, მაგრამ იყო შემთხვევები, როცა მედიატორები სოფელ დუისიდან მოჰყავდათ სხვა სოფლებში, როგორც ადამიანობრივი სამართლის კარგი მცოდნეები. დუისის ძირითადი მოსახლეობა მაისტიდან არის გადმოსახლებული. მათი ადრინდელი საშობლოს მედიატორები ჩენნეთში განთქმულები იყვნენ ადამის ცოდნით. ამდენად დუისელები ამ მხრივ ცნობილი იყვნენ ხეობაში. ისე, რომ დუისის მაგალითზე მკვლელობის სისხლის ფასია 63 მსხვილფეხა

საქონელი (გამორიცხული არ იყო ცხენი და შესაბამისად წერილფეხაც) ან ფული. ფიცის დადების დროს თითო ძროხა უდრიდა თითო კაცის ფიცს, ე. ი. სისხლზე ფიცი ეკისრებოდა 63 კაცს. ბოლო ხანებში ამ ნორმებში შესულია ცვლილებები და ხშირად ფიცი ეკისრება 18 კაცს. ეჭვის მიტანით დაბრალების ფიცი – შ ი ბ ა რ ე ი თ – ორჯერ თვრამეტი – 36 კაცის ფიცი იყო. მკვლელობის საკითხს მედიატორები (ჰა ე ლ ხ ო ი) არჩევდნენ იმ შემთხვევაში, თუ მკვლელი არ ჩნდებოდა და ეჭვის მიტანით დაბრალება იყო, ან მკვლელი უარს აცხადებდა მკვლელობაზე, ან თუ მკვლელობა დალაბით იყო ჩადენილი. ქისტებში საპასუხო მკვლელობა არ ვრცელდებოდა ქალებსა და ბავშვებზე. მკვლელობას ორივე ოჯახი გლოვობდა. ხდებოდა ისეც, რომ სისხლის აღება და შერიგება დროულად ვერ ხერხდებოდა და მტრობა ათეული წლობით გრძელდებოდა, რასაც დაზარალებულთა სიჯიუტეც განაპირობებდა. ამჯერად შეეწერდებით „მცირე წლოვან მოსისხლეებზე.“ რომელიც პირველად აღწერა მ. ალბუთაშვილმა. სოფ. ჯოყოლოში 10–12 წლის ბავშვები – ბიწალა და ფასქოშა ესოში თამაშობდნენ. სადღაც, სახლის კუთხეში ენახათ მიგდებული, ჩაქანებული ძველი თოფი და იმას აწვალებდნენ. თოფის წამალიც იშოვენ. ბიწალამ სახლის კარებიდან გამოიშვირა თოფი და ბავშვებს შესძახა: „მოვიდა თოფი.“ ბავშვებს შეშინებით და გაფანტულან. ბიწალამ ჩახმახს გამოჰკრა, მაგრამ თოფი არ გავარდნილა, ბავშვებს შიშმა გაუარა. შემდეგ ერთ–ერთმა მათგანმა ქუდი მოიხადა, თავს ზემოთ ასწია და დაუძახა: „აა, ესროლე.“ ბიწალამ ჩახმახს თითი გამოჰკრა, თოფი გავარდა და ბავშვი უსულოდ დაეცა მიწაზე. მოთამაშე ბავშვების გროვა წამსვე სამად გაიყო. ერთი ნაწილი, მკვლელის ნათესავები – თავქუდმოგლეჯილი შინისაკენ გაიქცა, მეორე ნაწილი – მეზობლების ბავშვები, შეშინებული ყვარად გაიფანტა, მესამე კი – მოკლულის ნათესავებმა, ტირილი მართეს. მათ სწორილზე შეგროვდა სოფელი. კაცებმა მკვლელის ახლობლებზე ძმებზე, მამაზე გაიწიეს, ხანჯლები იძრეს. ზოგმა თივა მოარბენინა მკვლელის სახლისთვის ცეცხლის წასაკიდებლად. სახლის კედლებს და კრამიტებს ქვები დაუშინეს. ბავშვს ტყვია თავში მოხვედროდა და თავის ქალა აეხადა. შინ მიყვანისთანავე გარდაიცვალა. ცხადია, მცირეწლოვან მკვლელს შემთხვევით მოუხდა ეს ამბავი და არა მტრობით, მაგრამ მამა–პაპის ადამი ამას ანგარიშს არ უწევს. ძველი ჩვეულების თანახმად, სისხლი სისხლდითვე უნდა ჩამოირეცხოს, მაგრამ, ამის პარალელურად, ჩნდება პატიების შესაბამისი ნორმები, თუმცა ვეინახების ერთი ნაწილი (ინგუშები) „სისხლს ფულად არ ჰყიდიან.“ დაზარალებულის საგვარეულოში შურისძიების ობიექტად კარგს არჩევდნენ. ჯაბან, უხეირო კაცს არ მოჰკლავდნენ. თუ მკვლელი თავისთავად მახინჯი იყო ან ჩხუბის დროს დაინვალიდებოდა, იმას ზედაც არ უყურებდნენ. „ეგ მოკვლის ღირსი არ არისო“ იტყოდნენ. სანამ მათ გვარში კარგი ვინმე არ გაიზრდებოდა – შვილი, შვილისშვილი, ძმა, ძმისშვილი ან ბიძაშვილი, სისხლის ასაღებად აჩქარება არ იცოდნენ. ზემოთ დასახელებულთა მცირეწლოვანი მკვლელის მამამ (კილომ) ხევწნა – მუდართით თავი მოუყარა სოფლის მოხუც თაკაცებს და მოკლულის ოჯახში გაგზავნა. მისულებმა ქასა (მოკლულის მამა) მათ სოფელში მომხდარი ანალოგიური ამბავი მოაგონა, როცა მოკლულის დედამ იმავე წუთს მკვლელს თავისი ძუძუ ჩაუდო პირში, იშვილა და ამით ხანგრძლივ შუღლს თავიდანვე ბოლო მოუღო. ქასამ მოთმინებით მოისმინა ეს ამბავი და შუაკაცებს

უთხრა: „ყველაფერი მართალია, განა პირველად ჩვენს თავზეა ეს ამბავი. შურიგებლობაც არ იქნება, მაშ რისთვის არის დადგენილი ჩვენი მამა-პაპათაგან წესი და ადამი? განა ჩვენ არ მოგვიხდება უბედური შემთხვევა? დასათმობი უნდა დაეთმოთ, საბატიოთ, მაგრამ ასე აჩქარებით შურიგებაზე ლაპარაკი არაა კარგი.“ [4: რე. 1]. ვათხოვნილად მისული 10–12 შუაკაცი უარი გამოისტუმრეს უკან. გავიდა რამდენიმე ხანი, სოფლის თავაკები ისევ მიადგნენ ხევწნა – მუდართო, მაგრამ ამოდ. შემდეგაც ისინი რამდენჯერმე მივიდნენ ქასასთან თხოვნით. ამ ამბავმა კარგახანს გასტანა. ამასობაში ბიწალაც წამოიზარდა და თვითონ ჩაუდგა საქმეს სათავეში. ამჯერად ხეობის თავაკებს სთხოვა, გაეწიათ მისთვის სათანადო დახმარება, რათა გადაეჩინა საკუთარი სიცოცხლე. „ერთ მშენიერ დღეს მოქუნდნენ მთელი ხეობიდან რჩეული თავაკები და გაემართნენ სოფლის ბოლოსკენ. მათ უკან თეთრ ჩადრში გახვეული ბიწალა სისხლის მოვალე, ტოლ – ამხანაგებით, ნათესავებით გარშემორტყმული მისდევდათ. თან წაიღეს მთელი სისხლის საზღაური: სპილენძი, პირუტყვი (ძროხები, ხარები) სულ 28 სული, ორი ჭკვილა, სამაწფიანი არყის ტიკი და ორი თონე პური. მიიყვანეს თეთრ მიტკალში გახვეული ბიწალა და დააწინეს თავისი მსხვერპლის საფლავზე. იქვე გააჩერეს სისხლის საზღაური საქონელი და ხალხიც იქვე გაჩერდა. რამდენიმე თავაკი მოკლეულის ოჯახში მივიდა. ისინი ქასას წინ მუხლის ჩოქებზე დაეცნენ, მოიხადეს ფაფახი ქუდები, წინ დაუხეთქეს და უთხრეს: „აი, ეს ჩვენი ქუდები, ან აიღე თავზე დაგვახურე ან არა და ფეხით დასრისე და უკან გადმოგვიყარე, ჩვენ ორივეზე მადლობელი ვიქნებით.“ ქასა მაშინ მოიდრია და მოსულთ უთხრა: „მე შეიღები მყავს, ძმა, ძმისშვილები, მაგათაც შევიკითხებოი.“ ცოტა ხნის შემდეგ ქასამ შურიგებაზე თანხმობა განაცხადა და ბიწალას, როგორც მისი შვილის ტოლ – ამხანაგს, სიცოცხლე აჩუქა. შუაკაცებმა ქასას მადლობა გადაუხადეს და სისხლის სრული საზღაური – 70 თუმნის სპილენძი, საქონელი, ნაწილი ფული გადაიხადეს და თვით ბიწალას ბეგარის სახით (მუდმივი გადასახადი) დააკისრეს წელიწადში სამი მანკით გადახდა. მოკლეულის საფლავზე დაწოლილი მკვლეული წამოაყენა განსვენებულის ძმამ და ბიბაშვილმა. შემდეგ მოხდა მათი შურიგება ერთმანეთის ოჯახებში გადაპატივებით [4: რე. 1].

მოსახლეობას კარგად ჰქონდა შეგნებული შურისძიების წესების სიმძიმე, მანებლობა, მაგრამ მოხდებოდა თუ არა დანაშაული, მაშინვე იწყებდნენ სისხლის ძიებას. სისხლის აღება ყველანაირი ხერხით ხდებოდა – ცეცხლსასროლი იარაღით, დახრჩობით თუ მოწამლვით. შურისძიებამდე დაზარალებული მხარე ბრალდებულ ოჯახს უგზავნიდა ნეიტრალური გვარის წარმომადგენელს და ოფიციალურად უცხადებდა მტრობას. საწინააღმდეგო მხარეს შეუძლო ეღიარებინა დანაშაული, ან არ ეცნო ბრალდება და შეეთავაზებინა ადათობრივი სამართლისთვის გადაცემა. თუ ოჯახი დანაშაულს ვერცხობდა თავს, უგზავნიდნენ შუაკაცს თხოვნით – შური იძიონ მხოლოდ მკვლელებზე – ვისი ხელიც დამნაშავეა ქუგბიეხქიედერგ. დაზარალებული მხარე ამაზე თანხმდებოდა, მაგრამ მკვლელის ბუნებრივი სიკვდილის შემთხვევაში შურისძიება მის უახლოეს ნათესავზე გადადიოდა. პატიმრობაში სიკვდილი საპატიო მკვლელობად იყო მიჩნეული, მაგრამ სასჯელის მოხდის შემდეგ მკვლელის დაბრუნებისას შურისძიება ახლდებოდა. საპასუხო მკვლელობის შემდეგ შურისძიების აქტი მთავრდებოდა. შეუიარაღებელ ადამიანზე

შურისძიება დიდ სირცხვილად ითვლებოდა. ასევე სამარცხვინო იყო ჭრილობის მიყენება ხანჯლით და ჩხვლეტით.

საინტერესოა გაზ. „ივერიაში“ გამოქვეყნებული ერთი ცნობაც: „ამა თვის 21-ში აქ ერთი უბედურება დატრიალდა, დღის 2 საათი იქნებოდა, რომ სათოხნზე გასული ცხრა კაცი ქისტები, მინდორში მუშაობდნენ, როდესაც მახლობელი წარაფიდან წამოეპარა ვიღაც ბოროტ-გამზრახველი, ესროლა თოფი და იქვე მოკლა ჯოჯოხლოელი მ. დაქიშვილი – 17-18 წლის ბიჭი. ამ დაქიშვილს ორი წლის წინათ შემოაკვდა მახლობელ სოფლიდან თავის სწორი ერთი ქისტი ბიჭი. სამართალმა დაქიშვილი გაამართლა, ხოლო შინ, ჩეულებსამებრ, შერიგდნენ და დიდი გადასახადიც გადაახდევინეს დაქიშვილებს. ეს უბედურება დააეწიეს მშობლებს, ნათესაებებს და მეზობლებსაც ახლა მესამე დღესვე მომხდარმა უბედურება. მოკლული მ. დაქიშვილის ქმარ-ხანჯალი და რევოლვერი მინდვრიდან, ბიძას წამოეღო და თავის სახლში შეენახა... დასაფლავების შემდეგ მშობლებმა მოიკითხეს ეს იარაღი და გადაიტანეს თაიანთ სახლში, დახსდნენ შინ ჩეულებრივ და ახლა იარაღს დასტირეს. როცა ტირილით დაიდგლნენ, კარში გამოვიდნენ. დარჩა 16-17 წლის გასათხოვარი მოკლულის დაი. სკივრში ჩალაგებული იარაღი ამოიღო ისევ, ჩამოჯდა იქვე ტახტზე, დაიჭირა ხელში და მორთო ისევ ტირილი და მუხლებში ცემა. ამ დროს უეცრად გაეარდა რევოლვერი და მოხდა ქალს მუცელში... ექიმმა ჭრილობა საშიშად სცნო, თუმცა... მოარჩინა მღვდელმა მ. ალბუთაშვილმა“ [19:].

სისხლ-მესისხლეობა ქისტებში ცალკე საკვლევი საკითხია, რომლის ირგვლივ შეიძლება უამრავი ფაქტიური მასალის მოტანა და ამდენად მასზე სიტყვას აღარ გაეგარძელებთ. ერთი კი შეიძლება ითქვას, რომ სოფლის თემი სისლ-მესისხლეობის კატეგორიული წინააღმდეგი იყო. ყოველ დონეს ხმარობდა, რომ დროულად მიეღო ზომები დაპირისპირებული მხარეების შესარიგებლად. როცა მკვლეული სახეზე იყო, საკითხს ვაეღ არ იხილავდა. არსებობდა ყველა სახის დანაშაულისთვის შემუშავებული ნორმები, რომლითაც ხელმძღვანელობდნენ სოფლის თავკაცები. საზოგადოებისთვის ზიანის მომტანი აღნიშნული წესი დღესაც სიცოცხლისუნარიანია და მისი მოსპობა-აღმოფხვრა საბჭოთა პერიოდში გატარებულმა ღონისძიებებმაც ვერ შეძლო. შეგნებულად თუ შემთხვევით მომხდარი დანაშაული ორმაგი განაჩენის აღსრულებას მოითხოვს – სახელმწიფო სისხლის სამართლის კანონმდებლობისა და ადგილობრივი ადამთბრივი სამართლისა, რის წინააღმდეგ საჭიროა მკაცრი ღონისძიების მიღება სპეციალური მუხლის შემუშავებით. ადამიანი, რომელიც ცხოვრობს სხვა ქვეყანაში, სადაც განსხვავებული საკანონმდებლო ნორმები მოქმედებს, ვალდებულია დაექვემდებაროს მათ და საკუთარი „სამართალი“ ჩააბაროს არქივს. დანაშაულის ჩამდენი იხჯება მხოლოდ ერთი სისხლის სამართლის კანონით – განუზრუნველად რჯულისა და ეროვნებისა. ამდენად, პანკისის ხეობის ქისტებში დროა მოისპოს ადამთბრივი სამართლის დღემდე მოქმედი გადმონაშთები.

§ 3. ს ტ უ მ ა რ – მ ა ს პ ი ნ ძ ე ლ ო ბ ა

სტუმარ-მასპინძლობის ინსტიტუტი დიდ როლს თამაშობდა მთიელებში, რასაც არა ერთი მკვლევარი თუ მოგზაური შეხებია. ნებისმიერ უცხო ოჯახში მისულ სტუმარს მასპინძელი ხვდებოდა როგორც ახლობელს – თბილად, გულდიად, მომდიომარი სახით და შეიპატიჟებდა სახლში, თუნდაც სტუმრის გამასპინძლების საშუალება არ ჰქონოდა. მასპინძელს გარეგნულად შეეუბნებოდა ის, რომ სტუმრის მის ოჯახში მისვლა ბედნიერება იყო. ვეინახების სტუმართ – მასპინძლობა მკითხველს გააცნო ქართველმა პოეტმა და მწერალმა ვაჟა-ფშაველამ თავის ნაწარმოებში „სტუმარ – მასპინძელი,“ სადაც მთიელთა ყოფა-ცხოვრების საუკეთესო ცოდნით წარმოჩენილია სტუმართმოყვარეობის უმაღლესი ტრადიცია ვეინახებში.

ა. ზისერმანმა, რომელიც დიდხანს მსახურობდა (1842–1867 წწ.) კავკასიის ომის დროს დაღესტნის მოსახლეურ რეგიონში, დაზვერვის მიზნით გამოიყენა კავკასიის მთიელთა ძმობილ – დობილობის ტრადიცია და ხევსურ ვაჟიკას შესთავაზა მეგზურობა ჩენნეთში, რომელიც სიამოვნებით დათანხმდა. მან კარგად იცოდა ჩენნური ენა და მათი წეს-ჩვეულებები. დაპირდა, რომ მისულ სტუმარს არაფერს გაანაწევებდა. მას ქისტებში (ჩენენ-ინგუშები) ბევრი ნაცნობი და ძმობილი ჰყავდა. ვაჟიკამ სტუმართან ერთად თავის მასტრში გამგზავრების შესახებ წინასწარ აცნობა ჯოყოლას. იგი სოფ. წორიდან რამდენიმე კილომეტრით დაშორებულ სოფ. მისისტში დახვდა სტუმრებს.

ა. ზისერმანმა თავისი თვალით ნახა მთიელთა სიღარიბე და ისიც, რომ ამის მიუხედავად მასპინძელმა სტუმრებს ტრადიციისამებრ ცხვარი დაუკლა, გაართო ისინი სიმღერით ბალალაიკის თანხლებით, თანაც მათ საპატივცემლოდ საჭმელადაც არ დამჯდარა და გვიან ღამემდე ფეხზე იდგა და თავს დასტრიალებდა. შემდეგ დაღლილი სტუმრები სასტუმრო ოთახში – კ ე ე შ – წ ა ა შეიყვანა, დააწვინა, თავზე გადაუსვა თავისი ფაფახი ქული, უსურვა ტკბილი ძილი და გამოვიდა ოთახიდან. ეს იმას ნიშნავდა, რომ სტუმრებმა დაიძინონ უშიშრად, როგორც საკუთარ ოჯახში. მეორე დღეს საღამოს სტუმრები დაპატიჟა ჯოყოლას ძმამ, გაუმასპინძლდა ტრადიციისამებრ, მოაწყო ჩენნური გასართობი საღამო – ს ი ნ ყ ი ე რ ა მ. ახალგაზრდა ქალები ცეკვავდნენ, მღეროდნენ და ბევრი საქებარი სიტყვით მიმართავდნენ სტუმრებს. ა. ზისერმანი დიდი კმაყოფილების გრძნობით აღნიშნავს, რომ „მე შევთავაზე მასპინძელს ძმობილობა და იგი (ჯოყოლა) სიხარულით დათანხმდა. მე მას ვაჩუქე სამი ვერცხლის მანეთი და პისტოლეტი, მან კი მაჩუქა საუკეთესო ხანჯალი“ [22: 167–168].

საინტერესოა უ. მარგოშვილის მასალებში მოცემული ერთი სიუჟეტი: „1916 წელს მე, ჩემი ძმა კოსტა და ბიძა ბობოლათა გავემგზავრეთ (მთის ბილიკით) საქმეზე ჩენნეთში. მეხუთე დღეს საღამოს მიველით ითუმხალეში ნაცნობის ოჯახში. მათ ძალიან გაუხარდათ ჩვენი მისვლა და მიგვიპატიჟა სახლში. მაშინვე დაკვლეს ცხვარი, გაგვიშაღეს სუფრა და გვიან ღამემდე ცეკვა – სიმღერით გაგვართეს და შემდეგ დაგვადინეს. დილას გამოვედით გარეთ და ეზო საესეა ხალხით. ჩვენ ვიფიქრეთ, ალბად გაიგეს მეზობლებმა ჩვენი ჩამოსვლის ამბავი და სანახავად

არიან მოსულები. ცოტა ხანი დაეიცადე, მივედი ერთ მოხუცთან და შევეკითხე: „ახალი ხომ არაფერია?“ მან მიპასუხა „ამ ოჯახში მიცვალებულიაო.“ შევწუხდით ძალიან და მასპინძელს ვუსაყვედურეთ, რატომ დაგვიმალა ეს მწუხარება! მან გეიპასუხა: „მთაში სტუმრის მიღება და მისი დახვედრა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ადამიანის სიკვდილი, რომლის წინაშეც ჩვენ უძღურები ვართ“ [7].

გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ სტუმართ – მასპინძლობის ტრადიციის ვეგანობაში საოცრიად დახვეწილი და მდიდარია. პანკისის ხეობაში სტუმარს დიდად აფასებენ. მისი პატივისცემით მიღება და გასტუმრება საამაყო იყო არა მარტო ოჯახის, ნათესაებისა და სოფლისთვის, არამედ ზოგჯერ მთელი ხეობის ქისტებისთვისაც. ხალხი იტყოდა ხოლმე „შეიძლება სტუმარს არ შესთავაზო საჭმელი, მაგრამ შეხედი გულდია, განათებული სახით“.

მ. ალბუთაშვილი აღნიშნავს, რომ ქისტისთვის სტუმარი „სახლის პატრონზე უფრო მაღლა დგას. იგი თავში ზის და სახლის პატრონი თავზე ადგება. თუ მოხუცებული არ არის და ძალიანაც თავი არ მოაბეზრა სტუმარმა დააჯექით, არ დაჯდება“ [4: რე. 7, 21]. ქისტ კაცს ოჯახში ღუქმა პური რომ არ ჰქონდეს, სტუმრისთვის მაინც გააჩენს ყველაფერს.

ადგილზე მოპოვებული მასალებით, ქისტი ისევე როგორც ჩეჩენი და ინგუში, მოსულს სამ დღეს თვლიდა სტუმრად. სამი დღის შემდეგ მას უმასპინძლებიან იმ საკვებით, რაც ჩვეულებრივად ოჯახში აქვთ. თუ დიასახლისი არ იცნობდა სტუმარს, სამი დღის განმავლობაში სირცხვილად თვლიდა ეკითხა მისთვის ვინაობა, მოსვლის მიზეზი და საითკენ მიემტზავრებოდა. სტუმარი წმინდა პიროვნებად ითვლებოდა და მასპინძელი ვალდებული იყო დაეცვა იგი, თუნდ სტუმარი მისი მტერი გამომდგარიყო. მაგალითად, კაცის მკვლელობის ნიადაგზე ჩენეთს გამორიდებული № თავს აფარებდა სოფელ დუისის ერთ-ერთ ოჯახში. დროთა განმავლობაში ეს ამბავი მოსისხლემდე მივიდა. გაიგეს მისი ადგილ-სამყოფელი და მოულოდნელად მიადგნენ ოჯახს, მაგრამ მასპინძელმა სტუმრის ხელის შეხების უფლება არ მისცა: „ეს შენი მოსისხლე დღეს ჩემი სტუმარია, საქართველოს ტერიტორიას რომ გასცდება, მერე რაც გინდათ ის უყავით. ამ შემთხვევაში კი, ჩემი სტუმრის შეურაცხობაზე მე გაგისწორდებით“. დაზარალებულები უხმოდ უკან დაბრუნდნენ ჩენეთში. ორი წლის შემდეგ ადგილობრივმა თავკაცებმა შეარიგეს ეს ორი გვარი და მკვლელობა დაბრუნდა თავის სამშობლოში. სტუმარს ოჯახში მიღების დროს კარებში ან ეზოს ხირხლებში უფროსი მამაკაცი ხვდებოდა, კერძოდ მიაცილებდა და საპატიო ადგილას დასვამდა. ამის შესახებ საინტერესო მასალას იძლევა მ. ალბუთაშვილი: „სტუმარი მარჯვნივ კერის თავში ჯდებოდა, შემდეგ სახლის ჯვალაბი წესისამებრ თავ-თავიანთ ადგილს დაიჭერდნენ, ზოგჯერ ფეხზედ... ყველას თვალი სტუმარს მისწერებოდა... სტუმარი დაიწყებს ლაპარაკს, თუ ნამეტანი ყბედიც არის, დიდ-პატარა პირდაღებული ყურს უგდებს... ერთი უბრალო სიტყვაც არ გამოეპარება თვით ბავშვსაც კი, სტუმრის სიტყვა ბუჭვლია და წმინდა, სულ უბრალოც რომ იყოს. ყველას დიდად უკვირს, ხელი ხელსა სცემს და გაიძახის – ეჭვ – ჰვი... სტუმარიც ცდილობს, რაც შეიძლება მეტად განცვიფრებაში მოიყვანოს ოჯახი, რაიმით გადაუხადოს მასპინძელს სტუმართ-მოყვარეობის პატივისცემა“ [4].

უცხო სტუმრის გამოჩენაზე ქიტი კაცი ყველაფერს მიატოვებდა, მიეგებებოდა და სალამსაც დაასწრებდა; გამოკითხავდა იმ კუთხის ამბავს, საიდანაც იყო სტუმარი. ტრადიციით, შორიდან მოსულ ადამიანს საშუალება ეძლეოდა ნებისმიერ ოჯახს სტუმრებოდა. მას უფლება ჰქონდა, უდროო დროს გაედვიძებინა მაცხოვრებელი და თავშესაფარი ეთხოვა, მაგრამ თუ კარზე მომდგარ სტუმარს ოჯახის უფროსი არ გამოეხმაურებოდა, ამას თავისი გასამართლებელი მიზეზი ექნებოდა. როცა ოჯახი სისხლ-მეხისხლეობის ამბებში იყო გახვეული, ის ყოველ წუთს ელოდა მტრისგან საშიშროებას, მაგრამ ეს სტუმარმა არ იცოდა. თუ ოჯახი მშვიდობიან ცხოვრებას ეწეოდა, იგი მაშინვე გამოეხმაურებოდა მოსულს. ღამე, უდროოდ მოსული სტუმრის შესახვედრად მთელი ოჯახი ფეხზე წამოდგებოდა, რა დროც უნდა ყოფილიყო; ავახშმებდნენ და მოასვენებდნენ სასტუმრო ოთახში - ჰმეეჰმ - უათუა (ჩეჩენური ჰ მ ე ე შ წა). უ ა თ უ ა ქართული სიტყვის ოთახის შესატყვისი ფორმაა. ნებისმიერ ქისტურ ოჯახში ერთ ოთახი ან კუთხე სტუმრისთვის იყო გამოყოფილი. შორიდან მოსული სტუმარი განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში იყო. ამ დროს ოჯახის წევრები თავს ანებებდნენ ყოველგვარ საქმიანობას. თუ სტუმარი მამაკაცი იყო, მას ყურადღებას აქცევდნენ მისი თანატოლი ოჯახის კაცები, ქალებს კი - ქალები.

უნდა აღინიშნოს, რომ შორეული სტუმარი მარტო ერთ ოჯახს არ ეკუთვნოდა. იგი მთელი გვარის სტუმრად ითვლებოდა. ქისტების ოჯახში დიდი სიხარული შეჰქონდა ჩეჩენ - ინგუშეთიდან მოსულ სტუმარს, რადგან წარსულში ეს იშვიათი შემთხვევა იყო. პანკისის ხეობა და იქ მცხოვრები ქისტები მათთვის უცხო იყვნენ. იშვიათად რომ ჩეჩენსა და ინგუშს ცოდნოდა მათი საქართველოში არსებობის შესახებ. მოხრობლის გადმოცემით: „ქისტებისათვის ჩეჩენეთის ქვეყანა - ნოხი ი მ ო ა ხ ქ“ მიუწველდებოდა მხარედ ითვლებოდა და აძენდა აღრინდელი სამშობლოდან მათ ენაზე მოსაუბრე ადამიანის გამოჩენა სასიხარული იყო. მისი ნახვა დიდ - პატარას აინტერესებდა“ [7: რგ. 6].

სტუმარი რომ წასვლას დააპირებდა, თავის გადაწყვეტილებას მასპინძელს აგებინებდა წინა დღეს. მას აცილებდნენ როგორც ოჯახის წევრები, ასევე მოგვარებიც. თუ ის ცხენით იყო მოსული, წასვლისას შეკაზმულ, გავაზე ნაბადდაკრული საგზალით სავსე ხურჯინგადაკიდებულ ცხენს მარბთმეძენდნენ. მას სოფლის ბოლომდე ან საზღვრამდე მიაცილებდნენ.

ქისტებმა ერთმანეთთან სტუმრად მისვლაც იციან, განსაკუთრებით ნათესავებმა, ძმობილ - დობილებმა, რომლებიც ერთმანეთისგან მოშორებით ცხოვრობდნენ. ოჯახი მათ ხვდებოდა ისე, როგორც შორიდან მოსულ უცხო სტუმარს.

სტუმრიანობა ახარებდა უფრო ახალგაზრდებს, რადგან ამას მოჰყვებოდა საერთო გართობა. სტუმარი ეცნობოდა მასპინძლის ნათესავ - მეზობელ ახალგაზრდებს და იძენდა ახალ მეგობრებს, რომელთა შორის მყარდებოდა ნათესაური ურთიერთობა.

არა ერთ ქისტს ჰყავდა დობილ - ძმობილი ქართველებში და მათი დაძმობილება ნათესაურ ძმობაზე უფრო მტკიცე იყო. თითოეულ მათგანს შეეძლო შესულიყო ნაძმობის ოჯახში, როგორც საკუთარ სახლში და დაუკითხავად გამოეყენებინა მისი ტანსაცმელი, იარაღი და ოჯახში მოქცეულიყო ისე, როგორც

თავისი მშობლების სახელში. სტუმართ – მასპინძლობის, დობილ – ძმობილობის ინსტიტუტი პანკისის ხეობაში ახალაღ სათანადო დონეზეა და საჭიროების შემთხვევაში სტუმარს და დობილ – ძმობილს თავ-თავისი ადგილი მტკიცედ აქვთ დაცული. დობილ – ძმობილობაში დალატი საზოგადოებისთვის მიუღებელი მოვლენა იყო და არის ამჟამადაც.

გაბრიელ ჯაბუშანიური წარმოშობით ინგუში იყო. მის წინაპრებს გარკვეული დრო არხოტში უცხოვრიათ. შემდეგ გადასულან ინგუშეთში, ასის ხეობაში. მას ჰყავდა არა ერთი ძმობილი, დობილი და თავის სიყვარულს მათ მიმართ ბევრ ლექსში გამოთქვამს...

“თუ ამ ქარაფებს ქებას ვუყვები,
თუ დღესაც ზვაეთა უკან ვეფლობი,
მთებს-განა მისთვის ვეპასუხები,
რომ მხიბლავს მათი უკარებლობა?

აწ ამგვარ მგოსანს მთაც შემოძულებს
ჩემს განუმებას ბრძანებს ხარხართ;
მე უმღერ მთიელ მმადშეფიცულებს,
ქისტებს, ხევსურებს, სვანებს, ბაღყარებს.

ამ ძმებს ვუმღერი, თანაც თუ მთები
ზოგჯერ ბავშვივით მატრინებენ.
მე მათ კალთაში თავი მდებია
და მიწოვია მათი ტინები.“

ლიტერატურა

1. ითონიშვილი ვ., ცენტრალური კავკასიის მთიელების საოჯახო ყოფა, თბილისი, 1969.
2. ავტორის მიერ ველზე შეკრებილი მასალა, ჩენეთი, 1971, რე. № 2.
3. ავტორის მიერ ველზე შეკრებილი მასალა, თიანეთის რ-ნი, სოფ. ჩაბანო, 1968.
4. ალბუთაშვილი მ., პანკისის ხეობის აღწერილობა, 1898, რე. № 1, 4, 7.
5. ავტორის მიერ ველზე შეკრებილი მასალა, პანკისი, 1972, 1978, 1980, 1990, 2000, 2001, 2002.
6. საქცია, ფ. 255, არქივი № 1239, გვ. 2-13-18.
7. მარგოშვილი უ., პანკისის ხეობა, რე. № 2, 4, 6.
8. შაქრო (გულისაშვილი ზ.), პანკისის ხეობა (ეთნოგრაფიული შენიშვნები), გაზ. „ივერია“, 1887, № 21.
9. მარგოშვილი ლ., პანკისელი ქისტების წეს-ჩვეულებები და თანამედროვეობა, თბ., 1985
10. Гаджиева С., Кумыки, Москва, 1961.
11. Джавахадзе Н., Этнорегиональные аспекты системы терминов родства Кистов Панкиси, КЭС, VII, Тб., 1988.
12. მაკალათია ს., თუშეთი, ტფილისი, 1933.
13. მაჩაბელი ნ., ქორწინების ინსტიტუტი ქართლში, თბ., 1978.
14. Меликишвили Л., Свадебная обрядность кистов Панкисского ущелья, КЭС, VII, Тб., 1988.
15. Грабовский Н., Ингуши, ССКГ, IX, Тифлис, 1870.
16. მელიქიშვილი ლ., ურვადი პანკისის ხეობის ქისტებში, საისტორიო კრებული, თბ., 1974.
17. Саидов И., Общественный быт вейнахов XIX и нач. XX вв., (диссерт. на соискание учен. степени кандидата исторических наук, Махачкала, 1970).
18. გიულდენშტედტი ს მოგზაურობა საქართველოში, ტ. II, თბ., 1964.
19. „ქისტინობანი“, პანკისის ხეობა, გაზ. „ივერია“, 1902 №144, №180, №254, 1903 №196.
20. ფუტყარაძე ი. ქართველ მთიელთა სამართლის ისტორიისათვის, თბ., 1954.
21. ვახუშტი ბატონიშვილი, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბ., 1973.
22. Зисерман А., Двадцать пять лет на Кавказе (1842-1867), т. I., СПб., 1879.
23. Леонтович Ф., Адамы Кавказских горцев, т. II, Одесса, 1883.

საქართველოს მთიანეთში და კერძოდ პანკისის ხეობის მოსახლეობაში სწავლა-განათლების გავრცელება ფართოდ დაიწყო XIX საუკუნის მესამე მეოთხედში სხვადასხვა საჩველმოქმედო ორგანიზაციებმა და კერძო პირებმა. პანკისის ხეობის ქისტებში სწავლა-განათლების შეტანის საწყისი პერიოდი და პრაქტიკული საქმიანობა დაკავშირებულია ცნობილ ქისტ მოღვაწეების უსუფ მარგოშვილისა და მათე ალბუთაშვილის სახელებთან, რომლებსაც უდიდესი როლი მიუძღვით არა მარტო სწავლა-განათლების საქმეში, არამედ მთლიანად ხეობის მოსახლეობის კულტურულ დაწინაურებაში.

1866 წელს ქისტები კავკასიაში ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების ყურადღების ცენტრში მოექცნენ. იმერეთის ეპისკოპოსის – არქიმანდრიტ



სურ. 32. უსუფ ადოს-ძე მარგოშვილის სახელობის დუისის საშუალო სკოლა

ლეონიდეს (კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების სკოლების ინსპექტორი) ინიციატივით სოფ. ჯოყოლოში 1891 წელს გაიხსნა ერთკლასიანი სამრევლო სკოლა (1888 წელს ქვიტკირის ეკლესიის აშენების შემდეგ გაუქმებულ ფიცრულ შენობაში). მიზანი იყო თვით ქისტების წრიდან მღვდელმსახურის მომზადება. ამ საკითხთან დაკავშირებით მ. ალბუთაშვილი იგონებს: “1892 წელს, თბილისის სასულიერო სემინარიის სრული კურსის [6:]

დამთავრებისას, ინსპექტორის არქიმანდრიტ ლეონიდეს, ჩემზე კეთილი განზრახვა რაკი არ გაუვიდა, მეც დაერჩი ყოველი ჩემი გულითადი სურვილების გარეშე. ე.ი. დაერჩი სამისიონერო აკადემიაში წაუსვლელი. მე იმავე წელს მიემართე სამსახურისთვის ლეონიდეს და ვთხოვე, როგორც დამპირდა წინა წელს – მასწავლებლობა პანკისის პირველ დაწყებით სამრევლო სკოლაში. ინსპექტორმა... გულგრილად მითხრა: პანკისში უკვე მასწავლებელი არის – სპირიდონ მთვარელოვი და შენ ს. ალში (აღვანი) წადიო. შარშან ქისტური ენის მცოდნე კაცი გჭირდებოდათ პანკისის სკოლაში – უუთხარი გაჯავრებულმა, სწავლისთვის თავს მანებინებდით და ესლა სპ. მთვარელოვი რომელიც ქისტურის მცოდნე ნახეთ? ის გადაიყვანეთ ს. ალში და მე პანკისში გამგზავნეთ! მაშ მისიცადეთ – წამოვედი სახლში. მეორე ახალი წლის დაწყებისას ე. ი. 1893 წლის იანვრიდან დავიწყე მასწავლებლობა პანკისის სკოლის ფიცრულ შენობაში* [1: 41].



სურ. 33. ქისტი – მათე ომანის-მე ალბუთაშვილი
სოფ. ჯოყოლოს სასულიერო სკოლის გამგე.
მასწავლებელი, მღვდელი და მხარეთმცოდნე.

მათე ომანის ძე ალბუთაშვილი*,
ეროვნებით ქისტი, დაიბადა 1863 წელს
თიანეთის მაზრის სოფ. ჩაბანოში. 1873
წელს სწავლა დაიწყო თიანეთის სამრევლო
სკოლაში, იმავე წელს გადავიდა თელავის
სასულიერო სასწავლებელში, ხოლო 1884
წლიდან სწავლობდა თბილისის სასულიერო
სემინარიაში, რომელიც დაამთავრა 1892
წელს. როგორც ავტორი აღნიშნავს:
„სკოლის შენობა არ შეეფერება თავის
დანიშნულებას. ... იგი შეიცავს ერთ
მოზრდილ საკლასო ოთახს 9 x 9 მეტ.,
ორ პატარ-პატარა ოთახს მასწავლებ-
ლებისთვის, ერთ გრძელ, ვიწრო ოთახს,
შორიდან მოსიარულე ბავშვებისთვის
დამის გასათევად და გაკვეთილების მერე
დასასვენებლად. ყველა ოთახის კედლები
ფიცრისაა, ხოლო იატაკი აგურის.
დასასვენებელი და მასწავლებლის
ოთახების იატაკი ფიცრისაა. თითოეულ
ოთახს აქვს თითო ფანჯარა. დგამ-ავეჯი:
ორი პატარა მაგიდა, ორი სკამი,
მასწავლებლის ოთახში თარი წიგნებისა
და სანოვაგისთვის – ესაა მთელი

*მ. ალბუთაშვილმა პირველმა შეისწავლა და აღწერა პანკისში დასახლებული ქისტების ყოფა-ცხოვრება და ყურადღების გარეშე არ დაუტოვებია აქ მცხოვრები ფშვლები და ოსებიც. იგი ენერგიულად თანამშრომლობდა გაზ. "ივერიის" რედაქციასთან და ხისტემატურად აწვდიდა წერილებს პანკისის ხეობის შესახებ. მისმა პირადმა არქივმა (თავდაპირველი ხელნაწერი ინახება ჩვენთან, ხოლო სხვისი ხელით გადაწერილი გიორგი ჯაჯაიშვილთან) და ჟურნალ-გაზეთებში ("მოგზაური", "ივერია") გამოქვეყნებულმა წერილებმა ჩვენს დროშიც არ დაკარგა თავისი მნიშვნელობა და ისინი პირველწყაროს წარმოადგენენ პანკისის ხეობის ქისტების ყოფა-ცხოვრების შესასწავლად. მასალა

მოწყობილობა პანკისის პირველი სკოლისა. კახეთის სოფლებს და ქალაქს დაშორებული ჩემი იქ სამსახური წამება იყო; ზაფხული გიხაროდეს, რომ კარგი და სასიამოვნოა, მაგრამ ზამთარი ჯოჯოხეთი ხდებოდა: ცივი ზამთარი, ფიცრული ოთახები, დაფანტული სოფლების ამარად გამხდარი-საწვევი შეშის ხშირ-ხშირად უქონლობა, ბუხარში ცეცხლის სითბო დაკარგული, უბედურად აბრკოლებდა სწავლისა და მეცადინეობის წესიერად მსვლელობას. ზამთარი კი სწავლა-მეცადინეობისთვის კარგი დროა. გაზაფხულის, აპრილის თვიდან დაწყებული, ენკენის თვის გასვლამდე ძნელია აქ სკოლის ბავშვების მოგროვება და სწავლის დაწყება, მათი სისტემატიურად გაკვეთილებზე სიარული. ღვინობის თვიდან გაზაფხულამდე 40-50 მოწაფე გვეყავდა მოსიარულე, რაკი გუთანი მინდორში გავიდოდა და საქონელი საძოვარზე, სკოლაში 4-5 შეგირდის ყოლა ძნელი იყო“ – აღნიშნავს მ. ალბუთაშვილი [1: 41]. მდ. ალაზნის გაღმა მდებარე სოფლებიდან ბავშვების სკოლაში სიარული გარკვეულ სირთულეებთან იყო დაკავშირებული. უპირველესად ხელს უშლიდა მდინარეზე გადასვლას უხილობა, რის შესახებაც სკოლის მასწავლებელს არაერთხელ დაუსვამს საკითხი მოსახლეობის წინაშე. იგი თვითონ დადიოდა სოფლებში და ხევეწა-მუდარით სთხოვდა ხალხს „გააკეთეთ წყალზე ხიდები, ნუ აცდენთ ბავშვებს სწავლას, გამოგზავნეთ სკოლაში, თორემ ბოლოს მომიგონებთ და გვიანდა იქნებაო“. ზოგი ეტყოდა ძროხაში, ცხვარში, გუთანზე ან სათონზე სხვა კაცი არ გვეყავსო, ზოგი კი – სწავლა რა ჩვენი საქმეაო... მაგის მამა-პაპას არ უსწავლიაო და ა.შ. „ასეა თუ ისე – აღნიშნავს ავტორი, ზოგი ხატრით, ზოგი დაშინებით, 10-15 მოწაფეს მოვარგობდნენ სკოლაში და ერთი კვირის განმავლობაში ...ისევ დამეფანტებოდნენ. ერთ კვირას ან ერთ თვეს ნასწავლი და შეთვისებული ...მეორე, მესამე კვირას აღარ იცოდნენ“ [1: 42]. ამ მდგომარეობას ავტორი სკოლისთვის შესაფერისი შენობის არქონას აბრალებდა. სკოლების ინსპექტორის არქიმადრიტ ლეონიდის შემდეგ ინსპექტორმა ევტიხი მამინაიშვილმა სოფ. ჯოჯოხეთში ქვიტკირის სკოლის აშენება ითავა. ხეობის ხალხს დაეველა 1700 მან. შეგროვება, ხოლო სკოლების ინსპექტორის თხოვნით კავკასიაში ქრისტიანობის აღმდგენელმა საზოგადოებამ გამოყოფა 1400 მან. „მე და მასწავლებელ ესტ. ზედგინიძის მიერ შედგენილი შენობის პროექტის მიხედვით აშენება, შეკვეთით თანხის სიმცირის გამო არ მოხერხდა. ამდენად, ხელოსნების ცალკე-ცალკე მორიგებით უფრო იაფად გამოევედით. ხუთ ოთახიანი შენობა შუაზე დერეფნით და მთელ სივრცეზე აივანით შვიდ თვეში დაეამთავრეთ და დაჯდა 2000 მან. მეორე წელს გვესტუმრა მთა-თუშეთიდან მომდინარე თბილისის გუბერნატორი სვენიჩი და მან შენობა შეაფასა 3000 მან. და საჩუქრად მომცა 25 მან. სკოლა აგებული იქნა 1897 წელს“ – წერს მ. ალბუთაშვილი [1: 55]. სკოლაში ისწავლებოდა საღეთო სჯული, ქართული, რუსული, ანგარიში, წერა და სიმღერა-გალობა. შენობა გამოვიდა მშვენიერი, ფართო და მკვიდრი, ორპირა კრამიტით დახურული. ინსპექტორის არც შემდგომისთვის მოუკლია ჩვენი სკოლისთვის თავისი მზრუნველობა, როგორც სხვა სკოლაში, ისე ჩვენს სკოლაშიც დააარსა დამუშავების პროცესშია და იგი ცალკე ნაშრომად გამოქვეყნდება საილუსტრაციო მასალებითურთ. მისი მონაცემები ჩვენი ნაშრომის შესაფერის ადგილზე ფართოდაა წარმოდგენილი. მ. ალბუთაშვილი 1953 წელს 90 წლის ასაკში გარდაიცვალა და დასაფლავებულია ქ. თელავში.

ბიბლიოთეკა, რომელსაც შესძინა 900-მდე რუსულ-ქართული წიგნი იმავე ქრისტიანობის აღმდგენელ საზოგადოების ხარჯით. ... სამრევლო სკოლის შენობის სათანადოდ მოწყობამ მოიზიდა შეგირდებიც საკმარისად. ასე რომ ახალს შენობაში სწავლის დაწყებიდან აქამომდე დაიარება ორმოცამდე მოსწავლე ვაჟი და მათ შორის... 4 ქალი - სულ ქისტები მაჰმადიანები და ქრისტიანები. საინტერესოა ისიც, რომ ამ სკოლაში ასაკში შესულებიც სწავლობდნენ. ბავშვები საკლასო ოთახში თბილად და თავისუფლად სხედან მეცადინეობის დროს და პირზედ დიმილი მოსდით, როდესაც იგონებენ წინანდელს შენობაში სიცივისგან კანკალს. მასწავლებლის ცხოვრებაც შედარებით გაუმჯობესდა, რისთვისაც სწავლა წინანდელზე უკეთესი იყო. ახლად აყვანილმა შეგირდებმა სრულებით არ იციან სხვა ენა. მათ მღვდელი უხსნის ქისტურ ენაზედ. იგივე მღვდელი ასწავლის სკოლაში ქართულ-რუსულს, გალობას - ეს მეცხრე წელია უსასყიდლოდ. საგნების მასწავლებელს წელიწადში აქვს 360 მან., ხალმთო რჯულის მასწავლებელს 100 მან. წელიწადში. სკოლისათვის შემა სოფლის საზოგადოებისაა. სწავლას იწყებენ ყოველი წლის ღვინობისთვის პირველიდან და ამთავრებენ აპრილის ბოლოს. ამ ათი წლის სკოლის არსებობის შედეგია: სამი დიაკონი (მეღვდითენ), ერთი ეპარქოსი და ორიც ამავე საზოგადოების უწყებაში დარჩა. ერთი ადგილობრივ სოფლის მწერალია და ერთიც თელავის სასულიერო სასწავლებელში სწავლობს. ორმა შარშან დაამთავრა და ისინიც სწავლის გაგრძელებას აპირებენ, თუ მშობლებმა ხელშეწყობა აღმოუჩინეს“ [1: რე. 7, 5-6]. ცხადია, ეს კონტინგენტი ახალ სიტუაციაში დაიფანტა - სამმა-ოთხმა პირმა ქართული საღაპარკო ენა და წერა-კითხვა იცოდა. სწორედ მათი მეშვეობით ამყარებდნენ კონტაქტს ქისტებთან აქ ჩამოსულები.

სკოლაში წელიწადნახევარი მასწავლებლად მუშაობის შემდეგ მ. ალბუთა-შვილი აკურთხეს მღვდლად ჯოყოლოს დემონსტრაციის ეკლესიაში და თან მასწავლებლობასაც აგრძელებდა. 25 წლის მათეს ძალიან გაუჭირდა ჯოყოლოში მარტო ცხოვრება და შინაურების ჩარევით „ამხანაგის გაჩენა“ გადაწყვიტა. „შემოდგომის პირას დეკემბა გაევაგზავნე თბილისში - რუს ეგზარხოსთან (რომელმაც მათე მღვდლად აკურთხა და კვეხნით ამბობდა ქისტი მღვდლად ვაკურთხეთ - ღ.მ.) და ვთხოვე ჯვრის წერის ნებართვა. პასუხი მომივიდა დეკემბით „არ შეიძლებაო!“ მეორე წელს მივიღე ჯვრის წერის ნებართვა და 1894 წელს, თებერვლის 27-ში ამხანაგი გავიჩინე და ჯვარიც დავიწერე სოფ. ახმეტის კვირიკის ეკლესიაში. ქორწილი გადავიხადე სოფ. ხორბალოში, მამის სახლში. ახალი სასწავლო წლის დაწყებისას, სკოლა გადავაბარე ახალ მასწავლებელს ნ. კურდღულაშვილს, მე დავრჩი რჯულის მასწავლებლად. შემდეგ გამოიცვალნენ სხვადასხვა მასწავლებლები: გ. ნათაძე, ესტ. ზედგინიძე, ვ. ქააძე, რ. რაბაზაშვილი, ე. რობი-ტაშვილი, ჩემი ქალი პელო და რუსი ალბერტოვი“ - წერს ავტორი.

გაბ. „ივერიის“ ფურცლებზე გამოქვეყნებული წერილის მიხედვით, „მთის სკოლების ინსპექტორ“ ე. მაძინაიშვილის დავალებით, მაისის თვის 26-ში, ჩვენს სკოლაში მობრძანდა მ. ხელაშვილი ბავშვების გამოსაცდელად. მოსწავლეები აპრილის გასულიდანვე, სწავლას თავდანებებულნი იყვნენ. ... რადგანაც, ამ დროიდან მოუხერხებელი ხდება მათი სკოლაში სიარული სხვადასხვა საშინაო საქმეების გამო. თხოვნისამებრ მღვდლისა და მასწავლებლებისა - ბავშვების მშობლებმა აღარ გაგზავნეს თავიანთი შვილები მინდორში საქმეზე და მეორე დღეს შეიკრიბნენ

სკოლაში, თუმცა სრულად კი არა, მაინც საკმარისად და ზოგნიც იმ დღეს მოაქუჩეს თითობით მინდვრიდგან. მიუხედავად იმისა, რომ შეგირდები თითქმის ერთი თვის სწავლას თავდანებებულები იყვნენ და ზოგი გუთანსა, ზოგი ცხვარსა, ძროხასა და სხვა ამისთანა საქმეზედ გართული იყო, მაინც გამომცდელებს ყველა კითხვებზედ შესაფერისად მიუგეს. გამოცდის გათავებისას, მ. დეკანოზმა ყველა ბავშვს მოკლე დარიგება მისცა, რადგანაც ...ახლად აყვანილ ბავშვებს არ ესმოდათ ქართული, ამისათვის საღმთო-რჯულის მასწავლებელმა ქისტურ ენაზე გადაუთარგმნა დეკანოზის სიტყვები. ბოლოს მ. დეკანოზმა შეგირდებს პატარა წიგნები დაურიგა“ [2:]. პანკისის სამრევლო სკოლაში გამოცდები ყოველ სასწავლო წლის ბოლოს ტარდებოდა. გაზ. „ივერიის“ სხვა წლის მონაცემებით პანკისის სკოლაში შეგირდები გამოსცადეს მაისის 21-ში. დაესწრნენ აქაური მღვდლისა და მასწავლებლის გარდა, უტო-ახმეტის მღვდელი – მ. ინაშვილი, ჟალურ-ახმეტის მღვდელი მ. პეტრიაშვილი და მატან-მარტილის სამრევლო სკოლის მასწავლებელი – დ. ძიძამაძე. შეგირდები „ეგზამენს“ (გამოცდაზე) ოცამდე დაესწრო, თუმცა საკლასო დავთრით ორმოცამდე ირიცხებოდა. ეს იმის მიზეზი იყო, რომ სკოლის გამგემ არ იცოდა, როდის იქნებოდა შეგირდების გამოცდა, რომ იმ დროისთვის მაინც დაექუჩებინა მინდორში სხვადასხვა საშინაო საქმეებზედ გაფანტული ბავშვები, რადგანაც როგორც ადრეულ გაზეთშიც იყო მოხსენებული, აპრილის მიწურულს, ბავშვები თითქმის თავს ანებებენ სკოლას, სამინდვრო საქმეებისა და წყაღდილობის გამო. „ეგზამენების“ დღეს, თითობით ზოგი მაშინდა მოდიოდა მინდვრიდან, როცა გამოცდა უკვე დამთავრდა და შეგირდები შინ წავიდნენ, მაგრამ ისინიც გამოცდადეს საღმთო სჯულში, რუსულსა და ანგარიშში. შეგირდები გამომცდელებს შესაფერისად – გვარიანად და ფიზიკლად უგებდნენ პასუხს“ [2: 2].

მ. ალბუთაშვილი გაზ. „ივერიის“ რედაქციას უგზავნის წერილს და სთხოვს: „თქვენი გაზეთის საშუალებით, გულწრფელი მადლობა გამოუცხადოთ – სტეფანე კონსტანტინეს ძე ზუბალაშვილს, რომელმაც თავისი საფასურით, ჩემდარწმუნებულ პანკისის სკოლას გამოუწერა საყმაწვილო ჟურნალი „ჯუჯილი“ ...ს. ზუბალაშვილი მით უფრო ღირსია მადლობისა, რომ მან ქველმოქმედების აზრით, პირველმა გამოუწერა ხელი სულ სხვა თემის, სხვა სარწმუნოებისა (სინკრეტული – ლ. მ.) და სხვა ენის, მაგრამ – კი ქართული ენის შესწავლის მსურველ ახალ თაობას. პანკისის სკოლის გამგე მღ. მ. ალბუთაშვილი“ [2: 4]. პანკისის ხეობაში პირველი სკოლის გახსნა (ჯოჯოღოში) ქართველების მხრიდან უდიდესი დახმარება იყო ქისტებისათვის იმ თვალსაზრისით, რომ სრულიად გაუნათლებელი მოსახლეობის ახალ თაობას გეზი აეღო სწავლა-განათლებისკენ, შეეგნო მისი აუცილებლობა. მართალია, შეგირდების რაოდენობა მცირე იყო (40 მოსწავლე), მაგრამ იმ დროისთვის ეს რაოდენობაც დიდ მიღწევას წარმოადგენდა, თანაც უმეტესობა ქისტები იყვნენ.

„1917 წელს, ისევ მე ვიყავი ჯოჯოღოს სკოლის მასწავლებლად, მხოლოდ მენშევიკებმა ამიკრძალეს საღმთო სჯულის სწავლება. 1921 წელს ბოლშევიკები რომ შემოვიდნენ თელავში, მე მაშინაც ვმსახურობდი პანკისში მღვდლად... ბოლშევიკებისა არაფერი არ ვიცოდით, არც მისი ზაჩენა, არც მათი გამრავლება-გაძლიერება და არც მათი შემოსვლა კახეთს-თელავში. ერთმა ფშაველმა მოიტანა ამბავი: „სადღაც ყრილობაზე ბოლშევიკების მეტი ხმა იყო და მენშევიკებისა ნაკლები“. მაშინ გავიგე ვინ იყვნენ ბოლშევიკები და ვინ იყვნენ მენშევიკები.

ბოლშევიკები ალბათ მოიწვედნენ კახეთში. პანკისის ქისტების ცხენოსანი რაზმი წასულიყო მათ შესახვედრად, სადღაც თელავის ქვევით. იმ დროს თელავიდან ტელეფონით დაგვიძახა მიხა შამანაურმა და აღ. მათურელმა: ბოლშევიკები ძალიან ქვევით გაავცილეთო. მეორე დღეს შევხედე, ქისტების წასულმა ცხენოსანმა რაზმმა ამოიარა: მე შევეკითხე – სად იყავით, რა ქენითო? მიპასუხეს: ქვევით ვიყავით, ბოლშევიკები თელავში შემოვრეკეთო! ეს იყო მთელი ჩემი ცნობა ბოლშევიკებზე“ – იუწყება მ. ალბუთაშვილი [1: 42–59]. როცა ადამიანი ბუნებით ბოროტია, ფლიდი და ორგული, ძნელია მასში ჩაისახოს ადამიანური თვისება – სიბრალული, სიკეთე და არც სურვილი აქვს სიკეთის დანახვის, მაშინ გამოსავალი მხოლოდ ერთია – მისგან შორს ყოფნა. ასეთი ადამიანები კი ჩვენს ირგვლივ მრავალია. „ახლად შემოსულ ბოლშევიკებთან ჩემმა მრევლმა – ოსებმა დამწამა კონტრევოლუციონერობა. ოსებს ეჩივლათ რეკომში ჩემზე ქელეხებს გვიშლისო, ხოლო ფშავლებს – ქისტებს მხარს უჭერსო. ოსებისა და ფშავლების ეს საჩივარი ჩემზე არ იყო ისეთი მძაფრი და ბევრად დასამღური, ხოლო იქ პანკისში რომ რუსი სალდათები გაუგებრობით ვიდაც ჩენწელმა ქისტ–მოლამ დახოცა, ოსებმა ის მე დამაბრალეს. განცხადება მიეცათ, ხალხი აჯანყო და იმაზე დახოცეს რუსი სალდათები და დამატუსაღეს. გადამაგზავნეს (1921 წ. თებერვალი) თელავის რეკომში, იქიდან თელავის პოლიტიბუროში, შემდეგ თელავის ციხეში, იქიდან თბილისის გრუზჩეკაში. ის განცხადება გრუზჩეკაში გამოძიებულმა მე წამიკითხა ჩემს გამოძიებაზე. გრუზჩეკაში დავრჩი სამი კვირა და გადამიწვდა [6:] ექვსი თვე ციხე ორთაჭალაში. ის სკოლაც მშვიდობიანად დავამთავრე და განვთავისუფლდი. 1921 წელს ღვინობის თვეში თბილისიდან თელავის ციხეში გადმომიყვანეს და საულ მალე გამოვედი. იმავე წლის ნოემბერში გამაგზავნეს მდვლად ს. შილდაში“ – წერს ავტორი [1: 42]. აქ იგი დარჩა 3–4 წელი. შილდაში დანიშნის შემდეგ მათე წასულა პანკისში და წამოუღია ურმით თავისი ბარგი და მის შემდეგ აღარც დაბრუნებულა.

საინტერესოა მ. ალბუთაშვილის სოფ. შილდაში მდვლად ყოფნის დროს მომხდარი ამბავი: “1924 წლის აგვისტოს დაიწყო გამოსვლები – ავანტურა, ისევე დამიჭირეს შილდაში მე და სხვებიც ბევრი მდვდლები და ერის კაცები შილდელები და სხვა სოფელები: გამოგვრეკეს თელავს ციხეში, ციხიდან პოლიტიბუროში; იმ წინა დამეს ბევრი ქაქუცისტები დახვებრიტათ! ჩვენც თურმე გვამზადებენ დასახერებლად. იმ დამეს დიდი სროლა ახტვდა! ჩვენ ... შევშინდით, გვეგონა ჯარი შემოვიდა თელავში და ჩვენც ხომ დაგვხოცენო! თურმე პოლიტიბუროს ტერორისტის მამა ვიდაც ჯორჯაძე გათოკელი ჩაყენებულია იქვე დასახერებლად გამზადებულგებში. იმ დროს ამ ჯორჯაძის შვილი–ტერორისტი სთხოვს „პოლიტიბუროს უფროსს – ჯაფარიძეს – მამა დამითმე, ნუ დამახერებტინებო“. უფროსი ამაზე კატეგორიულად უარს ეუბნება და მაშინ ტერორისტი ჯორჯაძე – მამის ბაღდად უფროსს – ჯაფარიძეს იქვე ესვრის და მიაწვეს. მაშინ მომაკვდავ უფროსის ბრძანებით – ესროლეთ ყველასო – თვითონ მას და იქ შებოჭილებს – დასახერებლად გამზადებულს ხალხს ქაქუცისტებს – დაუშინეს და იქვე ჩახოცეს. ის ტერორისტი ჯორჯაძე კიდევ სალდათებს ხმლებით აეკონწათ. მამა და შვილი ერთად დაიხოცნენ უდანაშაულონი! ის დიდი სროლის ამბავი – ეს ყოფილიყო, რომელმაც იმ დამეს ჩვენ შეგვაშინა. იმ დროს დეკემა მივლოთ:

ავანტიურა დამარცხდა, შეაჩერეთ ხოცვა!! ასე რომ ჩვენ-მღვდლები 15-17 კაცი, რომლებიც იმათ შორის უნდა გავყევანეთ „რასხოდში“ გადავრჩით. მეორე დღეს მე გამანათავისუფლეს, სხვა მღვდლები ისევ ციხეში გადაყვანათ, იქ მათთვის ხელწერილი ჩამოერთმიათ ანაფორის გახდაზე, მღვდლობის დატოვებაზე. შემდეგ ისინიც გამოუშვეს: ჩემი ქვისლი საშა ვარდოშვილი, მიხა, გიგო ელიზბარიშვილები და სხვები. ჩვენი ბიჭები – საშა, კოლა (მათეს შვილები დ.მ.) ისევ თბილისში გადაგზავნეს ციხეში და იქიდან გამოუშვეს ნოემბრის 6-ში. არც ერთს იორტისტოლა დანაშაული არ მიგვიძღოდა არაფერში“ აღნიშნავს მ. ალბუთაშვილი [1:43]. 1917-1924 წლებში კახეთში, კერძოდ თელავის რაიონში, მომხდარი ანალოგიური გამოუქვეყნებელი მასალები მათე ალბუთაშვილთან გაზვიადების გარეშეა წარმოდგენილი. ამასთანავე, იგი გულნატკენია, რომ არ დაფასდა წლების განმავლობაში პანკისში მისი პატიოსანი, თავდადებული მუშაობა: „მთელი ხანი ჩემი იქ ყოფნისა სკოლის გამგეობას მე ვასრულებდი, ყველა საგნების მასწავლებლობასაც, რადგანაც შორით მოსული მასწავლებლები ხშირად კაი ხნით აკლდებოდნენ სამსახურს ხან სიშორის გამო, ხანაც ადგილის შეუწყველობით, ქისტური ენის უცოდინარობით და სხვ. მოწაფეებს გული უცრუდებოდა ამ გაცდენებით – მეცოდებოდნენ! ერთხელ მობრძანდა სკოლების სამაზრო ზედამხედველი მღვდელი დიმიტრი დეკანოზიშვილი. სკოლაში მე დავხვდი – მასწავლებელი ჩვეულებრივად იქ არ იყო. ზედამხედველმა ნახა სკოლა, ბავშვები და წაიხილა! ალბათ სადილით ვერ გასიამოვნე? საეპარქიო სამასწავლებლო საბჭოში ქალაქი შეეტანა: „პანკისის სკოლა ვნახე, იქ არაფერ იყო, რომ წამოვედი სკოლის გამგემ მ. ალბუთაშვილმა ძაღლები დამასივია“. არც ერთ დროს სკოლას ძაღლი არა ჰყოლია“. „მე ის არ ვიცი, ვერც გავიგე“ – აღნიშნავს ავტორი – „ვისი წყალობით სინდრიონი – სამაზრო სკოლების ზედამხედველობას და მთა-თუშეთის ბლადონი-ნობას მამღვედნენ, ეს კარგად ვიცი – ზოგმა მომილოცა კიდევ. ეს გაუგია დიდ თიანეთის მღვდელს ს. გრძელიშვილს, ჩავარდნილა თბილისის ხსენებულს საბჭოს კანცელარიაში, არ ვიცი იქ რა თქვა – ის თანამდებობა იმას მისცევს. დიდი ხანი არც იმან იბოგინა – გაგიჟდა და ისე მოკვდა. შემდეგ არეულობაც დაიწყო და ბოლშევიკებმა დაიკავეს სუყველაფერი. მეც – ძალაუნებურად პანკისის ეკლესიას და სკოლასაც თავი გავანებე. რუსის ეგზარხოხებს გადავრჩი, ახლა ქართველ უშიშნდეს და უნებარეს პარტიარქ-კათოლიკოსების და ალავერდის მიტროპოლიტის ხელში ჩაუვარდნე მეგონა – მართალია ქისტე ვარ, მაგრამ საქართველოში დაზადებულად აღზრდილი. იქნება ამათ მაინც მიშედავითონ, ყურადღება მომაქციონ მეოქი, მაგრამ მტერს და დუშმანს – ამათ უფრო უარეს დღეში ჩამაგდეს. თბილისის ორთაჭალის ციხეში რომ ვიჯექი, სამი თვე გავიდა, სინდრიონი იქვეა და ყურადღება არ მოუქცევია. ერთხელ ლეონიდემ კაცი გამომიგზავნა ციხეში – რა გიჭირს, რითი მოხებდომ? მე შევეუთვალე: დიდი მადლობელი ვარ ყურადღებისათვის, რთაც მომხედავთ მზათა ვარ მივიღო-მეთქი. გავიდა ორი, სამი დღე, ველოდები ეხლა და ეხლა ფული მომივა პურისთვის ან პური. ამის ლოდინში გაგიგე: სრულიად საქართველოს პარტიარქი ლეონიდე გარდაიცვალა. განსვენებული იმთავითვე მაქცევდა ცოტადღენ ყურადღებას და ისიც დავკარგე სამუდამოდ. ციხიდან რომ გამანათავისუფლეს, მაშინ შემეჯავრა ჩემი სამსახური“ [1: 81].

1921 წელმა პანიკისში შედარებით მშვიდად, ადგილობრივი მოსახლეობის მხრიდან პანიკის გარეშე ჩაიარა. დროებით დაიხურა ჯოყოლოს სამრეკლო სკოლა, სადაც უმეტესობა სოფ. ჯოყოლოს ბავშვები სწავლობდნენ. სწავლის მსურველი ყველა სოფელში იყო, მაგრამ სიშორისა და სხვადასხვა მიზეზის გამო სკოლის გარეშე იყვნენ დარჩენილები.

გასული საუკუნის დასაწყისში სოფ. დუისში წერა-კითხვა მხოლოდ მაგაი დუიშვილმა და ვაათა ბაღაძემ შეიძინა იცოდა. ხელწერილებისა და სხვა საქმიანი საბუთების შესადგენად სოფელი მათთან მიდიოდა. ამავე სოფლის წერა-კითხვის უცოდინარი მშობლების მეხუთე ვაჟიშვილი – უსუფი მარგოშვილი ბავშვობიდანვე სწავლაზე ოცნებით დედას აწუხებდა – სკოლაში გამიშვითო, მაგრამ მშობლები ყოველნაირად ცდილობდნენ ჩაკლავთ მასში ეს სურვილი. ერთხელ, დილაადრიან, როცა მამა შინ არ იყო, უსუფმა თავისი ცხვრის ტყავის ქურქი ჩაიცვა, წოწოლა ქუდი დაიხურა და ჯოყოლოს გზას გაუდგა. მივიდა სკოლაში და საკლასო თათხიდან ხმაური შემოესმა. კარი ცოტათი შეადო და დაინახა თითქმის ხორბლისფერი, პირქუში კაცი, რომელიც ბავშვებს ტუქავად ღიბხანს იღვა კარბთან, შემდეგ კი ცნობისმოყვარეობამ წასძლია და კარი უფრო მეტად შეადო. მასწავლებელმა მას თვალი მოჰკრა და შემოდიო, უთხრა. ბიჭმა გაუბედავად გადადგა რამდენიმე ნაბიჯი და მასწავლებლის წინ გაჩერდა. უცებ მის ზურგზე წკეკლამ გაიზუზუნა. სანამ ბავშვი გონს მოეგებოდა, მასწავლებელმა მას წკეკლა შეორდაც გადააწნა. უსუფი სასწრაფოდ გამოვარდა ოთახიდან და გზა შინისაკენ ხელ სირბილით გალია. ამის შემდეგ უსუფი ყარაჯღელ მოლას მიაბარეს არაბული ენის სასწავლებლად. სულ მალე გადაიყვანეს სოფ. ყანდახის (ხაქათალის მახლობლად) სკოლაში, სადაც სწავლება მიმდინარეობდა არაბულ და აზერბაიჯანულ ენებზე. 1912 წელს 12 წლის ყმაწვილი ბიძამ – ბობოლათამ სწავლის გასაგრძელებლად წაიყვანა ჩენქეთში, სოფ. დოიტის მედრესეში – 3 უჯრი, სადაც სწავლა არაბულ ენაზე იყო. მედრესის დამთავრების შემდეგ სწავლა გააგრძელა ქ. გროზნოს პედაგოგიურ სასწავლებელში, სადაც ამზადებდნენ ჩენქური და რუსული ენის მასწავლებლებს. უსუფ მარგოშვილმა ეს ზღვარიც გადალახა. იგი პარალელურად ჩაბმული იყო ჩენქეთში (დოიტის, ურუსმართანის, აღხანიურთის) თეთრგვარდიელების წინააღმდეგ წარმოებულ ომებში. სამოქალაქო ომის განმავლობაში მას ხელიდან არ გაუშვია შაშხანა და ბოლომდე დარჩა თავისუფლებისა და ბედნიერი მომავლის მოპოვებისათვის მეტროპოლითა რევოლუციისათვის. სამოქალაქო ომის დამთავრების შემდეგ უსუფ მარგოშვილი 1921 წელს დაუბრუნდა მშობლიურ მხარეს და პანიკისის ხეობის მოსახლეობის განათლებაზე ზრუნვა დაიწყო. მასების შეგნების ამადლების საუკეთესო საშუალებად იგი პანიკისში მხოლოდ კულტურისა და განათლების კერების დაარსებას მიიჩნევდა [3: 3].

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებიდან სამი თვის შემდეგ საქართველოს რევკომმა მიიღო დეკრეტი რესპუბლიკის მოსახლეობაში წერა-კითხვის უცოდინარობის დივიდენდის შესახებ. ამ მხრივ სერიოზული ყურადღება მიექცა არაქართული ეროვნებით დასახლებულ რაიონებს, სადაც წერა-კითხვის უცოდინართა რიცხვი მეტად დიდი იყო [4: 823-824]. ასეთთა რიცხვს განეკუთვნებოდა პანიკისის ხეობაც, მთელი თავისი მოსახლეობით. აღნიშნული დოკუმენტის საფუძველზე უ. მარგოშვილმა ჩამოსვლისთანავე გაბედულად დაიწყო მუშაობა ხეობის

თავაკცებთან და იმავე წელს 10–12 ბავშვის ყოველგვარი გასამრჯელოს გარეშე დააწყებინა მეცადინეობა ძმის ბინაზე. ამავე დროს პარალელურად მიმართა თელავის განათლების სახალხო კომისარიატს პანკისში, კერძოდ სოფ. დუისში



სურ. 34. პედაგოგი უსუფ მარგოშვილი კოლეგებთან და მოსწავლეებთან, 1937 წ.

სკოლის გახსნის შესახებ. 1922–1923 სასწავლო წლიდან დუისის დაწყებითა სკოლა მუშაობა დაიწყო დაქირავებულ ბინაში. სკოლის ხელმძღვანელი და მასწავლებელი უ. მარგოშვილი იყო. სოფლის მოსახლეობის ნაწილი სხვადასხვა მიზეზების გამო ბავშვებს არ გზავნიდნენ სკოლაში. უსუფი კარდაკარ დადიოდა, ესაუბრებოდა მშობლებს სწავლა-განათლების მნიშვნელობასა და მის აუცილებლობაზე ხალხის, განსაკუთრებით ახლგაზრდების ბუნდური მომავლისათვის. უსუფმა ასეთი დაძაბული მუშაობით თავის ირგვლივ შემოიკრიბა სოფლის თავაკცები და სკოლის შენობის ახაშვნებლად შექმნა კომისია. „იგი ეწვია სოფლის ყოველ მოსახლეს. დიდხანს ესაუბრა თითოეულ მათგანს, აუხსნა სწავლის მნიშვნელობა. ბევრი დაითანხმა, ზოგიერთები კვლავ ჯიუტობდნენ..., მაგრამ აუცილებელი გახდა სკოლის აშენება... ამ მიზნით უსუფმა სოფლის კრება მოიწვია, დიდი ხნის კამათის შემდეგ გადაწყდა, სკოლა საკუთარი სახსრებით აეშენებინათ“ [5].

ინიციატორს უპირველეს ყოვლისა მხარში ამოუდგნენ ბავშვების მშობლები, მოაგროვეს სოფელში ფული, ხე-მასალა, კრამიტი, მდ. ალაზნის სანაპიროდან ურმებით მოზიდეს ქვა-ქვიშა. სახსრების ნაწილი თელავის განათლების სახალხო კომისარიატმაც გამოყო და 1932 წელს დაიწყო სკოლის მშენებლობა. მაგრამ თავი წამოყვეს სოფლისა და ხალხისთვის არაკეთილ-მსურველებმა. დღისით აშენებულ

სასკოლო შენობის კედლებს დამით ანგრევდნენ. ასეთი წინააღმდეგობის მოუხედავად, უსუფს უკან არ დაუხევია. მან მხარში ამოიყენა სოფლის მოსახლეობის უმეტესი ნაწილი, რომელნიც მშენებლებს დიდ დახმარებას უწევდნენ ფიზიკური მუშაობით. სკოლის მშენებლობა 1934 წელს დათავრდა. ამ საქმის ბოლომდე წარმატებით მიყვანისათვის უსუფმა მთავრობის მადლობა და ფულადი ჯილდო მიიღო [6: 90-93]. 1935 წელს დაწყებითი სკოლა არასრულ საშუალო სკოლად გადაკეთდა, ხოლო 1940-1941 სასწავლო წელს - საშუალო სკოლად. სწავლება ქართულ ენაზე



სურ. 35. უსუფ მარგოშვილი ქართველ და ქისტ კოლეგებთან, 1954 წ.

მიმდინარეობდა, ისწავლებოდა რუსული ენა და ცოტა ხანს - ჩეხურიც [7: 3]. მეორე წლიდან სკოლა დაკომპლექტდა ქართველი პედაგოგებით. უსუფს მზრუნველობა არც სხვა სოფლებისთვის დაუკლია. მან მდ. ალაზნის გაღმა და გამოღმა მდებარე ქისტების, ფშაველებისა და ოსების სოფლებში ჩაატარა სასკოლო ასაკის ბავშვების აღწერა, რომლებსაც სიშორისა და მდინარეზე უხილობის გამო არ შეეძლოთ დუისის სკოლაში სიარული და წარადგინა თელავის განათლების სახალხო კომისარიატში, რომლის დახმარებით საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატმა სხვადასხვა დროს პანკისის ხეობის თითქმის ყველა სოფელში (ჯაოყლოში, ომალოში, დუმასტურში, ქვემო ხალაწანში, წინუბანში, ქორეთში, ყვარულწყალში, ხორაჯოში, დედისფერულში) გახსნა დაწყებითი სკოლები. დუმასტურის დაწყებითი სკოლა არასრულ საშუალო სკოლად გადაკეთდა 1937 წელს [8: ფ.3].

დუისის საშუალო სკოლა ემსახურებოდა ხეობის ოთხკლას და შვიდწლედამთავრებულ ბავშვებს - ჩამოთვლილ სოფლებში დაწყებითი სკოლის შეიღწეულად

და შვიდწლედის საშუალო სკოლად გადაკეთებამდე. სკოლები უ. მარგოშვილის გარდა დაკომპლექტებული იყო ქართველი ეროვნების პედაგოგებით [8]. დუისის არასრულ საშუალო სკოლის დირექტორად მუშაობდა ვახტანგ გიორგის ძე ჭაჭუკაშვილი; სასწავლო ნაწილის გამგედ – დავით აექსენტის ძე ციცქიშვილი; მასწავლებლებად ეკ. ალადაშვილი, მ. ჩორგოლიანი, ვლ. ტერტერაშვილი, ი. ღანიშვილი, გ. ძამუნაშვილი, ვ. ხახუტაშვილი, ა. შათირიშვილი, მ. გულდიაშვილი, ვლ. მელიქიშვილი, ო. ჭიკაძე, ი. პაპოშვილი, მ. მადლაკელიძე, ნ. დააშაშვილი, ე. ორკოდაშვილი, ა. გაგოიძე, პ. ალბუთაშვილი, შ. ჯაჭვაძე და სხვ. მრ. ამ რთულ, მძიმე



სურ. 36. უსუფ მარგოშვილი ქისტ პედაგოგებთან ერთად, 1962 წ.

პერიოდში მთიანი ზოდის სოფ. ხორაჯოს სკოლაში მუშაობდა გ. ბუიშვილი, რომელსაც ყველა ქართველ მასწავლებელთან ერთად ქისტი მოსახლეობა მადლიერების გრძობით იგონებს. არ იქნება სწორი, თუ არ გავიხსენებთ ქისტების დანარჩენ სკოლებში ნამუშევარი ქართველი მასწავლებლების გვარებს, რომლებმაც სხვებთან ერთად, ქისტ ბავშვებს შეასწავლეს ქართული ენა და საფუძველი ჩაუყარეს მათთვის ამ ენის მეორე მშობლიურ ენად ქცევას. უკვე დასახელებულთა გარდა, ესენი არიან: ჯ. ქადაგიძე, ე. ქადაგიძე, ა. ქააძე, ი. მაჩაბლიშვილი, მ. მესხიშვილი, დ. წველებაშვილი, ს. აბულაძე, დ. ჯაშიაშვილი, ს. გიგალიშვილი, გ. ხარიტონაშვილი, ნ. ომანაშვილი, ე. ტერტერაშვილი, თ. ლომიძე, ბ. მჭედლიშვილი, მ. გივიშვილი, თ. დიდმელაშვილი და სხვ.

1938–1947 წლებში პანკისის სკოლებში გამოჩნდნენ ადგილობრივი მასწავლებლები: ბისან მარგოშვილი, მაყით ხანგოშვილი, შოთა, აბდულა, ბაახეი ბორნაშვილები, ნაქო აღხანაშვილი, კოლა იმედაშვილი, მარო დაქიშვილი, მარგო, ძარეი, ბისოლთა მარგოშვილები, რომლებიც ადრე მოსული მასწავლებლების მხარდამხარ მეგობრულად მუშაობდნენ წლების განმავლობაში.

თელავის არქივში დაცული მონაცემებით, 1938–1939 სასწავლო წელს დუისის არასრულ საშუალო სკოლაში ირიცხებოდა 223 მოსწავლე, ჯოჯოხოს დაწყებით სკოლაში – 14, ყვარელწყალში – 13, საკობიანოში – 17, ბირკიანში – 10, წინუბანში – 7, ხალაწანში – 11, ომალოში – 12 და დედისფერულში – 2. 1939–1940 სასწავლო წელს კი დუისის საშ. სკოლაში ირიცხებოდა 270 მოსწავლე, ჯოჯოხოს დაწყებით სკოლაში – 8, ყვარელწყალში – 20, საკობიანოში – 19, ბირკიანში – 5, წინუბანში – 15, ხალაწანში – 15, ომალოში – 9, დედისფერულში – 8 [8]. იგივე საარქივო მონაცემებით, დუისის საშუალო სკოლამ 1943–1944 სასწავლო წელს იხეიმა ათკლასიან-თავრებულთა პირველი გამოშვება. ესენი იყვნენ შოთა, მუხამადა, მახმადა ბაღაკაშვილები, იბრაჰმა, ბისოლთა და ახიადა მარგოშვილები, ჟორა მაჩალიკაშვილი, ლაბაზ ჩილოს ძე და ლაბაზ მადაის ძე ქვეთარაშვილები, ნასიბა ქუშანაშვილი, ნინო ჩოფანიშვილი და რევაზ ბაიდაური. სულ ათი ქისტი და ორი ქართველი (ფშაველი). აქედან რვა ქისტმა მიიღო უმაღლესი განათლება. ხუთი გახდა პედაგოგი, ერთი იურისტი, ერთი მეტყვე და ერთი სოფლის მეურნეობის სპეციალისტი. 1952 წლიდან სკოლებში გამოჩნდა დუისის საშუალო სკოლადამ-თავრებული და შემდგომ უმაღლესი განათლება მიღებულთა დიდი პლეადა (ქისტები, ფშაველები, ოსები), რომლებმაც საშუალება მისცა სხვადასხვა რაიონებიდან მოსულ მასწავლებლებს დაბრუნებულ იყვნენ თავ-თავიანთ ოჯახებში.

პანკისის ხეობის სკოლები უზრუნველ-ყოფილი იყო სასწავლო წიგნებით, რეგულაციებით, საწერი და სახატავი ფანქრებით, კალმებით, კლასგარეშე ლიტერატურით, თვალსაჩინო მასალებით და ა.შ. ტარდებოდა აქტიური კლასგარეშე მუშაობა. ჩამოყალიბებული იყო სხვადასხვა წრე – ხელგარჯილობის, ხეზე მუშაობის, ხატვის და სხვ. დუისის საშუალო სკოლა შეფობას უწევდა ხეობის სხვა სოფლების სკოლებს. მათი უმრავლესობა შეიღწეულად გადაკეთდა. შემოდებული იქნა საყოველთაო-საეკლდებულო სწავლება. ქისტებმა შეიგნეს განათლების სარგებლობა და მშობლები თვითონ იყვნენ დაინტერესებული შედეგების სწავლით. სკოლებში, დუისისა და ჯოჯოხოს სასოფლო საბჭოებთან გაიხსნა ბიბლიოთეკები, რომლებიც მომარაგდა დიდძალი წიგნებით, სასწავლო და სკოლის გარეშე ლიტერატურით. ამ წიგნებით სარგებლობდნენ როგორც სკოლის, ისე არასასკოლო ასაკის ბავშვები და ახალგაზრდობა. სოფლებში უბნების მიხედვით შექმნილი იყო წერა-კითხვის შემსწავლელთა სასკოლო ასაკგადცი-ლებულთათვის ჯგუფები, სადაც ქისტი, ფშაველი და ოსი კოლწევრებიც სიხარულით მიდიოდნენ და სწავლობდნენ წერა-კითხვას, ზემოთ ანგარიშს და ქართულ ენას, რისთვისაც ისინი დიდად მადლობრივ იყვნენ. ახლა პანკისში იშვიათად შეხვდებით აღამიანს, რომელმაც არ იცოდეს წერა-კითხვა და საღაპარაკო ქართული ენა [9]. დუისის საშუალო სკოლის დამაარსებელს *უსუფ მარგოშვილს* ამაგი ღირსეულად დაუფასდა. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1949 წლის 2 მარტის ბრძანებულებით ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის იგი დაჯილდოვდა მედლით „შრომითი მამაცობისათვის“. თავისი კუთხის დიდი ქომაგის – უსუფ მარგოშვილის საქმიანობა მარტო პედაგოგიური მოღვაწეობით არ შემოიფარგლებოდა. იგი მრავალჯერ იყო არჩეული ადგილობრივი საბჭოს დეპუტატად და აღმასკომის პრეზიდიუმის წევრად. ამასთან ერთად უ. მარგოშვილის მოღვაწეობას ამშვენებდა მისი ნაყოფიერი მთარგმნელობითი მუშაობა, რაც განაპირობა ენების (ჩენურ- ინგუშური, ქართული,

რუსული, აზერბაიჯანული და არაბული) ცოდნამ მან დიდი მწერლის აღ. ყაზბეგის ნაწარმოებებიდან ჩეჩნურ ენაზე თარგმნა „მამის მკვლელი“, „ციცია“ და „ელისო“, რომელიც „რეჟისის“ სახელწოდებით ცალკე წიგნად გამოქვეყნდა 1961 წელს ქ. გროზნოში. უ. მარგოშვილის შესახებ, როგორც ხალხის ამბგდარ, დაუდალავ მოღვაწეზე, არაერთხელ დაბეჭდილა წერილები ქართულ, რუსულ და ჩეჩნურ-ინგუშურ პრესაში. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1972 წლის 19 დეკემბრის ბრძანებულებით უსუფ ადოს ძე მარგოშვილს სახალხო განათლების დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მოღვაწეობისთვის საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებლის საპატიო წოდება მიენიჭა, ხოლო საქართველოს მინისტრთა საბჭოს 1995 წლის 2 ივნისის № 303 დადგენილებით უსუფის დაბადების 100 წლისთავთან დაკავშირებით მის მიერ აშენებულ დუისის ქართულ საშუალო სკოლას ეწოდა „უსუფ მარგოშვილის სახელობის დუისის საშუალო სკოლა“. ხეობის ქისტი, ფშაველი და ოსი მოსახლეობა მას ამბგდარ მასწავლებელს უწოდებდა. ამ სკოლის კურსდამთავრებულმა მრავალმა ქისტმა შემდეგ სწავლა გააგრძელეს უნივერსიტეტებში, უმაღლესი და სპეციალურ სასწავლებლებში, როგორც საქართველოში ასევე საბჭოთა კავშირის სხვა სასწავლებლებში. მათ თავიანთი წვლილი შეიტანეს საქართველოს კეთილდღეობის საქმეში. ყველა მათგანის ჩამოთვლა საკმაოდ რთულია, აქ ჩვენ დავასახელებთ რამდენიმე მათგანს.

1929 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული მუშაგაკის დამთავრების შემდეგ შალვა (შაბეი) ჩოფანის ძე დუიშვილი სასწავლებლად მიაგვლინეს ქ. მოსკოვის საფეიქრო ინსტიტუტში, რომლის დამთავრების შემდეგ (1934 წ.) მუშაობდა ქ. თბილისის აბრეშუმის საქსოვ ფაბრიკაში ადმინისტრაციულ და პედაგოგიურ სამუშაოზე. შემდგომში იყო აღნიშნული



სურ. 37. შალვა (შაბეი) ჩოფანას-ძე დუიშვილი

ფაბრიკის უფროსი ინჟინერი, დირექტორის თანაშემწე, დირექტორი და ბოლოს, 1968 წლიდან, საქართველოს ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს საწარმოო განყოფილების უფროსის მოადგილე. იგი სამამულო ომის პერიოდში, ზურგში, გადაჭარბებით ასრულებდა სახელმწიფო გეგმებს. აქ მზადდებოდა სამხედრო დანიშნულების ნივთები, პარაშუტები და სხვ. ომის დამთავრებისთანავე იგი მივლინებული იქნა გერმანიაში, საიდანაც ჩამოიტანა აბრეშუმის საქსოვი დაზგები და სხვა მოწყობილობა, რაც მაშინ თბილისის ფაბრიკას არ ჰქონდა. შალვა (შაბეი) დუიშვილი დაჯილდოებული იყო მედლებითა და ორდენებით.

1936 წელს თბილისის პედაგოგიური ტექნიკუმის დამთავრების შემდეგ საბა აბღულას-ძე დუიშვილმა სწავლა გააგრძელა თბილისის ტექნიკური ინსტიტუტის რკინიგზის საინჟინრო ფაკულტეტზე, რომლის დამთავრების შემდეგ ხელმძღვანელობდა ქუთაისის, ფოთის, სამტრედიის, ბათუმის სადისტანციო რკინის გზებს. 1943-1946 წლებში მუშაობდა ერთ-ერთ სამხედრო



სურ. 38. საბა აბულას-ძე
დ უ ი შ ე ი ღ ი

საექსპლლატაციო განყოფილებაში, ხოლო შემდგომში ქუთაისის სამოქალაქო თავდაცვის შტაბში. დაჯილდოებული იყო ორდენებითა და მედლებით, იყო მაღალი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტი, საქართველოს რკინიგზელებში სარგებლობდა დიდი ავტორიტეტით. იშვიათად უხდებოდა მშობლიურ სოფ. დუისში სტუმრობა და თავისი მოღვაწეობა და ცხოვრება ქ. ქუთაისში დაამთავრა.

პანკისის ხეობამ არაერთი სპორტის მოყვარული ახალგაზრდა გაზარდა, რომლებიც ქართველი ცნობილი მოჭიდავეების გვერდით საქართველოს სახელს იცავდნენ. მათ შორის იყო ბუღდან მახამას-ძე ბადაკაშვილი. იგი თავისი ვაჟკაცური, ლამაზი ჭიდაობით ხიბლავდა მაყურებელს. ბუღდან ბადაკაშვილი სარაიონო, ზონალურ, რესპუბლიკურ, საკავშირო და მსოფლიოს



სურ. 39. ბუღდან მახამას-ძე
ბ ა დ ა კ ა შ ვ ი ღ ი

ასპარეზობიდან შერცხვენილი არასოდეს დაბრუნებულა. ქართულ ჭიდაობაში, ძიუდოში იგი ყოველთვის გამოდიოდა რესპუბლიკის აბსოლუტურ პირველობაზე, სადაც საპრიზო ადგილებს იკავებდა. მის ტიტულს ტიტული ემატებოდა. იყო საქართველოს არა ერთგზის ჩემპიონი და ფალავანი, ევროპისა და მსოფლიო თამაშების ვიცეჩემპიონი; ძიუდოში საბჭოთა კავშირის პირველი ნაკრები გუნდის წევრი. მინიჭებული ჰქონდა სპორტის ოსტატის წოდება. ხალიჩის ნამდვილი რაინდი ყოველთვის მკერდ-დამშვენებული ბრუნდებოდა მშობლიურ პანკისში. სპორტიდან წასვლის შემდეგ ბუღდანა მუშაობდა დუისის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარედ და შემდგომ მურნეობის დირექტორად. მისი და ცნობილი ფალავანების თ. წინწალაშვილი, ტ. მუთოშვილი, დ. მარგოშვილი და სხვების გამგრძელებელი ქისტი ფალავანები კიდევ გამოჩნდებიან საქართველოს სადიდებლად.

ლიტერატურა

1. ალბუთაშვილი მ., მოკლე ავტოგრაფიული აღწერა, 1939, რე. №1, 7.
2. ქისტო ჩობანი, პანკისი (თიანეთის მაზრა), გაზ. „ივერია“, 1902 წ., №№ 94, 133, 211; 1903, №26.
3. ვართაგავა ტ., ჩვენს მუგობრობას გაუმარჯოს, გაზ. „სოფლის ცხოვრება“, 1966, №24.
4. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. VII, თბ., 1976.
5. ესართია ლ., სიყვარული... სიყვარულის წილ, „სახალხო განათლება“, 1969, №69.
6. ითონიშვილი ვ., ქისტების თავკაცი და მასწავლებელი, ჟურ. „სკოლა და ცხოვრება“, თბ., 1969.
7. ბორჩაშვილი რ., პანკისელთა უანგარო ქომაგი და განმანათლებელი, გაზ. „ბახტრიონი“, 1984, №129.
8. ქ. თელავის სახ. არქივი, ფ. 2, საქ. №4, №16, №39 და №97.
9. ბორჩაშვილი რ., ხალხისათვის თავდადებული, „სახალხო განათლება“, 1986, №15.

III. ს უ ლ ო ი ე რ ო კ უ ლ ტ უ რ ა

§ 1. რელიგიური რწმენა-წარმოდგენები

იმის გამო, რომ ქისტების პირველი ტალღა საქართველოში მაჰმადიანური რელიგიის მიღებამდე მოვიდა, მოკლედ შექნერდებით როგორც პოლითეიზმზე, ისე ქრისტიანობაზე.

ვეინახებს, რომ ქრისტიანობის მიღებამდე საკმაოდ განვითარებული რელიგიური სისტემა ჰქონდათ, ამას ადასტურებს მათში ადრე გავრცელებული მრავალღმერთიანობა, რომელიც წარმართობის პანთეონის სახელწოდებითაა ცნობილი. მისი ჩამოყალიბება განეკუთვნება პირველ ათასწლეულს ჩვენს ერამდე. მრავალღმერთიანობასთან არის დაკავშირებული ჩენჩეთ-ინგუშეთის ტერიტორიაზე მდებარე სალოცავი ნიშები, სვეტები, საკულტო შენობები და სხვ.

წერილობითი მონაცემებისა და ადგილზე მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, ვეინახებში დასტურდება ვ ო ჯ ჳ - დ ე ე ლ - დიდი ღმერთი, ღმერთი მზისა, ცისა და მამა დანარჩენი ღმერთებისა. ეს ღმერთებია: ს ე ლ ი - ჭ ე კ ა - ქ უ ხ ი ლ ს ღ მ ე რ თ ი. ი გ ი ა მ ა ვ ე დ რ ო ს ი თ ვ ე ლ ბ ო დ ა ს ი ნ დ ის - პ ა ტ ი ო ს ნ ე ბ ის ღ მ ე რ თ ა დ ; თ უ შ ო ლ ი - ნ ა ყ ო ფ ი ე რ ე ბ ის ღ მ ე რ თ ი ; გ ა ლ ი - ე რ დ ი - პ ი რ უ ტ ყ ვ ის მ ფ ა რ ვ ე ლ ი ; ე ლ თ ა - გ ა რ ე უ ლ ი ც ხ ო ვ ე ლ ე ბ ის და მონადირის მფარველი; ე შ ტ რ - ს ა ი ქ ი ო ს ღ მ ე რ თ ი და მამა დედაშიწისა და მთვარის; მ ო ლ ზ ი - ე რ დ ი - ო მ ის ღ მ ე რ თ ბ და ს ხ ვ . პ ა ნ თ ე ო ნ ის ა მ ღ მ ე რ თ ე ბ ის ა გ ა ნ ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ა ე ლ ო დ ე ბ ო დ ა პ ი რ უ ტ ყ ვ ის გაძრავებას, დიდ მოსავალს, ომის დროს გამარჯვებას, სამოთხეში მოხვედრას და ა.შ. [1: 6]. საზოგადოებამ ამ ღმერთებთან მიმართებით დროთა განმავლობაში გამოიმუშავა გარკვეული წეს-ჩვეულებები: მსხვერპლის შეწირვა, სპეციალური პურების, კვერების გამოცხობა, ფერადი ნაჭრების ხეებზე დაკიდება და სხვ. ღმერთების თაყვანსაცემი დღესასწაულები წელიწადის სხვადასხვა დროს იმართებოდა. დღესასწაულებს ხელმძღვანელობდნენ ქურუმები, რომლებიც ითვლებოდნენ ღმერთსა და ადამიანებს შორის შუამავლებად. ღმერთის სათაყვანებლად მიტანილი კვერები, ქაღები და ა.შ. ქურუმს უნდა შეელოცა და თან ღმერთისთვის ეთხოვა, რომ „მიეღო ეს თაყვანისცემა და შეეხრულებინა მლოცველის თხოვნა“. საკლავის დაკვლის უფლებაც ქურუმს ღმერთისგან უნდა აეღო [1: 7]. წმინდა ადგილად ითვლებოდა ის ადგილი, სადაც დიდი ზომის ქვა იდო ან დიდი ხე იდგა [2: 20]. ისე რომ, ვეინახების რწმენით მთავარი ყოფილის შემძლე ძალა, დიდი ღმერთი - ვ ო ჯ ჳ - დ ე ე ლ ი ყ ო . დანარჩენი ღმერთებიც, ადამიანის თხოვნის თანახმად მას მიმართავდნენ ყველა საჭირობოტო საქმეზე. მაგალითად, ე. შილინგს საინტერესოდ აქვს აღწერილი ე ლ თ ა ღ მ ე რ თ ის ა დ მ ი მონადირის თხოვნა, რომ მისი სურვილი დააკმაყოფილოს: „ელთა ღმერთო! შენთან მოვედი სტუმრად, მომეცი რქოსანიდან ყველაზე დიდი ნადირი, ჩემს მიერ გასწორდელი ტყვია მოახვედრე მის თავზე, მომეცი მსუქანი ჯიხვი, შენ გთხოვ, როგორც ნადირთან მყოფს და შენ კი სთხოვე ღმერთს“ [3: 35].

ბ. დალგატის მონაცემებით, ძველად ნადირის მფარველი ელთა მოსავალსაც მფარველობდა, ხოლო შემდგომ, როცა მიწათმოქმედების მფარველი მ ი ა ტ ს ე ლ ი

გახდა, ელთას ფუნქცია ნადირის მფარველობით შემოიფარგლა [4: 104]. ელთა ვეინახების მითებში წარმოდგენილია ცალთვალა დეჟაკადად. ბ. დაღვარის მასალებით, თუშოლს განსაკუთრებით პატივსაცემდნენ ქალები, რადგან იგი უფრო ნაყოფიერების ღმერთად ითვლებოდა [4]. ანალოგიურ მასალას გეთავაზობს ლ. სემიონოვიც [5: 382]. ჩენები სვეტებს სიელინგს უწოდებდნენ. ჩანს, რომ იესელის (ჰეჰა-ქუხილის ღმერთი) თავანსაცემი სვეტია, რომელიც იგებოდა იმ მიდამოებში, სადაც მების ვარდნა იყო შემწეული. ვ. მარკოვის სვეტისებური სალოცავების აგების ტრადიციის არსებობა დათარიღებული აქვს XVI-XVII საუკუნით [6]. აღნიშნული სვეტისებური სალოცავები იგებოდა უბრალოდ ქვისაგან. წინა მხარეს უკეთებოდა ორი ნიში, ოთხკუთხოვანი ან ისრისებური კამარით. მთიან ინგუშეთში აღწერილია მსგავსი სალოცავი ნაგებობა [7: 14]. ჩენებში ყველა საზოგადოებას საერთო და სოფლებს ცალ-ცალკე ღმერთები ჰყავდათ. ინგუშეთში თითოეულ სოფელს თავისი საკუთარი სალოცავი ჰქონდათ. ბევრ მათგანს სოფლის სახელი ერქვა. ამ წმინდა ადგილებს ჩენები – ერდას, ინგუშები – წუსს, ქისტები – წიუ – წე – წე-ე-ს უწოდებდნენ. ამ სალოცავების პატივსაცემად ვეინახები ყოველ წლიურად ქრისტიანულ ადღვარას ზემოთდნენ.

საინტერესოა გ. ჩურსინის მონაცემები: ჩენეთში ყოველ გვარს ჰყავდა თავისი საკუთარი მფარველი ღმერთი, რომელიც შექმნა საგვარეულო ყოფამ. ამ ღმერთების პატივსაცემად აშენდა სალოცავები: დიქ-სელი, აუშა-სელი, ბეინი-სელი, მიატერ-დელა, სოსქა-სოლსა, მორჩ-სელი, მადა-ერდი და სხვ. მადა-ერდის კულტი ხამხოსის საზოგადოების კერძოდ სოფ. საღვის მაცხოვრებლების საკუთრება იყო. ამ ადგილზე მდებარეობდა „მადოტეს ტაძარი“, სადაც ზამთარ-ზაფხული ეწყობოდა დღეობები [8: 171].

ჩენეთში გადანტოყის რაიონში დაღვარებულა ღვთაება მეხორ, რომლის მსგავსი ტერმინი მეხორ, როგორც ოჯახის მფარველი კულტი გვხვდება სვანეთშიც. შესაძლებელია ჩენეთის მეხორიც ოჯახის კერძო კულტია, რადგან მათში წმინდა ადგილად მიჩნეულია კერია და ცეცხლი. ჩენების რწმენით სელის დღეს (ორშაბათი) აკრძალული იყო ცეცხლის მეხობლებში გაცემა. დიდ წყველად ითვლებოდა კურბოილ-ჰაა – ბოლი ჩაგიქრეს, წიდაულ-ჰაა – ცეცხლი ჩაგიქრეს და სხვ. ნ. ხარუზინს მეხორ წარმოდგენილი აქვს, როგორც ღმერთი. იგი წერს: წარსულში გადანტოყის რაიონში ერთ-ერთ გორახე მდგარა მეხორ-ღმერთი, რომელსაც მოსახლეობა მუხლმოდრეკით სცემდა თავყანს [9: 508].

პირველი ქრისტიანული ტაძარი ვეინახებში (ინგუშეთში) არის თხაბა-ერდი, რომელიც დ. ბაქრაძისა და ვ. მილერის თანახმად აშენებულია IX საუკუნეში [10: 8–20]; ხოლო ე. კრუპნოვისა და ლ. სემიონოვის მონაცემებით კი XII–XIII საუკუნეებში, თამარ მეფის დროს. სხვა მონაცემების მიხედვით – VIII–IX საუკუნეებში [11: 69] და ა. შ. აღნიშნული ძეგლი შეკეთებული იქნა X–XI, XVI–XVII და XVIII საუკუნეებში. საბოლოო რესტავრაცია გაუკეთდა 1970 წელს. ტერმინი თხაბა-ერდი ე. კრუპნოვს ახსნილი აქვს, როგორც „Храм двух тысяч святых“ – რაც ნიშნავს ორი ათასი წმინდანის ტაძარი [12: 11]. ა. შაგხელიშვილი ამ სახელწოდებას ქართულ ღვთაებას უკავშირებს [13: 85], ხოლო უკანასკნელ ხანებში გ. დამბაშიძემ ეს ტერმინი დაუკავშირა „თომას“. იგი წერს: თხაბა-ერდი უნდა გავიგოთ, როგორც თომა-ერდი. ე.ი. „წმინდა თომას

ტაბარი“ [14: 120–129]. ამ მოსახურებას არ იზიარებს ადგილობრივი მკვლევარი მ. მუჟუხოვეი. „თხაბა“ და „თომა“ ჩვენი აზრითაც სხვადასხვა სახელებია და ამ შემთხვევაში მათ არავითარი საერთო არ უნდა ჰქონდეთ. უნდა ითქვას, რომ ესა თუ ეს ტერმინი, ეთნონიმი ან ტოპონიმი თუ სრულად აიხსნება გეოგრაფიულად განსახლებურ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის ენაზე, ეს გარემოება უდაოდ ანგარიშ-გასაწვევია. თხაბა-ერდი ვენახურად სიტყვა-სიტყვით ნიშნავს „ჩვენია ეს სარწმუნოება“. სარწმუნოების მაგვირად შეიძლება ეხმარათ სალოცავიც, ე.ი. „ჩვენია ეს სალოცავი“. ვენახურად „თხო“, „თხა“ ნიშნავს ჩვენი, „ბა“ – არის, „ერ“ – ეს, „დი“ – სარწმუნოება, დასაშვებია, შემდგომ სიტყვის პირველი ნაწილი გამოხატავდა რომელიმე წმინდანის, მორწმუნის სახელს, მაგალითად, ალბ-ერდი, გალ-ერდი. „ალბი“, „გალი“ სახელს ნიშნავს, ხოლო ბოლო ნაწილი „ერი“ კი სარწმუნოებას ან სალოცავს. ე.ი. „ერ“ – ეს, „დი“ – სარწმუნოება. „გალი-ერდი“ – გალისაა ეს სარწმუნოება ანუ სალოცავი. რადგან ინგუშეთის ტერიტორიაზე პირველი ქრისტიანული ძეგლი „თხაბა-ერდია“ ქრისტიანობა მიღებულ ინგუშებს კითხვაზე ასეთი პასუხის გაცემა შეეძლო – თხაბა-ერდი-ჩვენია ეს სალოცავი. შესაძლებელია, როგორც ა. შავხელიშვილი აღნიშნავს ღვთაებას გამოხატავდეს ან შემდგომ აშენებულ ძეგლებს ამშენებლის სახელი ეწოდა. მაგ., ალბ-ერდი, გალი-ერდი, მოლზი-ერდი და სხვ. მ. მუჟუხოვეის აზრით, ეს ქრისტიანობამდე არსებული წარმართული ღმერთების სახელწოდებებია, რომლებიც შემდგომ ქრისტიანულ სახელწოდებებს შეერია [7: 73].

უნდა აღინიშნოს რომ, ქრისტიანობის მქადაგებლებმა თავიდან დიდი როლი ითამაშეს ქართული კულტურის, ქართული წერ-კითხვის ვენახებას შორის გაერცელების საქმეში. ადგილობრივმა ფეოდალებმაც ხელი შეუწვეს ამ იდეოლოგიის გაერცელებას, მაგრამ დამოუკიდებლად მისი მოსახლეობაში სრულად დანერგვა ვერ შეძლეს, არც სასულიერო პირების აქტიურობა იგრძნობოდა, თუმცა სიმბოლური ჯვრები უკეთდებოდა ყველა ქრისტიანულ სალოცავს, ეკლესიასა და ციხეკომპლექსებსაც კი [5: 41–42]. მღვდლები მოსახლეობას გაქრისტიანების ზიარებას მიაღებინებდნენ და მხოლოდ ამით კმაყოფილდებოდნენ. რუსეთის შემადგენლობაში ინგუშების ნებაყოფლობითი (1781 წ.) შესვლასაც კი არავითარი გავლენა არ მოუხდენია მორწმუნეებზე. ამ პერიოდში რუსეთის ყურადღება კავკასიის მიმართ ძალზე შესუსტებული იყო.

XVI–XVIII საუკუნეებში ქრისტიანობის პარალელურად ვენახებში (ბარში) დიდ მუშაობას ეწეოდნენ ისლამის გამავრცელებლები, რომელთა მოღვაწეობას ხელი შეუწყო მოსახლეობის ეთნიკურმა სიჭრელემ – ისლამის მიმდევარი მეზობლების ძლიერმა ზეწოლამ. ასეთ ვითარებაში XVIII ს. II-ნახევარში ჩენქეთის ბარში შეიჭრა ისლამი, ხოლო XX-ს. დასაწყისში ინგუშეთში. ე. შილინგის მონაცემებით, სოფ. გველეთის ინგუშებმა ისლამი მიიღეს 1861 წელს [3: 10], რაც სხვა მონაცემებით არ დასტურდება.

ს. ბრონევსკი მოგვითხრობს: „ინგუშეთი ქისტების მსგავსად, უძველესი დროიდან ქრისტიანულ რელიგიას მისდევდნენ და იმყოფებოდნენ ქართველი მუჟუხების გავლენის ქვეშ. ქრისტიანობას რომ ჩამოსცილდნენ ისინი დაუბრუნდნენ თავიანთ ძველ ღვთის მსახურებას, შემდეგ ისევ ქრისტიანობას და ბოლოს, მოკლე ხანში მიიღეს მამადის კანონები, მაგრამ შეინარჩუნეს წარმართულ-

ქრისტიანული რელიგიის წესჩვეულებები: ჭამენ ღორის ხორცს, ინახავენ მარხვას, ზეიმობენ კვირა დღეს და პატივს სცემენ ეკლესიებს“ [15: 43]. ანალოგიურ მასალას გვთავაზობს უ. ლაუდაევიც: ჩენები მამა-პაპიდანვე ქრისტიანები – „ქერი ს თ ა ნ ა შ“ იყვნენ. მათი თავდაპირველი სარწმუნოება წარმართული იყო, შემდეგ ქრისტიანობა და ბოლოს მაჰმადიანობა აღიარეს [16: 27].

ბ. ალბოროვის მონაცემებით, ინგუშეთში არსებული ქრისტიანული ძეგლები *თხაბა-ერდი*, *ალბი-ერდი*, *გალი-ერდი* და სხვ. ინგუშების წმინდა ადგილებად ითვლებოდა. გალი-ერდის ისინი მთავარ „საერთო ეროვნულ“ ღვთაებად მიიჩნეულენ [17: 2-4]. ქრისტიანულმა ტრადიციამ წარმართობის გავლენით ცვლილებები განიცადა, რამაც გამოიწვია შერეული რელიგიური რწმენის ჩამოყალიბება [1: 2]. ჩენეთში წარმართული და ქრისტიანული ძეგლები ნაკლებად გვხვდება ვიდრე ინგუშეთში, რადგან მაჰმადიანობამ აქ უფრო ადრე მოიხიდა ფეხი და წაშალა ძველი რწმენის კვალი, მაგრამ მთიან ჩენეთის მოსახლეობას ეს ძველი ნიშნები და ძეგლები ბოლო დრომდე არ მიუტოვებია. მაგ., ი არ დ ა, ს ტ ე ლ ა, ა ლ მ ა ზ, მ ა ლ ხ - ა ზ ნ ი, ხ ი ნ - ნ ა ა ნ ა და სხვ. [18: 156]. მზის ღმერთს ვენიახები ა ზ ა - მალხან აზას უწოდებდნენ. ე.ი. მ ზ ე ს - მ ა ლ ხ ს და სხივებს - ა ზ ა ს (აზნი) ეძახდნენ. მორწმუნეები მზეს ფიცულობდნენ მისკენ მიბრუნებული - „ო ც მ ა ლ ხ ს უ ა რ“ - იმ მზის მადლმა. იცოდნენ ქებაც: „მ ა ლ ხ ს ა ნ ნ ა ხ ა ზ ი ა ჳ - კ ო“ - მზესავით ღამაზი ხარ. პატივს სცემდნენ მთვარესაც - ბ უ თ თ ს, რომელიც ანათებს მიცვალებულთა სამყაროს. მთვარისა და ცის შვილებად მიიჩნეულენ ვარსკვლავებს - ს ი ე ლ ა რ ი, რომლებიც მთვარეს ხელს უწყობდნენ თავიანთი განათებით იმქვეყნიური მრავალღმერთიანობასთან დაკავშირებული დღესასწაულების ჩატარებაში. ხ ი ნ - ნ ა ა ნ - წყლის დედა, წყლის ღმერთი, რომელიც ასახრდობდა არა მარტო მზის ქვეშეთის ცოცხალ სულებს (ჩენების რწმენა), არამედ მთვარისა და ვარსკვლავების კუთვნილ სულებსაც. ხალხს სწამდა, რომ წყალი, მოთხონილების მიხედვით ორად ნაწილდებოდა - მიწის კედლებში და ცაში [2: 2]. როგორც მთხრობელი აღნიშნავს, ქრისტიანული რწმენაც აღიარებდა წყლის დედას, რომლის გარეშეც შეუძლებელი იყო სულიერ და უსულო ადამიანებთან წესის ჩატარება. ხ ი ნ - ნ ა ა ნ ა ვერც მაჰმადიანურმა რელიგიამ უარყო, რადგან ალაჰის (ღმერთის) მიერ სავალდებულო დაწესებული დღეში ხუთჯერ ხელ-პირისა და ფეხების განბანა წყლის გარეშე არ შეიძლებოდა, ამიტომ ძველი კულტი ხ ი ნ - ნ ა ა ნ ა ყველა რელიგიისათვის უცვლელი დარჩა.

ვედენოს რაიონში დღემდე შემორჩენილ ორ ყორღანს (სტელა და იარდა) ფიცულობდნენ სოფ. ბელგათისის მკვიდრნი. ამავე რაიონში სოფ. ერსენოში ნაპოვნია ნახატი ქვა, რომელზეც გამოსახულია ჯვარი. ამ ბოლო დროს წარმართული და ქრისტიანული ძეგლები აღმოაჩინეს ჩენეთის ბევრ ადგილზეში. მათი ნიმუშები ინახებოდა ქ. გროზნოს მხარეთმცოდნეობის მუზეუმში, მაგრამ მიმდინარე ომში ყველაფერი განადგურდა. სოფ. ჩენჩენ-აულის მარცხენა მხარეს ხანქალის გორაზე ძველად ყოფილა სალოცავი წმინდა ადგილი ჯ ე მ ი ნ ბ ა რ ძ. გროზნოს ციხე-სიმაგრის აშენებამდე (1818 წ.) აქ ტარდებოდა ჩენეთის საზოგადოების სახალხო თათბირები ქვეყნის საჭრბოროტო საქმეებთან დაკავშირებით. როცა მაჰმადიანობამ ფეხი მოიკიდა ჩენეთში, მოლებმა შეთხზეს ლეგენდა - თითქოს იმ გორაზე ცხოვრობდა წმინდანი ე ე ლ ა ჯ ე მ ი და იქ ტარდებოდა „წმინდა

შეიხების შეკრებები – შეიხჯემის ხელმძღვანელობით“. ამ ლეგენდით ისარგებლეს ჩენჩეთის ახალი რწმენის აღმასრულებელმა მიურიდებმა და ყოველ პარასკევს სალოცავად იკრიბებოდნენ იმ გორაზე, იქ დადიოდნენ გვალების დროს ახლომახლო



სურ. 40. სალოცავი ნიში „იერდა“, სოფ. ჩაბანო.

სოფლებიდან თავკაცები და ღმერთსა და ჯემის შესთხოვდნენ წვიმის მოსვლას [18: 157]. ახალმა რელიგიამ ძველი რწმენის (წარმართობის, ქრისტიანობის) წმინდა ადგილები გადააქციეს მაჰმადიანური იდეოლოგიის წმინდა ადგილებად. ანალოგიური წმინდა ადგილი იყო ნოჯაი-იურითის რაიონში სოფ. წენტაროს მახლობლად ჳ ი ე თ ა ჩ ქ ო ა რ თ ა, რაც ნიშნავს თავშესაყარ ადგილს. სოფლის სახელწოდება წ ე ნ თ ა რ ო ი ს უ ფ თ ა ა დ გ ი ლ ს – წ ე ნ ი - ტ ი ე ა ნ უ წ მ ი ნ დ ა ა დ გ ი ლ ს ნ ი შ ნ ა ვ ს. ი. პოპოვი წერდა: სოფელი წენტაროი მდებარეობს ჳ ი ე თ ა ჩ - ქ ო ა რ თ ი ს (თავშესაყარი ადგილი) მახლობლად მდ. აკსაის გაყოლებაზე. გადმოცემით, ამ გორაზე ჩენჩი თავკაცები ადგენდნენ სათემო ადათ-წესებს, რომლებსაც იყენებდნენ საჭიროების დროს მეზობელ თემებთან ურთიერთობისას და სხვ. ადგილზე ფიქსირებული ეთნოგრაფიული მასალაც ადასტურებს, რომ ძველად დასახელებულ წმინდა ადგილზე წყდებოდა საზოგადოებათაშორისო სადაო, თავდაცვითი, თავდასხმის თუ სისხლ-მეისხლეობის საკითხები. ასეთივე დანიშნულების ადგილი იყო ე რ თ ი ა ნ - ქ ო ა რ თ ვ ე დ ე ნ ო ს რ ა ი ო ნ ი ს ს ო ფ. გუნის მახლობლად, რომელსაც ე რ დ ი ე წ ო დ ე ბ ო დ ა. ტერმინი ე რ თ ი ნ - ქ ო ა რ თ დ რ ო ნ ა განმავლობაში იქცა ე რ თ ი ნ ა ნ - ტ ე, ე.ი. ერთინას ადგილი [18: 158].

მოხრობელის გადმოცემით, წარსულში აქ სალოცავად დადიოდნენ ვედნოს მაცხოვრებლები, რომლებიც ღმერთს სთხოვდნენ ოჯახის ავადმყოფი წევრის

მორჩენას, გვარის გამრავლებას და სხვ. წინა რწმენის (წარმართობის) დროინდელი ეს წმინდა ადგილები – ერთიან-ქოართა, ჯემინ-ბარძ, ვიეთა-ქოართა ხევენ დროში მაჰმადიანების წმინდა ადგილებადაა მიჩნეული.

ჩრდილო კავკასიაში მაჰმადიანური რელიგიის ძალდატანებით დანერგვასთან ერთად შეიჭრა მისტიკური მოძღვრება ტარიყათი ცნობილი მიურიდიზმის სახელით, რაც ღმერთისკენ მიმავალ გზას ნიშნავს. იგი აღიარებს ადამიანის ჭეშმარიტ სხნას, რომელიც სამოთხის ნეტარებას ჰპოვებს სულიერ და ზნეობრივ სრულყოფასა და ღმერთთან მიახლოებაში. დადგენილია, რომ ტარიყათის მოძღვრება წარმოიშვა ჯერ კიდევ წინასწარმეტყველი მუჰამედის სიცოცხლეში. მისი პირველი მქადაგებელი იყო ბიძა მისი აბუბექრი [19: 15]. ჩრდილო კავკასიაში ტარიყათის (მიურიდიზმის) მოძღვრება განსაკუთრებული სიძლიერით გავრცელდა 1801–1859 წლებში. ტარიყათის საფუძველზე წარმოიქმნა ნაყშბანდის სექტა, რომელსაც სათავე და სახელი მისცა ბუხარელმა მოღვაწემ საეაჯ-ბაჰაუდინ ნაყშბანდიმ. იგი გარდაიცვალა 1389 წელს და დასაფლავებულია უზბეკეთში, ძველ ბუხარაში [18: 160].

ნაყშბანდის სექტა მკაცრად იცავდა შარიათის მიერ დადგენილ ნორმებს. მას შარიათის სექტასაც უწოდებდნენ.

ტარიყათის (მიურიდიზმის) მეორე მიმართულება იყო სექტა ყაადირი, რომლის დამაარსებლად ითვლებოდა აბდულ-ყაადირი. იგი გარდაიცვალა 1116 წელს ქ. გილანში, ბაღდათთან ახლოს. მისი მიმდევრები ვაღდებულნი იყვნენ შარიათით დადგენილი ლოცვების გარდა, შეესრულებინათ დამატებითი ლოცვაც და მონაწილეობა მიეღოთ სექტის ხშირ შეკრებებში [18: 161]. კავკასიის ხანგრძლივი, დამქანცველი ომის დამთავრების შემდეგ, ჩეჩენეთში მიურიდიზმის ამ მეორე მიმართულების (ყაადირი) გამავრცელებელი იყო ქუნთ-ჰაჯი (გულდუმესის რაიონის სოფ. ილისხან-იურთიდან). ამ სექტამ მისივე სახელწოდება მიიღო. ჩეჩენეთ-ინგუშეთში ნაყშბანდის ჯგუფში შედიოდნენ ეკონომიკურად ყველაზე შეძლებული პირები. ისინი კვირაში ერთხელ (ხუთშაბათს საღამოს) იკრიბებოდნენ მეჩეთში და მეხუთე ლოცვის (ნაამაზ) შემდეგ ადგილიდან გაუნძრევლად ძიქარს-ხიქარს (გალობა) წარმოთქვამდნენ. ამ სექტის წევრები თავის თავს მიურიდებლად თვლიდნენ. ქუნთ-ჰაჯის სექტის წევრები კი რელიგიურ მორტიუალს (ქალები და მამაკაცები ცალ-ცალკე) ოთახში ან ღია ცის ქვეშ ასრულებდნენ [18: 161].

ქუნთ-ჰაჯის მოძღვრებას ბევრი მიმდევარი გაუჩნდა ინგუშეთშიც. გახშირდა მათი შეკრებები. შამილმა სასტიკად გაილაშქრა ქუნთას წინააღმდეგ. მან აკრძალა ღია ცისქვეშ რიტუალების შესრულება იმ საბაბით, რომ ეს თითქოს, ჭეშმარიტ რელიგიას ეწინააღმდეგებოდა [20: 2]. 1859 წელს ქუნთ-ჰაჯი გაემგზავრა მექაში, საიდანაც მისწერა თავის ნათესავებს და მიმდევრებს, რომ საჭიროა ილოცონ მუჰამედი და შეასრულონ ძიქარს. 1861 წელს მექადან კავკასიაში დაბრუნებულმა ქუნთ-ჰაჯიმ (შამილის დიქყვევების შემდეგ) ნახა, რომ მის მიერ შექმნილი სექტა ისევ მოქმედებდა და თავისი მიურიდების მეშვეობით უფრო ენერგიულად დაიწყო ხალხის მოზიდვა, გალობის თანხლებით აწყობდა ხშირ შეკრებებს სახლებში, ქუჩებში. საიდუმლოდ ებრძოდა ცარიზმს რელიგიურ გაერთიანების ჩარხოდან. სისტემატური ხასიათი მიიღო რუს სამხედრო მოღვაწეებთან დაპირისპირებაში. მეფის მოხელეებმა რამდენიმე მიურიდი დააპატიმრეს [20: 3]

და განიზრახეს ქუნთ-ჰაჯის დატყვევებაც, ამიტომ მეფის მოხელეებმა ალყაში მოაქციეს სოფ. შალი, მაგრამ იმ დამეს ქუნთ-ჰაჯი ვედენოს რაიონში იყო წასული. მეფის მოხელეების უფროსმა თუმანოვმა მოიწვია სოფლის თავაკაცი და ქუნთ-ჰაჯის მოსაყვანად 24 საათი დათქვა ვადად, წინააღმდეგ შემთხვევაში სოფელს გადაწვავდა. დაღონებულმა სოფლის მამასახლისმა კაცი აფრინა ვედენოში ქუნთ-ჰაჯთან და არსებული ვითარება შეატყობინა. ქუნთ-ჰაჯი დაფიქრდა, კარგა ხნის შემდეგ თავი ასწია და უთხრა: „კარგი, ვხედები რაშიც არის საქმე და შენ წადიო“. ბევრი ფიქრის შემდეგ ქუნთ-ჰაჯიმ გადაწყვიტა წასულიყო სოფ. ლოიტის მამასახლისთან ელდუყთან მოსალაპარაკებლად. ელდუყი, სოფ. ლოიტის დამაარსებელი, დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა ჩვენეთში, მასთან რჩევისათვის მიდიოდა ხალხი ახლომახლო სოფლებიდან. ვედენოდან წამოსული ქუნთ-ჰაჯი სადამო ხანს ელდუყის ეხოს კარებს მიადგა. მის დაკაკუნებაზე გარეთ გამოსულმა ელდუყის ცოლმა ბეიდაზამ შეიპატიჟა სტუმარი სასტუმრო ოთახში და მუუღლეს უცხო სტუმრის მოსვლა შეატყობინა. ელდუყი მიესალმა,



სურ. 41. მქეითი „მეჟღიგ“, სოფ. დუისი, აშენებულია 1902 წ.

გადაეხვია სტუმარს, შემდეგ გამოვიდა გარეთ და ცოლს უთხრა: „ჩემი სტუმარი ქუნთ-ჰაჯია“. ბეიდაზა ფანჯრიდან ხელმოკრედ მიესალმა სტუმარს, საუზმე გაამზადა, დაუდგა წინ და გამოვიდა გარეთ. სადამოს დაწყებული ელდუყისა და ქუნთ-ჰაჯის საუბარი გათენებამდე გაგრძელებულა. ელდუყმა ქუნთ-ჰაჯის ურჩია გამოცხადებულიყო, „ერთი კაცის გულისთვის სოფელს ნუ ამოაწყვეტინებო“. ბოლოს, როგორც იქნა, ქუნთ-ჰაჯი დაეთანხმა და გათენებისას ორივე ცხენებით გაუდგა გზას სოფ. შალისკენ. მათრახებზე გადახვეული თეთრი ხელსახოცებით შევიდნენ სოფელში. შესვლისთანავე რუსის მოხელეებმა შეაჩერეს მოსულნი, გამოკითხეს ვინაობა და მიიყენეს უფროსთან. ქუნთ-ჰაჯის უთქვამს: „მე ვარ

ქუნთ–პაჯი, რა გნებაეთ ჩემგანო“. თუმანოვს მოუწვევია რამდენიმე უფროსი თაობის მამაკაცი და დაუდგენია, რომ მოსული ნამდვილად ქუნთ–პაჯია. ელდუყს საზეი მისცეს და გაუშვეს: „შენ თავისუფალი ხარ, შეგიძლია წახვიდეო“. ელდუყ გამოსულა გარეთ და შორიახლოს გაჩერებულა. ამ დროს ქუნთა რამდენიმე მიურიდთან ერთად ჩაუსვამთ ფურგონში და გზას გახდგომიან. ეს ამბავი სწრაფად მოედო მთელ სოფელს. დიდი თუ პატარა გამოსულა შეიხის დასახსნელად. რუს მოხელეებს უფროსის განკარგულებით მადლა ჰაერში უსვრიათ. მიურიდებს უფიქრიათ, „ნახეთ, ჩვენ არ მოგვხვდა მათი ნასროლი ტყვია. დღევანდელი დღე ტყვიის მოხვედრის დღე არ არისო“ და გააგრძელეს გზა. გაფრთხილების მიზნით მეორედ კიდევ ისროლეს. მიურიდებმა არ დაიშალეს და ფურგონს უკან გაჰყვნენ. მესამედ უკვე ხალხს დაუშინეს ტყვია. სროლის ხმაზე სოფ. ბერაიკელიდან მოსულ ხალხს თავისი თვალთ უნახავს დახოცილების გვაშები, რომელთა ამოცნობას რამდენიმე დღე დასჭირდა [2: 15–18].

ქუნთ–პაჯი გადასახლეს ქ. უსტიუნჟში (ნოვოროდის გუბერნია), სადაც იგი რამდენიმე წლის შემდეგ გარდაიცვალა. ამ გადმოცემის სინამდვილეს ადასტურებს ნ. სმირნოვის მონაცემები: 1864 წელს ქუნთ–პაჯისა და რამდენიმე მიურიდის დაპატიმრების გამო მეფის რუსეთის შეიარაღებულ ამაღლის (გენერალ თუმანოვის ხელმძღვანელობით) და ქუნთ–პაჯის მიმდევრებს შორის სოფ. შალთან მომხდარ შეტაკებაში უამრავი ხალხი დახოცეს, მათ შორის ქალებიც [21: 159]. ამ უბედურების შემდეგ ჩენეთ–ინგუშეთში აიკრძალა სექტის შეკრებები, მაგრამ ქუნთ–პაჯის დარჩენილმა მიმდევრებმა ჩუმად განაგრძეს მისი სახელობის სექტის რელიგიური რიტუალის შესრულება. ამ სექტიდან წარმოიქმნა მთელი რიგი ქვესექტები და ყოველ მათგანს სათავეში ჩაუდგა ის პირი, რომელმაც თავისი „სიწმინდითა“ და „ენერგიით“ შეძლო სექტის წევრების ნდობის დასახსურება. სექტანტების მთავარ წმინდა ადგილად იქცა ქუნთას დედის – ხეუდის საფლავი (ვედენოს რაი. სოფ. ერთი–ქოართ), სადაც ამ სექტის წევრები წელიწადში ერთხელ მიდიოდნენ თავისი მოძღვრის პატივსაცემად [22: 91].

მრავალმერტიანობა, სალოცავი ნიშნების, სვეტების აგების ტრადიცია დასტურდება დაღესტანში და აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში [23:], რაც იმის მაჩვენებელია, რომ კავკასიის ხალხებს ერთობლივი რწმენა–წარმოდგენები უნდა ჰქონოდათ. მაგალითად, შატილის ანატორის ჯვარს მელხიელები და მაისტეიელები თავიანთ წმინდა ადგილად მიიჩნევენ.

ნ. ხიზანიშვილი აღნიშნავდა: „ქისტები ესლანდ ცოცხლობენ ხევესურების ხატებს; ზოგ ადგილას მაგ., სოფ. შატილში ისინი ხატის მოსამსახურედაც – ხელოსნად ითვლებიან“ [24: 67]. თ. ოჩიაურის მონაცემებითაც, „შატილელ მლოცავზე აღრე ქისტების საკლავი უნდა დაკლულიყო ანატორის ჯვარში“ [25: 74]. შესაძლებელია ეს ჯვარი თავდაპირველად ქისტების საკუთრებაც იყო, რადგან დაღესასწაულში პირველად მათი საკლავი იკვლებოდა. აღსანიშნავია ისიც, რომ ხევესურები (ხახმატის მაცხოვრებლები) სვეტის წინააღმდეგ სალოცავად მაისტის ხატში მიდიოდნენ. ქისტები – თუშეთის ხატს და ა.შ.

კავკასიის მთიელი ხალხის რელიგიური ერთობლივი სალოცავების თუ დაღესასწაულების შესახებ აღ. რობაქიძე წერდა: „ზოგიერთი კავკასიელი მთიელების ერთობლივი მონაწილეობა საერთო დაღესასწაულებში, განურჩევლად

მათი სხვადასხვა წარმოშობისა, რელიგიისა და ენისა, წარმოადგენს უნიკალურ საერთო გადმონაშთს, რომელიც თავისი ძირით უძველეს ხანაში გადადის [26: 6]. შემდგომ ქრისტიანობა თავისი იდეოლოგიისათვის დამახასიათებელი ზოგი ელემენტი შეიტანა ადრეულ რწმენა-წარმოდგენებში, ამით ძველი და ახალი შეერთა ერთმანეთს და ეს რწმენა-წარმოდგენები ამ სახით განაგრძობენ არსებობას.

უნდა შევნიშნოთ, რომ კავკასიაში წარმართულ-ქრისტიანული რწმენის მატარებელ (სხვადასხვა ეროვნების) ხალხში არსებული ტრადიციული რიტუალები იმდენად ერთობლივია, რომ ძნელია მათი ერთმანეთისაგან გამოიჯვანა. მაგ., ღმერთისადმი მიმართვა, დღესასწაულებზე სპეციალური პურებისა და კვერების გამოცხობა ზედ ჯვრების გამოსახვით, წმინდა ადგილებზე სანთლის დანთება, ხეებზე ფერადი ნაჭრების დაკიდება, პირუტყვის შეწირვა, შესაწირავის დატოვება, კვერცხების შეღებვა და სხვ. მრ.

ჩვენეთ-ინგუშეთის ტერიტორიაზე არსებული მრავალრიცხოვანი ღმერთები და სალოცავი წმინდა ადგილები საქართველოში გადმოსახლებულ ქისტებს სისხლხორცეულად სწამდათ. სწორედ ამ რწმენით მოვიდნენ ისინი საქართველოში და უმტკივნეულოდ გაითავისეს აქაური „წმინდა ადგილები“, რომელთა თავყვანისცემა ახლანდელ დროშიც წარუშლელია. მაგალითად, მთიანი ჩვენეთიდან (მაისტი) სისხლ-მესისხლეობის გამო, ვინმე დაადა თავისი ოჯახით წამოსულა ფშავეში და დაბინავებულა სოფ. უდილაურთას (თიანეთის რ.). აქ ცხოვრების პერიოდში დაადა გარდაცვლიდა და დარჩენილა მისი მუდღე - დეში სამი ვაჟიშვილით - თაწო, ომანა და დანიშათი. ბუდის ამარა დარჩენილ ქვრივს თავისი შვილები კოპალას ხატისთვის მიუბარებია. ხატში გარევის დროს ბავშვებისათვის თმები შეუჭრიათ და იქვე ხატის გვერდით იფნის ხის ფულუროში ჩაუდვიათ (მოხრობლის გადმოცემით, ეს თმები უკანასკნელ დრომდე იქ ინახებოდა. დანიშას შვილთა შვილს თამარა დანიშაშვილს თავის თვალთ უნახავს თავისი წინაპრის თმები). იმ დღიდან დაადას ჩამომავლობამ კოპალას ხატში დაიწყო სალოცავად სიარული. როცა თაწო, ომანი და დანიშა წამოზრდილან სოფ. უძილაურთიდან ჩაბანოში წამოსულან და ტყის ძირში დაბინავებულან, რის უძილაურთიდან ამ ადგილსაც დანიშანები უწოდეს. აქ დამკვიდრების შემდეგ დანიშა წასულა მითხოში, წამოუღია ერთი დიდი ქვა, შეულოცია სამი ცხვრის სისხლით (სამი ძმის სახელზე) და ახლად მშენებარე სალოცავი იარდას კედლებში ჩაუტანებია. შემდგომ ეს სალოცავი დანგრეულა, მაგრამ მის ადგილზე თამარ დანიშაშვილს თავად აუგია იმავე სახელწოდების ნიში, სადაც ჩვენს დროშიც სალოცავად დადიან თიანეთისა და დუშეთის რაიონში მცხოვრები, უკვე გაქართველებული ქისტები. დანიშაშვილები სალოცავად ჯერ კოპალაში დადიოდნენ, შემდეგ კი იარდასში. ფშაველებიც ამ წმინდა ადგილს იარდას უწოდებენ.

მოხრობელის გადმოცემით, ადრე კოპალაში სალოცავად მისულები კურატებს ცოცხლად სწირავდნენ. ამ შეწირული პირიტყვის მომვლენები დანიშაშვილები (ქისტები) და ჩორხაულები (ხევსურები) ყოფილან. ყოველწლიურად დღეობაში თითო კურატი იკვლებოდა. როდის რომელი კურატი უნდა დაკლულიყო, ამას ადგენდა ბერიკაცია, ანუ ხატის მსახური. ბოლო ხანებში სალოცავ კოპალაში და იარდაში ხატის მსახურად (მკურთხავად) თამარ დანიშაშვილი ყოფილა. იგი 80 წლის ასაკში გარდაიცვალა 15 წლის უკან. ჩვენს დროში იარდაში სალოცავად

პანკისის ხეობის სოფელ ომალოში და ბირკიანში მცხოვრები დანიშაშვილები, გუნაშაშვილები, ფარეულიძეები და სხვ. დადიან. ქართულ მოსახლეობაში დამკვიდრებული ქისტები ქართველთა მსგავსად ქრისტიანულ რელიგიას მისდევენ. ქისტებში შემორჩენილია გადმოცემა, რომლის მიხედვით თითქოს ერთ მოხუცებულ ინგუშ კაცს (სახელად ეგიშ) უთქვამს: „ჩვენ ქრისტიანები ვიყავით, ღორებს ჩვეულებრივად ვინახავდით და ეჭამდით კიდევ. როცა მოღები შემოგვესიენ ჩვენს ოჯახში 8-9 ბარკალი ღორის შაშხი გვეკიდა. მამანემი ეხვეწა ამ ხორცის შეჭბა მაინც დაგვაცადეთ. რჯული გამოგვიცვალეს, მაგრამ ჩვენ ჩვენი არ დავიშალეთ, ის ღორის ხორცი სულ ჩუმად, მალვით შევჭამეთ“ [27: 46].

პანკისის ხეობაში ქისტების პირველი ნაკლი (სხვადასხვა დროს) წინა რუმენით (წარმართულ-ქრისტიანული) მოვიდა, ამდენად მათ არ გაჭირვებიათ აქაური წმინდა ადგილების ათვისება. მოსახლეობაში ერთი რელიგიისადმი განსაკუთრებული მიდრეკილება არ შეინიშნებოდა – თუმცა გამოკვეთილად იგრძნობოდა სამივე რელიგიის (წარმართობის, ქრისტიანობის, მაჰმადიანობის) სინკრეტიზმი—თანარსებობა, თანაც ქისტებს ხეობაში დახვდათ (სოფ. ბირკიანში) უფრო ადრე დასახლებული თუშები – მართლმადიდებლები. მათ დასახლებიდანვე იწამეს სოფლის გარშემო მდებარე ყველა წმინდა ადგილი: ყორის წმინდა-გიორგის, ელბას, კობლას, სამუბის და სხვ. სალოცავები. ყორის წმინდა-გიორგის სალოცავი აღწერილი აქვს ღ. ხუციშვილს. იგი აღნიშნავს, რომ აქ მლოცველი წმინდა გიორგის თავყანის საცემად მიდიოდა წელიწადის ყველა დროს, სწირავდნენ საკლავს, სთხოვდნენ ავადმყოფის მორჩენას. ავტორს გაკეთებული აქვს ამ სალოცავის ის ანაზომები და მოხაზულობები, რა სახითაც არის იგი შემორჩენილი დღემდე [28: 60-61]. გვიან მოსული ქისტები მაჰმადიანები იყვნენ, მაგრამ მათმა ნაწილმა პანკისში დასახლების შემდეგ ქრისტიანული სარწმუნოება მიიღო – განსაკუთრებით ჯოყოლოს და ომალოს მაცხოვრებლებმა. მათი საკმაოდ დიდი ნაწილი (ხანდაზმულების გარდა) მაჰმადიანური რელიგიისათვის მიუღებელ წესებს ასრულებდნენ. მაგ., ღორის ხორცის ჭამა, სასმელის სმა, ქრისტიანულ სალოცავებზე საკლავის შეწირვა, ბავშვებისთვის ქრისტიანული სახელების დარქმევა, ქრისტიანზე გათხოვება, უცხო ქალის მოყვანა და სხვ.

საარქივო მონაცემების მიხედვით, 1866 წელს სოფ. ჯოყოლოში მართლმადიდებლობა მიიღო 149 ადამიანი. მონათელის შემდეგ ბუღაკა ბორჩაშვილს სახელად დაერქვა გიორგი, მის ცოლს სათუხას-თამარი, მათ ვაჟიშვილებს ნეედირას-ივანე, ხაქეს-ხარტიონი, ბეჟვის-ბესარიონი, გოგონებს – გულბანს-ელენე, უვერგის-მარიამი და ა.შ. ოჯახის უფროსის სახელს ემატებოდა დაბოლოება „შვილი“ და ამ გზით იქმნებოდა მონათულთა ქართული გვარები [29: 8].

ახალმონათულებს არ უარყვიათ თავდაპირველი წარმართული შეხედულებები და ჩვენს დრომდე ძველი სალოცავების (წმ. გიორგი, მაისტალა, თუშოლი, ღვთისმშობელი, სამება და სხვ.) თავყანისმცემლები იყვნენ. ჯოყოლოს და ომალოს მოსახლეობის დიდი ნაწილი 1960 წლამდე მართლმადიდებლები იყვნენ. სოფ. ჯოყოლოს სასაფლაოზე მარხია ქაიხოსრო გუმბაშვილი, რომელიც გარდაცვლილია 1895 წელს, მისი საფლავის ქვაზე შემდეგი ეპიგრამაა: „ამა ღოდსა ქვეშ მდებარე ვარ ქაიხოსრო ასანიძე გუმბაშვილი. გარდავიცვალე 1895 წელს ღვინობის თვის 12-ს, მხილველნო შენდობა მაღირსეთ“. საფლავის ქვაზე

გამოსახულია ქრისტიანული ჯვარი, ხოლო ბ. ბორჩაშვილის (გარდაიცვალა 1883 წ.) საფლავის თავთან ამოშენებულია, მცირე ზომის, ოდნავი მიწის დატანებით სიპი ქვებით ყორდანისებური ყრილი, რაც მანვენებელია იმისა, რომ სოფ. ჯოყოლოში მიცვალებულებს წარმართულ-ქრისტიანული წესით მარხავდნენ.

სოფ. დუისი პანკისის ხეობაში პირველი დასახლებაა. ისინი სხვადასხვა დროს გადმოსახლდნენ თიანეთისა და თელავის მაზრების სოფლებიდან (ჩაბანო, ნაფარული, ხორბალო და სხვ.), ამდენად, მათ ქრისტიანობა უკვე მიღებული ექნებოდათ, რადგან 1900-იან წლებში დუისის მოსახლეობის გარკვეული ნაწილი ქრისტიანები იყვნენ, ხოლო გვიან მთიდან ჩამოსახლებულებს - უკვე მაჰმადიანობა ჰქონდათ მიღებული.

გახეთ „ცნობის ფურცელში“ გამოქვეყნებული მონაცემების მიხედვით, „პანკისის ქისტები იყოფიან ორ ჯგუფად. პირველი ჯგუფის ერთი ნაწილი (105 კომლი 771 სული) მართლმადიდებელი ქისტები არიან, რომლებიც თავის თავს ქართველებად აღიარებენ და მართლაც ლაპარაკით და ზნე-ჩვეულებებით სრულიად არ განირჩევიან ქართველებისაგან, ხოლო ნაწილი (200 კომლი) ეკუთვნის მაჰმადიან-ქართველ ქისტებს. აქეთ სკოლა და ეკლესია, სადაც სწავლება და ღვთისმსახურება წარმოებს ქართულად, მეორე ნაწილი მაჰმადიანი ქისტებია, რომელთაც ჰყავთ თავიანთი მოლა და აქეთ მეჩეთი“ [30: 1].

მართლმადიდებელ ქისტებს ორი ეკლესია და სკოლა აქვთ. სკოლა დაარსდა სოფ. ჯოყოლოში 1892 წელს ძველ შენობაში, ხოლო 1900 წლიდან იგი მოთავსებული იქნა ახალ შენობაში. სკოლის გამგედ და საღმთო რჯულის მასწავლებლად დაინიშნა მღვდელი მ. აღბუთაშვილი (ქისტი). სკოლაში სწავლობდა 42 ბავშვი (40 ვაჟი და ორი ქალი - 16 ქართველი და 26 ქისტი). აქედან 36 იყო მართლმადიდებელი, ხოლო 9 მაჰმადიანი [30:].

სოფ. ჯოყოლოს ღვთისმშობლის ეკლესია, რომელიც მდებარეობს სოფლის ცენტრში, აშენდა 1888 წელს. ამავე წლის გაზ. „ივერიაში“ ვკითხულობთ: „გამაჰმადიანებული პანკისის ხეობა (თიანეთის მაზრა) კვლავ შეუერთდა თავის თანამოქმე კახელებს და მიიღო ქრისტეს სარწმუნოება. კავკასიაში ქრისტიანობის აღმდგენელ საზოგადოებამ პირველი დაწყებითი სკოლაც გაუმართა პანკისელებს. დღემდე ეს ხეობა მოკლებული იყო ეკლესიას. ყოველივე სამღვთო წესი სრულდებოდა ჩვეულებრივ სახლში და არა ეკლესიაში. ამგვარი ყოფა სარწმუნოებას მკვიდრ ნიადაგს ვერ მისცემდა... დღეს კი შევკვიძლიან სიამოვნებით აღვნიშნოთ, რომ ეს ხეობა ედირსა ეკლესიას. ბ-მა მაზრის უფროსმა თ. დ. ჯანდიერიშვილმა და ბლადოჩინმა დეკანოზმა მ. ი. მრეველიშვილმა როგორც იყო დააგვირგვინეს ეს საქმე და ამათვის 18-ს ყოვლად სამღვდელო აღავერდის ეპისკოპოსმა მცირე სიტყვით მიმართა ხალხს და აუხსნა ეკლესიის მნიშვნელობა. კურთხევას კიდევ ბევრი ხალხი დაესწრებოდა, მაგრამ ზამთარმა და უგზობობა-უტრანსპორტობამ ბევრს ხელი შეუშალა კურთხევაზე დასწრებაში“ [31: 2].

მ. აღბუთაშვილი მოგვითხრობს: „არც მაჰმადიანებისაგან სრულდებოდა თავიანთი რჯული წესიერად და არც ქრისტიანებისაგან ქრისტიანული რჯული. ძველად, ახლად ქრისტეს რჯულზედ მონათლულნი და მაჰმადიანები ახლო-ახლოს ბინადრობდნენ, ზოგ შემთხვევაში ერთ ოჯახშიც კი ცხოვრობდნენ, ამიტომ ვერც ერთმა სარწმუნოებამ მათში მტკიცედ ვერ მოიკიდა ფეხი. მღვდელს

მოღებთან, მიურიდებთან უხდებოდა ხშირად კამათი და მოღები კი თავის მხრივ მღვდელს ეკამათებოდნენ [32: 3], თუმცა ამით პრობლემები არ იქმნებოდა, მაგრამ როცა 1898 წელს დუისელი მაჰმადიანების ერთმა ჯგუფმა თვითნებურად დაიწყო მეჩეთის მშენებლობა, მის წინააღმდეგ წავიდა ამავე სოფლის ქრისტიანი მოსახლეობა. ამის შესახებ მათ ქეთარაშვილის ხელმძღვანელობით აცნობეს თიანეთის მაზრის უფროსს თავად ჩოლოყაშვილს; მან კატეგორიულად აკრძალა



სურ. 42. ღეთისმშობლის ეკლესია „სალადარ“, სოფ. ჯოყოლო, აშენებულია 1888 წ.

მშენებლობა. ამის შესახებ დ. პავლიაშვილი წერს: „მთავრობა დიდხანს ნებას არ აძლევდა მეჩეთის აგებას იმ მოსაზრებით, რომ მართლმადიდებელი ქისტები არ გადაებირათ თავიანთ რჯულზე“ [30]. მაჰმადიანი მქადაგებლები მეჩეთის აშენების ნებართვის მიღების გზებს ეძებდნენ. ბოლოს მათ თხოვნით მიმართეს სოფ. ბელეჩანაში მცხოვრებ მოლას – აბდულ ბაკანოღლის. იგი დუისის წარმომადგენლებთან ერთად ჩამოვიდა თბილისში და კავკასიის მუფტის მეშვეობით მეჩეთის მშენებლობის უფლება მიიღო. მეჩეთი აშენდა ცალკეული მორწმუნე პირების ინიციატივით 1902 წელს. იგი მდებარეობს სოფ. დუისის ცენტრში [22: 87]. ორ რელიგიად (ქრისტიანული, მაჰმადიანური) დაყოფილი ქისტების რწმუნა-წარმოდგენებში დიდი ადგილი მაინც ძველ ხატ-სალოცავეებს ეთმობოდა. ისე, რომ სხვა რწმუნას არ უპირისპირდებოდნენ. ეკლესიაც და მეჩეთიც თავ-თავის მოვალეობას ასრულებდა. ჯოყოლოს და ომალოს მცხოვრებნი თავისი ნება-სურვილით მიდიოდნენ ეკლესიაში ბავშვების მოსანათლად, ახლად დაქორწინებულები ჯვარის დასაწერად. მათთან ერთდ მონაწილეობას იღებდა დუისელების ერთი ნაწილიც, რაზეც მეტყველებს ჯოყოლოს ღეთისმშობლის ეკლესიის 1879 წლის ჩანაწერებში დაცული გვარები: მარგოშვილები, ქეთარაშვილები, ალდამაშვილები,

ნაციონალიზმი, გაურგაშვილები, დანიშნულები, აღსაზრები, ომარაშვილები, დაქიშვილები, მახაშვილები, ბორჩაშვილები, ბადაცაშვილები და სხვ. საინტერესოა სოფ. ჯოყოლოს მკვიდრის 97 წლის, აწ გარდაცვლილი მოხუცის ხაწი ბორჩაშვილის მონათხრობი: „ერთხელ მღვდელი მათე ალბუთაშვილი ჩვენს ეკლესიაში წირვას ატარებდა, რომელსაც ესწრებოდა ხალხი სოფ. ჯოყოლოდან, დუისიდან, ბირკიანიდან და ომალოდან. ქრისტიანული წესის თანახმად, ეკლესიაში შესვლის დროს ყველა მლოცველი ქუელს მოიხდიდა და სამჯერ პირჯვარს გადაისახავდა. დუისელმა საი ქეთარაშვილმა ეს წესი არ შეასრულა განგებ თუ არ ცოდნის გამო. გაბრაზებულმა მღვდელმა იგი გააგლო ეკლესიიდან და მისი დაპატიმრების შესახებ უნდა ეცნობებინა პოლიციისთვის. სანამ მათე ამას შეატყობინებდა, დუისისა და ჯოყოლოს თავადაცების თხოვნით მან საის ეს საქციელი აპატიო და ამის შემდეგ ჩვენს ეკლესიაში დიდი წესრიგი დამყარდა“ [33].

ანალოგიური ხასიათისაა 85 წლის ასაკში არშაკა ხოლგაშვილისგან ფიქსირებული მონაცემები: „ჩვენი მოსახლეობა ჯოყოლოში დასახლების დროდანვე ქრისტიანული ეკლესიის თავიანთსმცემები იყვნენ. ახლად დაქორწინებულნი ეკლესიაში ჯვარს იწერდნენ. პირადად მე ამ ეკლესიაში დავიწევე ჯვარი“- მიუთითებს ჯოყოლოს ეკლესიაზე. ფაქტია, რომ ჯოყოლოს და ომალოს მაცხოვრებლები ქრისტიანული რწმენის მიმდევრები იყვნენ. ინახავდნენ ღორებს, ზოგიერთ ოჯახს ღორის ფერმაც ჰყავდა გასული საუკუნის 40-იან წლებშიც კი. ქრისტიანული რელიგიის პარალელურად, პანკისში, კერძოდ, სოფ. დუისში სისტემატიური ხასიათით მიეცა მაჰმადიანობის გავრცელება. ქისტებს, რომ საკუთარი დამწერლობა არა ჰქონდათ, ამით ისარგებლა ყარაჯალიდან ჩამოსულმა მოლამ და სცადა დუისში არაბული ენის სწავლების შემოღება. მან თავის სოფლიდან ამოიყვანა ბავშვები, რომ მათი შეხედვით მიეზიდა ადგილობრივი ბავშვები, მაგრამ ქისტებს თავიანთი შვილები არაბული ენის სასწავლებლად არ გაუშვიათ.

(XX საუკ. დასაწყისში, ქისტების სოფლებში თანდათანობით მომრავლდნენ მაჰმადიანი რჯულის მოციქულები, რომლებსაც მხარს უჭერდნენ ადგილობრივი მორწმუნე პირებიც. ამ ხეობაში მაჰმადიანური იდეოლოგიის პირველი მქადაგებელი იყვნენ ძმები: გებიშა, ახიგა და ნინგი ხანგოშვილები.)

დუისში ცხოვრების პერიოდში, უფროსი ძმა გებიშა ქალაქ მექაში წავიდა. რამდენიმე ხნის შემდეგ, მექადან პანკისში დაბრუნებულმა გებიშამ ენერგიულად მოიკიდა ხელი მაჰმადიანობის გავრცელებას. ამ რელიგიის გამტკიცების მიზნით იმავე ხანგოშვილებმა ჩენეთიდან ჩამოიყვანეს არაბულად განსწავლული ვინმე ვათა, რომელიც სულ მალე გარდაიცვალა. მის შემდეგ ჩამოვიდა მოლა ყურბანა, შერთეს ქისტი ქალი და სამუდამოდ დატოვეს სოფ. დუისში. მათი შთამომავლობა ჩვენს დროში ხანგოშვილის გვარს ატარებს. პანკისში მაჰმადიანური რელიგიის განტკიცების მიზნით 1905 წელს ჩენეთიდან ჩამოვიდა მოლა თავსოლოთა, რომელმაც დამყო საში წელი, ხოლო 1909 წელს აზერბაიჯანიდან ვინმე მქადაგებელი ის-ეყენდი, რომელიც ქადაგებდა ნაყშბანდის მოძღვრებას და აქ საფუძველი ჩაუყარა ამ სექტას. იგი გარდაიცვალა 1920 წელს სოფ. დუისში და დაკრძალეს ლაგოდეხის რაიონის სოფ. კაბალაში.

სოფ. დუისში მაჰმადიანთა რიცხვი დღითიდღე იზრდებოდა, მაგრამ ახლად შექმნილ სექტაში ერთიანდებოდნენ მხოლოდ ხანშიშესულები. ნაყშბანდის სექტის

გარდა სოფ. დუისში ინგუშეთიდან დაბრუნებულმა მაჩიგ მაჩალიკაშვილმა 1927 წელს დაარსა ქუნთ-ჰაჯის სექტა. 1928 წელს დიშნი-ვენოდან ჩამოსულმა ჩეჩენმა ოდიმ შექმნა თავისი სახელობის სექტა. ოდის წასვლის შემდეგ ამ ჯგუფს ხელმძღვანელობდა მოლა ქერიმ დუიშვილი. სექტის წევრები თავს იყრიდნენ იმ ოთახში, სადაც სტუმრად მყოფი ოდი ცხოვრობდა. ისინი რელიგიური რიტუალის მსვლელობისას ძიქარს (გალობა) დოდის თანხლებით ასრულებდნენ. აღნიშნული სექტა სულ მალე დაიშალა. 1909 წელს ჩამოყალიბებული ნაყშბანდის სექტა დღესაც მოქმედებს. ამ სექტის წევრები დაარსების დღიდანვე პარასკეობით გროვდებოდნენ იმ ოთახში, სადაც ის-ეფენდი ცხოვრობდა გარდაცვალებამდე. ქალები დღის პირველ ნახევარში, ხოლო მამაკაცები საღამოს საათებში. ქუნთ-ჰაჯის სექტის წევრები ქალები და მამაკაცები ცალკე-ცალკე ერთ-ერთი მონაწილის ბინაში ასრულებდნენ რელიგიურ რიტუალს. მათ თავიდან არ ჰქონდათ სპეციალური თავშესაფარი ადგილი. 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციამ რელიგიას გამოაცალა საფუძველი. როგორც სხვაგან, ისე პანკისშიც დაიხურა რელიგიური უჯრედები. სოფ. დუისის მეჩეთი გამოიყენეს კოლმეურნეობის საწყობად, სადაც ინახავდნენ სათესლე ხორბალს. მეჩეთთან ერთად დაიხურა ჯოყოლოს ღვთისმშობლის ეკლესიაც, მაგრამ წმინდა ადგილების (წმ. გიორგის, წმ. ნიკოლოზის, ყურის წმ. გიორგის, კოპალას, დიდ ბატონის, კვირაცხოველის და სხვ.) თავყანისცემა მათთვის ჩვეულებრივ მოვლენად იქცა.

ჯოყოლოში, ომალოში, ბირკიანსა და შუახალაწანში ბოლო დრომდე არც ერთი სექტა არ მოქმედებდა. მსურველები მიდიოდნენ დუისში და მონაწილეობას იღებდნენ რომელიმე სექტის რიტუალებში. დანარჩენი მორწმუნეები კმაყოფილდებოდნენ დღის განმავლობაში ღოცვის ხუთჯერ შესრულებით. მორწმუნისთვის შარიათით დადგენილი ნორმებია ერთადერთ ღმერთად აღაპის და მის წინასწარმეტყველად მუჰამედის აღიარება, დღეში ხუთჯერ ღოცვის შესრულება (ნ ა ა მ ა ხ), წელიწადში ერთთვიანი მარხვის შენახვა, წლიური შემოსავლიდან მეთედის გაცემა ობოლი ბავშვების სამწყალობლად (ზ ა ქ ა თ) და შეძლებისდაგვარად მექაში გამგზავრება.

როგორც აღინიშნა, პანკისის ხეობაში ქუნთ-ჰაჯის მოძღვრების გამავრცელებელი იყო მაჩიგ მაჩალიკაშვილი. მან რევოლუციის შემდგომ პერიოდში დიდი როლი შეასრულა აღნიშნული სექტის სოფ. დუისში გავრცელებაში. იმის გამო, რომ ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ დაიხურა დუისის მეჩეთი, სექტის წევრებმა გარკვეული დრო თავი მიანებეს შეკრებებს და კმაყოფილდებოდნენ შარიათით დადგენილი ნორმების შესრულებით. ანალოგიური მდგომარეობა იყო ნაყშბანდის სექტაშიც.

1957 წელს ჩეჩნეთ-ინგუშეთის რესპუბლიკის აღდგენის შემდეგ ქისტებმა ურთიერთობა დაამყარეს ჩეჩენ-ინგუშებთან და ახალგაზრდების ერთი ნაწილი სამუშაოდ თუ სასწავლებლად იქ მიდიოდა. ზოგიერთი საცხოვრებლადაც იქ დარჩა. გაეცნენ იქაურ რელიგიურ თუ სოციალურ მდგომარეობას. 1969 წელს სექტის მოთავეებმა მეჩეთი შეაკეთეს და იქ განაგრძობენ ქუნთ-ჰაჯის სექტის რიტუალის შესრულებას. განახლდა აკრეთვე, ნაყშბანდის სექტაც, სადაც ამ სექტის მიმდევართა რიცხვიც გაზრდილია.

ერთ-ერთი მთხრობელი (სოფ. ომალო) აღნიშნავს: „ჩვენ ერთ დროს წარმართები ვიყავით, შემდეგ ქრისტიანები და ბოლოს ხეობის ქისტები მაჰმადიანები გახდით. სადაც მეტი დაძალება იყო, ალბათ იქით წავედით. ჩვენი სოფლის მცხოვრებნი გარკვეული დრო თუშებთან ნაცხოვარი ხალხია და რწმენაც იქაური გექონდა. ხატ-სალოცავების, ეკლესიების თაყვანისმცემლები ვიყავით. მართალია, ამჟამად მაჰმადიანები ვართ, მაგრამ ჩვენ არ გვჭულს ქრისტეს რწმენა. ისინი ძმები არიან. რაც მთავარია ღმერთი – ალაჰი ხომ ერთია. ჩვენი მამა-პაპები კავკასიაში მიღებული სამივე რწმენის მოზიარენი იყვნენ. ჩვენც, ქისტები ამ გზით მივდივართ. ადრე სხვა რელიგია ვიწამეთ ეხლა სხვა, რომელიც ქისტების რწმენაში, ვფიქრობ, უკანასკნელი უნდა იყოს. ისევ ვიმეორებ – ღმერთი ერთია! ამ რწმენით ქრისტიანი თავისებურად იღოცება და მე ჩემებურად. რა გვაქვს სადაო და გასაყოფი – არაფერი! ორივე რწმენა ხალხის კეთილდღეობას უნდა ემსახურებოდეს. ადამიანი როცა მორწმუნეა და წმინდანი, ის ხალხის მიმართ კეთილია, დაჩაგრული ენანება, შეძლებისდაგვარად ეხმარება გაჭირვებულს. დასაკლავად ცხოველი და ფრინველიც კი ენანება. ურწმუნო ადამიანი ადამიანებისაგან იზოლირებული უნდა იყოს. ის მხოლოდ სიბოროტის ჩადენაზე ფიქრობს. მე როცა ლოცვას (ნაამაზ) ვასრულებ, სულიერად ვისვენებ. ცხოვრების იმედი მეძლევა, სიკვდილისა არ მეშინია, ვცდილობ გაჭირვებულს დავეხმარო, ჩემი ალალი შრომით ვიცხოვრო, სხვისი არ მიეითვისო, რაც მთავარია, საზოგადოებაში რომ ალალი ჰქონდეს არ შემომხედავენ ჩემს ცხოვრებაში ესეც მაკმაყოფილებს. დღეს თუ მშვიერი ვიქნები, კეთილი ადამიანი მომაწვდის, თუ არა და ღმერთის ნებაა“ – აღნიშნავს მთხრობელი [33: რე. 2].

მუჰამედის მიმდევართა რიცხვი პანკისში დღითიდღე იზრდებოდა. სოფელი დუისი გახდა ხეობაში ამ რწმენის მიმდევართა თავშესაყარი ადგილი. 1950 წლიდან უფრო ინტენსიური გახდა ხეობის თავში მცხოვრები ქისტების გაერთიანება ერთი სარწმუნოების ქვეშ. ეს განაპირობა ქისტების სოციალურ ყოფაში არსებული ადათობრივმა ტრადიციებმა და სამართლის ნორმებმა, რომელიც ჩვენს დრომდე მოქმედებაშია.

როგორც ითქვა, ქუნთ-ჰაჯი კავკასიელი იყო, კერძოდ ჩეჩენი. მის სექტას ჩეჩენთ-ინგუშეთსა და პანკისში მეტი მიმდევარი ჰყავს, ვიდრე ნაყშბანდის სექტას. მთხრობელი (სოფ. დუისი) აღნიშნავს: „ჩვენი ხალხი დაიღალა ამ სარწმუნოების გამოცვლით. განა რწმენა დაკარგული ხალხი ვართ, ვის როგორ აწყოფს, ისე ახალ-ახალი რწმენა მოგვახვიონ თავს. ჩვენმა წინაპრებმა მიიღეს მუჰამედის რწმენა და დაგვიტოვეს შემდგომ თაობებს, რომ ვირწმუნოთ და არ ავცდეთ ცხოვრების გზას. სისხლით შენარჩუნებული ქუნთ-ჰაჯის სექტას მისი მიმდევრები არაბების დოლარებში არ გასცვლიან. მათი ხელშეწყობით მოკლე დროში აშენდა ოთხი მქეთი. ამჟამად მიდის მოლაპარაკება ქუნთ-ჰაჯის, ნაყშბანდის მიმდევრებსა და ვაჰაბიზმის მოთავეებს შორის. მათ სურთ, როგორმე მოტყუებით გამოიყვანონ ადგილობრივი მოსახლეობა ძველ მენედიდან და შეუერთონ ვაჰაბისტებს. ქისტების დიდი ნაწილი წინააღმდეგია ამისა. ვინც მსურველი იყო, მან რწმენაც დოლარად აქცია და ხეობის მოზარდი თაობაც მოურჩენლად მოწამლა“ [33: რე. 1].

ადგილობრივი სადად მოაზროვნე ადამიანები, იმდენად შეწუხდნენ ამ მოვლენებით, რომ თავის უკმაყოფილებას არ მალავენ ქართველების მიმართაც, რადგან „ყველა რჯულის ადამიანს უფლება მისცეს იფარფაშონ პანკისში“.

ჯოყოლოელი მთხრობელი (65 წლის ასაკში) აღნიშნავს, რომ „ჩენების თავზე დატრიალებული უბედურების მონაწილენი (საწყალი ხალხის გამოკლებით) თვითონ ჩენებიც არიან, რომლებიც წამოგნენ სპეციალურად დაგებულ ანკესზე და ხალხი დაღუპეს. მათ თავზე უბედურება ისევ ტრიალებს, მაგრამ ჩენი პანკისელები იღუპებიან ომის გარეშე, თვით ქისტების წარმომადგენლების მიერ მოპატივებული არაბების თავაშეებულობით სხვის მიწაზე. პანკისის ქისტებს არ სჭირდება არაბული კულტურა. თუ ვინმე ხელებს ითბობს ამით, არ უნდა ეპატიოს. ნულამდეა დაყვანილი ბავშვების სწავლა-აღზრდის საკითხი. მთავარი ყურადღება გადატანილია არაბული ენისა და ლოცვების სწავლებაზე. რაც 70 წლის განმავლობაში შევიძინეთ ჭკვა, გონება, აზრი გვეცვლება ხელიდან. სადღესოდ ჩენი ხეობა არაბეთის პროვინციას წააგავს. მშველელი კი არავინ არის [33: რგ. 1].

მთხრობელების აზრით იღუპება პანკისის ხეობა. ქისტებს არ ეყოლებათ მომავალი ჯანსაღი თაობები. თვალწინ მიდგას პანკისის მომავალი – საკუთარი თვალთ ნანახი თუ მთხრობელების მიერ დახატული – აყვავებს დამსგავსებული ქალები. წვერმოშვებული, ქალის პერანგში (კაბებში) გამოწყობილი მამაკაცები, ერთნირად ჩაცმული მოზარდი გოგო-ბიჭები, პირველყოფილი ადამიანების დონეზე დასული თვითშეგნება; ნარკოტიკებით დაავადებული მოზარდები, ახალგაზრდები, უარყოფილი სწავლა-აღზრდის საკითხი – აი ეს არის ჩვენდასაუბედუროდ პანკისელების ხვერი. დღეს სტუმრად მყოფი, თავზარდაცემული ჩენები მუდმივად პანკისში არ განერდებიან. მათი მოთხოვნილება ხეობის პირობების ჩარჩოებში არ ჩაეტევა (მთხრობელის სიტყვები). აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას (თუმცა კი დაგვიანებით), რომ რწმენა, რომელიც ქისტებმა მამა-პაპადან მიიღეს, არ უნდა მოშალოს არავითარმა ზეწოლამ. სადი აზროვნება არ უნდა შეეწიროს სოციალური თუ ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას. ხალხს უნდა შერჩეს უნარი, გაარჩიონ მართალი და მტყუანი, არ უნდა აცდნენ სწორ გზას. განა შეიძლება რელიგიის შეცვლა, სხვა რწმენის მიღება „ბიზნესის“ ინტერესებს ემორჩილებოდეს?

ყოველივე ეს საქართველოში მიმდინარე მძიმე სოციალ-ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა სიტუაციამ განაპირობა, რაზეც მიუთითებს „პანკისის ხეობის ყენოყენის“ შექმნა მსოფლიო გეოპოლიტიკაში.

§ 2. ხ ა ლ ხ უ რ ი კ ა ლ ე ნ დ ა რ ი

ქისტებს, ჩეჩენ-ინგუშების ანალოგიურად, ჰქონდათ დროის განმსაზღვრელი (ფენოლოგიური) კალენდარული სისტემა (თბილი და ცივი დრო), ასევე მთვარისა და მზის (იულიუსის) კალენდარი, რომელსაც აქვს კვირის, თვისა და წლის დრო. წელიწადის დროის ცოდნას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქისტების ყოფაში, რადგან ისინი ძველთაგანვე მისდევდნენ მიწათმოქმედებას და მესაქონლეობას. მათ შრომითი საქმიანობის პრაქტიკაში გამოიმუშავეს საკუთარი კალენდარი, რომელშიც ზოგი რამ თვითმყოფადია და ზოგიც მეზობელი მთიელებისგან ნასესხები. მსოფლიოს სხვა ხალხების მსგავსად, ქისტების ყოფაშიც ყველაზე ძველია წელიწადის დაყოფა დროების მიხედვით. მაგ., ა ნ ა ნ ძ ა ა მ ა ზამთრის დრო (ე ა - ზამთარი, ძ ა ა მ ა - დრო) და თბილი ზაფხულის დრო - ე ხ ქ ა ნ ძ ა ა მ ა (ე ხ ქ ე - ზაფხული). ზამთრის დრო ქისტებში ოჯახური საქმიანობის - დართვის, ქსოვის, კერვის, ნაბდებისა და ქულების თელვის, მსხვილფეხა საქონლის და ფრინველის მოვლის პერიოდად ითვლებოდა, ხოლო ზაფხული საველე და ოჯახის გარე სამუშაოების შესრულების დროდ. შემდგომ, როცა სოფლის მეურნეობა უფრო ინტენსიური გახდა, ვეინახებს წელი ოთხ ნაწილად დაუყვიათ, როგორც მათ მეზობლებს ე ა - ზამთარი, ბ ე ე ს თ ი ე - გაზაფხული, ე ხ ქ ი ე - ზაფხული და გ უ რ ი ე - შემოდგომა. ოთხივე სახელწოდება ვეინახური წარმოშობისაა. ტერმინი ბ ე ე ს თ ა დაკავშირებულია მცენარე ბ ა ს თ ა ს თ ა ნ, რომელიც ამოდის ზამთრის მიწურვის ქაშს, მთის მზიან ფერდობზე. ქართველები მას შხამას უწოდებენ. ამ მცენარეს აქვს 15-20 ფოთოლი, ერთი მეტრი სიმაღლისაა და მას უკვე გამხმარს, ჭამს ცხვარი და თხა [34: რე. 3. 8].

სახელწოდებას გურიე მოხრობელი აკავშირებს სიტყვა დ უ ა რ ა ს თ ა ნ, რაც ნიშნავს ვინვას, გაყინულს. არსებული მონაცემების მიხედვით, ზამთრისა და ზაფხულის კალენდარში დიდ როლს თამაშობდა დროის ერთ-ერთი მონაკვეთი ჩ ი ლ დ ა. ეს პერიოდი ხასიათდება ზამთარში მაქსიმალურად დაბალი ტემპერატურით, ხოლო ზაფხულში მაღალი ტემპერატურით. ჩილდა დგება ზამთრის ან ზაფხულის მზის ნაბუნობიდან ოცდახუთი დღის შემდეგ, დაახლოებით 15 იანვარსა და 15 ივლისს და გრძელდებოდა 40 დღეს. ტერმინი ჩ ი ლ დ ა (ჩ ე კ ე ლ) ცხარსული სიტყვაა და ნიშნავს ორმოცს. ზამთარსა და გაზაფხულს შორის სპარსულად ხასიათდება მკაცრი სიცივით, რომელსაც ბ ა რ დ ა ლ ა ვ უ ხ ს უწოდებენ. აღნიშნული ტერმინი არაბულად ნიშნავს მოხუცის დღეს [34: 5].

ქისტები დროის გამოთვლისას მთვარესაც - ბ უ თ თ - იყენებდნენ. შესაძლებელია, სწორედ ამ მთვარის კალენდრიდან იყოს მიღებული წელიწადის თვეების სახელწოდება - ბ უ თ თ.

XIX საუკუნიდან ჩვენს დრომდე, ქისტები თვეებს უწოდებენ იულიუსის და ქართული ხალხური კალენდრის მიხედვით, ოღონდ სახელს უმატებენ თვის აღმნიშვნელ ტერმინს ბუთთს - იანვარ-ბუთთ, აპრილ-ბუთთ, მაის-ბუთთ, თიბათ-ბუთთ, მკათათ-ბუთთ, მერიემ-ბუთთ, ენკენ-ბუთთ, ღვინობ-ბუთთ, გიორგობ-ბუთთ და ქრიშობ-ბუთთ.

ჩენებისა და ინგუშების მსგავსად წარსულში ქისტებსაც ჰქონდათ თვების საკუთარი თვითმყოფადი სახელწოდებები, რომელთა უმრავლესობა გამოხატავდა სასოფლო-სამეურნეო შრომით საქმიანობას. მაგ., „ჯა ლამდ დუელხ ბუთო“ – ცხვრის მთაში გარეკვის თვე (მაისის დასაწყისი). ჩენები ამ თვეს „ჯა ლამწუ ლოხქუ-ბუთოს“ უწოდებენ. „დაახნი ლოომ დუელხ-ბუთო“ საქონლის მთაში გარეკვის თვე (ივნისი). „მანგალ-ბუთო“ – თიბვის თვე (ივლისი-აგვისტო), ამ თვეს „ეთინგ-ბუთოს“ საქონლის თვეს ან ლეწვის თვესაც უწოდებდნენ; „ერხ-ბუთო“ – ცხვრის ნერბვის თვეა და ა. შ. ქისტებში შემორჩენილია თვეების ძველი წარმართული სახელწოდებებიც. მაგ., „თუშოლი-ბუთო“ (მარტი) – ღვთაება თუშოლის თვე, „სიელი-ბუთო“ – ღვთაება სიელის თვე (ჭექა-ქუხილის ღვთაება 22 აპრილი, 22 მაისი), „მიატსელი-ბუთო“ – ღვთაება მიატსელის თვე (22 ივნისი, 22 ივლისი) და სხვ.

აღნიშნული სახელწოდებები ქისტებმა დაივიწყეს საქართველოში გადმოსახლების შემდეგ. ახსოვს მხოლოდ იმ მთხრობელს, ვისაც სოფლის მეურნეობასთან მუდმივი კავშირი ჰქონდა.

სხვა ხალხების ანალოგიურად ქისტებს კვირა შვიდ დღედ აქვთ დაყოფილი. მათი ნაწილი ნაწარმოება ქართული სახელწოდებებისაგან, რაც დაკავშირებულია ქისტებში ქრისტიანობის გავრცელებასა (IX–XII სს.) და იმ ურთიერთობებთან, რომელიც არსებობდა უძველეს დროიდანვე ქართველებსა და ქისტებს შორის. მაგ., ც ჰ ა კ ი რ ნ ი შ ნ ა ვ ს ერთ კვირას, კ ი რ ა ნ დ ი – კვირა დღე, უ ა რ ნ უ ა თ – ორშაბათი, პ ე რ ა ს კ – პარასკევი, შ ო ლ თ – შაბათი. რაც შეეხება დანარჩენ დღეებს – შ ი ნ ა რ – სამშაბათი, ჰ ა ა რ – ოთხშაბათი, დ ი ა რ – ხუთშაბათი ნიშნავს კვირის შემდეგ მერვე, მესამე და მეოთხე დღეს.

ივ. ჯავახიშვილის მონაცემებით, შაბათის სისტემის შვიდეულის დღის სახელები ქართულში გაბატონებული ყოფილა IV–V საუკუნეებში [35: 110]. კვირის დღეებს ქართულიდან შესულად მიიჩნევს თ. გონიაშვილიც [36: 620]. ქისტები დღე-ღამეს დ ე ბ უ ს ს უწოდებენ. იგი დაყოფილია ხუთ ნაწილად: ს ა თ ო ს უ შ – გათენების, უ რ ი ე – დილა, დ ი ე ლ ყ ი ე – შუადღე, ს უ რ ი ე – საღამო, ბ უ უ ს – ღამე, დ ი – დღე განსაზღვრულია აგრეთვე საჭმლის მიღების დროც: მ ა რ თ – საუზმე, მ ო ა ს თ – სადილი, ფ ჰ ე რ – ვახშამი. უ ყ ი შ ს მითრთმევენენ მარხვის თვეში შუაღამეს, დაახლოებით 4 საათზე. ე. ი. მუსლიმანური რელიგიის მიხედვით, მარხვის თვეში ჭამენ საღამოს 6–7 საათზე, როცა ვარსკვლავი გამოჩნდება, ხოლო ღამე 4 საათზე, სანამ გათენდება. ჭამენ ყველა სახის საჭმელს – ხორციდან დაწყებული ნებისმიერი სადილის ჩათვლით.

ქისტები მკითხაობდნენ მზეზე, მთვარეზე და ზამთრის პერიოდზე. თუ მზე ცაზე ძალიან მაღლა მოქვენებოდათ, იტყოდნენ – წლევენდელი წელი მოსავლიანი იქნებაო, ხოლო თუ დაბლა იქნებოდა დაწეული – უმოსავლო.

ქისტების ხალხურ დღესასწაულებს წმინდა რელიგიური ხასიათი არ ჰქონდა. მათი უმრავლესობა დაკავშირებული იყო მეურნეობასთან და საყოფაცხოვრებო კალენდართან. ზოგიერთ დღესასწაულს თან სდევდა წმინდა სანახაობითი შინაარსის გამოხატველი ხალხური სპორტის სახეობანი (დოდი, ჭიდაობა).

ადრე ქისტების უმთავრესი დღესასწაული იყო ახალი წელი, რომლისთვისაც წინასწარ ემზადებოდნენ – აცხობდნენ სპეციალურ პურებს, გულიან ქაღებს (გასუფთავებულ კერაში). ამ დღისათვის გამომცხვარ პურს თავისებური ფორმაც ჰქონდა, რომელზედაც გამოსახული იყო სხვადასხვა ფიგურები.

ოჯახის ყველა წევრს ამ ტრადიციული პურის თავისი წილი უნდა ექამა. ოჯახის წევრების, გათხოვილი ქალების, სტუმრების სახელზე აცხობდნენ აგრეთვე სხვა სახის პატარა პურებსაც, რომელშიც გულად დებდნენ დაკეპილ ხორცს, ყველს, ერბო-ქუმელს. თითოეულ ამ პურზე დადებდნენ აბაზიანს, ხორბლის მარცვალს, შალის ძაფს და მკითხაობდნენ, თუ ვინ იქნებოდა მდიდარი ახალ წელს.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ახალი წლის დამეს, ოჯახის ყველა წევრის გარდა საჭმელი უხვად უნდა ჰქონოდა საქონელს, ფრინველს, ძაღლს, კატას, თავგებსაც კი სპეციალურად უდებდნენ ხორცისა და პურის ნაჭრებს, იქ, სადაც თავგები ეგულეობდათ.

ახალი წლის პირველ დღეს ყველა ოჯახი ნაირნაირი საჭმლით ხვდებოდა იმის მოლოდინით, რომ მთელი წელი უზრუნველყოფილი იქნებოდა ეკონომიკური თვალსაზრისით. ახალი წლის დღესასწაული სამი დღე გრძელდებოდა და მკითხაობით ატარებდნენ დროს – როგორი იქნება ახალ წელს მოსავალი, ოჯახური მდგომარეობა და სხვ. საინტერესოა ისიც, რომ ახალი წლის დამეს ახალგაზრდები თხის, ცხვრის, ნიღბებით ტყავებგადაცმულები, ხელში ჯოხებით, ყვირილით დადიოდნენ სოფლებში ავი სულელების გასარეკად. ახალ წელს ქისტები წ ე ნ – შ ო ს ა ნ ქ ე რ ლ – შ ო ს უწოდებენ. ამ დღეს ოჯახის წევრები დიდი და პატარა, დაბანილი, სუფთა ტანისამოსში გამოწყობილი ხვდებოდნენ. განსაკუთრებული სისუფთავე სუფევდა საქონლის სადგომებში, საქათმეში და მთელ ეზო-კარში ყველგან, რაც თვალში მოსახვედრი იყო. ქისტებში ზამთრის ციკლის ხალხურ დღესასწაულს ეკუთვნის ნ ი ჯ უ ა ი, ო ო დ უ ა ი და ს ი ნ ი ი. აღნიშნული დღესასწაულები ჩვენთ-ინგუშეთში არ დასტურდება. შესაძლებელია მათ დაივიწყეს ან არ ჰქონდათ და ქისტებმა ეს დღესასწაულები ქართველებისაგან გადაიღეს, თუმცა სახელწოდებები კი ადგილობრივია. 1903 წლის №27 გაზ. „ივერიაში“ გამოქვეყნებული წერილის მიხედვით, ქისტების დღესასწაულები ნ ი ჯ უ ა ქართულ ახალ წელს ემთხვევა, ს ი ნ ი ი – წყალთკურთხევას და ო ო დ უ ა კი აღებას. ნიჯუას ყოველი წლის გიორგობისთვის (ნოემბრის) დამღვეს, შაბათ დღეს აღნიშნავდნენ. ამ დღისთვის დიდი მზადება არ იცოდნენ, როგორც სააღდგომოდ, მხოლოდ ოჯახში ახლად გამომცხვარი პური უნდა ჰქონოდათ, წინა დღესვე მოამარაგებდნენ სასმელს, კლადნენ ცხვარს, მოხარშავდნენ ხინკალს და საღამოს ოჯახი სტუმრის გარეშე ვაჭმობდა. დილით დიასახლისი მოახვევდა ხინკალს, გაამზადებდა სხვა კერძებსაც და დაპატივებდა ნათესავებს თუ ნაცნობებს. დასაპატივებლად მისული უსიტყვოდ შეადებდა ოჯახის კარებს; თუ კარი დაკეტილი დახვდებოდა, არ დაუძახებდა, დაკაკუნებდა, შევიდოდა სახლში და მიულოცავდა: „დაე, თქვენი ცხოვრება იყოს ბედნიერი, მხიარული, კარგი ყოფა, ცხოვრება ნუ მოგიშალთ ღმერთმა და სხვ. ამის შემდეგ დასხდებოდნენ საჭმელად. სიამ-ჭამა მანამ გრძელდებოდა, სანამ დასალევი ეგულეობდათ სახლში“ [37:2]. ხუთი კვირის შემდეგ იმართებოდა მეორე დღესასწაული ოოდუა. ამ დღისთვის წინასწარ ასუქებდნენ ხარს, ძროხას ან ცხვარს, როგორც კახელმა გლეხკაცობამ

იცის საკლავის დაქოსმანება საადებოდ. ორი კვირის შემდეგ, ისევ შაბათ დღეს ეწყობოდა მესამე დღეობა ს ი ნ ი ი. საკლავს მხოლოდ ახალი მიცვალებულის პატრონი კლავდა. ერთი დღით ადრე დიდ ქვაბში ჩაყრიდნენ სიმინდს, ლობიოს და ხორბალს (ერთმანეთში არეულს), ხარშავდნენ შაბათ დღიამდე. გათეობისას, ყველა ოჯახიდან ქალები სპილენძის თუნგებით მდ. ალაზანზე ან წისკვილის წყალზე (3 ე ე რ-ხ ი) მიდიოდნენ, წყლით აავსებდნენ თუნგებს, მდინარის ნაპირიდან მოშორებით მიწაზე დადგამდნენ და მის გარშემო დანით წრეს შემოხაზავდნენ მიცვალებულების ხსენებით – ეს მავანსა და მავანს მიუვიდესო, შემდეგ დაღვრიდნენ წყალს. ასე გაიმეორებენ იმდენჯერ, რამდენი მიცვალებულიც ჰყავდათ მოსახსენებელი. მერე წყლით გაავსებული თუნგებით ბრუნდებოდნენ სახლში. თითოეული მათგანი თავის ოჯახში გადმოდგამდა ქვაბს, სამჯერ გარსშემოტარებდა რკინეულს, მოიხსენებდა იმავე მიცვალებულებს, მერე ზემოდან ზაშლილი ხელით სამჯერ ჯვარს გადასახავდა და შეექცეოდნენ [37]: აღნიშნულ დღეობებს ჩვენს დროშიც იხდიან. მეზობლებმა მოხარული სიმინდის ერთმანეთისთვის მიწოდებაც იცოდნენ. ვინც ახალი მიცვალებულის პატრონი იყო, უსათუოდ საკლავს დაკლავდა და მეზობლებს დააპტიებდა. ამ დღეობას მართავდნენ როგორც მაჰმადიანი, ისე ქრისტიანი ქისტები. ს ი ნ ი ი ს წინა დამეს ახალგაზრდა ქალები [34: 5] გაიყოლებდნენ ერთ ნათესავ ბიჭს და გადიოდნენ სოფლის გარეთ (თან არ უნდა ჰქონოდათ მახვილი დანა, ხანჯალი), ავიდოდნენ მაღალ ხეზე ან შეინობაზე (საიდრად კარგად ჩანდა მთელი სოფელი) და იქიდან მკითხაობდნენ სოფლის აგბებზე. თუ რომელიმე სახლიდან შემის ჭრის, ტირილის, კარების მოჯახუნების ხმაურს მოისმენდნენ, იტყოდნენ, უსათუოდ იმ ოჯახში წლამდე ვინმე გარდაიცვლებაო; თუ გაიგონებდნენ სიცილ-ხარხარს, სიმღერას ან საკვამლე მილიდან ცეცხლის ამოვარდნილ ნაპერწკალს შეამჩნევდნენ, ქალი გათხოვდებაო და ა. შ. ზოგიერთი (სოფლის ახალგაზრდობა) სასაფლაოზეც მიდიოდა, თითქოს, იქ ეშმაკები საუბრობენ და ლხინს მართავენო [32: 4].

მაჰმადიანური დღესასწაულებიდან ქისტები ზემოთ მარხვის დამთავრების დღეს – მ ა ა რ ხ დ ა ს თ ა რ ს და დ უ რ მ ა ნ დ ე ს. ამ უკანასკნელ დღესასწაულზე მსხვერპლს სწირავდნენ ოჯახის ერთი წევრის სახელზე. უბნის შვიდი ოჯახი ყიდულობდა ერთ ძროხას ან ხარს. ყველა, სათითაოდ, ვის სახელზეც იკვლებოდა საკლავი, საკლავს ზურგზე გადაუსვამდა ხელს და შემდეგ დაიკვებოდა. ხორცს შვიდ წილად ჰყოფდნენ, ნაწილს ობლებს გაუგზავნიდნენ. ამ ხორცის დამარილება და შენახვა არ შეიძლებოდა.

ქისტები მარხვას მ ა ა რ ხ, წელიწადში ერთ თვეს ინახავდნენ და ინახავენ. როგორც ვთქვით, ყველა სახის საჭმელს მიირთმევდნენ. სამაგიეროდ, მთელი დღე მშვირები იყვნენ. როგორც ითქვა, დღე-ღამეში ჭამდნენ ორჯერ: საღამოს 6-7 საათზე, როცა ცაზე ვარსკვლავი გამოჩნდებოდა და გამთენიისას, ოთხ საათზე. მთელი დღის განმავლობაში არც წყალს სვამდნენ და არც თამბაქოს-თ შო მ ა ქ მოსწევდნენ. ამ წესს იცავენ ჩვენს დროშიც.

მ. აბულთაშვილი აღნიშნავს: „ბუღაკა ბორჩაშვილი იტყოდა ხოლმე, აღების მერე ვიცოდით ერთი თვე მარხვა. ჩიტი რომ მოგვეკლა, იმასაც ვერ შევსჭამდით და მაღლა შევიკედებდით“ [32:]. როგორც ჩანს, ჯოყოლოლები ქრისტიანების კვალობაზე, მარხვის თვეში ხორცს არ ჭამდნენ. მარხვის დამთავრებისთვის

ამზადდებდნენ ყველა სახის სატყეულს. ვისაც ახალი გარდაცვლილი ჰყავდა, ის საკლავსაც დაკლავდა და რელიგიურ რიტუალს მთავრად შეასრულებდა (ეს უკანასკნელი მხოლოდ მაჰმადიანის ოჯახში). ამ დღეს ქალები თითო სინი ტბილეულით გადიოდნენ სასაფლაოზე. თითოეული მათგანი თავისი მიცვალებულის საფლავს მონახულებდა, ტბილეულს იქ მყოფ ბავშვებს გაუნაწილებდა და ცარიელი სინებით ყველა ბრუნდებოდა ოჯახებში. ამ დღეს სოფლის განაპირას ეწყობოდა დოდი, ჭიდაობა და ხალხმრავალი ზეიმი.

ქისტებისთვის დიდ დღეობად ითვლებოდა აღავერდობა – ეკლურ დი, უსანათობა – უსანთ და წმ. გიორგობა, რომელსაც თეთრ-გიორგობას უწოდებდნენ. ამ დღეობებში ქისტები სალოცავადაც და ქულების გასასყიდადაც დადიოდნენ. მოხრობელის გადმოცემით, ამ დღეობებში აღმოსავლეთ საქართველოს მთა-ბარიდან თავს იყრიდა უამრავი მლოცველი და გასართობად მოსული ახლგაზრდობა (განსაკუთრებით აღავერდობას, ჩამოდიოდნენ თუშ-ვამაკ-ხევსურეთიდან, ქართლ-კახეთიდან და ა. შ.). აქ იყიდებოდა ქისტების ქუდები და კარგი შემოსავალიც ჰქონიათ. ამ დღეობებში ხალხი ღამისთევით მიდიოდა. არა ერთ ქისტს წინასწარ დათქმით თავის ავადმყოფი ჰყვლიდა სალოცავად წაყვანილი თეთრ-გიორგში, აღავერდსა და ლაშარში, რაც უკანასკნელ დრომდე ჩვეულებრივი მოვლენა იყო.

როგორც ზემოთ ითქვა, ქისტებმა დიდი მზადება იცოდნენ აღდგომის დღეს, ხოლო მეორე დღეს ყველა გადიოდა თავ-თავის სოფლის ძველ სალოცავ ნიშებთან სასმელ-საჭმლით და დღის ბოლოს ბრუნდებოდნენ სახლებში. ამასთან დაკავშირებით მ. ალბუთაშვილი წერს: „ქისტები... აღდგომის დღეობის მეორე თუ მესამე დღეს, თავ-თავის სოფლებში ძველ ნაშენ ნაეკლესიარ ადგილას შეიძირიათ თავს. ზოგჯერ სასოფლოდ ნაყიდ ცხვრებს დაჰსოცენ და ზოგჯერ უძიხორიდაც ყველა კომლი და მოსახლე წაიდებს თავის წილად საზღალს: პურს, არაყს, ხორცსა, ქათამსა, ქადასა და სხვა ამისთანებს, ზოგი მამალსაც წაიყვანს, საკლავს – ცხვარს, ხბოს აკლევინებენ მღვდელს, დაამწყალობინებენ საკლავებსა, დიაკვანს დაატრევიანებენ ქალებს, დასხდებიან სჭამენ პურს და საღამოზედ შინ წამოვლენ. თუ სოფელში ვინმე მგლოვიარე არ არის ქალები... დაუკრავენ მუხიკას და ითამაშებენ“ [32: 1].

აღსანიშნავია ისიც, რომ გაზაფხულის დღესასწაულებიდან ყველაზე უფრო მიღებული ყოფილა თუშო დის დღეობა, რომელიც შემორჩენილია ინგუშეთში და პანკისის სოფ. ომალოში. იგი ცენტრალურ კავკასიაში გავრცელებული ღვთაებაა და ინგუშ პროფ. დოშლაყო მალსაგოვს საქართველოდან შესულად მიაჩნდა [38: 139].

ქისტურ დღესასწაულებში არსებობს დოდი, რომელიც შესწავლილი არ არის, თუ მხედველობაში არ მივიღებთ „ქისტი ჩობანის“ სახელით გამოქვეყნებულ მ. ალბუთაშვილის წერილს, სადაც თვითმხილველის მიერ აღწერილია ქისტური დოდი. ამდენად საჭიროდ ჩავთვალეთ ზოგი ეთნოგრაფიული მასალისა და აღნიშნული წერილის გამოყენებით აღწეროთ ქისტური დოდი, რომელიც პანკისში დავიწყებას ეძლევა. დოდი დაკავშირებული იყო დიდ ხარჯებთან. მასში მონაწილეობა უნდა მიეღოთ მთელი ხეობის მაცხოვრებლებს და სტუმრებს. სასმელ-საჭმელი მზადდებოდა უხვად, რომ შორიდან მოსული სტუმარი მშვიერი

არ დაბრუნებულიყო. დოღს მართავდნენ გარდაცვლილი ვაჟაკობითა და აღამიანობით განთქმული ახალგაზრდა მამაკაცის სახელზე, რომელსაც ცხოვრებაში ცხენიღ უყვარდა და მის გარეშე ცხოვრებაც წარმოუდგენლად მიანდა. ასეთები პანკისს არა ერთი ჰყავდა.

დოღს ქისტები, როგორც ითქვა, ყველა მიცვალებულის სახელზე არ მართავდნენ. უხდიდნენ მხოლოდ გამოჩენილებს. „დასაფლავებისთანავე ჭირისუფალი საფლავზე ჩაასობდა აღამის იმის ნიშნად, რომ მომავალ შემოდგომას ოჯახი მიცვალებულს დოღს გადაუხდიდა. ამ დღიდან ოჯახი შეუდგებოდა სამზადისს. თუ პირუტყვი არ ჰყავდა, იყიდდა 30–40 სულ ცხვარს და 7–10 თავ ძროხას ან ხარს. საკლავს მიუჩენდნენ ცალკე მწყემსს, რომელიც დროის მოახლოვებამდე გაასუქებდა პირუტყვს. შემდეგ შეუდგებოდნენ 15–16 ქვაბი არყის გამოხდას. ამ საქმეში ესმარებოდნენ მეზობელ-ნათესავეები, რომლებიც გამოხდილ სასმელს მიუტანდნენ ოჯახს. ერთი კვირით ადრე შეუდგებოდნენ პურის გამოცხობას. იხარჯებოდა 20–30 ტომარა ფქვილი. პურის გამოცხობაში მეზობელ-ნათესავეები და სხვა გარეშე ქალებიც ესმარებოდნენ. მედღის მითითებით, ერთი კვირით ადრე პატრონები ცხენებს დააბამდნენ და მუხლის გასამაგრებლად, აჭმევდნენ ბლომად თივა-ქერს. ყოველ დილა-საღამოს აბანავებდნენ მდინარეში და ავარჯიშებდნენ ჯირითში“.

დოღს წინა საღამოს გროვებოდნენ მეზობლები, ნათესავეები (მოსუცე-ბული მამაკაცები), თანასოფელი ხელმარჯვე რჩეული ბიჭები და შეუდგებოდნენ საკლავის დაკლა-გამზადებას. ეზოში დასახოცად შემორეკილ საკლავს რომელიმე მოხუცი ჩამოუვლიდა, ყველას დაამწყალობებდა. შემდეგ გაიყვანდა საკლავს განზე, ყელის გამოჭრამდე კიდევ დაილოცებოდა. ყელგამოჭრილი საქონელი სისხლისგან დაცილებოდა თუ არა, გატყავებდას შეუდგებოდნენ. ცეცხლს აანთებდნენ, წყალს მოიტანდნენ, შემდეგ ასო-ასოდ დაჭრილ ხორცს ჩაყრიდნენ რამდენიმე დიდ საარაყე ქვაბში და იწყებდნენ ხორცის ხარშვას. მოხარშულს ამოიღებდნენ დაწნულ დასტებზე ან სპეციალურად მოწნულ გოდრებში. ახლა მეორე წყებას ჩაყრიდნენ და ა. შ. მეორე დღიამდე 40 სული ცხვარ-ძროხის ხორცი მოხარშული უნდა ყოფილიყო.

„მეორე დღით ადრე, მოპატივე ცხენით ჩამოივლიდა მთელი ხეობის სოფლებს და ყველას დაპატიუებდა, შინაურს თუ გარეულს. წინა დღეს კი კახეთის სოფლებიდან დაპატიუებდნენ ხალხს. დოღის გამართვის დღეს, დილიდანვე უარავდნენ დაფა-ზურნას. დაპატიუებული ხალხიც დენას იწყებდა და თავს იყრინდა თანამდე აღამიანი (კაცი თუ დედაკაცი) 11 ან 13 ცხენის ჯირითის სანახავად, რადგან შუა სოფელში ამდენი ხალხი არ დაეტეოდა და ვერც ჯირითის გამართავდნენ, ირჩევდნენ სოფლის განაპირა ტრიალ მინდორს, სადაც შეჯიბრში მონაწილე ცხენები უნდა მოსულიყვნენ, აქვე მწყრივად ჩაასობდნენ აღმებს, რომლებზეც ჩამოკიდებული იყო 3-ჩარქქის სივრძის ფერადი ფარჩის დანომრილი ნაჭრები: პირველი, მეორე და ა. შ. მასპინძლის სახლის ეზოში დაფენილ ფარდაგებზე დააწყობდნენ გარდაცვლილის ოთხ ხელ ტანსაცმელს: ჩოხა-ახალუხს, პერანგს, შარვალს, ქუდს, პატიჯებს, ჩუსტებს ან ქალამან-წინდას, სათამბაქო ქისას. ეს ყველაფერი ახალი უნდა ყოფილიყო. ფარდაგზე გამიღ ტანსაცმელთან დილითვე მწყრივად დადგებოდნენ უუნაგირო ცხენებზედ მსხლომი მხედრები, რომლებსაც

ქუდის მაგივრად თავი წაერული ჰქონდათ პატარა თავსახვევებით, ემოსათ შარდები და ფეხზე წინდები. ცხენებს რამდენიმე წერილ ნაწნავად დაწნულ ქორორსა და ფაფარში ჩაწნული ჰქონდათ ფერადი ბაწრები, ძუა რომ არ გაშლილიყო, თავიდან ბოლომდე დახვეული ჰქონდა ფერადი ბაწრები. ტანსაცმელთან ჩამწკრივებული ცხენების წინ სასმელი ხელში დაილოცებოდა მოხუცი კაცი, მიცვალებულს შენდობას ეტყოდა, ცხენებს დაასახელებდა, დაღვედა და ყველა მხედარსაც დააღვეინებდა. ტანსაცმელს გარშემოხვეული ქალები ტიროდნენ. კაცების ტირილი ქისტებში ყოველად შეუძლებელია“. მ. ალბუთაშვილის ცნობით, ამ დროს თუშურ „დალაის“ ამბობდნენ. შესაძლებელია თუშები, როგორც მეზობლები (ბირკიანის მაცხოვრებლები) ახლოს იყვნენ ქისტებთან, მათი ჭირვარამის მონაწილენიც და გარდაცვლილის პატივისცემას თუშური „დალაის“ თქმით გამოხატავდნენ. დალაიას ერთი დაიწყებს სამგლოვიარო კილოთი. „დალაია სთქვითა, მხედრებო“ – აქ ყველანი ერთს ხმაზე და მწყობრის ხმით გრძლად შემოსძახებენ: „დალაია, დალაიაო“. მთქმელი ანუ მოღექსე ცდილობს თავის ლექსში გამოსთქვას მიცვალებულის ვაჟკაცობა, რომ მოტირად დედაკაცებს გული აუწყოს და ტირილი მოჰგვაროს“ [37]. შემდეგ მხედრები მიცვალებულის საფლავზე წაელენ და იქაც იგივე მოხუცი კაცი ისეთივე ცერემონიას შეასრულებს. „სასაფლაოდან მხედრები წაელენ იმ მიმართულებით, საიდანაც უნდა გამოაჯიროთონ ცხენები. ამ დროს ცხენები ნელა, თამაშით მიჰყავთ. მათ უკან ერთი კაცი მიჰყვება საიყო საუხზე აკივებული ცხენით. გამოსაქცევი მიჯნა დაახლოებით 10 ვერსი იყო. აქ ჩამოქვეითდებოდნენ, ცხენებს გაატარ–გამოატარებდნენ, მერე ცოტას წაისაუზმებდნენ, შესანდობარს დაღვედნენ, შესხდებოდნენ ცხენებზე და დაღვებოდნენ მწყრივად; მერე მოხუცი კაცი კიდევ თითოს დააღვეინებდა, დალოცავდა ყველას, უსურვედა მშვიდობიან გზას, გამარჯვებას და გამოუშვებდა ცხენებს. მხედრები ცხენებს პირველად ნელა მიატყებდნენ, რამდენადაც უახლოვდებოდნენ აღმებს, იმდენად აანქარებდნენ და ბოლოს მათრახსაც გადაჰკრავდნენ. ოფლისგან სველი ცხენები (რომელი წინ და რომელი უკან) აღმებთან მიცვივებოდნენ. ჩამოქვეითებულ მხედრებს, თავის ალამს მისცემდნენ ხელში. ნათესავი გასათხოვარი ქალი თუ დაუქორწინებელი ვაჟი ცხენს მაშინვე ჩამოართმევდა, გადააფარებდა ზურგზე ფარდაგს და გაატარ–გამოატარებდნენ მხედრების უკან დაბრუნებამდე. აღმებთან დაფა–ზურნის ხმაზე ახალგაზრდა გოგო–ბიჭების თამაში იყო გახურებული. ამის შემდეგ ხალხი – დიდი თუ პატარა დაიძვებოდა მედლის სახლისკენ და დასხდებოდნენ პურის საჭმელად. თუ მასპინძლის ეზოში არ დაეტყოდა ხალხი, მეზობლების ეზოებში იშლებოდა სუფრა. სუფრაზე პური, ხორცი, სასმელი უხვად იყო ხლმე. მხედრები ცალკე სხდებოდნენ. მცირედი დანაყრების შემდეგ წამოიშლებოდნენ, მოასხდებოდნენ თავის ცხენებს და ვერსი, ვერსნახვერის მანძილიდან მეორედ გამოატყებდნენ და პირდაპირ მასპინძლის სახლთან გაუშვებდნენ ცხენებს. უკვე აღმების მაგიერ მხედრებს აღვედნენ ჩხებს, რომლებზეც ჩამოკიდებული იყო სხვადასხვა ხილი, სხვადასხვა ფერად შეღებილი კვერცხები, მწვადები და სხვ.“ [37].

სტუმრები რომ მორჩებოდნენ ჭამა-სმას, ახლა ზედამხედველები დასხდებოდნენ, შემდეგ უფრო შინაური ნათესავეები და ა. შ.

მ. აღბუთაშვილი აღნიშნავს: „ჯამაგირი ცამეტსავე ცხენს აქვს. პირველს-ძროხის ან ხარის ნახევარი ტყავი 3 მან. და 50 კაპ. მოგება, რომ დოღი მოიგო. მეორეს ასეთივე ჯამაგირი, მხოლოდ უმოგებოდ, მესამეს – ერთი დიდი სპილენძის ქვაბი 4 მან. ღირებულების, მეოთხეს – ერთი წყლის საზიდი სპილენძის თუნგი – 4 მან. და 50 კაპ. ღირებულების, მეხუთეს – ერთი ცხვარი და ა. შ. ბოლო ცხენს 5–7 აბაზამდე“ [37: 3-4].

ამით დოღი მთავრდებოდა. მამაკაცები მგლოვიარობის ნიშნად მოშვებულ წვერს მოიპარსავდნენ მეოთხე დღეს, ამავე დღეს შავებს იხდიდნენ ახლობელი ქალებიც. დოღის პატრონს კიდევ უხდებოდა საკლავის დაკვლა და ხალხის დაპატიჟება. ასეთი დოღი მასპინძელს უჯდებოდა 400–600 მან. [37:].


უნდა შევნიშნოთ, რომ აღწერილ დოღს მართავდა ქრისტიანი (ჯოყოლო, ომალო) მოსახლეობა. ამ დროს მოიხსენიება მაგარი სასმელი – არაყი, რომელიც მაჰმადიანი ქრისტიანების დოღში არ იხმევა. მათი ძირითადი სასმელი იყო ღუღი, რომელსაც ოჯახი ამ დროისათვის ბლომად ხდიდა. მეორეც, მაჰმადიან ქრისტებში დოღის დღეს მიცვალებულის გარეთ გამოტანილ ტანსაცმელთან რელიგიურ ძ ი ქ ა რ ს (გალობას) ასრულებდნენ სექტის წევრები.

ჩენები და ინგუშები დოღს აწყობდნენ მხოლოდ რომელიმე საზეიმო ვითარებასთან დაკავშირებით და უწოდებდნენ გ ა უ რ ა შ - ხ ა ხ ქ ა რ ს – ცხენების გაჭენებას, ხოლო ქრისტები დოღს ეძახიან და მეზობელი ქართველი მთიელების ანალოგიურად, იხდიან მიცვალებულის სულთან დაკავშირებით. ტერმინი დოღი ქართულია და იგი ქრისტებმა პანკისში გადმოსახლების შემდეგ მიიღეს, როგორც მიცვალებულის სულის სახსენებელი საზეიმო რიტუალი.

§ 3. მიცვალებულის კულტი

როგორც აღინიშნა, ქისტები თავდაპირველად, წარმართულ სარწმუნოებას მისდევდნენ და ამ რწმენის შესაბამისად ასაფლავებდნენ მიცვალებულებსაც. ამდენად, საჭიროდ მიგვაჩნია გადმოვცეთ ორიოდე სიტყვით ვეინახების წარმოდგენა მიცვალებულსა და საიქიოზე. ამის შესახებ გ. ვერტპოვი წერდა: „ჩენების რწმენით, მიცვალებულებს მიწის ქვეშ განაგებს ღმერთი – ეშტრ ან ეთერ. ნათესავები ერთად ცხოვრობენ, მუშაობენ დამე, როცა მზე ცოცხალთა სამყაროდან მიცვალებულებთან ჩადის. საიქიო მათი საცხოვრებელია და ამიტომ საფლავში ჩაატანდნენ ყველანაირ საოჯახო ნივთს: ჭურჭელს, აკეანს, დასაკრავ ინსტრუმენტს – დეჩიგ-ფონდურ და სხვ. [39: 111-112]. ქალებს თან ჩაატანდნენ სამკაულს, რაც მას სიცოცხლეში ეკუთვნოდა: ვერცხლის ქამარს, ბეჭტებს, საყურეებს, მძივებს, სავარცხელს და სხვ. ინგუშეთის სამარხებში აღმოჩენილ ანალოგიურ ნივთებს ე. კრუპნოვი ათარიღებს XIV-XVI საუკუნეებით [43: 94]. ჩენებს საინტერესო წესი ჰქონდათ – ახალგაზრდა გარდაცვლილი ბიჭის მშობელთან მივიდოდა იმავე წელს გარდაცვლილი გაუთხოვარი ქალიშვილის მშობელი და ეტყოდა: “შენს ბიჭს იმქვეყნად ცოლი უნდა, მე ვაძლევ მას ჩემი გოგოს ხელს“ [39: 113]. არსებული წესით ასეთ წინადადებაზე უარის თქმა არ შეიძლებოდა. ქალის მშობელი ითხოვდა ურვადის გადახდას ისე, როგორც ცოცხალ პატარძალზე, მხოლოდ ნაკლები ოდენობით. ვეინახებში აღნიშნული წესის არსებობას ადასტურებს საველე ეთნოგრაფიული მასალაც, რომლის მიხედვით გარდაცვლილი ბიჭის მამა მიდიოდა გარდაცვლილი ქალიშვილის მშობელთან. მთხრობების გადმოცემით, თუ მშობლები თავისი გარდაცვლილი ქალიშვილის ამა თუ იმ გარდაცვლილი ბიჭისთვის მითხოვების სურვილს შეატყობინებდნენ ვაჟის მშობლებს, ეს დიდ სირცხვილად ითვლებოდა. ბიჭის მშობლები თავად მიდიოდნენ ქალის სათხოვნელად მის მშობლებთან, თან როგორც ცოცხალისთვის ურვადის გადახდით [2: 25]. გარდაცვლილი ქალიშვილისთვის გადახდილი ურვადით დამზადებულ მზითვეში შედიოდა მამამთილისთვის განკუთვნილი ქვეშაგები (ლოჯინი), დედამთილისა და მულ-მაზლებისთვის – საპერანგე (შალის, ბამბის ან აბრეშუმის) ქსოვილი და თავშლები. მიცვალებულს კი საიქიოში ოჯახიდან ატანდნენ თიხის ჭურჭელს, ხის თევშებს, წყლისთვის თუნჯს, ნემსებს, ძაფებს, დანას, მაკრატელს, დასაკრავ ინსტრუმენტს – კერძოდ, სამსიმიან ჩონგურს და სხვ. ამ ძველი ტრადიციის გადმონაშთი უნდა იყოს დღეს ხალხში არსებული წესი, რომლის თანახმად მიცვალებულს ჩაატანენ თეთრ ხურდა ფულს, დანას, ერთ-ერთ პირად ნივთს და სხვ. „უწინ ვეინახები მიცვალებულს მარხავდნენ სამი ან ოთხი დღის შემდეგ. ამჟამად კი ასაფლავებენ გარდაცვალებისთანავე“ – აღნიშნავს ჩ. ახრეივი [40: 30]. ცხადია, ჩ. ახრეივის დროს ჩრდილოკავკასიის ვეინახებში უკვე ფეხს იკიდებდა ისლამი, თუმცა მისი საბოლოოდ გავრცელების შემდეგაც მათ ყოფაში არ დაინერგა მაჰმადიანური თეთრი სამოსი, რომელიც ქალებისთვის სამკლოვიარო ფერად ითვლებოდა. როგორი ახლობელიც უნდა ყოფლიყო გარდაცვლილი, ქალები ჩვეულებრივად იყვნენ ჩაცმულები. რელიგია თავისებურ გავლენას მაინც ახდენდა ადამიანთა ყოფაზე. წარმართობის დროს მიცვალებულს მარხავდნენ ყორღანული ტიპის სამარხებში, ხოლო ქრისტეს


რჯულის მიხედვით კი მუხის ხის 4 ფიცრისგან შეკრული, ადამიანის სხეულის სიგრძის ყუთით, რომელიც იცავდა ცხედარს მღრღნელებისაგან და იმ ქვეყნად ყველა მიცვალებულს ათანაბრებდა. ორივე ტიპის სამარხი გვხვდება პანკისის ქისტებშიც. რაც შეეხება შემდეგ შეთვისებული მაჰმადიანური წესისამებრ, მთაში მიცვალებულის გასვენების წესს, იგი ჩვენს დროშიც მოქმედებს. მიცვალებულის გასაბანებელი ტატიხი და გასასვენებელი კიბე ყველა სოფელს თავისი ჰქონდა და აქვს, რომელიც მეჩეთში ინახება (დუისის მაგალითი). დაკრძალვის ამ არქაული ფორმის კომპონენტის – მიცვალებულის გასასვენებელი კიბის, და საერთოდ მთელი ფორმის შეცვლა პანკისელმა ქისტებმა ჯერჯერობით ვერ მოახერხეს. ეს ფორმა უკვე მოქველდა, მაგრამ თავის დროზე მთურ ყოფაში იგი გამართლებული იყო. აღნიშნულიდან გამომდინარე, ქისტები მათი მესამე რელიგიის (მაჰმადიანობის) შესაბამისად აცილებენ ამ ქვეყნიდან მიმავალს. თუ გამოთენისას (4-5 საათზე) გარდაიცვლებოდა, მაშინ გაასვენებდნენ დღის 2 საათზე, არა უგვიანეს 3 საათამდე. ქისტებმა თავდაპირველად დიდი მზადება არ იცოდნენ, დაკლავდნენ საქონელს, ხორცს მოხარშავდნენ, გამოაცხობდნენ პურს (მეზობელ-ნათესავების დახმარებით) და მ ა რ თ - ქელეხიც მზად იყო.



სურ. 43. მიცვალებულის გასაბანებელი ტახტი-„ტეხქ“.

მ. აღბუთაშვილი აღნიშნავს: ქისტებში “მეორე დღესვე, დილით ადრე მიცვალებულის სახლში შეიკრიბებიან ნათესავები, მეზობლები (ამ დღეს სოფელში მუშაობა არ შეიძლება, თუ კი ათ წელს გადაცილებულია მიცვალებული) ოთხიოდე ამოთავანი ცულებით ტყეში წავა ფიცრების დასამზადებლად მუხის მორების მოსატრელად, რადგან მათ კუბო არ იციან, დანარჩენები 4-5 (ხან მეტიც) ბარ-ნიჩბებით და წერაქვით საფლავის გასატრელად წავლენ. ამდენი იმიტომ მიდიან, რომ რწმენა აქვთ “საფლავის გამჭრელს ღმერთი არ ჰშველის და კაცის ძალით უნდა ამოითხაროსო. ზოგნიც შინ დარჩებიან ცხვარ-ძროხის დასახოცად, რაც ბლომად იციან” [32: 8-9]. პურის გამოცხობასაც შეუდგებიან და დღის სამ საათამდე ქელეხიც – მ ა რ თ (სადილი) მომზადებული აქვთ. იკვებოდა რვა-ათი სული ცხვარი და ერთი-ორი ძროხა ან ხარი. ის ვინც საქონელს დაკლავდა, ღმერთს შეეხვეწებოდა: „ღმერთო, ესენი საიქიოს მიაგებე, იქ ამსახურე, ამეებით

ასაზრდოვე იმისი სული, ნულარას მოჰკითხავს ამისას და სხვას“ [32:9]. პირუტყვს დაკლავდნენ, გაატყავებდნენ, აჭრიდნენ ასო-ასო და დიდ ქვაბში ჩაყრიდნენ მოსახარშად. საფლავის გასაჭრელად წასული კაცებიდან სამ-ოთხ ბიჭს ტყიდან მუხის ფიცრები მოჰქონდა. საფლავს - ქ ა შ ს ამოთხრიდნენ ორი მეტრის სიღრმეზე და შეჭრიდნენ გვერდიდან. ქალის საფლავი მამაკაცის საფლავზე 10 სმ. უფრო ღრმად ითხრებოდა. მათი რწმენით, „ქალისა და მამაკაცის სული საიქიოში ერთმანეთს არ უნდა შეხვდეს. ცხოვრებაში ქალისაგან შეწუხებულმა მამაკაცმა სამარეში უნდა დაისვენოს და ქალთან მიმავალ ეშმაკს დაუღარაჯდეს და მუდმივი მფარველი იყოს მისი“. მესამე ჯგუფს ევალეობდა მიცვალებულის მხის ამოსვლამდე გაბანება (მამაკაცს - მამაკაცი, ქალს - ქალი) და სულარის-მ ე რ ჩ ჩაცმა. ამას აკეთებდა მორწმუნე პირი დამხმარესთან ერთად, რისთვისაც მათ ოჯახიდან კლდოვლათ საჩუქრად საპერანგე ქსოვილი, პირსაწმენდი, თავშალი ან ფული. ამ წესს იცავენ ჩვენს დროშიც.



სურ. 44. მიცვალებულის გასასვენებელი სარეცელი - „ლა ა მ ი“.

მიცვალებული ქალის სამოსში შედის: „მადლიანი პერანგი“ - მ ე ე ლ ქ უ ო ჩ, შიდა და ზედა პერანგი, ქვედა საცვალი, აბრეშუმის ან ბამბის თავშალი (მოხუცისთვის ჩუხტა - თ უ ჩ ხ) და წინდები. როგორც ითქვა, ამას ერთიანად მ ე რ ჩ ს უწოდებენ. „მადლიანი პერანგი“ წინა მხარეს მუხლამდე და ზურგზე წელამდე მწვედომი თეთრი მიტკალია, რომელიც თავის გასაყოფად შუა ადგილზე გრძელადაა ჩაჭრილი. მას სახელოები არ უკეთდება და არც იკერება, რადგან „ქვეყნად ნაცვამ შეკერილ სამოსს ბევრი ცოდვა ედება და საიქიო მიცვალებულს მაგით არ მიიღებს“ - გვაუწყებს მოხრობელი [2: 20]. დანარჩენი სამოსი ისე იყო შეკერილი, როგორც სიცოცხლეში ხმარობდნენ, მაგრამ უფრო გაჩიერი და გრძელი. ქალის პერანგს სჭირდებოდა 7-8 არშინი ქსოვილი. ქისტებს წამდათ, რომ საიქიოდ კარგი ყოფილა, თუ ქალს თავის სიცოცხლეში მწვანე ფერის სამი პერანგი და სამი ჩუხტა ჰქონდა გაცვეთილი. ჩვენს დროშიც მიცვალებულის სასულარე ერთი პერანგი და ჩუხტა მწვანე ფერისაა. ეს იმით უნდა აიხსნას, რომ ვეინახებს სწამდათ - მწვანე სამოსის წყალობით მიცვალებულის სული საიქიოში მწვანედ აბიბინებულ ბუნებაში იცხოვრებს მარად. ხანდაზმული ქისტები მანდილოსნები ამჟამადაც მწვანე ფერის სამოსს ეტანებიან და სასულარედ წინასწარ გამზადებულ სამოსში ერთ-ერთი პერანგი მწვანე ფერისაა. სასულარე სამოსის ელემენტებს

წინასწარ შეკერავდნენ, შეახვევდნენ ცალკე ნაჭერში და შეინახავდნენ ისეთ ადგილზე, სადაც სხვისი ხელი არ მოხვდებოდა. ამ შავიდლისთვის განკუთვნილ სამოსს ოჯახის წევრებიც სათუთად ეკიდებოდნენ. თუ გარდაცვლილ ქალს თავისთვის და მეუღლისთვისაც წინასწარ არ ჰქონდა გამზადებული სუდარა, ეს საქმე ქმარს ან დედაკაცს უნდა მოეწესრიგებინა; თუ ქმარი არ ჰყავდა – ვაჟიშვილებს, შემდეგ მამლებს ან ქმრის ბიძაშვილებს. საინტერესოა ისიც, რომ ჩვენთვის გათხოვილ ქალს უფლება არ ჰქონდა თავის ქმრის ოჯახიდან მოტანილი ქსოვილი მშობლებისთვის სამარეში ჩაეტანებინა, რადგან ამ შემთხვევაში ის სხვა გვარის



სურ. 45. სუდარა შემოხვეული მიცვალებული.

წევრად ითვლებოდა. ასევე, ნათესავეებისა და თანახოფელების მიერ მიტანილ ქსოვილს სასუდარედ სამარეში არ ატანდნენ. იშვიათ შემთხვევაში დას დისთვის, რძალს მულისთვის შეეძლო ჩაეტანებინა თავის მხრიდან ერთი პერანგი ან თავშალი, თუ ოჯახის წევრების თანხმობა იქნებოდა. მათი რწმენით „სასუდარედ სხვა გვარის ოჯახიდან გატანებულ ნივთს საიქიოში ხდიან, რადგან ის მის ოჯახს არ ეკუთვნის“. ამ წესს ქისტები ჩვენს დროშიც იცავენ. მიუხედავად ამ წესის არსებობისა, ქისტებმა სასუდარე ქსოვილის მიტანაცა და ფულადი დახმარებაც იციან. დამწუხრებულ ოჯახს საკლავით, ვეკილით, ფულით ეხმარებიან ნათესავეები, მოგვარეები, მეგობრები და ნაცნობებიც კი [42: 129]. სასუდარე სამოსის მომზადებაზე განსაკუთრებით ზრუნავდნენ უქმარშვილო ქალები. ისინი თავის თავს ქელესაც კი წინასწარ უხდიდნენ, რომ ნათესავეები არ შეეწუხებინათ და თავისი ქონება სიცოცხლეშივე თავის თავისთვის მოეხმარებინათ.


სადღეისოდ ქისტები მიცვალებულ ქალს აცმევენ „მადლიან პერანგს“, შემდეგ ერთი ჩითის ან სატინის და მეორე აბრეშუმის ქსოვილის პერანგს, ქვედა გრძელ საცვალს და წელზე უკეთებენ მიტკლის სარტყელს, თავზე ახვევენ აბრეშუმისა და ბამბის სამ თავშალს (მოხუცს დამატებით ჩუხტას), ფეხზე აცმევენ მიტკლის წინდებს, ხოლო მამაკაცს – მიტკლის პერანგს, გრძელ საცვალს და ფეხზე მიტკლისავე წინდებს. ყურებში და ცხვირში უკეთებენ ბამბას, გადაახვევენ ოთხმაგ მიტკალში – ფ ა რ ფ. ფეხებზე და თავთან იმავე ქსოვილის ნაჭერს შემოუჭერენ და მიცვალებული გასასვენებლად გამზადებულია. უნდა აღინიშნოს, რომ „მადლიან პერანგს“ აცმევენ მამაკაცსაც და ქალსაც, რაც მაჰმადიანობის გავლენაა. მთხრობელის გადმოცემით, მიცვალებულს საიქიოში შიშველ ტანზე „მადლიან პერანგი“ უნდა ეცვას და ასე უნდა წარსდგეს ღმერთის წინაშე „სიცოცხლეში ჩადენილი ცოდვების მოსანანიებლად“ [42: 63].

მ. ალბუთაშვილი წერს: „ქისტები უეცრად ავად გამხდარზე მოლას მოიწვევენ, შემდეგ უკვე სულის ლოცვაზედ საზიარებლად მღვდელს იწვევენ. ეს იმისათვის კი არა, რომ ავადმყოფს ცოდვები ეპატიოს, არამედ საჩივრის შიშით, რომ უზიარებელი არ მოკლეს. მღვდელი ავადმყოფს აზიარებდა, მაშინ, როცა არაფრის გაგება არ ჰქონდა. მღვდელს არ შეუძლია მივიდეს სახლში და იქიდან დაიწყოს მისი წესიერი ანდერძის აკება. თავიანთებურად უნდა წაიდონ მიცვალებული სასაფლაოზედ, იქ მღვდელმა მიცვალებულს ანდერძი უნდა აუგოს. თუ მღვდელმა დაავიანა, არ დაელოდებიან და დამარხავენ“ [32: 8]. ცხადია, ეს ამონაწერი ეხება სოფ. დუისის მაცხოვრებლებს, რადგან იქ მაჰმადიანური რელიგიის მიმდევრები მეტი იყვნენ და თავიდანვე სოფელში ორად (ორ რელიგიად) გაყოფილმა მოსახლეობამ არ იცოდა, როგორ უნდა მოქცეულიყო. რაც შეეხება სოფ. ჯოყოლოს და ომალოს, იქ მიცვალებულს უზიარებლად არ მარხავდნენ. მოგვიანებით ამ სოფლების სასაფლაო ორად იყო გაყოფილი. ერთ მხარეზე იმარხებოდნენ ქრისტიანები, ხოლო მეორე მხარეს – მაჰმადიანები. ამჟამად ხეობის ქისტები მაჰმადიანური წესით იმარხებიან. როდესაც ოჯახის წევრი გარდაიცვლებოდა, ატეხავდნენ წივილ-კივილს. ნათესავეები თუ შორეულები ახლომხლო სოფლებიდან მოგროვდებოდნენ; შევიდოდნენ იმ ოთახში, სადაც მიცვალებული ესვენა. რიგრიგობით, მოთქმით დაიტირებდნენ გარდაცვლილს და იქვე ჩამოსხდებოდნენ. როცა ქალების ახალი რიგი მოვიდოდა, მათზე წინ მოსულები გარეთ გამოდიოდნენ და ადგილს მათ უთმობდნენ და ა.შ. მამაკაცები კი (ხანში შესულები) ჭირისუფალს მიუსამძიებდნენ – ქ ო დ ა მ ბ ა რ და იქვე, ეზოში, ფიცრებზე ჩამოსხდებოდნენ, ახალგაზრდები კი ფეხზე იდგნენ.

უწინ სატირალში შორიდან ჯგუფურად მომავალი ქალები მიცვალებულის სახლს რომ მიუახლოვდებოდნენ, თავზე მუშტებს წაიშენდნენ, თმებს გაიწეწავდნენ, ერთ-ერთი მათგანი მოთქმით დაიწყებდა ტირილს, დანარჩენები მას აჰყვებოდნენ და ზარს აძლევდნენ, ასე შედიოდნენ იმ ოთახში, სადაც მიცვალებული ესვენა [2: 10]. ჩვენს დროში ქისტის ქალებმა საუცხოოდ იციან მიცვალებულის მოთქმით დატირება: ჯერ მიცვალებულის აუკარგს წაიტირებენ, შემდეგ კი თავიანთ მიცვალებულსთან აბარებენ: „ესა და ეს მოგვა, შეგეკითხება ჩვენს ამბავს, გადაეცი, ჩვენი ოჯახების დანაკლისი, თუ რაიმე მნიშვნელოვანი ამბავი (ჩამოთვლიან), თუ ამ მიცვალებულს ვერ შეხვდი, ეცადე მონახო; თუ ბავშვია, არაფერი დააკლო, კარგად შეინახე და ა.შ.“ თუ მიცვალებული ცნობილი ადამიანია, ტირილი ერთი კვირა ან სამი დღე გრძელდება იმის მიუხედავად, რომ მიცვალებული უკვე გასვენებულია. ქალს რომ მცირეწლოვანი შვილი და ქმარი მოთქმით დაეტირა, სირცხვილად ითვლებოდა. მცირეწლოვანს მოთქმით ტირიან ბებიები, ბიძაშვილები, დეიდაშვილები, ცოლისძებნი და სხვ. ზოგიერთი ქალის ტირილზე გარეთ, ეზოში მდგომი მამაკაცებიც ძლივს იკავებდნენ თავს, რომ არ ატირებულებიყვნენ – ტრადიციის გამო. ცნობილია, რომ ვეინახებში მამაკაცის ტირილი მიუღებლად ითვლებოდა. „მისი (მამაკაცის) ტირილი მთის მკაცრ ბუნებას არ დაუწესებია. ჭირში და ლხინში მისი გული მდგარია. სიმწრის ცრემლები მას სხეულში ეწვეთება და არა თვალსაჩინოდ თვალებიდან სახეზე“ – აღნიშნავს მთხრობელი [33: 5]. მიცვალებულს მხოლოდ ქალები დასტირიან. სტიქიური

მოვლენების თუ სხვა მიზეზით გამოწვეული მწუხარებისას ისევე და ისევე ქალები ტირიან. ჩენებსა და ქისტებში ოჯახიდან მიცვალებულის გამოსვენებამდე მის სახელზე გაიტანდნენ ცხრა თაფშალს და ცხრა ტკბილ, ერობიან ქუმლის კვერს ან ოჯახში გაკეთებულ ხალვას და გაუნაწილებდნენ ობლებს. ინგუშებში აღნიშნული წესი არ დასტურდება, მაგრამ, ისინი სანამ მიცვალებულს გაასვენებდნენ, მეზობლებში ანაწილებდნენ ოჯახში გამოძცვარ ხაჭოს გულიან 70 ცალ თხელ ლავაშს, დარიბ ოჯახებს აძლევდნენ სამ ფუთზე მეტ მარცვალს. ეს წესი ჩვენს დროშიც არსებობს.

დღის ორი საათის შემდეგ, როგორც კი სასაფლაოდან ამბავი მოუვთა, რომ საფლავი მზად არის, ფარდაგში გადახვეულ მიცვალებულს კიბით გაასვენებდნენ. შემდეგ ფარდაგის გარეშე შეაწვენდნენ გვერდზე შეთხრილში ოღნავ მარჯვნივ ისე, რომ სახე სამხრეთისკენ - ყ ი ლ ბ ი ე ჰ ა ჰქონოდა.



სურ. 46. მიცვალებულის გასვენება.

მჭიდროდ ჩააყუდებდნენ მუხის ფიცრებს, რომ ჩაყრილი მიწა - ლ ა ა თ მიცვალებულს არ დაყროდა. მიცვალებულს სამკლოვიარო ძ ი ქ ა რ -ის (გალობა) თქმით აცილებენ მხოლოდ მამაკაცები. სხვაგან გარდაცვლილი, ჩამოსვენებული ახალგაზრდა თუთიის კუბოთიც გაუსვენებიათ. იტყვიან ხოლმე, „მუჰამედიც თუთიის კუბოთია დამარხული“. ხშირად კეთდება ამოშენებული საფლავებიც ქ ა შ // ქ ე შ ნ ა შ და ქართული წესისამებრ ძეგლებსაც - ჩ უ რ თ-ს უდგამენ, რაც ქართული კულტურის ძლიერი გავლენის მანვენებელია.

ქისტებმა ქელეხში სასამელი არ იციან. ასეთ დროს მათი ადრეული ტრადიციული საჭმელი იყო პური, ყველი (იშვიათად) და ბლომად ხორცი წვენით. სასაფლაოდან დაბრუნებული მღვდელი სუფრას - პურს, ხორცს, მარილს, წყალს-აკურთხებდა, შემდეგ დასვამდნენ ხალხს (მამაკაცებს) მწკრივად და ზედამდეგები მიუტანდნენ ხორცის ნახარშ მარილიან წვეს ჯამებით. შიგ ხორცს ჩააწებდნენ და ისე ჭამდნენ. ამ დროს დედაკაცები თავიანთ წილს - პურსა და ხორცს - წინსაფარში ჩაიყრიდნენ და მიდიოდნენ სახლებში. მათ (ქალებს) ჩვეულებისამებრ, არ ჰქონდათ უფლება, რომ იქ ეჭამათ პური. თუ ვინცობაა სოფელში ავადმყოფობის ან სხვა მიზეზით ვინმე ქელეხში არ მოვიდოდა, მას თავის წილს სახლში უგზავნიდნენ [2: 10]. როგორც ითქვა, როცა ადამიანი დაბერდებოდა, უფრო დედაკაცი და არ ჰყავდა ახლო ნათესავი - ქმარი ან მოსწრებული შვილი, ის იმავე წესით სადილს გაიმზადებდა. თუ მართლმადიდებელი იყო, ხალხს ღვინოსაც მოუტანდა, დაკლაგდა შვიდ-რვა საკლავს, ხან მეტსაც, და თავის თავს ცოცხლად ქელეხს უხდიდა. როდესაც ასეთი პირი გარდაიცვლებოდა, მას წლის რიგი უკვე

აღარ სჭირდებოდა. თუ მარხვა დაემთხვეოდა მაშინ მონათლულები რიგს ვედარ გადაიხდიდნენ – ხსნილამდე. მაჰმადიანები კი თავიანთ მარხვის დროს საქონელს დაკლავდნენ, რადგან დღის განმავლობაში არაფერს ჭამენ. უმ ხორცს გაანაწილებდნენ სოფელში კომლთა რაოდენობაზე. თუ მათ შორის მონათლულები აღმოჩნდებოდნენ, მოხარშავდნენ საკმარისი რაოდენობით ხორცს და მათაც პურს აჭმევდნენ [34:]. მიცვალებულზე საქონლის დაკვლა იცოდნენ ჩრდილო კავკასიის ვეინახებმა. ინგუშები დაკლული საქონლის ხორცის მხოლოდ ნაწილს ხარშავდნენ შორიდან მოსული სტუმრების პატივსაცემად, ხოლო ნაწილს კი მოუხარშავად ანაწილებდნენ მეზობელ-ნათესავებში. ქელების გადახდასთან დაკავშირებულ წესებს ქუნთ-ჰაჯის მიმდევრები შემდეგნაირად ასრულებდნენ: ადამიანის გარდაცვალებისთანავე ხოცავდნენ საქონელს და დიდ ნაჭრებად ხარშავდნენ, დანაყავდნენ ბეგრ ნიორს, მოხარშავდნენ მჭადს, აცხობდნენ ხაჭაპურებს – ჭეფილიკი. მაჰაკაცები გასვენების შემდეგ ბრუნდებოდნენ ოჯახში და სუფრას მიუხსდებოდნენ.

ჩვენს დროში ეს წესი რამდენადმე შეცვლილია. პანკისში ცხოვრების თითქმის 200 წლის განმავლობაში ქისტებმა ქართველებსა და სხვა ხალხებში დანათესავების სხვადასხვა გზით – დობილ-ძმობილობით, მეზობლობით, მეგობრობით, მოყვრობით უამრავი ახლოპელი შეიძინეს, რომლებიც ქისტების ჭირისა და ღვინის მოზიარენი არიან. ამდენად, ჭირში თავს იყრიან როგორც ადგილობრივი, ისე მოსული სტუმრები. ამასთანავე მათი სოციალური ყოფა ადრინდელთან შედარებით ძალიან შეიცვალა. ესეც არის იმის მიზეზი, რომ ჩვენს დროში ქისტები გარდაცვლილის იმავე დღეს გახვეწებას ვერ ასწრებენ და ორი-სამი დღე აჩერებენ, მით უფრო, თუ მიცვალებული ხეობაში ცნობილი ადამიანია. ქელებზე სუფრა ადგილობრივებისთვის ცალკე იშლება, რადგან ისინი (ასეთ დროს) ღვინოს არ სვამენ. დღევანდელი სუფრის წარსულთან შედარება არ შეიძლება. ამ სუფრაზე სასმელიდან მოაქვთ ღიმონათი, ბორჯომი და ლუდი, ხოლო საჭმელებიდან – პური, ყველი, მჭავე, ხორცი წვენით, ხოლო მოსული სტუმრების მაგიდაზე ყველა სახის სასმელ-საჭმელია (არაყი, ღვინო, ღიმონათი, ბორჯომი, სხვადასხვა სახის საღათები, ყველი, თევზეული, ხორცეული და სხვ.). იკვლება 3-4 მსხვილფეხა და ორი-სამი წვრილფეხა საქონელი. ასე რომ, დღევანდელი ქისტების საღვინო თუ სამგლოვიარო სუფრა ქართული სუფრისგან არ განსხვავდება.

ქისტები ტრადიციულად მიცვალებულს ორმოცს და წლისთავს არ უხდიდნენ და არც სამგლოვიარო შავი ფერის სამოსს იცვამდნენ (გარდა იშვიათი შემთხვევისა), მაგრამ ეს ტრადიციაც შეითვისეს მეზობელი ქართველების გავლენით, რასაც ისევე ასრულებენ, როგორც ქართველები. მართალია მაჰმადიანური რელიგიის მიდებამდე ვეინახებში სამგლოვიარო ფერები იყო შავი და მუქი ღურჯი. სამგლოვიარო სამოსს ზოგი ორმოც დღეს, ზოგი კ წლისთავამდე ატარებდა; მეუღლეზე – სამიდან ხუთ წლამდე, ხშირად ცოლი მთელი თავისი სიცოცხლეც. ამ წესს პანკისის ქისტები უფრო იცავდნენ, ვიდრე ჩრდილო კავკასიის ვეინახები. ალბათ, ეს იმიტომ, რომ ჩქენნი ქალი დაქვრივების შემდეგ იშვიათად ინარჩუნებდა ქმრის გვარს. შეილებს ბებია-პაპას უტოვებდა და მშობლიურ ოჯახში ბრუნდებოდა; ერთ-ორ წელიწადში კი აუცილებლად ახალ ოჯახს ქმნიდა.

მგლოვიარობის ნიშნად ახლობელი მამაკაცები წვერს და თმას მოუშვებდნენ, რომელსაც იპარსავდნენ 40 დღის შემდეგ, ხოლო ქალები თავით ფეხამდე ძაბებში ეხვოდნენ. გარდაცვლილი მამაკაცის ტანსაცმლის ნაწილს მისცემდნენ სოფლის რომელიმე ღარიბს, ხოლო ნაწილს ტოვებდნენ სახლში. თუ ქვრივ ქალს ბიჭები ეზრდებოდა, მამის ცხენი და სამკაული ბიჭებს რჩებოდა, ხოლო თუ ბიჭები არ ჰყავდა, ცხენს თავის უნაგირით ძმისშვილს აძლევდნენ, ქამარ-ხანჯალს და სხვა სამკაულს - ახლობელ ბიძაშვილს, ხშირად ძმობილს. მიცვალებული დედის ტანსაცმელიდან ქალიშვილი სამახსოვროდ იტოვებდა ერთ-ერთს და დანარჩენს სამოსს გაუნაწილებდა დედის თანატოლ ახლობლებს, ან ღარიბს მისცემდა სამადლოდ. ჩვენებს და ინგუშებს სწამდათ, რომ მიცვალებულის სამოსს თუ მალე გასცემდნენ (გარდაცვალებიდან მეორე დღეს), მიცვალებული მას საიქიოში მალევე მიიღებდა დაბრკოლების გარეშე [42:]. ქისტები კი ტანსაცმელს ინახავენ წლისთავამდე და ზოგჯერ მეტ ხანსაც. ინგუშებში მშობლების გარდაცვალების შემდეგ მათი კუთვნილი ქონება თანაბრად უნაწილდებოდა ვაჟიშვილებს, ქალებს კდლოდათ მცირედი ნაწილი. პანკისის ქისტებში კი დედის დარჩენილი ნივთები რჩებოდათ ქალიშვილებს თანაბრად, ხოლო სახლი, საქონელი და თითო ხელი ღოგინი ვაჟიშვილებს.

ქისტები ტრადიციულად მიცვალებულის სახელზე ყოველ ხუთშაბათ საღამოს (პარასკევი რომ თენდება) სპეციალურად ამზადებენ ბლინებს, ხინკალს ან ქაღებს და თითო თევშით აწვდიან მეზობელ 5-7 ოჯახს. ამას ს ა ა ე ს (სამწყალობლოს) უწოდებენ. გადმოცემით ყოველ ამ საღამოს საიქიოში უფროსების სულები ელოდებიან ს ა ა ე ს-საჭმელს, ხოლო ბავშვები ტკბილეულს. სააყის გაცემა იციან ყოველ რელიგიურ დღესასწაულზეც. ეს იმას ნიშნავს, რომ ოჯახს მიცვალებული გასტუმრებული არ ჰყავს და ის ისევ ოჯახში ტრიალებს. ასე გრძელდება 15-20 წლის განმავლობაში. სააყის გაცემის შეწყვეტისას მიცვალებულის სახელზე კიდევ უნდა დაიკლას საკლავი, დაპატიჟონ ნათესავები, მეზობლები, ჩაატარონ რელიგიური რიტუალი - მ ო ვ ე ლ ა თ დ ა ამის შემდეგ შეუძლიათ რელიგიური დღესასწაულების გარდა არ გასცენ სააყ. ამ რიტუალის გადახდის დროს დაკლული ცხვრის ძვლების ძაღლისთვის გადაყრა არ შეიძლება და ეზოს ერთ-ერთ კუთხეში მიწაში უნდა დაიმარხოს, ძაღლს კი აჭამონ თავისი წილი ხორცი. ქისტები მიცვალებულის სახელზე დოღს იხდიან. „მაჰმადიანმა აბდულა დუიშვილმა, წლეულს თავის მამას დოღი გადაუხადა, რომელიც მას დაუჯდა 600 მან.“ - აღნიშნავს მ. ალბუთაშვილი [32: 2].

პანკისის ფშავლებს, ცხადია, ქისტებისაგან განსხვავებული მიცვალებულთან დაკავშირებული წესები აქვთ. მ. ალბუთაშვილი აღნიშნავდა: „გარდაცვლილთან მაშინვე გროვდებიან მეზობელ-ნათესავები. მიცვალებულს სანამ მიწას არ მიაბარებენ, მთელი სოფელი გლოვობს. სწამთ უფრო ბედის წერისა. ტირილი იციან კაცებმაც, დედაკაცის კილოზე, მაგრამ დედაკაცებით გუნებიანად მაინც ვერა ტირიან. ფშაველი დედაკაცი თუ ხმით იტირებს, გულს თან ამოაყოლებს... ტირის ფეხზე მდგომელა, მოსთქვამს მაღალი ხმით, თან ცრემლი ჩამოდის, როგორც წვიმის წყალი. თანაც ხელებს შლის, ქეითინებს ისე, რომ მთელი ტანი ფეხებამდე ექვრის. მისი ქეითინი მთელ სოფელს ესმის“ [32: 23]. ფშავლებმა ტირილის დროს ბანი არ იციან ისე როგორც ქისტებმა. მიცვალებულს მაშინვე განბანენ,

ბეწვისგან გაასუფთავენ, რაც ცოცხალს ეცვა, იმას ჩააცმევენ, უბრალო ფიცრის კუბოს შეკრავენ, ჩაატანენ არყიან ბოთლს, თამბაქოს, თხილ-კაკაოს, ფულის, ვერცხლის ქაშარს (თუ აქვს) საიქიოს დასჭირდებოთ. ამის შესახებ ლექსიც აქვთ გამოთქმული: „საყინულეს უჭერივარ, რო გათბება გაეიშლები, აქაც დუქან-ბაზარია, იქაც კიოდ დავითურები, თან ფულ ჩამამაყოლოდით, ნისიებით ავიგსები“ [32: 8]. მეზობლები სამარეს მოუმზადებენ და მესამე დღეს მიასვენებენ მიცვალებულს, დედაკაცებიც უკან მისდევენ ტირილით და სანამ დაასამარებენ, იქ დგანან, თან ტირიან. ქელებსთვის დიდ ქვაბში მოხარშავდნენ ღობიოს, დაკლავდნენ ერთ ან ორ ცხვარს, დაჭრიდნენ ხორცს წვერილად, მოხარშავდნენ, შემდეგ ამოიდებდნენ ხონში. ხორცის ნახარშს შეანელებდნენ დაკეპილი დუმიით და ფილტვებით. ქელების სამზადისი ეს იყო. ხალხი ნასაფლადან რომ დაბრუნდებოდა, ჯერ დედაკაცებს აჭმევდნენ პურს და მერე კაცებს. აქა-იქ გაბნეულად (ტრადიციისამებრ), დაბლა მიწაზე დამსხდარ დედაკაცებს ზემდეგი მიუტანდა სათითაოდ პურს (ლავაშს), ხორცს და ჩაუდებდა კალთაში. თუ პატარა გვერდით ეჯდა ან ძუძუზე ჰყავდა, ან თითონ ფეხბძიმედ იყო, იმასაც წილს უდებდნენ იქვე. წვეს ხის ჯამებით მთართმევდნენ, ხოლო ნათესავებს ღობითი უმასპინძლებოდნენ, მერე რომელიმე ახალგაზრდა ჩამოივლიდა და ყანწით არაყს დააღვეინებდა. იქ არაყს დიდ-პატარა სვამს. როცა ჭამას მორჩებოდნენ, სახლებში მიდიოდნენ. ახლა კაცები დასხდებოდნენ პურის საჭმელად [32:]. მეზობელ ქისტებთან ურთიერთობაში ფშაველები, სამგლოვიარო და საქორწილო სუფრის გამზადების დროს, ერთ-ერთ საკლავს ქისტებს დააკლვევინებდნენ, რომ ჭირში თუ ღვინში მოსული ნასიამოვნები წასულიყო. ამ ხორცს ცალკე ქვაბში ხარშავდნენ.


მიცვალებულის დასაფლავებიდან შვიდი დღის განმავლობაში წესისამებრ იხდიდნენ შვიდის რიგს. დაკლავდნენ თხას, გამოაცხოებდნენ ქადას, ხშიადს და სხვ. ამ დღეს ნათესავებიც მიდიოდნენ და შენდობას ეუბნებოდნენ. ორმოცის რიგის გადახდის დღეს ფშაველები მიცვალებულის ღოგინს, სამოსს დაიტირებდნენ, ხოლო შემდეგ, სულიწმინდის მოფენას უხდიდნენ. ამას ხ ა ღ ა რ ჯ ო ბ ა ს უწოდებდნენ. ამ დღეს საფლავზე გადიოდნენ და იქ საკლავსაც დაკლავდნენ. მეზობლებიც მივიდოდნენ ქადა-პურით, სასმელით. იქიდან სახლში დაბრუნდებოდნენ და აგრძელებდნენ პურის ჭამას. ხალარჯობას აქტიურობდნენ დედაკაციები. დაივლიდნენ იმ ოჯახებში, სადაც „სატირალი“ ედგათ, გამოიტანდნენ, ხორბლებს და ხალარჯობის სადილს მიირთმევდნენ. მეხუთე რიგი იცოდნენ ხორცის დღეს – შაბათს - ყველიერის წინ, „სულთა-კრეფაში“, დიდი მარხვის ორი კვირის შემდეგ. ეს მიცვალებულების დღეა და იხდიან შაბათ დღეს, ხოლო მეშვიდე რიგს იხდიდნენ „წელთაობას“. ამ დღეს დიდ ხარჯს გადაიხდიდნენ და ამით თავისუფლდებოდა ოჯახი მიცვალებულისგან [32: 14]. აღნიშნულ წესებს პანკისის ფშაველები ძნელად იხდიდნენ, მაგრამ მათი დუხჭირი ცხოვრების მიუხედავად, მიცვალებულს ყურადღების გარეშე არ სტოვებდნენ. ამჟამადაც ისინი ანალოგიურ წესებს ასრულებენ, მხოლოდ უფრო განვითარებული ფორმით. თუმცა მ. აღბუთაშვილი აღნიშნავს ფშაველების ქელებში, საღმთოში და ქორწილში წესრიგი არ არის დაცული. თავის დროზე არ იშლება სუფრა, ზოგს სასმელ-საჭმელი თვალთ არ უნახია და უკვე მთვრალია, ზოგი კი მაძღარია და ა.შ. [37:].

ოსებიც, რაც პანკისში დასახლდნენ, ქრისტიანული წესით ასაფლავებენ თავიანთ მიცვალებულს. მასთან დაკავშირებული მზადებაც ხელგაშლილად იციან. იხდიან ორმოცს, წლისთავს. მგლოვიარე ქალები და მამაკაცები განირჩევიან საზოგადოებაში თავიანთი გარეგნული ფორმით (შაგებში ჩაცმული ქალები და წვერმოშვებული, თაღის ფერის პერანგის მამაკაცები). მიცვალებულის სულის სახსენებლად დადიან წლიურ-კალენდარულ დღესასწაულებში სალოცავად და სხვ.

ქართველებთან საუკუნოვანმა მჭიდრო ურთიერთობამ განაპირობა რიგი სოციალურ-კულტურული ცვლილებები ქისტების ცხოვრებაში, რაც პანკისის ხეობის ნებისმიერ ოჯახში თვალსაჩინოდ იგრძნობა.

§ 4. ხ ა ლ ხ უ რ ი ხ ე ლ ო ვ ნ ე ბ ა

ქისტებმა პანკისში გადმოსახლებისას თან მოიტანეს ტრადიციული ხალხური ხელოვნება ზეპირსიტყვიერების, მუსიკისა და ცეკვა-სიმღერების სახით, რომელიც შემდგომ მუზობელ ქართველ მთიელებთან ურთიერთობით შესამჩნევად გაამდიდრეს. ქისტების ზეპირსიტყვიერებაში შეიძლება გამოიყოს შემდეგი ჟანრები: ზღაპრები, გადმოცემები, მოთხრობები ცხოველებზე, რომლებიც შინარსობრივად ახლოს დგას ქართულ იგავ-არაკებთან, დამრიგებლობითი ხასიათის მოთხრობები,



სურ. 47. მუსიკალური ინსტრუმენტები: 1. ჩონგური - „ფონდურ“,
2. ზურნა - „ძურმ“, 3. დოლი - „ვოთ“

ანდაზები და ნართების გმირული ეპოსი. ასევე აღსანიშნავია სიმღერათა ფართო ციკლი დ ი შ // ე შ ა რ ა შ ა ნ ი ლ ლ ი. ფიქსირდება სიმღერების სოლო და გუნდური შესრულება. მღერიან ჩონგურის დ ე ჩ ი გ-ფ ო ნ დ უ რ, ჭიანურის-ჭ ო ნ დ უ რ გ და გარმონის - გ ა რ მ უ ნ (ჩენ. ქი ე ლ ა თ ფ ო ნ დ უ რ ს ე ბ ა ხ ი ა ნ)

თანხლებით. უკანასკნელ ხანებში ქისტებში საკრავებიდან მთავარ ადგილს იკავებს ჩონგური, ბალაღაიკა, გარმონი და პიანინო.

ქალიშვილების სიმღერები ძირითადად ლირიკული შინაარსისაა. ისინი უმღერიან სიყვარულს, განშორების სიმწარეს, ცალმხრივი სიყვარულით გამოწვეულ დარდს; ამ სიმღერებში ჩანს ძალით გათხოვილის მწუხარება, ბრძოლა მშობლებთან, კერძოდ დედასთან, გულის რჩეულის სიყვარულის უფლებისთვის, დარდი მშობლიურ სახლზე, გამირულად დაღუპულ ვაჟაკებზე და ა.შ.

ჩვეულებრივ, გამირული ან ისტორიული შინაარსისაა მამაკაცთა სიმღერები, რომლებშიც ხოტბაშესხმულია გამბედაობა, ვაჟაკობა, ამხანაგისა და მეგობრის ერთგულება, სიტყვის სიმტკიცე, მოვალეობის გრძნობა, სამშობლოსა და თავისუფლების სიყვარული და სხვ. სიმღერებში უმაღლეს ზნეობრივ საქმედ მიჩნეულია სტუმართმოყვარეობა, მეგობრობა და ძმობილის ერთგულება. საინტერესოა ისიც, რომ წარსულში მთიელებს (ხევსურები, თუშები, ვეინახები) ჩვეულებად ჰქონდათ მოკლული მტრისთვის მარჯვენის მოჭრა და სახლში ჩამოკიდება, რაც ვაჟაკს სახელს მატებდა. ასევე, ზოგიერთ დანაშაულისთვის ყურის, ცხვირის მოჭრა, მაგრამ ვეინახურ ილლი - სიმღერებში ვერ ნახავთ შეურაცხყოფილ სიტყვებს თავისი მტრის მიმართ. პირიქით, თითქმის ყოველ სიმღერაში გამირებთან ერთად საგმირო საქმეებში ვეინახ-ქუენახთან ერთად მონაწილეობდნენ „გულადი რუსი, კახაკი“, ქართველი ვაჟაკი [44: 8].



სურ. 48. სოფ. დუისის პირველი ქორეოგრაფიული ანსამბლის წევრები: მარცხ. ხაღიშათ, პასეი და ნინეი მარგოშვილები (1938 წ.)

ქისტური ქალური სიმღერების რითმიკა სილაბურტონურია, მათ რიტმი არა აქვთ. ი ი შ-ისთვის დამახასიათებელია ამადლებული ხატოვანი შედარებები, ჰიპერბოლები, მეტაფორები. რიტმის ჩვეულებრივი ზომაა ორ-ოთხ სტროფიანი ქორე. მამაკაცთა სიმღერების გადმოცემაში ჩვეულებრივი ზომაა სამ-ოთხ სტროფიანი დაქტილი. პანკისის ქისტების სიმღერების მელოდიკა ნაკლებად განსხვავდება ჩრდილო კავკასიის მთიელების მელოდიისგან, რომელსაც ქართულ მელოდიასთან გარკვეული მსგავსება აქვს. ეს განსაკუთრებით შესამჩნევია მამაკაცთა

საგუნდო სიმღერებში. ვოკალური ინტონაციის წყობა, სიუჟეტური ქარვა და სიმღერებში მამაკაცთა პარტიის ვაჟკაცური, შემტვევი ხასიათი ქართულისა და ვენახური მუსიკის ხანგრძლივ კავშირზე მეტყველებს.

ქისტების სიმღერები პირობითად შეიძლება დაიყოს რამდენიმე უანრად: საცეკვაო ხ ი ა ლ ხ ა რ - დ ი შ, უსიტველ მოსახმენი - ლ ა დ ო ა ლ - დ ი შ, ქალიშვილთა ი ლ ლ ი ს - სიმღერის თანმხლები მელოდიები. არის აგრეთვე სხვა ჰანგებიც. მაგალითად, ს ა ჯ ი რ ი თ ო და ტკივილების დამაყუჩებელი ც ა მ ა გ ა რ - ს ო ც უ ა შ მოტივები. სამწუხაროდ ეს მელოდიები ჯერჯერობით არავის გადაუტანია ნოტებზე.



სურ. 49. სოფ. დუისის საშუალო სკოლის მოცეკვავეთა ანსამბლი (1949 წ.)
შუაში ხელმძღვანელი ბ. მარგოშვილი და სკოლის დირექტორი პ. ალბუთაშვილი

ქისტების ვოკალურ მუსიკას უნდა ეკუთვნოდეს ქალთა და მამაკაცთა საგუნდო სიმღერა მოძახილით გარმონისა და ჩონგურის თანხლებით. ქისტებმა ქართული სასიმღერო კულტურის ძლიერი გავლენა განიცადეს. საზეიმო, საქორწილო თუ სტუმრის პატივსაცემ სუფრასთან მომღერლები ქისტურთან ერთად ქართულ სიმღერებსაც ასრულებენ. ქისტური ენის ფონეტიკა არსებითად არ განსხვავდება ქართულისგან. ამდენად, ქისტის მეტყველებას ამ მიმართულებით რაიმე თავისებურება არა აქვს. ქისტებს განსაკუთრებით უყვართ ქართველი პოეტის ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებებზე შექმნილი სიმღერების შესრულება. ვაჟას შემოქმედებაში ძალუმაღ ივრძნობა ქისტების დიდი სიყვარული და ისინიც მას საკუთარ მგოსნად თვლიან; ასევე მიაჩნიათ თავიანთ მწერლად ალექსანდრე

ვაზბეგი. ვაჟას ლექსი „არწივი“ ქისტების სასიმღერო რეპერტუარში ძალიან პოპულარულია. მისი ქისტური თარგმანი შემდეგნაირად ჟღერს:

ერზუ (არწივი)

„ერზუ გი სუნა ოჰადუქუნა,
ყიგაშცა ტომ ბეშ შა ლაზინა,
მა ლაარა მისქანნა ღათთა,
ამმა ი ღათთალუშ დაცარა.
შენ ცჰა ტამ ღათთახ ა თეკაბემ,
წიხ ბუზნა ნავა აიბინა:
– ეჰ შუნ ნანოშნა ... ჰეი, ყიიგაშ!
ათთო ბუეხნა სო ცა დუეჟნეჰარა,
მა გურ იარა სუნანა შუნ მესაშ,
ღოო არაჰ მოხო ფელიოხუშ“.

როგორც ითქვა, ქისტების მუსიკალური ინსტრუმენტებია ჩონგური–დენიგ–ფონდური, გარმონი–გარმუნ, ზურნა–ძურმ, დოლი–ფოთ, დაირა–დეირ და ჭიანური–ჭონდურგ. ზურნა და დოლი ახლო წარსულში საკმაოდ გავრცელებული იყო მთელ ხეობაში. ცნობილ ქისტ მეზურნეს იმედა მარგოშვილს ხშირად იწვევდნენ ქართველ მთიელთა ქორწილებში. მეზობელი თუშების გადმოცემებში საინტერესო მასალაა შემორჩენილი ქისტ იმედაზე, როგორც მუსიკოს-მეზურნეზე. „ახალგაზრდების ქორწილს იმედას ზურნის ჰანგების გარეშე აზრი არ ჰქონდაო“ – აღნიშნავს მთხრობელი [33: 3]. იმედა მუდმივი სტუმარი იყო ხეობის მექორწინე ოჯახების და მისი ზურნის ჰანგების მოგონებით დღესაც ტკეპიან პანკისელი ქისტები.

საუკეთესო მეზურნეები იყვნენ ისრაილა აღდამოვი, უში დუიშვილი, მახამა მარგოშვილი და სხვ.; მეღოლეები: ჰოდუხ ქაეთარაშვილი, მახამა აღდამოვი, ნაქო აღხანაშვილი, ტასო წინწალაშვილი, დები იმედაშვილები, ელო აბულაძე; ფშაელებიდან – პაეღე ამირანაშვილი, ისაკო მესაბლიშვილი, გოდერძი პატარაშვილი და სხვ.

პანკისელი ქისტების ფოლკლორში დიდი ადგილი უჭირავს ცეკვას. იგი ჩენურ-ინგუშური ცეკვის ანალოგიურია. ცხადია, ქისტებმა სხვა ტრადიციების მსგავსად ცეკვაც თან მოიტანეს. ქისტი კაცო, როგორი საწყაღიც უნდა იყოს, ყოველთვის ცეკვის ხასიათზეა. არ შეიძლება მიინახოს მთიელი, რომელმაც ცეკვა არ იცოდეს – აღნიშნავს უ. მარგოშვილი [34: 3].

პანკისის ხეობაში დუისის კოლმეურნეობასთან პირველად უ. მარგოშვილმა ჩამოაყალიბა მოცეკვავეთა და მომღერალთა გუნდი, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ სხვადასხვა სოფლის მკვიდრნი. ამ გუნდმა მონაწილეობა მიიღო 1939 წელს ქ. თელავში ჩატარებულ ოლიმპიადაში. ეს იყო მაყურებელთა წინაშე ქისტების პირველი გამოსვლა და დიდი მოწონებაც დაიმსახურეს. გუნდის ხელმძღვანელმა უ. მარგოშვილმა შეასრულა ძველი ქისტური სიმღერა, რისთვისაც იგი დააჯილდოეს ქების სიგელით. სწორედ იმიტომ, რომ ქისტ ხალხს ცეკვა და

მუსიკა ძალიან იზიდავს, ამ შორეულმა კუთხემ მრავალი შესანიშნავი მოცეკვავე გამოზარდა. ბირკიანელი იოსებ ცათიაშვილი ცნობილი იყო როგორც სამაგალითო მოცეკვავე, თუმცა მას სპეციალური ქორეოგრაფიული განათლება არ ჰქონდა მიღებული. აი რას წერს გრიგოლ ხერხეულიძე: „ვისაც ერთხელ მაინც უნახავს, არასოდეს არ დაავიწყდება ი. ცათიაშვილის „ქისტური“ ქალთან ერთად. მისი ბუნებრივი, მრავალფეროვნებით აღსავსე, ყოველგვარ ხელმეტობას მოკლებული ცეკვა მუდამ ერთსულოვან აღტაცებას იწვევდა. მახსოვს შემთხვევები, როცა გავაშელის ნომერს ცათიაშვილი მოსდევდა ან პირიქით, მაგრამ მოუხედავად ამისა ოვაციები არ ნელდებოდა“ [45: 34].

სოფ. ომალოს მცხოვრები ნაქო აღხანაშვილის ცეკვაც ცნობილი იყო ქისტები და ქართველი მაყურებლისთვის. იგი რამდენიმე წელი მოღვაწეობდა ქ. თელავის ქორეოგრაფიულ გუნდში, სადაც წარმატებით ასრულებდა ქართულ და ქისტურ ცეკვებს, იყო ერთ-ერთი გუნდის ხელმძღვანელიც. პირველი მოცეკვაევები იყვნენ აგრეთვე ხადიშათ, ნინეი, ჰასეი მარგოშვილები, ნიკო აღხანაშვილი, ჰალიმბათ გაურგაშვილი და სხვ. ომამდე და ომის შემდგომაც ბისოლთა და მარგოშვილს მარგოშვილს მაყურებელთა ყურადღება. ეს ორი ახალგაზრდა დუისის საშუალო სკოლის სახელით მრავალჯერ გამოვიდა რაიონის და ასევე რესპუბლიკურ დათვალეირებაზე და არაერთი მადლობა დაიმსახურა. ასევე შეიძლება ითქვას და-ძმა უსუფ და ტასო ბორჩაშვილების, და-ძმა მედი და ახიად აღდამოვების, მახმად მარგოშვილის, მუხმად ბადაკაშვილის და სხვათა შესახებ. ქისტური ცეკვა ორი სახისაა – ინდივიდუალური და მასობრივი. ქალის ინდივიდუალური ქისტური ცეკვა, მასობრივთან შედარებით, გამოირჩევა დახვეწილობით, ნატივი მოძრაობებით. ამასთანავე, ცეკვა მიმზიდველია მაშინ, როცა ქალ-ვაჟი ეროვნული ტანსაცმლით ვეკევა.

ქისტების ხალხურ ხელოვნებას, მათ ეროვნულ ფოლკლორს თავისი მდიდარი და მკაფიო უნრებით სჭირდება დაცვა, განვითარება, სრულყოფა, წარმოჩენა ეროვნულ-ტრადიციული სულისა, რომლის გარეშე კულტურის დონის ამადლებაში მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა შეუძლებელია. ცხადია, წლების განმავლობაში, განსაკუთრებით რევოლუციის შემდგომ პერიოდში, პანკისის ხეობის მოსახლეობამ არნახული განვითარება ნახა. როგორც აღინიშნა, ქისტების შთამომავლობა სწავლას დაეწავა. სკოლებში და შემდგომ ახალ აშენებულ კულტურის სახლებში თავი მოიყარეს ხელოვნების სხვადასხვა დარგში ნიჭით და უნარით გამორჩეულმა ბავშვებმა და მოზარდებმა. ხელმძღვანელობას უწევდნენ სპეციალურად განსწავლული ადგილობრივი კადრები – ძმები გოგია და ხარება ბადაკაშვილები. სოფ. დუისის კულტურის სახლის ცეკვისა და სიმღერის ქორეოგრაფიული ჯგუფი სისტემატური სტუმარი იყო სარაიონო და რესპუბლიკური მხატვრული თეატრალური ოლიმპიადებისა.

აღსანიშნავია ისიც, რომ დღეს ეს მუშაობა ჩაშლილია. გაყიდულია კულტურის ობიექტები, დატაცებულია ინვენტარი, ბავშვებისა და მოზარდი ახალგაზრდების ყურადღება გადატანილია არაბული ენის შესწავლაზე, ვაჰაბიზმზე, რაც ქისტ ბავშვებს არაფერს კარგს არ უქადის სამომავლოდ.

§ 5. ხალხური სამედიცინო ტრადიციები

რევოლუციამდე პანკისელებს სამედიცინო დახმარება არ ჰქონდათ. თუ ადამიანი ავად გახდებოდა და შინაური წამალი ვერ უშველიდა, იგი სასიკვდილოდ იყო განწირული. სიკვდილიანობას იწყევლა მალარია, ტიფი, ჭლექი, შავი ჭირი, რომელმაც სამჯერ უამრავი ხალხი გაწყვიტა პანკისში [34: 9]. ხშირი იყო ბავშვთა სიკვდილიანობაც [33: 3]. მ. აღბუთაშვილი წერს: „ხეობაში დილით ცხრა საათიდან საღამოს 6 საათამდე უქრის კახეთის ე.ი. სამხრეთის თბილი ნიავი, შემდგომ დაღამებისას, როდესაც მახლობელ მთებში შესამჩნევად აცივდება, მობრუნდება ჩრდილოეთის მთების ცივი ნიავი და უბერავს ერთ დონეზე მეორე დილაამდე... ნიავის ამნაირი მოძრაობისაგან იყო, რომ ზაფხულში დღისით მინდორში ნაწრომ-ნაწროვლი სამუშაოდან შინ დაბრუნებული გზაში ან დამე გარეთ აივანზე დაწოლილი ადვილად ცივდება და ფილტვებით ავად ხდება“ [32: 14]. იყო სხვა მიზეზიც – ნესტიან მიწურ ბინებში ცხოვრებამ ბევრი სახსრებითაც დააავადმყოფა. ავადმყოფობის მიზეზი იყო აგრეთვე სავალალო სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა მთლიანად ხეობაში. თუმცა ქისტების ოჯახებში იდეალური სისუფთავე სუფევდა, მაგრამ საერთო სანიტარულ-ჰიგიენური კვანძების საკითხი მოუგვარებელი იყო. ამიტომაც ვეინახები ანდაზასავით ამობოდნენ: „უგვარ დიქა ღორ წანოადი“ - ყველაზე უკეთესი ექიმი სისუფთავეა. აღნიშნულ საკითხს განსაკუთრებული ყურადღება მიექცა საბჭოთა პერიოდში. ცხადია, ახლა სანიტარული კვანძები ზოგ მაცხოვრებელს ყველა ჰიგიენური ნორმების დაცვით აქვს მოწყობილი.

რევოლუციამდელი დროის მომხსრე მოხრობელები მწარედ იგონებენ თავიანთი ახალგაზრდობის დროინდელ ცხოვრებას. ერთ-ერთი მათგანი ისმი მარგოშვილი (გარდაიცვალა 1980 წ. 90 წლისა) იგონებდა: „მე მოვესწარი ქისტების ხშირი სტუმრის ქაქუცა ჩოლოყაშვილის დროინდელი თავადებისა და შეძლებული ხალხის მთავრობას, რომელიც ჩემნაირი გლეხი ხალხისთვის ძალიან მძიმე იყო. კბენარს და რწყილებს ვერ ვწყვეტავდით ოჯახიდან. ტანსაცმელს, ლოგინს ნაცარტუტით ვრეცხავდით. დამე ლოგინში აწვლსა და სხვა სუნიან ბალახს ვიდებდით, რომ დაგვეძინა. ქაილისაგან ტანზე სისხლი დაგვდიოდა, თავის დროზე ალაზანშიც გბანობდით, მაგრამ ტილისა და რწყილის მოსპობაშიც კი ხალხს ხელი არ შეუწყო იმ მთავრობამ. ჩემი ხნის ადამიანებს კარგად ახსოვთ ის დრო, როცა ცალკე ტილი გეჭამდა, ცალკე მთავრობა და ცარიელი მჭადიც სანატრელი გვექონდა. ეხლა ამ მთავრობას მოვესწარი. ჩვენ ყველანი თავადები ვართ. ტილი და რწყილი სად გაქრა, ვერ გავიგე; ყველანაირი საშუალება არის, რომ ხალხმა სისუფთავე დაიცვას. ადამიანმა თუ ხელი გაანძრია, შეუძლია კარგად იკვებოს, ჩაიცვას და თავისი ცხოვრება მოაწყოს, როგორც უნდა. ბევრჯერ მიფიქრია, დმერთო, რატომ იმ დროში დამბადე და არა ამ დროში“ [33: 13]. ბევრს ახსოვს რევოლუციამდელი პერიოდი, როცა მოსახლეობის დიდი ნაწილი უწამლოდ იღუპებოდა. თუმცა მოსახლეობამ იცოდა მკურნალობის ხალხური საშუალებები-სხვადასხვა ბალახის ნაყენისა და მინერალური წყლის გამოყენება, მაგრამ იყო

ისეთი დაავადებებიც – ჭლექი, ტიფი, კანის ხეთრი (იშვითად) და სხვ., რომლის განკურნება ექიმბაშებს ძალიან უჭირდათ.

მ. ალბუთაშვილი წერს: „სოფელი ვინ იქნება ისეთი შეუგნებელი, ბრიყვი და აჯამი, რომ არ ესმოდეს წამლის სამკურნალო ძალა, მისი მნიშვნელობა და სარგებლობა ან ექიმისა და ფერშლის საჭიროება გაჭირვებული ავადმყოფისთვის. მგონია, პირველად ბალახ-ბულახით წამლობა სოფლიდან იყოს შემოდებული და მომხმარებელნიც სოფლელები იყვნენ. ამას ამტკიცებს სოფლური კარაბადინი. მეცნიერებამ აქედან გზა გაიკვლია და ბალახ-ბულახით წამლობა სულ სხვა წრეზედ დააყენა. ...სოფლის ოსტატნი გააბათილა და მათი სამსახური სულ სხვა პირთ მიანდო – ესაც კარგად იცის სოფელელმა. სოფელელმა ისიც იცის, რომ მისი ავადმყოფის მშველელი ჯერ ღმერთია და მერე ექიმი. ისიც იცის, მას ამ ექიმის მიწვევა იაფად არ დაუჯდება. ფული ისესხოს, რაღა ჩაასესხოს! მისი ავადდიდება წლის მოსავალია და „დოხტური“ იმას არ დასჯერდება. გაჭირვებული მიღის აფთიაქში (ქსენის აფთიაქს ეძახიან) და ექიმი ეუბნება „ავადმყოფი თუ არა ვნახე, წამალს ვერ მოგცემ - აქ უნდა მოიყვანო!“! რა ჰქნას საწყალმა სოფელელმა. ...ის თუმანი ვერაფრით მოუხერხებია. უნდა ადგეს და თავისი შეწუხებული ავადმყოფი კამჩის ურემზედ დააწვიოს და ისე წაიყვანოს, ან არა და სულ თავი მიანებოს, რადგან იცის ექიმის ერთი ნახვა საკმარისი არ იქნება და მუდამ თითო ნახვაზე, რომ თუმნები აძლიოს სად იშოვოს“ [32: 3]. ამ ამონაწერიდან ნათლად ჩანს, რომ მოსახლეობა პანკისში დასახლების დროიდან რევოლუციამდე მძიმე მდგომარეობაში იყო. მათი გადარჩენის ერთადერთი იმედი იყო ექიმბაში, რომელიც ავადმყოფს კურნავდა სხვადასხვა ხალხური საშუალებებით და მოლა. ეს უკანასკნელი ავადმყოფს ასმევდა შელოცვილი წყალს, ყელზე დაჰკიდებდა ამულეტს - ჰ ე ი ქ ა ლ და სხვ. საინტერესოა მ. ალბუთაშვილის მიერ ჩაწერილი მასალა: „ქალი ავად გამიხდა. მისი დოხტურთან ერთი წაყვანა შეუძლებელი იყო. წავედი აფთიაქში წამლებისთვის და რაკი ვიცოდი ავადმყოფის უნახავად წამლებს არ მომცემდნენ, გზადაგზა მუავე ტყის მაქალო ვჭამე. ენა სულ მომითუთქა და დამიშხამა, მერე პირზედ ერთი რაღაცა ყვითელთაფა ყვავილის მტვერი წავისვი, მივედი დოხტურთან. იმან მაჯა გამისინჯა, თვალი დამაჭკეტინა, ენა გამომყოფინა, მერე წამალი დამინიშნა; წავედე წამლები შინ, დავალევინე ჩემს ქალს, როგორც მითხრა და მგონია, იმით მორჩაო“. რა თქმა უნდა, ყველა ასე ვერ მოატყუებს ექიმს და ისევ თავის მკითხაე-მარჩიელებს მიენდნენ“ – წერს მ. ალბუთაშვილი [32: 3].

პანკისის ხეობაში ძალიან გავრცელებული იყო მალარია (ციეობა-ხ ო ა რ ჩ). ამის შესახებ შემორჩენილია ძველი გადმოცემები: „ავადმყოფს ციების//მალარიის შეტევის დაწყებისთანავე მოულოდნელად შეასხამდნენ ცივ წყალს ან პერანგის საყულოდან ჩუმად ჩაუდებდნენ ცოცხალ ბაყაყს, რაც იწვევდა ავადმყოფის შიშისგან ნერვიული სისტემის შერყევას და ავადმყოფი შეტევის პროცესის გარეშე გამოდიოდა მდგომარეობიდან“. თითქმის ანალოგიური ხასიათისაა სხვა მთხრობების გადმოცემაც, რომლის პაპას დაუპატიჟია მალარიით (ციებით) დახვადებული თავისი ნათესავი, რომელსაც არანაირმა წამლობამ არ უშველა. გაუმაჰსინძლდა წესისამებრ. სახლში დაბრუნების დროს მას მდინარეზე გადებულ

ხილზე უნდა გაველო, რომელიც მასპინძლის დავალებით წინასწარ გადახერხეს. სტუმარი დააყოვნეს საღამომდე, შემდეგ გამცილებელმა ხილზე პირველად სტუმარი გაატარა. რამდენიმე ნაბიჯი რომ გადადგა, ხილი ჩატყდა და ჩავარდა მდინარეში. ავადმყოფმა შიშისგან დიდი შოკი მიიღო. ამის შემდეგ იგი ამ დაავადებისგან განთავისუფლებულა - აღნიშნავს მთხრობელი.

ცხადია, ხალხურ მედიცინას არავითარი საერთო არ ჰქონდა ექიმბაშებთან. ხალხური მედიცინის საშუალებები, უკვე გამოცდილი და შემოწმებული, გამოცდილებას დაფუძნებული გამოიყენებოდა და თაობიდან თაობას გადაეცემოდა. მაგალითად, თავის ტკივილის დროს სახალხო მკურნალები ხშირად იყენებდნენ ქორთ ოძარ - თავის ამოწვეას (ერთი ხელის შუბლზე და მეორის კეფაზე დადებით) და თავის ქვევიდან ზევით მიმართულ მასაჟს. „ამის შემდეგ თავის ტკივილები ნამდვილად იკარგებოდა“ - წერს უ. მარგოშვილი [34: 10]. თავის ტკივილის დროს ამ ხერხს ქისტები ჩვენს დროშიც იყენებენ. სხვადასხვა დაავადებების სამკურნალოდ ისინი იყენებდნენ ასკილს- ფჰეერამაშ, ჭინჭარს- ნითთაშ, ანწლს - დუდღუმაშ, სიმინდის თმას- ჰეეჯიგ მას, ნიორს - ბო, ხახვს - ხოახ, ცაცხვის ყვავილს - ჰეეიეხ ძოზ, მრავალძარღვას - ფხაბოღფათარ, შარდს - ჩიშ, გოგრის თელს - დაბაბაჰ-ლეეჰიშ, მოხარშულ გარეულ პანტას - ააჰ-ჰეერაშ, ამ პანტის ფქვილის ფაფას - ჰეერეეცუხუდარ, ნავთს- ნავთდასხვ. თუ რომელ დაავადებას რა უხდებოდა, ყველა ხანდაზმულმა ქალმა კარგად იცოდა. ამ საკითხს ჩვენ სპეციალურად შევეხეთ სხვა ნაშრომში [47:].

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ პანკისში ამოაშრეს ჭაობიანი ადგილები. რადიკალური ზომები მიიღეს მაღარიის, ტუბერკულოზისა და სხვა დაავადებების წინააღმდეგ. გაუმჯობესდა მოსახლეობის კვების საკითხი. ჯოჯოხლოში განისხნა ათადგილიანი საავადმყოფო, აფთიაქი, დანარჩენ სოფლებში ამბულატორიები, ხოლო 50-იანი წლიდან სოფ. დუისში 60 ადგილიანი საავადმყოფო. ამჟამად იგი დაკეტილია. არის მხოლოდ ფასიანი საექიმო პუნქტი- სადღეისოდ შექმნილი მდგომარეობის გამო.

1. А х р и е в Ч., Ингушские праздники, ССКГ, вып. 5, Тифлис, 1871.
2. აგლორის მიერ ველზე შეკრებილი მასალა, ვედენო, შადი, (ნებ.), 1974, 1978, რე. 2.
3. Ш и л и н г Е., Ингуши и чеченцы, Религиозные верования народов СССР, Т. II, М.-Л., 1931.
4. Далгат Б., Первобитная религия Чеченцев, ГС, вып. 3, кн. 2, Владикавказ, 1893.
5. Семенов Л., Археологические и этнографические розискания в Ингушетии в 1925-1932 годах, Грозный, 1963.
6. Марковин В., Чеченские средневековые памятники верховьях реки Ченты-Аргуна, ДЧИ, М., 1963.
7. Мужухоев М., Средневековая материальная культура горной Ингушетии, Грозный, 1977.
8. Чурсин Г., Очерки по этнологии Кавказа, Тифлис, 1913.
9. Харузин Н., По горам Северного Кавказа, „Вестник Европы“, Т. 5, Спб., 1888.
10. Миллер В., Терская область, Археологические экскурсии, МАК, 1, М., 1888.
11. Бараченко Н., К хронологии некоторых типов святилищ Чечено-Ингушетии, Археология и атеизма, Грозный, 1977.
12. Крупнов Е., О чем говорят памятники материальной культуры Чечено-Ингушской АССР, Грозный, 1961.
13. Шавхелишвили А., Из истории взаимоотношений между грузинским и чечено-ингушскими народами, Грозный, 1963.
14. Гамбашидзе Г., К объяснению названия храма Тхаба-Ерды, жур. „Мацне“, №2, Тб., 1974.
15. Броневский С., Новейшие географические и исторические сведения о Кавказе, ч. 2, М., 1823.
16. Лаудаев У., Чеченское племя, ССКГ, вып. 6, Тифлис, 1872.
17. Алборов Б., Ингушское „Гальерди“ и Осетинское „Аларди“, Влад. 1928.
18. Саламов А., Правда о „Святых местах“ в Чечено-Ингушетии, Сборник статей, Грозный, 1964.
19. Шамилев А., Религиозные культы чеченцев и ингушей и пути их преодоления, Грозный, 1963.
20. Ипполитов А., Учение „Зикр“ и его последователи, ССКГ, вып. 2, Тиф., 1869.
21. Смирнов Н., Мюридизм на Кавказе, АН СССР, М., 1963.
22. მარგოშვილი ლ., რელიგიური გადმონაშთები პანკისის ქისტებში, „მაცნე“, №2, თბილისი, 1979.
23. ბარდაყვლიძე ვ., აღმოსავლეთ საქართველოს მითიანეთის ტრადიციული საზოგადოებრივ-საკულტო ძეგლები, თბ., 1985.
24. ხიზანაშვილი ნ., ეთნოგრაფიული ნაწერები, თბ., 1940.
25. ოჩიაური თ., მითოლოგიური გადმოცემები აღმოსავლეთ საქართველოს მითიანეთში, თბ., 1967.

26. Робакидзе А.И., Гегечкори Г.Г., Формы жилища и струкура поселения горной Осетии, КЭС т. V, вып. I, Тб., 1979.
27. მარგოშვილი დ., პანკისელი ქისტების წეს-წყველები და თანამედროვეობა, თბ., 1985.
28. Хуцишвили Л., Святылище св. Георгия в селе Биркиани (Панкиское ущелье), КЭС, VII, Тб., 1988.
29. საქცია, ფ. 26, ანაწ. 6, №1311.
30. პავლიაშვილი დ., სასკოლო საქმე თიანეთის მაზრაში, ვაზ. „ცნობის ფურცელი“, №236, 1903.
31. კახეთი, „ივერია“, №24, 1888.
32. აღბუთაშვილი მ., პანკისის ხეობის აღწერილობა, 1898, რგ. 6
33. ავტორის მიერ ველზე შეკრებილი მასალა, პანკისი, რგ. 6, 1988, 1995, რგ. 2, 2001, რგ. 1.
34. მარგოშვილი უ., პანკისის ხეობა, 1950–1972, რგ. №3, 4, 5.
35. ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, წიგნი I, ტფილისი, 1928
36. Гониашвили Т., Словесные схождения Чеченского и Картвельских языков, труды ИЯМК, т. V-VI, Тб., 1940.
37. „ქისტო ჩობანო“, „ნიჯუა“, „სინიო“ და „ლოღუაი“, ვაზ. „ივერია“, №27, 1903.
38. Мальсагов Д., О некоторых непонятных местах в слове о полку Игорева, ЧИНИИЯЛ, т.1, 2, Грозный, 1969
39. Вертепов Г., В горах Кавказа, ТС, вып. 6, ВЛД, 1903.
40. Ахриев Ч., Об ингушских женщинах, ССТО, 1, ВЛАД, 1871.
41. Гаджиева С., Кумыки, М., 1961.
42. მარგოშვილი დ., ცენტრალური კავკასიონის მთიელი ქალის ტანსაცმელი, თბ., 1980.
43. Крупнов Е.И., Средневековая Ингушетия, М., 1971.
44. Алероев И., Кистинский диалект чеченского языка, ЧИНИИЯЛ, т.3, вып. 2, Языкзнание, Грозный, 1962.
45. ხერხეულიძე გრ., შენიშენები თანამედროვე ქართულ ქორეოგრაფიაზე. კურ. „საბჭოთა ხელოვნება“, 1967, №7.
46. Леонтович Ф., Алаты Кавказских горцев, т. II, Одесса, 1883.
47. Маргошвили Л., Культурно-этнические взаимоотношения между Грузией и Чечено-Ингушетией, Тб., 1990.

პ ა ნ კ ი ს ი ს ა ბ ზ ო თ ა პ ე რ ი ო ლ შ ი
და დღეს

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, სახელმწიფოში განვითარებული სოციალისტური გარდაქმნების პროცესები, პანკის ისევე შეეხო, როგორც ქვეყნის სხვა რეგიონებს. ამ პროცესების უზრუნველსაყოფი თუ დამაჩქარებელი ღონისძიებები ინტენსიურად ვრცელდებოდა მთელს ხეობაში. ახალი მთავრობის მიერ გამოქვეყნებული დეკრეტით – მთელი მიწები მშრომელი ხალხის საკუთრებად გამოცხადდა. აიკრძალა მისი გასხვისება, ყიდვა-გაყიდვის ყოველგვარი ფორმა და მოექცა სახელმწიფოს ფონდში. მიწა გლეხებს გაუნაწილდა მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატისა და სამაზრო თუ სარაიონო ხელისუფლების წარმომადგენელთა მონაწილეობით [1: 125].

1923 წელს საქართველოს მოსახლეობის 80% ჩაება სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში. გლეხს საკუთრებად დარჩა 50 მეასედი საკარმიდამო ნაკვეთი, ხოლო ზედმეტი მიწა ჩამოართვეს და საერთო სარგებლობისად გამოცხადდა [2: ვ. 5].

საქართველოში სოფლის მეურნეობის მასობრივი კოლექტივიზაცია დაიწყო 1929 წელს. კულაკთა ჯგუფები ყველანაირად ცდილობდნენ ხელი შეეშალათ საკოლმეურნეო მოძრაობისთვის. 1930 წელს თელავის რაიონის სოფ. ვარდისუბანში კულაკებმა მოკლეს ოთხი კოლმეურნე და ორი კომკავშირელი. ღარიბმა და საშუალო გლეხობამ მათ საკადრისი პასუხი გასცა [3: 628]. ამ ამბავმა გააღიზიანა ამავე რაიონის სხვა სოფლების გლეხობაც, რომელმაც ხმა აიმაღლა კულაკების წინააღმდეგ. ჩანაწერების მიხედვით, მათ მხარს არ უჭერდა ადგილობრივი მოსახლეობის ძირითადი ნაწილი. თუ რაიმე წინააღმდეგობა მოხდებოდა კულაკების მხრიდან გლეხებზე ზეწოლის, ქისტების ცხენოსანი რაზმიც უმაღლე იქ ჩნდებოდა [4: 18].

მთხრობელი ლ. გაურგაშვილი (89 წლისა) გადმოგვცემს, რომ კულაკთა რიცხობრივი რაოდენობა ჩვენი რაიონის სოფლებში ბევრი არ იყო, მაგრამ ნოყიერი მიწის მფლობელები ძირითადად იხინი იყვნენ. ქისტების ნაწილმა, ფშავლებმა და ოსებმა მიწა ზოგი იჯარით, ზოგი ფულით, თავადებისგან, კულაკებისგან შეიძინეს. „ვისაც ყიდვა არ შეეძლო, ის ძალაუნებურად შეძლებულის მონა-მორჩილი ხდებოდა. ამდენად, ბოლშევიკების მიერ გადაადგმული ნაბიჯი ღარიბი გლეხისთვის მისადები მოვლენა იყო (პანკისის ხეობის მოსახლეობაში კულაკთა რიცხვს არც ერთი ოჯახი არ განეკუთვნებოდა). მაგ., მე მყავდა 500 სულამდე ცხვარი. სამაგიეროდ მიწა მქონდა ერთი გექტარი, რაც ორი დღის სამუშაო იყო და ოჯახს ამით ვერ შევინახავდი. გავიჩინე ცხვარი და მისგან მიღებული შემოსავლით ოჯახსაც ვინახავდი და გაჭირვებულ მეზობელ-ნათესავსაც ცოტაოდენით ვეხმარებოდი. ჩემისთანა ცხვრის პატრონები ხეობაში რამდენიმე ოჯახი იყო. ზოგიერთებს მსხვილფეხა საქონელი ჰყავდათ, ზოგს მეტი მიწის ფართობი, მაგრამ დიდქონებიანი, თვალში მოსახვედრი არც ერთი ოჯახი არ იყო. განკულაკების პერიოდში პანკისის ხეობიდან გასახლებული იქნა ერთი ოჯახი (დაუთ მარგოშვილი), რომელსაც ჰყავდა ას სულამდე ცხვარი, ორი ძროხა

და წისქვილი“ - აღნიშნავს მთხრობელი [4: 10]. აღსანიშნავია ისიც, რომ 1932–1937 წლებში პანკისში დაწყებული მოვლენების შედეგად შემოთხსენებულმა ოჯახმა, თავისი სურვილით მიწის გარდა, არტელს მისცა 15 ცხვარი, ერთი ძროხა, ჩამოერთვა წისქვილიც, მაგრამ შავ სიაში შეტანილ ოჯახს არაფერმა უშველა. დაუთ მარგოშვილი თავისი ცოლშვილით გადასახლებული იქნა ყაზახეთში. 14 წლის შემდეგ იგი დაბრუნდა მშობლიურ სოფ. დუისში.

პანკისის ხეობის ყველა სოფელში შეიქმნა კოლმეურნეობა. ცხადია, რამდენიმე ოჯახში კოლმეურნეობაში შესვლის წინააღმდეგი იყო, მაგრამ ადგილობრივი კომისიის მიერ ახსნა-განმარტების მიცემის შემდეგ უკან დაიხიეს. მეორეც, ადათის მიხედვით, ქისტურ მოსახლეობას უფლება არ ჰქონდა სახელმწიფოს სათავეში მოსულ მთავრობას და დამორჩილებოდა. მთავრობის მიერ გაცემული დეკრეტი ყველას ეხებოდა კოლმეურნეობის თავმჯდომარეებისთვის ქ. თელავში გაიხსნა სამთვიანი კურსები, სადაც შეასწავლეს ხელმძღვანელად მუშაობის მეთოდები. აქვე მომზადდა ბუღალტრები, აგრონომები, ზოოტექნიკოსები, რომლებმაც იმუშავეს სპეციალური განათლების მქონე კადრების მოსვლამდე. პანკისის ხეობაში ჩამოყალიბდა ორი სასოფლო საბჭო დუისსა და ჯოყოლოში, რომლებშიც გაერთიანდნენ ახლომახლო მდებარე სოფლები. ამ სასოფლო საბჭოების თავმჯდომარეებად სხვადასხვა დროს იმუშავეს ქართველებმა: სიმონ მამულაშვილმა, არჩილ ცქიფურიშვილმა, ვასო ესიტაშვილმა, სოსო პაპუნაშვილმა, შაქრო და ვარდენ მაისურაძეებმა, ალექსი ჭიბალაშვილმა, ლადო ლოქაფიშვილმა, მიშა ლუარსაბოვმა და დავით დვალიშვილმა; ადგილობრივმა ქისტებმა: უსუფ მარგოშვილმა, ელიოზა გუმაშვილმა, მახმად მარგოშვილმა, მახმად ქავთარაშვილმა, ბუღდან ბადაკაშვილმა, შოთა ბადაკაშვილმა, კობე მუთოშვილმა, უსუფ აჭიშვილმა, სულხან მარგოშვილმა და სხვ. ფშავლებიდან ნიკა სამუკაშვილმა, ოსებიდან რევაზ ქელეხიძემ, გიგო ჯიოევაძე, გიორგი ბაბოევმა, გიგო ცხოვრებოვმა და სხვ. რათი ხელმძღვანელ თანამდებობაზე მუშაობის პერიოდში ხეობაში რაიმე უთანხმოებას ადგილი არ ჰქონია. ყველა შრომისუნარიანი მოსახლე კოლმეურნი გახდა. დუისის კოლმეურნეობა, რადგან დიდი სოფელი იყო, გაიყო ორად – ქვემო და ზემო კოლმეურნეობად. მიწის ფართობი და მეცხოველეობის ფერმაც ორად გაყვეს. ძირითადად თითოეულმა კოლმეურნეობამ ათთვისა ის მიწა, რომელიც იმ სოფლის მეცხოველეებს ეკავათ და მოსახლეობას იჯარით ჰქონდა აღებული მიწის მფლობელებისგან. კოლმეურნეობის კუთვნილი მიწები ათვისებული და გამოყენებული იქნა მისი ვარგისიანობის მიხედვით – სად რომელი კულტურა მეტ მოსავალს იძლეოდა.

საკოლმეურნეო დოვლათის დაგროვებას ხელი შეუწყო სახნავი და სხვა სახის სასოფლო-სამეურნეო იარაღებით (თოხი, ბარი, ფიწალი, ფოცხი, ცელი, საღვწი კვერი, გუთანი და სხვ.) კოლმეურნეობის მომარაგებამ. შემდგომ ხეობაში გაჩნდა ერთი ტრაქტორი და კომბაინი, რომელმაც შეუმსუბუქა მშრომელებს შრომა და შეცვალა ასობით გამწვევი ძალა. ხისა და რკინის გუთნები – თუმცა ეს უკანასკნელი შეუცვლელი დარჩა ფერდობ და მდლობ ადგილებში მდებარე მიწის ფართობისა და მოსახლეობის საკარმიდამო ნაკვეთების მოსახენელად.

მასთან ერთად დღემდე შემონახულია რკინისა და წნელის თავდაპირველი ფარცბი, რომელიც შორეულ წარსულიდან მოდის. საარქივო მონაცემების მიხედვითაც, პანკისის ხეობისთვის გამოყოფილი იქნა 2000 მან. სასოფლო-სამეურნეო იარაღების შესაძენად. უფასოდ გადაეცა ერთი ტრაქტორი, იმ პირობით, რომ საკუთარი კოლმეურნეობის ხენა-თესვის დამთავრებისთანავე გადასცემდნენ მეზობელ ქართველ და ოს მოსახლეობას, რომ მათაც დროულად მოეწვროთ საგაზაფხულო ხენა-თესვის ჩატარება“ [2: 4].

ყოფილი კოლწევრი ხ. მარგოშვილი (78 წლისა) აღნიშნავს: „ზემო კოლმეურნეობის წევრები დაყოფილი ვიყავით ექვს ბრიგადად. ექვსივეს თავ-თავისი მოსახნავი, დასათესი, სათონი, სამკელი, გასაღწვი გვექონდა. ასეთიარად დაყოფილი იყო ქვემო კოლმეურნეობაც. ბრიგადები ერთმანეთს ვეჯიბრებოდით მოსავლის მოყვანაში, აღებაში და საგაზაფხულო ხენა-თესვაშიც. ზაფხულში ყანების აღების დროს მთელი დღე მუშაობის შემდეგ ცოტას დავისვენებდით და მთვარიან ღამეებშიც ვაგრძელებდით მუშაობას იმედას და ჰოდუხას ზურნისა და დოლის პანგების მოსმენით, სანამ მთვარე გვინათებდა და დაღლას არ ვიგრძნობდით. დილას ისევე ვაგრძელებდით მუშაობას – განსაკუთრებით ასე დაუღალავად ვმუშაობდით თბიანობის პერიოდში, რომ მეტი პროდუქტი გავეგზავნა ფრონტზე. ამ კოლექტიურმა მუშაობამ ისე დაგვაახლოვა ნათესავი თუ არანათესავი ერთმანეთს, რომ კოლმეურნეობის სამუშაოს დამთავრების შემდეგ საკარმიდამო ნაკვეთების გათოხენაში, სიმინდის აღებაში ვეხმარებოდით ერთმანეთს. კოლმეურნეობაში ჩვენი შრომის შედეგებსაც ვუწევდით ანგარიშს. დავინახეთ, რომ მუშაობა იყო ხალისიანი და ჩვენი შრომით შემოტანილი დოვლათი ჩვენს თვალწინ ნაწილდებოდა. სახელმწიფო გეგმასაც ვასრულებდით და ყველა კოლწევრს თავისი შრომის ანაზღაურება – სიმინდითა და ხორბლით დატვირთული უბრები სახლებში მიუდიოდათ, რომელიც ოჯახსაც ჰყოფნიდა და სარეალიზაციოდ თელავისა და თიანეთის ბაზრებშიც მიჰქონდათ. როცა კოლმეურნეობები მეურნეობად გადაკეთდა, მაშინ წახდა ჩვენი საქმე. მთელი დღე მუშაობით კაპიკებს გვაძლევდნენ და სამუშაოდ წასვლა არავის არ უნდოდა“ [4: 12]. ანალოგიურ მონაცემებს გვთავაზობენ მთხრობელები: დ. ბადაკაშვილი, მ. მარგოშვილი, მ. დუიშვილი და სხვ.

კოლმეურნეობის დაარსების დღიდან შეიქმნა მეცხოველეობისა და მეცხვარეობის ფერმები. ამ საქონელს თავი მოუყარა თვით მოსახლეობამ, რომელიც ზაფხულში დიდგვერდის, ჭიქაურის მთებში ჰყავდათ, ხოლო ზამთარში შირაქის საზამთრო საძოვარზე. აღნიშნული მეურნეობა ხელს უწყობდა ხორცის დამზადების სახელმწიფო გეგმის შესრულებას. ომამდელი წლები პანკისში და მის მეზობელ კახეთის სოფლებშიც მარცვლეული კულტურების (ხორბალი, სიმინდი) მაღალი მოსავლიანობით გამოირჩეოდა. ზოგჯერ მოსავლიანობა შედარებით დაბალი იყო, რაც გამოწვეული იყო სახნავი მდელოების გეოგრაფიული მდებარეობით და გვაღვიანი ამინდებით. კოლმეურნეობის დაარსებიდან ხუთი წლის შემდეგ, კოლწევრებმა შეაჯამეს თავიანთი კოლექტიური შრომა და მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ შრომის ორგანიზაციას, მის მზარდ ხასიათს მოაქვს

მნიშვნელოვანი ანაზღაურება, რაც მათი აზრით აუმჯობესებს კოლწევრების სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას.

თელავის სახელმწიფო არქივში შემონახულია საბუთი, რომლის მიხედვით 1939-1940 სამეურნეო წელს დუისის ორივე კოლმეურნეობამ გადაჭარბებით შეასრულა მარცვლეული კულტურისა და ხორცის დამზადების წლიური გეგმა, მაგრამ ფოთლომ ხორცის გეგმა შეასრულა, მარცვლეულისა კი ვერა [2: 4].

1941 წელი - საქართველოს მთავრობამ ომის პირველი დღეებიდანვე დარაზმა მშრომელები. ზამევე წლის 1 ივლისისთვის ქართველებმა წარმატებით შეასრულეს პირველი რიგის სამხედრო ვალდებულთა მობილიზაციის გეგმა. გასაწვევ პუნქტებში გამოცხადდა ათასობით მოხალისე და ითხოვნენ ფრონტზე გაგზავნას. სამხედრო კომისარიატებში შემოვიდა 7 907 განცხადება, ხოლო საქართველოს ალკა ხელმძღვანელ ორგანოებში - 13 640 განცხადება წითელი არმიისა და სამხედრო-სახლგაო ფლოტში მოხალისედ ჩარიცხვის შესახებ [3: 741]. უნდა ითქვას, რომ ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ ომი იყო ძალზე მკაცრი და ყველაზე მძიმე იმ ომებიდან, რომლებიც ოდესმე ყოფილა ისტორიაში. ომის დაწყების პირველივე დღეებში საქართველოს სოფლის მეურნეობას გამოაკლდა 94 ათასი შრომისუნარიანი მამაკაცი და ქალი, მოქმედი მუშახელის თითქმის ნახევარი. ფრონტზე გაიგზავნა აგრეთვე ტრაქტორებისა და ავტომანქანების მთელი პარკი. საქართველოს სასოფლო-სამეურნეო რაიონებმა გაზარდეს მარცვლეულის, კარტოფილის, ბოსტნეულის და ზეთიანი კულტურების ფართობები და სხვ. [3: 746]. ამ ღონისძიებების მიღმა არ იდგა საქართველოს არცერთი ქოთხის მაცხოვრებელი. ომის დაწყების პირველ დღიდანვე პანკისის ხეობიდან (ქისტვი, ფშაველი, ოსი) გაიწვიეს 250 მუშა. ქალები, მოხუცები, მოზარდები ბეჭითად ჩაებნენ სასოფლო-სამეურნეო შრომაში, რათა პურით, ხორცით, თბილი წინდებით, ხელთათმანებით და სხვ. დახმარებოდნენ ფრონტზე წასულ მეომრებს. ზოგიერთ ოჯახს ეზოში მოჰყავდა თუთუნი და აბარებდნენ რაიონის მიმღებ პუნქტებს ფრონტზე გასაგზავნად. ამასთან ერთად საყურადღებოა ისიც, რომ ქისტებმა შეიფარეს რუსეთიდან ლტოლვილი რუსი ეროვნების ხანდაზმულ მამაკაცთა, ქალთა და ბავშვთა ჯგუფი, რომლებიც ოჯახებში ჰყავდათ განაწილებული და უყოფდნენ მათ ლუკმა-პურს და ჩასაცმელს. კოლმეურნე ქალები დაწინაურებული იყვნენ თავმჯდომარეებად, ბრიგადირებად, მეცხოველეობის ფერმების გამგებებად და სხვ. დუისის კოლმეურნეობის თავმჯდომარის ჯარში გაწვევის შემდეგ მის ადგილას დაინიშნა ნატაშა ალდამოვა, რომლის მეუღლემ მახმად (მიხილ) კოსტას ძე მარგოშვილმა 1941 წლის 23 ივნისს განახორციელა პირველი გადაფრენა ბრესტ-ლიტოვის რკინიგზის დასაბომბად. რაღდაც ქისტებში პირველი მფრინავი მახმად მარგოშვილი იყო, ვგავცნობთ მის მოკლე ბიოგრაფიას: 1937 წელს დაამთავრა თბილისის სამხედრო ფეხოსანთა სასწავლებელი ლეიტენანტის წოდებით, რომლის დამთავრების შემდეგ გააგზავნეს ქ. ორენბურგის საავიაციო სკოლაში მსმენელად. 1938 წელს მიანიჭეს მფრინავ-მზვერავის წოდება და მივიღინებული იქნა ქ. ორიოლის 45-საავიაციო პოლკში სამსახურის გასაგვლად. 1940 წელს გადაიყვანეს ქ. კურსკის 51 საავიაციო პოლკში. 1941 წელს დაიწყო სამამულო



სურ. 50. ნატაშა აღდამოვა-პირველი ქისტო ქალი, სოფ. დუისის კოლმეურნეობის თავმჯდომარე 1943-46 წწ.
ო. მარგოშვილი-პირველი ქისტო იურისტი

ომი. როგორც ითქვა, მან პირველი საბრძოლო გადაფრენა მოახდინა 1941 წლის 23 ივნისს ბრეიტ-ლიტოვსკის რკინიგზის დასაბომბად, სადაც თავმოყრილი იყო მტრის 20-ზე მეტი ეშელონი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ გამოსავ-ზავნად. მეორე საბრძოლო გადაფრენა მოხდა 24 ივნისს - წინ მომავალი ფაშისტების კოლონების დასაბომბად. მესამედ - 26 ივნისს ვილნიუსის აეროდრომის დაბომბვისას ჩამოაგდეს თვითმფრინავი და მძიმედ დაჭრილი მ. მარგოშვილი ტყვედ ჩაუვარდა მტრებს. მათ ხელში იყო თითქმის ერთი წელი. 1942 წლის მაისში მ. მარგოშვილი გამოიქცა ქ. კაუნასის საკონცენტრაციო ბანაკიდან და შეუერთდა მინსკის ოლქში ბრიაგინა გასტკულას სახ. პარტიზანთა ჯგუფს; მონაწილეობა მიიღო ფრონტისკენ მიმავალი გერმანელთა ექვსი ეშელონის აფეთქებაში და სხვა ოპერაციების შესრულებაში. ჭრილობების გართულების შედეგად და-



სურ. 51. მიხეილ (მახმად) კოსტას-ძე მარგოშვილი პირველი ქისტო მფრინავი.

კადდა და იგი 1945 წლის იანვარში დაუბრუნდა მშობლიურ კერას. დაჯილდოებული იყო ორდენებითა და მედლებით. მას ხუთი ვაჟიშვილი დარჩა. ამჟამად იგი გარდაცვლილია.

ბავშვობაშივე ობლად დარჩენილი მაჟითა ხანგოშვილი კოჯრის ბავშვთა სახლში გაიზარდა. სკოლის დამთავრების შემდეგ იგი მოეწყო ქ. ორჯონიკიძის პედაგოგიურ ხასწავლებელში, რომლის დამთავრების შემდეგ მუშაობა დაიწყო დუისის არასრულ საშუალო სკოლაში რუსული ენის მასწავლებლად. სულ მალე - 1939 წელს მაჟითა ხანგოშვილი საბჭოთა არმიის რიგებში გაიწვიეს. გერმანიის წინააღმდეგ ომი მან მარშალ შუკოვის არმიის სატანკო ნაწილში დაიწყო. ერთ-ერთი შეტაკების დროს მაჟითას ტანკი გერმანელებმა ააფეთქეს. მიწაში ჩამარხული მაჟითა მაშველმა რაზმმა იპოვა, დაშავებული

პოსპიტალში მოათავეს. ერთი თვის შემდეგ იგი გამოჯანმრთელდა, მეტყველების უნარიც დაუბრუნდა და კვლავ ფრონტს მიაშურა. ბრძოლით განვლო პოლონეთი, უნგრეთი, ჩეხოსლოვაკია და ბერლინამდე მივიდა. იგი ამ რესპუბლიკების



სურ. 52. მარცხნივ მაჟით ხანგოშვილი, პირველი ქისტი ოფიცერი.

განთავისუფლებაში მონაწილეობისათვის დაჯილდოებული იყო ორდენებით და მედლებით. შემდეგ საჯირო გახდა ომის მეორე კურსი – იმპერიალისტური იაპონიის განადგურება, სადაც მონაწილეობა მიიღო მაჟით ხანგოშვილმაც. ქვეყნისა და ხალხის წინაშე ვალმოხდილი 1946 წელს დაუბრუნდა მშობლიურ კერას, მაგრამ ომში მიღებულმა ტრავმამ ხელახლა იჩინა თავი და დაბრუნებიდან ექვსიოდე თვის შემდეგ გარდაიცვალა [5: 3]. გამორულად დაიღუპნენ მოჩუყ და მახმად ქავთარაშვილები, ავტყედირ, ისა, შერიფ მარგოშვილები, აიუფ გაურგაშვილი, ახმად ხანგოშვილი, ესქი ბადაკაშვილი, ვისარდ აღდამოვი, მუხმად ცათიაშვილი, ჰასან აჯიშვილი, საშა ცხადაძე, აიუფ ნაციშვილი, ესქი მუზიკაშვილი, ფილიპე ცხოვრებოვი, ვანო კოჩიევი, შაქრო ხუგაევი, ალექსი ბანანაშვილი, ირაკლი ბაღლიაშვილი, შაქრო ფხაკალაშვილი, ირაკლი თორღუაშვილი და სხვა მრ. ზოგიერთები დაინვალიდებული, მედლებითა და ორდენებით გულმკერდდამშვენებული დაუბრუნდნენ

მშობლიურ კერას და თითო-ოროდას გარდა მშობლიურ მიწას მიბარდნენ.

მოგონების ღირსნი არიან პანკისის ხეობიდან ომში გაწვეული და შინმოუსვლელთა სიაში მოხვედრილი, თავგანწირული ყველა ქისტი, ფშაველი და ოსი თანამემამულეები, რომლებსაც თაობები არ დაივიწყებენ. მათი რიცხვი საკმაოდ დიდია.

ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვებას პანკისელები ყოველწლიურად ზეიმობენ სოფელ დუისთან „დაბად გორაზე“ პანკისის ხეობის შინმოუსვლელთა სადიდებლად აღმართულ მემორიალ – თეატრონის კომპლექსთან [6: 3].

1942–1945 წლებში ხეობის კოლმეურნეობების მინდვრებში შრომობდნენ შრომისუნარო ხანდაზმული ქალები და მოზარდებიც კი. საზაფხულო არდადეგებზე მათ უერთდებოდნენ მოსწავლეები და მასწავლებლები შრომადღების ანაზღაურების გარეშე, რათა დახმარებოდნენ თანასოფლელებს და მეტი პროდუქტი გაეკზავნათ ფრონტზე მემორებისთვის. პროდუქტთან ერთად გზავნიდნენ თბილ ტანსაცმელს, წინდებს, ხმელ ხილს, გამამხნეველებ ბარათებს: „მიიღეთ ჩვენი გულით, სულით გამოგზავნილი პატარა ამანათი. ჩვენც გავიზრდებით და ჩავდგებით

სამშობლოს დამცველთა რიგებში“. პანკისის ხეობის ყველა კოლმეურნეობაში ორ თვეში ერთხელ მზადდებოდა ფრონტზე გასაგზავნი ამანათები, რომელთა მზადებაში მონაწილეობას იღებდნენ მოსწავლეებიც. წითელი არმიის ისტორიული გამარჯვებით აღფრთოვანებული პანკისის მოსახლეობა, საქართველოს სხვა მოსახლეობასთან ერთად, უდიდესი ენთუზიაზმით შეუდგნენ 1945–1950 წლებში საწარმოო გეგმების შესრულებას.

მთხრობელის მახამა მარგოშვილის გადმოცემით (79 წლისა) ბრიგადებად დაყოფილი კოლწევრები თავთავიანთ მაშულს ამუშავებდნენ, ხშირად ურთიერთ დახმარებითაც. სულ მალე ხეობის ყველა კოლმეურნეობის ბაზაზე შეიქმნა „პანკისის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობა“, რომელშიც გაერთიანდა ქისტი, ფშაველი და ოსი მოსახლეობა. მშრომელებს შრომადღებები ნატურის ნაცვლად ფულით აუნაზღაურეს. კოლმეურნეობის ხორბლისა და სიმინდის მაღალშემოსავლიანი მიწის ფართობებში 1950–1955 წლებში გაშენებული იქნა ვენახი, რომელიც პანკისის პირობებში შემოსვლას ვერ ასწრებდა, ღებებოდა და თანაც შემოსავლიანი არ იყო. ამასთანავე, ამ ნოიერ ადგილებში გააშენეს ხეხილის ბაღი, ხოლო სიმინდს და ხორბალს თესავდნენ ფერდობ და უვარგის ადგილებში და შემოსავალმაც შესამჩნევად იკლო. მუშის შრომა-დღიურზე ფულადი ანაზღაურებაც მცირე იყო და ამიტომ ხალხს გული აუცრუვდა მეურნეობაში მუშაობაზე [4: 15].

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან დამოკიდებულება რელიგიის, ეკლესიისა და მჩეეთის მიმართ ძირეულად შეიცვალა. მარქსისტულ–ლენინური მსოფლმხედველობა მატერიალისტურია, ამდენად იგი შეუთავსებელია რელიგიასთან. ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა: „მოელი ჩვენი პროგრამა აგებულია მეცნიერულ და ამასთანავე, სწორედ მატერიალისტურ მსოფლმხედველობაზე, ამიტომ ჩვენი პროგრამის განმარტება აუცილებლად სარწმუნოებრივი ბურჟუის ჭეშმარიტი ისტორიული და ეკონომიური ფესვების განმარტებასაც შეიცავს. ჩვენი პროპაგანდა აუცილებლად ათეიზმის პროპაგანდას შეიცავს...“ [7: 87]. სწორედ ამ რწმენით გაიზარდა საბჭოთა პერიოდის ახალგაზრდობა. გამომდინარე აქედან, პანკისშიც არც ერთ ეროვნებაში (ქისტი, ფშაველი, ოსი) არ იგრძნობოდა რელიგიისადმი განსაკუთრებული ფანატიკური განწყობა. ამავე დროს მათ რწმენაში არ იკარგებოდა წარმართობის, ქრისტიანობის (ქისტებში დამატებით მაჰმადიანობის) ელემენტები. როგორც ზემოთაც ითქვა, ქისტები ხან მაჰმადიანურ რიტუალებს ასრულებდნენ, ხან კი მართლმადიდებელ ეკლესიაშიც დადიოდნენ. მაგ., ღვთისმშობლის ეკლესია – ჯოყლოში, ომალოში; წმ. გიორგის ეკლესია – ბაღთაგორაზე და სხვ. სალოცავებში ახალგაზრდობა მხოლოდ გართობის მიზნით მიდიოდა. ამასთან ერთად, ქისტი მოსახლეობის ხანდაზმულმა მამაკაცებმა და ქალებმა უარი არ თქვეს მაჰმადიანურ სექტებში მონაწილეობაზე. ეს სექტები დღესაც მოქმედა. მათ შეკრებებში არ მონაწილეობდნენ სკოლის ბავშვები და ახალგაზრდები. იმას არც უფროსი თაობა მოითხოვდა.

ქისტებში ჩვეულებრივ მოვლენად იქცა ქრისტიანსა და მაჰმადიანს შორის ქორწინება, ძმობილ-ღმობილობა, ქალ-ვაჟის ნიშნობის წესი, მათი ჩაცმულობა,

საქორწილო, სამგლოვიარო თუ სასტუმრო სუფრა და ბევრიც სხვა ქართველების წესისამებრ სრულდებოდა. ქისტებში გაერცვლებულია ქართული სახელები, ახალგაზრდებს ქისტურ სახელებს იშვიათად არქმევენ. საბჭოთა ხელისუფლებამ თავისი დაარსების დღიდან ყურადღება გაამახვილა 1921 წელს გამოქვეყნებული დეკრეტის – „წერა-კითხვის უცოდინრობის ლიკვიდაციის შესახებ“ – პანკისის მთიელების ცხოვრებაში გატარებაზე. როგორც ითქვა, გაიხსნა სკოლები, წერა-კითხვის შემსწავლელთა ჯგუფები. თამამად შეიძლება ითქვას, რომ დღეს პანკისის ხეობაში წერა-კითხვის უცოდინრობა (თუ არ ჩავთვლით ხანდაზმულებს) ლიკვიდირებულია. დღეს მოსახლეობა ნოსტალგიის გრძნობით იგონებს საბჭოთა ხელისუფლების მიერ წლების მანძილზე გატარებულ ღონისძიებებს, რამაც ქისტებს უკუაღვლინა ბევრი მთავი ტრადიცია და ბევრიც შემატა მათ ყოფას სასიკეთო. სადღეისოდ პანკისის ქისტების სოფლებში უმადლესი და საშუალო ტექნიკური განათლების მქონეთა რიცხვი უფრო მეტია, ვიდრე კახეთის რეგიონის ნებისმიერ სოფელში. ჰქვამად ქისტებს ჰყავთ ადგილობრივი კადრები – მასწავლებლების (ყველა სპეციალობის), ექიმების, ექთნების, ინჟინრების, ზოოტექნიკოსების, მიწათმოქმედების, იურისტების, კულტურის მუშაკების და სხვათა სახით, რომლებიც დღეს საშუალო ადგილების უქონლობას განიცდიან.

რევოლუციამდელ დონესთან შედარებით, ქისტების სოციალურ-ეკონომიკური დონე მკვეთრად შეიცვალა. ამდღედა სტუმართმოყვარეობის მამა-პაპური ტრადიცია. ქისტებს ბევრი ჰყავთ სხვა ეროვნების, რწმენის მეგობრები, ამხანაგები, ერთად მუშაობით შექმნილი, დანათესავებული ოჯახები – საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. სტუმარი მათთან იგივე უფლებით სარგებლობს, როგორც იჯახის რიგითი წევრი. ბევრი სასიკეთო ძეგრების გვერდით ქისტებში აღმოუფხვრელი დარჩა ადათობრივი სამართლის სიცოცხლისუნარიანობა [8]. სისხლ-მესისხლეობა ქისტებში დღეს საკმაოდ იშვიათი მოვლენაა მათ სოციალურ ყოფაში ბევრი ისეთი პრობლემა გვხვდება, რომელთა დარეგულირება ადათობრივი სამართლის გარეშე არ ხერხდება. ამდენად ამ საშიში ჩვეულების წინააღმდეგ საჭიროა ბრძოლა, რათა საქართველოს ტერიტორიაზე იმოქმედოს მხოლოდ სახელმწიფო იურისდიქცია.

საბჭოთა ხელისუფლების დაშლამ მასში შემაჯალ ქვეყნებს მძიმე ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული პირობები შეუქმნა. აუცილებელი გახდა თითოეული სახელმწიფოს სრულიად ახალ რელსებზე გადაყვანა, რაც უმტკივნეულოდ არ განხორციელებულა. საქართველოს საზოგადოებრივი დოვლათი დაიტაცეს ცალკეულმა პირებმა, გაიყიდა შენობების უმეტესი ნაწილი. პატიოსანი მშრომელი ხალხი გაოგნებული დარჩა თავის მიერ შექმნილი ქონების განაევებით. ამ მდგომარეობას ვერც პანკისელები აცდნენ. კოლმეურნეობების დაარსებიდანვე შექმნილი საზოგადოებრივი ქონება (სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, მანქანები, წერტილფეხა და მსხვილფეხა პირუტყვის მეურნეობები, საბავშვო ბაღების და სხვა სამეურნეო შენობები გარდა სასკოლო და ა. შ.) მშრომელი ხალხის თვალწინ გაიყიდა. გამქრალია აგრეთვე სასოფლო ობიექტებისა და სკოლების ვარგისი

ინვენტარი, მდიდარი ბიბლიოთეკები, რომლებსაც თაობები სათუთად უვლიდნენ და აქტიურად იყენებდნენ. ამ ბიბლიოთეკებში ინახებოდა იშვიათი ლიტერატურა. მოუშხადებლად დაწვებულმა გარდაქმნის პერიოდმა სოფლებში საზოგადოებას დააკარგინა 70 წლიანი შრომით მოპოვებული სახელმწიფო – თვით ხალხის მიერ შექმნილი სიმდიდრე. საბოლოოდ ხალხს საკუთრებად დარჩა მხოლოდ 60 მესასედი მიწის ფართობი ოჯახზე, რომელიც ტექნიკისა და სახსრების უქონლობის გამო ბევრს დაუმუშავებელი დარჩა. სწორედ ამან შეუწყო ხელი პანკისელების (უმეტესი ნაწილის) ეკონომიკის არა მხოლოდ დაქვეითებას, გაცამტვერებასაც კი.

აღსანიშნავია ისიც, რომ გარდაქმნის პირობებში შექმნილი მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდა ჩენეთის ომის შედეგად. ლტოლვილთა პანკისის ხეობაში მოხვდამ. ამ ახალმა ისტორიულმა ფაქტმა წარმოშვა ახალი სოციალ-ეკონომიკური მოვლენები – თუმცა ლტოლვილებს მაშინვე მხარში ამოუდგა „წითელი ჯვარი“, გაერო და სხვ, რომლებიც დიდ მატერიალურ დახმარებას უწევენ არა მარტო ლტოლვილებს, არამედ ადგილობრივ მოსახლეობასაც კი. საკვალალო ის არის, რომ ქისტების ყოფა-ცხოვრებაში შეიჭრა მათთვის სრულიად ახალი და უცხო ნეგატიური მოვლენა – ნარკომანია, რომელმაც შეიწირა უკვე რამდენიმე ქისტი ახალგაზრდა. ამ სენის სალიკვიდაციოდ დამნაშავეებს უპირისპირდება ადგილობრივი მოსახლეობა, მაგრამ უშედეგოდ.

ქისტებში კიდევ არანაკლები უბედურება ტრიალებს შექმნილი თვით ადგილობრივი „ლიდერების“ ხელშეწყობით, რაც დაიწყო ჯერ კიდევ 1996 წელს არაბეთიდან მორწმუნე ქალებისათვის საჩუქრების ჩამოტანით (გაზ. „კრიმინალი“). ბავშვებისთვის გაიხსნა არაბული ენის შემსწავლელი სკოლა, რომელიც სულ მალე ახმეტის რაიონის უშიშროებამ აკრძალა. ამას მოჰყვა თანხა (დოლარებით) პანკისის ხეობაში მეჩეთების ასაშენებლად. „ლიდერის“ ენერგიული მუშაობის შედეგად 3-4 წელიწადში აშენდა ოთხი მეჩეთი – არაბეთის სახსრებით, ხელახლა გაიხსნა არაბული ენის შემსწავლელი სპეციალური სკოლა, რომელიც დაკომპლექტდა დუისის საშუალო სკოლის ბავშვებით. იგივე „ლიდერები“ ადგილობრივ ქისტ ბავშვებს აგზავნიან არაბეთის ქვეყნებში, სადაც ასწავლიან გაძლიერებულ არაბულ ენას, ლოცვებს და ტრადიციებს – ესეც არაბების ხარჯით. დღემდე გაგზავნილი ჰყავთ 50-მდე ახალგაზრდა (გაზ. „კრიმინალი“). ადრე გაგზავნილმა ბავშვებმა უკვე დაამთავრეს არაბული სკოლა და ჩამოვიდნენ. ისინი მოსახლეობაში ეწვეიან აგიტაციას „ვაჰაბიზმის სიკეთის შესახებ“.

პანკისში თავმოყრილ არაბებს ცოლად მოჰყავთ ეკონომიკურად გაჭირვებულ ოჯახის გოგონები. სწორედ ამ სამწუხარო სინამდვილეს მიეძღვნა ერთ-ერთი ავტორის ლექსი – „მიფრინავენ წეროები“.

„ჩვენს მიწასაც რომ სტუმრობენ
„წეროები“ უცხო მხრიდან;
პანკისშიაც, ემ რამდენი
მიფრინდა და კვლავ გაფრინდა.

ბევრმა მწარედ წაგვიკორტნა
უმანკოთა გრძნობა წმინდა,
რადგან თვალი გონებისა
ზოგს ასაკმა დაუბინდა.

ნუ ენდობით „უცხო ფრინველს“
ბუდეს არსად არ იძველებს,
ცაში ნაგებ ზღაპრულ კოშკებს
ცრემლის წვიმა დაგისველებთ“.

ამჟამად პანკისის ხეობაში ადგილობრივი ქისტი მოსახლეობის რაოდენობა შეადგენს 6870 ადამიანს.

ლიტერატურა

1. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. VII, თბ., 1976.
2. თელაუის სახ. არქივი, ფ.2, საქ. №10, ფ. №5, საქ. №102.
3. საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევები, თბ., 1971.
4. ავტორის მიერ ველზე შეკრებილი მასალა, პანკისი, 1960, რვ. №4.
5. ჭილაშვილი დ., იყო ასეთი ჭაბუკი, „ბახტრიონი“, 1969, №42.
6. პანკისელი მ., ინტერნაციონალიზმი ოქტომბრის დიდი მონაპოვარია, „ბახტრიონი“, №68, 1987.
7. ლენინი ვ. ი., თხზ. ტ. 10.
8. ბორჩაშვილი ე., აღდამოვი მ., რელიგიის, შარიათისა და ადათის გადმონაშთები და მათი დაძლევის საშუალებანი, რელიგიური გადმონაშთების დაძლევის პროცესი საქართველოში, თბ., 1973.

Панкисское ущелье расположено во внутренней части Кавказа, в ущелье лесистых гор Главного Кавказского хребта, которое находится в 15 – 18 км к северу от районного центра (г.Ахмета).

В прошлом «Панкиси» было названием села, которое располагалось на территории, находящейся приблизительно у подступов нынешнего села Дуиси. Жители соседних сел Джоколо, Омало, Дзибахиви и Шуахалациани и поныне называют его «Панкиси». В сравнении с другими селами, это было самое густонаселенное село, поэтому оно всегда находилось под пристальным вниманием государственных чиновников. Об этом свидетельствуют остатки старинных крепостей, дозорных башен, культовых и жилых построек, расположенных по обе стороны реки Алазани. Это – свидетельства истории грузинского народа; ныне уже разрушенные, они являются частью большого комплекса Торгва-Панкели, который занимал территорию на возвышенности между Халацанским ущельем и Маграани. Сам рельеф и территориальное расположение этого комплекса давали возможность в случае опасности вражеского нападения держать связь и вовремя сообщать вест о надвигающейся опасности.

К сожалению, до нынешнего поколения из этих сооружений почти ничего не дошло, остались в основном руины. Надо заметить, что в 1965-66 годах в Панкисском ущелье были проведены археологические раскопки, в результате чего были найдены уникальные материалы, которые отражают эпохи палеолита, поздней бронзы и античный период. Среди раскопок обнаружены человеческие головы и скелеты, глиняная посуда, фрагменты керамики поздне-бронзового периода, винные сосуды (квеври) и т.д., свидетельствующие о том, что издревле это ущелье было заселено самими грузинами.

Согласно материалам Вахушти Батонишвили, данное ущелье представляло собой экономически богатый уголок, где население занималось земледелием, животноводством, возделыванием риса и хлопка. Было развито виноградарство, бахчеводство и т.д., об этом свидетельствуют сохранившиеся доселе остатки винных погребов, давлений и некоторые сорта черного винограда.

В данной работе рассматривается историко-географическое расположение ущелья, границы и пути коммуникаций, которые играли большую роль во взаимоотношениях с соседними кавказскими народами. Определенное место уделено дошедшей до нас историко-этнографической литературе, в особенности той, где дана информация о кистах, их миграциях в Грузию, в частности, в Хеви, Мтиул-Гудамакари, об их поселениях и ассимиляционных процессах с местным населением. Процесс этнического слияния был естественным и закономерным, т.к. ему способствовали социально-экономические факторы, а процесс ассимиляции проходил безболезненно, т.к. традиции, культура и религия грузин и вайнахов были почти одинаковыми.

Причины переселения кистов были разные – экономические, религиозные, кровная месть, конфликты между имущим и неимущим населением – «байталвакар» и т.д.

Панкисское ущелье кисты начали заселять с 30-х годов XIX столетия, пшавы – с 60-х годов того же столетия, а осетины появились в начале XX в., в частности, в 1902-1906 гг. Кисты селились с волеизъявления государственных чиновников и на государственных угодьях, тогда как пшавы и осетины – на основе аренды и закупки княжеских земельных участков.

В работе рассмотрены также памятники материальной и духовной культуры, хозяйственные постройки, одежда, пища, формы поселения, экономика и т.д. во всех трех этнических группах.

При исследовании общественного и семейного быта большое внимание уделено традициям и канонам совместного проживания представителей нескольких поколений в одной семье. На примере кистов показано, что многочисленная семья была результатом многоженства,

суть которого выражалась в том, что мужчина имел право иметь одну жену, хотя допускались разводы и в случае материальной возможности – многожизвенная жизнь. Институт Шарията впоследствии узаконил эту традицию, но в несколько иной форме – допуская наличие одновременно нескольких жен (до четырех). Жены должны были жить в одном дворе, в отдельных домах, но при одном муже, поэтому часто число членов одной большой семьи доходило до 30-40 человек. Такие случаи были крайне редки среди самих кистов. Параллельно с большой семьей существовали индивидуальные семьи, где число членов семьи не превышало 10-12 человек. Термин, выражающий значение разделения семьи – «буывалар», на прежней родине кистов - в Чечне не существовал. Эту традицию кисты переняли у соседних грузин.

Особое внимание в работе уделено взаимоотношениям в семье: отношениям старшего – младшего, свадебным, похоронным традициям, а также традициям, связанным с рождением детей и их воспитанием, и вообще отношениям в родственном кругу и общественном быту.

Население обычно селилось согласно тейповому (фамильному) принципу и управлялось советом старейшин («мехк-кхел»). В настоящее время в жизни кистов «мехк-кхел» утрачен, однако существует «кхел» – родовое право. В работе приведена терминология, отражающая иерархию населения, которая появилась в результате разделения общества на богатых и бедных, например: «эли» – князь, «уезднах» – культурные люди, «йисар» – пленник, «лай» – раб, «кбие» – бедняк, «миск» – несчастный и т.д.

В работе исследуется постановление 11 апреля 1865 года, в котором отразились формы сельского общественного правления, где высшим органом правления считался сельский сход, составленный из представителей каждой фамилии. В 60-70-х годах XIX века сельский сход был заменен правлением сельской общины, т.е. панкисское население управлялось двояко: общегосударственными законами и медиаторским правосудием – «адатом», который восходил к общинно-родовому строю и возник на основе института кровной мести. Он сохранился и по сей день. В работе всесторонне рассматриваются причины, вызывающие кровную месть.

В период советского правления правосудие по адату существовало, однако в некой завуалированной форме. Осуждение по канонам государства не освобождало преступника от кровной мести, т.е. преступник нес двойную кару. Так продолжается и по сей день.

Большое место в исследовании уделено культуре и народному образованию. Кисты, пришедшие из региона, где не было собственной письменности, и ничего не знавшие об образовании, получали его в приходской школе, построенной в 1891 году в селе Джоколо «Обществом по восстановлению христианства на Кавказе», целью которого было растить на местах церковных служителей. Эту школу в Джоколо посещало 40 учеников, в основном из имущих семей. Их первым учителем был Матэ Албуташвили, он же был священником церкви, которая находилась неподалеку от школы. До принятия ислама кистинское население и население близлежащих деревень были ее прихожанами. В 1921 году приходская школа и церковь были закрыты, а М.Албуташвили навсегда покинул устье. Начался новый этап в жизни государства и, соответственно, устья, называемый советским. В работе определенное внимание уделено этому периоду с учетом его положительных и отрицательных сторон.

Именно к этому времени относятся зрелые годы общественной деятельности Юсупа Маргошвили, который, получив образование в Грозном и Тбилиси, вернулся в родное устье для его просвещения, повышения его жизненного уровня и благополучия.

В монографии рассмотрены также вопросы религии и духовной культуры не только кистов, но и пшавов и осетин.

SUMMARY

The Pankisi gorge is situated in the inner part of Kakheti, in the ravine of wooded mountains of the Main Caucasian mountain ridge which is 15-18 km to the north of the regional center (town Akhmeta).

In the past, "Pankisi" was a name of the village located on the area not far from the present village Duisi. Residents of neighbouring villages Jokolo, Omalo and Shuakhalatsani still call it "Pankisi". To compare with other villages, this one was the most densely populated, that is why it always was in the limelight of government officials. Evidences of the above are the remains of ancient fortresses, watchtowers, religious and dwelling buildings located along both sides of the river Alazani. These are the evidence of the Georgian people's history; being ruined nowadays they were a part of a big complex Torgva-Pankeli that occupied an area on the eminence between the Khalatsani gorge and Magraani. The very relief and territorial location of this complex gave a possibility in case of danger of enemy's attack to maintain a contact and inform of an imminent danger.

Unfortunately, almost nothing from these constructions has come to the present generation, the ruins have only remained. It should be mentioned that as a result of archaeological excavations carried out in the Pankisi gorge in 1965-1966, unique materials have been found which reflect such epochs as palaeolith, the Late Bronze Age and the antique period. There were discovered human heads and skeletons among the excavations, as well as earthenware crockery, fragments of ceramics of the Late Bronze Age, wine jugs (kvevri), etc. that corroborates the fact that this gorge has been populated by Georgians since olden times.

According to Vakhushti Batonishvili's materials, this gorge was an economically rich place where the population was engaged in agriculture, cattle breeding, rice and cotton growing. Remained debris of wine-cellar, winepresses and some sorts of black grapes are an evidence of developed wine-growing, melon-growing, etc.

Historical-geographic location of the gorge is under consideration in the present work as well as boundaries and ways of communication that were of great importance for interrelations with neighbouring Caucasian peoples. Certain consideration is given to historical-ethnographic literature, especially the sources containing the information about Kists, their migration to Georgia, in particular, to Khevi, Mtiul-Gudamakari, their settlements and assimilation with the local population. The process of ethnic fusion was natural, law-governed, since it was furthered by social-economic factors; and the assimilation process went on painlessly, since traditions, culture and religion of Georgians and Vainahs were almost the same.

There were different reasons of Kists' resettlement: economic, religious causes, blood feud, conflicts between prosperous people and poor population – "baytalvakhar", etc.

Kists began to occupy the Pankisi gorge from the 30'ies of the 19th century, Pshavians from the 60'ies of the same century, and Ossetians appeared here in the beginning of the 20th century, in particular, in 1902-1906. Kists took up their residence in the gorge at will of government officials and on public lands, while Pshavians and Ossetians held lands under lease or purchased princes' lands.

The monuments of material and spiritual culture, household buildings, clothes, food, forms of settlements, economics, etc. of all three ethnic groups are examined in the work as well.

While investigating social and family life, a great consideration is given to traditions and canons of co-habitation of the representatives of several generations in one family. Citing Kists as an example, it is shown that multi-member family was a result of polygamy. Its essence was expressed in the fact that men had the right to have one wife but divorce was permitted, and in case of material possibility men could marry many times. Afterwards the institution of Shariat legitimated this tradition, but in slightly different form: simultaneous presence of several wives (to 4) was allowed. The wives had to live with one husband in separate houses, but within one yard, that is why sometimes the number of members of one large family amounted to 30-40 persons. Such cases were very rare among Kists. In parallel with

large families, there were individual families where the number of members did not exceed 10-12 persons. The term "buyvalar" meaning "family division" had not existed in Chechnya, the former native land of Kists. Kists adopted this tradition from neighbouring Georgians.

In the work, an especial attention is devoted to interrelations within the family: relations between elders and the youth, wedding and funeral traditions, as well as traditions connected with birth and upbringing of children and in general relations within kindred circle and social life.

The population usually settled according to "tei"p (family) principle and was managed by the Council of Patriarchs ("mehk-khel"). By now, the mehk-khel tradition has been lost in Kists' life, but "khel" (the tribal law) still exists. The work contains the terminology reflecting the hierarchy of population that had appeared as a result of division of the society into rich and poor people, for instance, "elie" – a prince, "uyczdnah" – cultural people, "yisar" – a prisoner, "lay" – a slave, "k'ey" – poor man, "misk" – "unhappy man", etc.

In the work, the resolution of 11th April, 1865 is examined where forms of public village government are reflected. The village meeting composed of the representatives of each family name was considered to be the supreme body of village government. In the 60-70'ies of the 19th century, village meeting was replaced by the village community government, i.e. The Pankisi population was governed in two ways: according to the state laws and by mediator justice ("adat") which can be traced back to communal-tribal system and had appeared on the basis of the institution of blood feud. It keeps up to now. The reasons caused blood feud are comprehensively examined in the work.

In the Soviet period, justice according to "adat" existed in a veiled form. Conviction according to the state canons did not save criminals from blood feud, i.e. criminals bore double punishment, and this practice continues till present.

Much attention in the research is given to culture and folk education. Kists who had came from the region where they had not had their own written language and had known nothing about education, were educated at the parish school built in the village Jokolo in 1891 by the "Society for the renewal of Christianity in the Caucasus" whose aim was to educate clergymen in the provinces. 40 pupils, mainly from wealthy families attended this school in Jokolo. Their first teacher was Mate Albutashvili who at the same time was an Orthodox priest of the church situated not far from the school. Before adopting Islam, Kists as well as the population of neighbouring villages were its parish. In 1921, the parish school and the church were closed and M.Albutashvili left the gorge for ever. A new stage called "Soviet" began in the life of the state and accordingly in the life of the gorge. This period is examined in the work taking into consideration its positive and negative sides.


Mature years of Yusup Margoshvili's public activities belong just to that period. He had been educated in Grozny and Tbilisi and came back to the native gorge to enlighten the local population, raise its living standard and improve its welfare.

The problems of religion and spiritual culture of not only Kists but also Pshavians and Ossetians are examined in the monograph as well.


პანკისის ხეობის დასახლოების სქემა ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით



შენიშნვის ხეობის
დასახლებებს სქემა
1970 წ



კანკისის ხეობის
დასახლების სქემა
2002წ.



შინაარსი

წინათქმა	3
შესავალი	5
პანკისის ხეობის ისტორიული წარსული და ბუნებრივ-გეოგრაფიული გარემო	5
I. პანკისის ხეობის მოსახლეობის ყოფითი კულტურა	15
§ 1. ქისტების ჩამოსახლება საქართველოში	15
§ 2. ქისტების დასახლება—განსახლება.	40
§ 3. მეურნეობა	51
ა) მიწათმოქმედება	51
ბ) მეცხოველეობა	64
გ) დამხმარე მეურნეობა	73
§ 4. მატერიალური და სულიერი კულტურის ძეგლები	79
§ 5. შინამრეწველობა და ხელოსნობა	101
ა) მატყლის დამუშავება	101
ბ) ტყავის დამუშავება	106
გ) რქისა და ძვლის დამუშავება	107
დ) ხის დამუშავება	107
ე) რკინის დამუშავება	109
II. ქისტების სოფლად და საზოგადოებრივი ყოფა	111
§ 1. ოჯახის სოციალური სტრუქტურა	111
§ 2. საზოგადოებრივი ყოფა	138
§ 3. სტუმარ—მასპინძლობა	148
§ 4. სახალხო განათლება	153
III. სულიერი კულტურა	168
§ 1. რელიგიური რწმენა—წარმოდგენები	168
§ 2. ხალხური კალენდარი	184
§ 3. მიცვალებულის კულტი	192
§ 4. ხალხური ხელოვნება	201
§ 5. ხალხური სამედიცინო ტრადიციები	206
IV. პანკისი საბჭოთა პერიოდში და დღეს	211
Резюме	221
Summary	223
რუკა:	
1. პანკისის ხეობის დასახლების სქემა ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით	225
2. პანკისის ხეობის დასახლების სქემა 1980 წ.	226
3. პანკისის ხეობის დასახლების სქემა 2002 წ.	227
შინაარსი	228

№ 2/952



ლეილა მარგოშვილი - ისტორიის დოქტორი, მუშაობს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში - კაკეასის ხალხთა ისტორიის განყოფილებაში წამყვან მეცნიერ თანამშრომელად.

იგი სამეცნიერო-კვლევით მუშაობას ეწევა კაკეასის ხალხთა ისტორია-ეთნოლოგიაში, კერძოდ, იკვლევს წყნების, ინგუშებისა და ქისტების მატერიალურ და სულიერ კულტურას, სამეურნეო, საოჯახო და საზოგადოებრივ ცხოვრებას, კულტურა-განათლებას, შერაცხისა და ადამიანობის პრობლემებს. გამოსაქვეყნებული აქვს 50-მდე სამეცნიერო ნაშრომი და პუბლიცისტური წერილი, მათ შორის სკოლაში მონოგრაფია.

ღ. მარგოშვილი სხვადასხვა დროს ეკავდა პედაგოგიურ და განმანათლებელ მუშაობას რეგიონალურ საქართველოში ასევე ჩეჩენი-ინგუშეთში.

ამჟამად იგი იკვლევს საქართველო-ჩეჩენი-ინგუშეთის ურთიერთობის საკითხებს უძველესი დროიდან დღემდე, როგორც ისტორიის, ისე ეთნოლოგიაში.

Leyla Margoshvili - доктор исторических наук. Работает ведущим научным сотрудником в отделе Истории народов Кавказа Института истории и этнологии им. Ив. Джавахидшвили в Тбилизи.

Она исследует историю и этнологию народов Кавказа, в частности, изучает вопросы миграции, материальной и духовной культуры, хозяйственный, семейный и общественный быт, образование в Чеченцев, Ингушей и Кистов. Она автор более 50 научных трудов, из них пять монографий.

Л. Маргошвили в разные годы занималась педагогической и просветительской деятельностью, в основном в Грузии, так и в Чечено-Ингушетии.

В настоящее время она исследует вопросы взаимоотношений грузин, чеченцев и ингушей с древнейших времен по сегодняшний день, как в области истории, так и этнологии.

Leyla Margoshvili - doctor of historical sciences. She works at the Institute of history and ethnology of the Academy of Science of Georgia.

She investigates the history and ethnology of the peoples of Caucasus. In particular, she studies questions of migration, material and spiritual culture, economic, family and public life and the education of Chechens, Ingush's and Kistyns. The author wrote than 50 publications, including five monographs.

L. Margoshvili used to be engaged in pedagogical and educational activities, both in Georgia and in Chechnya and Ingushetia.

These days she investigates questions of mutual relation between Georgians, Chechens and Ingush's from most ancient times up until today, both in the field of history and ethnology.